[illegible]

[illegible]

[illegible]



# ილია ჭყონიას ნაწერები

თავისთავადი და ნათარგმნი.

33828

Библиотека-музей им. акад. И. Гришашвили
Академия наук

ფასი ერთი მანათი.

თბილისი.

352 გვ. დაბეჭდილია ბ. კილაძის სტამბაში, დანარჩენი კი სპ. ლოსაბერიძის ელექტრო-მბეჭდავ სტამბაში.

1913.

# დამწერის შენიშვნა ამ გამოცემისათვის.

ამ წიგნში დაბეჭდილია უმრავლესობა ჩემი ნაწერების და ნათარგმნის 1877 წლიდან 1910 წლამდი.

ბევრი მათგანი სხვა-და-სხვა დროს მოქცეული იყო ჟურნალ-გაზეთებში: „დროებაში," „ივერიაში", „ცნობის ფურცელში" „ნიშადურში", „ხუმარაში" და სხვ. და ჩემს გამოცემებში: კვირეულ სამეურნეო გაზეთს „მეურნეში," ალმანახს „სამწერლო თაიგულში" და ცალკე წიგნაკში „კალმის მონასმში".

ყველა ჩემ ნაწერებს სხვა და სხვა დროს მოწერილი ქონდა სხვა და სხვა ფსევდონიმები და ინიციალები.

წიგნი, ზოგიერთ ძნელათ წარმოსადგენ შემთხვევის გამო, და, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ რამდენიმე გვერდი ხელ-ახლავ უნდა გადამებეჭდა,—დამიჯდა ექსი აბაზი. ცყიდი კი, ჩვენებურ წიგნის მყიდველის ხელმოკლეობის გამო, მანათათ, ისე, როგორც მოლა-ნასრ-ედინა, სიბერის დროს, ვირებს ჰქედავდა ორ-ორ ფარათ, და საპონს კი თითოეულ შემთხვევაში სამი ფარისას ხარჯავდა მხოლოთ იმიტომ, რომ ოსტატის სახელი დარქმეოდა.

## წამკითხველების საყურადღებოთ.

უოველივე ღონისძიება იყო ნახმარი, რომ ეს წიგნი კორექტურის მხრით, შეძლებისამებრ, უნაკლულო გამოსულიყო. მარა წიგნში, ნამეტურ მე-22 გვერდიდან მე-142 გვერდამდი, ბევრი შეცთომები შეიპარა: ზოგან სიტყვები ზედმეტათ არის დაბეჭდილი, ზოგან კი გამოტოვებულია, ან და არევით და თავუკუღმა არის აწყობილი, რაც გააძნელებს წაკითხულის გაგებას, თუ გაუსწორებელი დარჩა. მე-41 გვერდზე კი ერთი ლექსის („მაკოლეის პოემიდან—ვირგინია“) მარტო სათაური დაბეჭდილი, თვით ლექსი, და აგრეთვე სხვა-და-სხვა ალაგას რამდენიმე წვრილი ესკიზი და სცენა გამოტოვებული დარჩა აწყობის დროს.

ყველა შეცთომების ანუსხვას ცალკე წიგნაკი მოუნდებოდა, ამიტომაც ახლა მხოლოთ უმთავრეს შეცთომას ვასწორებ ქვემოთ.

გულითადათ ვთხოვ მკითხველებს: წაკითხვამდი უსათუოთ გაასწორონ ქვემოთ ანიშნული უმთავრესი შეცთომები, და აგრეთვე ის ორთოგრაფიული და დასასვენებელ ნიშნებში შეცთომებიც, რაც, მოხსენებულ მიზეზის გამო, გაუსწორებელი დამრჩა.

დამწერი.

—

## უმთავრესი შეცთომები

| გვერდი. | პწკარი: ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 11 | — | 5 | ვრჩეოდით | ვრჩეობდით. |
| 22 | — | 7 | მე რომ ბედსა | მე რომ ბედს |
| 23 | 2 | — | სოფულს | სოფელს |
| 24 | 2 | — | გატყუებთ | გატყუილებთ |
| — | 3 | — | თვითონ თქვენვე | თვითონ თქვენავე |
| — | — | 13 | მქონდა და გულში | მქონდა გულში |
| — | — | 12 | იგი მემს | იგი ჩემს |
| 25 | 9 | — | უბღვრიალებს | უბღღვრიალებს |
| — | 12 | — | თვარა, | თუ არა, |
| 26 | 1 | — | ჩუმიცა | ჩემიცა |
| 28 | 12 | — | კიდეთ | კიდით |
| 29 | 7 | — | სიტურფეს | სიტურფესა |
| — | 10 | — | მიწასა | მიწას |
| — | — | 7 | გლეჯდი | ვგლეჯდი |
| 33 | — | 7 | მხვრინავი | მჭვრინავი |

ჰწკარი:

| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 39. | — | 3 | ისპანურიდან | ესპანურიდან |
| — | — | 3 | სილივესტრე | სილვესტრე |
| 44 | 1 | — | 1905 | 1895 |
| — | 7 | — | ვუჩვენოთ | ვუჩინოთ |
| 45 | — | 1 | დაანათს | დანათს |
| 46 | — | 8 | ჩემო მოზავევ | ჩუმო მოზავევ |
| 47 | 7 | — | ხელში | ხელშია |
| 48 | 6 | — | ყრმანო | ყრმაო |
| 49 | მეექვსე დ̃ მეშვიდე ჰწკრებს შუა ზემოდან გამოტოვებულია: „გული დაცალიერდა“ | | | |
| 50 | — | 8 | სინიდისს | სინდისს |
| 51 | — | 4 | სინიდისს | სინდისს |
| 52 | — | 4 | მეტრფის | ეტრფის |
| 54 | 6 | — | ღმერთსა ბჭობს | ღმერთთან ბჭობს |
| — | — | 8 | ვისაც | ვისიც |
| 56 | — | 13 | ოზურგეთისაგან | ოზურგელისაგან |
| 58 | — | 2 | კუთხე ქვეყნისა | რომელი კუთხე ქვეყნისა |
| 60 | მეოთხე დ̃ მეხუთე ჰწკრებს შუა ქვემოდან გამოტოვებულია: „მას უხუჭავს უდროვოთ ლამაზ თვალებს, მიწას აყრის უეჭველ დალხინებას,“ | | | |
| 61 | — | 6 | ვინმე შეიხ-ულ-ისლამი | ვიხმე შეიხ-ულ-ისლამი |
| 63 | 4 | — | რომ | რომე |
| — | 7 | — | დამეფშუტდა | დამიფშუტდა |
| 64 | 8 | — | სიმშვიდეს გზას | სიმშვიდეს მზას |
| 66 | 3 | — | ყრუ | ყრუი |
| — | 9 | — | მტერ-მოყვრის | მტერ-მოყვრისა |
| 68 | — | 4 | შუა ლხინის-დროს | შვა ლხინის-დროს |
| 71 | 10 | — | მარტო ხელი! | მარტოხელი! |
| 72 | 15 | — | ჩვენ ყოფნის | ჩვენი ყოფნის |
| 74 | 1 | — | სხვა არ | სხვას არ |
| 77 | — | 6 | სითკენაც | სითკენც |
| 79 | — | 8 | ისესხა | ასესხა, |
| 80 | 8 | — | ეკლები ჩავურგე | ეკლების თესლი დავთესე |
| — | 17 | — | სოჯამ | ხოჯამ |
| 81 | 19 | — | მოუგო | მიუგო |
| 82 | იხილე ამ შეცთომების გასწორების ბოლოს. | | | |
| 84 | — | 1 | დ̃ძირ დ̃-პირ დ̃ გვერდებ | დ̃ ძირ დ̃ გვერდებ |
| 85 | — | 12 | შეარალე | შეაბრალე. |
| 93 | 7 | — | და საქრმოთ | და საქმროთ |

| | პწკარი: | | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია. | უნდა იყოს: |
| — | — | 11 | საკმაოთ | საკმაოთა |
| 94 | — | 3 | მოთაურები | გოთაურები |
| 98 | — | 14 | ერთსა დ იმასვე | ერთს დ იმასვე |
| 99 | 2 | — | თამამათ | თამამთ |
| 100 | 4 | — | მოუსწროფდა | მოუსპობდა |
| — | 15 | — | მისგანვე | მისგან |
| 101 | 1 | — | მუხრანში | მუხნარში |
| — | 4 | — | მას მას უჩხრიალებს | მას უჩხრიალებს |
| 102 | — | 9 | მტრის შორის | მტრის შურის |
| — | — | 5 | ნავცლათ | ნაცვლათ |
| 105 | — | 3 | რაც ირგვლივ ესმის | რაც უკვე ესმის |
| 106 | — | 7 | აღარა ვნაღვლობ. | ვნაღვლობ აღარა. |
| 109 | 11 | — | და დაშვენდება | რა დაშვენდება |
| 114 | — | 9 | ტყუილი | ტყვილი |
| 115 | — | 2 | უგუნურ | უგნურ |
| 116 | — | 10 | სინიდისის | სინდისის |
| 117 | 2 | — | არ აკვირდება | რა აკვირდება |
| — | — | 12 | გიტკბობს | გვიტკბობს |
| 119 | 2 | — | ხევნართ კაარნი | ხევნართ კატარნი |
| 120 | — | 9 | უარ ვერ | უარს ვერ |
| 122 | — | 1 | აგრევე ტანჯულთა | აგრევ ტანჯულთა |
| 126 | 9 | — | გადაუხვია გზას | გადუხვია გზას |
| — | — | 5 | რისხვა პეტრესას | რისხვას პეტრესას |
| 128 | — | 4 | მხედართ-მთავართან | მჴედართ მთავართა |
| — | — | 12 | ქვე მეხის | ქვემეხის |
| — | — | 9 | მწვავი იარა | მწვავი იარი |
| — | — | 4 | და ჯანიანი | და ჯინიანი |
| — | — | 2 | მჭევრმეტყველვობდით | მჭევრმეტყველობდით |
| 134 | — | 9 | შეხედე | შეხედეს |
| 139 | — | 5 | და წარბ-ქვე | და წარბთ-ქვე |
| 142 | 11 | — | ან იაკუტსკის | ან იაკუტის |
| 154 | — | 10 | გვსუსტდებოდა | გვისუსტდებოდა |

162. ქვემოდან მეორესა დ მესამე პწკრებს შუა გამოტოვებულია: „მარა, ზოგ ლაჩრებრ, მე გადარჩენა თავისა მოკლვით სულ არ მიცდია.“

სწკარი:

| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 166 | 18 | — | მთელი ჯარი | მთიელთ ჯარი |
| 174 | — | 19 | ცრემლით წყარო | ცრემლით წყაროთ |
| 180 | — | 1 | მილიუტინს | მილიუტინსა |
| 182 | — | 4 | ვალი მაწევს | ვალი მაწვევს |
| 187 | 12 | — | რომ მე კაცი | რომ მეც კაცი |
| 191 | 15 | — | ორივ ამის | ორივე ამის |
| — | — | 14 | სიმფრთხილით | სიმფრთხალით |
| 215 | — | 3 | თათქანით | თათქათით |
| 217 | — | 10 | იმერეთს დ̃ | იმერეთს გურიისაგან დ̃ |
| 218 | 4 | — | ერთს | ერთი |
| 220 | 6 | — | ბატარიებ | ბატარეებ |
| 226 | — | 3 | საზღვარი | საზღვრათ |
| 232 | — | 7 | აზვიადებენ | აზვიადებს |
| — | — | 6 | გამოყავთ | გამოყავს |
| 233 | — | 11 | არის | არიან |
| 237 | 3 | — | კასკასით | კისკისით |
| — | — | 12 | თავადიშვილის | თავადიშვილს |
| 241 | 8 | — | რომელმაც | რომელიც |
| 245 | — | 14 | იმ ვითომ | იყო იმ ვითომ |
| 262 | — | 4 | მამასაგან მზი- | მამასაგან რა კი მზი- |
| 272 | 10 | — | ფაფანიკები | ფაფანაკები |
| 281 | — | 13 | გადაუხედია | გადაუხედავს |
| 310 | — | 13 | შეიძლებაო | შემეძლებაო |
| 329 | 11 | | ისე | ისეთი |
| 348 | — | 2 | არ | რა |
| 353 | 8 | — | და მოახსენა | და პირველმა |
| 354 | — | 13 | ფორჯებს | ფოროჯებს |
| — | — | 8 | ფორჯებს | ფოროჯებს |
| 376 | — | 13 | მივხთი | მივხვთი |
| 377 | — | 13 | შემდეგი | შედეგი |
| 383 | — | 15 | ფიქრობენ | ფიქრობდენ |
| 392 | — | 8 | ფიზიკორი | ფიზიკოსი |
| 394 | 13 | — | იმდენათ | იმდენათვე |
| 400 | — | 14 | ელიმებოდა | ილიმებოდა |
| 418 | 6 | — | ედგა | ედვა |
| 419 | 11 | — | დაიზმულა | დაიზმუილა |

| | ჰწკარი: | | | |
|---|---|---|---|---|
| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
| 421 | — | 16 | მაგალითათ და | და მაგალითათ |
| 422 | 9 | — | ყოფნოდა ცხვრიეთის | ყოფნოდა ცხვრიეთს |
| — | — | 7 | lono | bono |
| 424 | 13 | — | უცებ შამოვარდნი- | უცებ არ შემოვარდნი- |
| 426 | — | 15 | ყოველი | ყოველ |
| 430 | 7 | — | წინასაფრით | წინსაფარით |
| 453 | 10 | — | წამოღებული | წაღებული |
| 459 | — | 2 | პონიტივისტებს | პოზიტივისტებს |
| 472 | — | 1 | რომ | რომ რომელიმე |
| 473 | 1 | — | ამათგანი | მაგათგანი |
| 478 | — | 6 | მიჩვენებენ | მიჩვენებ |
| — | — | 6 | მომაჭრა | მიმაჭრა |
| 479 | — | 4 | ეე... კია, | ეე... კაი, |
| 480 | — | 16 | მოიხერხებ | მოახერხებ |
| 483 | — | 11 | სადაცა | სადაცაა |
| 485 | — | 10 | რომ ჩანს | რომ არ ჩანს |
| 487 | 15 | — | რალა | რაღას |
| 489 | — | 4 | დაუყრია | დაუყრიათ |
| — | — | 4 | დაგვაყრიდა | დაგვაყრიდენ |
| 491 | 2 | — | მოდის | მიდის |
| 500 | 10 | — | დეიდის | დეიდას |
| — | — | 5 | ოლასკურვის | ოლასკურას |
| 502 | 7 | — | ჩვენ | ჩემ |
| — | 8 | — | მოინდომა | მომინდომა |
| 516 | — | 1 | ამ | მა |
| 518 | — | 13 | მაგრათ | მაგრამ |
| 522 | — | 3 | დროითა | დროთა |
| 527 | 6 | — | მაგითთაგანს | მაგიდათაგანს |
| 528 | — | 5 | ის ილუნავს | ისე გადალუნავს |
| 531 | — | 12 | მოსვენებითაო? | მოჩვენებითაო? |
| 533 | 7 | — | კაბელესო | კაბალერო ჱ ფრანგული შევალიე |
| 533 | — | 8 | აილო | აალო |
| 541 | — | 8 | უთავდებოდა | უთავნდებოდა |
| 543 | 15 | — | დროთ | დროს |
| 544 | — | 13 | ახლა | ახლო |

შეცდომა: (ჰწკარი:)

| გვერდი. | ზემოდან. | ქვემოდან. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| 546 | 2 | — | ჯარი | ჯარში |
| 547 | 4 | — | ჩავჩურჩულეთ | წავჩურჩულეთ |
| 551 | 5 | — | უწინდელისავე | უწინდელსავე |
| — | 14 | — | ჩააბარებენ | ჩააბარებდენ |
| 554 | — | 11 | გონებათა | ქონებათა |
| 558 | 11 | — | უნდათ | უნდა |
| 561 | 12 | — | როგორც | როგორიც |
| 569 | 6 | — | გაუხსენებია | გახსენებია |
| 570 | 7 | — | ჭაპანის | ჯაპანას |
| — | — | 8 | სანადირო | სანაპირო |
| 574 | — | 15 | ბისა | ბის |
| 575 | — | 9 | მოელოდა | არ მოელოდა |
| 577 | — | 5 | ვიქონიოთ | გვქონდეს |

---

82. გვერდზე გამოტოვებულია შემდეგი ხუთი ტაეპი:

წავიდენ, პირობა შეკრეს,
სატევარი ჰ̃ საგერი,
წინ მაწვეველი მიკნავის,
უკან წვეული მშიერი...
ხელმწიფის სრასა შევიდენ,
ლხინი აქვს მეფეს ბედნიერს.
ნერწყვს ყლაპვენ კატუნიები,
საჭმელებს ხედვენ შვენიერს.
შეახტენ სუფრას სიმკვირცხლით,
და ხორცსა კბილი რა გაკრეს,
მეფის ფარეშთა იმ წამსვე
ორივეს კეტები დაკრეს.
გაძღომის ნაცვლათ საწყლები
გამოასალმეს სიცოცხლეს.
სორო-ხვრელებში თაგვებსა
დიდათ იამათ ეს, რა ცნეს.

---

ასეა თქმული ძველთაგან,
მისი სიმართლე ჩვენც გვჯერა,—
ბრმათ ნუ ედები საშოვარს,
აღთქმა ყველასი ნუ გჯერა!

# სარჩევი

## I. შაირ-სიტყვაობა

### 1877 წ.

გვერდი.

1. აგაპიევს ხომ იცნობდით . . . . 5

### 1878 წ.

2. კრიტელების სიმღერა, თავისუფალი თარგმანი . 6
3 ვარსკვლავნი, ჰეინედან . . . 7

### 1879 წ.

4. კითხვები, ჰეინედან . . . . 8
5 მიბაძვა მე-14 ფსალმუნისა . . . . 9
9 სამართალს ითხოვს . . . . 10

### 1880 წ.

10 სიმღერა მწერალთა, პეტკო სლოვეიკოდან . . 19
11. მონასტრის გალავანში, შამისოდან . . . 20

### 1881 წ.

12 დედოფლის აღსარება, ინგლისური ლეგენდა . . 22
13 საპყრობილეში . . . . 25

### 1882 წ.

14. მიბაძვა მე—146 ფსალმუნისა . . . . 26
15 პასუხათ ი. ბ—ძეს . . . . 27
16 იმდენათ ძლიერია, ფრანგულიდან . . 28
17 ტარდიესებური, თავისუფალი თარგმანი. . . 29
18 ნეტავი ქვეყნათ . . . . . 31

### 1883 წ.

19 ბოდენშტედტიდან . . . . 32

### 1884 წ.

20 ჩემი გული. . . . . 33

21 თურმე ქვეყანა . . . . 34
22 ვის მივცეთ ხელი? . . . 35
23 In memoriam, რუსულიდან . . . 37
24 ეჰ, რამდენი დალუპულან! არანიდან . . 38
25 იღრიალე ჩემ გარშემო . . . . —

## 1890 წ.

26 ესპანურიდან . . . . 39

## 1891 წ.

27 ოჰ, თუ იმ ქვეყნათ . . . . 40
28 სევდა მჩაგრავს . . . . —

## 1893 წ.

29 ზოგიერთების ნახატი . . . . 41

## 1894 წ.

30. შეწყდი სიმღერავ! ველიჩკოდან. . . . —
31 სიმღერა, კოლცოვისა . . . 43

## 1895 წ.

32 სადღეგრძელოები . . . . 44
33 ხანჯალს . . . . 46

## 1897 წ.

34 რუსინის ნატვრა ავსტრიაში, თარგმანი 47
35. დაიჯერე ყრმაო . . . 48
36 გხედავ შვენებას . . . —
37 აივსო ჩემი ცხოვრების . . . —
38. სანამ ვცნობდი ამ სოფელს . . . 49
39. ნუ მილოცავთ ახალსა წელს . . . —
40 ჩვენებური მეკენჭე . . . . 50
41. ქუთაისო . . . . —
42 ნეტავ მას . . . . 51
43 ოკრიბელ გოგო-ბიჭის მიწერ-მოწერა . . . 52

## 1901 წ.


44. ეხლანდელი ქართველები, მიბაძვა . . . 53


## 1903 წ.


45. კაცსა ვეძებ . . . . . 54
46 პალმის სიზმარი . . . . 55
47 ქართლელის ანდერძი . . . . —
48 ოზურგელისაგან შვილის დარიგება . . . 56
49 ყვირილასა ჰ ოზურგეთში . . . . 57
50 ცას ქვეშ . . . . . 58
51 სულ ყველაფერი . . . . —
52 საქართველო, მიბაძვა . . . . —
53 ღმერთი დიდია . . . . 59
54 სსუ! მომესმა . . . . —


## 1904 წ.


55 მიყვარს ზოგჯერ, რუსულიდან . . . —
56 პირამთქმელი წერით, რუსულიდან . . . 60


## 1908 წ.


57 უბედურს . . . . . —
58 ხვანთქრის და ყეენის მიწერ-მოწერა . . . 61
59 თოფი ნუ გვსურს . . . . 64


## ქურთული ჰანგები.


60 მურვანყრუ . . . . . 65
61 შუმოს . . . . . 67
62 ღმერთო მაშორე . . . . 68
63 სპარსთა-ერან-თურანის შაჰს . . . . —
64 ერთხელ შაჰ-აბაზ კაჯარმა . . . . 69
65 სელჯუკთ მეფეს . . . . 71


## სომხური ჰანგები.


61 ჩემი გული . . . . . 73
62 სიფრთხილით ხამს . . . . 74

63 მინდა სიმწრისგან ვიტირო . . . . 75
64 ნეტავ ერთი . . . . . 76
65 ხელი ხალთას . . . . . —
66 რომ მოვკვდე, ნუ მიტირებთ . . . . 77
67 კრიტელების სიმღერა, თავისუფალი. თარგმანი . 78

II.

## ი გ ა ვ ე ბ ი.

1885 წ.


68 ხოჯასაგან მევალის გასტუმრება და ებრაელის სიცილი 79

69 ხოჯა ნასრ-ედდინა ● კარდლის პატრონი . . 80


1892 წ.


70 წუწკი მშიერის მასპინძელი, ქილილა და დამანიდან . 81

71 მექოთნე, მომჩივარი და ღმერთი . . . 82

72 ვაჭარი ● მეზობელი, ქილილა ● დამანიდან . . 86

73 კვატა ● მთვარე, ქილილა ● დამანიდან . . 88


III.

## პ ო ე მ ე ბ ი.

1890 წ.


74. პოლტავა, ა. ს. პუშკინისა, რუსულიდან . . 89


1903 წ.


75 ვოინაროვსკი, კ. თ. რილეევისა, რუსულიდან . . 141


1910 წ.


76 მურძაყან დადიშქელიანი . . . . 165


IV

## გ ზ ა შ ი.

1878 წ.


77 მგზავრის დღიური . . . . 207


1881 წ.


78 რკინის გზის ვაგონში . . . . 233

## V.

# ბელლეტრისტიკა.

### 1880 წ.


79 უბედური შემთხვევა . . . . 239


### 1881 წ.


80 გადავედი მაშ! . . . . 247


### 1882 წ.


81 ბედნიერი დაცილება . . . . 254
82 უნებურათ გაგონილი . . . . 260


### 1899 წ.


83 ქუთათური დიალოგი . . . . 265
84 პალიკო ამანჩახოძე . . . . 267


### 1900 წ.


85 საჯავახოელის შენიშნვა . . . . 271
86 ფორთოხლები . . . . 275
87 დროის ბრალი . . . . 281
88 ბრუსილოვი მოკლეს . . . . 292
89 მოშივებულთ მადა . . . . 305
90 ოცდახუთ მანეთიანი ღია წერილი . . . 309
91 გარემოების ძალა . . . . 318


### 1902 წ.


92 უტუ ხუნცურავა . . . . 343


### 1903 წ.


93 ქარაგმული ამბავი . . . . 348
94 ამირანი რამ გააცინა . . . . 356
95 დები . . . . 361


### 1909 წ.


96 პოზნანელ მასწავლებლის დღიურიდან, ჰენრიკ სენკევიჩისა 367

97 სოფლის მწერალი ზოლზიკევიჩი, მისივე . . . 390

## VI

## სცენები.

### 1880 წ.

98. მაჯლაჯუნა . . . . 469

### 1903 წ.

99 წყაროს ეძებდენ . . . . 507

## VII

### 1903 წ.

## ზეპირგადმოცემანი.

### იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან

100 ხრესილის ომი . . . 538
რუხის ომი . . . . . 544

## VIII

## პუბლიცისტიკა.

### 1879 წ.

101 მიწა-წყლის გამიჯნვის საქმე . . . . 550

### 1881 წ.

102 როგორ ავაცდინოთ ჩვენს ახალგაზდობას ჩინოვნიკობა 555
103 კავკასიაში ნამესტნიკობის გაუქმება 1881 წელს 560

### 1902 წ.

104 გურულების საყურადღებოთ *) . . . 566

*) ეს უნდა დაბეჭდილიყო 109 ნომრის შემდეგ

## 1897 წ.

105 ჩვენებურ კალატოზობის გამო . . . 571
106 თემობისათვის . . . 574

## 1898 წ.

107 აგრონომიულ კურსებისათვის . . . 580
108 უმიწობისათვის . . . . 582

## 1901 წ.

109 კიდევ თემობისათვის . . . . 584

# ბიბლიოგრაფია და რეცენზიები.

## 1882 წ.

110 რა არის ეროვნება? ერნესტ რენანის ლექციის გამო . 588

## 1902 წ.

111 გაცვეთილი შარები . . . . 592
112 ორიოდე სიტყვა გიორგი ქალადიდელის შესახებ . 599

113 ახალი გაზეთი სპარსულ ენაზე . . . . 605

## 1908 წ.

114 აკაკის მიმართ . . . . 608

# შაირ-სიტყვაობა.

...ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალუცს სრულქმნა სიტყვათა,
გულისა გასაგმირეთა;
ვამსგავსე შვილდი ბედითი
ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვსთ
ხოცვა ნადირთა მცირეთა.

შ. რუსთაველი

# 1877 წ.

*
* *

აგაპიევს [1]) ხომ იცნობდით—ჩვენი რჯულის მასწავლებელს,
ჩვენი მოდგმის, ჩვენი ენის, ჩვეულების მაგინებელს?
ერთხელ გვითხრა: „მიკვირს ბავშნო, თქვენ რათ გინდათ ქართულიო?
რაც იყო, ის აღარ არის, ნუღარ გჯერათ წარსულიო!..“
ეს სიტყვები გულში მოგვხვდა, დაგვიწვეწვა, დაგვისერა,
მკერდში შხამათ დაგვიგუბდა, აგვიჩქარა მაჯის ძგერა!
გაკვეთილი რომ გათავდა, ჩვენი კლასის სომხის ბავში
შემოვიდა, ასე გვითხრა: „ტერ-დავითამ გამჯორაო,—
სომხურს კარგათ რათ არ სწავლობ შენ, შე ტაკი-მასხარაო!..“
სომხის ბავში კისკისობდა, დახტოდა და იცინოდა...
ჩვენს გულში რა თორნე იყო, ის კი მან აღარ იცოდა!

---

[1]) სამრთო რჯულის მასწავლებელი იყო ქუთაისის სავაჟო გიმნაზიაში 1875 წლამდე.

## 1878 წ.

# კრიტელების სიმღერა

თავისუფალი თარგმანი.

ღამისა მშვენი,
სინათლის მფენი,
მთვარე დანათის კრიტოსის კუნძულს...
სამშობლოვ ჩემო,
მტრის დანაჩემო,
ნუ გძინავს, ნუღარ... სიფხიზლე ნუ გძულს!
შენს შვილთა მჩაგვრელს,
სულ მუდამ მტანჯველს,
დიაცთან ძინავს ძალ-მილეული!..
თუ გერჩის გული,
შენ, მამაცური,
მოჰჭირე ყამა [2]), სისხლსა ჩვეული!
თუ გიყვარს შენა,
ვინც დაგაშვენა,—
მამული შენი, მშობელი ერი,—
მაშ, იდე ყურათ:
არა მონურათ,
ვაჟკაცებრ ვუზღოთ მტერს მაგიერი!
როს ღამის მშვენი,
სინათლის მფენი,
მთვარე დახედავს ქვეყნიერებას,

[2]) ყამა—დიდი, წვერ-მორგვალებული სატევარია (ხანჯალი) ოსმალური. უწინ გურულებიც ატარებდენ.

მტერს თავს დავეცეთ,
ვალს არ გავექცეთ,
და მივესწრაფოთ თავისუფლებას!
მარა თუ მტერმა,
ჩვენზედა ბევრმა,
ჩვენ დაგვამარცხოს, აგვკაფოს ხმლებით?
თუნდ ასეც იყოს,
რაც იყოს, იყოს:
ერთ დღეს გვშვა დედამ, ერთ დღეს გავწყდებით!!

## ვარსკვლავნი.

### ჰეინედან

თავისუფალი თარგმანი.

ვარსკვლავნი, ზეცით მოკაშკაშენი,
ტრფობით დაცქერენ ქვეყნიერებას;
პასუხათ ვარდნი, მდელოს ნაშენნი,
გრძნობით ამკობენ მათ ძლიერებას;
ნაზათ დაცქერის ბაკ-დასმულ მთვარე
წყაროს ანკარას და მოკამკამეს,
და სიყვარულით კეკლუცსა სახეს
მჭევლებში ღრმათა აყურყუმალებს;
გუგულის გვერდით გუგულივე ზის,
ამკობს ქებით და ეფათქურება;
თვით ჭიანჭველას მეგობართანა

ყვავილის წვენით მიეჩქარება;
საამო ქროლვა ნელი ნიავის
მშვიდს ძილსა უტკბობს ხეებს და ბუჩქებს,
უძღვნის რა იმათ მხურვალე კოცნას,
გარსა ეხვევა სიამით შტოებს;
ფშვინავს მინდორი, ღელე ჩქრიალებს,
სტვენითა ამკობს ბულბული არეს;
სულ ყველაფერი სულს ითქვამს, ხარობს,
და სიყვარულიც ყოველგან მძლავრობს!..

## 1879 წ.

## კ ი თ ხ ვ ე ბ ი.

### ჰეინედან

თავისუფალი თარგმანი.

ნაპირს ზღვისას,
შვაღამისას,
ჭაბუკი დგას მოწყენითა.
უწუხს სული,
უშფოთს გული,
სავსე არის ეჭვებითა:
ფიქრით მწვავით,
მეტათ შავით,
ის გასძახის ტალღებს ზღვისა:
თქვენი ენით
ამიხსენით
გამოცანა ცხოვრებისა!

კაცთა თავებს,
საცოდავებს,
ეს აეხსნათ სურდათ ტყუილა—...
მაშ მითხარით
ენით მძლავრით—
რაა კაცი, სით მოსულა?
ან თუ იცით
რწმენით მტკიცით —
რათ იტანჯვის, ოფლს ღვრის და წუხს?..
ტალღა გორავს,
ზღვაი შფოთავს...
და ჭაბუკი ელის პასუხს...

## მიბაძვა მე-14 ფსალმუნისა.

ვინ ღირსა, ღმერთო, შენს კარავს შესვლას,
ან დამკვიდრებას შენს მთა წმიდაზე?
—ის, ვინც უბიწოთ ამ ქვეყნათ დავალს,
ვინც ზაკვის გესლით არ უბნობს ძმაზე;
ბოროტს არ უყოფს ვინც მოყვასს თვისას,
მოძმეთ, მახლობელთ არას აყვედრებს,
და არა მოხვებს ძალს სიმდიდრისას;
ვინც ამა წუთის სოფლის ძლიერთა
ქვეყნის სიმართლეს უშიშრათ ამხელს,
ვინცა დაცემულს, დაჩაგრულს კაცსა
წამოსაყენათ შველის, ხელს აწვდენს;

ვინც სხვერპლათ მამულს თავსა შესწირავს,
და თვით მტერსაც კი ცილს არ დასწამებს!
ის ღირსა, ღმერთო, შენს კარავს შესვლას,
შენს მთა წმიდაზეც ის დაიმკვიდრებს!

## სამართალს ითხოვს!

### ს ც ე ნ ა.

„ივერია," 1909 წ. 17.

სცენა წარმოადგენს სასამართლოს კამერას; რამდენიმე მსაჯულნი სამსაჯულო მაგიდას უსხედან. მომჩივარი ქვრივი, შავათ ჩაცმული, ერთი მხრით დგას, მის პირდაპირ კი—მოპასუხე—ტლანქი ტანადობის მამაკაცი. (კადნიერი სახით).

**ქვრივი.** ბატონნო მსაჯულებო,
სამართალს გთხოვთ, სამართალს!
გაუსამართლებელათ
ნუ გამწირავთ მე საწყალს!

**თავმჯდომარე.** (ზრდილობიანათ, მარა მკაცრათ)
რაცა გაქვთ საჩივარი,
სამსჯავრო გთხოვთ—თქვათ მოკლეთ,
საქმეს რაც არ ეხება,
ის კი სულ გამოაკლეთ!

**ქვრივი...** ნუ დამღუპავთ მე ბედკრულს,
ობერს, უჭირისუფლოს...
სხვას არ ძალუძს ჩემი ხსნა,
თუ არ თქვენს სასამართლოს ..

მისმინეთ ღვთის გულისთვის
თქვენ, გონება მაღალნო,
ნუგეშნო ჩაგრულთათვის
და მჩაგვრელთა მზარავნო!..

**თავმჯდომარე**. ნუ აგრძელებთ, საქმე თქვით!

**ქვრივი**... ას ექვს წელზე მეტია
ზეცამ მომხედა რისხვით:
მიიწვია გიორგი.
ჩემი ქმარი, მისი ხმლით —
დავრჩი უმწე, უნუგეშ,
მისუსტებულ წვრილ-შვილით!..
თქვენცა გაგეგონებათ
გიორგისა სახელი:
ოჯახს უყვდა მფარველათ,
მტერთა იყო მომსრველი!
იმის გადაცვალებამ
ზარი დასცა ჩვენს ოჯახს,
მტერთ დაუდგათ დღეობა;
ალაშქრდენ, დაგვესხენ თავს!..
ოთხივ კუთხით მოაწვენ
უპატრონო ქონებას,
გვაწიოკებდენ, სჯულათ
გვიდებდენ მათსა ნებას!
(უფრო მაგარი ხმით)
მარა, წინაპართ სისხლი
უხვათ ცემდა ჩვენს ძარღვში:
თავისუფლებით სიკვდილს
ვრჩეოდით ბედს უღელში!
მტრის ხმალს ფარს ვახვედრებდით,
თუმც ერთი ვხვდებოდით ასს.
მარა, ვფიცავ წვრილ შვილებს,
ბევრჯელაც ვანანებდით თავს!

სიცოცხლე კიტრათ გვიჩნდა,
გახლდით თავგაწირული,
დროშა მაგრათ გვეჭირა
ბრძოლაში ეროვნული!
ყველას გვქონდა მტკიცეთ გულს
ეს აზრი დანერგული:
„სხვის მონათა სიცოცხლეს
„სიკვდილი ჯობს გმირული"!

**თავმჯდომარე**. დაუჩქარეთ, ბატონო,
სხვებიც გვყავს მოსასმენი!..

**ქვრივი**. (ათრთოლებული ხმით)
დიდ, მოსამართლენო,
არ ვარცხვენდი ჩემ ლეჩაქს:
შვილო ვუვლიდი, ბატონსათ
სხვა არ ვკადრე მაის ოჯახს!..
ბოლოს... გამიწყრა ღმერთი...
საიდლამაც უბედურს (მოპასუხეზე უჩვენებს)
მე ეს ვერაგი ერთი,
როგორც დათვი თაფლის სუნს,
მომევლინა და მითხრა:
„დაო, შენი შველა მსურს.
„ხედავ გაოხრებსო მტრები,
„ოჯახს, გმირობით ქებულს,
„დაქანცულნი შვილები
„მცველებათ არ ყოფნიან;
„თათრის რჯულს გაძალებენ,
„ქაბას, ლეჩაქს გიცვლიან;
„თავისუფლებას გიხშვენ,
„გვარსა, სახლის — შვილობას
„გიგმობენ, დაგცინიან;
„და თვით შენსა ცხოვრებას
„აღხოცას უქადიან...

„გირჩევ, ლაო, მომენდვე:
„გალოცებ შენებურათ,
„და შენთ შვილთა გმირობას
„პატივსა ვცემ კაცურათ!
„მიტომაც უანგაროთ მსურს
„ვიყო შენი მოყვარველი:
„მტერთაგან დაგიფარო
„წვრილ შვილები, მამული;
„მშვიდობა მოგივლინო,
„გაგიმტკიცო სვე, რჯული!.“
მოვღორდი და მივენდვე,
გავუღე სახლის კარი,
გულ-უხვათ ვუმასპინძლე,
შევქენ ზეიმი. ზარი.
შვილებმა ჭერს ქუდი კრეს
მეტი სიხარულითა.
„აწ უნდა ვილხინოთ — თქვეს —
„სასურველი სტუმრითა:
„დედას და ჩვენ ერთობით
„გვპირდება მოყვარველობას...
აწ კი მოვსპობთ სრულებით
„ჩვენზე მტერთა მრეობას!..“
პირველ ხნობით ის თითქოს
აღთქმულსა გვისრულებდა:
მტრების თავზე დასხმის დროს
ლაშქარსა გვაშველებდა.
და შეერთებულ ჯარით
მტრებს ისე გავუმკლავდით,
რომ დავავიწყეთ თავი
მათ, ცოლ-შვილიც მაჭმადით...
და იმ წყეულ დროიდან
თავს თვით ძლივს-ღა იფარვენ,

თვარა აქეთ თავს დასხმას
თვით როგორღა გაბედვენ!..
გვიან ვიცნე: მოყვარე
მტრისგან მტრის დამარცხება,
ზოგჯერ, თურმე, ყოფილა,
ნამდვილი უბედურება! .
შემდეგ მტერთ დალეწვისა
მომიბრუნდა სტუმარი:
„—ხომ ხედავ, დაგითვარე,
„მიგილეწე მტრებით,
დაგიმშვიდე მთლათ არე,
„ბარათ ვქენი მთებით?"
ეს იყო ტრაბახობა
უსირცხვო, უტიფარი:
მტერს მარტო ის ვერ ძლევდა,
თუ არ ჩემ შვილთა ჯარი.
მარა კეთილ-გულითა
ვხედავ-თქო, მაინც ვუთხარ,
მე დიდი მადლობითა:
თუ დაგჭირდი, მუქაფვას
გაახლებ მკვირცხლობითა....
—„არა, ნუ წუხდებით,
„შვილებს არ მოგაშორებ:
„სხვა მაქვს იდეებით!
„რადგან ძლიერ მომწონხარ,
„სანამ ცოცხალი ვართ,
„მე მსურს შენსას თვით დავრჩე,
„ქმრობ და მოგიართ!" (შეჩერდება)

**თავმჯ.** განაგრძეთ, ქალბატონო!

**ქვრივი** (ხმა დაშვებით). ამის გამგონეს
დამეცა ზარი,
და შემიჩერდა ძარღვთ სისხლის დენა;

პასუხათ ენაც ველარ დავძარი,
მხოლოთ თვალთაგან ცრემლთ მიწყეს დენა.
თუმც ვიყავ ქვრივი, წელთა მტვირთველი,
სიმკვირცხლ-სიტურფე არ მომკლებოდა,
ასე რომ, თვითონც ავის მნდომელი
ძაბუნობას ვერ შეწამებოდა...
(ღელავს, კილოს იცვლის)
იმ სიტყვათ კი მყის შემცვალეს:
თვალთა ელვა, ღაწვთა ფერი
დამიბნელეს, ჩამიყვითლეს;
რიხი სიმხნე და იერი
სწრაფათ გამიუფერულეს...
დავემსგავსე მართლა მიხრწნილს,
გუშინდელი მე კისკასი.
ურიხოს და სიმხნე ახდილს—
ვოქვი—გამიტყდა ბედის თასი!..
როგორც იქნა, ბოლოს, სტუმარს
მივაკივლე და თან ვუთხარ:
„—შენს ცოლობას ღმერთმა მიხსნას!
წა, გამშორდი, ფლიდო, მძულხარ!“ —
მან კი უშნოთ გაიკრიჭა
და მომიგო:—„ხომ არა გსურს,
„გაგიბორკო ხელ-ფეხ-კრიჭა,
„და ვავლებდე შენს შვილთა მუსრს?
„ჭკვაზე მოდი! თვით დამნებდი,
„შემომხედე გრძნობიერათ,
„თვარა ბძანებასაც გავცემ
„რომ აგაგონ ლუკმა-ლუკმათ!..“
ნუგეშისთვის გადავხედე
შვილებს ჩემსას, უბადრუკებს...
ვითარებას საქმის მიხვდენ:

მტრის ოინებს და მათ ხრიკებს!
(ღელავს, კილოს იცვლის)
„—არ შედრკე, დედავ! ნუ გეშინს!
შენთვის თავს დავდებთ შვილები!“—
მხნეთ შემომძახეს, მათს ყიჟინს
აძლევდა ბანს მთა-ველები...
(ღელავს, კილოს იცვლის)
თოფით, დამბაჩით და დამასკის ხმლით
ერთხმათ „ჰკა მაგას“¹) შემოძახილზე
აბურ-სტუმრის ჯარს ეკვეთენ რიხით—
გოგრებს უხმობდა ათს ერთი წამზე!
შევღებეთ ველნი ზღვის ტალღებამდე,
მთებიც—მოძალე სტუმრის სისხლითა!
მარა არ გვქონდა ძლევა ხანგრძლივი:
რიცხვმა სიმხნესა კვლავ ძლია ხრმლითა
ნებით მიცემულ ციხე-კოშკებში
ქონდა რა ფეხი მოკიდებული,
სიკვდილის ცელათ გვევლინებოდა
მისი ლაშქარი გამხეცებული!
გაგვტეხა წელში, შეგვკრა, შეგვკოჭა,
გაგვრყვნა ზნეობით, სულით, გონებით!..
(ისვენებს)
აწ სასამართლოს ვთხოვ მომაშოროს
ძალათ სტუმარი, მისი მონებით!

**თავმჯდ.** (ჩუმათ ეთათბირება მსაჯულებს, მერე მიუბრუნდება მოპასუხეს და კითხავს, თქვენ რას იტყვითო?..)

**მოპასუხე.** (მთვრალია, ლაპარაკობს ენის ბორძიკით)

ბოდიშსა ვიხდი დიდათ და დიდათ

¹) სამხედრო შემოძახილია.

მე სასამართლოს თქვენის წინაშე:
ცოტა გადავკარ დილა-ადრიან,—
და... ერთიც გზაში კი გავიიხლაშე...
ეს ჩემი ცოლი... რასა მიქარავს?
რა მოშორება? ვინ სტუმარიო?!
თქვენ თითონ უწყით, სხვებიც გეტყვიან,
სჯულიერი ვარ მაგის ქმარიო!
რა მივარყელობა? რისი აღთქმაო?
განა არა ვქმრობ? მე არა ვკვებავ?..
ეს ჩვეულია, ბატონო, ხუსტრუცს,
თქვენც იცით... თქმასაც იმიტომ ვბედავ...
მას ხუთი ქმარი ჰყავს საიქიოს
გასტუმრებული წმიდა აბრამთან...
და ახლა უნდა რომ შეექვსეთ მე,
ჩვეულებრივათ, გამგზავნოს მათთან.
მარა, ვეე.. რა, ვედარ მიართვეს—
ჭკვიანები ვართ ეხლანდელ ქმრები:
ჩვენს ცოლებს თვალებს ვერ დაუქნევენ
მომაჯნავენი კურო-მოზვრები...
ეს კი სულ ლამის სხვას უქნას თვალი,
შეც იმ ხუთსავით დამარჭოს რქები.—
მიტომაც, ზოგჯერ, მივტყეპავ ხოლმე,
რისთვისაც მზათ მაქვს მათრახ-როზგები!
ვის მიუშვია ნებაზე ცოლი?
ყოველი ქალი მონაა ქმრისა!
მაგ უღირსი კი თავათ ორგულობს
და თვითო მიჩივის!? (შუბლზე ანიშნებს)
    სწორეთ უქრისა!
გთხოვთ შეადაროთ ჩემსა ქმრობასა
სხვათა ქმრების წეს-საქციელი,
და თუ დარწმუნდეთ, რომ ყველა სხვებში
მე ვიყო უფრო გულ-ღმობიერი,—

მაშინ ამ ჩემ ცოლს გადაუწყვიტეთ
პატივსა მცემდეს... გულის ხმიერი!!
გარდა ამისა, ჩემი გერები,
ღვთის რისხვა, უქმნი და საფაგლახო,
სულ დაითხოვოს... იგი მხეცები
სადმე წაღალოს, რომ აღარ ვნახო...
მე მაგ მინდოდა და მყავს კიდეცა!
არ მოვიშორებ! ვერც მომშორდება,
გინდ შეიწიოს მაღლით თვით ზეცა!!
და თუ მეტის მეტს ამიხირდება (მჯიდებს
იჩვენება)...

**თავმჯდ.** სასამართლოა, იცოდეთ, აქა,
და არ გაქვთ ნება იმუქრებოდეთ!
რა კი მოყევით სასამართლოში,
პატივის ცემით ხამს ეპყრობოდეთ...

**მოპასუხე.** მაშ... მოკლეთ მოვჭრი ჩემსა
სათხოვარს:

თქვენ მომაშორეთ ოღონდ გერები,
და მერე ჩემი ცოლი საჩივარს
თუ კვლავ მოგართმევსთ... აღარ ვექმრები!

(მსაჯულები გავლენ კაბინეთში საქმის გადასაწყვეტათ. მომჩივარ-მოპასუხე დოლხანს უცდიან. მსაჯულები არ გამოდიან. მომჩივარი ნელ-ნელა ფლოკვინს მორთავს, მოპასუხე ღიღინს იწყებს და დაცინვის კილოთი მიუმღერებს:)

მიკვირს ქცევა ჩემი ცოლის,
თავ-ჩაღასი, მოდუათ სულელის:
სიმართლის იმედი აქვს,
და... სამართალსაც სულ ელის!..

(ფარდა ეშვება)

# 1880 წ.

## სიმღერა მწერალთა.[1])

პეტკო სლოვეიკოდან

ძმანო, ფარ-ხმალი მივაყრდნოთ კედელს,
ეხლა დაგვიდგა ჩვენ სულ სხვა ჟამი:
სამშობლო მხარეს გზასა გაუკვლევს
ცხოველი აზრი, მწერლის კალამი!
ქვეყნის დარაჯათ დიდხანს ვიყავით,
ბრძოლამ აღზარდა ხალხის გონება!
თოფის წამალი მრავალი დავწვით
და გავიმტკიცეთ ამით გრძნობა!
სასტიკ ომებით ჩვენ მოვიმკევით
დიდი სახელი მამაცობისა,
მარა ცოდნასა ვერ მივაღწიეთ:
კვლავ გვტანჯავს სენი უმეცრებისა!
ხმალით ვიცავდით უწინ ქრისტეს ჯვარს,
ეხლა სხვა დროა—მო, აზრით, კალმით,
აწ ნუ დავაკლებთ ჩვენ ხალხსა შრომას,
რომ მონობიდან ვიხსნათ ის ამით!

1) ორი ბოლონდელი ტაეპი ამ თარგმანისა ეკუთვნის „დროების“ განსვენებულს რედაქტორს სერგეი მესხსა. ეს ლექსი დაბეჭდილია 1880 წ. „დროებაში“ და ჩანგის ორ გამოცემაში. **მთარგმ.**

# მონასტრის გალავანში.

შამისსოდან

ამ გალავანს შიგნით ჩემდა უნებურათ, მწუხარებით,
უნდა განვვლო სიყმაწვილის დღენი ჩემი შეზარებით:
აქ ჩამაგდეს, აქ დამმარხეს სიყმაწვილის დაჭკნობამდი,
ცოცხლათ ჩამდვეს ცივ კუბოში, ვიტანჯები ძვალრბილამდი!
თანამდები ვარ ვილოცო, მარა გული ნდომობს სხვასა,
მომიტევე, ღმერთო, — კაცნი ყველა ჩავდივართ ცოდვასა,
მიუტევე იმ სულელთაც, გულმმაგიანთ, ყოვლათ ბრმათა,
მე რომ ბედს ამაშორეს და აქ ჩამაგდეს სატანჯველათა!..
აქ, ამ მძიმე თაღებს ქვეშე მკვდრათ იქცევა ყოველი ხმა,
და კედლებიც ჯგუფდებიან, თითქო კუბოს მათ სურთ შექნა,
მარა მაინც მონობაში სხეულია, არა სული,
როგორც იყო, ისე არის თავისუფლათ კვლავაც გული!
ოცნება ხშირათ მიტაცებს იმ სანატრელსა მხარესა,
სად სიყვარულით პასუხსა გული გულს აძლევს ცხარესა,
სად უყვართ და შეყვარებულ არიან ჩემი იქ დები....
მხოლოდღა ჩემთვის მოისპო ტრფობაცა და იმედები!
ჩემს ტოლებს ვხედავ: დედობის და ვალსა მეუღლეობის
ბედნიერებათ ითვლიან, მსმენნი ღვიძლ შვილთა ღრეობის.
მეც გულით ტურფა ქვეყნისკენ ვეშურები და ვღვრი ცრემლებს,
რა ვერ ვისრულებ წადილს და გვერდს ვერ ვუდგევარ ჩემ ტოლებს!

* * *

არ ვინატრებდი მდიდარი რომ მყოლებოდა მე ქმარი,
ოღონდ კი ვყვარებოდი მას, მით ვყოფილიყავ დამტკბარი,
რომ საღამოს ჟამს დღიურსა მორჩენილ მძიმე შრომასა,
შეფარებოდა მშვიდ ბინას, და ჩემთან ტკბილ განცხრომასა.
ქორწინების პირველ წელში მე, ვით დედა, ბედნიერი,
პაწია ვაჟს ჩავიკრავდი გულს ალერსით გძნობიერი;

შრომასა და აღელვებას ზედი-ზედა გამოვცდილი, —
ბედის წევას წინსწარ უძს, ვით იტყვიან, ტანჯვა დიდი.
აკვანთან ბავშის ძილისა დამცველათ ლოდინს ვიწყებდი,
და გაღვიძებისთანავე ტუჩებში კოცნას ვუწყებდი...
აგერ, ზევით აწია მან პაწაწინა ჭაჭუები!
მამა ძისო, ჩვენს ნუგეშს წადს მოგიცაცუნოს ხელებს!
სიხარულის გარდა აგრევ მე მომელის მწუსარება:
წლისა შემდეგ ვაჟს ვაგემო უნდა ძუძუთ მოშორება.
ტირის საბრალო პაწია, მეცა ვარ აცრემლებული...
რადგანაც ბავშს ასე მკაცრათ მოვექცე ვარ ვალდებული...
მოიზარდა... აგერ დგება სკამზე ხელის მოკიდებით,
სკამს ხელს უშვებს, წინ ბიჯს ადგამს და ეცემა უძლურებით.
საწყალი! მარა აქ დიდი არაფერია სამწუხრო
ყოველთვის შევძლებ ჩემს ბავშსა სატირებელი გავუქრო!
რა გარკვევით ის პუტუნებს; ნენა!.. მამა!.. მამა!.. ნენა!..
სიტკბოს გრძნობა ათასდება, მეძლევა ციური ლხენა!
თვალებ ოდნავ გაფაფხული კვლავ პუტუხებს თვის ამარათ,
პირველ სიტყვათ გადაბმასაც უკვე იწყებს საოცარათ!
გავუჩინეთ გასართობათ ჭახრაკიანი ხის ცხენი,
შეხეთ - ხედნის, მათრახსაც სცემს, შიაჯენა მას სიცხენი!
—ცელქო, სად ეპოტინები? შემომხედე... და მეის ბავში
მიცინის და მეფერება, ხელებით მწვდეს უნდა ყბაში!
დრო მოვა, ყმაწვილს სკოლაში რომ შევიყვანთ თქმა არ უნდა!
თუმც ცელქია, მარა მაინც ის ისწავლის როგორც უნდა,
ყოველ კარგ ნიშნის მიღებას საჩუქრით მას ჩაუტკბილებ,
მაქარლამითა თუ ხილით დავხვდები და ვუმასპინძლებ.
მარა, მამავ, შენ მოეპყარ ტკბილათ, ნუ გაუჯავრდები:
ზარმაცობა თუ დაიწყოს, ბავშია, ნუ გაუწყრები.
ბოლოს და ბოლოს სწავლაში ყველას თვის ტოლებს გაუსწრებს,
და ამაგისა გადახდას ჩვენ სიბერის დროს მოგვასწრებს!

*
* *

დრონი რბიან, აგერ, ვხედავთ—ის ჩვენდა გასახარელათ,
კლასიდან კლასში გადადის, სრულიათ დაუბრკოლებლათ;
მალე უნივერსიტეტშიც შედის უკეთეს სტუდენტათ...
მერწმუნეთ, შესაძლებელზე აქ არას ვამბობ მე მეტათ.
ხომ მართალია? კანიკულებში იგი დაგვიწყებს ჩვენ სტუმრობასა,
სტუდენტი არის, ლამაზი არის! ვიშ, მამის გულის გახარებასა!
მე, დედას კი? ვაჰმე, გათავდა კანიკული, ის ისევ ბრუნდება...
ამიერ მხოლოდ კურს შესრულების შემდეგ მშობლებსა დაგვი-
ბრუნდება.

აგერ, წერილი მივიღეთ! წაიკითხე მამავ, მალე!
ღმერთო, დოქტორის დიპლომით ის იქნება ჩვენთან ხვალე...
გზაში არის, მოისწრაფის, ფოსტით მოდის შვილი ჩვენი...
— აბა, ცოლო! ღვინის ჭურსა უკეთესს თავი მოხსენი!
მესმის ფოსტალიონის ბუკი!.. ვაი, ჩემს თავს: სიზმარია!..
ფოსტალიონის ნაცვლათ მიწვევს ლოცვათ მონასტრის ზარია!
უკეთ იცით: აქ დამმარხეს სიყმაწვილის დაჭკნობამდი,
ცოცხლათ ჩამდვეს ცივ კუბოში, ვიტანჯები ძვალ-რბილამდი!
თანამდები ვარ ვილოცო, მარა გული ნდომობს სხვასა...
მომიტევე, ღმერთო, კაცნი ყველა ჩავდივართ ცოდვასა;
მიუტევე იმ სულელთაც, გულშმაგიანთ, ყოვლათ ბრმათა,
მე რომ ბედსა ამაშორეს და აქ ჩამაგდეს სატანჯველათა!..

## 1881 წ.

## დედოფლის აღსარება.

**ინგლისური ლეგენდა**

„დროება“ 1881 წ. № 188.

შავი დღეა, რაც ელეონორა ძალ მილეული სარეცელში წევს; სულით მობრძავი: უკურნი სენი შეუბრალებლათ სიკვდილს უსწრაფებს.

საბრალო გულის ძგერით მოელის საფრანგეთიდან მოწვეულ ბერებს,
რომ მათ განსდოს თავის ცოდვები, რაც შეხვედრია ამ წუთის სოფელს...
... მეფე ხმობილობს თავის წინაშე და უბრძანებს სამ დარბაისელს:
„ქერი მომაჯყარი! საიდუმლოს მე თქვენ გაგიმხელთ ჩემთვის საწადელს:
მსურს აღსარება გამანდოს ცოდვის მე თვითონ, და არ იმ წყეულ ბერებს...
და გრაფ-მარშალო, მოწმათ დამესწარ, ოდეს მეუღლე გამანდობს ცოდვებს!“
— „დიდო მეფევ, შემიბრალე!“ შიშით გადრებს გრაფ-მარშალი, —
„შემიწყალე, თუ ჩემ საგნოს რამეს იტყვის დედოფალი;
„ნუ გადმოვა ჩემ თავზედა მაშინ თქვენი რისხვის ძალი,
„რადგანაც ვარ ფეხთა მტვერი თქვენი, მწირი და საწყალი!“
ეფიცვის პატიოსნებას მეფე თავის გრაფ-მარშალსა:
„რაც უნდა თქვას დედოფალმა, არ გიზამ მე შენ ავსა“.
„ჩავიცვათ ერთათ ჩვენაც საბერო ანაფორები,
„პირზედან ჩამოვიბუროთ წესისებრ კაპიშონები:
„დედოფლისაკენ გავწიოთ ამ რიგათ მოკაზმულები,
„თქროს ცხედართან მის წინა წარვდგეთ, ვითამც ვართ ბერები!“
ჩაიცვეს და მოიკაზმეს მეფეცა და გრაფ მარშალი,
სულ-განაბვით, ხმა გაკმენდით ორივეა მიმავალი.
წინ მიუძღვის ანთებული მანდლებით სამნი ყმანი,
და უკან მთელი კრებული, — არ აკლიათ მოკაზმვანი.
მივიდნენ, თავ-მდაბლობათ სნეულს წარუდგნენ წინ ლოცვით,
და მოახსენეს მუხლ-მოყრით, მორჩილებისა ხმით, ცოცვით,
„სრულ ვქენით თქვენი ბრძანება, მაღალ სვიანო, ჩვენ წვევით,
შორის გზით — საფრანგეთიდან გიახელით თქვენის მოწვევით!“
„თუ დასტურ ის ბერები ხართ, რომელთაც მოველოდითო,
კეთილი თქვენი აქ მოსვლა, დაგხვდებით მე ჩუქებითო.
და თუ კი აქაურნი ხართ, მატყუებთ გულ-ჭრელობითო,
მექთადაც არ ვარ მოსურნე მე თქვენი, გეფიცებითო!“

„მაგას რას ბრძანებ, ჰე დედოფალო, ჩვენ ის ვართ სწორეთ არ გატყუებით,
ის ბერები ვართ, რომელთა მოსვლა თვითონ თქვენვე მოიწადინეთ.
საფრანგეთიდან ზღვით გესულით, ძნელი მგზავრობა არ დავიზარეთ,
და აწ ასრულდა თქვენი წადილი, — ცოდვები ჩვენ წინ აწ აღიარეთ!“
—„პირველი ცოდვა ჩემი ეს არის: ვაი, რა ძნელი გასამხელია:
ყველა სენებზე უფრო სიმწარით ჩემი გულისა დამტანჯველია...
გამოგიტყდებით, რომ გრაფ მარშალის სიყვარული მაქვს გულს დარგულია,
და ქმარზე უფრო მე იმას ვეტრფი, ჩვენ ორთა გული ერთათ ბმულია!..
„უჰ, რა ცოდვაა! ყველა ცოდვილზე, დედოფალო, ხარ თურმე ცოდვილი,
მარა ვთხოვ ღმერთსა, რომე შეგინდოს!“ შესძახებს მეფე გულ გაგმირილი.
„ამინ იყოსო“, ძლივ-ძლივ უმატებს გრაფი-მარშალი ზარდაცემული,
და ძრწოლით სიკვდილს მოელის ამ გვარ საიდუმლოებ გამხილებული.
—„მეორე ცოდვაც აწ მომისმინეთ, არ დაგიმალავთ აღარც იმასა,—
განზრახვა მქონდა და გულში ფარულათ, თუმც ვერ მოვუსწარ ასრულებასა:
მაქვს საწამლავი დამზადებული, მსურდა შეესვა იგი ჩემს ქმარსა,
რომ მით იგი დაუყოვნებლივ წარმართულიყო იმ ქვეყანასა!“
„უჰ, რა ცოდვა გქონებია!“ ეტყვის მეფე ცახცახითა,
და თან ამბობს: „შეგინდოსო“, თუმცა ფეხზე დგას ძალითა.
„ამინ იყოს“, ძლივს უმატებს გრაფ-მარშალი გულ-წასვლითა
და დასძინებს: „ეგ ცოდვილი შეიწყალე, ღმერთო, ცითა!“
—მესამე მაქვს კიდევ ცოდვა, იგიც მტანჯავს მეტათ დია—
გაიხედეთ, ბაღში ბურთისა თამაშობს ორი ბავშია,—
აჰა, ერთმა ზე ააგდო, დახეთ, დახეთ, რა მარდია!
იგი მე მყავს გრაფ-მარშლისგან, ქნაცვალოს მას დედია!
და მეორე, სუსტი, ნასი-ქმრისგან არის, მძაგს, მძულს დია!
შეხეთ—თავი რას მიუგავს, ზარიფუშისა ოდენია!

თვალები აქვს უსიცოცხლო, ყურნი ჩოჩრის ოდენია“.
მეფეს სისხლი ყელს მოაწვა, გული უძგერს ანაღრენი...
„ვენაცვალე მას“, შეყვირა — „დიაცო, რა მოჩმახენი?!“
ბერის სამოსი გაიძრო მეფე ჰენრიხმა სიცქაფით,
და ცოდვილს ცოლსა ეჩვენა პირზე დორბლითა და ქაფით...
„ვაიო!“ ერთი შეკივლა დედოფალმა კი ხმით ხაფით,
და სარეცელში ჩაეცა, სული დალია სისწრაფით!..
გაფითრებული მეფე ჰენრიხი მობრუნდება თავის გრაფ-მარშალს,
კბილს უკრაჭუნებს, მეტი რისხვითა გაშმაგებული უბღვრიალებს თვალს
უყვირის: „იყავ შეჩვენებული, სიტყვა დამტეხე, ვაი მაგ შენ ტყავს,
თვარა, ყოფილაყ ზენაარ ძალითა, ჩამოგახრჩობდი შენ ამავე წამს!“...

## საპყრობილეში.

### მიბაძვა.

„დროება“ 1881 წ. № 222.

ოჰ, რა მძიმეა, როდესაც ველარ ვამჟღავნებ გულის თქმას,
ველარ ვამშვიდებ გზნეულ გულს და აღელვებულ სისხლის ზღვას!
დუმილით გულის ხმასა ვკლავ, დარდითა უენო მორევში
ვფარავ იმასა, რაც მტანჯავს და მუხრუჭს მიჭერს კისერში!..
როცა სიმშვიდით დავეძებ ნათელსა განთიადისას,
ძლიერნი ხელსა მიშლიან, მისპობენ საღსარს ძებნისას...
რომ უმეცრობის წყალობით ველარ მშველიან მოძმენი,
უღონო ბრაზითა ვწყევლი, ვინც მომაყენა ეს დღენი!..
მარა დრო მუდამ უკუღმა არ იტრიალებს, ადარა!

ტუსაღსაც ბედი შეწევა, დაჰრავს ჩუმიცა ხალხსა...
მაშინ დაწყდება ბორკილი, გამოვალ მოედანზედა;
საშობლოს ვემსახურები, მტერს რისხვას დავცემ თავზედა!

## 1882 წ.

## მიბაძვა მე-146 ფსალმუნისა.

„დროება" 1882 წ. № 207.

აქებდით უფალს ცისა და ქვეყნის, კაცთა და პირუტყვთ არ-რის-გან შემქმნელს,
აქებდით უფალს: კაცს ბნელში მყოფსა, გულ-უხვობითა მოუვლენს ნათელს,
უსამართლობით დაჩაგრულს ერში აღზრდის გმირებსა მამულის დამ-ხსნელს,
მისს დედა-ქალაქს გალავნით აღადგენს, ერთობას მიცემს ძალის მომ-კვრელს!

დიდია ღმერთი ძლიერებითა; რიცხვი არ აქვს გულის ხმებს მისსა.
ჩაგრულსა შველის, მჩაგვრელსა დევნის, აწბილ-ადაბლებს მძლავრო-ბას მისსა;
ცას ღრუბლით მოსავს, უმზადებს წვიმას გამოუნაკლოთ მთლათ მოსა-ვლისას;
რომ მიწამ მოსცეს უხვ მოსავალი ყველას არსთათვის თავ-თავის დროსა!

ღმერთს არ ინავს ძალა უგნურობისა, არცადა ერი მრავალი რი-ცხვის,

შემუსრე იმ ძალს და ურს წადილი მოდგამს ჩაგვრისა, დევნის ურ-
ცხვის;
უფალს იგი ისავს და იგი ხალხი, ვინც ესავს იმის წმიდა მცნებასა:
ჩაგრულთა შველას, ერთობას, ძმობას, თანასწორობის მისწრაფებასა!

## პასუხათ ი. ბ—ძეს.[1])

„ივერია“ 1882 წ. № 2.

ჩვენი ქვეყნის ბედის ვარსკვლავს
ნუ დაეძებ, ძმაო, ცაზე!
ჯობს თვალები ძირს დაიდო
და მოძებნო ქვეყანაზე:
ის ციდან ჩამოუგდია
უკუღმართთა დროთა ტრიალს,
ქართველთ სულმა—უმეცრებამ
ის ჩაუგდო ოხერ-ტიალს...
ვიდრე ამ სულს არ გავაფურჩნავთ,
ამაოა ძებნა მისი...
ჩვენვე ჩვენს თავს ნუ ვატყუებთ—
გახარდება გული მტრისა!
მაშ, მოდი, ძმავ, ვუერთგულდოთ
წინაპართა დიდ ანდერძსა—
სული, ჭკვა, ენა ავიმაღლოთ
და ავიგზნოთ გული მკერდსა.

[1]) ი. ბ—ძის ლექსი დაბეჭდილი იყო 1881 წლის „ივერიის“ მე-12 №-ში.

შემდეგ ყველა, ერთობილათ
გამოვიდეთ ბრძოლისა ველს,
და მამაცურ „ჭკა-მაგას"-ით
მტრებსა ვაძებნინებდეთ ხმელს...
მხოლოდ მაშინ დავინახავთ
ჩვენი ქვეყნის ბედის ვარსკვლავს;
რომე დასტურ უნათებდეს
მაშვრალსა და უბედურ ხალხს.
და ერთბაშათ გავაკვირვებთ
დედა-მიწას ცათამდიე,
აწ მქრქალს სახელს კვლავათ მოვფენთ
ქვეყნის კიდეთ კიდემდიე!

## იმდენათ ძლიერია...

### ფრანგულიდან.

იმდენათ ძლიერია თქვენი გონიერება,
რომ აღარ საჭიროებთ სიტურფეს საყვარელს;
სინარნარით მჭვალავი თქვენი მშვენიერება
უჭკუოთაც ძალას ჰყრობს ყოველ არსთა მომხიბლველს.
მარა თუ მაგ გულითა ვერა გრძნობთ სიყვარულსა,
თქვენი სიტურფე მაშინ განძი დამარხულია:
ერთი გრძნობა ასწილათ ფასით მეტობს ჭკუასა,
და თვით სიტურფეზედაც უფრო ფას-დებულია!..

# ტარდიესჭბური.

## თავისუფალი თარგმანი.

„დროება“ 1882 წ. № 23.

მე ჩემი ჩანგით არ შემიმკია აროდეს ტრფიალის, არც ფუფუნების,
არც თვალ-წარმტაცი მშვენიერებით განათებულის უხვი ბუნების!
სამეფოთ ჩემდა ამოვირჩიე სოფელი ტანჯვის და მწარე ცრემლთა,
სად დღემდისაც კი ვერ ცნობენ ბედსა, თავისუფლების უბადრუკ ძეთა!
მისთვის ვუმღერებ მე ჩანგის ხმებს, ზედაც დაჭმუნერი გულის ოხვრით,
ვინცა გამხდარა ტანჯვის ხვედრი, სამშობლოს მიწასა რწყავს შრომის ოფლით;
ვინც ბავშობიდან თვით სამარემდე დევნას შურისას მხოლოდ იცნობს,
და თითქო ღმერთსაც დავიწყებია, მას აღარავინ კაცად აღარ ცნობს!
დიდო ბარბიევ, ჩემო ოსტატო! მახსოვს, ჯერ კიდევ ბავში ვიყავი,
როდესაც შენი მაგალითითა ამეგზნო ალი ბაძვისა მწვავი:
ქვეყნის მეტ ბარგებს, უქმ-მელაშფელებსა ვუძღვნიდი კალმით მწარე სამსალას,
და, სადაც შევხვდი, კბილი დავსძვრე ვერაგს, მლიქვნელს და მაწანწალას;
შივრერ კერპებს, ხოლვისკან ძეგლებზე აკვანილთ; დავუწნით თავ-გაზმულებთა,
ძალუმის ხელით მოვბადე გლეჯდი, და ვურიცხებდი სახეს მისს მტრულებთა.
ჩემს დღეში ქედი არ დამიხრია წინაშე გუნდის დაწინაურებთა,
და თაყვანს ვსცემდი მშვენიერების უხრწნელ იდეალს მუხლებ-მოყრითა;
ფრთოვან ოცნებით წინ-წინ ვიწევდი სიმართლისათვის ბედით ბრძოლაში.
„საშურველი დღე“ მალე მოგვივა—ასე ვფიქრობდი ჩემს გუნებაში...

მარა წარვიდენ, გამოსდა დღენი, ისევ ჩავვარდი ბნელს, წყეულს ჟამში,
და, ვით გამხნექე ტვირთი, ის მაწვა, სისხლის გამშრობი ცალო-
ბით წამში!

აღტაცებული ვნებით ველოდე განთიადს, ბედის წინა-მორბედსა,
რომ მისი ელვით ეჭვნი წყეულნი მომშორებოდა ჩემს გონებასა,
რომ ახალ ძალებ-შემოკრებილი შევეგებოდი მომავალ ჟამსა,
რომ თვალით მისი სივრცე შემეჭვრა და მით გამეგო — გვიქადდა რასა!

ხოლო შიმშილი თანამოძმეებს უწყალოთ წელში ხრის ძველებურათ,
გზას კეთილისკენ არა აქვთ საწყლებს; მზაკვარის ხელით მას უხშვენ
მტრულათ;
დაწყევლილს სასოწარკვეთილებას გონება მიზრდის ათასეულათ;
ჰა, სადაც არის, ფეხიც მომტყუნებს, ვაჰ, თუ დავეცე ივით მე ლაჩ-
რულათ!

ტკბილ საესავით, წამტყუებულია გაქრა გუნდი სურათებისა...
დღეს აღარც მე ვარ იგივე, უწინ რომე ვიყავი — მონა ვნებისა.
გული მიტირის, ვგრძნობ ვერ მომისწრობს „სავარსალალო" დღე
დროებისა
და ველარ ვეტყვი „მშვიდობით" წარსულთ, მაცთურთ ხატებათ იმე-
დებისა!

მარა ჩემს გულში მაინც ცოცხალ არს გზნებით ღვთიური რის-
ხვის მიგება,
ეს-და მნუგეშობს, რომ მტრის პასუხათ ენა აროდეს დამიდუმდება,
რომ მას მრავალჯერ ჩემის მარჯვენით ისარი გულში დაეძგერება,
და კიდევ დიდხანს ჩემს მოსისხლე ჩანგს „ჰკა მაგას, ბიჭო" დაემღერება.

## ნეტავი ქვეყნათ...

„დროება“ 1882 წ. № 92.

ნეტავი ქვეყნათ მგრგვინავი სიტყვა
მოეცა ნიჭათ ჩემთვის განგებას!
რა მძაფრი მტერი, გავუხდებოდი
კაცთა ღირსების მჩაგვრელ მონებას!
თანამოძმეებს ავალაშქრებდი
ბოროტებისა დასანარცხავათ,
დროშას სიმართლის ზე აღვმართავდი
უსამართლობის გულ-საგმირავათ;
სულის ამგზნებელ ქადაგებითა
გამოვიწვევდი ჭაბუკთ ქველობას,
და ყველას გულში ჩავუნერგავდი
თავგანწირულის გმირულ მხნეობას;
მტარვალთა ურდოს ყოველ გვარ ცოდვის
ანგარიშს, პასუხს ვათქმევინებდი,
ჩვენგან რაც საზრდო წარუტაცნია,
მათგანვე ჩაგრულთ კვლავ ვარგუნებდი!
მისასწრაფავათ კვლავ გახდებოდა
მივიწყებული დღეს იდეალი,
რომლისათვის მარად სისხლის რუს ღვრიდა
დაუძლეველი მხნე წინაპარი...
რა გულსიმშვიდეს, ბედნიერებას
მოვესწრებოდი იმ სანატრელ ჟამს!
რა გულის გამგმირ ნიშნს მივუგებდი,
ვისაც დღეს ჩვენი არაფერი წამს!
მარა, ვაგლახ მე! ამგვარი ნიჭი
ჩემთვის განგებამ არ მოაცალა,
საქმეს ვერ ვგვარობ მტრის ძლევისათვის:
სურვილმა რა ქნას: მაკლია ძალა!

და ჩვენს მტრებსა კი ბურთი ხელში აქვთ,
გვლაყათ ცდილობენ მოყლნისათვის!
გამოდით, სად ხართ მამულის შვილნო,
მამულს სჭირიხართ ამ შავ დღისათვის!!
კიცი ჩუმებრ ხართ ცალკ-ცალკეობით
მტერთან ბრძოლითა უნდათ მეოტნი,
მარა შეუერთდეთ, მით განმძლიერდეთ
საერთო ძალით ვდევნოთ ბოროტნი!
იქ, სადაც ერთი ზეგარდმო ნიჭით
მოვლინებულით უნდა იბრძოდეს,
**მრავალს** ჰყოფა **ერთობა** მტკიცე
მოვალეობას ოდენდ კი ცნობდეს!

1883 წ.

## ბოდენშტედტიდან.

თავი უგულოდ სისხლს გვიცივებს,
გული უთავოდ შეჰყვერის სიავეს.
კაცთა ტომს თუ კი ბედი სურს ნახოს,
ჯერ უნდა გული თავს შეათანხმოს!

## 1884 წ.

# ჩემი გული.

ჩემი გული ორგვარ ზღვაობს:
ხან შფოთავს და ფეროვნის გრძნობებს,
კვნესის, წყრება, ღელავს, ცეცხლობს,
ვერ ეწყობა ქვეყნის ამბებს!
მაშინ კლდესაც რომ ეძგეროს,
ჰგონებ დაფშვნის, ფერფლათ აქცევს!
ამ დროს ვინც მას გაეცნობა,
ჯოჯოხეთსა ამჯობინებს,
გაექცევა, მოშორდება,
დაწყევლის და შეაჩვენებს!
ხან კი არის დაწყნარებით,
მყუდრო, მშვიდი, ნაზი, მტკბარი,
გრძნობის, ტრფობის, სიყვარულის,
სადგური, თავშესაფარი!
ამ დროს იგი დაჭიკჭიკებს,
ვით მხვრინავი ბაღში ვარდებს,—
იდეალებს, სათნოებას
მომავალს და ქვეყნის საგნებს!
მაშინ ვინც მას გაეცნობა,
თვით სამოთხეს ადიარებს,
სევდათ ტვირთი გაშორდება,
შიგ თავს ტკბილად შეაფარებს!

# თურმე ქვეყანა...

„ივერია“ 1884 წ. № 4.

თურმე ქვეყანა არის ბაზარი
და სამეუფო მისი, ვინც ვაჭრობს,
ვაჭრათ შობილი ვინც კი არ არი,
ბრბოს აზრი დევნის, აძაგებს, ახრჩობს!
მაშ რადა მელის მე, ხვედრბედს უკუღმართად,
რომ არ ვარ ღვთისგან ვაჭრათ შობილი,
უანგაროთ მსურს შველა უძლურთა,
და მირჩევნია ადლის ძმობილი?
რომ სინდისსა, პატიოსნებას,
ბატონებათ ვთვლი; გრძნობასა გულში,
ვით ზნისა ოსტატს, ვაძლევ სრულ ნებას,
და თვით გულს ვწურავ მთლათ სიყვარულში?
რომ ადლის ნაცვლათ ვზომავ გულითა,
და გონებით ვჭრი მაკრატლის წილათ?
რომ არ ვაფასებ კაცს ქონებითა,
საერთო საქმეს სულსა ვძღვნი წვლილათ?
— „იმ დროს, როს სხვათა სიცოცხლის ხანა
გაიფურჩქვნის, შენ — უნდა მოკვდე;
იმ დრომდისაც კი ბრბოს მყრი, მტრობს
მძვინვარეთ გდევნის სამარემდე!“ —
ამას გამწირის მარადის ყურში
მიძახის ხმა მე გონებისა,
და, ჩასაფრული ჩემსავე გულში,
სხვას მეუბნება ხმა ზნეობისა:
— „გამაგრდი! ბოლოს შენს მისწრაფებათ
გაატანე, თუნდ ჯვარს გაცვან დღესვე;
ბრბოსავით შენცა დაბალთა ვნებათ
არ დაემონო, თვარა შენი სვე

ჩირქ-მოცხებული გაგისდებათ;
ებრძოდე ანგართ, გერჩიოს კუბო
მას, რასაც ქვია დღეს დიდებათ:
გაცურ ღირსების დაცვისთვის მკვდრისა
სახელი ცოცხლობს და ნათლდებათ!“
ამ ხმასა მივსდევ ერთგულებითა,
ვმონებ სინდისს, პატიოსნებას,
და არ ვუმტყუნებ მათ არას გზითა
სანამ ვგრძნობ სისხლის ძარღვებში დენას.

## ვის მივცეთ ხელი?

რუსულიდან.

მგოსნებო და ხალხის გმირნო, ჩვენ შევნატრით თქვენს ცრემ-
ლებსა,
თქვენს მონაგარს ნაყოფიერს, დიდ საქმეთ და ტკბილ ლექსებსა,
ქალის გვირგვინებს თქვენსას, იცოდეთ შემოყვლება
დაფნა უხრწნელი და ვარდი, დაუმჭკნარი და შვენებს!
მნათობათ დაგვნათის ვარსკვლავთ თქვენი მაღალი მოსნისა,
საქმე გაქვსთ ღირსი ბრძოლისა, გაცურათ თავგანწირვისა.
საუკუნენი ყველაფერს თავგადასავალს თქვენსასა
მომავალ დროს გადაცემენ, როგორც ანდერძს წმიდასა;
შემდეგ მათ დაამღერებენ ჩანგურის ამტაც ხმებზედა,
ან საქმით ხორცს შეასხმენ სახელოვნების სხივზედა!

**

დაბალ ხალხში კი არიან მოღვაწენი, სულ სხვა გვარი,
წუხილი და ტანჯვა მათი ერთობ გულის მწველი არი:

უხმოთ, უსიტყვოთ იღვწიან; ვით სამარის ქვა-ფიქალი
თავსაც ზეცით ყელდარ წვავს... კარს ჭაერი ნასიცხთქალი!..
არც ბინდით, არც შესვენება არ ჩვევია იქ შრომასა,
სადაც საქმეს ხელს კიდებენ, იქ იწურებენ ოფლის ღვარსა,
გამხდრებსა და ფერ-გამკრთალთა, ატანილნ შრომის შვილებს,
მწუხარელი სულის დაღი აზისთ, სიოც მუხლსა არ უკრიდებს!
ნადვლიანსა თვალებშიაც მათ ეტყობათ დაღლილობა,
და წელში კი ცხრაფასი ლუხავს მათ უკურნი სნეულობა!
და ამ საწყალთ ვით მოგითხრობთ სიტყვა მქუხი, ცად ამტყდი,
ან წერა ზეშთაგონებით, ანუ საქმე სხვათა გამტაცი?!
უჩივრად ზიდვენ ისინი ას წლობით მონის უღელსა,
კუმტაი არიან და მუნჯათ, დღესაც მონებენ მტანჯველსა!
ბევრია ერთობ ამგვარი ჩუმი, უცნობი გმირები,
თუმც ჩვენ არ გვწამს, — მათ მაინც კი ვერ ამინებს ჭირები!..
პატიოსანთა ლონისძიებათ არ იშურვებენ მწარე ბრძოლებში,
და გვირგვინებსაც არ თხოულობენ — ისე ჩადიან ცივ სამარეში!..

***

ერთხელ მაინც მოვიგონოთ ეს მებრძოლნი შრომის ოფლით,
გავუწვდინოთ ხელი ძმობის პატივით და თანაგრძნობით!
არა მარტო ბრმა ბედის შვილთ, სათუთებს და ამაყ მთავრებს,
სახელ განთქმულ ქურუმებსა და გვირგვინით შემკულ მგოსნებს
ჩვენ უნდა ხელსა ვართმევდეთ, — არამედ უფლებს, ვინც ჯვარსა
თვისას ატარებს მოთმენით, არ გამოაცდის მას მხარსა;
უფლებს, ვისაც წყურია დიდი თავისუფლება,
უფლებს, ვისაც მარადის ქველობით გული ეგზნება!
მაშინ უფლებსა, ვინც არის დღეს დაჩაგრული ქვეყნისა,
სევდა, ტანჯვა და წამება გადაექცევა ლხინათა!..

## In memoriam.

თავისუფალი თარგმანი რუსულიდან.

არ თანაუგრძნობ სულით ფარეშებს,
მონობის დროს რომ მხიარულობენ:
გალიაში ზრდილთ ბარტყების გვანან,
დავისუფლათა ვერ ნავარდობენ!
არ თანაუგრძნობ, ვინც გულდუტკივრათ
ბოროტებასა შეგუებია,
ვინც სამშობლოს და მოძმეთა ბედსა
არასოდეს არ დაფიქრებია!
არ თანაუგრძნობ, ვინც თავს ბედნიერს
უწოდებს, როცა ტირის ქვეყანა,
ვინც არ ცდილა, რომ აეხსნა ბნელი
არსებობის კაცთ გამოცანა!
მას თანაუგრძნობ, ვინც მონობაში
იტანჯვის სიმწრით, უბედურია;
ვინც ბოროტებას ვერ ეგუება
სამშობლოსათვის ჭირნახულია;
ვინც ტირის, მშობელ ქვეყნის ტირილით,
თან იმას სცდილობს, რომ ახსნას ბნელი
არსებობის კაცთ გამოცანა,
და წამს, რომ წყვდიადს დაძლევს ნათელი;
აგრეთვე მასაც, ვის შეუძლია
მისცეს კაცურ-კაცს გულისთვის გული,
უკანას ხიდათ, წინასა ზურგათ
გამოადგება თავ-დადებული!

## ეჰ, რამდენი დაღუპულან!

### არანიცან

„ივერია“ 1903 წ. № 233.

აჰ, რამდენი დაღუპულან მამულისთვის წინა დროში,
გულადები, სიმხნით სავსე, სულ ჭაბუკნი—მწარე ომში!
აჰ, რამდენი გაწყვეტილან სიღარიბის ტვირთის გამო,
რომელთა სოფლის სიმდიდრესა ოცნება ერჩიათ ამო!
რომელთ უცხო მხარეს სავსე გამოსცალეს ჭირთ ფიალა,
რომელთა ღვაწლსა ერი ვერ ცნობს, და სახელიც-კი გამქრალა!
მარა ცოცხლობს, რომ უდგამდა მათ სულს იგი იდეალი,
და მათ მკერდსვე რაცა ენთო ძლიერ ცეცხლათ გრძნობის ალი!
ეს სულ ანდერძითა ერგო სათნო—ქველნი ვინც არიან,
და სამშობლოს თუ დასჭირდა ბრძოლისათვის მზათ არიან!

1886 წ.

## იღრიალე ჩემ გარშემო...

იღრიალე ჩემ გარშემო,
რამდენიც გსურს, ცხოვრების ზღვავ,
ქედსა მაინც ვერ გამიხრი
მაგით, გულსაც ვერ მომიწყლავ!
არც ჩავყვები შენს მღვრიე ტალღს
სულმოკლეთა ხროვათ გვალზე,

ჩემ ეკლიანს გზას არ გავცვლი
ტკბილათ გამხრწნელს შენს შარბათზე!
　　　მოიხმარე გინდ ღალატი,
გინდა ბეჭდი ალქაჯური,
და სინიდისზე ხელ აღებით
ბრძოლა მიწყე ჯადოსნური,—
　　　მაშინ შეძლებ მხოლოთ მომკლა,
ამომგლიჯო პირით ენა,
მარა ქედსა ვერ გამიხრი —
ამისი მაქვს მტკიცე რწმენა!
　　　ამისი მაქვს მტკიცე რწმენა,
რომ სანამდის სამარეში
ჩავალ, მითი ჩემ წილ ადგილს
სხვას დავუცლი ამ არეში,
　　　იღაღადებს და იქუხებს
ეს კალამი სიმართლესა,
მკვრეხელებს და ფარისევლებს
წაამწარებს სინათლესა!
　　　სიმართლისთვის დღე მომკლან,
და გამიხმეს პირში ენა,
მაინც ქედს ვერ გამიხრიან —
ამისი მაქვს მტკიცე რწმენა!

1890 წ.

## ისპანურიდან, გრიგოლ სილივესტრე XVI საუკ.

ოქროს თმები გაქვს კეკლუცო და გული ფოლადისა,
არვის ღაზარდეს იმათთვის გაწირვა სიცოცხლისა!

## 1891 წ.

* *
*

ოჰ, თუ იმ ქვეყნათ არის სიცოცხლე,
ვინც აქ მიყვარდა, თუ იქაც ვნახავ,
მაშინ რათ შინდა სოფლათ სიცოცხლე:
სიკვდილს ვინატრებ, მხსნელათ დავსახავ!
გადაცვალებას თვით მოვისწრაფებ,
მას ვანაცვალებ მზესა და მთვარეს,
საფლავს მივიჩნევ სავანეთ ძვირათ,
შევწირავ ჩემ წილს აქ არე-მარეს!
ნურვინ მიტირებთ თუ კი ასეა:
სიცილ-კისკისით ჩამდევით მიწაში.
მარა... ვაი, თუ სიცოცხლე იქაც
ისეა, როგორც გამქრალს ვარსკვლავში?!
რადა ყოფილა მაშინ სიცოცხლე
დაუდგრომელი, ამ ქვეყნიერი?
რისთვის ვიტანჯვით, რისთვის ვფაცურობთ,
ბრიყვნი ვინცა ვართ, თუ გონიერი?
... ბედნიერია, ვინც არ შობილა,
უბედურია კაცთ ნაშიერი!..

## 1892 წ.

* *
*

სევდა მჩაგრავს, გული წუხილით მევსება,
ვის მივენდო, ძმურათ ვის მივცე ხელი?

ამას ვნაღვლობ, დარდათ ეს გადამექცა —
თუ წავიქეც, არ მყავს ნუგეშის მთქმელი!
მეგობარი ციხისას ჯობს თავსაფარს,
სიცოცხლეთ ღირს ერთი თანამზრახველი,
მარა ვერსად ჯერ ვერ შევხვდი კაცს ამ გვარს,
რომ მიმინდოს, მომენდოს, მომცეს ხელი!
ვხედავ მხოლოდ უსაქმოებს, მლიქვნელებს,
გულღრძოებსა, პირში ფარისეველთა,
კუჭისათვის სულის უარმყოფელებს,
მამულის მგმობით, მსოფლიოსთვის მზრუნველთა...
იმათი ბურთი და მოედანი
ლელოც გააქვთ კისკასათ, თავხედურათ:
ერის ბედსა, წარსულსა და მომავალს
ანაცვლებენ დღევანდელ დღეს მონურათ!
ამ გულსაკლავ სინამდვილეს ვერ ვითმენ...
ვის გწამს ღმერთი, შემიბრალე, მითხარი;
ასე გასტანს, ვიდრე ცოცხლობს ჩვენი დგმა,
თუ ჩვენთვისაც გაბრწყინდება ცისკარი?!

## 1893 წ.

## მაკოლეის პოემიდან „ვირგინია“.

„ივერია“ 1903 წ. № 241.

**ზოგიერთების ნახატი.**

სხვის სულს და გულს ის იურვებს,
თავს ივიწყებს, სხვას კითხულობს;

ყველასა გმობს, ყველას ფლიდებს
უძახის და მხიარულობს;
მისთვის „კაცი“ არ არსებობს,
ყველა „კაცის მსგავსებია“;
უსაქმურათ დაფვაცურობს,
შორით მტრის თვალთ დამვსებია...
„საქართველოს რა უშველის,
ჩვენვე ვლუპავთ“,—ის ღრიალებს;
ჩუმათ კი—სამშობლოს ყიდის...
ახლო ჩვენ გვიყენებს თვალებს!

1894 წ.

## შეწყდი სიმღერავ!..

(ველიჩკოდან მიქელ-ანჯელოს კილოზე).

„ივერია“ 1903 წ. № 244.

შეწყდი სიმღერავ, დადუმდი ფიქრო!
შედეგ, სულარ ხარ, გულო ფხიზელი!
მსურს ძილს მივეცე განთიადამდის,
ვიდრე მეუფებს უკუნი ბნელი...
ძილი მწადს, თავი მსურს დავივიწყო,
მსურს ვერ-რას ვგრძნობდე, ვერ-რას ვისმენდე,
არც ზიზღსა ვგრძნობდე, არცა სიძულვილს,
სამშობლოს გამო არ ვწითლდებოდე!
გავშორდე, ეგებ, ამა სირცხვილსა,
თანამოძმეთა ამ სულმდაბლობას!

მოფრინდი ჩემთან, ისწრაფე ძილო:
გონს აროშევ ფიქრს და—თვალთ მხედველობას!
        და თუ კვლავ გავლენ წელიწადები,
და კვლავ იმეფებს უკუნი ბნელი,
მაშინ... ოჰ, მაშინ სამარადისოთ
დადუმდეს ფიქრი, ნუღარ ფეთქს გული!..

## ს ი მ ღ ე რ ა.

### კოლცოვისა.

„ნიშადური" 1907 წ. № 7.

ავ-ტაროსში ქარიშხალი ღმუის, ქრის და ბერავს,
კაცსა ზაფრით გამწარებულს გულსა კბენს და სერავს!
უბადრუკს და მწარე ხვედრსა არსად ეფონება:
სიბერემდის სიყვარული მას არ ევლინება.
მოვტყუდი, კაცად აღარა ვარ, ვეღარ ვებრძვი ამ ჭირს,
ქვეყანას რომ ვაკვირდები—მოშორებაც ჭირს!
ჩემო ხვედრო, უცხო ხვედრო, სად ხარ დაკარგული?
როდემდისინ უნდა იყო ჩემგან დამალული?
წამოიწი რაც ძალი გაქვს მოიქნიე ფრთები:
მგებ ჩვენსა საბედოსა თვალთგან მალავს მთები.
თვარა—დავსხდეთ ზღვის პირს, ლოდინს ვმოსოთ მოთმინებით,
ტრფობის გარდა ჭირშიც შევძლებთ სიცოცხლეს ცხოვრებით!!

# 1905 წ.

## სადღეგრძელოები.

„საქართველოს კალენდარი“ ვ. გუნიასი, 1895 წ.

მოდით კისკასით, ძმობილნო,
ჯავრი გადვიქნათ ლხინათა,
ვიკმაროთ კვნესა და იმედს
მკერდი ვუჩვენოთ ბინათა.
სუფრას მოვუსხდეთ სალხინოთ,
გულსა მოვცინოთ სიამე,
სადღეგრძელო ვსვათ წინა-კაცთ,
ხელში მაქვს მათი სია მე.

I

ღმერთმა იგი ადღეგრძელოს,
ვინც „ალექსი“ დაგვიწერა,
მოყვასთ გული გაახარა,
მტერს ზავრითა აუძგერა.
ვიცით, ქველას გაგვიგია,
მან თქვა: „ძინავს, გაიღვიძებს,
„იმის სიკვდილს ვინაც შენატრის
„უმალ მასვე დაამიწებს!“

II

ცოცხლობდეს ჩვენი პოეტი
ლექს—ბედაური ილია,
ჩვენ მისი „დედა და შვილი“
გულს გვაქვს აღბეჭდილია!
ქება მისს ნათქვამს: „სამშობლოვ,
„რაზედა მოგიწყენია?

„აწმყო თუ აღარა გწყალობს,
„მომავალი ხომ შენია!“

III

ვუსურვებთ მრავალ-ჟამიერს
ჭარმაგს პოეტსა რაფიელს,
ვის არ აღუგზნას გულს ცეცხლი,
მან რომ ათქმია ხევსურელს:
„სამშობლო, დედის-ძუძუ
„ერთია ქვეყანაზედა...
„არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს
„სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

IV

აღარ გვიშვენებს ცოცხალი გუნდს,
მარა კვლავ ცოცხლობს ნაწერით,
ყველასა გვახსოვს მამია
გულით, მისგანვე ნაძგერით.
აავსეთ ღვინით ჯიხვები,
ძმებო, თქვენთან ვარ ალავერდს,
ხსენება საუკუნო მას,
დიდება მისვე „ალავერდს!“
წვეთი არ დარჩეს, დაცალეთ
და სატევრებით ჩვენ მათზე
ამოვჭრათ მისი მცნებანი,—
თუმცა ჯობს გულის ფიცარზე:
„ცხოვრების საგნათ სიმართლე გვქონდეს
„და სიყვარული მოძმეთა—ვალათ,
„სამშობლო ჩვენი მარად გვახსოვდეს
„თუ კი გვსურს გავხდეთ ადამიანათ!“

V

ვიდრე არსებობს ეს საქართველო
და ციდან დაანათს მიწას მზე, მთვარე,

მანამ იცოცხლებს ქართველის გულში
ვახტანგ „იმედით" მაირ-მგზნებარე.
საუკუნოა მისი ხსენება,
და ჩვენც დავცალოთ იმისთვის თასი...
მენდვეთ, რაც უფრო მეტი დრო გავა
მოემატება მისს ხსოვნას ფასი!..

VI

კვლავ მათ ჰყუნატროთ სიცოცხლე
აწცა და მრავალ-ჟამიერ,
ვინც ღვაწლი დასდვას მამულსა —
ჩვენს საქართველოს ამიერ!..

## ხ ა ნ ჯ ა ლ ს.

ვუძღვნი ერთი „ხანჯლის" ავტორს.

წყეულიმც იყავ „ხანჯალო",
„რკინისა ხორასნისა,"
ჩვენი მტრის ჩემო მოზავევ
ქართველთა აწყვეტისა!
გლესავთ შენ ჩვენდა ჭირათა,
წერისგან გატაცებულნი —
ჩვენს ხელში ხარ და მტერს მოყვრობ,
შენით ერთ-ურთს ვკლავთ ვებულნი!
ასი წელია — თითქმის დღეს —
რაც არ არგიხარ ქართველებს,

რაც არ სობიხარ მტრისა მკერდს,
ვით უწინ ოსმალ—სპარსელებს!
ჩვენს წელს ამაოთ აშვენებ;
ბლაგვიხარ მამულისათვის,
ძმა-ძმაზე გიქნევს ხელ-მარჯვეთ,
ქარქაშით ვერ გძრავს მტრისათვის!
ქალაჩუნების ხელში
ვერ ქურჩები მოძალეს,
„შორიდან მტერს უხეთქ გულსა
„და ახლოდან კი — მოყვარეს“...
წყეულიმც იყავ „ხანჯალო“
„რკინათ ხორასნისათ“
ციხეს შენ გვიტეხ შიგნიდან
საშავლდოთ ამ ქვეყნისათ!

## 1897 წ.

## რუსინის ნატვრა ავსტრიაში.

### თარგმანი.

სანატრელ საგნათა მაქვს:
ხალხთა ბედნიერება,
ძმობის, თანასწორობის
ყველგან გაძლიერება!
მსურს საკუთარს ფეხზე დგეს
ჩვენი ერის ქველობა,
ჩვენი გვქონდეს სამსჯავრო,

სკოლა, თვით-მმართველობა;
და სამ-ფერა დროშის ქვეშ
ქუხდეს რუსინთა ხმანი,
არცა სხვისი ყმა ვიყოთ,
არცა გვყავდეს ყმათ სხვანი!

*
* *

დაიჯერე, ერმანო, რასაც
ეს პწკარები გაგიმჟღავნებს:
ამხანაგის გეშინოდეს,
თვარა მტერი ვერას გავნებს, —
შენი კვალი მან არ იცის,
სათოფეთაც ვერ მოგაგნებს...
ამხანაგმა თუ კი გაგცა —
მალლსა ცოდვათ შეგანანებს!..

*
* *

გხედავ შვენებას ბუნების,
გიმღერ და კიდევ არ მჯერა...
ამ ქვეყნის ხარ, თუ ციური?
შენთან მთვარე და გინდ მზე რა!..

*
* *

აივსო ჩემი ცხოვრების
ფიალა ტანჯებისაგან,
გული გაწვრილდა, სული კვნესს,
ზაფრისა სიმწარისაგან;
ნუგეშის მთქმელი არვინ მყავს,
ხარხარი მესმის მტრისაგან...
მტერი რას მიზამს, მარამა
ორმო მეთხრება თვისთაგან...
ხსნა არსით არის, თვინიერ
მართ-ოდენ სიკვდილისაგან:

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგან!“...

* * *

სანამ ვცნობდით ამ სოფელს,
ისე ვიყავ, კლდესავით!
რა გავიცან — ცხოვრება
მეჰყრობა მე მტერსავით.
ფუტურო ძველ ხესავით...
ნეტავ თუა სხვა ვინმე
უბედური ჩემსავით?
თუ არის, მასთან მივალ,
და გავანდობ დარდებსა;
გული კვლავ გაცოცხლდება,
კვლავ გაიჩენს საგნებსა,
სიკვდილსაც არ დარიდებს,
მოყვასს თუ კი არგებსა!

* * *

ნუ მილოცავთ ახალს წელს:
ძველთაც მომაბეზრეს თავი!
რისთვის ვცოცხლობ? ეს მიღრღნის გულს,
ეს საკითხი მეტათ მწვავი!..
მოკვდავს გვამში უკვდავ სულსა
რა უნდოდა, რისთვის არი?
ჩვენი ყოფნა ცხადია, თუ —
მოჩვენება და სიზმარი?
თუ ცხადია, რას ვაკეთებთ?
თუ სიზმარი — ვწვალობთ რათა?
ამ საკითხის გარკვევამდე
ქვეყანა იქცევა მტვრათა...
ნუ მილოცავთ, მაშ, ახალ წელს:
ძველთაც მომაბეზრეს თავი...

რისთვის ვცოცხლობ? ეს მიღრღნის გულს,
ეს საკითხი მეტად მწვავე!..

## ჩვენებური მეკენჭე.

სახლში მართულაა ბრძანდება,
ძროხას შეჭამს შენსას თუა,
„გეწვევით“ — მართალს ამბობს,
როს გპატიჟებს, მაშინ სტყუა;
კენჭს უფულოთ არვის აძლევს,
და თუ აძლევს ზოგს — სხვის ჯინზე,
სინიდისს ზუთხში გაგიყიდის,
სამშობლოს ბედს — თათრის ჩანზე!

*
* *

ქუთაისო, ტურფა კუთხევ
საამქვეყნო სამოთხისა,
შენთა მკვიდრთა დამჩაგვრელო
და მალამოვ მტრის გულისა!
ქუთაისო, ძვირფას ლალო
საქართველოს გვირგვინისა,

სამარე ხარ იმედების—
კვლავ საგანი მტრის ნიშნისა!
ქუთაისო, გმირთ აკლდამავ,
აწ აკვანო ბიჭ-ბუჭებისა,
ჩამოსულებს შარბათს ასმევ
და სამსალას—შენს შვილებსა!

*
* *

ნეტავ მას, ვისაც გული მთელი აქვს,
არ შეუმწიკვლავს სინდისის რწმენა,
ვერ ხიბლავს სოფლის ამაოება,
მოყვასის სამტროთ არ ეძვრის ენა;
ვისაც საქმის და შრომის ქარ-ცეცხლში
უწვრთვნია თავი, სულით მშვიდია,
უბაქოთ ებრძვის უსამართლობას,
უმცროს ძმათათვის მკვიდრი ხიდია!..
ვინც ესავს სინდისს და მეგობრობას,
ნათელს მოელის უკუნს წყვდიადში,
კარგისთვის კარგი ჯერა ამ სოფლად,
კიდევ წამს კაცი ადამიანში!

# ოკრიბელ გოგო-ბიჭის მიწერ-მოწერა.

## I

### ბიჭის მიწერილი.

იცოდე, რა რიგ მიყვარხარ, —
ღმერთმანი შეგებრალები:
თავს ტარაბუა დამასხი,
გულში ამიგზნე ალები!
ნეტავ, აქ სულ არ გამევლო,
არც დამენახე მე შენა,
ფეხებში ბორკილი — გაურილსა
გელაის ქვა-კირი მეშენა!
შენ დაგანაცვლე სიცოცხლე,
ჩემ გერძათ წუთი სოფელი, —
ერთი გუნებით შემხედე,
მეტის არას ვარ მთხოვნელი!
სხვას ვერას ბედავს ოცნება,
მიყვარხარ, გეტრფი მარადის...
ვინც ეს გამოთქვა, კუბომდე
უზაკვოთ მეტრფის მარად ის...

## II

### გოგოს პასუხი.

შენი წიგნი წავიკითხე —
გულში მომხვდა ვარდსავითა:

ქეც მამა, ქეც მატკინა,
გენაცვალე ხატსავით!
ასე თუ გიყვარვარ, ბეჩა,
ერთი გეთქვა დედისთვის...
დასწყენი, აბა, რა გაქვს?
ზედ გამოჭრილი ხარ ჩემთვის,
ისე როგორც მჭადის ცომი
გახურებულ კეციისთვის!
თუ გენატრვის ჩემი ნახვა,
კვირას წავალ მე საყდარში;
შენც იქ მოდი, გამოგარჩევ,
თვალს გაგიერი იმდენ ჯარში.
ხუცის ლოცვას ვინ უყურებს?
იქ ვალოცებ ჩემ გულს შენთვის,
ათას წელსა რომ იცოცხლო,
და მარადის მარტო ჩემთვის!

## 1901 წ.

## ეხლანდელი ქართველები.

„ივერია“ 1903 წ. № 181.

**მიბაძვა ძველისა.**

გულს გვიკლავს ეხლანდელ დროში გადაგვარება მესხისა,
სამშობლოს მიწის გაყიდვა ქართლელთა არ ეძრახვისა;

იმერთა ცნობა არა აქვთ მავნე მტრის, ერთგულ მოძმისა,
ქართლელთა ჰბაძვენ კახელნი, დამთმობნი დედა-ენისა!

## 1903 წ.

## კაცსა ვეძებ.

კაცსა ვეძებ, ვინც გონებით
ღმერთსა ბჭობს და უფლობს გულსა,
და იმ გულით გულსა ეძებს
სამეგობროს, მოყვარულსა;
ვინც სამყაროს დიდებაზე
საკუთარს არ გაცვლის რწმენას,
და საქვეყნო საქმეს წირავს
საპირადო შვება-ლხენას!
ვისაც ქადილს სიმხნე შეწევს,
ვისიც სიტყვას მოსდევს საქმე,
და ბრძოლის დროს არ იკადრებს
გადრკეს, თქვას: „სად ბრძოლა, სად მე?!“
ვინც სინდისსა მხოლოთ ესავს,
არ ყავს კერპი, ქურუმებს გმობს,
ცოცხალ სიტყვის მოციქულებს
მხარს აძლევს და თანაუგრძნობს!

## ჰალმის სიზმარი.

ერთხელ სიზმრათ ჰალმმა ნახა,
ცხადათ რაც ეზმანებოდა:
გრიშა გოლსკი, სასიკვდილე,
ზღვის ყურეში იღრჩობოდა!
ანდრონიკოვს ტყვიით ხვრეტდენ,
იქვე ყურულს ხმლით ჭრიდენ თავს,
კლდიაშვილს ოთხში იდებდენ,
სახოკიას აძრობდენ ტყავს!
შემდეგ იდგენ გუნდ-გუნდებათ—
ვინ ძენი და ვინ შვილები,
ბოხოხ-ჩოხის ტარებისთვის
საციმბიროთ დასჯილები!..
... ქუთაისი მიწის ძვრასა
დაენგრია ერთიანათ,
მცხოვრებლები გამწყდარიყვენ
ყველა დედა-ბოჭიანათ!..
ყველას თვალი ვეღარ მოკრა
ჰალმმა, სიხარულის გამო,
რასაც მოკრა, ისიც იყო
მეტის-მეტათ მისთვის ამო!..

## ქართლელის ანდერძი.

ქართლში კვდებოდა თავადი,
მორჭმული, ანდუყათვარი,

სიკვდილისა წინ შვილებსა
უთხრა, —ასეა ზღაპარი,—
ყმა-მამული და ფულები,
შვილებო, ჩემგან არ გრჩებათ,
მაგრამ სხვა განძი ჩემს შემდეგ,
ფულს რომ სჯობს, ისა დაგრჩებათ:
ცხოვრება ისე დავლიე—
არ ვცნობდი რუსს და იმერელს,
არ თუ ერის კაცს, იმათსა
ვერიდებოდი მე თვით მღვდელს!
მიტომც მას, რაცა გავფლანგე,
სიმდიდრეთ ესე გერჩიოთ:
რუსსა მტრათ, იმერელს მოყვრათ
ვერ ნახავთ სამისდღემჩიოთ!

## ოზურგეთისაგან შვილის დარიგება.

თუ გსურს ბედნიერი გახდე,
სასარგებლოც ხალხისათვის,—
კაი შენდა მეინდომე,
ცუდი—მეზობლებისათვის...
ძილში ნახო ეგებ სიზმრათ,
მამულისთვის რომ ზრუნავდე?
რა წამს ადგე, ეზიარე,
რომ სიზმარშიც არ ცოდავდე!
საზოგადო საქმე ნუ გსურს,
მოყვასისთვის ავი ნუ გშურს,
გაჭირვებულ მოძმეს დაკარ,
როცა სატკივარი უხურს!

მაშინ ჭკვიან კაცათ გცნობენ,
გენდობიან როგორც „დოხტურს“
და ვერავინ რას დაგაკლებს,
გიჯირობდენ თუნდა „ღლონტურს“!

## ყვირილასა და ოზურგეთში.

ყვირილაში თეატრია,
ოზურგეთში ისიც არა...
ოზურგეთს რომ ქალებია,
ცხრა თეატრათ ისიც კმარა!
ყვირილაში ყვირილია,
ოზურგეთში ისიც არა...
ოზურგეთს გამგეობაა,
ცხრა ყვირილათ ისიც კმარა!
ყვირილაში შავი-ქვაა,
ოზურგეთში ისიც არა...
ოზურგეთს რომ ბანქობაა,
თავში შავ-ქვათ ისიც კმარა!
ყვირილაში სამკითხველო,
ოზურგეთში ისიც არა...
ასე უთხრეს: „ოზურგლების
უწიგნოთაც ცოდნა კმარა“!

*
* *

(რუსულით კარამზინიდან).

ცას ქვეშ ახალი არაფერია:
რაც არის, იყო, იქნება მარად!
უწინც ტიროდა ადამიანი,
უწინაც სისხლი იღვროდა ღვარად!!

*
* *

(რუსულიდან).

სულ ყველაფერი ამ წუთი-სოფლის:
სიმდიდრე, ჩინი—არის ამაო,
ოღონდ კი იყოს ღვინო მარანში
და ბეღელშია—პური საკმაო!

## საქართველო.

### მიბაძვა.

„სხვა საქართველო სად არის, კუთხე ქვეყნისა?“
ერი მტერ-მოყვრის ვერ მცნობი, მონებ მორჩილი ხვედრისა,

შავთა დროთ შავათ შეცვალეს „მის გული ანდამატისა“,
სულმოკლეთ გამყიდველია სამშობლო ქვეყნის მიწისა!

*
* *

ღმერთი დიდია სწყალობა
განგება გადაუვალი,
მარა, თუ ხელს არ გავანძრევთ
ისე არ გვიშველს უფალი!

*
* *

მიბაძვა.

„სუ! მომესმა სასურველი
შრომის მსუთავ ჯაჭვის მსხვრევა,
ხმა ერისა, სამართლის ხმა
ყოველგან ჰქუხს, ბნელს ერევა!
ნეტარებას მგვრის მე ეს ხმა
და მინერგავს სასოს გულში.
ჰაი თუ ვნახო — დამჩაგვრელსა
დაჩაგრული რო წვდეს სულში!

# რუსულიდან.

ჟურნალი „მასხარა“ № I

მიყვარს ზოგჯერ სარკმელიდან
მე ქუჩაში ჭვრეტა, მზერა,
ამვლელ ჩამვლელს ბევრსა ვხედავ,
კაცურ-კაცს კი — ერთსაც ვერა!

*
* *

პირამთქმელი წერით, სიტყვით,
ყურადღებას ვიპყრობ ოდეს,
ვიცი ნაცნობს ბევრს შევიძენ,
მეგობარს კი ვერასოდეს!..

1908 წ.

# უ ბ ე დ უ რ ს.

(ვუძღვნი ხსოვნას გოგლო ყაზახაშვილისას).

„აკაკის დღე საქართველოში“ № 2.

ეს სიკვდილი ისეთებს ჰკლავს, რომ მათი ცოდვით იწვის მო-
ყვასი და ქვეყანა,
შენ კი, ბედის მაწყევარს, ხელს არ გკიდებს... მისი ცელის ღირსიც
არა ხარ განა?
ვინც სიცოცხლეს შეფუთქრიალებს, ვით ჩიტი, და ცხოვრების ვარდს
ჰგავს, ჯერეთ გაუშლელს,
მას ამიწებს, უდროვოთ ასამარებს, შენ კი გტოვებს, გიორკეცებს
სატანჯველს...
ვინც აწმყოთი სულდგმულებს და მომავლით სიცოცხლისა ელის და-
გვირგვინებას,
შენ კი ყველა იმედებს გაცრუებულს, გულგატეხილს, ნადალატევს
შინ და გარ,
ახლოსაც არ გეკარება... თუ იცის, უმისოიაც რომ ცოცხლათვე
მკვდარი ხარ?

მიტომ გინდა აღარ იყო ამ ქვეყნათ, სიცოცხლისგან მხოლოთ ითხოვ სიკვდილსა,
რომ ზეზეურ მკვდრობას ასწილ ჯობია სათვლავის მატლს აძლევდე ხარკს შენს წილსა!..

## ხვანთქრის და ყეენის მიწერ-მოწერა.

### I

### ხვანთქრის წერილი ყეენისადმი.

სალამს გიძღვნი გულითადათ, ძმავ-ბატონო მაჰმედ-ალი,
ჩემს ამბავსა თუ იკითხავ—არც მკვდარი ვარ, არც ცოცხალი!
დრო დამიდგა გასაჭირის, ძლიერ ავი, ერთობ მწარალი,
ბედმა ხელი ამაღო და ალლაჰიც მყავს დია მწყრალი!
ფრანგისტანში გაზრდილ ბიჭებს აჰყვა ჩემი მთლათ ასკერი, [1])
ვეზირებმაც მათ მიკერძეს, ყველა გახდა ჩემი მტერი,
„კონსტიტუცია მოგვეცი“;—იძახოდა ყმა და ბერი—
„არ მოგვცემ და გნახავთ—ზღვაში ცურავდე თავ-მონაჭერი!“
ასეთი დღე რომ დამადგა ვინმე შეიხ-ულ-ისლამი ..[2])
იმან სულ მთლათ დამღაგა და მომაყარა თვალებს ჭლამი.
ასე მითხრა: „თუ ფადი-შაჰ[3]) ყურანი გწამს და რჯულს ლამი,
„სწრაფათ დასტური დაწერე, ა ქაღალდი და კალამი“!
„ნებით შიეც რასაც გთხოვენ, თვარა ძალით წაიღებენ,
„ტახტსა თავზე დაგამსხვრევენ, შენს სასახლეს აიღებენ,

---

[1]) ასკერი—ჯარი.

[2]) შეიხ-ულ-ისლამი—თურქების პატრიარქი.

[3]) ფადი-შაჰ—ოსმალეთის ხონთქარი.

„ცოლებს ისე დაგვტაცებენ — ყალიმსაც [4]) არ გაიღებენ,
„შენ ჯანდურს გკვრენ, შენი ჯირმშოს სისხლით წვერებს შეიღებვენ!“ —
მაჰმადს უთქვამს: „თუ მთა შენთან არ მოვიდეს, მიდი მთასთან!“
მეც დავუევი ხალხსა ნებას, ქე ვაფრინე საიდსთან [5])
დროის ქუდი დავიხურე, თუმც გამოვტყდე, რომე მასთან
გულში საკირე მინთია, ღმერთს ვახსენებ — ვარ ეშმასთან!
მოვიდა ჩემი საიდა, გავეცი კონსტიტუცია...
ვაიმე ტახტო ოსმანთა!.. რა დროა, რა ტუტუცია...

. . . . . . . . . .

ჰეი გიდი, აბდულ მეჯიდო [6]) შენ რა დრო გქონდა და მე რა!
წამწარდა შენი სამკვიდრო და ჩემი ტკბილი სიმღერა...
ასეა ჩემი ამბავი ტახტ-სვიანო მაჰმედ-ალი.
მახარე შენი ამბავი, თუ არ ხარ ბედზე გამწყრალი...
შენ რუსი უფრო ახლოს გყავს; ჭკუითა და ბედით მთვრალი,
ყური მოვკარი — ხელს გიწყობს, ჭორებია, თუ მართალი?!

## II

## ყეენის პასუხი.

სალამზე სალამს გიბედავ, ხელთ გკოცნი სტამბოლის მფლობელს,
საბრალო შენი მაჰმედი ბედს და ღმერთს წყევლის ცათ მპყრობელს...
საარაკოა მე რაც მჭირს, ჭირს შევადარო თუ რომელს?
დღეს ყველა გასაჭირში ვართ, ვიღას მივმართო მეზობელს?!
შენ რომ ბრძანე, იმან მართლა შემომპირდა შემწეობა,
პირველ ერთობ გამახარა, გამითენა მან დღეობა.

---

[4]) ყალიმი — საცოლოს ნივთიერ უზრუნველსაყოფელათ მაჰმადიანთა ქვეყნებში საქრმოსაგან მიტანილი ფული და სხვა რამ საქონელი.

[5]) ქუჩუქ-საიდ-ფაშა, პირველი მინისტრი კონსტიტუციის აღდგენის პირველ დღეებში.

[6]) მამა ხვანთკრის აბდულ ჰამიდის.

მეჯლის[7]) ვკარი ზარბაზანი, მოვსპე იმათი ღრეობა—
ბევრი დავხვრიტე, დავაღრჩვე, ვაღირსე მოწამეობა!
ვინც ხელთ ჩავიგდე, მოვაშთვე, მეტადრე ხალხი კალმისა,
კონსტიტუცია რომ წამთ, არ სჯერათ ჩემი ალმისა.
ავკრძალე სულ ყველაფერი გარდა სპარსთ კაბის, ჩალმისა:
არეზის[8]) იქით მესმოდა შრიალი რუსთა ალმისა!..
მალე ფული შემომაკლდა, დამეფშუტდა ხაზინაო,
სესხი ვისაც ვთხოვე, მითხრა—„ეს საქმეა საწინაო.
„ჯერ ადრეა, მოისვენე, შენ სიფიცხემ გაწყინაო...
„თუ მეჯლისი დასტურს მოგცემს, ჩვენ ვიფიქრებთ მაშინაო!“
...ჯერ ერთმანეთს გადაგვკიდეს—მეჯლისი მე, მე მეჯლისსა,
მერმე ყბასაც კი მიქცევენ,[9]) დასტურს მთხოვენ მეჯლისისა...
ასე მასხრათ დღეს ამიგდეს, რიდიც არ აქვთ ვით მეფისა—
„მეჯლისს დაჰკა“ რომ მითვლიდა, ნეტავ მაჩვენა დღეს ისა!
ასეა ჩემი ამბავი, მეფევ-ძმავ აბდულ-ჰამიდო.
დროებამ ასე მიმუხთლა, ეშმაკმა მხარზე გამიდო,
ორ-წყალ შუა ვარ, არ ვიცი—დღეს ბინა თუ სად დავიდო..
ვაი თუ ტახტი დამენგრეს, თუ ხალხმა ფეხ-ქვეშ გამიგდო?!
შენ რა გიჭირს—ზღვა ახლოა გაქვს, გაიქცევი როცა გინდა,
მე გეტყვი და—ოქრო-ვეცხლი არ გაქვს რამდენიცა გინდა,
სადაც წახვალ, იქ იმეფებ როგორც გსურს და როგორც გინდა,
მე კი მარჯვე გასაქცევი გზაიც არ მაქვს თუ მომინდა!..

1908 წ. ივლისს...
ქ. ალექსანდროპოლი.

---

[7]) საბჭო, სპარსეთის პარლამენტი.
[8]) არეზი—მდინარე არაქსი.
[9]) ყბას მიქცევენ—დამცინიან (გურული).

* * *

თოფი ნუ გვსურს, ნურც ხმალი,
დავენდოთ გულს, გონებას!
მერწმუნეთ მაშინ უფრო
ძირს გავუთხრით მონებას!
ცხოვრების ბევრ გზათაგან
დავადგეთ სამართლის გზას,
და მითი მოვიპოვებთ
სულიერ სიმშვიდეს გზას.
ხორციელი რაც არის,
შევუთანხმოთ სულიერს
ყოველ კაცურსა კაცში
ძმას ვხედავდეთ, არა მტერს!
სხვისას ჯვარი დავწეროთ,
ჩვენ დავჯერდეთ ჩვენს ნაშრომს...
გულის ყური დამიგდეთ:
მარტო შრომით გავალთ ფონს!
თუ ეს ჩვენ ვერ შევიგნეთ,
თავს წავაგებთ, წავხდებით:
ერთი მუჭა ვართ, ძალით
სხვა ბევრთან რას გავხდებით!
მაშ, ნურც თოფი, ნურც ხმალი,
გულს, გონებას, სამართალს
და შრომას მხნეთ დავადგეთ,
მით გავიკვლევთ მომავალს!

# ქურთული[1] ჰანგები.

## მურვან-ყრუ.

ზეპირ-გადმოცემანი.

(გაგონილი ს. კონდახსაზში, ალაგეზის მთის ძირას, მოხუცებულის ქურთის ხუდო კონახჩი ოლლისაგან).

### I

„ივერია“ 1909 წ. № 23.

მურვან ყრუი სპარსეთის შაჰს,
დამარცხებულს, შეპყრობილსა,
ხშირათ ესაუბრებოდა
ვითა ტოლს და ვით ძმობილსა.
ერთხელ კითხა: „ეგებ იცი,
თუ ხარ ისე ბედნიერი,—
შენს მეტი სხვა არ მეგულვის
იყოს ამის ცნობიერი—
„არის ქვეყნათ ვინმე ხალხი,
ტურფა იყოს სულ თავწაყრით,
ომში ისე მიდიოდეს,
ვით სალხინო ქორწილს მაყრით;
„გულ-კეთილი, ღვთის-მოსავი,
მოყვარული და კისკასი,
მტერთან ხმლის და ყანად გუთნის
იცოდეს ყადრი და ფასი?!“
—„როგორ არა, მაგგვარ ერთან
თვით ყოფილვარ სისხლთ მთხეველი,

1) ქართული არ გეგონოსთ.

ტურფა ქვეყნის ტურფა ერსა
სახელათ ძევს დღეს—ქართველი“.
მურვან ყრუ ცხენზედ შეჯდა,
თბილისის გზას ადგებათ:
თქვა: „იმ ერსა დავიხავებ —
მოყვრათ გამომადგებათ“.
მიმავალი მურვან ყრუი
სპარსეთის შაჰს ეკითხება:
„მტერ მოყვრის ვერ გამრჩევ ხალხს,
შენვე იცნობ, ძმავ, ჰგებას?“
—„როგორ არა, მაგ გვარ ერის
ბევრჯელა ვარ მე მნახველი...
ისვეა, ვინც მოგახსენეთ --
იგივე ტურფა ქართველი!“
მურვან ყრუი გატრიალდა,
ბიზისკენ გზას ადგებათ;
თქვა: „ამ ერსა ხმლით დავიპყრობ,
მონათ გამომადგებათ!“

II

მურვან ყრუ იყო, როდესაც
სიბრიყვეს ეუბნებოდენ,
მურვან ყურ-მახვი, როცა მას
სიმართლეს მოახსენებდენ.
ერთხელ ცოლმა მურვანს თხოვა:
„ქართველთ ახსენ მონობათ,
„ერთმანეთში ძმობას თესვენ
„პირი აქვთ და ერთობათ!“
გულქვეთიდ ცოლს ქმრისკენ ესმის:
„ეს არ მესმის, ეს არ მესმის!“
ვეზირებმა მურვანს ჰკადრეს:
„საქართველო აჯანყდება,

„თუ შენ, მეფევ, დასწრაფებით
„ეხლავე არ დაგვრთე ნება,
„ივითეულს ქართველს აღუთქვათ
„მისი მოძმისვე ქონება..
„ისე აწყვეტენ ერთმანეთს—
„ზღაპრადა არ გაგეგონება!“
ღიმმა გადაკრა მეფესწო:
„ჰო, ეს მესმისო, მესმისო!“

## III

„ივერია“ 1909 წ. № 36.

შუმოს[1]) როს ძლია ცხოვრებამ და შემოჰკვრა გული მას,
პაპა მისს ბროს[2]) დაეკითხა, ვისთვის არ შურდა სული მას:
„—ვინ ითვლება ხელ დადებით ამ ჩვენს ერში ბედნიერი:
„მსაჯული პატიოსანი, მწერალი დიდ-ნიჭიერი
„მოღვაწე, მამულისათვის რომელს მიუძღვის ამაგი,
„თუ სულიერი მოძღვარი, ღვთიურ სიტყვისა მქადაგი?“
შუმოს შეცინა პაპამა და უთხრა: „შვილო, იქნება,
„ციური ნიჭიერება, ამაგი, პატიოსნება,
„გგონია ეს ღირსებანი ჩვენებში ფასობს ძვირადა?
„ჰოიმე... არც ერთს ამათგანს ფასს აღარ დებენ ჩირადა!
„მერწმუნე, ჩვენში იგია დღეს ბედნიერი, შვილოვო,
„ვისაც ზურგი აქვს მოქნილი და ფარეშული კილოვო,
„სიტყვა სწორი და საქმე კი—მრუდე, ვით ძაღლის კუდიო,
„ვინაც ფეხს დაუბაკუნებს, იმის ახურავს ქუდიო!
„მეკი მოვჭამე ჩემი დრო, შენ შებრალები, შვილოვო,
„ზურგი გაქვს მოუქნელი და შეუპოვარი კილოვო!“

---

[1]) [2]) შუმო და ბრო მამაკაცის სახელებია ქურთებში.

## IV

ღმერთო მაშორე: ნაჯინჭვლ დათვს,
არარატის შვავსაო,
ორპირთა ამხანაგობას,
ჩამრები რუსის შარსაო,
უპირისწყლოს მეგობრებს,
ავუა ქალის უბასაო,
დაცინვას სულელებისას,
ბრიყვი მსაჯულის მსჯავრსაო!

## V

„ივერია“ 1909 წ. № 20.

(გაგონილი არარატის ფერდობზე გაშენებულს ქურთების სოფ. კორლან-
ში, მოხუცებულის ქურთის მგე ახკო ოღლისაგან).

სპარსთა-ერან-თურანის შაჰს
ლხინი ჰქონდა თეირანში,
საქართველოს მეფის ელჩი
პირველობდა სტუმართ რაზმში.
დარბაზი მთლად სავსე იყო
ხანებით და ფაშებითა,
შაჰინ-შაჰი აშუქებდა
ოქრო ვეცხლით, ლალებითა.
მარა ყველა ლალზე უფრო
უბრწყინავდა მას ბეჭდები:
ალმასისგან გამოჭრილი
ორი იყო ფას-უდები!
შუა ლხინის დროს ორივ—განგებ—
ხელზე წაძვრა მასპინძელსა...
ბძანა: „მისთვის მიჩუქნია,
ვინც მათ უმალ აიღებსა!

ავღანისტნის ამირაი
ორთავ ბეჭედს დაწვდა სწრაფათ,
და თითებზე წამოიცვა
მადლობითა და გულ ხარბათ!
ქართველ ელჩსა გადახედა
გაოცებით სპარსთა მპყრობელმა...
უთხრა: „შენ რათ არ აიღე?
თვალმა გისუსტა, თუ წელმა?“
თავმოყვარემ, ძველ ქართველმა
ყეენს მოახსენა ესა:
**არ ვეწყობი საჩუქარს, თუ**
**მისთვის უნდა დახრა ქედსა!**

---

P. S. ახლანდელმა ასე არ თქვას,
წრფელათ ვფიცავ მაღლა ღმერთისა!

## VI

ერთხელ შაჰ-აბაზ კაჯარმა,
ხალხშია ასე თქმულება,—
იხმო სარდლები და იმათ
გაანდო განზრახულება:
რომ მთლათ აიკლოს ქართველნი,
აჰგავოს მიწის პირიდან,
ჯერ აოხროს კახელნი,
და მერე იწყოს ქართლიდან...
სარდლებმა რიგ-რიგათ იწყეს—
უმცროსით უფროსებამდე—
მრისხანე შაჰის ფრთხილება
ჯარისა გალაშქრებამდე.
მოახსენებდენ ქართველთა
ომისა ცოდნას, გმირობას,

გაჭირვების დროს ერთობას,
და თავდარიგიანობას.
ბოლოს თქვა უფროს სარდალმა:
„ფუტკართან ბუზი ტყუაო,
„მარა, მეფეო, გახსოვდეს
„ქართველებისაც ჭკუაო...
„სანამ ჩვენ ხალხი შევიქენით,
„იმათ იცნობდა ქვეყანა,
„უთვალავ ჭირებს გაუძლეს,
„მარტო შენ აჰგვი მათ განა?
არ ამოიღო ხმა შაჰმა,
დაშალა სარდალთ თათბირი...
მალე ჯართ გალაშქრებასა
იუწყებოდა საყვირი...
მთლათ ააოხრეს ქიზიყი,
თავი სიმაგრე ქართველთა,
(და დიდხანს იმ არე-მარეს
ისმოდა სტვენა ქართ ველთა.)
ტყვეებსა ასი ათასსა
ბინათ უჩინეს ფერეიდან...
(სად დღესაც ქართველთ გული ცემს,
ძმებს ბანს გვაძლევენ იქიდან!...)
გზაში ერთ ტყვესა უნახეს
უბეში გეგმა საქმისა...
ის რომ მოეწყოთ, ხსენება
სულ გაწყდებოდა სპარსისა!..
...მიიხმო შაჰმა სარდლები,
ზოგს ლოყებს კოცნის, ზოგს თვალებს,
ხოლო უფროსსა სარდალსა
ლაღობით ასე უბძანებს:
—„ზოგჯერ, შენ, თავო სარდალო,
„სიბრიყვეს ამხობ ხოლმეო...

„ქართველის პირვანდელი ჭკვა—
მას, ბოლონდელი კი— მე!“

## VII

სელჯუკთ მეფეს ბრძოლის ველზე
უღალატა ერთობ ჯარმა...
მეფის ნატვრა, იმედები,
სულ წაიღო იმ დღეს ქარმა...
შაჰმა ბძანა: „სელჯუკთ მეფეს
არ შეახოთ არვინ ხელი,
არ შეიპყრათ! სამშობლოში
ის გაიქცეს მარტო ხელი!
თვისთა შორის იმან მწირათ
თავი იგრძნოს, იტანჯოდეს.
ჩემთან კავშირს გაურბოდა?—
აწ ტყე-ღრეში, დეე, ძრწოდეს!“...
...მეფემ თავი შეაფარა
დიდი კლდისა გამოქვაბულს.
მისი ნახვა მოალბობდა
თვით კერპისაც ცივ და ქვა-გულს!..
...როგორც შეჰფერს შაჰსა—ხარკი
აიღო და კვლავ გაბრუნდა...
წინათ ლაღი სელჯუკების
ბედი უკუ გადაბრუნდა!
მარა წერამ უბედურებს...
მარტო ხომ ეს არ აკმარა:
მალე გული სელჯუკების
ახალ ჭირმა გაამწარა:
სპარსმა ხერხი მოიგონა
სელჯუკთ მთლათ დასამიწები...
ყოველ მხრიდან ბეგებისგან
შეიყიდა მან მიწები!

დაასახლა ზედ ბოშები,
ყიზილბაშნი ღარიბები...
წელში გაწყდენ უმიწობით
მიწის მუშა სელჯუკები!
შეიკრიბენ თავი კაცნი,
მოხუცნი და გამოცდილნი,
მიწის მუშა გლეხი კაცნი,
ოფლის ღვრით და შრომით ზრდილნი:
გამოძებნეს მთაში მეფე,
მოახსენეს ყველაფერი:
„ისე სპარსნი ჩვენ ვერ გვნებდა,
რომე გვღუპავს შინა მტერი...
მსაზრდოებელს დედამიწას
ბეგები ყიდიან მტერზე.
ჩვენ ყოფნის და არ ყოფნის
საქმე დღეს კიდია ბეწვზე!

. . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

წვრილფეხობა იმათ ბაძავს
თითქო არის ჯიბრზე საქმე...,
მეფევ, რჩევა თქვენ გვიბოძეთ,
და ვიქნებით ჩვენ მოსაქმე!“
მეფემ ბძანა: „ვმადლობ ყოვალს,
დღეს ხელ-ახლავ ვიბადები:
ვხედავ, რომ თავდარიგშია,
ჭკვას მოეგენ სელჯუკები!..“
შემდეგ თავი კაცნი ყველა
დაითხოვა არ რა უთხრა.
ერთი გლეხი დაიტოვა
და მას ყურში ასე უთხრა:

„მიწის—მუშას ვინც კი მიწას
გაუყიდის, მოკვდეს მისგან!
ვინც ქვეყანას მტერზე ყიდის,—
იგი მოკვდეს უნდ ქვეყნისგან!“
არ გასულა დიდი ხანი
ერთ დღეს სხვა-და-სხვა ადგილსა,
ასი თოფი რომ გავარდა,
ასგან იწოვს მიწა სისხლსა!
ყველგან ქვეყნის გამყიდველებს
ჯიბში მოხვდათ ცხელი ტყვია,
და მით სხვებს გაყიდვის მადა
მთლათ მოესპოთ... შეგვიტყვია!..“

—

ეს ლეგენდა მიტომ მომწონს
რომე უთქვამს მოციქულსა,—
შოთა ვით წერს გენიოსი,—
შიში შეიქმს სიყვარულსა!

## სომხური ჰანგები.

### I

ჩემი გული სუფრა არ არის, რომ ყველას გადვუშალო.
სომხური ანდაზა.

ჩემი გული გრდემლი არის,
ცხოვრება კი—მძიმე ურო,
ვიცი არვინ არ გამიტანს,
ვისაც უნდა ვემსახურო!

ჩემთვის ვშრომობ, სხვა არ ვძრახავ
არ მსურს გრძნობა ავუშალო...
ნურც მე მძრახავთ, თუ არ ძალმიძს
ყველას გული გადვუშალო.

## II

„ამხანაგი რომ კარგი იყოს ღმერთსაც ეყოლებოდა".
სომხური ანდაზაა.

სიფრთხილით ხამს კაცს ცხოვრება:
სიცოცხლეს სდევს ფათერაკი...
შენსა საქმეს სხვას ნუ ამცნევ,
ქარაგმით ჯობს ლაპარაკი!
თავს დაენდვე, ამხანაგს ნუ:
მიმნდო ყველა იტანჯება...
ამხანაგი კარგი იყოს,
იგი ღმერთსაც ეყოლება!

* * *

მინდა სიმწრისგან ვიტირო,
მარა სადღაა ცრემლები?..
მთავარი სული მეხუთვის,
და ჩემ გულსავე ვაკვდები:
ბედმა გაგვწირა ჩვენ ერთობ,
გვიპირებს აღგვას მიწიდან,
და, ვით ყოველთვის, ახლაცა
ციხე გვიტყდება შიგნიდან!!

ერთობა ენაზე გვაკრავს,
საქმით ვართ დაქსაქსულები:
ვინ აღმა მიდის, ვინ დაღმა,
ყველა გზა-დაკარგულები!
ფაფხურები გვყავს ურიცხვი,
მოსაქმე—სად არის და ვინ?
სულ ყველა მბრძანებელია,
ამსრულებელი — არავინ!
საწინამძღოლო კაცებით
სავსეა ჩვენი მინდორნი,
ხოლო სანთლითაც რო ვძებნოთ,
არსათ არ ჩანან მიმყოლნი!
კრწანისის ველზე როს გაწყდენ
ერეკლე გმირის ბარტყები,
შავბედმა მაშინ დაგვწყევლა
ჩვენ, მათი შთამომავლები:
„წილათ გხვდესთ ათასი ნატვრა
„და მისწრაფება ცნებისა,
„ხოლო მათ ასასრულებლათ
„არ გექნესთ ძალა ნებისა!
„ვით წვიმის შემდეგ ნიყვები,
„ქართველთ გიმრავლოსთ დასები,
„შორიდან მტრის გულის მხეთქნი,
„ახლოს თქვენთ თვალთა დამვსები!“
ამ წყევლამ გაჭრა ჩვენზედა,
და ახლა დრო რომ საქმეს გვთხოვს,
ჩვენ შიგნიდან ვტეხთ ჩვენს ციხეს,
ნაცარვქექიობთ იმავ დროს!
მინდა სიმწრისგან ვიტირო,
მარა სადღაა ცრემლები?
მთავარი სული მეხუთვის,
და ჩემს გულსავე ვაკვდები...

*
* *

ნეტავ ერთი ჩამახედა
კაცთა გულში აღდგომა დღეს:
„ქრისტე აღსდგა“, ვინც იძახის,
რას იზამს, რომ . . . . .
ცოცხალსა ქრისტეს ირწმუნებს?
მიუვება მისსა მცნებასა?
თუ ხელჯოხიანთ გადაცემს,
თავს იდებს მისს ბრალდებასა?..
ან ქრისტემ თავათ რომ ნახოს
ჩვენებთა ქრისტიანობა:
გარეგან, ფარისევლურათ,
ლოცვა და ლიტანიობა,
ენის წვერზე — მოწყალება,
თვით მტრისაცა სიყვარული,
მოქმედებით — მძულვარება,
მტრობა, შურით გაბასრული;
საქმე, რწმენას მოკლებული,
რწმენა, თვინიერ საქმისა, —
არ იტყვის, რომე სუფევა
სულ არ ყოფილა აქ მისა?!

## ხელი ხალთას.

წარსული დრო მითი ჯობდა — პირდაპირი გვყავდა მტერი,
ჩვენდა სავნოთ მოდიოდა ხმლით, კიჟინით, კადნიერი.

ჩვენც დროზედა ვტყობილობდით, წინ ვხვდებოდით მთელი ერი,
იარაღით შეჭურვილნი შევებრძოდით ყრმა და ბერი!
თუ დავძლევდით — ტყავს ვაძრობდით, კბილს გვაძრობდა ის,
თუ გვძლევდა!
მარა ბრძოლით პირდაპირით ის ბევრს ვერაფერს გვართმევდა...
ეხლა დრო გამოიცვალა: მტერი მოყვრათ იმოსება,
ჩვენთან ტირის და იცინის, ერთგულებას გვეფიცება;
რჩევას გვაძლევს, ფეხქვეშიდან მიწას გვაცლის და ითვისებს,
და გვარწმუნებს, რომ ეს საძმოთ მიაქვს, ძალათ ხომ არ გვართმევს!
ასეთ მტერთან საბრძოლველათ ჩვენ დავრჩით გამოუცდელი:
არ გვივარგა მომზადება, შეგნება და საქციელი...
ვმარცხდებით და სახლკარს ვკარგავთ, მით გვეთხრება ძმებო ძირი!
თავდარიგი ახლა გვმართებს, ერთმანეთსა მივცეთ პირი:
ეთრს გარკვეულ გზას დავადგეთ, ნუ დავდივართ ალთას, ბალთას,
და მტერ-მოყვრებს ~~ყველამ ერთათ საქმით უუთხრათ~~: **„ხელი ხალთას"**.
შევყვიროთ: ხელი ხალთას!

*
* *

რომ მოვკვდე, ნუ მიტირებთ,
ნუ დამაფრქვევთ ცრემლებსა:
სიცოცხლისა სიმწარე,
ბედმა გამიალესა!
გული სითკენაც მიიწევს,
დახშულა იქით კარი...
და მთელ ამ ქვეყანაზე
არვინ მყავს მომცეს მხარი!
სურვილს ღონე ვერ შემწევს,
მძლევენ უკუღმართები...

დავსუსტდი და ვგრძნობ—წელში
ველარ გავიმართები!..
სული ხორცში თუმც მიდგას;
მარა ზუზეურ ვკვდები:
ჩემს მხარეს ვერ ვმსახურობ,
სხვისას ვემსახურები!
ასეთს ყოფას ათას წილ
მირჩევნია სიკვდილი:
და როს მოვკვდე, არ მინდა
მაშინ თქვენი ტირილი!..

## კრიტელების სიმღერა.

**თავისუფალი თარგმანი.**

ძმებო, ფარხმალი მოვიმარაგოთ:
მალე დადგება ჩვენთვის ის წამი,
როს დაჩაგრულებს გზას გაგვიკაფავს
თავგანწირული ბრძოლის ალამი!
ღმერთსა მშვიდობის, ღმერთს მოთმინების
დიდი ხანია ვემსახურებით;
მარა დღეს მაინც ჩვენსავე სახლში
ტყავს გვხდიან რკინით, განსახურებით...
გალაღდა მტერი ჩვენი მოთმენით,
გაგვრყვნა ზნეობით, გვიხშავს გულს, ჩაგრულს,
გვართმევს მიწა-წყალს, გვისპობს ლუკმა პურს;
სულს გვხდის პირიდან ჩვენ, ხელ-ფეხ შეკრულს!
და როცა, ძმებო, თოფი გავარდეს
მოვალეობამ გაგვწვიოს ომში,—

იქ ვინცა გადრკეს, მტერს არ შეაკვდეს,
იგი გამოწყდეს ძმებსა და ტოლში!
        ერთ დღეს გვშვა დედამ, ერთ დღეს მოვკვდებით,
და ძმაი ძმისთვის—შავისა დღისთვის!
ვინც ბერძნებს ებრძვის, სიმართლეს ებრძვის—
ბარემ-და გავწყდეთ ერთმანეთისთვის!!

# იგავები.

1885 წ.

## ხოჯასაგან მევალის გასტუმრება და ებრაელის სიცილი.

(მუსტაფა აღა ჩხეიძისაგან გაგონილი, ოზურგეთში).

### I

ერთმა ებრაელმა დაინახა, რომ ხოჯა ნასრადინას ყველა ძალიან პატივს ცემს, და იფიქრა: „მოდი ამას ფულს ვასესხებ, დიდ ჯარიმას დავუდებ, და რამეს ვისარგებლებო“. ცოტა ისესხა, თუ ბევრი, დიდი ჯარიმა დაუდვა, თუ ვინიცობაა ვალის გასტუმრება ხოჯას ბორჯზე გადაუცილდებოდა.—გავიდა დრო და ხანი, მარა ხოჯა ებრაელს არ ისტუმრებდა. სიარულით თავი მოაბეზრა ებრაელმა ხოჯას, კიდეც უჩივლა მარა არაფერი გამოვიდა. ხოჯას არაფერი ქონდა, და მოსამართლეები რას გადაახდევინებდენ? ერთხელ იფიქრა ხოჯამ, ებრაელი რომ მოვა ისეთს მოვატყუებ, რომ ცოტა ხნით მაინც ავაკვეთინო ფეხი ჩემსასო. ებრაელსაც ბევრი არ დაუყოვნებია.

ნასრ-ედინა ძალიან მხიარული შეხვდა. ებრაელს იამა და უთხრა:

— „რაღაც კაი ნიშანია, ხოჯავ, ასე მხიარულს რომ გხედავო. სწორედ გასტუმრებას უნდა მპირებდე, თვარა ასე არ გიამებოდა ჩემი ნახვაო“.

— „დიაღ, გისტუმრებ, გისტუმრებო. ძალიან კაი ქენი რომ მოდიო. ხომ ხედავ, აი, ეგერ საქარვნო გზა მიდისო? იმ გზის ორსავე ნაპირს მე ეკლები ჩავურგე, და როცა ამოვა, ხეებზე გადავბლანდავო. ბამბის დიდი ქარვნები რომ დაიწყებენ სიარულს, ეკლები ბამბას მოედება და კაი ძალა ბამბა დარჩებაო, ბამბას თესლიც გამოჰყვებაო. მივალ და იმ ბამბას თესლიანებ მოვბოჭავო; იმდენს ვეცდები, რომ სადმე მიწას ვიყიდი, ბამბას დავთეს, ამოვა ბამბა, გავყიდი და გაგისტუმრებო“.

გულზე სისხლ-მონთხეულმა ებრაელმა მწარეთ გაიცინა.

— ჰო, ხომ გიამაო, ნასრ-ედინამ უთხრა — აბა, ასე იცის სოჯამ გასტუმრება და ებრაელმა სიცილიო!

II

## ხოჯა ნასრ-ედდინა და კარდლის პატრონი.

ხოჯა ნასრ-ედდინა ერთ მეზობლისაგან კარდალას ნათხოვრობდა. ერთხელ კარდალაში კაპჭანაი ჩაუდვა და ისე დაუბრუნა.

— ეს რაა, ხოჯავ, კითხა კარდლის პატრონმა.

— ეს შენმა კარდალამ დასვაო!

— კარდალამ რაფერ დასვაო?

— ასე კი იქნაო და...

ჰო, ძალიან კარგიო, უთხრა პატრონმა და დაიტოვა კარდალიც და კაპჭანაც.

გავიდა დრო და ხანი, და იგივე კარდალა ითხოვა ხო-

ჯამ, და აღარ დაუბრუნა. პატრონმა მიაკითხა ერთჯელ, ორჯელ, და ბოლოს ხოჯამ უთხრა — „შენი კარდალა მოკვდაო!“

— კარდალა არ კვდება, ხოჯავ, გაგიგონია კარდლის სიკვდილიო!

— მოკვდა საწყალი, მუცელს გადაყვაო!

კარდლის პატრონმა უჩივლა ხოჯას. ორივე დაიბარეს მოსამართლეებმა და უთხრეს ხოჯას, ეს კაცი ამას და ამას გიჩივაო და შენ რა გაქვს სათქმელიო: ხოჯამ მოახსენა:

— ბატონებო, ერთი კითხეთო მაგ კაცს, ხომ რამდენიმეჯერ უთხოვებია მაგას ჩემთვის კარდალი, და ყოველთვის დროზე დამიბრუნებიაო.

— კი, მაგ სწორეთ მასე იყოვო, თქვა კარდლის პატრონმა.

— ისიც კითხეთ, ბატონებო, მაგის კარდალმა რომ ჩემსას კაპჭანაი დასვა, ხომ დავუბრუნე დედა მისი ნაბარტყითო?

— კი, მაგიც სწორეთ მასე იყოვო, კვერი დაკრა კარდლის პატრონმა.

— ჰო და, ვინც შობს, კიდეც კვდებაო! — მოუგო ხოჯამ მომჩივარს.

## 1892 წ.

## წუწკი მშიერის მასპინძელი.

### ქილილა და დამანიდან.

ერთ დედაბერს კატა ჰყავდა
გამხდარი და სულ მშიერი,

თაგვის მეტი არ ენახა
საჭამანდი სხვანიერი.
ზაფხულის დღეს მოგვარესა
მეზობლისას მოკრა თვალი;
რძით გასასუქს ბურვაკს გავდა
და ნავარდი ქონდა მალი!
ბებრის კატამ შიაკნავლა:
„ჩემო კარგო და დობილო,
„მასე შენ რამ გაგასუქა,
„რომ ვერ გჯობნის ხორცათ სპილო“.
მან მიუგო: „მე ყოველ დღე
„ვიარები მეფის კარსო,
„და, როს ლხინათ დასხდებიან,
„თევზს ვიტაცებ, ხორცს მსუქანსო!“
—თუ მაგრეა, „მაშ იცხონე
„მამა-პაპის შენ სულიო,
„წამიტანე მეც ნადიმსათ,
„გამაცან ხორცის სუნიო!

## მექოთნე, მომჩივარი და ღმერთი.

(იგავისებური).

იყო ერთი ღვთისნიერი კაცი, რომელსაც ისე უყვარდა ღარიბი ხალხი, რომ მისი გულისთვის არაფერს არ ზოგავდა, და ქონება რომ არ აღვიდა, საწყლებისათვის ქოჰნების კეთებასაც შეუდგა. ერთხელ მასთან მივიდა ვინმე საწყალი კაცი

და თხოვა ქოთნის გაკეთება. ღვთისნიერი მექოთნე შეპირდა, მარა დროზე ვერ მოუსწრო. მთხოვნელი რომ მივიდა, ქოთანს მოპირვა და ყურები აკლდა. საწყალ კაცს გული მოუვიდა და უკმეხათ უთხრა:

— რაღა ჩემი ქოთანი ვერ მოასწარიო, წავალ და ღმერთთან გაჩივლებო.

— მიჩივლეო, მიუგო ღვთისნიერმა და თავის გულში თქვა —უმადური ყოფილხარ, მარა უმადურობის წამალიც მე ვიციო. ის საწყალიც წავიდა და ღმერთს შეჩივლა: ასე და ასე, საწყალი კაცი ღვთისნიერი კაცის ხელშიაც დაჩაგრულია, მკაცრი ბრძანება უბოძე, რომ კარგი ქოთანი და მალე გამიკეთოსო!

ღმერთმა შეიწყნარა მისი თხოვნა და მექოთნეს ანგელოზის პირით უბრძანა: ამას და ამას მალე კარგი ქოთანი გაუკეთეო.

მექოთნემ გააკეთა ქოთანი, მარა ძირი გაუხვრიტა და მისცა მომჩივარს.

— ეს რააო? დაეკითხა საწყალი მექოთნეს.

-- ქოთანი! გულგრილათ მიუგო მან.

— მერე ძირ გახვრეტილი?

— ღმერთმა ბრძანა, ქოთანი გაუკეთეო და ქოთანიც ეს არის. ძირ გაუხვრეტელი ქოთნის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია... საწყალმა მიურბენინა ღმერთს ქოთანი და მოახსენა:

— უფალო, დახედე, როგორ სამასხაროთ აგვიგდო მექოთნემ შენც და მეც: ძირ გახვრეტილი ქოთანი გამიკეთა. მოიღე მოწყალება და კიდევ უბრძანე, რომ მალე გამიკეთოს კარგი და ძირ გაუხვრეტელი ქოთანი.

ღმერთმა მეორეთაც შეუსრულა თხოვნა.

მექოთნემ მალე გაუკეთა ქოთანი, რომელსაც ძირის მაგიერ ამ გზობისათ გვერდი გაუხვრიტა.

— ეს რაღაა? შეეკითხა საწყალი მექოთნეს.

— ქოთანი! დინჯათ მიუგო მან.

— მერე გვერდ-გახვრეტილი?

— ღმერთმა ბრძანა ძირ გაუხვრეტელი ქოთანი გაუკეთეო და ძირ გაუხვრეტელიც ეს არის. გვერდ-გაუხვრეტელის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია... მომჩივარმა კიდევ მიირბინა ღმერთთან და შეევედრა:

აი შემოქმედო, როგორ დაგვცინის შენც და მეო მექოთნე! ქოთანს ეხლა ძირის მაგიერ გვერდი გეუხვრიტა! რას მარგია გვერდ გაავრეტილი ქოთანი? შემიწყალე, უბრძანე—მალე გამიკეთოს კარგი, ძირ და გვერდ-გაუხვრეტელი ქოთანი.

ღმერთმა მესამეთაც შეუსრულა თხოვნა. მექოთნემ გაუკეთა ქოთანი ძირ და გვერდ-გაუხვრეტელი, მარა უპირო.

— ეს კიდევ რაა? შეუბღვირა საწყალმა მექოთნეს.

— ქოთანი! დამშვიდებულათ უპასუხა მექოთნემ.

— მერე და უპირო?

— ღმერთმა ბრძანა ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი ქოთანი გაუკეთეო, და ძირ და გვერდებ გაუხვრეტელიც ეს არის. პირიანი ქოთნის გაკეთება მას ჩემთვის არ უბრძანებია.

მომჩივანი ხელახლავ მიიჭრა ღმერთთან და შეეხვეწა.

— აი, ყოვლად ძლიერო, შენი გაჩენილის მექოთნის სიკეთე! რათ მინდა უპირო ქოთანი, სიდან ჩავასხა შიგ რამე, ან საიდან ჩავაწყო. უბოძე მრისხანე ბრძანება, რომ გააკეთოს მალე ქოთანი ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი და პირიანი.

ღმერთმა მეოთხეთაც შეუსრულა თხოვნა.

მექოთნემ თვალის დახამხამებაში გაუკეთა ძირ და გვერდებ მთელი და პირიანი ქოთანი, მარა ყური ფსკერზე გამოაბა.

— ეს მაინც რაღაა? შეჰსძახა საწყალმა მექოთნეს.

— ქოთანი! წყნარათ მიუგო მექოთნემ.

— სადა აქვს მერე ყურები, აა?

ღმერთმა ბრძანა, ძირ და გვერდებ გაუხვრეტელი და პირიანი ქოთანი გაუკეთეო და ძირ და პირ და გვერდებ გაუ-

ხვრეტელი ქოთანი და პირიანი ქოთანიც ეს არის. ყურს ფსკერზე ნუ გამოაბამო, მას ჩამთვის არ უბრძანებია. ღმერთმა შენზე უკეთ იცის, რომ მექოთნეს, საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამს ქოთანს. აბა, როგორ გეგონა შენ, გულ-უბრყვილო ადამიანო?!

გაბრაზებული მომჩივარი გაიქცა ღმერთთან და ატირებულმა მოახსენა:

— მამაო სახიერო, გადავყევი ამ ერთი ქოთნის გაკეთებას. როგორ ვთქვა მე, ცოდვილმა სულმა, თვარა ვერც შენი ღმერთობის გამიგია რამე და ვერც მისი ღვთისნიერობის. აი, დახედე, სად გამოაბა ყური!

ღმერთს გაეცინა და მომჩივარს უთხრა:

— იცი რას გეტყვი, შვილო? შენ ხომ ქოთანი გინდაკაი, ოჯახში გამოსაყენებელი?

— რაღა თქმა უნდა, ყოვლად ძლიერო!

— მაშ ჩემი რჩევა ეს არის: მიდი იხევ მექოთნესთან, ძალიან შეეხვეწე და შეაერალე თავი. ასე უფრო მალე და შენდა გუნებისათ გაკეთდება საქმე, იმიტომ რომ ქოთანს მექოთნე აკეთებს და არა ღმერთი.

მომჩივარმა დაუჯერა ღმერთს, მივიდა მექოთნესთან და მუხლ-მოდრეკით თხოვა შენდობა, შეაწყალა თავი და დაემუდარა, ერთი კარგათ გამომწვარი ქოთანი ებოძებია მისთვის.

მექოთნემ შეიწყნარა წინანდელ მომჩივრის ვედრება და, რაკი დროც ნებას აძლევდა, ერთი საუკეთესო ქოთანი ხელათ გაუკეთა, მისცა და თანაც ასე დაარიგა:

— უწყოდე ცოდვილ მიწის შვილო, რომ, როცა ქოთანი გჭირია, მექოთნეს იქით საშველს ნუ ეძებ, თვარა ყოველთვის გაწვალებული იქნები...

# ვაჭარი და მეზობელი.

(იგავი „ქილილა და დამანიდან“).

ჟურნ. „განათლება“ 1911 წ. № 3.

მდიდარ ვაჭარს შორს სავაჭროთ
წასასვლელი შეხვდა რიგი,
და სათუო შავ დღისათვის
დაიჭირა თავდარიგი:
ერთ მეზობელს ასი ლიტრა
მიაბარა რკინა კარგი,
თუ წავაგე, თქვა ამ რკინამ
საქმე მიქნას მე ფარსაგი.
გავუიდი, ხელს მოვიბრუნებ,
ჩემ გზას მაინც გავაგნებო,
ამონაგებს კმა დავრჩები,
და ნელ-ნელა ვათავნებო!
ივაჭრა და შემოიქცა,
მიაკითხა მეზობელსა.
მან ოთახში შეიწვია,
წააყენა ერთ დიდ ხვრელსა:
„შენი რკინა აქ დავმარხე,
სად ყოფილა ვირთხის ხვრელი,..
და სულ მთელათ შეეჭამა,
კბილები აქვს თურმე მჭრელი!“
ვაჭარმა თქვა: „ჰო, ასეა —
ვირთხას უყვარს რკინის ჭამა;
რკინის სილბო და სიმსუქნე
უეჭველათ მას იამა!“
მეზობელი ფიქრობს: „სწორეთ
ამ კაცს ჭკუა აქვს სულელის!“

და სადილად დაპატიჟა —
გამორჩენას კიდევ ელის.
　　წვეულმა მას სახვალიოთ
სტუმრობისა მისცა პირი.
წავიდა და თან ქურდულათ
წაიტყუა მისი შვილი...
　　ბავშვი დამალა და ისე,
გულ ხარბს, გამოქნილ მეზობელს,
პირობისამებრ, ეწვია,—
მასპინძელს ხედავს ცრემლის მღვრელს:
　　—„ვაიმე, ჩემო სტუმარო,
არ გებრალები ბედ მწარი?
გუშინ რომ შვილი გამებნა,
დღესაც არ ვიცი—სად არი!“
　　ვაჭარმა უთხრა: „გუშინ ერთს
მიქონდა ბიჭი ძერასო,—
ეგება შენი ძე იყო,
სხვა ნიშანს გეტყვი ვერასო“.
　　— შე კაცო, სად გაგონილა,
ძერას მიქონდეს ბავშვიო!
ვაჭარი ეტყვის: „შეუშვი
ეს აზრი მაგ შენს თავშიო:
　　ვირთხა თუ ასს ლიტრა რკინას
შეგვნეტავს, შეჭამს კბილითო,
რათ არ იჯერებ, რომ ძერა
აიფრინდეს შენი შვილითო?!“
　　— მე მოგატყუილე. ის რკინა
არ უჭამია ვირთხასო!
— მეც მოგატყუილე: შენი ძე
არ წაუღია ძერასო!
　　ხომ გაზღვევინე, ძმობილო,
შენი სიცრუის ბაჟიო?

აწ მომე ჩემი რკინა, და
წაიყვა შენი ვაჟით!“

—

ამ უცნაური ამბვისა
ეს არის სწორი იგავი:
ნუ მოეპყრობი სხვას ავათ,
თუ არ გსურს გიზღოს მანც ავი!

## კვატა და მთვარე.

„ქილილა და დამანიდან“

ერთმა კვატამ კამკამ წყალში
დაინახა სახე მთვარის,
იფიქრა: ეს მე რომ მიყვარს
იმისთანა თევზი არის!
ჩაყვინთა და ბევრი ძებნა,
მარა თევზი ვერა ნახა.
ნადირობის გაწბილებულს
გამომშრალი დარჩა ხახა.
იმ დღიდან მან მიატოვა
სულ ერთ-თავათ თევზის ჭერა,
და მცურავიც წყალში თევზი
მთვარეთ უჩანს და არ ჯერა!

—

ეს იგავი ამ აზრს გვამცნევს
ცხოვრებისგან გამართლებულს:

სინამდვილეც კი აღარ წამს
ბრიყვს, ოცნებით მოტყვილებულს!

# პ ო ლ ტ ა ვ ა.

პოემა ა. ს. პუშკინისა. რუსულიდან ნათარგმნი.

## მ ა ზ ე პ ა.

### სიმღერა პირველი.

მდიდარს და განთქმულს კოჩუბეისა
თვალ-გაუწვდენი აქვს მინდორ-ველი,
მის სათიბებში ცხენის ჯოგები
დაბალახობენ მოუმწყესველი.
პოლტავის ირგვლივ მოსახლობანი
მას ბაღებში აქვს გაშენებული.
ბევრი უწყვია მასში სიმდიდრე
თუ თვალ-საჩინოდ, თუ რაზ-დებული:
სტავრა, ატლასი, ვეცხლეულობა,
იშვიათი ნადირთ ბეწვეულობა
მარა სიმდიდრით და სიამაყეთ
მას მიაჩნია არა ჯოგები,
არა ყირიმელთ ორდებისგან
ხარკათ მორთმეულ ოქროს ფულები,
ან მამა-პაპისეულ სოფლები:
მისი სიმდიდრე, მისი დიდება,
მისი ქალის ტურფა, შვენება!
ისიც უნდა ვთქვათ, მაროს სიტურფით

მეტოქე არ ყავს მთელ სამშობლოში,
იგი ქორფაა, როგორც ზაფხულის
ყვავილი, ზრდილი მუხნარს ჩეროში.
ტანადობითა კიევის მაღლობთ
ალვის ხესა გავს ჰაეროვნობით
მისი მიმოხრვა, უდაბნოს წყლისა
გედსა გაგონებსთ მოხდენილობით,
ანუ კეკლუცსა ნავარდს შველისა
იერითა და კისკას-მკვირცხლობით.
მკერდი თეთრი აქვს წყლისა ქაფივით,
მაღალსა შუბლზე შავ ღრუბლებივით
გადმობურვია ხუჭუჭი თმები,
თვალნი უბრწყინავს ვარსკვლავებივით
და ლალის ფერი ამკობს ტუჩები;
თუმცა კი მარტო სიტურფისათვის
მარიამ არ ყავს ხალხსა ნაქები:
ყოველგან გაითქვა მისი სახელი,
ვით ქალიშვილის ნაზის, ჭკვიანის.
ამიტომც მასთან საშურველ საქმროთ
გზავნიან ტომნი რუსთ, უკრაინის.
მარა გვირგვინი ბორკილებსავით
ძაგს, საქმროთ არვინ არ ესურვება
და შეუთვალა ყველას უარი.
ბოლოს გეტმანიც გულის თქმას ყვება
და მიუგზავნა მას შვამავალი...
მოხუცებულსა მაზეპას ომმა,
დარდმა და ჯაფამ დაღი დაასვეს,
მარა გრძნობების ენთება ცეცხლი,
და სიყვარულის გაება მახეს!
        უმაწვილ გულს ვნება ელვასებრ სწრაფათ
მოედება და მყის ჩაუქრება.
წვევისა უმალ ტროფობის სახმილი

შეუმჩნეველათ მას უნელდება.
ყოველ ცისმარე დღეს მას ახალი
გრძნობს წინანდლის ნაცვლათ ჰგზნება.
ამას არა გავს, ასე ადვილათ
არ აეგზნება მოხუცის გული,
ათას ქარ-ცეცხლში გატარებული;
და უფრო მრავალ გზის ჭირნახული,
დინჯათ და ნელა ვნებათა ღელვის
მგზნებარე ბრძმედში გამოვლებული.
და თუ მოჰყვა, ოდესმეც არი;
ტრფობისა ცეცხლი, გულში მგზნებარე
არ გაუქრება სანამ სულს ითქვამს,
და დაავიწყებს მხოლოთ სამარე.
      ორბის ფრენას რა იგრძნობს ქურციკი,
მყის შეეფარვის კლდისა ნაპრალებს —
მარო კი მარტო აწ დერეფანში
დადის, განაჩენს ელის, განკალებს.
      ჯავრით გულ-სავსე მიდის, მიჩქარობს
მაროსთან დედა აღელვებული,
ხელებს დაუჭერს და სიტყვებს ასწრობს:
„ის უნამუსო მოხუცებული,
იგი ვერ შეძლებს მაგ ბოროტობას!
შენ, თავის ნათლულს, ნორჩსა, უმანკოს
უნდა გიწევდეს იგი მამობას...
სწორეთ გაგიჟდა! ცალი ფეხითა
სამარეში დგას და გითხოვს ცოლობას!“
შეკრთა მარიამ. პირის სახეზე
მას გადაეკრა მკვდრის ფერი მქრქალი...
დაბნდა და უცებ, იქვე, პარმაღზე,
საღსრებ მოსხლეტით დაეცა ქალი.
      გონზე მოვიდა, მარა კვალადვე
თვალი დახუჭა, კრინტსაც არ იღებს;

დედ-მამა თავსა უკლება და წუხს
ეძებს იმისთვის ნუგეშის საღსრებს,
რომ გაუქარვოს ჯავრი და შიში,
რომ შავ-ფიქრების მოუსპოს ნიში...
ამაო არის ყველა მათი ცდა,
გავიდა ისე ორი დღე მთელი,
რომ ჩუმათ ტირის, ცრემლთ აფრქვევს, ოხრავს,
არც სასმელი სურს, არცა საჭმელი;
მიმობარბაცობს, ჩრდილსავით მქრქალი,
ძილს არ იკარებს. მესამესა დღეს
ის მშობლის სახლში ვეღარსად ნახეს.
არვინ იცოდა, როდის და როგორ
მშობლის სახლიდან გაიპარა ის,
მხოლოთ მეთევზეს იმ ღამ სმენია
ცხენის ჭენება, ხმა კაზაკის
და თანაც წყნარი ფუჩუნი ქალის.
მეორე დილას მოცვარულ ველზე
მართლაც იპოვნეს კვლები რვა ნალის.
არა თუ დაწვია პირველი ფუმფლი,
ზილფით ამწვანებული ოქროს-ფეროვა,
ზოგჯერ მოხუცის მკაცრი სახეცა,
ჭაღარა თმები, შუბლზე ჭრილობა
ლამაზ ქალების გულის ზრახვებისა
მწვავ საოცნებოთ ჩაებუდება!
მალე ყურებსა კოჩუბეისას
ესმა ამბავი შავდღის, საზარი:
მარომან ხელი აადო ნამუსს,
ავსულს ეხვევა შენაცდენარი!
ევაჰ, სირცხვილო! დედა, ვერც მამა
ვერ ბედვენ მიხვდენ ამას გონებით:
მაშინ გამოჩნდა მხოლოთ სიმართლე
პირბადე ახდილ საშინელებით,

მაშინ ცხად იქნა ყრმა დამნაშავის
სულის თვისება სურვილით, ვნებით;
მხოლოთ მაშინღა გაირკვა ცხადათ
თუ მარიამი ცოლქმრულსა უღელს
რად გაურბოდა ეგოდენ ლადათ,
თუ რათ ტანჯავდა იმას წუხილი,
და საქრმოთ ალერსს რათ უხვდებოდა
სიამეისა მისი დუმილი;
რათ უგდებდა ყურს მხოლოთ გეტმანსა,
ნადიმათ მჯდომი, დადუმებული,
როს ღვინით სავსე წინწკლავდა თასი,
ბაასიც იყო გახარებული;
თუ რათ მღეროდა იგი ყოველთვის
გეტმანის ლექსებს, იმ დროს ნაწერსა,
როს პატარა და ღარიბ მოლექსის
ცნობა არ ჰქონდა სრულიად ერსა;
თუ რათ უყვარდა მას არ-ქალურათ
მხედართა რაზმთ-წყობა, ლაშქრის გრიალი,
ბობღანთა ცემა საომარ ჰანგზე
და გეტმანისა დროშის ფრიალი...
მდიდარს, საჩინო კოჩუბეისა
საკმაოთ ჰყავს მხნე მეგობრები.
ძალუძს თვისს სახელს მობანოს მწიკვლი,
და ააჯანყოს პოლტაველები;
ძალუძს მამობრივ შურის საგებრათ
ბოროტის ჩამდენს მისვე დარბაზში
თავზე დაატყდეს რისხვისა შედგრათ
და მარჯვეთ ჩაკრას ხანჯალი ფერდში.
მარა ამ ჟამათ კოჩუბეისა
სხვა საგნით უძგერს მხნე გული მკერდში!
იგი დრო იყო მაშინ რყევისა,
ძალას იხმევდა როცა ბრძოლაში

და მძლავრდებოდა ახალ-მოზარდი
რუსეთი პეტრეს გენიის ზრდაში.
სახელის გათქმის მეცნიერობის
მასწავლებელი მას მმკაცრი შეხვდა:
არა ერთ-გზისათ სისხლ-მჩქეფ, ულოდნი
განსარკვი მისცა რაინდმა შვედთა.
მარა დაჩაგვრას ხანგრძლივს მტერთაგან,
ლახვართა სობას ბედის წერისას
გაუძლო რუსმა. ძველადგან თქმულა:
ჩაქუჩი მძიმე ამსხვრევს რა მინას,
გაჭედს იმ დროსვე ფოლადს და რკინას.
    ურგებ სახელით გვირგვინ მოსილი
მხნე კარლოს ადგა სახიფათო გზას:
ამხედრებული ძველსა მოსკოვზე.
მტერსა ავლებდა ის რუსების ჯარს;
ერეკებოდა მას ვით ბუქი მტვერს
გაიხვეტს, ბალახს წააწვენს ველზე;
ის ადგა იმ გზას, კვალი რომელზე
დატოვა ჩვენ დროს ძლიერმა მტერმა,
როცა დაცემით შებღალა თვისი
გატრიალება მან ეტლის ძემა...
    უკრაინლები ჩუმათ შფოთავდენ
და დიდი ხნიდან ბედს ემდუროდენ.
სისხლ-მჩქეფ წასრულის მოყვარულები
ნატვრობენ ბრძოლას ქუდზე კაცისას:
დრტვინვენ და თხოვენ აზვავებითა
გეტმანს დალეწვას მათის ჯაჭვისას.
კარლოსს ელიან სულ წასულები
განუსჯელობის ატაცებითა.
მაზეპას ირგვლივ მოთაურები
უვირიან „დროა“ და ნატრობენ ომს;
მარა გეტმანი თავს ისე იჭერს,

ვით შეშვენს მეფის ერთგულ ქვეშევრდომს:
იცავს სიმკაცრეს ჩვეულებრივსა,
უკრაინასა დინჯათ განაგებს,
ქვეყნის ხმას, თითქოს არაფრათ აგდებს,
ქეიფს ეწევა დარდის გამქარვებს.
„გეტმანი რადას გაჩერებულა?
ასე ყვიროდა ჭაბუკი ყველა —
დაჩაჩანაკდა, მოხუცებულა,
დრომან და ჯაფამ გაუქრო ნელა
ღვაწლის სიფიცხე და თავდარიგი;
გეტმანის გოგუთს რადათ ატარებს
ცახცახა ხელით დღეს კიდევ იგი?
აწ ომის მეხათ უნდა ვესხმოდეთ
საძულველს მოსკოვს, დროა და რიგი!
აი, ჭარმაგსა ჩვენს დოროშენკოს,
ან ახალგაზდა სამოილოვიჩს,
გინდა პალეის, ან გორდეენკოს
მხედართ-მთავრობა რომ ქონდესთ ჩვენში,
აშორდებოდათ კაზაკთ სიკვდილი
შორს, უცხოეთის თოვლისა ჭყეპში,
და უკრაინის მგლოვიარისა
შინ მოვიდოდენ რაზმნი ჯარისა".
ასე თვითნებათ აღტყინებული
დრტვინავს ჩაუქი ახალგაზდობა.
სახიფათო მას ცვლილება წყურის
დავიწყებია რაკი მონობა
უწინდელ დროში თავის მამულის,
მტრებთან ბოგდანის მარჯვე დავები,
ძლევა მოსილი სვრა შეტაკება,
წმინდა ომები, შემდეგ ზავები,
და წინაპართ დროთ სახელოვნება.
მარა სიბერემ იცის სიფრთხილე,

და იწვის თვალით ის იხედება.
რა შესაძლოა და რა არ ძალუძს
ადვილად მისგან არ გადაწყდება.
ვინ ჩაეშვება ზღვისა უფსკრულში,
უძრავი ყინვით მთლათ დაფარულსა?
ან და ვინ გაჭვრეტს განმცდელი ჭკუით
ვერაგი სულის ბედითს უფსკრულსა?
მისი ფიქრები შელაგმულ ვნებათ
ნაბარტყებია, ღრმათ დაფარული,
და, ეგებ, ობლათ იზრდება აზრი
მასშივე, დიდი ხნით განზრახული...
რაზომც მაზეჯა გაბოროტებით
არის და გულით ყალბობს, ვერაგობს,
იმდენათ უფრო ნიღაბ-ადებით
ვითამ თავდაბლობს, არაფერს დარდობს.
რა ოსტატური ზედგავლენითა
იზიდავს და ჭვრეტს ადამიანთ გულს,
მათს ჭკვას განაგებს ხელოვნურათა,
საიდუმლოს ხსნის სხვისას დაფარულს!
რა მოჩვენებულ გულ-უბრყვილობით
იგი ლხინებში მოხუცებულებს
ებაასება გულის დანდობით,
და ერთათ გლოვენ დღეებს წასრულებს;
თავისუფლებას ნებიერთ უქებს,
დაჩაგრულებთან ხელმწიფებას გმობს,
გაბოროტებულთ ცრემლებს ცრემლს აფრქვევს,
ბრიყვთან ჭკვიანურ სიტყვით ქადაგობს!
ეგება ბევრმა არ იცოდეს, რომ
ის სულის ჯანით თავ-გამწევია,
ნამუსიანათ, უნამუსოთაც
მტრისათვის მტრობა მას უზღვევია,
არც ერთი თავის შეურაცხება

არ ოდეს მას არ დავიწყებია;
არ უწყიან, რომ თავის ზრახვები
ზვიად მოხუცმა ვრცელს კრა კამარას,
არ გაუგიათ, რომ საქმე ქველი
ძულდა და თაყვანს ცემდა არა რას;
რომ არაფერი არ უყვარებია,
კაცის სისხლის ღვრა მიაჩნდა წყლისათ,
თავისუფლებაც შეზიზღებია
და არსათ იყო მამული მისათ.
სამზარო ზრახვას იდუმალ გულში
ავი მოხუცი ატარებს ურვილს,
მარა საშიშმა მტრისა თვალებმა
გაჭვრიტეს იგი, მიუხვდენ სურვილს.
„არა, შე ავო სულო, წამწყმედო!“—
კოჩუბეი ფიქრობს ბრაზმორეული,—
„მე ხელს არ ვახლებ შენსა სავანეს,
სად ჩემი მარო გყავს დამწყვდეული;
ცეცხლით არ დაგწვავ, არც კაზაკის ხმალს
წავაგდებინებ შენს ბოროტ თავსა;
არა, ავ-სულო, მოსკოველ ჯალათს
მოვადებინებ მე შენთვის ბრჭყალსა!
და როს აგაკვრენ დალურსმულ ბოძზე
და ყოველ სახსრით დაიკრუნჩხები,
ფიცით გადათქმა როს ვერ გიშველის,
და შენსვე სისხლში დაითხუპნები,
დაგაწყევლინებ მაშინ იმ წამებს,
როცა მონათლე ჩემი ასული;
როს ლხინათ მჯდომი, გახარებული
გივსებდი ღვინით ფიალს მოყვრობის;
კვლავ იმა ღამეს, როს, ბერო სვავო,
დაკორტნე მტრედი შენ უმანკობის!“
იყო ერთი დრო, როცა მაზეპა

კოჩუბეის ტოლ-მეგობრობდა—
როგორც ზურ-მარილს და წმიდა მირონს
გრძნობასაც მასთან იზიარებდა.
გამარჯვების ველზე ცხენებით
ისინი ერთად ცეცხლშია ქროდენ,
და მრავალჯერა განმარტოებით
ხანგრძლივობითა მუსაიფობდენ.
გულღრძო გეტმანი ბუნდათ და ცალყბათ
მას უმჟღავნებდა საიდუმლოებს
თავის უმაძღარ მშფოთავ სულისას;
აგრეთვ მომავალ ცვლილებათ ნიშნებს
მოსალოდნელსა ამბოხს ერისას
აგებინებდა გადაკვრით სიტყვებს
ხერხით ხმარობდა რა ქარაგმისას.
იმ დროს ჯერ კიდევ თვით კოჩუბეი
იყო მაზეპას მტკიცე ერთგული.
ეხლა კი, სიმწრით გამმაგებული
მხოლოთ ერთ საგანს ის ესწრაფვება,
დღიან-ღამიან ერთსა და იმავე
აზრს უღოლავებს, ეტრფიალება;
თავს დაიღუპავს, ანუ შემბღალავს
მარიამისას ნაცვალს მიუზღავს.
გარნა მან ჯავრი შემმართებელი
დაკრძალა მტკიცეთ გულის სიღრმეში,
უხვაიშნობის მწარე ფიქრებით
ისწრაფვის, ვითამ, შავ სამარეში.
„ავი არა მსურს მაზეპასათვის.
თავი მიზეზი ჩემი ქალია;
მან შეარცხვინა მშობლის ოჯახი,
ჰგმო ცა და ქვეყნის სამართალია.
მე შემინდვია. დაე, მხოლოთ ღმერთს
გაცეს პასუხი, თუ მართალია“.

შავარდნის თვალით ამახობაში
თამამათ, ურყეველთ, შეუპოვრებს
ეძებს ამხანაგთ შინაობაში.
ცოლსა გაანდობს მთლად ხვაშიადებს,
და დიდი ხნიდან ღრმა საიდუმლოთ
ზარის დამცემს წერს იგი ბეზღებას;
დიაცურ შურით სავსე, სულ წასვლით
ცოლი გულ-ძვირ ქმარს თხოვს დაჩქარებას.
ღამის წყვდიადში, თვით ლოგინშიაც
სულ ჩაჩურჩულებს შურის ძიებას
ჭვედრის, ამხნევებს, ფიცს თხოვს, ღვრის ცრემლებს
და კოჩუბეი, ჯავრ მონარევი,
შეფიცებს—მიით წადილს უსრულებს.
საქმე მოსაზრეს.—გულ უშიშარი
ისკრა უმაგრებს კოჩუბეის მხარს.
ეჭვი არა აქვთ, რომ მტერს დაძლევენ,
ივარჯეოფენ, თავს დაცემენ ზარს!
მარა ვის ნახვენ გულ-აგზნებითა
მოწადინებულს საერთო კეთილს,
რომ ძლიერს მტერზე მისვე მწყალობელს
პეტრეს მიართმევს ბეზღების წერილს?
კაზაკთა შორის მრავალი იყო
მაროსგან საქრმოთ დაწუნებული;
ხოლო მათგანში ერთს განსხვავებით
წვავდა სახმილი გულს ანთებული.
სადამორელე, ან ალიონზე,
უკრაინისა ბალების ჩრდილში,
სამშობლო კუთხის მდინარის პირზე
მაროს ელოდა და ამ ლოდინში
იტანჯებოდა გულით შმაგითა,
თუმც დასატკბობათ მისთვის კმა იყო
ტურფას შეხვედრა ერთი წამითა.

უსასო ტრფობით მისგან დამწვარი,
თავს არ აწყენდა ხვეწნა-ვედრებით,
რაკი გრძნობდა, რომ სატრფოს უარი
დღეს მოუსწროფდა მას დასწრაფებით.
როს საქმროები ერთი მეორის
დასწრებით გაჩნდენ მისს სატრფოს კარზე,
მაშინ ყრმა იმათს გუნდს გამოეკლო,
ელდა ნაცემი შორს გადგა განზე.
როდესაც უცბათ კაზაკებშია
გამჟღავნდა მაროს საქმე სასირცხო,
როს ქვეყნისა ხმამ, ხშირათ უწყალომ,
მისს სახელს ჭორით ჩირქიცა მოცხო
მარიამ მაშინც უწინდებურათ
გულს უდაგავდა ჭაბუკს ვნებითა.
მისგანვე გულმოკლულს მისკენვე ჰქონდა
მთლათ მიპყრობილი გრძნობა, გონება,
ეტლზედა მღურვა და სნეულ სულის
ვნებით ანაგზნი ნატვრა, ოცნება.
მისი დანახვა ერთი წამითა
ენატრებოდა მას გაშმაგებით,
თვარა ძაგებას, ან ზიზღს მისდამი
ვერ გაივლებდა გულში განგებით.
სადმე რომ ყური უცაბედობით
მოეკრა, გეტმანს თუ ახსენებდენ,
ფერს გადაკრავდა და გრძნობათ ღელვა
მას თავსა ხელათ არ ანებებდენ.
ცაზე კაშკაშებს მთვარე, ვარსკვლავნი,
მხედარი მინდვრათ მიაჭენებს ცხენს,
ვისია ეგზომ გამძლე ტაიჭი,
რომ გარბის მინდორს და ველს თვალუწვდენს?
ჩრდილოეთისკენ მიჰქრის კაზაკი,
ისწრაფის, არ სურს მას შესვენება

არც ტრიალ ველზე, არცა მუხრანში
არც ფონი სადაც საშიშო ხვდება.
    მისი მახვილი, ბროლივით ბრწყინავს
უბეშიც ქისა მას მას უჩხრიალებს,
ცხენს მიჭენებს, გააკრა მიწას,
მიჰქრის მერანი, ნიავსაც უსწრებს.
    ბაჯაღლო გზაშა შაკრიგსა უნდა,
ხმალი აშვენებს მამაცსა ჭაბუკს,
ბედაურიცა მისთვის ძვირათ ღირს,
მარა კი უფრო აფასებს ის ქუდს!
    ქუდს ანაცვლებს ის სიამოვნებით
ცხენსაც, ოქროებს და თვით ბასრ ხმალსა,
ქუდს კი არ დათმობს იგი უსისხლოთ,
და ისიც მაშინ, თუ მოჭრი თავსა!
    რათ უღირს ქუდი მას ასე ძვირათ?
მათ, რომ წიგნი აქვს შიგ ჩანაკერი,
ბოროტს გეტმანზე პეტრე მეფესთან
კოჩუბეისა მიერ ნაწერი!
    არ მოელოდა არსით რისხვასა,
არც შიში ჰქონდა მაზეპას არვის,
საზრავდა ხალხის აჯანყებასა
ამოსაყრელათ საერო ჯავრის.
თან ჰყავდა ერთი იეზუიტი, ის
აძლევდა რჩევას შეთქმულობაზე,
მხდალს აქეზებდა და თვით მაზეპა
სიტყვით აჰყავდა საშეფო ტახტზე.—
ქურდების მსგავსათ, ღამის წყვდიადში
ერთათ მისდევენ კვალსა რჩევისას,
ფასებს არქმევენ, თვის-თვისსა ღალატს,
ვასსალთა ფიცსა ერთგულებისას;
ხალხისთვის წერენ მრავალ ბძანებას,
კვლავ აფასებენ თავსა მეფისას.

ორლიკს, გეტმანის შესულსა კაცსა,
მიმოჰყავს ვიღაც გლახა მთხოვარი;
ყოველგან თესვენ ღვარძლ ამბოხისას
ვინც რომ მაზეპას ერთგული არი;
დონის კაზაკებს ამღელვარებენ
მხნე ბულავანის მეოხებითა,
დნეპრის ჩხერთ იქით თავხედსა სროვას
შიშს ჰგვრიან პეტრეს მპყრობელობითა.
მაზეპას თვალი ყოველგან წვდება,
წერილებს გზავნის თემიდან თემში,
და ვერაგული დაშინებითა
ყირიმს ამხედრებს შვაგულ რუსეთში;
მას პოლაკთ მეფე უსმენს ვარშავში,
და ოჩაკოვში ფაშა ოსმალთა,
ბანაკში შვედთა და რუსთ მეფენი,—
რული არ მოსდის დღე-ღამ მის თვალთა.
ბორგავს სულითა, ფიქრით ფიქრსა ზრდის,
რომ უფრო მარჯვეთ მტერს დასცეს ზარი,
არ უსუსტდების ნება, ბოროტი
არ უნელდება ვნებაც მას ცხარი.
    რა რიგათ შეკრთა, რა რიგათ აცბა
და წამოვარდა გველნაკბენივით,
როცა უეცრათ მის წინ დაეცა
მტრის შორის მეხი ჭექა და ელვით!
როცა თავათ მას, რუსეთისა მტერს,
რუსის დიდ-კაცნი აწვდენდენ მსწრაფლათ
ბეზღების წერილს, მის მტრისა ნაწერს;
და შესაფერის რისხვისა ნაცვლათ,
ვით სხვერპლს ცილისას უთვლიდენ ალერსს;
თვითონ პეტრე კი გართული ომით,
ცილის წამებას კითხულობს წყრომით,
ყურს არ ათხოვებს ბეზღებას, სდუმებს,

და ნუგეშ უთვლის: მკაცრი სასჯელით
რომ საუკუნოთ მტრებს ჩაუჩუმებს!
        შენაფერები მწუხარებითა
მაზეპამ პეტრეს ეს მოახსენა:
ქვეყანამ უწყის, ერთგულებითა
ოცი წელია — ხედავს თვით ზენა —
გემსახურები და წყალობითა
თქვენგან აღვსილი გახლავარ მენა.
ოჰ, რა ბრმა არის და უგუნური
მოშურნეების ჩემდამი მტრობა!
რადა დრო არის ჩემ სახელს თქვენ წინ
ჩირქი მოვცხო და ვიწყო მუხთლობა?
განა ის არ ვარ, ვინც სტანისლავსა
უკმეხათ ვარი ვუთხარ შველაზე,
არ დავეთანხმე ჯილდოთ ნაძლევის
უკრაინის ტახტის მას მიღებაზე;
ვინც პირობები, მიწერ-მოწერა,
ვით ვალი მედვა, გაასხე კარზე?
განა ის არ ვარ, ვინც ხანის თათბირს
და ხვანთქრისასაც — გავუდექ განზე?
ატყინებული ერთგულებითა
თქვენს მტრებს, მეფევ, პასუხს ვაძლევდი
როგორც შემეძლო, — ჭკუით და ხმლითა;
შრომას, სიცოცხლეს აღარ ვზოგავდი,
და აწ ბოროტი მტერი ცილითა
ჰბედავს შებღალოს ჩემი ჭაღარა!
ეს უნდა მიქნან ძველ მეგობრებმა
კოჩუბემ, ისკრამ, სხვებმა კი არა!"
ცრემლს ღვრის მაზეპა, და იმათ სიკვდილს
მეფეს თხოვს, — ტანჯი სხვა არ აკმარა.
        ვინ უნდა მოკლას. ავმა მოხუცმა?
ვის ქალს ეხვევა, აღარა ფიქრობს?

მარა უგრძნობლათ თავის გულისას
მიძინებულსა მხილებას იღშობს.
ის ასე ფიქრობს: რათ დაუზმანა,
ერთი ვიცოდე ჭია გველსაო?
თვით კოჩუბეი, გონება-ლაღი,
თავისთვის ლესავს ჭირის ცელსაო.
სით მირბის ასე თვალებ დახუჭვით?
იმედი ვისგან უნდა ჰქონდეს ხსნის?
ეგებ მაროსგან... მარა ტრფიალი
ჩემგან მაროსი მის თავს ვერ იხსნის.
გეტმანი დაძლევს მიჯნურს ყველაფრათ
თვარა მეწვევა კაი დღე მტრისთვის...
საწყალობელო მარიამ, ტურფათ
ჩერქასელთ ასულთ შარავანდედო,
რა გველია მაგ არ იცი, მკერდში
გამობარი რომ გყავს—შენი საბედო;
რა უცნაური ჯადოსნობითა
შენ მიგიზიდა ასე ძლიერათ
სულმა გარყვნილმა, სულმა მძვინვარემ?
ვის ჩაუვარდი ხელში შენ სხვერპლათ?
მისი ჭაღარა ხუჭუჭი თმები,
მისი სახისა დაღმეჭილობა,
თვალნი ბრწყინვალე, ჩაცვივნულები,
მისი საუბრის დაკვანძულობა
ყველაფერს გიჯობს ეშხით ხარ მთვრალი!
მისთვის გაწირე შენ ღვიძლი დედა,
დაჰგმე მშობლების სახლი და კარი!
უცნაური და ეშხიან თვალით
ბერი კაცისგან ხარ მოხიბლული,
მისი ლაქუცა მჭევრმეტყველობით,
სინიდისი გაქვს მიძინებული;
იმდენათა ხარ დაბრმავებული,

რომ მას შეყურებ სასოებითა,
თავსა ევლები და შენვე ტკბები
შენივე ლაღვითა და სირცხვილითა;
ესდენ მოგხიბლა გრძნობა-ჭკუითი, რომ
მისით ამაყობ ისე, ვით ქალთა
დამაშვენებელ უმანკოებით,
და მორცხვობისა სათნო სიტურფეც
უკვე დაღუპე ბოლო მოღებით.
არაფრათ აგდებს მარიამ სირცხვილს,
არც მთელი ერის მითქმა-მოთქმასა,
არც ქვეყნის მდურვას, რადგან მაზეზა
ამაყ თავს აყრდნობს იმის კალთასა.
მასთან ალერსი დარდს, მღელვარებას
მაშვრალს მაზეზას ავიწყებს მთელათ,
საზაროსა და თამამსა ფიქრებს
მას, მშიშარა ქალს, უმხელს გულწრფელათ,
არ ენანება მარიამს თვისი
წასრულნი დღენი უმანკოების
ხოლო ნისლივით ზოგჯერ უბურავს
ჭმუნვა სათნო სულს უბიწოების:
თვალ ცრემლიანსა სულ ელანდება
დედ-მამა, მისგან დაშორებული,
სიბერის დღეში ერთათ ერთისა
ქალიშვილისგან მიტოვებული...
ასე ჰგონია, რომ მის ყურთ ესმის
მშობელთ ვედრება გამწარებული.
ოჰ, რომ იცოდეს იმ უბედურმა
რაც ირგვლივ ესმის ირგვლივ მთელ მხარეს!
მარა ჯერ იმას არავინ უმხელს
საიდუმლოსა საშინელს, მწარეს...

## სიმღერა მეორე.

მაზეპას, ზაფრით დაღვრემილს, ჭკუას
და გონსა უკრთობს მძაფრი ოცნება.
მარიამ თავის ქმარს მოხუცებულს
სიყვარულით მზერს, ტრფობით ეგზნება,
მუხლებს ეხვევა, ელაციცება,
მარა ამაოთ: მაზეპას ფიქრებს
მისი ტრფიალი ვერ შეაჭრის ფრთებს.
საწყალობელის ცოლის ალერსებს
მაზეპა ხვდება ცივათ, უგულოთ
და ტრფიალითა მიფერებაზე
პასუხსა უგებს დუმილით მხოლოდ.
ეს საქციელი მაროს აკვირვებს
შეურაცხყოფილს ძლივს ითქვამს სულსა,
ზე წამოდგება და გაბრაზებით
კადრებს თავის ქმარს, გულ-გაყინულსა:
„ყური მომაპყარ, გეტმანო: შენთვის
მე ყველაფერი უარ ვყავ ქვეყნათ,
შენ შეგიყვარე სამარადისოთ,
შენი ტრფობა მაქვს ნუგეშათ, საგნათ.
გავწირე ბედი, მაგ გრძნობისათვის
და აღარაფერს აღარა ვნაღვლობ.—
შენ დაგენაცვლე მე ტრფობისათვის,
და რაღას მერჩი, რაც მტანჯე, კმარა!
გახსოვს ის ღამე, საზაროთ მყუდრო,
როს პირველ გიძღვენ სული და გული?
არ გახსოვს ფიცი „მეყვარებიო“...
აწ რათ მომაკელ, თქვი, სიყვარული?

მაზეპა.

სატრფოვ, შენ გგონია, უსამართლო ხარ,
დაეხსენ მაგგვარ რეგვნურ ოცნებას,
მაგ იჭვებითა გულს ტყვილა იხეთქ;
აჩაგვრევინებ გრძნობას ბრმა ვნებას.
მენდვე, მარიამ, შენ უფრო გეტრფი
ვიდრე ჩემს სახელს და ხელმწიფებას.

მარიამ.

მაგ ტყუილია, და არც მე მჯერა.
დღემდი გვერდიდან არ მშორდებოდი
დღეს კი მოგწყინდა ჩემი თვით მზერა...
ნუ თუ ამ ბედსა შენ მპირდებოდი?
მთელი დღეობით თავკაცებში ხარ,
ლხინში ან მგზავრათ, ივიწყებ მაროს.
ღამე მარტოთ ჰზი, ანუ მოხოვართან,
ან ეზუიტთან ატარებ კვლავ დროს,
და მოკრძალული ჩემი ტრფიალი
შენს მკერდში ჰპოვებს ცივ გულს უგრძნობსა,
წლეულს ღვინოსაც მიირთმევ თურმე
ქალბატონ დულსკის სადღეგრძელოსა.
მითხარ, ვინ არის ის ქალბატონი?

მაზეპა.

იჭვნეულობ თუ? ჩემი ხნის კაცის
რადა დრო არის კეკლუცთ ტრფიალი?
აწ აღარ ძალმიცს მოცლილ ყრმასავით
ტურფას ავუნთო ვნებისა ალი,

გავება ეშხის მახეს სასირცხოს,
საესავ საგნათ მიმაჩნდეს ქალი!

მარიამ.

არა, ქარაგმით ნურაფერს ამბობ,
პირდაპირ მითხარ სიტყვა მართალი.

მაზეპა.

სულის სიმშვიდეს შენსას ძვირათ ვთვლი,
რაც იყოს, იყოს, — გეტყვი ხვაშიადს:
დიდი ხანია ერთს საგანს მივსდევთ,
მისგან მოველით ნაყოფსა დიდს.
სანეტარო დროს მოვესწარით ჩვენ:
დიდებულ ბრძოლის დაჰკრა საათმა...
უთავისუფლოთი და უსახელოთი
დიდი ხანია რაც ჩვენმა ხალხმა
ითმინა პოლაკთ ზე მფარველობა,
რუსების მძიმე თვით-მპყრობელობა:
აწ თავისუფალ სახელმწიფოთა
დროა ცხოვრობდეს მოლოროსსობა!
სისხლის სანთხევის თავისუფლების
ავმართე დროშა, ძირს მტერთ მთავრობა!
მთლათ მარაგათ მაქვს სულ ყველაფერი,
თვით პაემანიც ორი მეფისა,
ბრძოლისა ველზე გამოდის ერი...
ეგებ ხელთ ვიგდო ტახტიც მეფისა!
მეგობრებიცა საიმედო მყავს,
თავადის ქალი გვარათ დულსკისა,
იეზუიტი და ის მთხოვარი.
საქმესა ჩარხვენ და ბოლოს კარგსაც

მისცემენ, სრული იმედი არი.
მათ შეოხებით ვიღებ მეფეთგან
გამონაგზავნთა წერილთ, სიგელებს.
სრული სიმართლე გაუწყე, მიხვდი
ახლა ხომ მაინც, თუ რა მახელებს?
კმაყოფილი ხარ? ფრიად შეაკვეცე,
თუ კიდევ არა მტანჯველ ოცნებებს?

მარიამ.

ოჰ, ჩემო ტურფავ. კიდეც იქნები
შენგან დახსნილის მამულის მეფეთ!
და დაშვენდება შენსა ჭაღარას
სამეფო ჯიღა მოელვარე ზედ!!

მაზეპა.

მოიცა. ფონი, თქმულა გასავალს.
მოსალოდნია კიდევ ხიფათი.
ვინ იცის, ბედი ხვალე რას მიზამს!

მარიამ.

შენთან ვარ, შიში არაფრის არ მაქვს!
ძლიერებით შენ ვინ შეგედრება?
ვიცი და გულიც მეუბნება, რომ
სამეფო ტახტი შენ არ აგცდება!

მაზეპა.

ტახტის წილ თოკი ბედმა რომ მარგოს?

მარიამ.

და მეც გავება მაშინ იმ თოკში,

შენს შემდეგ ღმერთმა ნუღარ მამყოფოს!!
მარა არ მჯერა მაგ ბედის იყო:
ვესავ შენს სახის იერს სამეფოს.

მაზეპა.

გიყვარვარ?

მარიამ.

მიყვარხარ?! საკითხავია!

მაზეპა.

ვინ უფრო გიყვარს: მამა თუ ქმარი?

მარიამ.

ჩემო ძვირფასო, მაგას რათ მკითხავ?
მაგით მეცემა გულს შხამის ქარი.
ვცდილობ დედ-მამის დავიწყებასა,
თვითვე ვგრძნობ — მათთვის ვარ სასირცხვილო.
ეგების მამამ კიდეც გადამცა,
და ვის წყალობით, ვიღას შევჩივლო!

მაზეპა.

მაშ, მე გიყვარვარ მამაზე უფრო!
რაღათ გაჩუმდი?

მარიამ.

ოჰ, ღმერთო.

მაზეპა.

თქვი, რადა.

მარიამ.

თვით გადაწყვიტე!

მაზეპა.

ვთქვათ, რომ ჩვენ ორში ერთ-ერთი უნდა
იყოს სიკვდილით საწამებელი,
და შენ მსაჯულათ იჯდე, — ჩვენ ორში
ვისი იქმნები თანამგრძნობელი,
ვის გაწირავდი' ვის დაიცავდი'

მარიამ.

კმარა, მეუფევ, გულს ნუ მიქენჯნი,
ნუღარ ხარ ჩემი მაწამებელი.

მაზეპა.

არა, უნდა თქვა.

მარიამ.

გაფითრებულხარ... ამბობ საშინელს...
გული ნუ მოგდის! მზათ ვარ ყოველი
შენ შემოგწირო, შენ განაცვალო.
მაშინებს ამის თქმა საშინელი.
მაკმარე.

## მაზეპა.

გახსოვდეს, მარო, რაც ეხლა მითხარ.

მყუდრო ღამეა უკრაინისა.
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი ბრწყვიალებს,
ჭაერს აღარ სურს განიფრთხოს რული
ბოკვთა ფოთლები ოდნავ შრიალებს:
მთვარე ცის ლაჟვარდში გაბადრული,
თეთრ ეკლესიას ტურფათ დანათებს,
და გეტმანისა ჩინებულ ბაღებს
და ძველ ციხე-კოშკს უხვათ ანათებს,
მირინდებულა მთლათ არე-მარე,
მხოლოთ კოშკშია რაღაც ფაცური.
ერთ-ერთს დილეგში, სარკმლის რკინასთან
კოჩუბეი ზის ღრმა ფიქრს გართული,
ხუნდებ გაყრილი, იგი პირქუშათ
ზეცას შეჰყურებს წარბებ შეკრული.
ხვალ აწამებენ. მარა უშიშრათ
დაუხვდება ის ტანჯვას ხვალინდელს;
არ ენანება სიცოცხლე. სიკვდილს
იგი მოელის, ვით ძილს სანატრელს...
თვლემა ერევა—მხოლოთ ერთი რამ
გულსა უღადრავს, ტანჯავს, აწვალებს:
„მოვკვდე და ვისგან! მაზეპასაგან,
და ისიც შურის მიუგებელათ?
რა ვუთხრა ჩემ ბედს! თვით მეფემ მიმცა
თავისვე მტერსა საწამებელათ...
სიცოცხლეს ვკარგავ, ამას არ ვტირი—
ვკარგავ მასთანვე თვით სახელსაცა,
ჩემ-გამო ჩემთან უნდა აწამონ
აგრეთვე ჩემი მეგობრებიცა;

საფლავში მათი წყევლა ჩამყვება;
ჩვალ თავს წავუწვდენ ქვეშ ნაჯახსა მჭრელს
მტერი ღიმილით თავს დამადგება,
როცა გადამხვევს სიკვდილი ცივ ხელს.
ასე ვთავდები ვერვის ვანდერძობ,
რომ მაგიერი მიაგოს ჩემ მტერს!
და მოაგონდა თავის პოლტავა
მეგობრების წრე, ოჯახის კერა,
სიმდიდრე გავლილ დღეთ და სახელი,
თავის ასულის ტკბილი სიმღერა,
ძველი სასახლე სადაც დაიბადა,
სადაც გაეცნო ღვაწლს, მოსვენებას;
კვლავ გაახსენდა რაც სიცოცხლეში
გვრიდა ტკბილ წამებს, სიამოვნებას
და რაც უარჰყო თავისვე ნებით.
ამ დროს რაზმში გასაღების ხმა
კოჩუბეისა ბედკრულს მოესმა.
გამოელვიძა მას ამა ხმაზე,
ფიქრობს ეს არის მამა მოძღვარი.
„სისხლით მოსარწყავ წამების გზაზე
„სურს მიწინამძღვროს მაცხოვრის ჯვარი,
„ცოდვის მძლე შემნდობს, სულიერს მკურნალს,
„ჩვენივის ჯვარცმულის მსახურსა მოაქვს
„წმინდა სისხლი და ხორცი მაცხოვრის.
„ღმერთო, სიკვდილსა მხნეთ შემახვედრე
„და განმისვენე წმიდათა შორის!“
მას გულითადი სასოებითა
მსურვალე ლოცვით და ვედრებითა
სურს შეავედროს არსთა შემოქმედს
ცრემლით ნალტობი ზაფრა გულისა,
მარა ამ დროსვე კარზე მომდგარს ჭვრეტს
მოძღვრის მაგიერ—მძვინვარ ორლიკსა.

მისდამი ზიზღით გატაცებული
სიმწარით კითხავს—შენ ულმობელო,
ახლაც მისგან ხარ მოვლინებული?
უკანასკნელსაც სავანეშიაც
არ მასვენებს ის შეჩვენებული?

ორლიკ.

გეტმანმა იცის, რომ კვლავ ჩვენება
შენ ჩამოგართვა, მისთვის მოველი.

კოჩუბეი.

ნათქმი მაქვს წინათ, აწ კი მომშორდი.

ორლიკ.

პატრონს გეტმანს სურს, რომ კიდევ ერთი
გამოტეხილი გათქმევინოს რამ.

კოჩუბეი.

რაღა უნდა ვთქვა? რაცა გინდოდათ
ხომ გაგიმჟღავნეთ სულ ყველაფერი?
აქამდი რაც ვთქვი, სულ ტყუილი იყო.
მე გიგებთ მახეს, მე ვარ ცბიერი.
სულ მართალია თქვენი გეტმანი.
სხვა რა სურს ჩემგან გულს ჩემის მტრისა?

ორლიკ.

ყველამ ვიცით, რომ უთვალავისა
პატრონი იყავ შენ სიმდიდრისა,
რომ დიკანკაში დამარხული გაქვს
მრავალი განძი ოქრო-ვერცხლისა.

შენ უნდა მოკვდე. რაც ქონება გაქვს
მოემატება თანხას ერისას.
ასეა წესი. ახლა გახსენებ
შენს უკანასკნელ მოვალეობას:
გამოტყუდი, გვითხარ, სად ჰპოვებთ დაფლულს
შენსა უთვალავს განძეულობას?

კოჩუბეი.

სულ სამი განძი, სამი სიმდიდრე,
ვიდრე ვცოცხლობდი მიტკბობდა სულსა:
პირველი იყო ჩემი სახელი—
მითი მომქონდა იავი ბედკრულსა;
მტრისგან წამებამ იგი წამართვა....
მეორე განძი ჩემი ასულის
ნამუსი იყო. უნდო მაზეპამ
ვერაგობითა მოიპარა ის.
მარა დავკრძალეთ შურის ძიება.
ის ჩემთვის წმინდა განძი მესამე, —
მას მიუტან ღმერთს, ვისაც ვესავ მე.

ორლიკ.

ხელი აღე მაგ გვარ ჩმახვასა!
შენ წუთის სოფელს დღეს ეთხოვები—
სულზე იზრუნე. თუ კვლავ ტანჯვასა
არ გსურს შეემთხვე, —შენი განძები
გვითხარ, სად გაქვს, რა ალაგასა?

კოჩუბეი.

ავ-სულო მონავ!
აღარ ათავებ უგუნურ კითხვებს შენ?
დამაცა, ჩავწვე ჯერ სამარეში,

მერმე მიდექით მაზეპა და შენ—
ითვალეთ განძი ჩემ სასახლეში;
სალაროები სარდაივ-საბძლები
მთლათ გადათხარეთ, აჩხეთ ბაღი,
ცეცხლითა დაწვით ჩემი სახლები;
თან წაიტანეთ ის ჩემი ბალღი,
იგი გიამბობსთ წვრილათ ყველაფერს,
გიჩვენებსთ ჩემსა განძსა დამარხულს, —
ოღონდ ეხლა კი, გაფიცებ შენს ღმერთს,
დამტოვე ჩემდა, მომშორდი ბედკრულს!

## ორლიკ.

ფული სად ჩაჰფალ, — ეს უნდა გვითხრა.
არ გვეუბნები? თქვი, სად გაქვს ფული?
თვარა ძიება ცუდათ თავდება.
გამოტყდი: სად გაქვს განძი დაფლული?
ხმასაც არ იღებ? შენი წამება
ეხლავ იქნება. ჰეი ჯალათო!
ჯალათი გაჩნდა იქვე, ერთ ლანდზე.
ოჰ, საშინელო ღამევ წამების!
მაზეპა არ ჩანს. სად გაექცა ის
კიცხვა-მხილებას გველურ სინიდისის?
იმის ოთახში, ვისაც ამ ამბავთ
არ ცოდნა ჯერეც ხეტარებას გვრის,
მშვიდ სარეცელის შორე მახლობლათ
თავ-ჩაქინდრული, კუშტათ მდუმარე,
წარბ-შერჭმული ზის მაზეპა ობლათ,
მოზვავებია შავი ფიქრები:
გადუწყვეტია კოჩუბეგ მოკვდეს, —
ხსნა არაფრის გზით არ შეიძლება!
დრო შურის გების რაც ახლოვდება,

სულ ამას ჰფიქრობს მაზეპა, მარა
ცოლის სარეცელს არ აკვირდება—
ფიქრი ფიქრზედა შავათ აწვება...
ჰგონებს თუ: რას იქს მარო როს მამის
სიკვდილით დასჯა ყურში ჩაწვდება?
ჯერ კიდევ გულით დამშვიდებულსა
ვერ დაუმალავთ კვლავაც ხვაშიადს:
თავს რომ მოკვეთენ ხვალ ბრალდებულსა,
ყველა გაიგებს ამ საქმეს დიადს.
მთელი ხალხის ხმა ამის ყურამდეც
მოიტანს ამბავს შავბედითს, ფრიადს...
ახლა კი ვხედავ: თუ წერისაგან
წილ-ხდომილია კაცი ბედთან ომს,
მარტო დაუხვდეს ჯობს ელვა ჭექვას
და ცოლს ნუ ირთავს—ხელს ვერ შეუწყობს;
ერთსა უღელში ვერ შეებმიან
მკრთალი ირემი და ბედაური.
გაუფრთხილებლათ გავითავისწინდი—
და ახლა მხდება ბრიყვთა საური!
რაც საუნჯეა ფას-დაუთქმელი,
რაიცა გიტკბობს ქვეყნათ სიცოცხლეს,
მე შემომწირა მან ყველაფერი,
და რა მოელის ნაცვლათ ჩემგან დღეს?
მას ზარი უნდა მე დავცე თავზე!
კვლავ გადახედა მაზეპამ მაროს,
და მას კვლავ ძინავს მშვიდ სარეცელზე
სიყმაწვილისა ტკბილი განცხრომით.
თვით ძილი დატრფის ტურფას მძინარეს!
ბაგე გაეპო, უშფოთველობით
ყმაწვილი მკერდი მისი ფშვინვარებს...
აქ სახვალიო საქმე მაზეპას
გაახსენდა და იბრუნა პირი.

ადგა და ბაღში ფეხებ აკრეფით
მიდის, ხევნარი იქ ხვდება ხშირი...
მყუდრო ღამეა უკრაინისა,
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი ბრწყვიალებს,
ჰაერს აღარ სურს განიფრთხოს რული,
ბოკვთა ფოთლები ოდნავ შრიალებს.
ბნელი ოცნების უცნაურ გუნდი
ქენჯნის მაზეპას, გულსა უბზარავს,
ღამის ვარსკვლავნი, ვით ბრალმდებელის
თვალნი, დაცქერენ იმის ჭაღარას.
ალვის ხეები, მიჯრით ჩარგულნი,
ოდნავ არხევენ მაღალ მწვერვალებს,
და ჩურჩულობენ მსაჯულებივით.
ზაფხულის თბილი ღამე მას ბნელი
სულსა უხუთავს ცივ დილეგივით.
უცებ, მოესმის სუსტი ყივილი,
თითქო კოშკშია ვიღაცა ოხრავს...
სიზმარი იყო, თუ ბუს ძახილი,
წამების კვნესა, ნადირთ ზუილი,
ანუ სხვა რამ ხმა — მაზეპამ მაინც
ველარ დაძლია მღელვარებასა,
და იმ სუსტ კივილს თავის მკერდიდან
კივილითავე ის აძლევს ბანსა.
ხმას აძლევს იგი იმავ კილოზე,
რომლითაც ხშირათ ატაცებითა
მძლეთ გაჰკიოდა ბრძოლისა ველზე,
როცა ზაბელა და გამალეი
ცხენით აჭენებდენ მასთან ხმლით ხელში,
და თვით ეს... შავ-დღის ეს კოჩუბეი
მის გვერდით ჰქროდა ომის ქარ-ცეცხლში!
ცისკარმა ფრთები ალისფერი
ცის მიდამოს ჰკრა, გაფანტა ბნელი;

გააბრწყინა მთა, ბორცვები, ველი,
ხევნართ კაარნი და ჭევლნი წყალთა,
გაისმა დილის მრგვლივ ჟრიამული,
გამოეღვიძა ადამიანთა.
 მარიამ კიდევ ჯერ ტკბილათ სუნთქავს,
მთლათ შეუპყრია ძალას თვლემისას,
და ოქსიზელს ძილში, უცბათ ფეხის ხმას
მოცაკრა ყური მან ვიღაცისას.
მოსულმა ხელი ჰკრა მაროს ფეხზე
და მყის გაუქრო სიტკბო ძილისა,
მარა იმ წამსვე თვალი ღიმილით
დაახუჭვინეს მზის სხივთ დილისა
ორთავ ხელს უწვდენს მარო მოსულსა
და მიბნედილი, ეშხ-მორეული,
მაზეპა ხარო? ეკითხება მას
მარა მოესმის ხმა სხვისეული.
მარო შეკრთება, მიმოიხედავს...
და ივით ღვიძლ დედას თავის წინ ხედავს...

დედა.

 სუ, შვილო, ყური არ მოჰკრან, ჩუმათ!
თვარა უთუოთ დავიღუპებით.
შემოპარული ვარ აქ ქურდულათ
რომ გთხოვო ერთი რამ ცრემლთა ფრქვევით.
სიკვდილით სჯიან დღეს უბედურსა...
შვილო, შენ, მარტო შენ მოარჯულებ
იმათ გულის თქმას გამხეცებულსა!
შვილი მშობლისთვის, ამ შავი დღისთვის,
უშველე მამას გაჭირებულსა!

შვილი (ზარ-დაცემული).

ვინ, ვისი მამა? ვინ უნდა მოკლან?

### დედა.

როგორ? შენ დღემდის არა იცი. რა?
უდაბნოში ხარ, თუ სასახლეში?
უნდა იცოდე რა ძლიერია
და ზავთიანი გეტმანი ჩვენში;
რა რიგათ თავის მტრებს უგებს შურსა,
როგორ უჯერებს მეფეც ყველაფერს,—
მარა გატყობ, რომ ოჯახს ბედკრულსა
გმობ, სხვერპლათ წირავ მაზეპას, ჩვენს მტერს.
მამას უღმერთოთ გისამართლებენ,
უკითხვენ მტრები მკაცრსა განაჩენს,
ემუქრებიან თავის წაგვეთას
და შენ კი გძინავს?.. ვაჰმე, დედა შენს!
ღმერთის შეხე შვილო, მოგვეც საშველი
წა, გაეჩქარე, შევედრე გეტმანს,
დაიხსენ მამა, გვექმენ მფარველი:
შენ რომ შეხედავ, ბოროტ განძრახვას
მათსა შეეკვრის მაშინვე ხელი,
და ცულდს, მოქნეულს, ააცდენ მამას.
წა, იხოვე გეტმანს, უარ ვერ გეტყვის:
შვილო, ნამუსი მას არ შეწირე?
შემოქმედი და ცა დაგმე მისთვის,
და მშობლებიცა მწარეთ გვატირე?

### შვილი.

რა მემართება!.. მამა .. მაზეპა...
სიკვდილით დასჯა და აქ, ამ სრაში,
სახვეწნათ ჩემთან მოსული დედა—
ან გადვირიე, ან ვარ სიზმარში.

## დედა.

რას ამბობ შვილო, რისი სიზმარი?
რაც გესმის ნამდვილ მართალი არი!
ნუ თუ არ იცი — შენი სირცხვილი
ვერ დათმო მამამ გაავთრებულმა,
და დააბეზღა მეფეს გეტმანი
შურის ძიებით აბორგებულმა?
ნუ თუ არ იცი, რომ ის აწამეს
და გატყდა ზრახვა-დანაპირებში,
რომ დაბეზღება თვით აღიარა
ცილის წამებათ მან ყველაფერში;
რომ მისი თავი მტერს ხელში მისცეს,
და ღვთის განგებამ თუ არ უშველა,
მაშინ უთუოთ დღეს უნდა მოკვდეს
საჯაროთ მინდვრათ, რომ მზერდეს ყველა.
ნუ თუ არ იცი, რომ ის სასახლის
აქ ზის დილეგში, სად ჭყარს და ბნელა?

## შვილი.

ოჰ, ღმერთო! დღესვე! საბრალო მამა!
ეს-და წარმოსთქვა კი ქალმა ძლივსა,
და მყის ჩაეცა თავის ლოგინში
ვით კოლინდარი პირქვე ცელისა.
ხალხი ფუსფუსებს. ელავს შუბები,
დაფსა ცემენ და ჭენებ-ჭენებით
თავს იყრის ჯარი სერდიუკებისა;
იქვე რაზმებათ იწკაპებიან
გუნდი და გუნდი სხვა ჯარებისა.
გროვა მჭვრეტელთა დუღს და გადმოდის.
ყველა იქ მყოფის გული ცემს და თრთის.

გზაზედა ხალხი, ჭდევიითა მდგომი,
იჯრება, როგორც ხროვა ჯიანჭვლის.
მინდვრათ ფიცრული თავ-საკვეთია,
ჯალათი დადის ზედ მხიარულათ.
უმაძღარ სვავებრ მოელის სხვერპლსა,
ეთამაშება ცულდს მეგობრულათ,
ხუმრობას მართავს ბრბოსთან უზრდელს.
იქ მყოფთ ფუჩუნი გრგვინვათ გადიქცა,
ქალთა კივილსა, ლანძღვას, სიცილსა
და სამდურავსა არ აქვს საზღვარი.
უცებ ვიღაცამ წამოიძახა—
და მყის დადუმდა ყველა, ვით მკვდარი.
სიჩუმე სუფევს. მხოლოთ მოისმა
შორიდან მხედართ ცხენთა ფეხის ხმა,
და თვალი მოკრეს: დიდი გეტმანი
შავ ცხენს ამაყათ მოაჭენებდა,
სერდიუკებით რაზმი გარს შემორტყმოდა,
თავ-კაცთა დასი მხარს უმშვენებდა.
მიღმა კიევის შარა-გზაზედა
ერთი ურემი მოჭრაჭუნებდა.
ყველამ დაუწყო ცქერა იმასა.
შიგ კოჩუბეის ხედვენ მართალსა,
ცა და მიწასთან შერიგებულსა,
სარწმუნოებით გამხნევებულსა.
გვერდით უჯდა მას ისკრა გულ-გრილი,
ზვარაკებრ, მწარე ხვედრის მორჩილი.
შედგა ურემი და მრგვლივ გაისმა
მგალობლებისა ლოცვა ხმა მაღლათ.
საცეცხლურებით აკმევენ საკმელს.
ბედკრულთა სულის შესაწყალებლათ
იქ დამსწრეთ უხმოთ შევედრეს ღმერთსა,
აგრევე ტანჯულთა მტანჯველებისთვის

შენდობა თხოვეს არსებით ერთსა.
　　აჰა, ადიან თავსაკვეთზედა.
კოჩუბეი წვება და პირჯვარს იწერს
ვითა სამარე ისე დუმილებს
ბრბო რა სანახავს საზაროს უმზერს.
ნაჯახმა მჭრელმა გაიკრიალა
და თავი სხვერპლის მოცილდა კისერს.
ზარი დაეცა ხალხს მაყურებელს...
ისკრას თავიცა სისხლისა ღვარით
მისდევს მეგობარს განუშორებელს.
მთლათ შეიღება მიწა სისხლითა.
გახარებული ბოროტ გულითა
ჯალათი დაწვდა ორსავე თავებს,
და, ელდა ნაკრავ მჭვრეტელ ხალხის წინ,
მარჯვეთ ქოჩრებით მიმოაქანებს.
　　გათავდა. მოკლეს დღეს ორი სხვერპლი.
მიმოიფანტა ბრბო უდარდელი.
სახლს მიმართა მან, საუბრის საგნათ
იგივ ჯავრი აქვს მას კვლავინდელი.
თან და თან იგი იცლება ველი.
გაბრუნებულიგან აჭრელებული
გზა გადირბინა ორმა ასულმა.
დაღლილან კიდეც, გასვრილან მტვერით
და ეტყობათ, რომ თავსაკვეთს ადგილს,
მიემშურებათ მათ გულის ძგერით.
„დაგაგვიანდათ" ვიღაცამ უთხრა
და თავსაკვეთი უჩვენა ხელით.
იქ ფიცრულს მუშა ანგრევდა, დარდი
არ ქონდა ლოცვის იქ მდგარ ხუცისა,
სანქაროთ ორი კაზაკი მარდი
ურემში დებდა კუბოს მუხისა.
　　ცხენოსანთ რაზმსა წინ ზავთიანი

მაზეპა უძღვის განმარტოებით.
ტანჯავს მას სულის ცალიერობა
საშინელების ამაოებით.
ვერვინ უბედავს დაახლოვებას,
და თვითონ იგი ხმას არავის ცემს;
ოვლათ ქცეულსა ცხენს მიაგელვებს
მივიდა სახლში. მყისვე ფარეშებს
დაეკითხება მაროს ამბავსა.
პასუხს აძლევენ მას გაურკვეველს,
ბუტბუტით მოჰყვენ რაღაც ჩმახვასა...
უეცარ შიშით გულ განაგმერი
შეიჭრა იგი ცოლის საწოლში—
საწოლი დახვდა მას ცალიერი,—
ბაღსა მიმართა, ეძებს ჩეროში,
მარა ვერც ხეს ქვეშ, ვერც შადრევნებთან,
ვერც დერეფნების მყუდრო ბნელოში
მაზეპამ მაროს ვერ ნახა კვალი,—
გაპარულია! ერთგულთ სერდიუკებით
უყვირს, ბრძანებს: დამდეთო ვალი....
შეიქნა ცხენთა ფრთხვენა, ჭენება,
მდევართ კივილი დადევნებისა,
ვინ ვის გაუსწრებს—მიჰქრიან ყოველგან
საითკენც ნათელს კი ხედვენ ცისა!
ჟამი ჰრბის, ჟამი თვას-დაუთქმელი,
მარო მაზეპას აღარ ჰყავს, არა...
არავინ იცის, არც ვის სმენია
რისთვის და როგორ ის გაიპარა.—
მაზეპა ჯავრით გულსა სკდება,
სულ-განაბულ ყმათ ჰგვრის შიშის ზარსა.
შხამი დარდისა უდიადდება,
საწოლში შევა, ჩაიკეტს კარსა;
იტანჯვის, რული არ ეკარება.

დილა-ადრიან შინ ბრუნდებიან
მოუმენი, მდევრად გაგზავნილები.
ზოგს დაკარგვია აღვირი, ნალი
თოქალთო, ქეჩა, მოსართავები;
ზოგს მოჭყოლია ნამსხვრევ-ნაბალთი
სისხლსა და ოფლში განაშავები.
ძლივს ადგმენ ფეხსა მათი ცხენები.
მარა საბრალოს მაროს ამბვისა
ვერ გაუგიათ მათ ვერაფერი,
და მისი კვალი არსებობისა.
გაჰქრა, ვით გრიგალ-ქარით ეთერი...

## სიმღერა მესამე.

მისწრაფებასა სანატრ საგნისას
გეტმანს ვერ უშლის ღრმა მწუხარება.
თან და თან უფრო მაგრდება გულით
და ზვიადს კარლოსს უმეგობრდება.
ამასობაში, რომ უფრო მარჯვეთ
მტრებს აუხვიოს ფრთხილი თვალები,
ექიმებს იხვევს, წვება ლოგინში,
კვნესის, ეკარგვის ვითამ ძალები:
ომებსა, ჯაფას და სნეულებას
ის ჩაუგდია ასეთსა დღეში.
მომაკვდავია. გადასახლებას
მალე აპირებს ის იმ სოფელში.

სააღსარებოთ იწვევს მღვდელ მთავარს:
მტკიცეთ ადგია ქრისტიანთ წესსა,
და ის მაზეპას ჭაღარს მზაკვარს
საიდუმლობის ცხებს წმიდა ზეთსა.
    დრო მიდის. რუსნი ამაოთ მოსკოვს
სტუმრების წვევას ელოდებიან,
მტერთა ძველ სამარხთ შორის იდუმალ
შვედთათვის ქელეხს უმზადებიან.
    უეცრათ კარლმა გადაუხვია გზას
და მსწრაფლ მიმართა მან უკრაინას.
ეს დღეც მოუსწრო უკრაინასა.
და ცოცხალ-მკვდარი სარეცელიდან
დგება მაზეპა, გუშინ რომ გასლვას
ეპირებოდა წუთის სოფლიდან.
პეტრეს მტერია ძლიერი აწ ის,
და მიტომაც გული უცემს საგულეს:
ჯართ წინ მიმოქრის, თვალთაგან ცეცხლ ყრის,
მოიგდებს მერანს, ხმალსა იშიშვლებს
და დესნასაკენ საომრათ მიჰქრის.
ასე, ქვეშუდან იმ კარდინალმა,
ვითამ სიბერით მოხრილმა წელში,
როს თავს დაიდგა რომის თიარა,
გამოუმაწვილდა, გასწორდა წელში.
    ეს ამბავი, ელვასებრ მალი,
მოედვა მთელსა უკრაინასა,
საერო ბრძოლის ავარდა ალი:
სისხლი მოწყურდათ მხცოვანს და ყრმასა!
    რისხვა პეტრესან ნეტავ ვინ აწერს?
ბძანა და ყველგან ეკლესიებში
მღვდლებმა მაზეპა ხატზე გადაცეს.
თემის კრებაზე მაზეპას ნაცვლათ
სხვა აირჩიეს, გეტმანათ დასვეს.

ენისეის უდაბნოიდან
კოჩუბეის და ისკრას ოჯახებს
პეტრე სასწრაფოთ თანვე იახლებს.
ცრემლს აფრქვევს იმათ ტანჯვისა კურცხლებს,
ეალერსება, პატივს უახლებს,
და, ხელმწიფური გულ-უხვობითა
ჯილდო-წყალობით ყელამდე ავსებს.
მხედრათ განთქმული, პალეი ქველი
ექსორიიდან სახლში ბრუნდება,
და ხელმწიფის წინ თავის დამკვრელი
მეფის ბანაკში გამოცხადდება.
გაწირდა საქმე გოთაურების: *)
თავი მოკვეთეს ჩეჩელს მამაცსა
და ზაპოროჟის ბელადს ფაქკაცსა.
ომში სახელის მოხვეჭის ტრფიალს,
ვინც მეფის გვირგვინს არჩია ხმალი,
მოუახლოვდა დღე განკითხვისა:
პოლტავის ჯებირთ შორს მოკრა თვალი.
შეფემც იმ ადგილს აფრინა ჯარი —
ბრძოლის ველს განსდენ გრიგალ-ქარულათ,
და მტერთ ბანაკი ორი ერთმანეთს
მეის შემოერტყა გარს ჭადრაკულათ
ვით გამოცდილი, მძლე მოჭიდავე
სხვა ფალავნისგან დამარცხეხული, —
სულ-წასვლით ელის მასთან კვლავ შებმას
წინანდელ მარცხით აღელვებული, —
ისე დაუხვდენ დღეს ერთმანეთსა
ორივე ჯარი წაქეზებული.
გულ-გაბრაზებით კარლოსი ხედავს,
რომ მას წინ გზაზე გადაეხლართა

---

*) გოთაური-ინსურგენტი.

არა ის ჯარი რომელიც ნარვთან
მან დაიფრინა ვით ფარა ცხვართა,
არამედ წვრთნილი ჯარი, ბრწყინვალე,
მკვირცხლი მორჩილი მჴედართმთავრითან,
და ხიშტების ტყე მოელვარე...
    მარა მაინც თქვა: „ხვალ იქნეს ომი!“
ღრმა ძილი სუფევს შვედთა ბანაკში.
ხოლო ჩურჩულებს ვიღაცა ორი
საუბარი აქვსთ ერთსა კარავში.
    „არა, ორლიკო, ჩვენ რომ ავჩქარდით
და გვიცუდდება ჩვენი თათბირი,
ეს დამიჯერე, და ისიც, რომ ჩვენს
საქმეს არ უჩანს ბარაქის პირი.
მთლათ დამეღუპა საგანი, ბედი.
შევცდი, ვით კაცი მე ხორციელი.
სულ გამიცრუა კარლმა იმედი.
ის ყმაწვილია, მხნე. შემმართველი,
ადვილათ ძალუძს ზოგი ომი მძლეთ
მოიგოს, მტერსა ეწვიოს ვახშმათ:
ღამით მტრის ბანაკს მიეპაროს მხნეთ,
ქვე მეხის ტყვიას დახვდეს მცინარი;
მოკლას, როგორც დღეს, მტრისა მხედარი,
და მისვე სისხლით მყის გაიბანოს
დაჭრილობისა—მწვავე იარა.
მარა არ ძალუძს, რომ გაუმკლავდეს
თვით-მპყრობელობის ბუმბერაზ-დევსა;
მას გონია, რომ დაფ-დაფის დაკვრით
აათამაშებს, ჯარივით, ბედსა.
ის არის ფიცხი და ჯანიანი,
ბრმა, თავზვიადი, ადვილ დამჯერე,
მტრის ახალ ძალებს წარსული ძლევით
იგი დღეს ზომავს, — მე დამიჯერე.

ადრე თუ გვიან ის ფეხს წაიკრავს.
მრცხვენია, რომ მე, კაცმა ამ ხნისამ,
ავყევი რეგვნებრ მაგ მეომარ ბავშს;
მე გამაბრიყვა ბედმა, რომელიც
მუდამ წყალობდა იმას ომებში,
და იმ თვისებამ შემმართველობის,
რასაც იჩენდა იგი ბრძოლებში.
ასე გავბრიყვდი, თითქო ვიყავი
ქალი, ამრჩევი ქმრის საქმროებში.

ორლიკ.

ომს დავუცადოთ. პეტრესთან საქმის
გამოწყობისა დრო კიდევ არის.
გამობრუნებას შევძლებთ ბედისას
ჩვენკან ძლეული, იჭვი არ არის,
უარს არ იტყვის შერიგებისას.

მაზეპა.

გვიანღა არის... რუსების მეფე
აღარ ინდომებს ჩემს შერიგებას.
დიდი ხანია რაც ბედის წერა
გადუწყვეტია ჩემი განგებას;
დიდი ხანია რაც ჯავრი ჩამყვა
და გულს ვასკდები სანამ ვიზღვევ მას...
ერთხელ, აზოვში მრისხანე მეფეს
გვერდით ვუჯდეი წვეულებაში.
ღვინითა სავსე თასებს უწვეოთ
გვაცლეინებდა ჩვენ ტოლუმბაში.
მჭევრმეტყველობდით, როგორც გვმართებდა
სტუმრებს მეფისას ნადიმობაში.

სიტყვა წარმოვთქვი მე კადნიერი...
ნადიმათ მჯდომთა ეს იუცხოვეს,
პეტრე ულვაშს მწვდა ხელღონიერი...
უძლური ბრაზი გულს ჩავისვიე,
და აღთმა დავდევ—ვუზღო ნაცვალი;
ისე ვატარე ეგ ზღვევის ნდომა,
ვით მუცლათ შვილსა ატარებს ქალი!
ახლა კი დადგა დრო განკითხვისა...
დიაღ, ვიდრე კი ამ სოფლათ ცხოვრებს,
პეტრე ჩემზე ჯავრს ვერ მოიშორებს,
მის დასასჯელათ ვარ გაჩენილი,
იმის გვირგვინის მე ვარ ეკალი...
ის მზაა გაცეს სამეფო ცალი,
ან თავის დღეთა უკეთეს წამსი
დათმოს, ოღონდაც კვლავინდებურათ
ჩემსა ულვაშებს კვლავ მოდვას ბრჭყალნი!
მარა იმედი ჯერ კიდევ არი:
ვინ გაიქცევა, იმასაც ვნახავთ,
ამას გადაწყვეტს ხვალის ცისკარი.
        დადუმდა და ძილს მიეცა ისა,
მოღალატეი, რუსთ ხელმწიფისა.
        აღმოსავლეთსა სისხამ ცისკრისგან
ალისა ფერათ გააქვს ჰრიალი,
და ყოველ მხრიდან ველს და ბორცვებზე
ქვემეხთა უკვე ისმის გრიალი.
კვამლი ბოლქვებათ ზეცამდე ადის,
და ეგებება სხივთ განთიადის.
წივის ყუმბარა და სტვენს ტყვიები,
წაქანებული ელავს ხიშტები.
შვედებს, ძლევისა ამ პირმშო შვილებს,
ვერ უმაგრდება მტრისა სანგრები.
ცხენოსანთ რაზმი მიდის ჭენებით

მის კვალს მიჰყვება ქვეითა ჯარი,
რომ ურყეველის თავის სიმტკიცით
წინა რაზმს დროზე უმაგრის მხარი.
გრგვინვამ და ელვამ მოიცვა სრულათ
ეს შავბედითი ბრძოლისა ველი,
ცხადათ ეტყობა, რომ ძლევის ბედმა
რუსებს მიჰკერძა, მათ მისცა ხელი.
სროლისგან ჯარსა გამობრუნებულს
ეშლება კვალი, ქვე ინარცხება.
მთის ვიწროებით მიდის რაზმენი,
მხნე შლიპენბახი რუსებს ნებდება.
ავიწროებენ რუსები შვედებს,
უმტყუნა ბედმა მათ დროშის სახელს,
და მადლი ომის ღვთისა ამყარებს
წინ წადგმულს ნაბიჯს რუსთაგან ყოველს.
        სწორეთ ამ დროსვე ზე-ჩანაგონი
გაისმა პეტრე მეფის ხმა გრგვინვათ:
„საქმეს ვეწიოთ, ღვთიით უმაწვილებთ!“
და გამობძანდა კარვიდან მინდვრათ:
ახლავს ამალა საყვარელ პირთა,
თვალი უბრწყინავს სახე ზავთიანს;
მიმოხვრით ცქაფი, შვენიერია;
გრგვინავს ჰგავს ღვთისას ელვა-ჭექიანს.
მიდის. მოართვეს ემათ ბედაური,
მერანი სწრაფი და თვინიერი.
იგრძნო რა ბრძოლის აურზაური,
კანკალებს ცხენი, თვალ-ქაჩვით ველს ჭვრეტს,
და, ომის ბუქში დაჰქრის ამაყათ,
რაკი მხედრათ გრძნობს მეფეს მამაცს, მძლეს.
        შუა დღე დგება. მატულობს სიცხე.
ბრძოლა ვით გუთნის დედა ისვენებს,
იქა-აქ დაჰქრის ცხენით კაზაკი,

ჯარი ეწყობა, რაზმებს ასწორებს.
შეწყდა სამხედრო მუსიკისა ხმა —
და ქვემეხთაცა გრგვინვა გორებზე.
უცებ გაისმა „გაუმარჯოს-ო!“
მხედართ იხილეს პეტრე შორეზე'..
და ჩაუქროლა თავის ერთგულ ჯარს
მეფემ ძლიერმა სიამოვნებით.
ველსა ბრძოლისას ჭამდა თვალებით.
ამალათ ახლდენ თან დიდ-კაცები,
პეტრეს საკუთარ ბუდის ბარტყები,
მას რომ ამ სოფლის ბედ-უბედობის,
სამხედრო ღვაწლის და ხელმწიფობის
უდელს უწევდენ ამხანაგობის:
ბრიუსი, ბოური, მასთან რეპნინი,
შერემეტევი კეთილშობილი,
და ბედის პირმშო ძე უთვისტომო
ხელმწიფის კნინდა ტოლ-კაცათ ქმნილი.
    რაზმებსა კაზმულ ცისფერ სამოსლით
თავის გულადის და მხნე ჯარისას
გამოეცხადა კარლოს ტახტრევნით:
ტკივილებს იტანს ძლივს ჭრილობისას,
გაფითრებული დაჰყავთ ერთგულ ყმებს,
ძალსა ვერ ჰპოვებს საძრაობისას.
გმირი გარშემო ჭვრეტს მხედართ მთავრებს.
დაფიქრდა კარლოს. ამცბარ სახეზე
ეტყობა არის აღელვებული:
საწადელ ომმა თითქო ჯავრს მისცა,
და დღეს საგულეს ვერ უცემს გული.
უეცრათ ხელით ანიშნა ჯარსა,
და მიუტია რუსის საფარსა.
წინ დახვდა მეფის სპა, სისხლის მდომი
კვამლით მოცულსა ტრიალ მინდორში...

გახურდა ომი, პოლტავის ომი! *)
ცეცხლში, ტყვიების ხოშკაკალს ქვეშე,
ცოცხალ კედლისგან აოტებულსა
გამწყდართა რაზმზე ცოცხალნი ხიშტებს
ხელთ იმარჯვებენ წვერ წამახულსა;
ბოლქვა ღრუბლივით ცხენოსანთ დასნი
ხმლის ჩახაჩუხით, აბჯართ წკრიალით
ეძგერებიან ერთმანეთს მედგრათ —
და სისხლის ღვარი მიდის თქრიალით;
მოკლულთ ხროვაზე თუჯის ყუმბარა
მოკლულთა ხროვას ზედ დგამს, აყენებს,
ცოცხლებში დახტის, უსპობს სიცოცხლეს
სისხლში შიშინობს, ბდღვირსა აყენებს;
შვედნი და რუსნი იჩეხებიან
ხვრეტენ, ხიშტებზე აცმენ ერთმანეთს,
ისმის „ჰკა-მას" ხმა, მხედართ ყვირილი,
ქვემეხთა გრგვინვა, ცხენთა ჭიხვინი,
დაჭრილთა ოხვრა, კვნესა, კივილი,
ჯოჯოხეთის საშინელება
და ყოველ მხრიდან შავი სიკვდილი!
ამ განგაშის და სისხლის წვიმის დროს,
ზეშთაგონებულ თვალით ჭვრეტენ ომს
გულით დინჯი წინამძღოლები:
აკვირდებიან ჯართ მოძრაობას,
წინ და წინ წყვეტენ მარცხსა და ძლევას,
ჩუმათ აძლევენ ერთმანეთს რჩევას.
მარა ვინ არის ჭაღარა კაცი,

*) პოლტავის ომი მოხდა 1709 წლის ივნისის 27-ს. 1909 წლის ივნისის 27-ს იმპერატორის ნიკოლოზ II დასწრებით დიდი ამბვით გადიხადეს ამ ომის 200 წლის იუბილე.

გვერდით რომ უდგას მოსკოვის ყვავილს?
ორი კაზაკი უყენია მხარს,
შურით უყურებს ომისა გრიგალს.
ვერ მოახტება აწ იგი მერანს,
დაჩაჩანაკდა, მოტყდა დევნითა,
და კაზაკები ჯალეის ხმაზე
ვერ გაჩნდებიან ყოველი მხრითა.
უეცრათ მისმა იელვა თვალმა
და რისხვამ, როგორც ღამის წყვდიადმა
მოიცვა ჭმუხი, მოხუცის სახე.
რისთვის აღელდა ასე საშინლათ?
ომისა კვამლში თუ დაინახე
მოხუცო შენი მოსისხლე მტერი,
და ამ საჭირო წამში შეგზიზღდა
უძლურს თავისი დღენი ხნიერი?
    ფიქრში გართული ომს ჭვრეტს მაზეპა.
გარს ახვევია ამალა მარდი:
ნათესაობა, თავი კაცები
და სერდიუკები თან შენაზარდი.
ახლოს გაისმა თოფის გრიალი.
მაზეპას გვერდით ვოინაროვსკის
თოფი მბოლავი ეჭირა ხელში...,
იქვე კაზაკსა ყმას, საწყალობელს,
შეხედე—ეგდო სისხლის მორევში.
ცხენმა რა იგრძნო უმხედროთ არის,
მთლათ დათხუპნულმა მტვერ ქაფით მურში,
იშოვნა თავი, გაჭენდა მკვირცხლათ
და მიიმალა ბრძოლის ალმურში!
იგი კაზაკი შედგრათ ხმალ და ხმალ
და თვალებისა შმაგურ აღტყინვით
მიიჭრებოდა თავვათ გეტმანზე...
მაზეპამ რადაც შეკითხა იმ ყმას, –

პასუხს ვერ აძლევს იგი კითხვაზე;
სულთ-მობრძავია, თუმც მიხრწნილ თვალით
კვლავ ემუქრება იგი გეტმანსა...
მომაკვდავს სახე ეღრუბლებოდა,
და მარიამის სახელსა ნაზსა
ენის ბორძიკით ძლივს ფუჩუნობდა.
უახლოვდებათ რუსთ გამარჯვება.
ერთი დაჭკივლეს კიდევ და მტერი
გატეხეს წელში, ვერ უმაგრდება...
კვლავ მიიტანეს მათზე ერიშა,
წინ დაიფრინეს, დაცეს თავზარი,
და დაადევნეს ცხენოსანთ ჯარი.
გაქცეულების ხოცვა-ჟლეტისგან
ჩლუნგდება მათი მახვილი ხმალი.
დახოცილების ხროვამ აავსო
მინდორი. ველი, გზა და ნარვალი...

—

მოილხენს პეტრე. ქორებულ თვალთაგან
გამოკრთის შუქი სახელოვნების.
საუცხოვო აქვს სამეფო ლხინი,
და სარდლებს უხვათ უმასპინძლდების.
ირგვლივ მისს ჯართა ისმის კიჟინი...
კარავში მტრების და თავის სარდლებს
გაურჩევლათ ის ადღეგრძელებს.
ეალერსება სახელოვან მტრებს
და მათ უწოდებს თავის გამწვრთნელებს.
მარა სად არის ყველა სტუმრებზე
უპრიანესი სასტუმრო მეფე?
ის ზავთიანი, თვით მეფის მწრთვნელი
რაინდობისა ზნე მოიყვე, —
ვისიც ხანგრძლივი ჯიბრის დამცხრომი
არის მეტოქე მისი — მძლე მეფე.

სად არს მაზეპა ბოროტმოქმედი;
იუდა საით მირბის ბელაზე?
კარლოს რათ არ გვყავს სტუმართა შორის,
და მოღალატე—სადრჩობელაზე?!
        ბედის წერითა დაზავებულნი
მეფე, გეტმანი უდაბურ გზებით
გარბიან უკან მოუხედველათ
გამოხამებულ ჯედაურებით.
გულის ღვარძლი და საშიშროება
ღონეს აძლევენ მეფეს სნეულსა:
დავიწყებია მძიმე ჭრილობა
რუსთაგან დევნილს, გულ-ამღვრეულსა.
ცხენს მიაჭენებს, მირბის და მიქრის,
ყმა ძლივს ეწევა მეფეს ძლეულსა.
        გამჭრიახ თვალს რა ავლებს მაზეპა
ირგვლივ ველ მინდვრებს და ცის ტატნობას,
კარლოსს გვერდთ მისდევს გაფაციცებით.
მიუახლოვდენ ერთ მოსახლობას.
მაზეპა შეკრთა. იქაურობას
რათ მოუარა ნეტავ ჭენებით?
ეგებ ეს ეზო, ბაღი და სახლი,
გვერდით, მინდვრისკენ ღია კარებით,
დღეს ყველაფერი ქმნილი პარტახათ,
რაიმე ამბავს გადავიწყებულს
ახსენებს ახლა მაზეპას ახათ?
შენ, დამღუპველო უმანკოების,
იცნობ ამ სახლსა, დღეს მიტოვებულს,
უწინ მხიარულს ბინასა შვების,
სადაც შენ, სმაში შეზარხოშებულს,
გარს გეხვეოდა მთელი სახლობა,
და შენ ჰკვესავდი სიტყვებს მოსწრებულს?
იცან თუ არა თავშესაფარი

იმ ანგელოზის, მშვიდის, ვით ცანი,
აგრეთვე ბაღი, სადაც ბნელ ღამით
ის გაიყვანე?.. იცან, იცანი!

ღამის წყვდიადმა მიწა შესუდრა.
რუსეთისა და პეტრეს მტერები
ანკარა დნეპრის ნაპირთ კლდეთ შუა
რულს მიცემიან გულნაძგერები.
მშვიდია ძილი გმირი მეფისა:
დავიწყებია პოლტავის ზარი,
ხოლო მაზეპამ ძილში სიმწრისა
ზმანება ნახა შემაშფოთარი.
ახლაც არ ჰქონდა მისს აბორგებულს
სიმშვიდე სულს და მოსვენება გულს.
ღამის ბნელოში უცებ მოესმა—
მას უძახოდა საიდუმლო ხმა.
გამოღვიძებულს მოეჩვენება —
თავზე ადგია ვიღაც, ლანდსავით,
თითითა ტუჩსავს უცნობი არსი...
შეკრთა მაზეპა სათოკესავით...
თითქო სიზმარში მარიამსა ჭვრეტს
თმა გაშლილს, გამხდარს, აკანკალებულს,
ძონძებ ცმულს, ფერმკრთალს, მთვარის შუქ
ნაფენს,
ჩაცვივნულ თვალებ აბდღვრიალებულს.

## მარიამი.

ოჰ, ჩუმა იყავ, გთხოვ, მეგობარო,
ეს არს დავკარგე დედა და მამა.
გაჩუმდი, კრინტი არ უნდა დავძრათ
რომ აქ არ გაგვცეს ჩვენმავე ხმამა.

მაზეპა.

მარიამ, ჩემო, მაგ-დღეს მობილო,
გონსა მოეგე, რა დაგემართა?

მარიამი.

ყური დამიგდე: რას ვერაგობენ!
რა ამბები აქვთ მათ სასაცილო?
მე საიდუმლოთ დედამ მიამბო —
მამა შენით მოკვდაო, შვილო,
და თმა ჭაღარა თავისა. ქ ლა
კიდეც მიჩვენა, — ღმერთო ძლიერო!
მითხარ: ავყიებს საით გავექცეთ?
კარგათ იფიქრე, გულის ხმიერო!
ის თავის ქალა ყოფილა მგლისა —
მით მოტყვილება ჩემი ქნება
არც კი რცხვენია, რომ მაწვალებს მე,
ან რისთვის მტანჯავს, იცი იქნება?..
რომ ვერ გავბედო დღეს თან გადმოგყვე!..
მარა, თქვი, განა ეს შეიძლება?!
მარიამს სიტყვებს უსმენს უწყალო
მისი მიჯნური, აწ ღრმა მწუხარე.
„მახსოვს ხატობა... დრევა... მინდორი...
მკვდრებთან ხალხი დგა, თითქო მოზარე
მე ხატობაში, — ამბობდა მარო,
მივყავდი დედას. სად იყავ მაშინ?
უშენოთ დამ-დამ რათ დავეთრევი?
თქვი: რა მიყავი? წამო ჩვენსა შინ!
გვიანდა არის, მალე, წამყევი!
ახ, ვგრძნობ, რომ თავსა ტყვილა ვიწუხებ

სრულიათ ფეხქვე აღელვებითა:
შენ, ბერო კაცო, მომეჩვენე სხვათ.
შორს ჩემგან, მზაკვარ მაგ თვალებითა
საზიზღრობათ გოვლი და ღვთისა რისხვათ!
ის კი ჩემია—შვენიერება,
თვალში გამოკრთის მას ტრფიალება,
მისი ტკბილი სიტყვით ქვაც კი დადნება!
მისი ულვაში თოვლს ჰგავს სითეთრით,
და შენსაზე კი სისხლი დედდება."
ეს თქვა და გიჟურ სიცილ-კისკისით
ჩვილს ქერციკზედა უფრო სწრაფათა
მოსხლტა, გაიქცა, მეის შეიმალა
ღამის წყვდიადში ხტომით ცქაფათა...
ის იყო ბინდსა ცისკარი ძლევდა,
აღმოსავლეთსა მზე აშვენებდა,
მხნე კაზაკები იფქლსა ხარჩავდენ
და დნეპრის ნაპირ მსახურნი ცხენებს,
ანჩალ-ანდილებს, წყალსა ასმევდენ.
გამოუღვიძა შვედების მეფეს
და მაზეპასა უწყო ღვიძება.
ის კი არ იცის, რომ მის მოზავეს
რული არ მოსდის, არ ეძინება:
ზაფრა და დარდი ქენჯნის მის გულსა,
მკერდში სულის თქმა მას ეხუთება.
კრინტსაც არ იღებს, ცხენს ისე კაზმავს
დევნილს მეფეს გვერდს აედევნება,
და წარბ-ქვე თვალი რისხვით უელავს
სამშობლოს საზღვრებს რა ეთხოვება...

—

განვლო ას წელმა და იმ მოღვაწეთ
გავლენიანთა რა დარჩათ კვალი?
გადვიდა მათი დგმა და საქმენი,

ვით მოლანდება, ანუ სიზმარი.
ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოის
მოქალაქობრივს და საბრძოლს ხვედრში,
მარტო შენ, მეფევ, გმირო პოლტავის,
აიგე ძეგლი რუსების მკერდში!
იქ, სადაც ქარის წისქვილთა გროვა
არტყია ბენდერს და მისს არესა.
სადაც ბალახობს კამბეჩის ჯოგი,
ერთ სახლის ნანგრევთ მოკრავთ თვალებსა.
შეამჩნევთ კიბის სამსა საფეხურს,
მიწა მიყრილს და ხავს მოდებულსა,
რაც მოგაგონებსთ შვედების მეფეს,
პოლტავის ომში დამარცხებულსა.
თვით ამ კიბესთან გმირს თავს ესხმოდა
ოსმალთა ჯარი გამმაგებითა.
იგი, ხელქმნილი, იგერიებდა
მტერს მარტოთი-მარტო შინაყმებითა,
და ბოლოს თუღს ქვეშ მან დადვა ხმალი.
იქვე ამაოთ მგზავრმა ეძიოს
გეტმან მაზეპას სამარის კვალი...
დიდი ხანია ის არვის ახსოვს;
ხოლო საყდარში შავ ორშაბათსა
ღვთისა მსახურნი ანათემაზე
მას გადაცემენ, და მისს ღალატსა!
დაცული არის მხოლოთ სამარე,
სადაც მარხიან ორნი ტანჯულნი:
ძველ დროის მართალთ საფლავთა შორის
განისვენებენ დამშვიდებულნი!
არის დიკანკაში ხეივანი,
მეგობართაგან დარგულ ცაცხვების:
ისინი შვილებს დღეს მოუთხრობენ
ამბებს, სიკვდილით დასჯილ პაპების.

მარა ქალიშვილს დამნაშავეზე
თქმულება ხალხის არაფერს ამბობს,
მისი ტანჯვა და ავან-ჩავანი
არავინ იცის, ვერვის უამბობს.
ხოლო, ხანდახან, ბრმა მეფანდურე,
როდესაც სოფლათ თავის ფანდურზე
ხალხში გეტმანის ლექსებს ამღერებს,
იქა-აქ, გაკვრით, ცოდვილ ქალზედაც
გაზაკთა ასულთ ჩამოუმღერებს...

## 1903 წ.

# ვ ო ი ნ ა რ ო ვ ს კ ი.

### პ ო ე მ ა.

**კ. თ. რილეევისა.**

(ნაწყვეტი ამისა დაბეჭდილია „ივერიაში“ 1903 წ. №№ 182 და 183-ში).

სად ზამთარი და თოვლის ბუქია ერთობ მსუსხავი, გამძლავრებული,
მდინარე ღენის ფართო ნაპირებს სახლები ჩასდევს ჩამწკრივებული,
ღრმა თოვლით მოსილ მიდამოს ირგვლივ მესრულები აქვს გარს მოვლებული,
და ტაძართ გუნდი მოჩანს ამაყათ ძირს გაშლილ ჭალას დაჩერებული,—

შორით ხმაურობს უტეხი ტევრი, თოვლის ზეწრით დაშვენდა ბარი;
გარს შემორტყმია სხვა-და-სხვა სახის მწვერვალით შემკულ მთიები კაჟნარი.—
მარადის მმკაცრი არის ამ ქვეყნის ბუნება გუმტი, პირ-უცინარი:
მიქუხს მდინარე გაბრაზებული, ავსა ტაროსსა მიმოაქვს ზარი.
ტყვეთა დიადსა ამ საპყრობილეს თითქმის არავინ არ ეტანება:
ხანგრძლივ მსუსხავის ზამთრის შიშით, უცხო კაცს გული აქ ეზარება...
მთელ წელიწადში ერთხელ, ან ორჯელ ეგებ მოვიდეს აქ მცირე ჯარი,
ისიც მხლებელი გადმოკარგულთა, რომელთ აქ ეხშვით სიცოცხლის კარი:
ან იაკუტსკის ტყავეულობას, რომლის ბადალი სხვაგან არ არი,
ეგებ ეწვიოს მუშტრათ ქარავნით შორით მოსული რუსის ვაჭარი!
მაშინ ცოტათი იქაურობას ედება ვითომ სიცოცხლის ფერი:
უდაბნოის შვილს—იუკაგირს გვერდით ასლავს იაკუტი, იქ მკვიდრი ერი;
ტყიურ თუნგუზსა რუსთათვის ხარკათ მოაქვს, რაც არის იმისგან ჯერი, 1)
იქვე ამაყათ დადის კაზაკი —ცხადათ აჩნია მხედრის ელფერი...
მაშინ ზამთარი ცოტა ხნით თავის სუსხით შორდება იმ ცივ არესა,
უხმო ტყე ვნებით ახმაურდება და მწვანე ველით დიდ მდინარესა
ქვებიდან ქვებზე გააქვს ქუხილი. ასე მოხვდავს ტანჯულ ტუსაღსა.
იმედის სხივი მიწურ დილეგში,—უიმედობით თითქმის გულმკვდარსა;
ანუ სიმშვიდე გულის ეწვევა ბოროტ-მომქმედის გამწარებულ სულს
და ღიმი გაკრავს ძალდატანებით მისს სახეს დვრემილს, შუბლსა მოღუშულს.
მარა ამ ჟამათ ეს ვინ არის, რომ დილისა ნისლს არ დარიდებია,
მდინარის მაღალ ფრიალო ნაპირს მაშხანა-თოფით დაუოლებია,

1) თუნგუზებს ხარკათ, ფულის მაგიერ, ბეწვეულობა ემართათ.

მოკლე ჯუბითა და შავი ქუდით წელი სამკალით [1]) უმშვენებია,
თითქო დნეპრის მხრის კაზაკი იყოს. სამოსი ისე დაშვენებია?
მოუსვენარი, კუშტი თვალი აქვს, სახე დაღრეჯილს და ერთობ მკაცრსა,
შუბლს მისას მტრული ბედისა წერა ზედ აჩნევს მშფოთვარ ფიქრების დაღსა.
დასავლეთისკენ გასაშვერო ხელნი, ცეცხლი გამოკრთა უცბათ მისს თვალებს,
და წარმოუთქმელ ტანჯვის გრძნობით ამბობს ამ სიტყვებს, გულგასაწყალებს:
„სამშობლო მხარევ, სამშობლოს ველნო! ეს თვალები მეტს ვერ გინახულებს...
წინაპართა ძვალთ წმიდა საივლავნო, ვეღარ დაგაფრქვევთ დევნული ცრემლებს.
გულში ამაოთ მეწვის საკირე: ვგრძნობ, რომ ამ უცხო მხარეს საოხრეს,
უხვაიმხო ტყვე ვეღარ გარკივარ და ვეღარ ვწირავ შენთვის სიცოცხლეს!“
ეს თქვა და დაჰყვა ფერდობს ბილიკით და მოუხვია: ჭუჭყიან ტევრში
გაუჩინარდა. ნეტა ვინ არის გადმოკარგული ამ ცივ მხარეში?
არავინ იცის, დიდი ხანია თუმც ტყვეთ აქ არის. მხოლოთ ჭორებით
ის მოიყვანეს დახურულ ურმით ჯარის კაცებმა ფრთხილათ, მორებით,
ღიმს ვერ შეამჩნევთ ტყვეს ვერასოდეს, წვერ-ულვაშითა გათეთრდა ისი,
მხოლოთ არ არის იგი ვარნაკი [2]) სასირცხო დაღი არ აკრავს მისი,

1) აბრეშუმის სარტყელია.

2) ვარნაკი—ავაზაკი, საჯაროთ დასჯილი და შუბლზე დაღ დაკრული.

თუმც ის ფარნაგზე, შუბლ-დადაღულზე, შესახედავათ მმკაცრის დიდათ,
წყნარია, თუმცა სიწყნარე მისი ბაიკალისას ჰგავს დელვის წინათ...
მუდამ მარტოა, ხმასაც არ იღებს, დახეტიალობს, ვით განრისხული,
არვის ხორციელს არ სურს გაეცნოს, ყველას უყურებს წარბებ შეკრული.
იმ ცივ მხარეში, ფიჭვნარიანში, განთქმული მიდლერი მაშინ ცხოვრობდა.
სულ სადა ქოხში, მყუდრო არეში, მომავლისათვის ის მუშაობდა,
ბედსა ებრძოდა ახირებულსა, და სულიერსა წყურვილს იკლავდა.
ამ უდაბნოში ის მოიზიდა ვნებამ ცოდნისამ ატყინებულმა,
და აქ იკვლია იმან ბუნება, განათლებით წარჩინებულმა.
ერთხელ ზამთარში, სუსხიან დილით ციმბირულ ძაღლით ირემს მისდევდა.
ტყეში შესდის თხილამურით, ირგვლივ სიჩუმე იყო, ბნელოდა.
ყოველგან ფიჭვი უხსოვარ დროის, ურიხმელი ჭირხლით გათეთრებული,
სხივებ გაუვალ ფანჩატურსა ჰგავს მათი შტოები, გადახლართული.
არსით გზა არ ჩანს... ფეხ-მალ ირემი მიჭქრის, ზურგზე რქებ გადადებული,
და მორს ფიჭვნარში ძლივ ჩანს, სულ მიჭქრის... გავარდა თოფი. უცებ ირემი
შეწყვეტს სირბილსა და სისხლის ნაკვეთით დაენარცხება.... აცბა მიდლერი,
მკრთალი თვალებით ის მიაცქერდა იმ სისხლიანსა ადგილს, ვით მტერი.
მის მონადირე გრძელ თოფიანი მოუახლოვდა ირემს. ის ხედავს
თხის ტყავის ჯუბით გამოწყობილსა, ვის ქუდი თავსა ტყავისვე ხურავს.
გამოკარგული არის ის აქეთ. იარაღი და ტანთ ჩაცმულობა,
მისი სიმარდე, მკვირცხლი იერი, აგრეთვე ჯმუხი შეხედულობა,

შიშს გვრიდა ჩვენს მგზავრს. ხოლო გაბედა, მივიდა მასთან, და-
უთხრა ეს:
„ძმაო, უცნობო, ვინც უნდა იყო, გზა გამასწავლე, შეხე შენს
ღმერთსა!
ნადირს მივსდევდი, გზა დამეკარგა და შენთან გავჩნდი ამ ტყეში
მეცა.
მითხარ — საით არს გზა იაკუტისკენ?" — გამოგივლის ის შენ კი-
დეცა!
ერთი საათის სავალზე მეტსა გადმოცდენილხარ გზიდან აქამდი.
ცუდი გზა არის: ტყე უვალი და უნდა იარო ბარდში წელამდი,
აგერ, საღამო დადგა კიდეცა, ვეჭვ, რომ გაიგნო დაღამებამდი.
წამოდი ჩემსას, იქ მოისვენებ ნანადირები გათენებამდი.
დაღამდა კიდეც. მთვარე გამოჩნდა, განათდა არე თვალსაწვდომამდი.
მგზავრებმა მოკრეს თვალი ბინასა. გადმოკარგულმა სახლის კარი
დაინახა და შიგნით შევიდა, კვეს-აბედს გაკრა, და, რაც იქ არი,
განათდა, — ჩანს აქ თოფი და დაშნა, იქ კი — ხმალი და შუბი ტარ-
გრძელი.
უცნობს მასპინძელს თვალს არ აშორებს, მიჩერებია ისე მილლერი.
გულით შიშსა გრძნობს, მუნჯათ, უძრავათ დგას, შეცვლილი აქვს
სახისა ფერი...
ჭრაქი დაანთო ამასობაში და სტუმარს იწვევს მყის მასპინძელი.
გაჩნდა სუფრაზე საჭმელ-სასმელი, გაჩაღდა მათი უბნობა მჭევრი.
ციმბირით იწყეს და შეუმჩნევლათ შეეხენ ხალხებს და მათ მეფე-
ებს...
მილლერი ჰკვირობს, რომ მოსაუბრეს მისას ევროპის ცოდნა აშვე-
ნებს.
ორი წელია რაც ის ამ ქვეყნათ, — ყრუსა და ბნელში, დაიარება,
და ძლივს შეხვდა კაცს, ვისთანაც ძალუძს გულის დარდების გაზია-
რება!
ღრმა აზრთ სიტყვები გრძნობა მორეულ მასპინძლის პირს ქუხს, ვი-
თა ჩანჩქერი;
გრძელს და ცოცხალსა საუბარშია შვენის სტუმარი, ის სახიერი:

ჟრივეს თვალი ბრწყინავს და ელავს, გული გაუხსნეს მათ ერთმანეთისა,
თავს დაათენდათ ცხარს საუბარში, და ისე—რომ ვერც გაიგეს ესა.
„— შენ გსურს გაიგო, სტუმარო ჩემო, ვინ ვარ, ამ ქვეყნათ მაქვს რა ხელია?
იცოდე, დღემდის მე, გადმოკარგულს, ეს არავისთვის გამიმხელია!
სულ სხვაა ხალხი აქაურობის,—სხვა გრძნობებსა და სხვა აზრებს ესავს;
ვერ გამიგებენ ისინი ვერც აზრს, ვერც იმას—გული რისთვის მიკვესავს...
შენ კი ყველაფერს დღეს გაგიმჟღავნებ—კაცს განათლებულს, კაცსა მცოდნესა:
ვიცი გრძნობებსა გამიზიარებ, არ მიღალატებ, არ მიმცემ მტერსა.
იცოდე, შენს წინ, ამ ტყაპუჭებში, ვოინაროვსკი ვარ—თვით მაზეპასი
დისწული ღვიძლი, თანამგრძნობი და თანამებრძოლი, მისი მოყვასი!
ეგებ შენ ჩემი შავ ბედის წერის ამბები კიდეც გაქვს გაგონილი?
ხომ მხედავ—ტყიურ კაცს ვგავარ პირქუშს, დავხეტიალობ ძვალ ტყავათ ქმნილი.
ტყესა და ღრეში სამარადისოთ გადმოკარგული, დამწუხრებული,
დავჩაჩანაკდი, მთლად გავტყიურდი, აქაურ ყინვებრ ცივი მაქვს გული...
აღარაფერი აღარ მახარებს, სული ჯავრით მაქვს შეგუბებული!
კაცთა ვეკრძალვი აქ, ვით მტერი მტერს, ვერ ვგუობ, ვერა მათსა დანახვას!
მათს შებრალებას ჩემის ხვედრისას ვით სათაკილოს ვიღებ მე ძრახვას!
ვინც ჩემებრ არის ექსორიაში სახელისა და მამულისათვის,
მტრისა ყვედრება სამჯობინოა მტრისა სიბრალულს, ვეჭვ, იმისათვის!“.

უნდა გამოვტყდე: მსურს ჩემი თვალი ძრწოლასა გვრიდეს მათს სულსა და გულს;
მსურს ამ კლდეთ შორის, ვით მოჩვენება, ზარს ვცემდე მათსა გონებას დახშულს!
ოჰ, ეგებ, მაშინ ჩემს მკერდში კვალად დამყარდეს ისევ წყნარ მოსვენება...
იყო დრო... მეცა მქონდა ერთი დღე, მეცა მიგრძვნია სიამოვნება...
მეც მყვარებია სიამოვნებით ადამიანი, კაცთა კრებული,
სავსე ფიალა მისვამს ტრფობისა და მეგობრობის, მიკურნავს წყლული;
ძვირფას მამულში ბედნიერებით, თავისუფლებით წყურვილ-მოკლული —
სიყრმე სვიანსა მიტარებია, დამტკბარვარ, ჯანით მე დარდასმული!..
მარა სიზმარებრ წარვიდენ დღენი უმაწვილობისა, ვით მოჩვენება...
მათ თანა წაყვენ ომები, ტრფობა, დარდი და სიყრმის მკვირცხლი ოცნება!..
ვმტრობდი პოლაკთა, მკვრეხელთ ურიმელთ, ხშირათ ვყოფილვარ პალეის [1]) გვერდში,
ვმეთაურობდი მამაცთ ჭაიდუკთ [2]) სიკვდილს, ან ძლევას ვეძებდი მტრებში!
ბევრჯელ, დაცლილი ცქვიტი ცხენები ველურ, უკაცურ უდაბნოებში
ბორიოსავით შეგვაქროლებდა მამაც მხედრებსა მტრის ურდოებში...
და ზავთიანი ჩვენი მხედრობა ტრამათ აქცევდა მათ სოფელს, ქალაქს!
თვით რისხვა ღვთისა ჩვენზე უკეთესს ვერ უშოვნიდა ჩვენს მტრებსა დალაქს!..
ყოველგან მტრები ჩვენ გაგვირბოდა, ეშინოდათ რა დამონებისა,

---

[1]) უკრაინის ერთი გმირთაგანი.

[2]) ყოჩაღი ბიჭი.

და მონურათ ხარკს გვიძღვნიდენ, მნდომნი ჩვენი საეჭვო დაზავებისა...
ერთხელ სიმხნით გატაცებული, მე წინ ვუძღოდი ვაჟკაცთ მცირე გუნდს,
და იერიშით ისე ვუძგერეთ მტრის რაზმს, ვით ქორი გნოლების გუნდს!
ბრძოლამ გასტანა ღამის გაყრამდის: პოლკთა რაზმი გავტეხეთ წელში,
წყობა შეშლილნი ღონეს იკრებდენ და ეწყობოდენ მიღმა, მთის ფერდში.
არ ქონდათ თავი გამაგრებისა, ის იყო, ბრძოლის ტოვებდენ ველსა,
როცა ულოდნათ ზურგით დაგვეცა მტერი, გავდა ის ხმით ყირიმელსა...
შეირყა ველი, ზანზარებს მთაი, ვხედავთ, ყოველ მხრივ მტერი გვესევა:
თვალით დაფახვამდის ჩვენებთ რაზმებში გაჩნდა მათი ისართ კილოხშირ სრევა;
ამაოთ ვცადეთ თავ-შემაგრება: მტერი გვძალობს და გვიტევს ხმით ხაფათ...
ბოლოს დავტოვეთ ბრძოლისა ველი, გავიფანტეთ და მოვკურცხლეთ ცქაფათ!..
მესმოდა, —უკან მომდევდა მტერი... დაჭრილობითა ქანც-გაწყვეტილი
მივაქროლებდი ცხენს შურდულსავით, ტყვეთ ჩავარდნისა შიშით პყრობილი...
ის იყო მკვრეხელთ ყირიმის ძეთა ჩემს დადევნებას ანებეს თავი,
ჩემი სამშობლოს საზღვრიდან ჩანდენ სახლნი, ტაძართა ჯვრები მბრწყინავი,
ფაცხებში კრთოდა კერიის ცეცხლი და ვოცნებობდი ჩემს ბინათ მისვლას,
რომ უცებ ჩემ ცხენს ფეხმა უსუსტა. და დავენარცხეთ ორივე მიწას...

მარტოკა დავრჩი მკვდარ ცხენით ცას ქვეშ, მტრედის ფრათ ჩვენზე გადაჭიმულსა...
ვეგდე ზათრიითა შეცული, კუშტათ, ოფლი მდიოდა ხვითქით ცხელ შუბლსა;
ჭრილობებიდან სისხლსა ვანთხევდი, შველა არსით ჩნდა; გული კვდებოდა,
სუსტი ხმა, მკერდით ამოსლვის უმალ, ყრუ უდაბნოში იკარგებოდა...
მყუდროებაა... მხოლოთ დაღვრემით ესაუბრება ქარსა სამარე,
განმარტოებით ოდნავ ანათებს ბინდსა დამისას ფერ-მკრქალი მთვარე...
უძრავათ მეოფსა, ასე მეგონა, რომ სული ხორცით გამეყრებოდა,
თავს დამფრინავდა სვავი საკორტნათ, სიკვდილი თვალში ჩამშტერებოდა...
ამ დროს, უეცრათ, თაბუთის ¹) იქიდან ფეხის ხმა მესმა, მასთან შრიალი,
და დავინახე ჭოთიით მოსილი დგას ახალგაზრდა კაზაკის ქალი!
თავს წამომადგა და ქალურ კდემით მორცხვათ დამიწყო თვალიერება...
დაუვიწყარი არის ის წამი ჩემთვის, ვიდრე მაქვს მეხსიერება!
ჩემი შავბედის საქიშპოთ ეხლაც იმა ტკბილ წამით ვიბრუნებ სულსა,
ეხლაც ვგრძნობ სიტკბოს პირველ ნახვისას, ეხლაც მით ვკურნავ ჩემ გულის წყლულსა!
მახსოვს ციური ალერსის ენა, თანაგრძნობისა თვალით თვალს მზერა..
მის თვალებთანა შესადარებლათ ვარსკვლავი, მთვარე ანუ თვით მზე რა?!.
ენა ვერ იტყვის, თუ ვით იამა იმ ნარნარ ასულს, როცა უძლური
მე შემიტანეს მის მამის სახლში და შეუსრულდა მით მონასური.
რა დამავიწყებს — რა თავგაწირვით მივლიდა იგი მე, დონე-მიხდილს:
გაიზიარა ჩემი ტანჯვები, მატყობდა თვალში ყოველსა სურვილს.
ყოველსა ნუგეშს მის შავ თვალებში მე ვპოულობდი ფონათ გულისა,

¹) Курганъ.

მისი სიტყვები სიტკბოებასა მგვრიდა შარბათის დაშაქრულისა,
და მიოხებდა ტკივილის გრძნობებს ომში შექნილ ჩემი წყლულისა.
უძილობის დროს, ჩემ სასთუნალთან, სიამით იჯდა დადუმებული,
გრძნობით თვალებში ჩამშტერებოდა ტრფიალებისა სახმილ დებული...
როცა ხანდახმით დავმშვიდდებოდი და ვგრძნობდი ტკივილთ დადუმებასა,
ის მინდვრათ ბალახს ძებნიდა წამლათ, ცდილობდა ჩემსა განკურნებასა,
მალი-მალ ნაზათ, ცეცხლის მფრქვევ თვალთა ის მე ქურდულათ გადამავლებდა...
უნდა გამოვტყდე, ეშხით მძლია, ტრფობის სახმილით გულსა მიგზნებდა,
და შემიყვარდა... ეს სიყვარული მანეტარებდა მოცოცხლებულსა.
ჩემი სატრფოსი გული უმანკო პირველ ვერ მისვდა ჩემ სიყვარულსა!
ამან დამტანჯა, ადუღდა სისხლი, ციებ-ცხელებამ შემიპყრო, მკლავდა!
მარა სატრფოსაც შევატყვე—გრძნობა ჩემივე მკვლელი იმასაც წვავდა!
ჟამი დაგვიდგა ნეტარებისა! ყრმა-სატრფოსაგან განკურნებული,
სიყვარულისგან სულით დამტკბარი, ავდეგ ლოგინით გასხლებული!
დიდხანს ვერ შევძლეთ ტრფობის დამალვა: მალე სახმილი ჩვენი გულისა
მისთა მშობელთა გავუმჟღავნეთ და დასტური ვთხოვეთ შეუღლებისა...
სამ წელიწადმა უბრალო ქოხში განვლო სისწრაფით ელვა-ჭექისა...
ჩემ ახალგაზდა ამხანაგ სატრფოს ვერ ვშორდებოდი ერთი წამიცა...
ტურფა გარემოს მინდორ-ველებში, ცელქ-ბავშვებ შორის გმაყოფილებით
ჩემ საყვარელთან ვიგრძენ და ვცანი, თუ რაა ბედი სიამით, ვნებით.
ქვებურს [1]) გეტმანსა ძლიერ ვუყვარდით, გვიჯილდოვებდა ბავშვთ საჩუქრებით.

[1]) კაცი, რომელსაც სახეზე ვერ შეატყობ სულის კვეთებას.

ბოლოს, ბატურინს გადაგვიყვანა იმ ადგილიდან ჩვენ, წატყუებით.
ჩვეულებრივათ ვცხოვრებდით მშვიდათ, ვიყავ ყველაფრის მე კმაყოფილი.
მარა, უეცრათ, მოსვენება და ბედიც გამიქრა ჩემი, ვით ჩრდილი:
რუსეთს დაეცა კარლოსი ომით და უკრაინაც ამხედრდა მთელათ,
არ დარჩენილა კოჭლი, ქაჩალი, არ გასულიყოს რუსთან საბრძოლათ!
მხოლოთ მაზეპა დაღვრემილ იყო, შუბლს გადაეკრა ფიქრების დალი,
შერჭმულ წარბთა ქვე მისთა თვალთაგან ცეცხლი მოკრთოდა მწვავი და ლალი...
ჩვენთან ის კუშტათ იყო, გულგრილათ ისმენდა ჯართა სალამს, ღრიალს...
ამაო იყო ჩემი ცდა—ზრახვებს მიმხვდარვიყავი მისთა იდუმალს.
ზრახვებს მალვიდა რა ყველასაგან, დუმდა და ჯარებს უყრიდა ის თავს.
ერთხელ მან გვიან, საღამოს ჟამსა, დარბაზს მაწვია რამ საქმისათვის.
—„დიდი ხანია რაც მსურს გამენდო საიდუმლონი გულისა შენთვის,
„მარა წინ და წინ უნდ დამარწმუნო, რომ შენ მზათა ხარ უკრაინისათვის
„გაწირო სიყრმე, ჯანი, სიცოცხლე, და რაც ამაზე უტკბეა შენთვის!“
—„მზა ვარ, შევძახე, ყოველი მსხვერპლი შევწირო მამულს. მისს საკურთხეველს,
„შვილებს და თვით ცოლს—სატრფოს გავწირავ, დავიტოვ მხოლოთ კაცურსა სახელს!“
მაზეპას თვალნი გაბრწყინდენ, როგორც განთიადისას ცისკრის ნათელი,
მისს შუბლს მოღუშულს მეისვე მოცილდა იდუმალ ფიქრთა შავი ღრუბელი.
მეისვე ხელი ხელს მან მომიჭირა, აასაუბრა თან ენა ტკბილი.
მითხრა: „შეგატყვე, დიდი ხანია, რომ შენ ხარ ქვეყნის ერთგული შვილი!

„მე არ მიყვარან ცივ-გულნი კაცნი—ისინი ქვეყნის არიან მტრები,
მტრები არიან წარსულ დიდების, მათ არ აწუხებსთ ხალხის ტანჯვები;
გრძნობა მაღალი არ აბადიათ, არ გააჩნიათ სულისა ძალი,
არ უღვივისთ მათ ცეცხლი გულისა, შობით არიან ქვეწარმავალი...
მათებრი არ ხარ შენ, კარგათ გატყობ, მარა შენზედა უფრო მამული
მიყვარს-თქვა, რომ ეს გითხრა,—ვიმედობ—მითი არ იქმნე შენ გალანძღული.
როგორც შეგფერის ერმა გმირს,—შენ წირავ მამულს ყველაფერს...
იტოვებს სახელს...
ხოლო მე, შურით ატყუინებულსა, სამშობლოს ბორკილით დაღეწვის მზრახველს —
მინდა შევწირო მას ყველაფერი, და ყველაფერთან ვწირავ თვით სახელს!!
აწ კი დრო არის თვით საიდუმლო, რომ გაგიმჟღავნო გულის მწოველი:
უწყოდე, რომ მე პეტრე დიდისა ვიცი ფასი და არ ვარ მგმობელი,
მარა ვმორჩილებ ბედის წერას და—მტერი ვარ მისი დაუცხრომელი!
რაც განვიზრახე სახიფათოა და კადნიერი,—ღელოს გატანას
სათუოთა ვთვლი; სახელს მოვიხვეჭ, ან შევძაგდები მშობელ ქვეყანას!
რაცა მოგვივა—მოვიდეს! წერამ დეე წაჰკიდოს შავ-ბედი მამულს—
დრო მოახლოვდა: უნდა ებრძოლოს თავისუფლება მტრის ძალსა წყეულს!!.
ეს საუბარი იყო სათავე ჩემთა შემდეგთა უბედურებათ...
იმ დღიდგანა ვგმობ ჩემს ბედსა წყეულს, იმ დღიდან ჩემო, მამულო წმინდა,
მხოლოთ შენა ჰფლობ სავსებით ჩემ გულს და მხოლოთ შენი დიდება მინდა!
ბრმათ მივენდევი მაზეპას, მამულს და ქველთა საქმეთ მივაპყრე ცხარეთ,

და დავიფიცე—„დიდსა პეტრესა კუბოს კარამდე ვმტრობდე მძვინვარეთ!“

* * *

გათენდა. ყომრალს ცაზედა ცეცხლის მზე, ბურთივითა, მძლედ მიცურავდა...
ფიჭვნარის ტევრში ზამთრის სუსხი ყინვის ნეშტრებით კაცებს კაწრავდა;
მარა თვით ქოხში, სად საუბრობდენ, სინათლეს დღისას ვერ შეეტანა:
ხეების შტოთა ზე-ასასხლეტი ობოლი სხივი ძლივს ფანჯრებთასა
აშუქებდა, და ჩვენს ახალ ნაცნობს ვხედავთ—მსხმდომარეთ კერიასთანა...
ფიჭვისა შეშა სულ დამწვარიყო, მხოლოთ ნაკვერცხალთ ჰქონდა დადღადი...
სტუმარ მგზავრს, სმენათ გადაქცეულსა, ვერ შეენიშნა თვით განთიადი.
ტანჯულის ამბავთ სმენა გულს ღრღნიდა, თან ედებოდა რისხვა და ბრაზი,
ან და თვალთაგან დიოდა ცრემლი, სიბრალულისა ცრემლი ლამაზი!
გენახულებათ მდინარე ლესა, როცა ფრიალო კიდეთა შორის
გაზაფხულის ჟამს ლანქერისაგან ადიდებული, გიჟმაჟათ მოჰქრის,
ზვირთებს ზვირთთა სცემს, რაც წინ უხვდება ტრამლათა ლეწავს ტალღათა შორის!
ყინულის მთებსა ამსხვრევს და მიაქვს, ბღავის ხმით ხავეთ დაჭრილის ლომის,
სად მორევი აქვს, იქ შხეფთა ზვინს დგამს, ქაფდება, კონცხებს აგლეჯს ნაპირებს,
და ზათქით მიაქვს. სად? არვინ იცის, გარიყავს სადმე, თუ რას უპირებს?..
სწორეთ ჩვენც ასე დავლეწეთ ჯაჭვი ჩვენი საერთო სიმართლეების...

მთლათ გადავლახეთ, რაც გვაბრკოლებდა, და, დასაცველათ კაცთა ღირსების,
ყველა ავმხედრდით, როს მოწოდება გვესმა სარდალთ და თავისუფლების!
მგრგვინავს სახელსა გამოვეკიდე, ხელ-აღებული მთლათ სიცოცხლეზე,
სამშობლოს მიწას ვრწყავდი სისხლითა, ხმალსა ვჩლუნგავდი რუსების ძვლებზე!
მკვდრებით აივსო მინდორი, ხევი, მგლები ზუოდენ იმათ ლეშებზე;
სიდამპლის სუნით არე ამყრალდა, თითქო ქვეყანა იდგა მძორებზე!
მარა ამაოთ ჩვენ ჩაგვიარა ყოველმა ცდამ და მოსაზრებამა:
პეტრეს საზრისმა დაგვძლია, ომის რა მოაწია შავ-ბედით წამმა,
პოლტავის მეხი გავარდა ტეხით,—ველარ გაუძლო დიდ-პეტრეს კარლმა,
და ჩვენ დავლუპეთ ჩვენი მამული, კვლავ კლანჭში მოგვდვა მონობის სვავმა!
მძვინვარე კარლი, მისს სიცოცხლეში პირველათ პეტრეს მიერ ძლეული,
გაიქცა. მეფეს მიჰყვა მაზეპა და მაზეპას—მე, გამწარებული.
ხუთი დღე-ღამე ცხენთ ვაჭენებდით დაუსვენებლათ გზა არეული. .
მტრისა მდევარსა ვუშინდებოდით, ცხენებსაც ღონე უსუსტდებოდათ—
ღამე სიცივით, დღისით-კი სიცხით საცოდავთ სული ეხუთებოდათ.
და ჩვენც, დაღლილებს, ძლივს უნაგირს მჯდომთ, წელ-ზურგის ძალა გვსუსტდებოდა...
ერთხელ, შავღამეს, ტყისა პირასა, დავისვენეთ და მოვითქვით სული.
ირგვლივ ზურმუხტის ფერი უდაბნო, ზევით მთოვარე, ბაკე დასმული;
სამარისებურ დუმილს არღვევდა მხოლოთ მდინარე გადარეული.
ტლანქს ქეჩაზედა კარლოსი მიწვა, უნაგირ თავ-ქვე ამოდებული.
და დამაშვრალმა ძილს მისცა თავი მუხას ქვეშ, ხელნი ეპყრა მხნე გულზე;
გარს ეჯრებოდენ მწყობრნი მხედართა... შორს, სადაც ცეცხლით გარუჯულ კუნძზე,

ფიჭვის შუქითა დანთებულს ცეცხლთან მაზეპა იჯდა... წარბებ შეკრულზე,
მოღუშულ მკაცრის სახითა მითხრა, ვით მეგობარსა გამენდო წუთზე:
—„რა ამაოა და წარმავალი ამ სოფლის ყოველ-გვარი დიდება!
დასე, თუ ჩვენი ყოველი ფეხის გადადგმა ეტლს ვით ემორჩილება!..
ამაოდ გვიძგერს მკერდში მხნე გული და სულის გვაწვევს გაბედულება:
ბოლო მოუღო ბრძოლას. იმ ერთ წუთს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება,
ჩვენი სახელი, ჩვენი მშვიდობა გაქრა და ველარც აღორძინდება!..
მარა... ნუ ჰფიქრობ სულით დავეცე, მონათ გავუხდე წერას ბედისას!
ეტლს ვით ვერ ვებრძვი, თუ კი ვებრძოდი გენიოსობას პეტრე მეფისას?!
იცოდე, ჩემო ვოინაროვსკი, ვიდრე პირში ვგრძნობ ნიშანს სულისას,
ყოველ ხერხს, ღონეს ვცდი—გამოვადგე წმინდა სურვილებს სამშობლოისას!
გმაყოფილებას ვგრძნობ სულიერათ, ორნივ მართალ ვართ——მეც და პეტრეცა.
როგორც ის, ვცოცხლობ მითი, რომ მინდა ჩემი სამშობლოს დიდება მეცა!!.
აქ ხმა გაკმინდა. თვალთა ბრიალით იცქირებოდა ის ირგვლივ მკაცრათ...
შეშის ტკაცუნით ცეცხლი ჰქრებოდა, მაზეპა მიწვა. ამ დროს უეცრათ
კაზაკთ მოართვეს ორი ტყვე გეტმანს... ნიდაყვთ დაეყრდნო ის მაშინ უცბათ
და, შავ-ფიქრებით აღელვებულმა, კითხა, შეხედა ტყვეებს რა მკაცრათ:
—„რა ამბავია ახალი ჩვენში?“ ერთმა მიუგო: „ბატურინს გახლდით...

ხალხი ლოცავდა პეტრეს, მის ძლევას დღესასწაულობს მართალი გულით...
შენ კი, მაზეპავ, როგორც იუდას, გიხსენიებენ წყევლა და კრულვით...
შენი სასხლე აგვაკლებინეს, ყველამ აივსო იქ ხელი დავლით...
შენი გათქმული სახელი გახდა აწ სალანძღავი, საგინებელი“..
ამ სიტყვების გაგონებაზე გულს დაიკრიფა მაზეპამ ხელი,
ღიმი სიმწრისა პირზე მოადგა, მხრებს წამოისხა მყის მოსასხმელი,
და იქვე მიწვა სულ-განაბული; რულს მისცა თავი, მარად ფხიზელი.
ჩვენ გეტმანისთვის თავგადადებულთ; მსურველთ, რომ მის წილ გვეძია შური,
გული დაგვიჭრა იმ ტყვის ნათქვამმა, ჩუმათ ვიდექით ზარ-დაცემული...
მაზეპა ყველას გულს იზიდავდა, ვით ერის თავი პატივცემული.
ჩვენ თაყვანს ვცემდით მას მამასავით, და იმ ზომამდე გატაცებული,
რომ მისი ტრფობა მამულის ტრფობათ მიგვაჩნდა ყველას, გულს ჩაჭდეული...
გეტმანს პირჩათლათ შავ ბედისაგან უნდოდა ტანჯულ სამშობლოს დახსნა,
თუ სამეფო ტახტს თვითონ ლამობდა,—ეს კი არ ვიცი, არ ძალმიძს ახსნა!
ათ წელიწადში ვერაგ გეტმანის მე შევეგუე კარგათ ხასიათს,
მარა ვერ შევძელ მისი ზრახვების მიმხვდარვიყავი მცირედს ხვაშიადს...
ვერც იმას გეტყვი ჩემო სტუმარო, რას უმზადებდა იგი მამულსა?
მხოლოთ რაკი მე ვკრძალავდი გულში ნათესაობას და სიყვარულსა,
მას მე პირველი მოვკლავდი, თუ-კი უღალატებდა იგი მამულსა!

*
* *

განთიადისას კვლავათ გავწიეთ იმ ყრუ უდაბნოს უვალი გზებით.
რა ღონიერათ აღელდა მკერდი, გული დაღონდა რა გამწარებით,
როცა საზღვარი სამშობლო ქვეყნის ჩვენ დავინახეთ ბედშავ თვალებით!

შავ-დღეს შობილმა, სამშობლოს მიწა მუჭით ავიღე მე სასოებით,
მხურვალე ლოცვით გულის ხატთანა მკერდზე დავკრძალე მწარე ცრემლებით...
ვამბობდი: „ეგებ ამიერ, ჩემო სამშობლო ტკბილო, ველარც-კი გნახო!
სამშობლოს მიწავ! უცხოეთს მყოფსა შენ მისალბუნე სვე სავაგლახო,
მომაგონებდე ჩემს ტკბილ სამშობლოს, რომ მითი მაინც სიამე ვნახო!!
ასრულდა, რასაც მითხრობდა გული: განგებიანმა წერამ ბედისა
აღარ მანახვა სამშობლო ტურფა, შვენება მისის მინდვრებ-ზეცისა!..
უდაბნოს უწყლოს, მწირსა და ცხელსა, სად მიწას მხოლოთ ძურწა ფარავდა,
მივაწვენებდით ცხენებს და ირგვლივ კორიანტელი მტვრისა გვფარავდა.—
ბოლოს მოეღო ჩვენ გაქცევასაც, და, როგორც იქნა, მალე ბენდერში
შევეფარენით მასპინძლობასა ფადი-შაჰისას ოსმალთ საზღვრებში...
იქ ერთობ ავათ გახდა გეტმანი, ვით ცხელებისგან აძიგძიგებდა,
თვალებს ავლებდა გარემოს სწრაფად, მე და ორლიკსა დაგვიძახებდა,
და სულ-შეხუთვით გვეუბნებოდა, ვხედავო ისკრას, კოჩუბეისა.
„აი ისინი! ჯალათიც ახლავს", --ძრწოდა, იძახდა: „აგერ, ა, ისა?
ეგერ კიდევაც თავსაკვეთზედა ისინი უკვე ზე აიყვანეს...
ირგვლივ ტირიან, ოხვრენ, კვნესიან, ჯალათი მზაა შეუდგეს საქმეს;
აი, სახელო მან გადიკეცა, ნაჯახიც მჭრელი აიღო ხელში...
აი, ერთის თავი წაჭრა... მიგორავს, მეორეს თავიც მისდევს მას გვერდში...
ყველანი შედრკა. შეხეთ, რა ცეცხლი ანთია იმათ მრისხავ თვალებში!"
ხანაც გეტმანი ზარნაცემივით სარეცელიდან შეკვროდა მკერდში.
„ვხედავ პეტრესა, ზარისა დამცემს,—მიწივა მათი კრულვა ყურებში:
ეგერ საყდარი სანთლებისაგან, ვით დღეობაში, განათებულა.
საცეცხლურიდან საკმევლის კვამლი ეკლესიისა ცამდი ასულა....

მღვდელ მთავრის ღაღადს მგალობელთ გუნდი ბანს აძლევს, მათი ხმა ადის ცამდე:
„კრულ არს მაზეპა, ის მოღალატე, ამიერიდან უკუნისამდე!“
ხან ათრთოლებულს და გაშეშებულს ელანდებოდა მთელი ღამენი
კოჩუბეისა ცოლი და ქალი—მარიამ მისგან უღვთოთ ნაცდენი.
ასე ტანჯვებით ქანც-გაწყვეტილი, ხშირათ ხმა მაღლა ის ლოცულობდა.
ხან უცებ თავში ხელს წაიშენდა, მოთქმით ვაებით, ცრემლით ტიროდა;
თანაც საშიშრათ თვალს გვიქაჩავდა, როგორც შეშლილი ის იცინოდა...
ხან ისევ ცნობას მოეგებოდა, და მაშინ ნაღვლით სავსესა თვალებს
სიყვარულითა მოგვაპყრობდა ჩვენ, მის ხელში გაზრდილთ, მისვე ერთგულებს“.
მეცხრე დღეს გახდა ის უარესათ, სულ მთლათ დავარდა, თუმცა სუსტობა
და ტანჯვები რომ არ დაგვანახვოს, არ შეიმჩნიოს, ცდილობს,—ეტყობა!
მივვარდი, მაჯა გავუსინჯე და... დავრწმუნდი იგი რომ ცივდებოდა...
ოფლი დასხა, სულს უტევებდა, თვალ გაშტერებით იხედებოდა...
წამოიწია, გადმოგვხედა და—„პეტრევ!“ „სამშობლოვ!“ წამოიძახა...
ეს იყო მისი ბოლო სიტყვები, კვლავ ოდნავ თვალი მე დამივასა
და განუტევა სული... გავშეშდი... უგრძნოთ, უსიტყვოთ გადვიქეც ხელათ.
მიცვალებულის წინაშე ვიდექ, ხსოვნა, გონება დავკარგე მთელათ.
მომიკვდა გული, ვეღარც ვიტირე: ცრემლიც არ იყო საოხებელათ.
გათენდა შავი დღე ტირილისა, ჩვენი გეტმანის დასაფლავების!
თვით კარლოს მეფის შეწუხებულსა სახეს გადეკრა კვალი ვაების,
შვედების ჯარით მეფევე შვედთა მოვალეობის ასრულებს წესსა,
და სამარემდე კუბოს მიჰყვება, ცრემლი დის ყველას: კაზაკს და შვედს.

მე, როგორც ჩრდილი, ძლივს მივდიოდი მეგობართ შორის, ყველა მკვდარს ვგავდით,
რადგანც იმ წუთას კარგათ ვგრძნობდით, რომ მაზეპასთან ერთათ ვმარხავდით
თავისუფლებას სამშობლოისას, რისთვისაც ვბრძოდით, სულსა ვწირავდით!
უკანასკნელი მოვალეობა სამშობლოის გმირს ძლივს გადვუხადე,
და იმავე დღეს მოუვლელობით ჩემივე თავი ავათ გავხადე.
ბეწვს დაეკიდა ჩემი სიცოცხლე, მარა გადავრჩი ბრჭყალს სიკვდილისას.
შემზიზღდა ერთობ იქაურობა, მალე გავუდეგ გზას უცხო მხრისას.
მსურდა ვწვევოდი გულის სიმშვიდეს, მარა ვერ ავცდი კლანჭს შავბედისას!
მტრის ბრბომ შემიპყრო და საუკუნოთ გადმომასახლეს მე ამ ტყეებში...
დიდი ხანია რაც აქ ვიტანჯვი. ამ მიყრუებულ, ველურს მხარეში,
ერთათ ერთი ხსნა და სასოება ჩემი აქ იყო სარწმუნოება.
შევეჩვიე მე ჩემს უბედურ ხვედრს, თუმც სამშობლოის კი მოგონება,
და ნათესავთა ხსოვნა მალულათ მაწვებოდა მე მწუხარებათ გულს:
რა დღეში არის ჩემი სამშობლო, ვით ეპყრობა მას პეტრე დაჩაგრულს?
ვნახავ თუ არა კვლავ მეგობრებსა, სად სდის ცრემლები სატრფოსა ტანჯულს?
ასე სიმშვიდეს ჩემ წუთიერსა მე ვიშოვოთებდი ამ ცივ მხარეში,
და ჯავრისა და ფიქრებისაგან ერუ ქალაქიდან გავრბოდი ტყეში.
იქ ჩემ ზაფრას და უბედურებას უსალბუნებდა ტყის ხმაურობა,
ატკბობდა ჩემ გულს ავი ტაროსი, გრგვინვა და ლენის ზვირთთ ბობოქრობა.
სტიქიონთ კვეთა გრგვინვით ახშობდა სულის კვეთებას ჩემას არსისას,
და მიბრუნებდა ერთი წუთით მე ძალს და სიმშვიდეს ტანჯულ სულისას.

ერთხელ იაკუტის მოსახლობასთან ფიჭვს ქვეშ ვიდექი, გავცქერდი არეს,
ქარ-ბუქი ქროდა ჩემს ირგვლივ ძლიერ, და მძაფრი ყინვა სუსხავდა ჰაერს.
ირგვლივ კლდე და ტყე, და ცის კიდური, ვით ზღვა, ერთვოდა თოვლიან მინდვრებს:
მოსახლობიდან ცოტა შორს თოვლი მთებ შუა მძიმეთ ფარავდა ძეწნებს,
მიღმა ჩნდა შავი ფიჭვნარი ტევრი და კიდე დიდი მდინარე ლენის.
უეცრათ, ვხედავ... ქალია, ქალი! ძონძებშია, თუმც ძონძებიც შვენის.
ფიჩხები მოაქვს, ძლივ ფეხს მოადგამს, მწუხარებისგან ძრვა არ აქვს ენის...
მივუახლოვდი და... ვიცან ჩემი ტურფა მეუღლე და ამხანაგი!
მას რომ გაეგო ჩემი დაკარგვა, ჩემი სულის დგმა და ჩემი მარგი—
ჩემდა საძებრათ წამოსულიყო, გაადიადა ჩემზე ამაგი.
ოჰ, მოგზაურო, ვერ შეძლო თურმე მან—არ გაეყო ჩემი ტანჯვები...
მარტოკა ჩემთვის ვერ მოეგნო მას, თორემ გზათ ბევრი ენახა სხვები.
მე აქ ვარ რიცხვში დავიწყებულთა, კანონი კრძალავს ჩემსა ხსენებას!
ჩემმა უფროსმაც ვინ ვარ არ იცის და ვერც აიღებს ამისა ნებას.
და გულკეთილი ჩემი მეუღლე, ბედის წერისგან დევნილ-ტანჯული,
უგზო უკვალოთ—მაღალი სულით—მე დამეძებდა შეწუხებული!
აჰ, მოგზაურო, მოგიყვე, თუ არ, როგორ მიამა მწუხარეთ მყოფსა,
როცა ამ მხარეს, დასაკარგავში, უეცრათ შევხვდი ჩემ კეთილ ცოლსა?
მე გამოვცოცხლდი მასთან ისევე, ხოლო ბავშები მას ყავდა აღარ!
მამის და დედის ტანჯვათ მეტყობა ხვედრათ უფალმა მათ არგო აღარ!
ვერ ნახეს მხარე ეს უდაბური, ტკბილათ მიიღო ისევ უფალმა.
ჩემსა მეუღლეს კვლავ დაუბრუნდა სულის სიმშვიდე, მეც მიკლო ჯავრმა,

თუმც დიდი ხანი არ ქონდა მაშინ ჩვენს ერთათ ყოფნას და დროს ბედნიერს, —
სიზმარებრ გაქრა! ჩემ ცოლსა სენი რომ გამოაჩნდა, ისეთი შენს მტერს!
და გაზაფხულის მოახლოვება უახლოვებდა მას შავს სამარეს.
მაშინ ვიცანი ჩემი მეუღლის ჩინებულ სულის სიკეთე სრული:
როგორ ცდილობდა ტანჯვის დამალვას, ავათმყოფობით დასუსტებული!
იღიმებოდა, გვეხუმრებოდა, წასულ დროებზე მუსაიფობდა,
საყვარელ ბავშებს და მიცვლილ ბიძას რა სიყვარულით მოიგონებდა!
თითქო სიცოცხლეს მწვავე გრძნობებთან ღმერთი ისევე მას უბრუნებდა.
მარა ის ხშირათ ცრემლებსა ღვრიდა ჩუმათ, არავის რომ არ გაეგო...
ამაოთ ვთხოვდი ცათა, რომ მისთვის სიცოცხლის ძალა კვალათ მოეგო.
ბედის წერაა აუცდენელი: დაკრა იმ წუთმაც ულმობელობით!
მიმიხმო, მითხრა: „გენაცვალეო, გიკვდები, - ღმერთს ვთხოვ იყო მშვიდობით;
საიქიო ჯობს აქაურობას: იქ მოვისვენებთ... აქ ვიტანჯოდით...
მწამს შენი სული ღირს არს იმ ქვეყნის... კვლავ ვინახულებთ ერთმანეთს ტრფობით...
იქ გველის ჯილდო აქ ტანჯვისათვის, იქ არ არს კაცთ კლვა, არც ექსორია,
იქ ერთმანეთს არ დაგვაშორებენ, ერთათ ვიქნებით მარად ორია!"
დადუმდა. უცებ, დაეტყო ცხადათ, კლება დაუწყო თვალთ სინათლემა.
ამოიოხრა მძლეთ, გაიღიმა და... ყმაწვილ გულმა შეწყვიტა ცემა!
ასე უდროვოთ გადაიცვალა, ცივს ციმბირში, ამ უდაბურში,
როგორც ყვავილი გამხმარსა შტოზე, ჭაერ-მოკლებულს ნერგთა სათბურში...
მისსა საფლავზე ზვინი მიწისა მე გავაკეთე ჩემი ხელებით.

მზისა ჩასვლისას ხშირათ იქა ვარ უხმოთ, სასწაულ მოქმედ ოცნებით,
წარსულს ვიბრუნებ და წარმოვიდგენ—ტოლებს, მაზეპას და მტრებთან ომსა,
და კეთილ გულის, სათნო ამხანაგს, გაუღვიძებელს ჩემს ძვირფასს ცოლსა!
ოჰ, მგზავრო ხსოვნა ამხანაგისა სიმხნეს და ძალას მე, ტანჯულს მმატებს,
გულგრილათ ველი სიკვდილს და ტკბილათ ვტირი დაკარგულს, ჩემს უღლის გამწევს!
მისსა საფლავზე ხშირათ ვიგონებ მისვე კეთილ გულს, ტურფასა სახეს,
და მახვილ ჭკუას, ვნებისა ღელვით, მაღალ აზრებით ბრძნულათ აღსავსეს:
რა რიგ უყვარდა თავის სამშობლო, რა ატაცებით მასზე მსჯელობდა,
და აქ, ჩემთან, ამ დასაქცეველში, სამშობლოს, ვით ხატს, ის ლოცულობდა!..
მას უსაშველო მწუხარებაი ნელათ აღნობდა, გულს უღადრავდა;
მარა სალ კლდეებრ ეჭირა თავი—მის ტანჯვას რუსი სულ ვერ ხედავდა;
სამშობლოს მტერი არ გაახარა, არ დაანახვა კვნესა, არც ცრემლი,
იმან იცოდა მოქალაქობა, მან გამიწია ნამდვილ უღელი!
ჩინებულ სულის აღტყინებითა სიკეთის ნდომა მას ქონდა მარათ,
თვის ნება ბედის გასწორებლათ ის თვით ტანჯვაშიც დაიცვა მაგრათ.
ცოლის დაკარგვის ვაებით დაღლილს სულ დამეკარგა რწმენა ბედისა.
მე, უმადურსა მწარე სიცოცხლის ბევრი ვაება გამომიცდია.
ომებში ხშირათ ვხედავდი სიკვდილს, იგი ჩემს ირგვლივ ცელავდა კაცებს,

მოკლულთა ხროვით ავსებდა იგი უკრაინის თვალუწვდენ ტრამებს.
რამდენჯერ შავი სიკვდილისათვის მე ჩამიხედავს კაკალ თვალებში,
მარა არც ერთჯერ, შიში რა არის — არ შემპარვია ტყვილა მკერდში,—
არ დამვიწყნია მაზეპა, ჩემი ბიძა რომ იყო და მეგობარი…
ბავშობიდანვე მიყვარდა ბრუტი, რომის დამცველი, ის უშიშარი,
თავისუფალი სულის პატრონი, საქმეებითაც ის დიდი არი.
მარა ყვედრების ღირსია იგი — თვით მან დაღუპა მოქალაქენი;
სამშობლოს მტრების გასახარებლათ თვით მოისწრაფა მან თვისი დღენი!
შენ თვითონ ხედავ, მე ვით ვიტანჯვი, როგორ ძნელია ჩემი ცხოვრება.
სიკვდილი მიხსნის, მარა სიკვდილიც და სიცოცხლეცა მე მეზიზღება.
უნდა ვიცოცხლო: ჯერ კიდევ გულში მინთია ცეცხლი სამშობლოს ტრფობის,
ჯერ კიდევ, ეგებ, გამოჩნდეს გმირი, და აგვაშოროს უღელს მონობის,
და ჩვენს მამულში კვლავათაც აღსდგეს ცხოველ-მყოფელი თავისუფლება!
ვოინაროვსკი დადუმდა. სახეს მისას მოშორდა მყის მწუხარება;
თვალები ცრემლით მას გაუბრწყინდა, ხატს სალოცავათ მიაპყრა პირი.
განათლებული მგზავრი მიუხვდა, რას ლოცულობდა ტანჯული გმირი,
ისიც აცრემლდა და გაუწოდა მასპინძელს ხელი თანაგრძნობისა
მჭმუნვარე სულით, ჯავრიან გულით, ნიშნათ ერთგულის მეგობრობისა.

—

დრომ სწრაფათ განვლო. ზამთარი დადგა, შესუდრა თეთრათ ტყე და მინდორი,
ტანჯულ გმირს მგზავრი ხშირათ სტუმრობდა, თუმცა გზა ქონდა მას ერთობ შორი.

ჯავრს და დარდს მისას იზიარებდა, და უკრაინა დაობლებული
მასაც ოცნების საგნათ ჰქონდა.—ერთხელ ის ერთობ გახარებული,
მეგობრისაკენ მიისწრაფოდა ირმის მარხილით, გამალებული.
სული მიუსწრებს, ხევნარში ხედავს უკვე მეგობრის ტანჯულის სახლსა,
ბინას განდეგილს, სრულიათ სადას და ეგერ-აგერ ჩატეხილ რაგვსა.
სამახარობლოთ მზათ აქვს სათქმელათ—„მოგეცა ნება დაბრუნდე სახლში!
და მეგობარო, ისწრაფე: წამო, ამ ცივ ქვეყნიდან შენს მშობელ ხალხში!
იქ მოგელის შენ, ტურფა მხარეში, ლოცვა-კურთხევა მშობელი ერის,
მეგობრების წრე სულით და გულით, და ბინა შენი მამა პაპების...“
ასე ფიქრობდა გზათ მიმავალი კეთილი გულის გერგარდ მილლერი,
მივიდა ქოხთან, არავინ შეხვდა, ნაპარტახევს კავს სულ ყველაფერი...
თვითონ შეაღო კარი, შევიდა ცარიელ ქოხში, ცივს და ბნელოში,—
მიტოვებულს გავს აქაურობა,—ფიქრობს,—რა იქნა ასეთ ტაროსში?
შავი ფიქრები მოაწვა მილლერს, და სავლავისკენ გაუდგა გზასა.
იქ ხედავს... რასა? ტანჯული გმირი ვოინაროვსკი წაზნექილ ჯვარსა
გვერდს მოჯდომია ცოლის სავლავზე,—გავს სამწუხაროს ქვის სახსოვარსა...
სახსრები ყველა გაყინვია და მთლათ დადგომია თვალები მასა...
მარმარილოსებრ უბრწყინავს შუბლი, და ბარის ფიფქ თოვლს, მონაბერს ქარით,
მიცვალებული უკვე წელამდი შეუმოსია თეთრი სუდარით!..

# 1910 წ.

## მურძაყან დადიშქელიანი.

პ ო ე მ ა.

**ვუძღვნი დაუვიწყარ ხსოვნას მარჯორი უორდროპისას.**

1. კლდის და მთების ქვეყანაში, სად ცხრა თვეა სულ ზამთარი,
ენგურის და ცხენის წყალის სათავეებს გადამდგარი
სვანეთია, საქართველოს ძველ დროს მცველი, ამაგდარი,
თამარისგან შეტკბობილი, ყრმათ და მოხუცთ საყუდარი.

2. იყო სვანეთში მურძაყან მთავარი, სახელოვანი,
რუსთ ხელმწიფისა ნათლული [1]), საჩინო, დიდ სულოვანი;
კავკასიაში გათქმული, ქველი, დიდ-ბუნებოვანი,
მამულიშვილი, სიუხვით ნაქები, ძალ-გულოვანი,

3. მისებრი ვაჟკაცი ჩვენში აწი ძნელათ თუ იქნება:
ღმერთმა სიმხნე დაულოცა, ღარღილი და მტკიცე ნება,
გულკეთილი, სულით სათნო, სახით მზისა მოვანება,
ბეჭებ პრტყელი, მკერდ მაღალი, წელი წვრილი და შვენება.

4. ბრგე ტანადი, შავ თმა ხუჭუჭ, ცისფერ თვალა, თეთრ-წითური,
ცხვირი ორბის, ტუჩი მარჯნის და კბილები სადაფური.
ულვაშ გრძელი, წვერ ნაპარსი, შუბლი ფართო, მამაცური,
წერამ სიყრმე ტკბილი მისცა, ვაჟკაცობა—წამებული!

5. კაცთა შორის კაცი იყო, სვანებს ის მიაჩნდათ ღმერთათ,
მთავრობდა და განაგებდა ქვეყანასა ხალხთან ერთათ;
ქალების მფარველი იყო, ამხანაგი მოზრდილების,
მოხუცთათვის სათნო შვილი, ნამდვილ მამა ყმაწვილების.

---

[1]) მურძაყანი იყო მონათლული იმპერატორის ნიკოლოზ I სახელ-ზე, ს. კალის ეკლესიაში, სვანეთშივე.

6. სხვას არაფერს არ ართმევდა, თუმც შეწევდა ღონე, ძალა,
და დროც მისთვის ხელს უწყობდა, რომე სუსტი დაეძალა.
ერის იყო მოყვარული, მისი ბურჯი, მისი ძალა:
სანამ იყო ის, სვანეთსა ვერ ჩაგრავდა სხვისი ძალა.
7. ეს სოფელი ასეთია: შარბათის სმას სდევს სამსალი.
ქუთაისში იყო ვინმე უსლარი, [1]) სინდისზე მწყრალი,
სიტყვით სწორი და მამაცი, საჭირო დროს მეტათ მფრთხალი,—
კარგ სწავლულსა და ცუდ მხედარს მრუდე ქონდა გზა და კვალი.
8. რუსის ომში უფროსობდა იგი შტაბს მუხრანსკის [2]) ჯარის,
როს განგებით ხმალმა გაჭრა ომერ ფაშა სერასკარის:
როს მუხრანსკიმ მიატოვა ტურფა მხარე ოდიშარის,
და მარანს დაიბანაკა, სად გადაწვა ნუზლი ჯარის.
9. იმ დღეს შემდეგ რუსობაში უსლარს ვერვინ ახსენებდა,
ის კი კვლავათ სახელისა ადგენსა სულ ოცნებდა.
ეს ჩვენებმა რომ გაიგეს, დააბეზღეს სვანთ მთავარი:
უთხრეს—რუსებს ის დალატობს, მარაგათ ყავს მთელი ჯარი.
10. უსლარსაც ხომ ეს იამა: მისებურათ დაფაცურდა,
მაბეზღრები გაიმრავლა, ვინც კი და რამდენიც სურდა.
ჩვენი წესი ხომ ასეა: თუ სხვას ჩვენი ცუდი უნდა,
დახმარებას ჩვენვე ვუწევთ, რა გვარიც და როგორც უნდა!
11. უსლარი გაგარინს [3]) ასმენს მურძაყანის ორგულებას:

---

[1]) პოლკოვნიკი პეტრე კარლოსის ძე უსლარი, კავკასიის ისტორიკოსი და ლინგვისტი, კარგი მსწავლული და ცუდი მოლაშქრე. სადაც ის ხელმძღვანელობდა ჯარის შტაბს, ყოველგან დამარცხებული გამოდიოდენ რუსები, იყო გაუტანელი ხასიათისა და გულღრძო. პირადი სარგებლობისათვის არავის და არაფერს დაზოგავდა.

[2]) ივანე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, გენერალ-მაიორი. ბაშკადიკლარში, ყირიმის ომის დროს, თავი ისახელა, მარა რუხთან დამარცხდა, რადგან მეტის-მეტათ მცირე ჯარი ჰყავდა და არც შტაბის უფროსი უვარგოდა. შემდეგ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლათ იყო.

[3]) თავადი ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი, ქუთაისის გენერალ-

„თუ ის ტყვეთ არ შეიპყარით, მოელოდეთ შეთქმულებას.
„მოულოდნათ თავს დაეცით, სანამ მოვა ის გონებას!“
დაეთანხმა გაგარინიც: მეფის ნაცვალს თხოვს ის ნებას.

12. ბარიათინსკი [1]) ზავთიანი, თავქედი და გულ-ფიცხელი,
ისიც კი შეფიქრიანდა: საქმე იყო მეტათ ძნელი.
თქვა: „სვანეთი რომ ავიკლო, რუსეთს დარჩეს რა სახელი?
„შოშიას ვით გამოენთოს შავარდენი, ფრთა ფიცხელი?!“

13. ქუთაისში იწერება: „საქმე რა ქნა მან ორგული?“
ეს უსლარმა რომ შეიტყო, აემღვრია ისევ გული,—
მეფის ნაცვალს თვით წარუდგა ვითამც რუსი რუსთ ერთგული,
და მოქარგულ მჭევრი ენით შეარყია მისიც გული...

. . . . . . . .

14. მუსიკით და გაშლილ დროშით გაემართა სვანეთს ჯარი.
ულვაშს იგრეხს აფიცრობა: ელანდება ყველას ჯვარი.
სალდათებიც იმათ ბაძვენ—ტრაბახი აქვთ ერთობ ცხარი.
ორშაბათის ყეენივით მიუძღოდა მათ უსლარი!

. . . . . . . . .

15. კესარიას [2]) მაცნემ მთავარს ეს ამბავი ამცნო მართალს.
მან ცას თვალები ააპყრო და თხოვს მხოლოთ, მსჯავრს, სამართალს:
გაგონილი უკვე ქონდა, რომე უსლარს გულღრძოს, კვიმატს,
დაბეზღებული ის ყავდა, აწამებდა რუსის ღალატს.

. . . . . . . .

---

16. თამარ მეფის დროის მომსწრე მუხის ძირში დგას მთავარი,

---

გუბერნატორი, სიძე იმ დროის დიდი თავადის გვარის ორბელიანებისა, განათლებული და პატიოსანი კაცი, მარა ერთობ სუსტი ხასიათისა. უსლარის აყოლით დაღუპა მურძაყანი და თვითონაც დაიღუპა.

[1]) თავადი ბარიათინსკი, კავკასიის ნამესტნიკი, სიყრმის ამხანაგი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა.

[2]) კესარია დადიანის ქალი, შარვაშიძის მეუღლე, ძიძა აბხაზეთის მთავრის ძისა, სიდედრი მურძაყანისა.

მთების ღრუბლებრ ახვევია ირგვლივ ხალხი მონაჯარი.
ფარსაგ ამბავს სულის წასვლით ელის ყველა, ვინც იქ არი.
„რუსი მოდის“,—ჩურჩულობენ, „ომაი გვაწვევს ჩვენ მთავარი!“
17. ბაგე გააპო მთავარმა, გამოდის სიტყვა ტკბილები:
„გმადლობთ რომ სწრაფათ შემოკრბით მოხუცნი და ყმაწვილები:
„ასეც ვიცოდი, ერთგულნი რომ ხართ მამულის შვილები,
„მე ხომ ბედს იმას დავარქმევ, თუ თქვენთვის გავიწირები!“
18. ჩემი და თქვენი მტრის ბეზღმა, მგონი რომ გაჭრა ჯერობით:
უძიებლათ და უცნობლათ რუსი აქ მოდის მხედრობით.
რუსეთს სვანეთი ვერ ებრძვის: რიცხვით გვაჯობებს, მრეობით,
მარა გზა ხსნისა ერთია, საქმე გათავდეს მშვიდობით...
19. ეს გზა ის არის—სამშობლოს ეხლავ მოვშორდე, ძმანებო,
ჩემით მივიდე რუსებთან, საქმე ვქნა მით საგანგებო:
მივენდო მათ სულგრძელებას, ჩემი სვეც მათ მივანებო,
რომ მით თქვენ აგცდესთ სისხლის ღვრა, ჩემო სისხლხორცნო სვანებო!.
20. ეს გადავწყვიტე, დრო ითხოვს—აწი გავუდგე მე გზასა...
იყავით ჭკუით, სიდინჯით, უფრთხილდებოდეთ თქვენ თავსა,
პირ-იქით ნურვის შეუტევთ, არ აყვეთ ჩვენს მტრების შარსა,
ჩემს სახლობასაც მიხედეთ, გაბარებთ, როგორც ჩემ თავსა.
21. ხალხის ლიანგს[1] იქით-აქეთ წევს, გამოდის ანსიანი,
ეუბნება: „ბატონი ხარ ჩვენი ღვიძლი, მადლიანი.
„მოვალე ვართ შენი ყველა, მართალი თუ ბრალიანი,
„შენი სიტყვის არ მორჩილ სვანს, ბედი ქონდეს მწარიანი!
22. ახლა ისიც უკეთ იცი ერის კაცზე შენ ყველაზე,
ხალხის ნებას უნდა დაყვე შენ პირველი ყველა სხვაზე.
ამბობ—წავალ,—ჩვენ არ გვკითხავ? დაგიბამვართ ყე ბაგაზე.
თავყრილობა რადათ გსურდა, თუ არ გვკითხავ მეტს ამაზე?
23. ქუთაისში საჭყვოზე თუ წავიდა ცოცხლათ სვანი,
ის შინ ველარ დაბრუნდება,—ასე ამბობს ყამნ-გულანი.

[1]) ლიანგი, ბევრი ერთათ. (მასსა).

რუსი მოდის? დე მოვიდეს, კაცნიც ჩვენ ვართ აქ ყველანი.
მტერი სხვიმისაც გვყოლია, არ აგვტეხია თრთოლანი.
24. ჩემი ჭკუით გიჯობს დარჩე, ენდვე უფრო სვანი სვანეთს.
თუ ომია, ხომ კი იცი, რომ არ გავცემთ ჩვენ ერთმანეთს!
ჩვენ რომ გვაბრი შენს სახლობას, ვის აბარებ ჩვენს მთელ სვანეთს?
ჭირში ყოფნას ჩვეულნი ვართ, ნუ ვშორდებით, ნუ, ერთმანეთს!
25. შუბლით, ხუთჯერ დანაკოდით, წინ გამოდის გასვიანი.
ეტყვის: მამაშენი ციოხ [1]) იყო უფრო ჭკუიანი...
ხანამ რუსს თავს დაუკრავდა, არ წაყროდა რომ ზიანი,
ჯერ კბილები გაუშინჯა, და რა ნახა ეშვიანი,
26. უკუდგა და მოიკითხა, რაც ეწია საქართველოს...
თქვა: „ის ჩემ მთას ვერ გაიტანს, . . .
ისევ გული დაუდვა მან საჩვენო დვაწლს სადღეგრძელოს...
შენც ირჩიე აქ სიკვდილი, თუ გსურს საქმემ გასახელოს!
27. თუ არა და — თავს წააგებ, ვერც გაგვიყვან ჩვენ მითი ფონს,
ჩვენ, უშენოთ დარჩენილნი, ვეღარ მოვალთ დიდხანს ჩვენს გონს,
შენსა ტახტსა სხვა დაიჭერს, ის დაგვიდებს სულ სხვა კანონს,
მამისა წილ მამინაცვალს გვალოცებენ ყოვლათ საგმობს!
28. ცოლ-შვილი თვარ გეცოდვება, სამშობლოს რათ არ იცოდვებ?
რა სტამბოლი ფაარს ნახე, უპატრონოთ ჩვენ რო გვტოვებ?
ნუ იქ მაგას, ნუ გვშორდები, ნუ თუ ყურს მეტს არ გვათხოვებ?
სიკვდილია, ერთათ მოვკვდეთ სისხლის ნთხევით ომში ლომებრ!
29. გასვიანის შემდეგ ლაშხმა, ზვინს რომ გავდა ტანადობით,
სიტყვა დაძრა: „ვხედავთ ცხადათ, ვიღუპებით დღეს ერთობით;
ვიცით რუსის ჯარი გვესხმის, და ნაცვლათ რომ ძალმაგრობით
ჩვენ მას დავხვდეთ, შენ დღეს იმის ნდობას მოძღვრობ გულწრფე-
ლობით?..
30. სიემაწვილეში მსმენია ეწერში, მგონი თუ ბეჩოს, —
კავკასელთ კაცს ადარებდნენ, . . . სახელმწიფოსა კი — ეჩოს:

---

[1]) ციოხ დადიშქელიანი, მთავარი, მამა მურძაყანისა.

რასაც და ვისაც ხელთ იგდებს, უთუოთ გაკრავს ხელჩოს,
ღვთისიერ სახეს შეუშლის, რამდენიც უნდა ეურჩოს...
31. ან გსმენია სანდო რუსი, უმარაგოს არ მძლავრობდეს?
დამერწმუნე ამ ჩემ თქმაზე და გთხოვ მუდამ ეს გახსოვდეს:
რუსს რუსის მჯობს ნახავ, . . . . . . . . . . . . . . . .
ისევ დარჩი ჩვენთან: ჩვენგანს ყველას უნდა შენთვის მოკვდეს!

მურძაყან.

32. ეჰ, ძმებო, დრო საქმეს ითხოვს, სიტყვას სწორსა და გადაჭრილს.
თავის ქების დრო წავიდა, რათ ვეუბნებით ჩვენ თავს ტყვილს?
რუსნი რომ გვჯობან ყველაფრათ, მთელმა სამყარომ ეს იცის:
დღეს მათი არის ქვეყანა, ხვალ დაიუფლვენ არეს ცის...
33. რუსთ მოთმინებას სულგრძელსა ტახტი მკვიდრი აქვს ნაგები;
მას ვერ შეარყევს ქარ-ბუქი, ვერც დაწვავს ცეცხლი ნაგზნები.
რუსთა ერთობას, ძლიერ წინ სვლას, ქედსა უხრიან ქვეყნები,
და თქვენ აქ ფიქრობთ გულ-წრფელათ — მათ გაუმკლავდეთ? რეგვნები!
34. ზღვა არის უნაპირო საზღვრებ უწვდენი რუსეთი,
მთის მდინარეა ჩხრიალა ჩვენი პატარა სვანეთი.
ზღვასა შეერთვის მდინარე, მატებს ტალღების წვეთებსა,
სანაცვლოთ იძენს ზღვისგან ძალს, გველეშაპთ დასაფეთებსა.
35. მსურს წასლვა, რომ დავაჯერო რუსები ჩვენს ერთგულებას,
რომ ვიცით — მათთან ერთობა ჩვენ მოგვგვრის ბედნიერებას,
რომ ჩვენ თვითონ ვართ მსურველნი იმათთან დამეგობრების,
იცოცხლონ და ჩვენც გზა მოგვცენ ჩვენს სამშობლოში ცხოვრების!
. . . . . . . . .

36. მთავრის შემდეგ გარდაფხაძე მეორეა მთელ სვანეთში,
გაჭირვების როცა იყო მთავარს უდგა მუდამ გვერდში.
მურძაყანი სანუგეშოთ მიაცქერდა მას თვალებში.
ბიჯი წადგა გარდაფხაძემ, ეს თქვა, იყო თუ ნუგეში:

37. შენ თვითონ იცი, ბატონო, რომ ვერ შევებრძვით ჩვენ რუსეთს;
ჩვენ ცოტანი ვართ, ის ბევრი, ჩვენ ბოლჩა, ის ფლობს ცას ქვეშეთს.
მარა თუ გულით ინებებ, თავი მიუდღო შენს ღვიძლ ერს,
ამასაც გეტყვი — რუსები ფაარს ვერ მოვლენ ერთ სრულ წელს!
38. თუ რუსთან ომი მოგვიხდა, გავწყდებით და ის იქნება!
მარა სახელსაც კი ვიზამთ ისეთს, რომ ჩვენ გვექადრება:
ერთ დღეს შობილებს სამარეც ერთ დღესვე ჩვენ გაგვეთხრება,
მარა... სიკეთე ამითი სამშობლოს არ დაეყრება!
39. ყველა გავწყდებით, სვანეთში დაიბუნაგებს აფთარი.
სვანეთი აღარ იქნება, დარჩება ნასვანეთარი...
სვანების დაუმარხავ ძვლებს იგლოვს ყორანი და ქარი...
არა, სამშობლოს, მწამს, ასე შენ ვერ გაწირავ მთავარი...
40. მოთმინება დაეკარგათ გულ-მღელვარე მართალ სვანებს.
„არ იქნება შენი წასვლა!“ „ენდვე ნაცადთ შენს გულვანებს!
„არ უქნიათ რაც ჩვენ მამებს, ვერც ჩვენ დავხევთ აწ მარმაშებს:
„შენ თავს ნებით მტერს ვერ მივცემთ, ჩვენათ თუ ვთვლით ჩვენს ულვაშებს!
41. ამას ამბობდენ სვანები ყვირილითა და ზრიალით.
ზოგი სიმწრისა ცრემლს ღვრიდა და ზოგი კი ოფლს თქრიალით,
სხვები ცერებზე დგებოდენ და თვალებ ქაჩვით, ბრიალით,
ხელს აყოლებდენ ქნევითა ხმას ბოხს, ყურ წამღებ ღრიალით.
42. უარს არ შეიწყნარებდა ლიანგი გააფთრებული.
ორ ცეცხლ შუა დგას მთავარი, ორჭოფობს აღელვებული,
და ისევ ხალხსა მიმართავს, იმაზე გულ-დადებული:
„ერთ კვირა დროს გთხოვთ, ვიფიქრო ცოლშვილში, დამშვიდებული!“

—

43. მყის დაიშალა ლიანგი, ღრიალით გაბრუებული.
თავ-თავის სახლში ისწრაფის სულ ყველა, გახარებული:

„მურძაყან რუსთან არ მივა, ჩვენზედა დარწმუნებული“,
ოჯახს ახარებს ამასა მთავრიდგან დაბრუნებული.

—

44. შინ მისულს მურძაყანს ხვდება მეუღლე გამწარებული,
მთლათ გაფაფრული სიმწრისგან და სახე გაფითრებული.
ლოყებ ნაკაწრი, ტუჩებზე ლაინის ფერ-დადებული,
ქმარს ცრემლით ეტყვის,—რაც ითქვა კრებაზე, აქვს გაგებული:
45. „ამ შავ-დღეს არ მოვსწრებოდი მე საწყალი, კარგი იყო.
მოვესწარ და—რაღა მეთქმის—შენთა ჭირით სანაცვლო ვიყო....
რუსთა ხელმწიფის ნათლულობა, მე ვფიქრობდი ბედი იყო...
რა უცებ წამომენგრა თავს, რაც მეგონა ბურჯი იყო!..
46. შენ ნუ მიხვალ, ორგულობას თუ გწამებენ, მე ვნახავ მტერს,—
როგორც ქალს, ისიც პატივს მცემს, და გავიგებ სულ ყველაფერს,
ავუხსნი შენს ერთგულობას, ვით წამს რუსი მთლათ სვანის ერს...
იმედი მაქვს, თვით უსლარსაც შევუბრუნებ გულს მანკიერს...
47. ქალი ვარ, მარა აბხაზის, ქმარ-შვილზე გადაგებული,
ქორ-ბუდიანის, მხარგრძელის შარვაშიძისა ასული.
შიში ჩემ გულსა ვერ იცნობს, შენთვის ვარ თავდადებული,
გამიშვი, ასე ჯობს, გფიცავ, მტკიცეთ ვარ დარწმუნებული!“

მურძაყან.

48. შენი რჩევა ბძანებაა, ჩემო კარგო, ჩემთვის დღესე.
მხოლოთ ერთს გთხოვ: მომისმინე სათხოვარი ჩემი ესე,—
დღევანდელი დღე ვიფიქრო მე ხვალამდე, დამიწესე,
და ხვალ იყოს ნება შენი, რაც გნებოს, იგი თესე!
49. როგორც ღრუბლიან ტაროსში გამოანათებს უცებ მზე,
ისე გადაკრა სიამემ ტურფა რუსუდანს სახეზე.
თვალთაგან ცეცხლი გამოკრთა, ალი მოედვა ღაწვებზე,
ქმარს გულის სიტყვით მიმართა, ცრემლი შეაშრა წამწმებზე:
50. ოჰ, შენს თვალებს ვენაცვალე, შენს მდევის მკერდს და შენს ტუჩებს,

რა სისწრაფით გამიქარვებ ჩემს გულს ჯავრათ რაც იქუჩებს.
ეხლავ წავალ, მოვეხვევი ჩვენს საყვარელ ზიარ შვილებს, —
ვეტყვი: მამა, გენაცვალეთ, ჩვენ ხვალესაც ჩაგვიტკბილებს!
(მიდის გახარებული).

II

51. მეორე დღეს, სისხამ დილას, მთავრის ციხე-გალავანში,
ქალი დადის თმა გაშლილი, ძლივს იმაგრებს ცრემლებს თვალში,
გაფოცებით ეძებს ვინცლას ირგვლივ, ზევით, თავას ცაში...
აქ იმედი რომ უწყდება, გაიჭრება ციხის კარში.
52. იგი არის რუსუდანი, ქმარს გაპარულს მოთქმით ეძებს,
გზა ებნევა, უგზლოთ დადის, მარა ამას არ დაეძებს, —
გულ-დამწვარი, ჩათუთქული, მწარე სიტყვებს დაღადებს,
უფსკრულს ჩაკვნესს, ორბს შეკივის და მთას მაღალს შეღაღადებს:

1.

53. უფსკრულო, შავო უფსკრულო,
რატომ არ არღვევ შენს დუმილს,
და რატომ მაგ შავ სიღრმეში
ჩემებრ არ მოროთავ აწ ტირილს?
54. მერძავსნს გადამიფარე
მაგ შენი სიბნელის ფრთები,
რომ თვალით ვეღარ ხედავდენ
და ვერას ვნებდენ მას მტრები!

2.

55. ორბო, ორბო, რათ მიფრინავ
მასე მაღლა, სით იჩქარი?
ერთი დაბლა ჩამოფრინდი,
მომისმინე სათხოვარი:
56. შენს მძლე ფრთებზე შემომისვი

გამაფრინე იმ არისკენ,
ჩემი ქმარი სითაც მიდის —
გასწყვეტ ქუთაისისკენ...
57. როს მიმწიო, იქ დაეშვი,
სადაც ქმარი მყავს ლამაზი;
მინდა ისე მოვეხვიო,
დიდ მუხას ვით უსურვაზი!

3.

58. მთაო, მთაო, ბუმბერაზო,
თავით ცას რომ ებჯინები,
და ქვეყანას შენი გულის
ცრემლით წყარო ევლინები, —
59. ყოველ არსთა მოწყალე ხარ,
ნაყოფიერ ქმნი ქვეყანას,
მომისმინე: ბედ მწარესა
სხვას ვერ ნახავ ჩემისთანას.
60. ზევით ცას ხმა მიმიწვდინე,
ზარით უთხარ თვით მამა ღმერთს,
რათ იძულებს მისვე მოსავთ —
ჩემ ოჯახს და მუჭა სვანეთს?
61. მთაო, მთაო, ღმერთს მიითხოვე
კვლავ მანახვოს ჩემი ქმარი,
ააცდინოს მტრისა მახე,
ღალატი და მისი ზარი...
62. თუ რომ ეს არ შეიძლება,
მე მაქციოს ცრემლის ღვარათ,
და აქედან სასწაულით
ჩავეწვეთო ლეჩხუმს ბარათ.
63. ლაჯანურსა ჩავერიო,
ვით ლანქერი მთის მაისში,

იქიდან რიონს ჩავერთო,
ჩავკირკილდე ქუთაისში.
64. იქ მას როცა მოწყურდება,
ამოიღონ მისთვის წყალი,
იმაში მეც გავერიო,
თუგინდ მარტო ერთი ცვარი.
65. და იმ ცვარით მისს გულს მოვხვდე,
ვაგრძნობინო სიტკბოება...
მერე მისი გულის ცეცხლით
გავორთქლდე, არ მენაღვლება:
66. მაშინ ორთქლათ მოვედები
მისს გულსა და ფართო მკერდსა,
ძვალს და რბილში შევერევი
და მივწვდები მით ჩემ ბედსა!

. . . . . .

67. მესამე დღეს ნამტირალევს, გულ-შენაწუხს რუსუდანსა
გოგო ეტყვის: „ბელა ჯორით მოადგა ჩვენს გალავანსა.
ამბობს—წიგნი მაქვს ისეთი, გაახარებს ყველა სვანსა“.
შემოუშვეს, გამოართვეს. მურძაყან წერს რუსუდანსა:
68. „რუსუდან, დახე წერასა: შენ გაგეპარე და სვანეთს!..
მარა თუ ღმერთი კი ღმერთობს, კვლავ შევეყრებით ერთმანეთს...
ვიცოდი, არ გამიშვებდით ნებით არც შენ და არც ერი,
ეს ქვეყნისათვის არ ჯობდა, გახარდებოდა კი მტერი ..
69. ვერ გამოგიტყდი ამაში, დამნაშავე ვარ თუმც არა;
მწარის თქმა და შენს თვალებში ჩახედვა, შევძელ ვეღარა!..
შენ და ერისთვის სხვა მიდევს გულს ზნეობრივი ბეგარა,
და ეს თუ გიზღვეთ ორივეს, ღმერთს სათხოვარს ვთხოვ_ მეტს არა!

70. ჩემი სატრფო, ჩემი სათნო, ჩემი შვილების ხარ დედა.
შენგნით მაქვს მე სიცოცხლითვე სამოთხე ქვეყანაზედა...
ჩემს მოსვლამდი უპატრონებ სვანთ შენ უკეთ ყველაზედა...
მალე გნახავთ მხიარული, თუ ვშობილვარ კარგ ეტლზედა!“

71. სვანეთის არეს გაყურებს გრძელი ჭოგრიტით უსლარი.
უცებ გამოჩნდა თეთრ ცხენზე თეთრათ მოსილი მხედარი.
უსლარი ქართველ აფიცერს კითხავს: „შეხე მას, ვინ არი?"
პასუხათ ესმის—„გახლავთო თავათ სვანეთის მთავარი".
72. „რაო? აქ მოდის, და მარტო! სწორეთ შეშლილა საწყალი!
ამ დროს მურძაყანც იქ მოდგა, იცნო დამხვდური დაფალი.
ფერს გადაკრა და მარჯვენა ხელმა მოძებნა ხანჯალი,
მარა თავს ძლია: ჯერ კიდევ წამს მათი სჯულ-სამართალი...
73. უსლარიც ცხენსა სალდათებს მოაყვანინებს სწრაფს, ვით ქარს.
მოაჯდება და გაიხმობს მიღმა უწვეველ მისს სტუმარს.
ეტყვის: „ნახვითა მე თქვენით ვეწიე სიხარულს დიდს...
„ვალი არ მაწვევს ამის თქმას, მარა გაგიმხელთ ხვაშიადს:
74. „ხედავ ამ ჯარს? მომცეს იგი შენი ქვეყნის დასაპყრობათ.
„ზედაც ინსტრუქცია დამრთეს მთავრის მარჯვეო შესაპყრობათ...
„ეხლავ სვანეთში გაბრუნდი, მოსეულ მტრებს დაგვხვდი მტრობით,
„თუ არა—თავს ვერ უშველი ერთგულობითა და ძმობით!"

მურძაყან.

75. სამტრო რა მაქვს მე რუსებთან? ან მერჩიან რას ისინი?
სინდისი მაქვს მათთან წმიდა, ბრალს ვერ დამდებს ფლიდთ სისინი!
ცხენს ქუსლი კრა, გააფრინა, მათრახს გააქვს სული ტკიცინი,
უსლარი კი შურის ეშმამ შეიპყრო, უწყო ხიცინი...

## III

76. სინათლით სავსე ვრცელ კაბინეთში, დიდ მაგიდასთან, ლბილ და ღრმა სელში
თავჩაქინდრული ზის გაგარინი და სიჩქარით წერს თავის დავთრებში.
—„სვანთ მთავარია, თქვენი ნახვა სურს!" მას მოახსენებს უცებ ფარეში.
გველ ნაკბენივით კრთება ბატონი, აფორცებული ჩაჭყეტს თვალებში.

გაგარინი (გამწყრალი).

77. მთავარს რა უნდა აქ, ქუთაისში? ის სვანეთშია, თავის ფუ-
არში!

ფარეში (მოწიწებით).

თუ ნებას მომცემთ, აქ შემოვიყვან, და თავათ ნახავთ ამ თქვენს
ოთახში.

გაგარინი.

მარტო არის, თუ ახლავან სხვებიც? ერთიც მითხარი ზის იარაღში?

ფარეში.

სულ მარტო არის. იარაღთაგან არტყია მხოლოთ მას სატევარი.

გაგარინი.

ავათ არის-თქვა ახლა, ხვალ თვითონ კაცს გაახლებს-თქვა, წადი უთ-
ხარი!

. . . . . . . . . . .

(ფარეში გადის).

78. დალახვროს ღმერთმა უსლარი! რა ვქნა და რა შემველება?
ვნახო, რა ვუთხრა, არ ვიცი! რომ მომკლას, არ მემართლება?
ის პატრონი კი იქ არის, ჯარს უძღვის, მიიჯგიმება.
მე რომ ამ სვანმა აქ მომკლას, ვისთვის რა მადლი იქნება?

79. არა, ისევ მოთანს ვეტყვი! რა მაქვს მასთან გასაყოფი?
იყოს მისდა მთა-კლდეებში, თუ აქვს ლუკმა იქ სამყოფი.
ჯობს მეგობრათ გავიხადო უსლარისგან განაკიდი.
დიდი ანბვით ხვალ მივიღებ: სამტერ-მოყვრის უნდა რიდი.

. . . . . . . . . . .

80. კვირიკობისთვის შუა დღე არის, გაგარინის სახლს რიონის პირათ,
დღესასწაულის იერი აკრავს, რაც არ მოსწრია იმ დროში ხშირათ.
სახლის წინამო კრიკინის, სუროს, დაფნის ფოთლებით შეფუთვნულია,
ქუჩაზე ხალხის ჭდევაა დიდი, ხნიერი, ბავში არეულია.

81. გამოჩნდა ისიც, ვინც წვეულია თავათ გენერალ-გუბერნატორის:
მოდის მურძაყან ხალისიანათ და ღიმილით ორ თავადთ შორის.
ზევით პირისფერ ახალუხისა აცვია ჩოხა თივთიკის თეთრი,
წითელ მესტები ფეხებს უხატავს, ხუჭუჭ თმებს ხურავს ბოხოხიც თეთრი.

82. ოქროს ზანიშის ქამარ-ხანჯალი და ზანიშისვე ოქროს ქილები
წელს და მამაცურ მკერდს უმშვენებენ, ახალუხს — ოქრომკედის ღილები.
ღაწვი ორბის ცხვირი, მარჯნისა ტუჩებს — შავი ულვაში, ბროლის კბილები,
ხარულ თვალების ელვარებასა შავწარბ-წამწამის ყურსავს ჩრდილები.

83. დაუახლოვდა ხალხს და უბძანა გულწრფელათ: „ძმებო, გამარჯვებათ!“
იმდენ მკერდიდან, როგორც ერთიდან „გაგიმარჯოს“ ხმა ზეცას წვდებაო...
ღიმმა გადაკრა მურძაყანს, გულში სიამის ჩიტი უფრინდებაო.
ფიქრობს თუ: „ჰაი, ღმერთო შენითა, ეგებ სიმართლეს უმარჯვდებაო!“

84. ეზოში ფეხი შედგა თუ არა, მოხელეების მოისმა „ურა!“
სალამი მისცა მათაც მურძაყან და მასპინძლის კარს მყის მიაშურა.
კართან გენერალ-გუბერნატორი სალამით დახვდა და თავ-მდაბლურა
შეიპატიჟა ქათინაურით, რით არ შეამკო, რა არ უსურვა!“

მურძაყან.

85. რაც თქვენგან მესმის, ბატონო ჩემო, იგი სულ არ გავს უს-ლარის ნათქვამს.
ვერ გაუწრიათ, მაშ მტრების ხრიკებს, გაუკითხველათ, მაშ, ვერვინ ჩაგვნთქავს?!
მჯერა, რაცა თქვით, მხოლოთ მაოცებს—ჩვენკენ რა უნდა რუსის ნა-ქებ ჯარს?
მთელი სვანეთი ერთგულებს მეფეს... და გზა სულ სხვაა, თუ ებრძ-ვის ხვანთქარს!

გაგარინი.

86. რას ბძანებ, რასა! თქვენი ჩანმთქმელი არვის უნახავს და ვერც ვინ ნახავს!
რისი გაკითხვა? ბრალი ვინ დაგდვათ? მე ჯერ ვერ ვიცნობ თქვენსა გამკითხავს!
ჯარი გავგზავნეთ ჩვენ სავარჯიშოთ, არ დაგვეხუთოს რომ სალ-დათები,
თვარა მართალ კაცს ჩვენ არას ვერჩით, ასე გვაქვს სჯული და ადა-თ ები.

მურძაყან.

87. ღმერთმა გისმინოსთ! ეგების კიდევ სასიამოვნოს მეტყვით რამ ახალს?

გაგარინი.

მეფისა ნაცვალს სურს თქვენი ნახვა. რაც მალე ნახავთ, უკეთესია.

მურძაყან.

იმას რაცა სურს, ის მეფესაც სურს, და ასრულება—ჩემი წესია!

გაგარინი.

ჩინებულს ბძანებით!

მურძაყან.

88. ხვალ ან ზეგ წავალ. გთხოვთ დააბრუნოთ უკან ლაშქარი,
თქვენი მორჩილი,
მჯერა, რომ ის სავარჯიშოთ თქვენგან არის გაგზავნილი,
მარა სვანებს სხვაფერ ეტყვის შურის ენა დაღვლარძნილი.

გაგარინი.

თქვენი სურვილი, სამართლიანი, ეხლავ იქნება შესრულებული.

მურძაყან.

გმადლობთ, ნახვამდის! (გადის).

გაგარინი.

89. დღეს კი გადავრჩი სიკვდილსა, შენდა უფალო მადლობა!
უსლარს წერს: „ეს რა გვიქენი, რათ გაგვამასხრე მთავრობა?
მურძაყან მარტო მოვიდა აქ, არც ეტყობა დაფლობა,
სიჩქარით აქვე დაბრუნდი, შეგირცხვა ჯარის სარდლობა!
90. მურძაყანი თბილისშია. ბარიათინსკს მოახსენეს:
„თქვენი სიტყვით ჩამოსულა, როდის ნახავთ, სურს იცოდეს.
მეფის ნაცვალი შეწუხდა: „რა ვქნა, ვისა გადამკიდეს?!
კაცს ბრალს დებენ, და საბუთებს ვერა ვხედავ აქამომდეს!"
91. მილიუტინს [1]) უთხრა: ერთი ამაცდინე მისი ნახვა.

---

[1]) დ. ა. მილიუტინი, მაშინდელი შტაბის უფროსი კავკასიის ჯარისა. შემდეგ სამხედრო მინისტრი, ამ ჟამათ გენერალ ფელდმარშალი.

ღმერთი, რჯული, მე უსლარის არა მწამს ამ კაცზე ჩმახვა.
მარა გაგარინს რა ვუყო, როგორ ვკადრო მას შეფახვა,
რომე დინჯათ ვერ მოიქცა და უსლარის შარებს აყვა!“
92. მილიუტინი ტკბილათ შეხვდა მურძაყანსა, როგორც მთავარს.
რას არ მოუვა? მთის ამბები გადულოცა ვაკეს და ბარს,
ვითამ კვდება ბარიათინსკი, არ ქინდობს არავინ უსლარს,
და ქუთაისს დააბრუნებს გულ-უბრყვილო სვანის მთავარს.

## IV

93. სანამ მურძაყან თბილისში იყო, ეწერში იდგა უსლარის ჯარი.
უმცროსებსა რომ უსაქმობისგან ქონდათ თამაში, სიცილ-ხარხარი,
დღესა და ღამეს ტეხდა და წერდა, ხევდა და ისევ წერდა უსლარი,
სურს დაამტკიცოს, მით თავი იქოს, რომ რუსთ ღალატობს სვანის მთავარი.
94. გაგარინსა წერს წილადობილას: „დადიშქელიანს დავეცი ზარი:
მოუმზადებელს რომ თავს ვესხმოდი, მოთასნი იყო გასაოცარი!
მისი აწ თქვენთან გამოცხადება სასოწარკვეთის ნიშანი არი,
და ასე იცის ტურამ, როდესაც წამოეწევა ცქვიტი მწევარი!
95. თუ ის დაგძვრათ აწ ხელიდან და დაბრუნდა კვლავ სვანეთში,
მერე იმას ხელში ცოცხლათ ვეღარ იგდებთ თავის დღეში.
ეხლა იგი უძლურია და გვეძლევა მიტომ ხელში,
ხვალ კი ღონეს მოიკრებს და გასწორდება სიმხნით წელში!
96. ნამდვილ ვიცი, საიდუმლოთ მთის ხალხებთან ის კრავს კავშირს.
ჯიქებს, უბიხთ, შაფსუღელებს, ყველას, ამბობს ვინც ჩვენსა ძვირს,
დადიშქელიანი იმხრობს, ერთმანეთსა აძლევენ პირს,—
და თუ საქმე გაარიგეს, ჩვენ შეგვყრიან დიდ გასაჭირს!
97. მე ეს მომიხსენებია, და ახლა კი თვითონ იცით.

მურძაყანი თუ გაუშვით, თავს რომ მოგვფხანს, ვამბობ ფიცით.
სამშობლოს წინ სხვებზე უფრო პასუხს აგებთ თქვენ, თვით იცით.
თავს ვერ იხსნით არ ცოდნითა და გადათქმის ფიცით მტკიცით.

98. დაბრუნებულ მურძაყანის ავი ეტლი ბრუნავს მტრელათ:
მიუჩინეს პოლკოვნიკი ბარტელემი [1]) მხლე მომვლელათ.
მთავრისათვის ის გადიქცა მაჯლაჯუნათ, სისხლის მსმელათ.
ჯაშუშობით, ჭორით, ცილით სინათლეს უქცევდა ბნელათ!

99. ის იყო არხეოლოგი, -- ცოცხალ კაცს ერჩია მკვდარი.
მსგავსი მსგავსს უმეგობრდება: ძმათ მოიკიდა უსლარი.
მისს ნატრვისა ასრულებას იგი იყო გადამკვდარი,
და ორივეს დასალუპათ გაწირული ყავთ მთავარი...

100. ბარტელემი სისხლს უშრობდა მისს სხვერპლს დღიურ წვრილმანებით,
და თავის საქციელს ხსნიდა უფროსების სურვილ-ნებით.
უსლარს, მთავრის ისედაც მტერს, ამხნევებდა წაქეზებით, —
ეტყოდა, რომ დიდ სამსახურს რუსთ უწევდა მთავრის ვნებით!

. . . . . . . . . . .

101. გაგარინი კაცს უგზავნის მეფის ნაცვალს მოხსენებით.
უსლარის აზრს, ნათქვამს, ნაწერს ზედ ბევრს ურთავს ოცნებებით.
ბოლოს ასკვნის: „თუ მურძაყან არ მოგვცილდა თავის ნებით,
ან თქვენ არ გადაასახლეთ, დიდ ხიფათებს მოვესწრებით.

102. „მე ეს მომიხსენებია, და თქვენ იცით რაც ჯობს და რა.
ამას შემდეგ რაც მოხდება, პასუხს ვაგებ მე აღარა...
აქ შემეძლო გაჩერება, ჩემ სათქმელათ ესეც კმარა,
მარა ვალი მაწევს რომ ვთქვა: დრო ისწრაფის საქმეს ჩქარა!“

103. ბარიატინსკი კვლავ წარბებს კრავს, რა იღონოს აღარ იცის.
გმობს უსლარს და გაგარინსაც, ვგონებ თავიც გადაიცის.

---

[1]) ივანე ალექსის ძე ბარტოლომეი, პოლკოვნიკი, არხეოლოგი და ნუმიზმატი, ყოვლათ მახინჯი და გულღრძო.

იწვევს რჩევას ახლო კაცთა, გულწრფელ აზრს თხოვს, ვინც რა იცის.
„ადგილის სენს რაც რგებსო, — თქვეს — იქაურმა უკეთ იცის!“
104. გავიდა რამდენიმე თვე ბარიატინსკი რიხით ბძანებს:
„მოაშორეთ მურძაყანი სამშობლოს და ერთგულ სვანებს!
„ერევანში ჯერ გაგზავნეთ, სანამ მეფე თვისას ბძანებს„...
„საქმეს თქვენი გამრჯელობა, ვიმედობ არ დაახსნებს“...
105. დაქიჩმაჩდა გაგარინი, მეფის ნაცვლის გრძნობს რა ზურგსა,
ამბობს: „ეხლავ მოვიშორებ იმ სვანს ბრიყვსა და ველურსა!
თავზე ბუზსაც აღარ იფრენს, ეზმანება იალბუზსა...
მურძაყანს უწინ რა უთხრა, იმაზე კი აღარ წუხსა.
106. ტაძარშია მურძაყანი, წირვას ისმენს სასოებით.
სიმრუდეზე სიმართლისა ძლევას ითხოვს სიწრფოებით,
ღმერთს ავედრებს სამშობლოს და ოჯახობას წვრილ-შვილებით,
ჰირჯვრის წერით მუხლებს იყრის, მორწმუნის გულმხურვალებით.
107. ამ დროს გვერდით აეტუზა გაგარინის თარჯიმანი.
„გენერალ-გუბერნატორი... ამ წამს ნახოთ გთხოვსთ... ღმერთმანი!..
„თქვენს შესახებ დღეს მიიღო მან ბძანება მეფის ნაცვლის...
„უსათუოთ მისვლასა გთხოვსთ, ეჩქარება, მეტს არ გაცლის“...

მურძაყან.

108. აქ უფროსი ღმერთი არის, მას ვახლავარ, მას ვლოცულობ,
ღვთის საყდარში ღმერთსა ვესავ, მიწის საქმეს არ ვკითხულობ.
აქ არა თუ მეუფროსეს, მეფეს შეფეთ არ ვცნობულობ!
წა, გაგარინს შეუცვლელათ უთხარ, რაც ვთქვი, თუ ერთგულობ.
109. მოხელე მიდის. მურძაყან მეტანიითა ლოცულობს,
წამს შემდეგ იგივე კაცი გვერდით უდგას და ფუჩუნობს:
„დაჟინებით გთხოვსთ გენერალ-გუბერნატორი, არ ხუმრობს,—
„გული მოუვა საცაა... თქვენ რას გიქს... მე... მე... გამაქრობს!“

110. მურძაყანმა გაიქნია ხელი, გარე გამოვიდა,
ბოხოხი მძლეთ თავს დაიგდო, წარბი შეკრა, გულს მოვიდა,
მიდის გაგარინისაკენ... წინ-წინ მოხელე მიფრინდა,
და ახარებს: „ვუთხარ, მოდის, სწორეთ იგი, ვინც ოქვენ გინდა!“
111. მურძაყანს შეხვდა იზიუმსკი, მედამ სიმართლის მზრახ-
ველი,
გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი.
ეტყვის: „მურძაყან, გენაცვა, გამართლდა, რაც იყო ჭორი...
მარა, იცოდე, სიმართლეს შენსას ცავს იმპერატორი.

მურძაყან.

112. მითხარ, დაბრუნდა ცა რისხვით ამ ჩემ თავს უბედურზედა?
ქვრივდება ჩემი რუსუდან, შავი ჭირდება ქმარზედა?
და ჩემ წვრილ-შვილებს სიობლე მიეპარება კარზედა?
მითხარ, ადრიან, არ გაგცემ, ვფიცავარ ამ ულვაშზედა!

იზიუმსკი.

113 მურძაყან, ცოლ-შვილს გაფიცებ, რომ დაიწყნარო შენ
გული.
სიმართლე ბოლოს გაგიტანს, ამას ვარ დარწმუნებული.
რაც გითხრას დღეს გაგარინმა, არ შეგიბრუნდეს მით გული...
თვით გაასწორებს, რაც შეცდა, იყავი დამშვიდებული.
114. მალე მიადგნენ ეზოსა. მურძაყან ხედავს წინა კარს,
საელარში ვინც მას ეხლა, იგივე თარჯიმანი დგას.
მხიარულათ იპატიჟებს მოწყენილსა სვანის მთავარს,
ვის დარბაზში მოხელენი ძლივს აძლევენ ახლა სალამს.
115. „ეე,—იფიქრა, სხვაფერ აქვთ აქ საქმე გამოწყობილი,
„თავს რომ იგდებენ ეტყობათ, მოდგმაც ხელს უწყობსთ გმობილი“.
სტუმარს ხელი შეავლო, უთხრა: „ჩემი ხარ ძმობილი,
„სანამ ქამარ-წელს მიშვენებ, არ ვარ ძაბუნათ ხმობილი!“

116. დარბაზში ცალ-უბათ მას უთხრეს: ვისგანაც ხართ მოწ-
ვეული,
თქვენ კაბინეთში გელისთო, ისწრაფის სხვისგან წვეული.
შევიდა, სალამს ძლივს აძლევს გაგარინ თავ-აწეული,
და ქედ-მაღლური კილოთი ძლივს ეტყვის ხმა-არეული,
117. —„კანცელარიის მმართველი მურძაყან დადიშქელიანს
„მეფისა ნაცვლის ბძანებას ამცნევს გადაჭრილს და გზიანს“.
იზიუმსკი კითხულობს, თარგმნის მოწყრილობას ღვარძლიანს;
„ჯერ ერევანში გაგზავნეთ“ და სხვა სიტყვებსა შხამიანს...
118. კითხვა გათავდა. ყველანი გრძნობენ რაღაცა საშინელს
ხმას ვერვინ იღებს. მურძაყან აღარ ენდობა სასმენელს...
აღელვებული გრძნობები ფიქრს ფიქრზე უცვლის შავს და ბნელს,
ზეცა შეძაგდა, ზიზღით გმობს ამ ქვეყანას და გარესკნელს.

გაგარინი.

119. გესმის მურძაყან, რამდენათ სულგრძელი არის მთავ-
რობა?
მე გირჩევთ, არ გაჯიუტდეთ, ბედს არ დაუწყოთ ჯავრობა.
ეხლავე გასწით. თქვენ, სვანებს, ვერ შეგაშინებსთ მგზავრობა.
დიდია მეფე რუსეთის, იქ გელისთ მისი წყალობა!

მურძაყან.

120. დიდია მეფე, მოწყალე, მიტომაც ვემორჩილები.
მარა მორჩილიც კაცი ვარ, მეცა მყავს ცოლი, შვილები.
რა დავაშავე სამისო, რომ მკარგავთ გაუკითხველათ?
ჯერ მსჯით, და მერე წყალობას მპირდებით დასაცინელათ?!

გაგარინი.

121. კვლავ გირჩევთ, ნუღარ ჯიუტობთ, დღესავე გაემგზავრე-
ნით!

მურძაყან.

რაც ჩემს ყურებსა აწ ესმის, ვით შეძელთ მისი თქმა ენით?!
რა მაწანწალა მე მნახეთ, თქმისათანავე რომ მდევნით?!

გაგარინი.

გნებავსთ მთავრობას ეურჩოთ ე მაგ ძალღონითა თქვენით?

მურძაყან.

122. არა, ურჩობას არ ვფიქრობ, — მაკვირვებს უსამართლობა!

გაგარინი.

უკაცრავათ ვარ, დრო არ მაქვს. მე გორდში მიმეჩქარება.

მურძაყან.

დრო, ხანი მაინც მომეცით, ორი თვე იყოს, თუ სამი.

გაგარინი.

რათ? ჰა, ჰა, ჰა, ჰა! როგორ გეტყობათ, რომე ხართ ხამი!
123. რისი სამი თვე? არ ძალ მიძს მოგცეთ დრო საათიც სამი!

მურძაყან.

მაშ, ნება მაინც მომეცით — გიმნაზიაში მივედე,
და შვილებს გამოვეთხოვო, გავუდგებოდე გზას ვიდრე.

გაგარინი.

მაგის ნებასაც ვერ მოგცემთ... ამ წამსვე უნდა წახვიდეთ!..

124. ამ დროს მოისმა სტუმეო ეტლის ზარების წკრიალი.
მურძაყან გადახედა და — მიხვდა მას ელის ტიალი...
სისხლმა ძარღვებში მდუღარეთ უწყო კვარკვალი, ტრიალი...
125. დიდია სვანის მოთმენა, შორეა მისი საზღვარი,
მარა კი ერთხელ თუ გაწყდა, სახიფათოა საზარი!..
ნიაღვარია მთის, ბარათ ღრიალით მოაქვს რომ ზარი;
დათვია გახელებული, ნაჯინჯვლი, პირს დორბლ ნაყარი!

მურძაყან (გულმოსული).

126. ამ წამსვე?.. როგორ ამ წამსვე?! რა ქურდი მნახეთ წუნკალი?!
ვხედავ, თუმც გვიან,—სითვლიდეს თქვენსას არა აქვს საზღვარი...
იცოდეთ, რომ მე კაცი ვარ, ჩემ ქვეყანაში მთავარი!

გაგარინი.

127. ბღუნკია სვანო, მთავრობა შენთვისაც ვინ მოაცალა?!
„ეი, ბიჭებო, შეკარით!“ თვალ ქაჩვით დაიღრიალა...
აევსო მურძაყანს მკერდში მოთმინების ფიალა,
ჭიპში კრა სატევრის წვერი, ჭაჭებში გადუტრიალა!..
128. ერთი შებღავლა და დაკლულ ხარებრ წაიქცა საწყალი.
მოასწრო მხოლოთ ამის თქმა—„რათ მომკალ კაცი მართალი?!“
და სული დალია კლაკვნით, შეუდგა სისხლის ტბა, ღვარი...
მურძაყანს კი მოუნატრა ბარტყელუმა და უსლარი...
129. ელდა ეცათ ვინც იქ იყვნენ: ცხვრებს გვანან მგლის შენაფეთსა,
ზოგი დივანს ქვეშ შეძვრა, ზოგი გარბის, ლანჩებს ცვეთსა.
ისმის „ვაი“ და „გვიშველეთ“, უღვთონიც უხმობენ ღმერთსა.
მთელი სახლი ეზოიან დაემსგავსა ჯოჯოხეთსა!
130. ამ დროს ზალიდან ხმალ-და-ხმალ მურძაყანს უტევს თარხანი.
თურმე ეწერა ბედისგან სიცოცხლის მოკლე მას ხანი,—

—„დამრჩი, დააგდე ხანჯალი, ვერ წახვალ უსისხლეული!“
და მოუქნია ხელგაშლით ფოლადი ხორასნეული!

131. ხმალს სატევარი აუკრეს, გახდა წკრიალი რკინისა.
ნაპერწკლებსა ყრის ფოლადი ფოლადზე ხორასანისა.
—„ძმაო თარხან, ჩამომეხსენ, მეყო სისხლი, ნუ მერი ცოდვას!
„რუსის სისხლს ქართველი სვანს მთხოვ,—რა გრჯის ერთი კაცმა რო თქვას?!

132. არდიშვილი თარხან იყო ცქვიტი, მომცრო და პირხმელი,—
გაგარინის თარჯიმანი, ერთგული და მაქებელი,
ახალგაზდა, სახით ჯმუხი, თვალსწრაფი და შემმართველი,—
ხელმეორეთ მოუქნია მურძაყანს მახვილი მჭრელი.

133. მურძაყანმა მას ხელ-მარჯვეთ კვლავ აუკრა ხმალს ხანჯალი,
გულში კრა და დაუბნელა ბედშავს სამუდამოთ თვალი.
ველარ ნახავს მეტს თარხანსა დედა მისი, ქვრივ-საწყალი,
თარხანზე რომ ლოცულობდა დღე-და-ღამ, ის ღმერთთ გამწყრალი.

134. ამ დროს ზურგით ილიინი [1]) მელურათ წამოეპარა,
მძლავრათ ხელები მოხვია, „დამნებდით, სისხლი კმარა!“
საბრალომ თავი წააგო, მკვლარს ვერაფრით დაეხმარა:
მურძაყანმა ისიც მოკლა, სული მისი ხორცს გაყარა!

135. უცებ იქვე შემოიჭრა მაქსიმ რუსი მზარეული,
გაგარინის თან-შეზდილი, ამ ამბვით გადარეული.
ხმალ-ხანჯლის წილ ხელთ ეჭირა შამფური გახურებული.
მალე ნახეს ღრმა ჭრილობით გაქცეულ აბდავლებული.

136. ხოლო ერთი ავიცერი ძე-ზე ვისაც ქონდა გვარი,
გაგარინის სადგომიდან იქ გაიქცა, სად დგა ჯარი.

---

[1]) ნიკოლოზ პეტრეს ძე ილიინი, გაგარინის ხელ-ქვეითი მოხელე. მურძაყანის კაი ნაცნობი. რამდენჯერმე ურჩია მურძაყანმა—„ხელი მიშვი, თუ არა ცუდ დღეს დაგასვამო?“ მარა საწყალი სამსახურის ვალს, უფრო შიშით, ველარ გაექცა.

ერთი როტა სალდათების, ვით ბორიო და ზღვის ქარი,
სასახლისკენ გააქანა, რომ მურძაყანს დაცეს ზარი!

137. მურძაყანი გამოვიდა, გავლო ეზო, დაყვა წყალსა.
გრძნობს სამშობლო რომ დაკარგა, ვეღარ ნახავს ცოლ-შვილს, სახლსა...
გავიდეს წყალს და წავიდეს? გაექცეს მტრის თოფს და ხმალსა?
არა, იგი ამას არ იქს... ფიქრს ეძლევა ბუნდს და მწვავსა...

138. ცას ახედა, და სამყარო ძირ უკუღმა მას ეჩვენა.
გრძნობა მკერდში მოუზღვავდა, სული უხუთს და დუმს ენა,
თავის თავგადასავალი წუთის ლანდათ მოეჩვენა...
აგერ მთები და სვანეთი... ეგერ—ცოლშვილში მოლხენა!

139. ქათამი რომ არ დაეკლა, შემოაკვდა სამი კაცი.
სამი კაცის სისხლის ზიდვას ვერ აუვა ერთი კაცი.
მურძაყანიც ვერ აუდის, თუმცა არის ზე-მამაცი:
ხორც-შესხმულსა ვაებას გავს, დაწვებს დაკრავს ფერი ბაცი!

140. გადაწყვიტა ინახულოს პირის პირ ძე ნათლიისა,
რუსეთის ტახტს გვირგვინოსნათ რომე იჯდა მაშინ ისა...
ოცნებობს: მას ეტყვის ამბებს დაწვრილებით ყველაფრისა,
მწარე თავგადასავალის, ძლევას უსამართლობისა!..

141. ნაცნობის სახლში შევიდა, და სიჩქარით ცოლს წერს წერილს.
ამ დროს როტა მოადგება, შეკრავს ირგვლივ ეზოს და თხრილს.
უძახიან: „გამობძანდით, არ შეგარჩენთ შენ იმათ სისხლს!
„დორივით თკარ წაგათრიეთ, ნებით ვიკრავთ სვანების წიხლს!

142. ოთახის კედლებს ახედა მურძაყან, დახშო მსწრაფლ კარი,
ზედ კიდევ ტახტი მიადგა, რვა კაცის ანაწევარი.
თოფი და ტყვია წამალი ნახა, ჩამოხსნა აბჯარი,
სამი ისროლა, სამსა კრა, სამივე დასცა ძირს მკვდარი!

143. ოთხმოც სალდათმა სამ-სამჯერ ტყვია ჩაურტყა კარებში.
ფიცრები ფუნჩხათ გადიქცა, სახლი შეირყა სარტყელებში.
სისხლით შეღებულ ჩოხითა მურძაყან მოდგა ხმლით ხელში.
მაგარ ხმით ყვირის: „აქა ვარ, მომხდურს თავს წავჭრი კისერში!“

144. „ურას“ ძახილით უტევენ სულ ყველა იმედიანნი.
კისკასით მიდის ერთ სვანზე ოთხმოცი თოფ-ხიშტიანი,
ძალზე უსწრებენ ერთმანეთს გულადნი ხალისიანნი!
ჯილდოს მოელის სულ ყველა, უბედო თუ ბედიანი.
145. ორ მოწინავეს მურძაყან თავები წააგდებინა,
მესამეს რომ მოუქნია, ვადაში გადუტყდა რკინა;
სატევარს წვდა და მოუსწო ამ ქვეყნათ იმასაც ბინა,
მეოთხემ კი თვით მურძაყანს ხიშტი გვერდში კრა, ურქინა!
146. მძლეთ შეტრიალდა მურძაყან, ხიშტი გაღუნა რკალივით,
მეხუთემ თოფი მხარში კრა, სისხლი გადმოჩქეფს წყალივით.
მკლავის და მუხლის ძალებმა მაშინ უსუსტეს გმირ მთავარს:
დაბარბაცდა და წაიქცა, აღარ დაეძებს ის სათვარს!..

## V

147. ბარიათინსკთან შიკრიკს მიაქვს ივანოვის [1]) მოხსენება:
„მოხდა საქმე აქ საზარო, ბელზებელსა რაც ენება.
„თავად გაგარინმა ამცნო სვანის მთავარს თქვენი ნება,
„და ველურმა მოკლა იგი, იქნა ცოდვის გადიდება“.
148. ილიინ და არდიშვილი გაგარინს დააკვდენ იქვე:
მთავარს ფიცხლათ შეუტიეს და მან ორივ მოკლა მყისვე.
შემდეგ მკვლელი გაიქცა და გამაგრდა ერთ ფიცრულ სახლში.
დიდათ ხელი გამოიღო — ბედი ცადა თოფს და ხმალში:
ექვს სალდათსა, გულ უშიშარს, დაუსნულა ჩინი თვალში,
ბოლოს მაინც ჩვენ დავძლიეთ და დილეგის ზის სარდაფში.
149. მოვახსენებთ ამას თქვენსა ბრწყინვალებას მორჩილებით,
და თან დავძენთ, ქუთათელებს სურსთ დაგლიჯონ ის კბილებით.

—

[1]) გენერალი ივანოვი, ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორი, მურძაყანის პატივის მცემელი, სამხედრო სასამართლოში იცავდა მას.

ქვრივს სამძიმრით მიმართავენ, პირადათ თუ წერილებით.
აწ ბძანებას ველით რუსნი ჩინოსანი ქართველებით!“

150. მეფის ნაცვლის სასახლეში რჩევა არის უაღრესი.
იქ შეყრილან დიდნი კაცნი—რჩეული და უხუცესი.
წყვეტენ მეფეს მოახსენონ ეს საქმე უსაზარლესი...
ქართლელი თავადი ამბობს,—მე აზრი მაქვს უკეთესი.

151. გაგარინის მეუღლისა იგი გახლდათ ნათესავი.
ნათესავი და ჩინები მისთვის იყო საესავი.
წრფელი გულით მას უკვირდა—აქ რა იყო საკითხავი?
„მკვლელს სიკვდილი!“ ის იძახდა, და სიტყვები ქუხდა ავი:

152. „დადიშქელიანს მთავრათ და სვანეთს თქვენ ფიქრობთ სამთავროთ,
და გგონიათ, დღეს ევროპის ნაწილია თქვენს სამსჯავროთ!
ტყის ჩადირია ორივე—სვანის ხალხი და მთავარი,
ორივეს სისხლი გავართვათ, ორივ ამის ღირს არი!

153. ხელს ვერ გაიღებს ვერც ერთი, ბღუნკია არის სულ ყველა.
მთავარი მათი ტურაა, სხვები სიფრთხილით კი—მელა.
მთლათ რომ დაიქცეს სვანეთი, არსით მოელის ხსნა, შველა,
კავკასიისა ერები ზიზღით უმზერენ მას ყველა.

154. მცოდნე ვარ აქაურების, მერწმუნეთ, რომ ეს ასე ჯობს.
თუ ამით საქმე წახდება, მთქმელი თავის თავს წაიღრჩობს.
დღესვე გავგზავნოთ ქუთაისს სამსჯავრო ბრძოლის ველისა,
რომ შავ მიწაში ჩვალ დებდენ მყრალ მძორს იმ სისხლის მსმელისა.

155. თუ არ ვიძიეთ ჩვენ სისხლი გენერალ-გუბერნატორის,
მზე დაბნელდება თქვენების აქ არა ერთის და ორის!
იცით თქვენ რა ჩურჩულია მარტო აქაურთა შორის?
მთებში კი დღეს რა იქნება,—ვთქვა, ჩამომართმევთ თქმათ ჭორის.

156. ბჭეთ ერთმანეთს გადახედეს.. ერთი ერთს ეჩუჩუნება:

„თეთრი მგელი რუხ მგელს აღრჩობს, ნეტავ ჩვენ რა გვეხადვლება!
ბარიათინსკიც დაეთანხმა თავადს, უქეს აზროვნება,
და ქუთაისს ბრძოლის ველის სასამართლო იგზავნება..»

—

157. ბალახვანის ქუჩის თავში საპყრობილე იყო იმ დროს.
იქ ჩააგდეს მურძაყანი საკანში ბნელს, მყრალს და მყუდროს.
მზე იქ მას ვერ შეხედავდა, როგორც ის მზეს ვეღარას დროს...
მართალ კაცსა სიმართლისთვის ბედი ურტყამს ასეთ ყროს!
158. მურძაყანი გონს მოეგო, ხორციელი ტკივილებს გრძნობს.
აქიმი თავს ადგას, უხვევს ჭრილობებს მას, თანაუგრძნობს:
რაც კი მისგან შეიძლება, ხელს არ აკლებს, ტკივილს უხშობს,
„გმირი ტანჯვებს გმირებრ იტანს“, თან აქიმობს და თან უბნობს.
159. ეს ეოცა მურძაყანსსა, კითხა—„ნეტავ მწამლობ რათო?
„დასტურ ჩემი მორჩენა გსურსთ, თუ მიგდებთ მე თქვენ მასხარათო?“

აქიმი.

მე აქიმი ვარ და გწამლობთ, როგორც მადევს ფიცათ, ვალათ,
თქვენ საქმეში წილი არ მაქვს, და ნურაფერს ნუ მდებთ ბრალათ!

მურძაყან.

160. თუ სიკეთე ჩემი გინდა, ვალიც დამდვა ფას-უდები,
რას ფიქრობენ ჩემდა სამტროთ, სწორ მითხარი, გევედრები!

აქიმი.

სამტროთ მგონი არაფერსა. ხვალ კი გაგასამართლებენ.
მარა მთავარს, მეფის ნათლულს, ვფიქრობ სასჯელს ვერ დაგდებენ!

მურძაყან.

161. აქიმი ხარ და მალამო გსურს ქნითაც მცხო,—ეს მჯერა.
მარა იმათ სამართალსა ვერ ნაცნობხარ, სულაც ვერა!

აქიმი.

აწ მშვიდობით. ერთსაც გეტყვი და წრფელათ გთხოვ— შეისმინო:
ყველას სურს, რომ ნების ძალა, შენ ბოლომდი შეირჩინო.

მურძაყან.

162. რა თქვა და ვინ! მარა იყო სოდომ-გომორშიაც ერთი,
ვისაც წმიდათ, კაცათ-კაცურ წამდა იეღოვა—ღმერთი...

---

163. გაიღო კარი საკანის, შემოდის ზედამხედველი.
—„ხვალ გაგიჩენენ სამართალს, გსურთ აირჩიოთ დამცველი?
შეცბა მურძაყან: კაცია ისიც, სისხლ ხორცის შემცველი...
მთქმელს უმზერს: მისებრი არსის თითქო არ იყო მნახველი.

ზედამხედველი.

164. თქვენს ჰასუხს ველი: მიბძანეს შევიტყო, ვინ გსურსთ დამცველათ?

მურძაყან.

მე მართალი ვარ ყველაფრათ, და არავინ მსურს დამცველათ.
ისე კი, რომ ჩემი საქმე ქვეყანას ვამცნო გულწრფელათ,
კოლიუბაკინი მაჩვენეთ, იზიუმსკი მომეთ მთარგმნელათ.

ზედამხედველი.

165. კოლიუბაკინი წავიდა, ოდიშს ბძანდება ახლა ის.

მურძაყან.

ხომ არ მოკვდება მერე იქ? ხომ დაბრუნდება ქუთაისს?

ზედამხედველი.

166. რომ დაბრუნდება, ბატონო, როდის იქნება მერე ის?
და სასამართლო კი საქმეს თქვენსას ხვალევე გადაჭრის.

მურძაყან.

საქმე თუ დაღრჩობაზეა, რაღათ არქმევენ სამართალს?
არც ვექილს ვეძებ, და არც ვცნობ მაგათს მსჯავრსა და სამართალს!

ზედამხედველი.

167. როგორც გენებოსთ! მაშ ასე გადავცე ფქვენ მაგიერათ?

მურძაყან.

უთხარ თუ: მოხელეთ მსჯავრი ბძანებისა და ხათრისა,
ისეა სანდო, როგორაც თოვლი შარშანდელ ზამთრისა!..

## VI.

168. მურძაყანი სამსჯავროში ერთი როტის მიყავსთ ხლებით.
ქუჩისა ბრბო უკან მისდევს სიცილ-ლანძღვით და გინებით,
წინა დღით რომ აღმერთებდა, ახლა მას გმობს დაყინებით.
ასეთია ყველგან ქუჩა: ჭკვის ნაცვლათ სჯის თვალ-ჩინებით!..
169. სამჯავროში თავმჯდომარის ბეგთაბეგის [1]) მას ხმა ლბილი

[1]) გენერალი თავადი ბეგთაბეგიშვილი, სომეხი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც გაასამართლა მურძაყანი და დახვრეტა მიუსაჯა მას.

ჰკითხება: „ბრალათ გადევსთ გაგარინის თქვენ სიკვდილი.
„ცნობთ თქვენ თავს დანაშაულათ? გვითხარით გამოტეხილი?

მურძაყან.

რათ მეკითხებით? რა გნებავთ?

თავმჯდომარე.

170. სასამართლოა აქ ბრძოლის ველის, გასამართლებენ თქვენ,
ეს იცოდეთ.

მურძაყან.

მე მთავარი ვარ ქვეყნისა, ჯერ კიდევ თავისუფალის,
მერე ნათლული გახლავართ თქვენი მეფის და უფალის!
ამიტომ თქვენი სამსჯავრო მთავარს ვერ გამასამართლებს.
გთხოვთ შეეკითხოთ ხელმწიფეს, ის ბრძანებს ჩემსა სიმართლეს.
171. მოსამართლეთ ამ სიტყვების გამო ყველას ეცინება.
ხელდახელათ მოწმეებსა ჩამოართვეს იქ ჩვენება.
აასრულეს სინდისიერ უფროსების იმთ ნება:
მურძაყანის დასახვრეტი მყის დაწერეს განჩინება.
172. გააბრუნეს ტყვე, მურძაყან ისე მიდის, ვით რაინდი...
უკან მისდევს ქუთათლების მასლიანკი მეტათ ფლიდი.
ახლაც სტვენით მიაცილებს, სიხარული აქვს მას დიდი:
უფროსთაკენ რაკი ყვირის, მურძაყანის არ აქვს რიდი.
173. ქუთაისს ხომ ჩვეულებათ ძველათგან აქვს მიღებული:
გმოს და დევნოს, ვინაც არის ქვეყნისთვის თავდადებული,
მტრულთ და ფლიდებს მხარი მიცეს, იყოს ძალის ბრმა ერთგული;
წუთით ცხოვრობს, მომავალზე ერთ-თავათ ხელ აღებული!

—

174. საკანის კარი გაიღო, შედის სულისა მკურნალი,

მურძაყანისა ნაცნობი, გამრეკელია [1]) მოძღვარი,
ქრისტეს ნამდვილი მოსავი, ძველ მოციქულთა სადარი...

მურძაყან.

ოო, ქამაო მოძღვარო, აბა ამბავი მიითხარი, —
თუ რამე იცი სვანეთის, საამო, ანუ საზარი?

მოძღვარი.

**175.** რუსთ მთავრობა გონს მოეგო: სვანეთს აღარ ეტანება.
თქვენს სახლობას, ცოლშვილს და ხალხს, ღვთით, აღარ გაუჭირდება.

მურძაყან.

რაც შენ მიითხარი, მოძღვარო, თუ იგი კი ასრულდება,
მოკვდაო, ჩემზე ნუ იტყვით, — სათვლავშიც გამინათლდება!

მოძღვარი.

**176.** ჰირადათ თქვენც გცავს ღვთისა განგება...

მურძაყან (აწყვეტინებს).

ჰო, თუ თვალს გიჭრის, სწორეთ მეტყობა...

მოძღვარი.

განა ეჭვი გაქვსთ?

მურძაყან (აწყვეტინებს).

**177.** საეჭვო რაა, როს ნამდვილ ვიცი მოგონილია მისი არსება!

---

[1]) გიორგი გამრეკელი, ქუთაისის მაშინდელი საკათედრო (მთავარანგელოზის) ეკლესიის დეკანოზი.

მოძღვარი.

მურძაყან, თქვენებრ ღვთის მოსავს, სხვას იშვიათად ვიცნობდი.
არ მეგონა თუ ქვეყნიურ წამებისათვის მას გმობდით!!
ახლაც თქვენთან არს, მწამს, ღმერთი, ვის მუდამ ლოცვით ამკობდით.

მურძაყან.

198. . . . არს!
ღმერთი ფაარში დავტოვე, აღარ გამომყვა ქუთაისს,
და ამ მიზეზით მას მოღმა მომდურავეთ ვართ მე და ის.

მოძღვარი.

ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი სიმართლის მცველი თქვენს გცდის ამ ქვეყანაში;
თვარა სიმართლე არ დაუკარგავს თქვენი: მოგაგებსთ ნაცვალს ის ცაში...

მურძაყან. (აწყვეტინებს).

179. მცველი ჩაგრულთა, სიმართლის... ზღაპარი არის ხუცების,
მათი ტან-ფეხის ჩამცმელი, გამძღები მათი მუცლების.
იგი ცნებაა სიბნელის, ხალხთ წინ სლვის უკან დამხევი,
მონების გამბრუებელი, თაოსნობის წამრთმევი!..

მოძღვარი.

180. მურძაყან, ვინ თქვენ და გმობა განგების და ხუცე-ბის?
რაც თქვით, წამოგცდათ, მგონია თქვენ, ღვთის მოსავს, უცებ ის.

გთხოვთ და გთხოვთ, ჩემო ბატონო, კვლავ ღმერთი თქვენ ადი-არეთ,
ქრისტეს ნაწილი მიიღეთ და მითი მას ეზიარეთ!

მურძაყან.

181. იცი, რას გეტყვი, მოძღვარო? გაფიცებ შენს ქრისტეს და ღმერის,
მაგაზე ხვალ ვისაუბროთ, სხვა რამ მისმინე ბედკრულს დღეს.
ნუ გამაწბილებ: გულითადს სათხოვარსა გთხოვ ერთადა ერთს.

მოძღვარი.

მოძღვრის ვალია, რომ თხოვნა მან აუსრულოს ქრისტიანს.

მურძაყან.

182. წერილი მინდა მივწერო ძმას, ერს, ცოლს თვალ-ცრემ-ლებიანს.
ქაღალდ კალამი მიშოვნე,—მღვდელს გიძახოდენ მადლიანს...

მოძღვარი (იღებს უბიდან ქაღალდს და კარანდაშს).

ა კარანდაში, ქაღალდი, ვერ გაგაწბილებ ქრისტიანს...
ეხლავ დაწერე, ეგებ ხვალ კაცს გავატანო მადლიანს...
მურძაყან სამი წერილი დაწერა ცოლს, ძმას, ერთანა.
დაკეცა, მღვდელს ხელს აკოცა,—თხოვა გაგზავნოს მათთანა...

**მურძაყანის წერილი, ცოლთან მიწერილი.**

183. „რუსუდან,„ ღმერთი რომ მწამდეს ახლაც, ვით უწინ მრწმე-ნოდა,
შენ თავს მას შევავედრებდი, მივარველათ რო გყოლებოდა.
მარა მას შემდეგ, რაც მოხდა, არა მწამს ღვთისა განგება...
ხვალ მომკლავენ, ამას არ ვწუხვარ, მაწუხებს შენი ვაება.

184. გთხოვ. შენსვე სინდისს მიენდვე და სიყვარულსა ერისას:
ორივეს ვიცნობ გამოცდით, გაუძლებს რისხვას მტერისას.
მათვე მიანდვე შვილები, ჩემი სისხლ-ხორცნი და სული,
ვნატრობ, ისინი ჩვენ გვჯობდენ, ვაჟი არის თუ ასული.
185. რუსუდან, კაცის სიცოცხლე —მოჩვენებაა მიწაზე,
სინამდვილეა ტანჯვები, სხვა მოვლენასა ყველაზე.
ერთი რამ არის მარადის, ყოფილი არსთაც წინაზე—
არარაობა ყველაფრის, რაც სუფევს ცას და მიწაზე!
186. ათასი წელიც იცოცხლო, ჩემო რუსუდან, მაინცა,
იმდენი დროც ისე გავა, როგორც ეს ერთი წამიცა...
არარაობას შევერთვით მეც და შენც, მიწაც, ცანიცა.
ამიტომც საწუთროსათვის არ ღირს შეხარო წარბიცა!
187. კიდევ ერთს გთხოვ: გლოვის ნიშნათ არ ჩაიცვა ჩემზე თალხი,—
ბავშვებს გული არ გაუტყდეს, ცრემლს არ ღვრიდეს სვანის ხალხი.
ყველას გლოცავთ, მეტადრე შენ, იცოცხლეთ დრო უთვალავი.
მე კი შენი ტრფობა მიმაქვს, მეტკბილება მით საფლავი".

## მურძაყანის წერილი, ძმასთან მიწერილი.

188. გულითადათ მოგიკითხავ ჩემო ძმავ და ამხანაგო,
ჩემი ტანჯვის უღლის მწევო, მეგობარო ყოვლათ კარგო,
ჩვენი გვარის დამშვენო, საწყლებისთვის დიდათ მარგო,
სამარეშიც სამახსოვრო, გულის სიმით მოსაქარგო!
189. ამ წერილის მიღებამდე შენ გაიგებ მე რაც მჭირდა,
ბოროტებამ ვით დამჯაბნა, ბედი როგორ გამიფრინდა...
ძმაო, ჩემთვის ცრემლს ნუ დაღვრი, რომ მიგლოვო არც ის მინდა;
ამაოა ყველაფერი: რაც იყო, არს და რაც გვინდა!
190. მე მაინც მტანჯავს სამშობლოს აწმყო და მომავალიცა.
როგორც მინდოდა მას ისე ვერ გადვუხადე ვალიცა.
ნუგეშათ ბედი მშთენია უბედო, წარმავალიცა:
დღეს ისინია, მარა ხვალ გაქრება მათი კვალიცა!

191. რამდენი ერი ძლიერი და დიდათ განათლებული,
ცას ქვეშეთშია ყოფილა მხარ-გრძელი და დიდებული.
დღეს მათი სახსენებელიც უკვე არის მივიწყებული,
და უფრო ძველი სვანი კი დადის გულ-გაკაჟებული!

192. ერთი დღე არვის შერჩება, გინდ კაცი იყოს, გინდ ერი;
დღეს რომ სხვას ჩაგრავს, ხვალ ხედავ — მონაა საწყალობელი,
შენ ის მიშველე, რომ ცოდნის და ჭკუის გამშუქებელი
გამრავლდეს ჩვენში, და სხვას კი დრო იზამს გამსწორებელი!

193. შენ კი მალე დაბრუნდები [1]), თუ ხელმწიფეს ამბავს ამცნობ.
თუ პირის პირ ინახულებ, ჩემ ამბავსაც ხომ გააცნობ...
მკვდრეთით ვეღარ ამაყენებს, მარა ნამდვილს რომ გაიგებს,
ზარი მაინც დაეცემათ აქ მის მონებს და პაიგებს.

194. თუ საწუთო ბედს ეწიო, საამო დაგიდგეს ხანი,
სათნო ტურფა ცოლათ შეგხვდეს და შვილების გესმას ჰანი,
ჭიანურზე შენს ქებასა ამღერებდეს ყველგან სვანი.
გამიხსენეთ საფლავს მყოფი, მკვდარიც თქვენი მურძაყანი!

195. აწ მშვიდობით, ჩემო ძმავ და ამხანაგო ალექსანდრე.
კლდის ოდესი მსურს რო გაძლო, — შევიყრებით მაინც ადრე.
შენ გაბარებ სვანეთს, ცოლშვილს, მათთვის ზრუნვას არ დაზარდე.
საფლავს მიმაქვს ძმური სიტკბო, რაც მე შენგან განვიცადე!

## მურძაყანის წერილი, სვანებთან მიწერილი.

196. გულის სისხლით ამ წერილს გწერთ ჩემო სვანნო, გულ-კაჟებო!

---

[1]) ალექსანდრე მურძაყანის მომდევნო ძმა იყო, პაჟთა კორპუსში ნასწავლი გვარდიის როტმისტრი. მთავრის ქუთაისში ჩამოსვლამდე ის გაგზავნეს ამურის გენერალ-გუბერნატორ მურავიოვთან უმნიშვნელო თანამდებობიზე სამსახურებლათ. ამით სურდათ მურძაყანისათვის მოეშორებინათ ერთგული და ჭკვიანი მრჩეველი...

გაურჩევლათ ხნის და სქესის, მოხუცებო, თუ ყაყებო.
ბევრი ჭირი გადაგხდიათ თქვენ ჩემთვის და ჩემ ძველთათვის,
და სანაცვლო ვერ გიზღავით, მხოლოთ ვკვდები აწ თქვენთათვის!

. . . . . . . . . .

197. უბედურნი ხართ გარემოებით, მარა მჭედლებიც ხართ თქვენი ბედის:
ყოველი კაცი ბედს თვითონ იჭედს, არა თუ კაცს ჭედს შემთხვევა ბედის.
თუ ნების ძალით გამოვხიზღდებით, გზას შეუდგებით ჭკუა-გონების,
დღეს მწირ სამშობლოს სამოთხეთ აქცევთ, ქებისა საგნათ მრავალ ენების.

198. ათასი წელი სვიანთ—წუთია, ბედკრულთ წუთი კი—ათასი წელი.
და რა კი თქვენ დღეს ბედკრულები ხართ, გმართებსთ თავისთვის ზრუნვა ფიცხელი.
ჩემო სვანებო, ყური დამიგდეთ: თქვენთან მაქვს ესე მე სათხოვნელი:
ისწავლეთ ყველამ: დიდმა, პატარამ, სწავლაა თქვენი მხოლოთ-და მხსნელი!

199. დრონი იცვალენ, აწ ვეღარ გაჭრის ყვიცთა ხელში ხმალ-სატევარი.
ერთა ცხოვრების მორევს გაგიყვანსთ თქვენ ერთათ ერთი სწავლის ლამპარი.
მტერს სწავლით და ზნით უნდა აჯობოთ, თუ არა, ძალით მჯობნი ის არი.
ძალას კი დასძლევს ცოდნა და ჭკუა, კვლავ გეტყვით—აი თქვენი საღსარი!

. . . . . . . . . .

200. თუ ამ რჩევას შეასრულებთ, როგორც დღემდე ჩემ ნებასა,
მოესწრებით სამშობლოის სახელსა და დიდებასა.

აწ მშვიდობით, ვნატრობ თქვენთვის მტრისგანც პატივს და ქე-ბასა!..
თუ ასრულდა ეს, საფლავში არ ვიწუხებ მე დებასა...
201. ჩემ სამშობლოს, ჩემებრ ბედკრულს, ერთ რამესა ვევედრები:
როცა მტრებსა დავავიწყდე, წაასვენოს ჩემი ძვლები,
ფაარს მიწას მიაბაროს, შიშელიან სად მშობლები.
რაც ვიტანჯე, მეტი დავტკბე, სვანეთში თუ ვიმარხები!..

## VII

202. ალიონი ჯერ არ იყო, ქუთათლები იდგენ ფეხზე.
ბულვარიდან ოდასკურას მიმყვან გზას და ბილიკებზე
ჭდევით დგანან მომზირალნი, სული უწუხსთ ლოდინითა:
თვალის სეირი სურთ ნახონ მურძაყანის დახვრეტითა!
203. სსუ! რა ისმის? დოლის ხმაა... მწყობრათ მოდის სამი როტა,
შუაში უყავთ მურძაყანი... ამბობს — მომცეს მხლებსი ცოტა,
მთავარს მეტი მეკადრება, მარა ბედი მებოროტა.
ნაცვლათ აგერ ქართველები იქნება ორასი როტა!
204. ლიანგი გამოუდევნა მურძაყანს ლანძღვით, გინებით.
ბიჭ-ბუჭებს ეცილებიან მედროვენი, ჩინოსნებით.
ვინ გინებითა უხსენებს ცოცხლებს და საფლავში მკვდრებით,
სხვები კი მიაცილებენ მიწის გოროხით და ქვებით...
205. როცა ერთი და ორი ქვა მოხვდა ერთს და მეორე რუსს,
როცა ბრბოს კადნიერება გასცდა საზღვარს მოთმენის სრულს, —
იჭვმა შეიპყრო სალდათნი, შიში შევიდა იმათ გულს,
უფროსი ყვირის: გვართმევენ, სწორეთ, ტყვეს ჩვენ დიდ-გვა-რეულს!
206. ას-ასი წინ და ბოლოდან ჩამოაყენა მხედრები,
ბრბოს მიუსია, უბძანა, რომ დაუსივონ გვერდები.
მათაც ეს სურდათ, მზათ იყვნენ, დაატრიალეს თოფები,
დასცხეს კონდახი და მათგანს ბევრს დაუჩეჩქვეს გოგრები.

207. როგორც იქნა მიაწიეს ოღასკურას მწვანე ნაპირს.
დარი მაისის მსგავსია, ოდნავ წინწკლავს, მზე იბანს პირს.
შედგა ჯარი. მეუფროსე მთავარს შუა ჩააყენებს,
ორ როტას ირგვლივ დაწკაპავს, ერთ როტას წინ დაუყენებს.
208. მოძღვარი, გამრეკელივე, მიუახლოვდა მშვიდ მთავარს,
ნუგეშინს ეტყვის მამობრივს, და გაახსენებს მაცხოვარს...
მურძაყან თავსა გაიქნევს, ეტყვის—„მომშორდი, მამაო,
სამარის კარსაც უბას მიქცევ, უოვლათ ბრმათა მთვლი განაო?!"

მოძღვარი.

209. მურძაყან, ღმერთი ღმერთია, გინდ ირწმუნე და გინდა გმე.
ცის მნათობები, ხმელი, ზღვა მისი განგების არს საქმე.
ხედავ საქმეს და უარყოფ მოსაქმეს, ცხადს, ვით განთიადს?!
ვაიმე, შენსა მოძღვარსა, ცოდვას ტვირთულობ რა დიადს!
210. მურძაყან, გმირი იყავ და გმირულათ ხვდები დღეს სიკვდილს.
მარა რუსუდანს რატომ კლავ, დედას რათ უკლავ შენს წვრილ შვილს?
რატომ რყვნი შენს ერთგულ სვანებს და რატომ უთხრი სვანეთს ძირს?
ამ საქმეების ჩამდენი იმ ქვეყნათ ვის უჩვენებ პირს?
211. რუსუდან როცა შენს სიკვდილს გაიგებს—მეხათ მოხვდება,
უზიარებლათ შენს სიკვდილს კი—ვერ გაუძლებს, მოკვდება.
შენ იყავ მისი ნუგეში, საესავი და დიდება,—
გულს უკლავ, რწმენასაც უსპობ—ამ ქვეყნათ რაღა დარჩება?..
ორნაირათ კკლავ რუსუდანს, ნუ თუ მეტს არ გეცოდვება?!
212. სვანებს როცა უამბობენ შენზე—გმოო ღმერთი, რჯული,
გულუბრყვილოთ მოგბაძავენ, გაირყვნება მათი სული!
სვანებმა კი თუ აიღეს ხელი სარწმუნოებაზე,
მათზე უფრო საცოდავი არვინ იქნეს ქვეყანაზე!

213. ამიტომაც კიდევა გთხოვ—ეზიარე ქრისტეს მხსნელსა,
ის მოუვლის შენს მაგიერ შენს ხალხს, ცოლშვილს საყვარელსა!

მურძაყან.

მამაო, იცი, რა გითხრა?

მოძღვარი (გახარებული).

მგონი მისმინა, ბატონო, ღმერთმა!

მურძაყან. (ჩუმათ).

214: მაგისთანა ამბავი რომ ვერ შეიტყონ ჩემ სვანეთში,
მასვი ერთი კოვზი ღვინო,—მაინც მღებენ სამარეში!

მოძღვარი (გახარებული ეფუჩუნება).

ძალადობის სხვერპლო, ღმერთმა ბინა მოგცეს სამოთხეში—
(აზიარებს)

—

215. სამსჯავროის განჩინება მურძაყანს კვლავ წაუკითხეს,—
გსურსთ თვალები აგიხვიოთ? წესისამებრ მას შეკითხეს.

მურძაყან.

რას მკითხავთ, ანუ რათ უნდა ამიხვიოთ მე თვალები?

ჯარის უფროსი.

ეხლავე უნდა დაგხვრიტოთ, და ეგებ მოუკრძალდები?

მურძაყან.

216. ჩემ სიკვდილს ჩემი გულისებრ შეხედავს მხნეთ ეს თვალები...

მტერი მკლავს, ეს არ მაკვირვებს, მკერდს მიწვავს სულ სხვა ალები:
აქ ამ ლიანგსა რა უნდა? რა ხორხოცი აქვს და ჟახი?
ჩემი სიკვდილით ნუ თუ მას აუშენდება ოჯახი?!

217. მერე ლიანგს მიუბრუნდა: „გთხოვ ძმებო ყურს მომაპყრობდეთ,
ქართველის სისხლის შვილებსა შეგფერისთ გაწირულს გმობდეთ?
ძმებო, როს მოხვალთ ჭკუაზე, მტერს და მოყვარეს რო ცნობდეთ?
დღეს მე ვარ ასეთს ყოფაში, ხვალ თქვენც ამასვე ელოდეთ!! *)

218. „კმარა!" შეუყვირებს უფროსი... „ესროლეთ!" ჯარსა უბძანებს...,
და ასი ტყვია მურძაყანს სიცოცხლეს მყისვე უსწრაფებს...
ვით მუხა კლდეზე მოჭრილი, გადავარდება ბნელ ხრამში,
ისე ჩაეცა მურძაყან წინ და წინ გათხრილ სათვლავში!..

—

219. ეს ამბავი რომ გაიგეს მოსკოვსა და პეტერბურგში,
რუსებმა თავს გამოიდვეს—მეფეს ჩააწვეთონ ყურში—
ბარიათინსკიმ რომ უფლების ნაცვლათ მოიხმარა ძალა,
რუსის სახელს და სამართალს ჩირქი მოცხო და შებღალა!

220. მეფეს ემუდარებიან, იგი მისცეს სამართალში,
რომ სახელი რუსთ მთავრობის კვლავ ადგინდეს ქვეყნის თვალში!
ბარიათინსკის პასუხს თხოვენ უყოვნებლივ, მოკლე ხანში.
იწერება—„შევასრულე, რაც სურვილი იყო ხალხშა!"

221. მარტო მის თქმას არ დაენდვენ, შეეკითხენ სანდო პირებს.
და რაც მათგან გაიგონეს, არ ერწმუნებოდენ ყურებს:

---

*) მურძაყანის ნამდვილი სიტყვებია, სიკვდილის წინათ ნათქვამი. ეს მიამბო ცოლმა იმ ქართველი აფიცრისამ, რომელმაც როტა შემოასია მურძაყანს და შეიპყრო ბრძოლით

„ბარიათინსკი ნებას დაყვა ქართველ თავად-აზნაურებს,
„მიტომ უფრო, იგივ სურდათ სხვებსაც ბევრსა აქაურებს!..“
222. რაღა ექნათ? ხმა ჩაუწყდათ და ჩაუქრათ ცეცხლი გულის:
ძმა თუ ძმაზე ხმას არ იღებს რას იქს ნდომა იქ ძმისწულის?
ალექსანდრეს სამძიმარსა წერენ გრძნობით მეგობრულის,
და მსხვერპლს პანაშვიდს უხდიან მოსახსენებლათ სულის...

223. ორმოც-და-ცამეტი წელი მას შემდეგ არის გასული
რაც ის დახვრიტეს, სიმართლე ვისიც ცამდეა ასული.
აწ სად არიან ისინი: ვინაც გაყიდეს სინდისი,
ვისაც სურდათ და ეღირსათ საფლავს ჩაქოლვა იმისი?
224. ისინი, ზეზეურ მკვდრები, მოკვდენ საფლავში ჩასვლამდე,
წყევლით და ზიზღით იხსენებს მათ ერის გული აქამდე.
ხალხს ახსოვს მარტო იგი, რაც დამართეს მართალ კაცს ავი,
მურძაყან მკვდარიც ცოცხალ არს მისს ქვეყნის გულში, უკვდავი!

225. ვერ დაივიწყებს მზის სხივი და მთვარის შუქი უშბას წვერს,
ირემი ქორ-ბუდიანი—ანკარა წყაროს, ტყეს და სერს,
მფრინავი—ვარდის კოკორსა, ჰანგებს, ტრფიალით დასამღერს,
სვანეთი—მისსა მურძაყანს, მისსა სულის დგმას, ცით ნაბერს.

ს. დიდი-კარაკლისი.

# 1878 წ.

## მგზავრის დღიური *).

### ბათომისაკენ.

I

ქუთაისის რკინის გზის სადგურზე აგერ ორი საათია რაც მზადაა მატარებელი. ორთქლ-მავალი კივის და ქშენს, თითქოს სული მიუდიოდეს, სანამ მთელ მატარებელს ჩაიყვანდეს რიონის სადგურში, მარა, ნებას რომ არ აძლევენ, ამ კივილით და ქშენით აცხადებს უკმაყოფილებას.

აი, როგორცაა, ხალხი ბევრი ვაი-ვაგლახის და გვერდების მტვრევის შემდეგ მორჩა ბილეთების აღებას და ოფლ-დასხმული მიეშურება ვაგონებში, სადაც უფრო მეტი წეწვა-გლეჯა ჭირდება ადგილის შოვნისთვის, ვიდრე კასასთან ბილეთის აღებისას.

— დაწყევლოს ღმერთმა, ვაის გაეყარე და ვუის შეეყარეო, რო იტყვიან, ისე მოგვდის ჩვენც, — ამბობს ერთი მგზავრი, — მგონი ყარსის აღებასაც არ დაჭირვებია ამდენი ჯაფა, რამდენიც ჩვენ მოგვინდა ბილეთების აღების დროს! ამან შენი ჭირი წაიღოს — ვაგონებში ადგილს ვერ ვშოულობთ! ეს რა კანონია, თქვენი ჭირიმე! ი, ბაშიბუზუყობაა თუ? გაცხარებით დაატანა მან, როდესაც ადგილისვე ამართ მძებნელმა გერმანელმა, სარჩოსთვის შორეულ სამშობლოდან გარდმოხვეწილმა „დონერვეტტერის“ ბუტ-ბუტით ფეხი-ფეხზე დაადგა.

---

*) ეს წერილები დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ 1878 წ. №№ 44 და 48, 1879 წ. № 4.

მარტო ეს ერთი კი არ ჩივოდა ასე, არამედ ყველა... სწორედ მოსაწონია ჩვენის რკინის გზის გამგეობის განკარგულება: შეგროვდება თუ არა ასიოდე მგზავრი, ისეთი გვერდების მტვრევა შეიქნება კასსასთან, რომ ვექვობ მასზე უფრო ინგლისის რომელიმე შფოთიანს მიტტინგზე იყოს; და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ მარტო ერთი კასსაა და ერთი და კაცი ყიდის ბილეთებს. ამას თავი დავანებოთ, თუმც დასანებებელი არ არის, იმაზე როგორ არ გვმართებს საჩივარი, რომ ვაგონები საკმაოთ არ არის და მოგზაურები იძულებულნი არიან ფეხზე იდგენ, ან ერთმანეთს მუხლებზე დააჯდენ? განა ბევრი შრომა დაჭირდება რკინის გზის გამგეობას რომ ეს ორივე უსიამოვნებანი აგვაცილოს? მარა, როგორც რვა წლის მაგალითიდან ჩანს, ის მარტო თავის ჯიბეზე ზრუნავს და მოგზაურების შეუწუხებლობა აზრადაც არ სურს გაიტაროს.

როგორც იქნა, საღამოს შვიდს საათზე მატარებელი კივილით დაიძრა და გასწია რიონის სადგურისკენ. რამდენიმე წამს შემდეგ მან შეყო თავი საღორიის ესრედ წოდებულ „ტყეში", რომელსაც შეადგენს მეჩხერათ მოფენილი წვრილ-წვრილი მუხის ხეები—ეგ საბრალო ნაშთები ოდესმე მშვენიერი ტყისა. მატარებელი მიგვაქანებდა რიონის პირათ, მერმე გორიდან ვაკეზე დაეშვა, მომეტებულ სისწრაფით გაქანდა და მალე გაჩერდა რიონის სადგურზე. მეოთხედ საათის შემდეგ გადავჯედით ფოთს მიმავალ მატარებელში, და გავქანდით დასავლეთისკენ...

რიონის უხვ-მოსავლიანი ჭალა, რომლის სიგრძის დაყოლებით მიკურცხლავდა მატარებელი, იყო გარემოცული ღამის ბინდით და სამარისებური დუმილით. სიჩუმეს არღვევდა მხოლოთ ვაგონების ჩახუნი და მგზავრ მეგრელებისა და იმერლების სიმღერები „კუჩხა-ბედნიერა" და „მრავალ-ჟამიერ", რომელთა ანგებს „ძალუძთ გული გაგიხუროსთ, სევდაც გიათიათასნონ"...

მატარებელმა, ისევ სწრაფათ, როგორც მოვიდა, დატო-

ვა ეს ალაგი და გასწია ქალა-ქალა. იმერეთის ვრცელი ვაკე, რიონის ქალათ წოდებული, მთლათ მოცულია სამარისებური დუმილით და გადაფარებული აქვს ღამის ბინდი. ამ დროს ეს ქალა მოგაგონებსთ ზღვას—რომელზედაც სუფევს უკიდურესი სიწყნარე და არ უქრის ნიავი მის აბურთებულს, სარკის მსგავს ზედა პირს... უცებ ეს სურათი იცვლება: თვალ-უწვდენელი, წეღან მშვიდი, დაწყნარებული ზღვა,—ეხლა აღელვებული არის, ბლავილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელი, ვაის შემყრელი და მტვრათ მქცეველი ნავ-გემების, მგზავრთა და მეზღვაურთა...

აგერ ჩაიარა გლეხმა, რომელიც სადღაც სამუშაოთ ყოფილა, დაგვიანებია და სახლისკენ მიეშურება თოხით მხარზე; სატევარ ჩამოკიდებულს და წელში მოღუნულს, ისეთი სახის მეტყველება აქვს, თითქოს ცხადათ ამბობდეს: „ჩვენ ბუნების და კაცად კაცურის უუწმიდეს სჯულთა დაცვის დროს დავეცით, მარა დავეცით, როგორც გმირნი, იარაღით ხელში, და სამყოობადოდ ამავე იარაღით უნდა წამოვდგეთ. მანამ კი იმდენათ უნდა ვიმუშაოთ, რომ ნამუშევარმა სიცოცხლე გაგვატანიოს და იმდენათ უნდა ვადევნებდეთ თვალ-ყურს მეცნიერების წარმატებას და ვითვისებდეთ მას, რამდენათაც საჭიროა იგი განუსაზღვრელ დამოუკიდებლობის მისაღწევ იარაღათ"...

ამისთანა ფიქრებით ვიყავი გართული, როდესაც მატარებელმა ორი წამის ყურთ-წარმტაცი კივილის შემდეგ გაგვაჩერა სამტრედიის სადგურზე. სამტრედია შეადგენდა სოფელ კულაშის ნაწილს და სახელ-წოდება მიუღია მრავალ მტრედებისაგან, რადგანაც აქ ძველათ ბევრი მტრედები ყოფილა და მათ დასაჭერათ აქ მოდიოდენ მთელი იმერეთიდან.

აქედან ორ მხარესაა გაყვანილი გზა-ტკეცილი: ერთი ჩრდილოეთით დ. ხონისკენ და მეორე სამხრეთ-დასავლეთით ოზურგეთისკენ. ორივე გზა ინჟინერთ გეგმისამებრ გაყვანილია სოფლელ გლეხებისაგან, რომელნიც ამისთვის განგებ იყვნენ გამოწვეულნი. მათთვის თუმცა თითო სულზე დღეში

აბაზი იყო გადადებული მმართებლობისაგან (იხ. 1877 წ. გაზ. „დროება“), თუმცა, მე ნამდვილათ ვიცი, რომ არც ერთ იმერელს და გურულს გლეხს ერთი ფლურიც არ მიუღია მთელი სამუშაო დროის განმავლობაში. იგინი თით-ოროლ კვირაობით შორდებოდენ ოჯახებს და ხშირათ საგზალ-მოკლებულნი, მუცელ-ცარიელნი, ფერდზე-ფერდ მიკრულნი, სიმწარის ოფლის მღვრელნი, ხან სიცხე-პაპანაქებაში და ხან წვიმის ღვარში ერთგულათ მუშაობდენ გზას, და მაინც ვერ იღებდენ დღიურს ხვედრს აბაზს, მმართებლობისაგან დანიშნულს. ისინი კი, ვისაც ფული უნდა დაერიგებინა, გამდიდრდენ: ერთმა შვენიერი მაღაზიები გამოჭიმა ქალაქში, და მეორეს თანამემცხედრე ყოველ ღამობით ას-ას მანეთობით აგებდა ბანქოში.

ათ წამს შემდეგ სამტრედიას მოვშორდით. ვაგონებში გურულების და იმერლების რიცხვმა იკლო. ისინი ჩამოხტენ ამ სადგურზე, რომ მეორე დილით გაემგზავრონ თავ-თავიანთ სახლებისკენ; მოემატენ მხოლოთ მეგრელები.

ერთი ახლათ შემოსულთაგანი, რომელიც ჩემს გვერდით დაჯდა, იყო ხონელი ვაჭრის ნათესავი, რომლისათვისაც მას ჩაეტანა ჩვენებური ხელთ-ნაქნარი საქონელი და ეხლა შინ, სოფ. ზანათში ბრუნდებოდა.

— რასა იქთ, როგორ ცხოვრობთ თქვენს ზანათში? ვკითხე მას.

— ნწა, როგორ უნდა ვცხოვრობდეთ, ჩქიმი ჯიმა, ერი ჩვენ არ გვივარგა და ბერი, დიდი პატარას ჩაგრავს და პატარაც თავის ტოლს მახეს უგებს...

— როგორ, ერთი კარგათ გამაგებიე, თუ კაცი ხარ!..

— „რავა როგორ, სქანი ჰირიმა, ერთი ჯოლორის სკუა ხუცესი გვყავს, ლ. ქვია, სულ გათეთრებულია.... რამდენი ბავში მოუნათლავათ და რამდენი კაცი უზიარებლათ მოუკლავს მას, იმას ვინ დაითვლის! ამას გარდა ქრთამებს იღებს

და იმისთანა სიმთვრალე იცის, როგორც მოწონებულმა ლოთმა".

— მაგრე თუა საქმე, რატომ არ უჩივით ყოვლად სამღვდელოსთან?..

— „როგორ არა, ჯიმა, ყოვლად სამღვდელოსთან კი არა საქმე ახლა სინოდის კანტორაშია და ლ. დღე-დღე მოელის გაკრეჭას...

— მართალს ამბობ?

— „მართალს ვლაპარაკობ ღორონთიმე. რაც ვთქვი სულ საზოგადოებისგან დამტკიცებულია და „დროება" გაზეთშიაც დავაბეჭდვინეთ..."

...„კიდო რა გითხრა ამ ხუცესზე: ერთი ყაძახი მივიდა მასთან, უცოლობის მოწმობა მომეციო, ცოლის თხოვნა მინდაო, მეორე საზოგადოებაშიო. იმ სულის წასაწყმენდმა, სანამ 50 კაჭალი მანათი არ დაათვლევინა, მანამ არ მისცა მოწმობა და თანაც დააფიცა, რომ არავის უთხრაო, მე რომ 50 მან. გამოგართვიო. ყაძახმა ოთახში კი დაუფიცა, მარა კარში როგორც გამოვიდა, მაშინათვე იყვირა ასე მიქნა ლ—მაო...

მან კიდევ განაგრძო საუბარი, თუმცა მე არაფერი აღარ გამიგია, ისე გამიტაცეს გულ-მოსაკლავ და ღვიძლ დამღაგველ ფიქრებმა...

როცა საქართველოს საკუთარი ტახტი ედგა, სამღვდელოება მაშინ შეადგენდა ერთს დასს სამშობლოის მოწინავე საზოგადოებისას. მას მაღლა და მაგრათ ეჭირა თავისუფლების და ჭეშმარიტი განათლების წმინდა დროშა, იგი გასაკვირველის მხნეობით ებრძოდა ყოველს უგვანს საქმეს, და, შეჭურვილი არა ჩვეულებრივი ძალ-ღონით, ამხნევებდა ჩაგრულებს, ამხელდა მჩაგვრელებს, ხელს უწყობდა შეფერხებულთ, ავრცელებდა და იცავდა ხალხში აზრს პატიოსნებისას, აზრსა მამულიშვილობისას და ზნეობით უმანკოებისას, ამ დედა-ბურჯს ყოველ კეთილ განწყობილ ხალხის ცხოვრებისა და წარმატებისას...

დღეს კი ეს სამღვდელოება სულით დაცემულია და— ვაი ამის თქმას და მოსმენას—დაცემულია თვით ერზე უფრო დაბლა, იმდენათ, რომ უფრო დაბლა დაცემა შეუძლებელია! დღეს იგი ნაცვლათ ზემოხსენებულ თვისებათა იძლევა ჯოჯოხეთისკენ დამყენებელ მაგალითებს და ტოპავს ბილწ საქმეთა მორევში...

დიაღ, ბატონო რედაქტორო, ბ. ცენზორო და საყვარელნო მკითხველნო, დღეს ამ რიგი სამღვდელოებაა ჩვენში და ყველა აქ თქმულის საფუძვლათ მე მაქვს, უკეთ ვსთქვათ— ჩვენ გვაქვს ასი და ათასი კი არა, ათი ათასი ამის დასამტკიცებელი ფაქტები, რომელთა გახსენების შემდეგ მამა ლ. ლამის უმანკოების კრავათ წარმოგვიდგეს...

იქნება ვინმემ იკითხოს: „ნუ თუ რამდენიმე ხეირიანი წევრი არ არის მათ შორისო? არის, ბატონებო, მარა მათი რიცხვი წვეთია ოკეანეში, და ისინი, როგორც წვეთი, უძალღონონი არიან...

სანამ მე ამ ფიქრებში ვიყავი, მატარებელს კიდევ ერთი სადგური (ახალსენაკის) გაეარა ისე, რომ არც შემინიშნავს. როდესაც უკანასკნელ პატარა სადგურს ვუახლოვდებოდით, კონდუქტორებმა ბილეთები გამოგვართვეს, თუმცა რიგი იყო, რომ ბილეთები ამ პატარა სადგურს იქით მოეთხოვნათ, მარა, როგორც ერთმა გურულმა წამოიძახა, „ამას იმიზა შვრებიან, რომ ამ პატარა—სადგურთან ჩამოჯდომილების ფული თვითონვე ჩაიდვან ჯიბეში".

აჰა, მივუახლოვდით ქალაქიდს, რომლისთვისაც „ქალამწყურნეთა" რომ დაეთქვათ უფრო მართალი იქნებოდა, რადგანაც იგი წარმოადგენს შეერთებულს მწყურნეებს, ანუ ქონქუოებს მეჩხერი ტყით მოფენილს. ქალაქიდის ჰაერი მომაკვდინებელია და სამართლიანათ ითვლება ციებ-ცხელების ბუდეთ. საზოგადოთ შავი ზღვის, ანუ, ქართულათ ვთქვათ—გურგენის ზღვის ნაპირები ითვლებიან ცუდ საჯანმრთელო ადგი-

ლებათ და მათ შორის კი ფოთი მისი მიდამოებით ყველაზე უარესია.

შუაღამე იყო, ფოთს რომ მივედით. როგორც ყოველგან, ისე აქ, მეფაეტონეებმა და მედროგეებმა თუ ხამათ დაგინახესთ, პირველი მათგანი ერთს მანძილზე 2 მანეთს აგართმევს და მეორე 1 მანეთს. თუ მათი ცუღლუტობა იცით, შეიძლება რომ ამ ფასების ნახევრამდე ჩამოიყვანოთ, თუმცა მაშინაც დაწესებულ ფასზე მეტს გადაგახდევინებენ.

ფაეტონმა გამიყვანა ნახევარ ვერსტის სიგრძე, მთელს საქართველოში უშვენიერეს რკინის ხიდზე, რომელიც შუაზე, საჭიროების დროს, გემების გასატარებლათ გაიხსნება. ამ ხიდის ნაკლულევანება ისაა, რომ ერთობ ვიწროა: ერთი ფაეტონი და ორი ქვევითი კაცი ძლივს გაივლის ერთათ. იმის კეთება რამდენიმე წელი გრძელდებოდა, ისე ნელა მუშაობდენ და კვლავაც გაგრძელდებოდა, თუ რომ უკანასკნელი ომიანობა არა. ამ ომის გამოისობით მართებლობამ დააჩქარებინა მუშაობა და 1876 წ. ხიდი დასრულებული იყო.

ფაეტონი გაჩერდა „კავკასიის“ სასტუმროსთან. ჩამოვხტი და ის იყო შევდიოდი, ამ დროს კარებთან ვილაცამ მომაძახა დამტვრეულის რუსულით: ღოსპოდინ უმნე ხოროში ღომ ეს თუ ი ღეშოვა, კომნე პოჟალით.

ვილაცა ხარ, ქრისტიანულებრ მესაუბრე, მე ქართველი ვარ, ვუთხარი მას, რომელიც, როგორც კილოზე ეტყობოდა, მეგრელი უნდა ყოფილიყო.

— უი, ჯიმა, დასწყევლოს ღმერთმა ვინც მეგონე მისი ხსენება... ბატონო, ჩემს სახლში წამობრძანდით, კარგათ მოგასვენებთ თუმცა სასტუმრო არ მაქვს, მარა ჩემს სახლში უფრო „პატიოსნათ“ მოისვენებთ. ვახშამი კი შეგიძლიათ სასტუმროში მიირთვათ...

— ქირას რას გამომართმევთ?

— 1 მ. 50 კაპ.

ეს სასტუმროს ფასზედ უფრო იაფი იყო. ამიტომაც მე დავთანხმდი და წავყევი, და არც მინანებია...

## II

### ფოთი.

ქალაქი ფოთი, რიონის მარცხენა ნაპირს გაშენებული, ცნობილია ისტორიაში როგორც სადგური ინდოეთ-ევროპის სავაჭრო გზისა. როგორც ისტორია გვაუწყებს, მარტო ეს სადგური აძლევდა კარგ შემოსავალს საქართველოს სახელმწიფო ხაზინას, თუ არ ვცდები 100,000 სესტერციამდე. რამდენიმე ხანს იგი ითვლებოდა რომაელთა ახალ-შენათაც. შემდეგ საქართველოის სამთავროებათ დაყოფის დროს იგი მოხვდა გურიის ფარგალში. ფოთის ციხეს იცავდა აზნაურთ ჭყონიას გვარი. მე-XVIII საუკ. დამლევს იგი დაიპყრეს ოსმალებმა, და ჩააყენეს შიგ მეციხოვნენი (გარნიზონი). 1810 წ. დ. ზ. ორბელიანმა მეგრელ-იმერლების სპით და მცირე რუსის მხედრობით იერიშით აიღო ის, ქართველი მემატიანის და რუსის ღენერლის ნიკ. დადიანის პირ და პირი მონაწილეობით. 1836 წ. მთავარი ლევან დადიანი დათანხმდა რუსეთის მთავრობის წინადადებაზე, რომ ფოთი სანავსადგურო ქალაქათ გადაეკეთებინათ, და დაუთმო საჭირო ადგილი რიონის მარჯვენა და, რაღაცა უცნაური საბუთით, მარცხენა ნაპირზე, ე. ი. გურიის ყოფილს სამთავროში. გურიელებმა თვით ისურვეს, რომ ის მიწა, რაც საკუთრივ ქალაქისთვის საჭირო იყო, დარჩენოდა ფოთს, ხოლო დანარჩენებზე კი დავა დაიწყეს, რომელიც დღესაც არ გათავებულა. ისტორიული სიმართლე გურიელებისკენაა.

ეხლანდელის ფოთის სახე წარმოგიდგენსთ გაშლილ მარაოს. მისნ სწორსა და ფართო ქუჩების ორსავ მხარეზე ჩამწკრივებულია თითო ან ორ სართულიანი ხის და მცირეოდენ-

ნი აგურის სახლები. კარგი ქვითკირის სახლები, შესამჩნევი რომ იყოს გეგმებით ან და სივრცით, თითებზე ჩამოსათვლელია, ისე კი თითქმის ყველა ლაზათიანია.

უკანასკნელ ომიანობას ერთობ და ერთობ დაუშინებია ფოთელები, ასე რომ მაშინდელი თავზარდაცემულნი და სხვაგან გადახიზნულნი, დღესაც არ დაბრუნებულან თავიანთ სახლებში. ამიტომაც შენობები დღემდის თითქმის სანახევროთ ცარიელებია და მათი აგლეჯილი კარების, დამსხვრეულის ფანჯრების, ჩამომტვრეულის კედლების და, საზოგადოთ, ქალაქის სივერანის შემხედვარეს უნებლიეთ აფიქრებინებს ეს სურათი, თუ რა დაემართებოდა ბედკრულ ფოთს, ოსმალეთის შავიზღვის ფლოტის უფროსს ადმირალს—გობარტ-ფაშას რომ გულ-მოდგინეთ დაეშინა ყუმბარები და ომი რამდენიმე ხანს კიდევ გაგრძელებულიყო?

კალაქის საზღვარში, ჩრდილოეთ-დასავლეთით, რიონის კუნძულზე აგებულია კანდელი (მაიაკი), რომლის დანიშნულება მაშინ უფრო ფარსაგი იქნება, როდესაც ფოთის ნავსადგურის კეთებას მორჩებიან, ესე იგი, როდინობის კვირაში, თუ უფრო გვიან არა...

ამ კანდელის აღმოსავლეთ-სამხრეთით, რიონის მარცხენა ნაპირას არის ოსმალებისაგან ძველ ციხის ნანგრევზე აშენებული პატარა ციხე (ეხლა კოშკათ ქცეული) რომლიდამაც ღირსეულათ გავიდა თავის მეციხოვნებით 1810 წ. დ. ხ. ორბელიანის თავსდასხმისაგან სამი თვის გმირულის თავ-დაცვის შემდეგ ბათომელი ქუჩუ-ბეგი შარვაშიძე.

ფოთში მოსვლის მეორე დღეს, დილის 11 საათზე, პატარა გემს („რიონს“), უნდა მივეყვანეთ ფოთის გაშლილ და ერთობ ცუდს ნავსადგურში გაჩერებულ გემთან („მიხეილი“) რომელსაც ბათომში უნდა ჩავეყვანეთ... მესამედ ზარის დარეკის შემდეგ „რიონი“ კივილით და თათქანით დაიძრა მდ. რიონიდან, უკან დატოვა კუნძული და კანდელი, განვლო ის შერეული ალაგი, სადაც მდინარის და ზღვის მუქი-

ლურჯის ფერი ტალღები ერთი მეორეს ბრძოლით ერთვის და უნებლიეთ ითვისებენ ერთმანეთს... შევცურეთ ზღვაში... ტაროსი შვენიერი იყო. ზღვა დიდებულ და შვენიერ სურათს წარმოადგენდა... მისი მუქი-ლურჯის ფერი ზედა პირი ოდნავ ბიბინებდა ცხოველ მზის სხივებით ალაპლაპებული. დასავლეთით, დასავლეთ-სამხრეთით და ჩრდილოეთით ზღვა თვალ-გადუწვდენელია: ნაპირებს ვერ ხედავთ; აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კი უცქერთ სამოთხის მგზავსს ვეებერთელა წალკოტს, საქართველოს, რომლის მგზავსი სხვასად არის,

„... რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა,
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე სამშობლოისა!..“

დინჯათ და ზვიადათ მიცურავდა სამხრეთით ჩვენი გემი, სავსე სხვა-და სხვა ტომის კაცებით, ბათომშივე მიმავალებით. ზოგი მიდიოდა სავაჭროთ, ზოგი მამულის საყიდლათ და უმრავლესობა კი... სამსახურში შესასვლელათ. ყველა ეს ვაჟბატონები ბათომში ელოდენ გაკეთებას, ბათომი მაგათ აზრით არის ელდორადო, სადაც ოქროს აკრეფის მეტი არა უნდა-რა და სადაც რძის მდინარეები თაფლის კალაპოტებში მიაგორებენ თავიანთ ტკბილ ზვირთებს...

— ერთი მწერლის კაი ჯამაგირიანს ადგილს ვიშოვნიდე, კაი კი იქნება, მითხრა ერთმა მათგანმა, რომელიც თურმე წინათ სოფლის მასწავლებლათ ყოფილიყო.

— რათ მიატოვეთ სოფლის მასწავლებლობა, ამისთანა დიდათ პატივსაცემი და ხალხისთვის სარგებლის მომტანი ადგილი? ვკითხე მას.

— ეჰ, რას მეუბნებით ერთი თქვენც! სადაური პატივსაცემი, სადაური სარგებლიანი!! მაზრის უფროსს და მისს მოხელეებს ფეხ-ქვეშ უნდა ვგებოდით, რომ ჩვენზე გლეხების საჩივარი არ მიეღო... მართალია მაზრის უფროსი იმათ ყურად-

ლებას არ აქცევდა მარა... მაინც რა გამოვიდა? იმ ჯამაგირით კაცი თავს არ ირჩენს... ჩემი სურვილი ის იყო, როგორმე მასწავლებლობიდან თავი დამეხწია და უკეთესი ადგილი მეშოვნა... ომიანობა როგორც დაიწყო მაშინვე დრუჟინაში შევედი, ეგება აფიცრობა ვიშოვნო-მეთქი, მარა ურიადნიკობის და ჯვარის მეტი იმ დასაქცევში ვერა ვიშოვნე რა!.. ახლა ბათომში ეგება ვიშოვნო კაი ჯამაგირიანი მწერლის ადგილი... საქმე ფულია, ფული! ფული მომე და შენი პატივისცემა შენ გქონდეს...

გული მატკინა ამ კაცის ნალაპარაკევმა. რადგანაც ვიცი, რომ იმ ქვეყანას, სადაც ხალხის მასწავლებელნი ასეთს მდგომარეობაში ასეთნი არიან, დიდხანს არ დაეყრება სიკეთე. ავდეგი და გავიარ-გამოვიარე ერთი ვაი-ვაგლახით, რადგანაც გემი სავსე იყო მოგზაურებით. გადავეყრდნე რიკულებს ვიღაც რუსის აფიცრის გვერდით, რომელიც დაღიღინებდა ტუჩების მტკბანურებით მოწინავე ჯარის იერიშზე მისასვლელ ნიშანის ბოლოს "...სნამი ბოგ, სნამი ვოდკა პოლუშტოფ!" მე დასავლეთისკენ ვიმზირებოდი და ის აღმოსავლეთისკენ, მაშასადამე ჩვენი თვალის ჩინის მიზანი სრულიათ სხვა-და-სხვა იყო...

უკვე კაი მანძილი გავცურეთ და გავცილდით გურიის თითქმის შუა გაწოლილ ნიგოითის ქედს, რომელიც აჭარ-გურიის ქედიდან გამოდის, მიემართება ჯერ ჩრდილოეთით და ჰყოფს იმერეთს და მერმე რიონს დაუახლოვდება, დასავლეთით მოუხვევს, ჰყოფს გურიას შიგნითა და ზანაპირო გურიათ და თავდება ზღვის პირათ ისე ახლო, რომ გემით მიმავალი ძრიელ კარგათ დაინახავს ქედის ბოლოს...

აგერ, მოვშორდით გურიას და დაიწყო დიდიხნიდან მოშორებული და ახლად შემოერთებული ქობულეთი და შემდეგ სამცხე, ანუ მესხეთი.

უცებ მომესმა იმ აფიცრის კბილების კრაჭა-კრუჭი და ბუტ-ბუტი...

— რა დაგემართათ, რა ამბავია? გაოცებით ვკითხე მე.

— ჰმ... წყეული .. წყეული ადგილი... ქაჯების ბუდე... კბილების კრაჭუნით ამბობდა იგი,—ჩემი შეკითხვა არც გაუგონია.

— ერთს თქვენს ღმერთს შიამადლე, გამაგებინეთ რა ამბავია, ცნობის მოყვარეობით ვეკითხებოდი.

-- შეხეთ, შეხეთ... აი, ეგერ ციხის-ძირი! ის წყეული და მოჯადოებული ადგილი! აი იჰ ორ ხეს იქ, მთის წვერზე ხედავთ? იქ ედგათ ოსმალებს ბატარეების ერთი წილი... ჰმ... რამდენი დედა იმის წყალობით აგვიტირეს იმ ბარბაროსებმა, ბაში-ბუზუყებმა! ჰმ!

შევხედე... მწვანით მოსილი, კოხტა და მოზდილი მთა დიდებულათ წამოწურვილ იყო კლდოვანი კონცხით ზღვის პირათ... ამბობენ, ეს ის ქაჯთა-ქალაქიაო (?) რომელიც XII საუკუნეში უკვდავმა შოთამ თავისებურათ, დიდებულათ შეამკო „ვეფხის-ტყაოსანშიო“, ეს ის ალაგია, სადაც 1829 და 1877—1878 წ.წ. რუსებმა და ოსმალებმა, მართლ-მადიდებელ ქართველებმა და მაჰმადიან ქართველებმა სისხლი ღვარეს, მით მიწა მორწყეს და თავიანთ ლეშებით ტურა და მგელი გამოაძღეს... ამ მთას ახლა ქვია „ციხის-ძირი“... ციხის-ძირი!! მე მიყვარს ციხის-ძირი, მიყვარს და თან მეტოშება მისი ნახვა, თუმცა მსურს მასთან ყოფნა! მიყვარს იგი, მახარებს მისი ნახვა, და როდესაც ვნახავ სიხარული და ზაფრა, სასოება და უიმედობა ერთმანეთს ებძვიან ჩემს გულში... მიყვარს იმიტომ, რომ აქ უწინ

... ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდენ
და მეტოშება, იმიტომ რომ გუშინ აქვე
... ძმამ ძმას საფრთხე გაუთხარა
შვილმა მამა ჯვარზედ აცვა...

კიდევ მიყვარს, მიყვარს იმიტომ უფრო, რომ აქ ჩვენმა მწვალებლებმა და მჩაგვრელებმა *), რომელნიც ფიქრობდენ

*) ვამბობ ოსმალებზე.

ქართველი ხალხის ჩაგვრა საუკუნოთ შეიძლებაო, შეიძლება მათ პოლიტიკური უფლებანი ავხადოთო და უიმისოთ ვაცხოვროთო, შეიძლებაო სასწავლებლებში ენის ხმარებაც ავუკრძალოთო და იმავ დროს მათივე შემწეობით მტრები მოვიგეროთო და სხვ.—ამ მწვალებლებმა მეთქი აქ კბილები ჩაიმტვრიეს და ფეხები მოიტეხეს, ძალადა დიდება დაკარგეს და ახლოა ის დრო, როდესაც მისი უსარგებლო ლეში ნაკუწ-ნაკუწად დაიშლება! და მაშინ მის ხვანთქარ ვეზირებს დაუდგებათ „უტეხ ტყეში გლიჯინის“ დრო.

დიაღ, ახლოა ის დრო, დრო განკითხვისა, ოსმალებო! თქვენ შეცდით, როცა ჩვენ მიწასთან გაგვასწორეთ და ახლა ვაი თქვენ—ამ შეცთომის უბედურმა შედეგმა გიწიათ, ჩვენ წაგვახდინეთ, მარა თქვენც წახდით! ჩვენ მოგვთხარეთ და ამ მოთხრით თქვენივე დასაკლავი დანა გამოთხარეთ!.. დროა დარწმუნდეთ და ჭეშმარიტებათ ირწმუნოთ, რომ არ შეიძლება ამოიფხვრას ჩვენისთანა ისტორიული ხალხი, რომელსაც დღემდის შეურყევლათ დაუცვავს თავის ეროვნება, მამული, ენა და ჩვეულებები...“ თქვენ შეგიძლიათ ასეთი ხალხი დროებით დაიმონოთ, მოკაკვოთ, მარა საბოლოოთ, რაც უნდა მაგრათ მოუჭიროთ ხელი, მაინც გაგისხლტებათ... ეს გახლავთ კანონი ბუნებისა, ისტორიული ფაქტებით დამტკიცებული... არა გჯერათ, ოსმალებო? თვალ-წინ გაქვთ გუშინდელი მაგალითები: ჩერნოგორია, სერბია, რუმინია და ბოლგარია...

ციხის-ძირიდან დაწყებული ზღვის პირათ, დასავლეთით, ერთმანეთს არევით მისდევენ რამდენიმე მწვანით მოსილნი და ხეებით შემკულნი კოხტა ტოტები „პერანგას“ ქედისა. მე სულ-წასვლით ვიცქირებოდი სამხრეთ-დასავლეთით, საიდანაც უნდა დამენახა ჩემი სამშობლოის უკეთესი ნავთსადგური — ქალაქი ბათომი... ერთიოდე საათს შემდეგ, რაც მე საუკუნეთ მომეჩვენა, თვალი მოვკარი იმ ადგილს, სადაც ბათომი უნდა ყოფილიყო. ეს ის ადგილია, საცა პერანგას ქედი თავდება,

და იქით, მოშორებით, სამხრეთით, იხედება ლაზისტანის ანუ პონტის ქედი, პირველზე უმაღლესი და უვრცესი.

ნახევრიოდე საათის შემდეგ ბათომის ჯამეების კენწეროები გამოჩნდენ, კიდევ ცოტა ხანს შემდეგ დავინახეთ მთელი ქალაქი სახლებით, ქუჩებით, და ბუნებით, შვენიერი ზღვის-უბე, თავსა და ბოლოში ბატარიებ აგებული და ზარბაზნებით გამაგრებული...

მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურნო!
დიდხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიყურო...
ვდგევარ თქვენს წინა თავ-მოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება რაც არის წარსული!..

## III

### ბ ა თ ო მ ი.

საღამოს 6 საათი იყო ბათომის ზღვის-უბეში რომ ჩვენი გემი შეცურდა. ეს შვენიერი და დიდი უბე ისაზღვრება: აღმოსავლეთით—ზღვაში შორს შეწურვილი კონცხით, დასავლეთით და სამხრეთით ვაკეთი, ხოლო ჩრდილოეთით-კი ზღვას უერთდება. მისს შესავალში დასავლეთ - აღმოსავლეთით და სამხრეთ - აღმოსავლეთით, ე. ი. სამს ადგილას აყვანილია კაცის ხელით პატარა გორები, რომლებზედაც ოსმალებს ეწყოთ სათანადო რიცხვი უზარ-მაზარ ზარბაზნებისა და მათ ფერდოებში (თითო გორაში თითო) შეშენებულია კაი მოზდილი ყაზარმები. მთლათ დასრულებულია ყაზარმა მხოლოთ დასავლეთ გორაში, რომლის აყვანა და შენობა 1871 წ. დაუწყიათ. სამივე გორებს აქვთ სახე ქართული ჲსოსი ვ-სა, რომლის ცარიელი მხარე მიქცეულია ქალაქისა და პერანგას ქედისკენ.

ბათომი, რომელიც ახლა თავისივე სახელწოდების ოლ-

ქის ქალაქადაა [1]), არის ჩვენებური სამაზრო ქალაქის ოდენა, 3,000 სული მცხოვრებია [2]), ქუჩები აქვს ვიწრო, ქვით მოფენილი; რიყის ქვით მოფენილი ქუჩები მხოლოთ ბაზარშია, და იქაც ერთობ ვიწროები, ასე რომ სამი კაცის მეტი მწკრივათ ზედ ვერ გაივლის. აქ საუკეთესო შენობებია: სამი ჯამე (მეჩითი), ნამეტურ კარგია ერთი მათგანი, დასავლეთის მხარეს, ხონთქარის აბდულ-აზიზის დედისაგან აშენებული, [3])—ერთი (მიკუნჭულ ადგილას) ბერძნის ეკლესია წმინდა ნიკოლოოზისა, ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ბატ. კურტი-ოღლისა, ზღვის-უბის პირათ აშენებული სასტუმროთ, ბატ. იანკოს ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, რომელშიდაც ოლქის დროებითი მმართველი დგას, და ორ-სართულიანი ქვითკირისვე სახლი ძმათა მჭედლიშვილებისა და დიდი, ჯერ დაუსრულებელი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ალი-ფაშა თავდგირიძისა [4]). შენობესის უმეტესი ნაწილი აგურისაა და დანარჩენი ხისა. თითქმის ნახევარზე მეტი მათგანი ორ-ორ სართულიანებია... მცხოვრებლები ხარჯვენ წყალს ჭებიდან, რომლებიც შიგ ქალაქში აქვთ, და აგრეთვე აღმოსავლეთით მთიდან გამოყვანილ წყლის მილიდან.

იმ ვაჭრატონების სიმრავლის გამო, რომელთაც ბათომი ელდორადოთ მიაჩნდათ, აქაურები კი ინდოელებათ, და ამიტომაც ჩამობძანებულან აქ, თავიანთ ქკუით, გასამდიდრებლათ, ბათომში არსებობს ხუთი სასტუმრო და „ტრახტირები"

---

[1]) თავდაპირველად ბათომის მხარე ცალკე ოლქი იყო, შემდეგ დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარ-მართებლობის პირველ წლიდანვე 1882 წ. მოისპო და შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას, ხოლო 1903 წლიდან ისევ ცალკე ოლქად გამოყვეს.

[2]) 1903 წელს კი 30,000 სული იყო,

[3]) სასტუმრო „ფრანციას" ახლო, ბატარეის პირდაპირ.

[4]) 1903 წ. ამ შენობაში იყო სასტუმრო „ფრანცია", შენობა უკვე სომხისა იყო.

კი ათობით არის... უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ვაჟბატონები მოლოდინმა მოატყუა: ბათომი მისი მიდამოებით თუმცა მართლაც ელდორადოა, მარა მცხოვრებლები კი არ გახლავან ინდოელები, იგინი უკვე და დიდიხნიდან ისე მჭიდროდ დაპატრონებიან ყოველის ფერს, რომ აქ ერთ ფლურსაც ვერ ისარგებლებს უცხო ქვეყნელი ისე, როგორც ველურებში ჩვეულიათ...

ვაჭრობა აქ ადგილობრივ მცხოვრებელთ—ლაზების და გურულებ-იმერლების და მეგრელების ხელშია, ორიოდე ბერძენიც ურევია, **ერთიც რუსი და არც ერთი სომეხი** [1]).

ბათომის ოლქი იყოფა სამ მაზრად: ბათომის, აჭარის და ართვინისათ. ოლქის მმართველათ ღენ. ლეიტენანტი კომაროვია, ბათომის მაზრის უფროსათ თ-დი პოლკოვნიკი გრიგოლ დავითის ძე გურიელი, აჭარისა—მ. მეფისაშვილი და ართვინის თავ. კ. ერისთავი. თითო მაზრა სამ-სამ განყოფილებათაა დაყოფილი.

ერთობ მოხარული ვარ, რადგან შემიძლია თამამათ დაგარწმუნოთ, რომ ბათომის მაზრიდან თავადის გრიგოლ დავითის ძის გურიელის გონივრულის გამგეობის წყალობით არც ერთი ქობულეთელი და მაჭახელელი არ გადასახლებულა, გარდა იმ 200 მოსახლისა, რომელნიც თავდაპირველადვე, რუსების შემოსვლამდე, გარდაიხვეწენ ოსმალეთში, მარა, როგორც ნამდვილად შევიტყე, იგინიც აპირებენ უკან დაბრუნებას, რადგან გაუცრუვდათ მოლოდინი და ნებით რომ არ უშვებენ იქიდან, ჩივილს აპირებენო. ხუთი კაცი იდუმალ გამოპარულა და უკვე დაპატრონებიან ისევ თავიანთ სახლ-კარს. ერთი მათგანი მე თითონ ვნახე და დამარწმუნა „სხვებიც მალე დაბრუნდებიან, სულ რომ ძალა იხმარონო. „რა ვიცო-

---

[1]) 1903 წ. ვაჭრებში ბევრი იყო რუსი და კიდევ უფრო მეტი სომეხი.

დით ძიავ, თუ გრიგოლ ბატონი იქნებოდა მუტესსარიფათ, თვარა რავა გარდავსახლდებოდითო...“

14 ღვინობისთვეს ოსმალეთიდან აქ ჩამოვიდენ თუთხმეტი კაცი აჭარლები და მაჰახელელნი, რომელთაც ოსმალოს ნიზამის ჯარში გაუთავებიათ სამსახურის ვადა. მათის სიტყვით, კიდევ უნდა მოვიდეს ასი კაცი... „ბევრი ჯაფა და სასჯელი გადაგვხვდა თავს, ძიავ, მარა, ახლა ალლაჰია მოწყალე, ჩვენს ქვეყანაში ისევ სულს მოვითქვამთო“, მითხრეს მათ... აი:

„ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე სამშობლისა!..“

1878 წ. „ივერია“ №№ 44 და 48.

## ბ ა თ ო მ ი დ ა ნ.

### I

„ბრძოლა მთა-ბარში, წინ და უკან, ოთხივე კუთხივ, ბრძოლა შეუწყვეტელი პირის-პირ უთვალავ მტრებისა სამშობლოს თავისუფლების დასაცველათ“,—აი ამ სიტყვებში არის გამოთქმული ჩვენი ისტორიის მთავარი აზრი! ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენის ისტორიულის ცხოვრების მსვლელობა ბევრით განსხვავდება სხვა ხალხთა ისტორიულის ცხოვრებისაგან. თითქმის არც ერთ ხალხს არ დაჰირვებია ჩვენსავით, ისტორიულ ცხოვრების დაწყებისათანავე—მუდამ იმ ფიქრში და ზრუნვა-დარდში ყოფნა, თუ სად, როგორ და რა რიგათ

დავხდე ჩემზე ასაოხრებლათ ამხედრებულ, აურაცხელ მტრებსო, და თუ შეხვედრიათ ამ ნაირი ყოფა, მათი მდგომარეობა მითი ჯობდა ჩვენსას, რომ იგინი სიმრავლით ბევრით არ ჩამოუარდებოდენ თავიანთ მტრებს...

ამ ნაირი იყო ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ამ ყოფითვე მტკიცდებოდა ჩვენი ძლიერება და სულის სიმტკიცე, რაც მაშინ იყო ხოლმე უმაღლესობამდე მიხწეული, როცა რამდენიმე ხნით მშვიდობიანობა გვეღირსებოდა. ამ მშვიდობიანობის დროს ჩვენ, უკეთ ვსთქვათ—ჩვენი წინა-პარნი ეწაფებოდენ მეცნიერებას, ხელოვნებას და ითვისებდენ მათ შეძლებისა და გვარათ. ამისთანა დროებში გაშვენიერდა და გამდიდრდა ჩვენი მწიგნობრობა, ამისთანა დროებს ეკუთვნიან საკვირველ ხელოვნებით გაყვანილა სარწყავი არხები, ხელოვნური ტბები და ის ხუროთ-მოძღვრების (არხიტექტურა) შვენიერი ნაშთები, რომლებიც ეხლაც მოფენილია მთელს საქართველოში. ამ დროებში იმდენათ ძლიერდებოდენ იგინი, რომ მთელი აზია მოწიწებით და პატივისცემით შეყურებდა საქართველოს და უძლიერესნი სახელმწიფოებიც განსაცდელის დროს მას ევედრებოდენ ხოლმე მწე-პატრონობას, როგორც, მაგ. საბერძნეთი სვლიაროსის აჯანყების დროს და სხვ.—მე-XIII საუკუნის დასაწყისში, სახელოვან თამარ მეფის დროს მშვიდობიანობით გაძლიერებულმა წინა-პრებმა დააარსეს ტრაპიზონის იმპერია და იმპერატორათ დასვეს თავიანთი ამორჩეული სეფე-წული (ალექსი კომნენი).

ამისთანა ისტორიული ფაქტები უნებლიეთ მახსენებს ზღაპრის გმირს ამეტეის, რომელიც რამდენჯერაც დაცემულ იქნებოდა მტრისაგან მიწაზე, ნიადაგის შეხებით კიდევ უფრო ძლიერდებოდა, და ღონე შემატებული უფრო გაბედულათ ებრძოდა მტერს. ეს რომ შეუტყო მტერმა, მშობელ მიწას აღარ შეახო იგი, არამედ აიყვანა და ჰაერში რამდენიმე ხანს გააჩერა, მშობელ მიწას დააშორა და მითი ამოხადა სული...

# I

.... ჩვენი დღევანდელ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი სამია: პირველი ისე ცხადია, რომ მისი მოხსენება ბეჭდვით საჭირო არა მგონია; მეორე... მისი ვრცლათ მოხსენება თუმც ძალიან გულით მინდა, მარა არ შემიძლია... მესამე მიზეზი გახლავთ ჩვენგან მტრის მეგობრათ მიჩნევა. გაიხსენეთ თუ რაში მდგომარეობდა ჩვენი ისტორიულ ცხოვრების მსვლელობა. ამ მსვლელობამ იმას მიგვაჩვია, რომ მტრათ მიგვაჩნდა მხოლოთ იგი, ვინც ჩვენზე იარაღით ამხედრდებოდა და თავზე გვესხმოდა, და იგი კი, ვინც გულ-ხელ-დაკრეფილი გაზზე იდგა და ჩვენს ჭაპან-წყვეტას სეირსავით უყურებდა, გვეგონა განსაცდელისაგან ჩვენდა დასახსნელათ მზათ იყო. ამ „მგონიობის“ წყალობით ის შეგვემთხვა, რაც სწორეთ არის გამოთქმული ანდაზათ: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეთ“. მარა უკაცრავათ!.. ეს ანდაზა უფრო აღმოსავლეთ-საქართველოს ბედს შეეფერება, ვიდრე დასავლეთისას, და უკანასკნელში ნამეტურ ბათომის ოლქის ბედს... დიაღ, არც ვუით და არც არა სხვა კაცობრივის სიტყვით არ გამოითქმება ის საშინელება, იგი ვაება, ის სადრტვინველი ყოფა, რომელშიაც ჩავარდა ბათომის ოლქი, (უწინდელი სამცხე-კლარჯეთი [1]) მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაწყებული. ამ დროიდან გაუსხლტათ იმათ ხელიდან თავისუფლება, იგი თავისუფლება, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში სახელოვანათ ეპყრათ და ღირსეულათაც იგუებდენ მას. იგინი ჩავარდენ ოსმალების მონობაში. არავითარ მხეცობას არ უკადრისობდენ ოსმალნი იმათ სატანჯველათ: მთელი სოფლების გადაწვა, მცხოვრებლების

---

[1]) ქობულეთი ჩაქვამდე ეტნოგრაფიულათ ყოველთვის გურიის ნაწილი იყო, ისე როგორც ოკრიბა იმერეთის. ზოგჯერ ბათომიც გურიის საზღვარში ითვლებოდა.

განუკითხავათ კვლა, ბავშების დატაცება, სარწმუნოების შეურაცხყოფა და სხვა ამგვარებს დღე-მუდამ, ჟამი ყოველი ჩვეულებრივი ღონის-ძიება იყო მათი! საკვირველი ის არის, რომ ასეთ საქციელთან ოსმალებს კიდევ იმედი ქონდათ, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც მოვახერხებთ „გურჯების“ გადაგვარებას, ენის და ჩვეულების შეცვლასო. მარა ყოველი მათი ცდა ამაო გამოდგა. ამაო გამოდგა იმიტომ კი არა, რომ მათ რაიმე მხეცობა დაეკლოთ, არამედ იმიტომ რომ, ხალხის გადაგვარება— ყოვლად შეუძლებელი ყოფილა, როგორც დრომ, ბუნებამ და ისტორიის მსვლელობამ დაამტკიცა... ორ-ნახევარი საუკუნე ცდილობდენ ოსმალები სამცხის [1]) გადაგვარებას და ამ ხანგრძლივ დროს განმავლობაში მათი ბარბაროსული ცდა უნაყოფოთ დარჩა, როგორც აღელვებული ზღვის ტალღების ცემა ტინის კლდეზე...

## III

აქ, ბათომში, და მისს ოლქში, დღესაც იგივე ქართული ენაა მისის მდიდარის ძალით დაცული, მცხოვრებელთ იგივე თვალ-ტანადობა და ჩვეულებანი აქვთ, რაც თავისუფლების დროსვე ქონდათ, მხოლოთ, რასაკვირველია, ყველა ესენი იმდენათაა შეცვლილი, რამდენათაც დროთა სვლას მოუთხოვია თანახმათ ბუნების კანონისა. მხოლოთ რჯული აქვთ მათ შეცვლილი, და ეს ცვლილება გვაჩვენებს ქართველის ერთს თვისებას, ე. ი. იმას, რომ ქართველი სარწმუნოებას უყურებს

[1]) ქობულეთი კი ოსმალებმა დაიკავეს მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და ისიც არა მთლათ. ბოლონდელ გურიის მთავარი მამია IV-ს. რომელიც 1829 წ, მიიცვალა, საზღვარი ქონდა არა ჩოლოქი, არამედ ერთი პატარა მდინარე ჩოლოქის გაღმა, პირველი ჩოლოქის მარცხენა მხრით.

როგორც მეორე მნიშვნელობიანს საგანს, და ეროვნობას უფრო აფასებს, ვიდრე სარწმუნოებას...

ეს ბათომის ოლქი, როგორც მოგეხსენებათ, შამოუერთდა რუსეთს შარშან, 1878 წ., ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილობისამებრ. მის მცხოვრებელთ არ ეჭაშნიკათ თავიანთ მდგომარეობის ამ რიგათ შეცვლა და რუსებთან ერთათ ერთი უღელის წევა. არ გეგონოსთ, რომ ეს იყო მათგან ჩვენდამი უსიყვარულობის და ძმურის თანაგრძნობის უქონველობის შედეგი... არა, მიზეზი სულ სხვაა... უღელი იმ რიგი რამაა, რომ ძმურია იგი თუ არა—ძმური, სიყვარულით მაინც ვერ მიგიზიდავს, ნამეტურ მაშინ, როცა ამ უღელის აცდენის იმედი, თვალ-წინ გებლანდებათ...

ბათომის ოლქის ქართველები დარწმუნებულნი იყვენ, რომ ოსმალნი დასუსტებულნი არიან და რუსები ევროპის თანაგრძნობას მოკლებულნი, და რადგანაც იგინი ერთის ხელიდან მეორესაში უნდა გადასულიყვენ, მოინდომეს სრული თავისუფლების მოპოვება. იგინი გაცხარებით შეუდგენ სამზადისს; ხელად მოაგროვეს ათი ათასი რჩეული ვაჟ-კაცები ახალის სისტემის თოფებით შეიარაღებულნი, ცოლ-შვილნი დახიზნეს, ინგლისის მმართებლობას ადრესი გაუგზავნეს, ვითომ და „შენი ხელ-შემავლობა გვინდა და დაგვეხმარე ოსმალ-რუსებისაგან თავი დავიხსნათო“, და დაიწყეს მოლაპარაკება ორი სხვა-და-სხვა ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებთან, რომელნიც მათ დესპანებათ მიიღეს... ინგლისის მმართებლობა ჯერ-ხანათ ჩუმათ იყო, კორესპონდენტებმა კი ურჩიეს: „რადგანაც ინგლისის მმართებლობა აშკარათ ვერ დაგეხმარებათ თქვენი წადილის ასასრულებლათ, სჯობს ისევ ევროპის საზოგადოებრივ აზრს მიმართეთ და თხოვეთ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარებაო...

ამ დროს, ბათომიდან ფრანგულის გაზეთის „Le Temps“-ის („დროება“) კორესპონდენტს შემდეგი აზრი მოუვიდა ამ გაზეთში... „რადგანაც, ამბობს ეს კორესპონდენტი, აქაურ

ქართველებს სძულთ რუსები და ეჯავრებათ ოსმალნი, ვგონებ ევროპა ძალიან კარგათ მოიქცეოდა, რომ ბათომის ოლქისაგან, რომელიც, ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებისამებრ რუსებს ერგო, შეადგენდენ დამოუკიდებელ სამთავროს ევროპის მფარველობას ქვეშე, იმ სისხლის ღვრის ასაშორებლათ, რომელიც აუცილებლათ მოხდება, თუ ეს ოლქი კონგრესისგან განაჩენს ხვედრს მიანებსო".

თუმცა ევროპაში ეს აზრი მოიწონეს, მარა მის ასასრულებლათ ხელი არავის არ გაუნძრევია და ამ რიგათ ეს საქმე ინგლისის ანაბარათ მიაგდეს... ინგლისმა, რაღაც მოსაზრების გამო, დახმარების უარი უთხრა ბათომის ოლქის ქართველებს და ურჩია, კონსულების პირით, კონგრესის განაჩენს დამორჩილებოდენ...

25 აგვ. 1878 წ. რუსის ჯარი გადვიდა უწინდელს ჩოლოქის საზღვარს რომ ბათომის ოლქში ფეხი მოეკიდებინათ... იქაურ მცხოვრებლებმა დაინახეს მაშინ, რომ მათის სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო, თავი მოიხარეს, იმ ანდაზის თქმისა არ იყოს, რომელიც ამბობს: „დათვი რომ მოგერიოს, ბაბუა დაუძახეო". მარა ქვეყნისთვის რომ ეჩვენებინათ, თუ რა იყო მათი სურვილი, ტყვიებით მისცეს სალამი რუსებს და რამდენიმე სალდათი დაჰკრეს და მოკლეს. ეს ნიშნავდა მათგან კანონიერ საჩივარის გამოცხადებას...

რუსნი ხომ ასე მიიღეს, ახლა ვნახოთ, თუ როგორ გაისტუმრეს ოსმალები. ოსმალებმა, ამ ოლქიდან წასვლის დროს, დაუწყეს ხალხს ჩაგონება, რომ ჩვენ წამოგვყევითო, გზის ფული, ახლად დასახლების ფასი და ერთის წლის ხარჯი ჩვენგან მოგეცემათო. ამ დაპირების წყალობით ორასი მოსახლე მოატყუეს და წაიყვანეს, და როდესაც დანარჩენებმა უარი უთხრეს, მაშინ ოსმალებმა დაიწყეს ყოველ გვარი სიმხეცე და ვერაგობა სწორეთ იმის მსგავსათ, როგორც მე-XVII საუკ. მოქმედებდენ, როცა პირველათ დაბატონდენ ამ მხარეს. . ამ დროს

ადგილის მკვიდრთა და ოსმალებს შუა რამდენიმე ალაგას მოხდა შეტაკება და სისხლის ღვრა.

აქ მოვიყვან ერთს მაგალითს რომლის სიტყვითი სიტყვამდე სიმართლე შემიძლია დაგარწმუნოთ...

23 აგვისტოს 1878 წ. [1]) სოფ. ჭახათში მოვიდა ოცდაოთხი ნიზამი სამასი ჩალვადრის ცხენებით და ოსმალოს მმართებლობის ბრძანებისამებრ ურჩევდენ მცხოვრებლებს ოსმალეთში გადასახლებას იმ პირობებით, რომელნიც ზევით მოვიხსენეთ... მცხოვრებლებმა გარდაწყვეტილი უარი გამოუცხადეს. მაშინ ნიზამებმა განიზრახეს ძალის დატანება, მარა ჭახათელებმა ერთი გავლენიანის კაცის, გულო-ალა კაიკაცისშვილის (კაკაც-ოღლი) რჩევით, ოსმალები მუშტი-კრივით იფრინეს წინ, მოკლეს სამი ცხენი და ნიზამებს წაართვეს ოთხი თოფი ახალის სისტემისა. რადგანაც ჭახათელები ბევრათ უფრო ბევრნი იყვნენ ნიზამებზე, ნიზამებმა ხელი ვერ გამოიღეს და ამიტომაც კაცის სისხლი არ დაღვრილა. აჭარაში და მაჭახელაში კი ამ გვარ შემთხვევის წყალობით რამდენჯერმე მოხდა სისხლის ღვრა, რომლის გამო ბარე ორი ოსმალო გამოემშვიდობა საქაოს... ასე და ამ გვარათ სამცხე-ქობულელნი როგორც რუსებს შეეყარენ სიძულვილით, ოსმალებიც ისე გაისტუმრეს... ამით აშკარათ დამტკიცდა „Le Temps"-ის კორესპონდენტის სიტყვების სიმართლე...

## IV

ასე თუ ისე, ბათომის ოლქი ერგო რუსებს, რომელთაც აქ უნდა დაედგინათ მმართველობა და შემოეღოთ შესაფერი წესები.

ყველა მმართებლობისთვის ძნელია უცხო ხალხის გულის

---

[1]) ორი დღის წინათ რუსების შემოსვლისა ამ ოლქში.

მოგება და ნამეტურ იმისთანა ხალხისა, როგორიც ბათომის ოლქის ქართველებია. ასეთი ხალხის გულის მოგება უცხო მმართებლობისთვის მაშინაც ძნელია, თუ მას განაგებს ყოვლისფრით ღირსეული მოხელეობა, და თუ ესეც არ არის, მაშინ კი ხელიდან წასულია საქმე...

როდესაც გერმანიამ დაიპყრო ელზას-ლოტარინგია, ამ მხარის გამგებლებათ გაგზავნა თავისი უკეთესნი მოხელენი, იმ ადვილათ ასახსნელ მიზეზის გამო, რომ გონება გახსნილ მოხელეობას ბევრი ღონის ძიება აქვს ხალხის გულის მოსაგებათ, ხოლო გონება დახშულ მოხელეობას ადვილათ შეუძლია ეს ღონის ძიება ბოროტათ მოიხმაროს ისე, რომ კანონის ფორმა მთლათ დაცული იქნება.

ამ მიზეზებისვე გამო სწორეთ ასე სურდა მოქცეულიყო რუსეთის მთავრობასაც ახლათ შემოერთებულ უწინდელ ოსმალოს საქართველოში. მხოლოთ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იყო ერთი გარემოება, რომელსაც გერმანიას და ელზას-ლოტარინგიას შორის არ ქონია ადგილი. ჩვენ ვამბობთ ენაზე. ელზას-ლოტარინგია გერმანიის ტომის ხალხით დასახლებული, გერმანულ ენაზე მოსაუბრე, დაიპყრო საფრანგეთმა, რომელმაც, თუმცა ძალიან მიიზიდა მისი გული და კიდევაც გაავრცელა თავისი ფრანგული ენა, მარა ხალხში გერმანული ენა მაინც ხალხის ენათ დარჩა, ასე რომ გერმანიას ამ პროვინციების დაპყრობის შემდეგ ენის მხრით არაფერი უშლიდა, რომ თავის მოხელეები გაეგზავნა. რუსებსა და ქართველებს შორის კი, გვარ-ტომობის და ენის გამო დევს უფსკრული განსხვავებისა. ამიტომაც საჭირო იყო, რომ ბათომის ოლქში დანიშნულიყო ქართველი მოხელეები.

ასეც მოხდა.

თითქმის მთელს ოლქში, თვით ღუბერნატორისა და ორიოდეს გარდა, ყველა მოხელეები ქართველები არიან, მარა... ორთავე მხარის, ესე იგი, მთავრობის და ხალხის საუბედუროთ, ერთობ აჩქარებით მოხდა აქ მოხელეების დანიშვნა,

რის გამოც ეს მოხელეები სრულიათ ვერ აკმაყოფილებენ ვერც მთავრობისა და ვერც ხალხის მოთხოვნილებას... უფრო სიმართლე რომ ვთქვათ, აქ დანიშვნა მოხელეთა არ ყოფილა იმ წესით, რა წესითაც იგი წარმოებს ხოლმე. მმართებლობა მხოლოთ ამტკიცებდა მთხოვნელებს იმ ალაგებზე, რომელთაც იგინი თხოულობდენ და ზოგს კი „უთხოვდენ" იმათი მწე-პატრონები... მერმე, ვინ არ თხოულობდა აქ ალაგს! ძველათ სამოქალაქო სამსახურიდამ კაი კაცობისთვის გამოგდებული „ჩინოვნიკი", კაი კაცობისთვის გაკრეჭილი მღვდელი, აფიცერი, რომელსაც ენა ისე აქვს გაწაფული ერთ-რიგის ლოცვა-კურთხევით, რომ უამისოთ მისი მობრუნება არ შეუძლია, იუნკერი, ნამუსიან ქალების ერთნაირის თავშესაფარის ზედამხედველი, აქტიორი ამხანაგობიდან გაპარული, გაკოტრებული ვაჭარი... და თითქმის ყველა ამათ მიეცათ ადგილები! ამ ადგილების გამოისობით იგინი გახდენ ხალხის მწყემსებათ, ხალხის წყლულის მომრჩენათ, ხალხის უძლურების მკურნალებათ!.. საფიქრებელია, რომ მმართებლობა ამ ცოტა ხანში იმათ ნელ-ნელა გაისტუმრებს - იქითკენ, საიდამაც მოსულან, და მათ ადგილზე უფრო ღირსეულებს დანიშნავს.

ხოლო სანამ ისინი გამოიცვლებიან, მართლაც რომ შესაბრალისია ბათომის ოლქის მკვიდრთა მდგომარეობა. იმათ, როგორც ომისაგან გალატაკებულებს, სახლ-კარ გადამწვარებს და ერთის იმპერიის ქვეშევრდომობიდან მეორეს ქვეშევრდომობაში გადასულებს, ჩვენზე უფრო ეჭირვებათ მსწრაფლ მოქმედი პოლიცია, და მალი, რაც შეიძლება გამარტივებული, სამართალი. ორივეს ამას მოკლებულნი არიან აქაურები. სისწრაფის მაგიერათ აქაურ მმართველობის ყოველ ნაირ ინსტანციაში სუფევს ჩვეულებრივი სახელ-განთქმული ფორმალობა, რომელიც აქ უმაღლეს ხარისხამდეა მიღწეული იმავე მოხელეების წყალობით...

ასე არ იყო ოსმალოს მმართებლობის დროს. მაშინ თუ კი ვინმეს ქონდა რაიმე საჩივარი, რომელიც მას უაღრესათ

მიაჩნდა, პირდაპირ მუტტესარიფთან (ღუბერნატორთან) მიდიოდა, სალამს აძლევდა და პირადათ ატყობინებდა თავის საჩივარს. მუტტესარიფი, თვითონ, იმ წამშივე დადგენილ განჩინებით აკმაყოფილებდა მომჩივარს. ახლა კი, არა თუ ღუბერნატორთან, არამედ ნაწილის უფროსთანაც (участковый нач.) ვერ ბედავს მომჩივარი თუ იგი ღარიბთაგანია, პირის-პირ მოახსენოს საჩივარი, თუ არ რუსულათ დაწერილის არზით და ზედ დაკრულ მარკებით. ამას ისიც დავუმატოთ, რომ რუსულათ არზის დამწერსაც ფული უნდა...

რასაკვირველია, რომ ასეთს ფორმალობას იმისთანა ხალხი, როგორიც ბათომის ოლქის ქართველებია, ჭირის დღესავით გმობს და არიდებს თავს. იმას უფრო ემარჯვება თვითონ იარაღით გაისამართლოს თავის საქმე, ვიდრე ასეთს სასამართლოში. ამ მათებურ განსამართლებას „ჩვენი“ მოხელეობა უყურებს, როგორც რუსეთის კანონების დარღვევას და ნდომულობს გამართლებულის და დამარცხებულის (თუ კი ცოცხალია) დაჭერას. იგინი არ თანხმდებიან... თუ მოხელეობა ძალას იხმარს, მაშინ დასაჭერ კაცებს მეგობრები ეხმარებიან და არ ანებებენ; მხდალი და მსუნაგი მოხელეობა, რომელიც ბუზს მთათ გადააქცევს ხოლმე, ასეთს საქმეებს იმდენად აზვიადებენ, რომ მთელი „აჯანყება“ გამოყავთ...

რაღაც ბედათ ბათომის მაზრის უფროსათ არის ისეთი კაცი, რომელსაც მთელი ბათომის ოლქის ქართველი თავის მფარველ ანგელოზსავით შეცქერის, და რომლის ერთს სიტყვას მათზე სხვის მთელ მოძღვრებაზე უფრო მეტი გავლენა აქვს. ს კაცი გახლავთ თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი...

1879 წ. „ივერია“ № 4.

# 1881 წ.

## რკინის გზის ვაგონში.

(ქუთაისიდან თბილისამდე) „დროება“ 1881 წ. № 267.

წინასიტყვაობის მაგიერ.—სამურზაყანოელთ ჩივილი და აბხაზეთის მიწები.—ვის უნდა მიცენ სამართლით ეს მიწები.—რა ამბავია გურიაში.—სალორეში დამწყვდეული მდივან-ბეგი, ანუ ამბავი, რომელიც ყველასათვის გასაგები კი არ არის.

რომელიმე ქვეყნის გასაცნობათ არ კმარან წიგნები და ფილოსოფიური ტრაქტატებიო, ამბობენ ევროპელები,—საჭიროა კაცმა თვით იმგზავროს იმ ქვეყანაში, რომლის გაცნობაც მოგისურვებია, გინდ ის თქვენი მამულიც იყოს,—უმაშვალოთ საკუთარი გონებით დააკვირდე იმის ცხოვრების ყოველ მხრივს თვისებებს და, დარწმუნებული იყავით, რომ ამითი უფრო კარგათ და ნამდვილათ გაიცნობთ თქვენგან არჩეულ მხარესო.

თუ ეს სიტყვები იმისთანა სახელმწიფოების შესახებ ითქმის, როგორნიც საფრანგეთი და ინგლისი არის, საქართველოს შესახებ ხომ სულ ხელი უნდა მოეწეროს და დამტკიცდეს „უჭეშმარიტესს ჭეშმარიტებათ“, რადგანაც ჩვენი დალოცვილი ქვეყნის გასაცნობათ დაწერილი წიგნები თითებზე ჩამოთვლის საკმარისნიც არ არის და ფილოსოფიური ტრაქტატები კი... სულ, რომ გადავთვალოთ... სულ... რამდენი იქნება, მკითხველო?!

დაკვირვებულ მკითხველს უკვე შენიშნული ექნება შემდეგი განსკუთრებული თვისება ქართველი მოგზაურისა. თითქმის ყოველგან, კაცი რომ გაგეცნოზა, რა ეროვნებისაც უნდა იყო, ლაპარაკს იმისთანა რამეზე დაგიწყებს, რომელიც უმი-

სოდაც კარგათ იცოდი; ვის არ გაუგონია „ტაროსის“ თემა? ქართველი კი, მეტადრე მისივე თანამემამულეს—თავისს არსობითი საქმეების გარემოებას მოუყვება, ხელის გულზე გადმოუშლის თავის გულის ნადებს...

ბევრი მწუხარება უნდა ქონდეს ერს, ბევრი წყლული უნდა დარჩენოდეს მისს გულს „სხვათაგან“, რომ ეს გადაჭარბებული გულახდილობა იმის არსებას ასე შეხორცებია...

—

„ამ აბხაზეთში რომ უცხო ტომის ხალხს ასახლებენ, რა უჭირსთ დალოცვილებს, რომ იმათ ნაცვლათ ჩვენივე ხალხთაგანნი დაასახლონ ეს უსამართლობის გამო გავერანებული კეკელა ქვეყანაო!“—ეუბნებოდა ჩემს პირდაპირ მჯდომ ვიღაც კაცს ერთი სამურზაყანოელი. ხალხის მჭიდროობა მთელს საქართველოში, და განსაკუთრებით სამურზაყანოს, ლეჩხუმრაჭას და სამეგრელოში უკიდურესობამდეა მიწეული. იქაურებისათვის დიდი სიკეთე იქნებოდა, რომ იქ მიუზომავდენ საცხოვრებელ ადგილს... ღმერთმა ხომ იცის—სახელმწიფო ამითი ერთი ათასათ უფრო ისარგებლებდა, ვიდრე იმათი გადმოსახლებით, რომელნიც იქ ვერ ძლებენ, რამდენიმე წლის შემდეგ წყდებიან, როგორც ხოლერა მორეულნი, და იმ რამდენიმე წლის განმავლობაშიაც კი უფრო ანადგურებენ ისედაც მოუვლელ ქვეყანას! ნიგვზის დარეკის ნაცვლათ ხეს ძირში ჰრიან, მაღლარ ვენახს ხეებიანათ ჰრიან და ასე ულვთოთ მოიწევენ ხოლმე ყურძენს...

აი ჭეშმარიტი სიტყვები—ვთქვი ჩემს გუნებაში,—რაც პირველი არ არის და არც უკანასკნელი იქნება, რომ რჩება ხმათ მღაღადებელათ უდაბნოსა შინა...—ამ რამდენიმე წლის წინათ, ბატონო, განაგრძო სამურზაყანოელმა, გადმოასახლეს **სამასი კომლი** რუსი. დღეს რომ ნახოთ, მათი ნასახლევი ადგილი, ისევ ცარიელია: უბედურები, ათ სულს გარდა, ყველანი დაიხოცენ, და იმ ათსაც კი სიცოცხლის ფერი არ ადევთ...

გულმა არ მომითმინა და დავეკითხე:

— რას ამბობენ ის გადარჩენილები, არ ცდილობენ ისევ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებას?

— საცოდავები ჩამოსვლისას შუა ხნისანი იყვნენ და ეხლა კი ისე გატყდენ ციებ-ცხელებით, რომ უდროვოთ დაბერდენ და დაჩაჩანაკდენ. კიდეც რომ დაბრუნდენ, ცოცხლეაი ველარ მიაწევენ შინ. ან რა გააკეთონ, რომ წავიდენ, თავის ენაც აღარ ახსოვთ.

— მაშ რა ენა შეითვისეს?

— მათი ამხანაგები რომ იხოცებოდენ, ისინი აბხაზებს შეეხიზნენ ხანგრძლივი მუდარების შემდეგ, და აბხაზური დაისწავლეს. მარა რათ გინდა იმისთანა აბხაზური? „აჩსა“ (ცეცხლი) რომ უნდოდენ სთქვან—„აგმცა“-ს იტყვიან, „არეხვაის“ (მოდი) ნაცვლათ—„არეკუის“ ამბობენ. რუსულს—ნუღარ იკითხავთ: ერთხელ ნაჩალნიკმა დაიბარა ისინი რაღაც საქმეზე, მარა სულ ვერაფერი გააგებინეს საწყლებმა. აბხაზი დაუყენეს მთარგმნელათ, მარა იმასაც ბევრი ვერაფერი გაეგო იმათგან...

— შვილები არ ყავთ?

— ორს თუ სამს ყავს. ბავშებმა კარგათ იციან აბხაზური, რუსული კი ერთი ღერიც არ გაეგებათ...

— ამას წინათ გაზეთს „დროებაში“ ეწერა—ვუთხარი,—რომ აბხაზეთში უკვე იმყოფება იქაური მიწების გამნაწილებელი კომისია და სამურზაყანოელთაგანთ მიუზომავს ადგილს დასასახლებლათო. მადლიერნი არიან ამ კომისიისა?

— ნწა... თუ, „ჩინოვნიკი“ ან და დიდი გვარის შვილი არ არის, ისე თითქმის არავის არ აძლევენ მიწას, და იმათ კი ადგილ-მამული უიმისოთაც ბევრი ქონდათ... საწყლებს კი ჯერ არაფერი რგებიათ წილათ.

ვინ არის მოსარჩლე, ვინ არის გამკითხავი?!

—

დადარდიანებული გადაველი მეორე ვაგონში, სადაც პაპიროზს მოვუკიდე ვიღაც გურულის პაპიროსზე. ის იყო ერ-

თი დარბაისელთა და გონება-მკვეთრთაგანი, რომელთ ტიპი ჩვენში თანდათან ისპობა რაღაცა მანქანებით. რამდენიმე წამს შემდეგ, თუ გინდა დიდი ხნიდან დაახლოვებულნი ნაცნობები ვყოფილიყავით, ისე გულწრფელათ ვმუსაიფობდით. თანდათან, ჩვენდა შეუნიშნავათ, გადავედით გურიის მდგომარეობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს, ასე უკუღმართათ მიდის, სხვათა შორის, ადგილობრივი გამგეობის უთაურობის გამო. სრულიათ ეთანხმებოდა ჩემი ახალის ნაცნობის სიტყვები იმ ფაქტებს, რაც მე, როგორც გურულმა, ისედაც ვიცოდი.

ნება მომეცით ამ საიმედო ცნობებით გავამტყუნო ის შეცთომით სავსე წერილი, რომელიც ვიღაც უცნობისაგან დაბეჭდილია „დროების“ 264 №-ში. ამ შენიშნვის ავტორს გონია, ვითომც ხალხი ძრიელ გახარებულია, რომ რამდენიმე პირს ავაზაკების მეთაურობას აბრალებენ, და მათი გადასახლება უნდათ ადმინისტრაციის წესით... სრულიათაც არა. ხალხის თხოვნა და სურვილი ის არის, რომ ვინც დამნაშავეა ან ვინც ეჭვ-ქვეშ არიან, **სამსჯავროსაგან იქნან გასამართლებულნი**, რომ ყველას თამამათ, შეუცთომელათ შეეძლოს თქვას: „ეს და ეს კაცი დანაშაული იყო, და დაისაჯაო“, ან „ამა და ამ კაცს ტყუილათ წამებდენ ავაზაკთ მფარველობას, მარა სიმართლემ თავი გაიტანა, და ვერაფერი დააკლესო“. თუ არა იმითი **არც სამართალი** დაკმაყოფილდება და **არც არივინ**, რომ რამდენიმე პირს წამოუსვან ხელი და „შორეულ ადგილებში“ გაუძახონ ძალის უფლებით... ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ, როგორც ამბობენ, ზოგიერთების მანქანებით „ავაზაკების მოთავეობა“ იმისთანა პირებს ბრალდებათ, სხვათა შორის, რომელნიც თვითონ დევნიან „ავაზაკების მოთავეებს“, და რადგანაც ამ უკანასკნელთ **ზოგიერთ დაწესებულებაში** ან მომხრე ყავსთ, ან თვითონ მსახურებენ, შურს უძიებენ პირველებს. ნუ თუ გამარჯვება ასე მოხერხებულათ დაფარულს ვერაგებს უნდა დარჩესთ? არა, ღმერთმა ნუ ქნას! დროა ხალხი დაარწმუნონ, რომ „სამართალი“ და „კანონი“

ცარიელი სიტყვები როდია, არამედ ყოველ საჭირო დროს თავის გამომჩენი ძალა...

---

ერთი კისკასით და ხარხარით შემოვიდენ ვაგონში ვიღაც ორი ქართლელი, რომელთაგან ერთი თბილისელი ყოფილიყო და მეორე გორელი.

— არა, თუ ღმერთი გწამს მართალია, განა?.

— ძია რას ამბობ, ჩემმა მზემ მეთქი... ჰა, ჰა, ჰა... ვერ იჭერდა გორელი სიცილს.

იქვე მისი ნაცნობი ახალციხელი მჯდარიყო, რომელსაც მოამბემ გაუმეორა შემდეგი სასაცილო ამბავი:

— „ძველათ, რამდენიმე ათი წლის წინეთ, გორში იყო ერთი ტუტუცი და ძლიერთ წინაშე—მლიქვნელი მდივან-ბეგი. სულ იმას ცდილობდა—უფროსთათვის ესიამოვნებინა, რითაც უნდა ყოფილიყო; ხალხის მდგომარეობა ფეხზე ეკიდა, თავის თანამდებობის საქმის არაფერი გაეგებოდა, ხელის მოწერის მეტი.

ბევრს ეცადენ გორელები მის მოშორებას, მარა დიდ ხანს ვერას გზით ვერ მოახერხეს...

ერთხელ, ამ ტუტუცის უკანონო ბძანება რომელიღაც თავადიშვილის არ აესრულებინა, და მისი „მაღალ-კეთილშობილება“ თვითონ წაბძანდა ურჩი თავადის ოჯახში იმის ჩასაბახავათ; აბა, საკუთარს ოჯახში ვის ჩაბახავდა ვინა! რაღა ბევრი გავაგრძელო, თავადიშვილმა მოუსვა ხელი და საღორეში ღორებთან დაამწყვდია ბ-ნ მდივან-ბეგი. ორი დღე და ღამე არც მისი მაღალ-კეთილშობილება გამოუშვიათ საღორედან და არც ღორები...

უთავოთ დარჩენილი მდივან-ბეგის ხელქვეითნი შეუდგენ თავისი უფროსის ძებნას, მიიჭრენ თავადის ოჯახში, მარა მასპინძელმა რუსული „ოტკაზი“ უთხრა მათ, და ისინი კი რას იფიქრებდენ, საღორეში თუ განისვენებდა მათი უფროსი!

მესამე დღეს კი მძებნელებს გაუხსნილეს ყველაფერი.

მდივან-ბეგის თანაშემწე დიდის გაჭირვებით შეფორთხდა თავისი „ნაჩალნიკის“ უნებურს საბრძანებელში... კარებთან რაღაცას წაკრა ფეხი და გადაგორდა. ლორებმა შექნეს ჭყვირილი, მიმართეს კარებს და ზედ გადირბინეს წაქცეულს „პოპოშნიკზე“... საწყალს უნდოდა დაბეჟილს გვერდებზე ხელი მოესვა და უეცრათ ხელი წაავლო ვიღაცას, რომელიც კვნესოდა, კუთავდა...

— „ვაი, უუჰ,... ჰე...

— ვინა ხარ, ეი! შეყვირა შეშინებულმა პოპოშნიკმა, რომელსაც ტკივილი დაავიწყებინა შიშმა...

— მე—ვარ... მდივან... ბეგი... მიშველე...

— ბატონო, თქვენა ხართ? ღმერთო ჩემო! რა რიგათ... ვინ გაგიბედათ აქ დამწყვდევა!

როგორც იქნა გამოათრიეს საწყალობელი, ორი დღისა და ღამის მშიერი, ლორებთან ქეიფ განატარები მდივან-ბეგი...

ის დღე დღე იყო, და მას შემდეგ გორის მაზრას აღარ უნახავს ის საბრალო...

ამ ნაირათ მოიცილეს თავიდან გორელებმა ყოვლათ ცუდი მდივან-ბეგი.

თუ არ ის თავადი, ვინ იქნებოდა მოსარჩლე, ვინ იქნებოდა გამკითხველი?!

# ბელლეტრისტიკა.

## 1880 წ.

## „უბედური შემთხვევა“.

„სამწერლო თაიგული“ 1880 წ.

ვუძღვნი აკაკის, ამ ამბვის სიუჟეტის მომცემს.

### I

ივანე კოპალიანი მხნე და შრომის მოყვარე გლეხი იყო. მამით ის ადრე დაობლდა, და მთელი ოჯახი მისი ჯანის ანაბარათ დარჩა. ოც წლამდის მისი წელი არ შესვენებულა: მუდამ მუშაობაში იყო, ხან შინ, ხან გარეთ, და ოფლის ღვრით ნაშოვნი ორიოდე გროშით არჩენდა მთელ ოჯახს.

როცა მას ოცი წელიწადი შეუსრულდა, მოხუცებულო დედის რჩევით ცოლი შეირთო, რომელმაც სანახევროთ შეუმსუბუქა მუშაობა. მაშინ ივანემ იფიქრა: მოდი, ერთი, წავალ სადმე ქალაქ ადგილას ფულის საშოვნელათ. ამბობენ, მუშა კაცს ქალაქ ადგილას უფრო ადვილათ შეუძლია ფულის შოვნა... ოჯახს ჩემი საყვარელი ცოლიც გაწვდება, მეც იქედან ფულით დავეხმარები და.... საქმე კარგათ წავა“.

ეს განზრახვა მან სისრულეში მოიყვანა და 18... წელს იგი წავიდა მამულის არემარედან და ჩავიდა თბილისში, სადაც სამძიმო კაპან-საწყვეტ მუშაობას მიყო ხელი.

### II

ათი წელიწადი დაყო ივანემ თბილისში. ყოველ წლობით გზავნიდა იგი სახლში თავის შემოსავლის ერთ წილს, და მი-

თი ხელს უწყობდა თავის ღარიბ სახლობას, და შრომას უმსუბუქებდა თავის საყვარელს, ერთგულ ცოლს. მეათე წელიწადს ივანემ განიზრახა სახლში დაბრუნება; გაიხადა მუშის კურტანი, იყიდა ახალი ტანსაცმელი, ვეცხლის ქამარი და სატევარი, ჯიბეში ჩაიდვა ოფლის ღვრით მონაბოჭი ფულები, და სიხარულით სავსე, გაუდგა გზას შინისკენ, სოფელ ლ—სკენ.

ორიოდე დღის შემდეგ იგი მივიდა თავის სოფელში. სოფლის თავში ის შეხვთა ერთს თავის უწინდელ მეგობარს, რომელიც შეაჩერა, გამოეცნაურა, და თან უსაყვედურა, — ასე როგორ დამივიწყე, ვეღარ მიცანიო. მერმე გამოკითხა თავის სახლეულობის ამბავი, და გასწია სიჩქარით შინისკენ. გამომშვიდობების დროს მეგობარი სახვალიოთ სადილათ დაპატიჟა: ერთი ვიმხიარულოთო...

აგერ ივანე მიუახლოვდა თავის სახლის არესაც... გულმა დაუწყო ძგერა-ფართხალი... ის იყო აღელვებული იმ გრძნობებით, რომლებიც იმონავებენ მხოლოთ იმას, ვინც დიდი ხნის შემდეგ ბრუნდება სახლში, სადაც მას ელიან მოყვარულნი ცოლი და დედა.

აი, იგი მივიდა ეზოსთან და იქიდან დაუწყო მზერა სახლკარს. მან შეამჩნია, რომ მისი ოდა ისლის მაგიერ ახალი ყავრითაა ახლა გადახურული, რომ წინანდელ, გვერდ მოქცეულ საქათმოის ნაცვლათ, მოუღობვინებიათ ახალი, უფრო ლამაზი, რომ უწინდელ ათიოდე წიწილების და ხუთიოდე ქათამმამლის მაგიერ, ეხლა ეზოში დაბჯუოდენ ასიოდე წიწილები და ორმოციოდე ქათმები...

ამ დროს გაიღო სახლის კარი და გამოვიდა ცხრა-ფათ მოკეცილი დედაბერი, რომელმაც შეხედა ივანეს თუ არა, შუბლზე ხელი მიიფარა და ისე დაუწყო ცქერა. ივანემ იმ წამსვე იცნო დედამისი, და უნდოდა მასთან მირბენა და ყელზე შემოხვევნა, მარა უეცრათ მოვლენილმა აზრმა მყის შეაჩერა იგი.

„ველარც დედამ მიცნო! როგორ გაშტერებული შემომჩერებია, თითქო ცხრა მთას იქიდან ვიყო მოვლენილი! ვაი შენ ჩემო თავო, ნუ თუ მართლა დამივიწყეს, და მომიძულეს კიდეც!!! არა, არ მჯერა რომ დედას დავიწყებული ვყავდე; არა! ეს მხოლოთ მოხუცებულობით მოდის,— თვალთ სინათლე აკლია და იმიტომ ველარ მცნობილობს!..“

ეს სიტყვები არც კი დაეთავებინა მას, რომ იმავ კარებიდან გამოვიდა ახალგაზდა ქალი, რომელმაც მის დანახვისათანავე, დედაბრის გვერდით დადგა, და ივანეს მიაცქერდა.

ვერც ამ ქალმა იცნო ივანე მისი ქმარი, რომელსაც მოუთმენელათ ელოდა ამ ბოლონდელ ათი წლის განმავლობაში, რომ ეგების ერთი შვილი მაინც ეჩუქებინა მისთვის... ღვთის მოწყალებით!

ივანემ კი იცნო ცოლი, და ამ ცნობით სიხარულზე უფრო მწუხარება ეუფლა მის გულს.

— რავა? მაგანაც ვერ მიცნო!? ეს რა უბედურებაა ჩემ თავს? მაგას მაინც არ აკლია თვალს! ეტყობა დაუვიწყებოვარ!..

ჰმ... ჰმ... განა ამ ათ წელიწადში ასე გამოვიცვალე, რომ ცოლიც ვერ მცნობილობს!?“

ამ სიტყვებს შემდეგ ივანეს კვლავ უნდოდა შეელო ჭიშკარი და გამოცნობოდა მათ, მარა უბედურმა აზრმა ხელ-ახლავ შეაჩერა იგი...

„ამისთანა დღეს ჩემ სიცოცხლეში ვერ ვიშოვნი, მოდი ახლა გამოვცადო ჩემი ცოლი: ერთგულია იგი ჩემი თუ არა?“

როგორც კი მოუვიდა ეს აზრი, მაშინვე შეაღო ჭიშკარი, მივიდა ქალებთან, გამოეცნაურა მათ სხვა მაზრიდან ჩამოსულ მგზავრ-ვაჭრათ, და თხოვა პურ-ღვინო და ღამის გათევინების ნება. სტუმართ-მოყვარეობის ჩვეულებისამებრ ქალებმა შეიწვიეს იგი სახლში და გაუმასპინძლდენ.

სტუმარს ვახშამი აჭამეს... ნავახშმევს ივანემ, ჯერ რომ არ გაემჟღავნებინა თავისი ნამდვილი ვინაობა ისე, დაუწყო

მოხუც დედას საუბარი, გამოკითხა ოჯახის საქმე და ამბები, როგორც გულშემატკივარმა კაცმა, და ისეთი მოქნილი ენით მოუყვა თავის მოგონილ თავგადასავალს, რომ მოხუც ქალს გული აუჩუყა, და ცრემლები გადმოაფრქვევინა.

კიდევ რამდენიმე წამი, და ისინი ერთმანეთის მესაიდუმლოებათ გადიქცენ. ივანემ შეარჩია დრო, როცა დედაბერი აუფლიკვინდა შინ ვაჟის უყოლობას, მის უშვილობას, და სხვა ათასნაირ გაჭირვებას, და ყურში დიდ ხანს ეჩურჩულა მოსაუბრეს, თუ რა სიმდიდრე მოაქვს მას თან, თუ რა საოცრათ მოეწონა მისი რძალი, რომელიც ასე დიდ ხანს უგულობით მიუტოვებია ქმარს. ეს უკანასკნელი, როგორც ახლა ახსენდება მას, სატუსაღოში უნდა იჯდეს ეკლესიის გატეხისათვის, და ციმბირში გადაკარგვას მოელოდება. მერმე ჩააგონა, რომ თუ ამაღამ დამიახლოვებ შენს რძალს, როგორც ღვთისნიერი კაცი, სიტყვას გაძლევ და შემოგფიცებ—შევირთავ თუ შვილი ეყოლება და ქმარს მისას არ გამოუშვებენ, და თუ ქმარი გამოუშვეს—დიდძალ ფულს და ტანფეხს მივართმევო...

ვაჟის ციხეში ჯდომამ და მოსალოდნელ საციმბირო შედეგმა დედაბერს გული დაუჭექა და ფლიკვინი დააწყებინა. ის ძლივს ერეოდა თავის სულის კვეთებას, და ხმა მაღლა არ ტიროდა, რომ რძალს ჯერ-ჯერობით არ გაეგო თავისი უბედურება. მალე ფლიკვინიც გაათავა და გაშეშებულივით იჯდა სტუმრის გვერდით... ოჯახის უძეოთ გადაშენება, უკაცობა და ამის გამო მოსალოდნელი შიმშილი სიკვდილის ცელზე უფრო საზარელ სურათათ ელანდებოდა მას, და ხანდაზმით, გულ-ამოსკვნით ოხრავდა. ამ დროსვე გვერდით უჯდა მას ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი, რომელიც პირდებოდა მართას შერთვას, თუ მას შვილი ეყოლებოდა მისგან.

— ეყოლება, რატომ არ ეყოლება, რა დაუშლის? ანუგეშებდა ის თავის თავს და წინდაწინ ითვალთვალებდა მართას მომავალ ქმარ-შვილიანობას და ოჯახის სავსებას.

დიდი სულიერ ბრძოლის შემდეგ მივიდა იგი ბოსელში

საქმისთვის შესულ თავის რძალთან, და გაუბედავათ, მიკიბ-მოკიბვით გაუმჟღავნა მას სტუმრის განზრახვა და დანაპი-რები.

რძალს ბრაზი მოერია, დედამთილმა რომ სტუმრისაგან თქმული უთხრა.

— „რას ქვია... ღმერთო კი მომკალი! ამდენი ხანი ჩემი ნამუსი წმიდათ დავიცავი, ქმარი ათი წელიწადია რაც არ მი-ნახავს, და ახლა ვიღაცა ვაჭარს ფულის გულისთვის... ოჰ, ღმერთო, შენ შემიწყალე მე ცოდვილი!.. პატივი ეცი მოდი ვინმეს! ვინ ვგონივარ მე მაგ უსინიდისოს? ოჰ, ყოვლათ შემ-ძლებელო ღვთაებავ, მანამდი დედამიწა გამიხეთქე და შიგ ჩა-მაგდე, სანამდი მე ნამუსს დავიმხობდე!..“

შრომის შვილის პატიოსნებამ და ზნეობამ ძლიეს სიმდა-ბლეს და ცბიერობას...

გაბრაზებული რძალი ძლივს დააშოშმანა გაფოცებულ დედამთილმა...

ყველანი თავ-თავიანთ ადგილას დაწვნენ: რძალ-დედამთი-ლი ჩვენებურ კერიან სახლის ერთათ-ერთ დიდ ოთახში, კედ-ლის სიგრძისათ ჩაყოლებულ ტახტზე, ხოლო სტუმარი კი — ოთახზე მოდგმულ ბოსელში, სკამ-ლოგინზე.

## III

მართა, ივანეს ცოლი, ეკუთვნოდა სოფლის იმ გვარ ქა-ლებს, რომლებსაც ნამუსი ღვთაების თითქო მეოთხე განუყო-ფელ პირათ მიაჩნიათ, და წამთ, რომ გარეშე ნამუსისა არ არის არც ღვთაება, და რომ სიცოცხლის გვირგვინათ კარგ ადამიანისათვის ღმერთს ნამუსი მოუნიჭებია. ყოველი სიტყვა, გინდ ქარაგმულიც, თუ ნამუსის შეურაცხმყოფელია, მათ ეზიზ-ღებათ, და ასეთი სიტყვების მთქმელს შორს გაურბიან.

მართამ დიდ ხანს ვერ დაიძინა, იმდენათ იყო გაოცებუ-

ლი, გულმოსული და ბრაზ-მორეული დედამთილის ნათქვამისაგან.

როგორც ნამეტანი სიხარულით აღტაცება, ისე ნამეტანი წყენა ადამიანს უნებლიეთ ოცნების მორევში შეაცურებს. მართასაც ასე დაემართა. ჯერ მას მოელანდა სურათი ცუღლუტობით და ყოველგვარი ვერაგობით გამდიდრებული ვაჭრის, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ქრისტიანის გული წაუწყმედია, რამდენი შეძლებული ადამიანი მისი წყალობით ღვთის ანაბარათ დარჩენილა დედა-მიწაზე, რამდენი კაცი გაუბამს უსინიდისობის მახეში, და თავის მაგიერ ისინი მიუცია დამღუპველ პასუხის-გებაში... და აი, ამისთანა უგვანი ქმნილება დღეს მივიდა მასთან და სისხლში დასვრილ ხელებით ფული შეაძლია და მოიწადინა მისი მიწასთან გასწორება!!.

შემდეგ მართას გონებას დაეხატა სურათი ღვთისნიერის, კეთილის, პატიოსანის, მხნე, მოყვარულის და შრომის მოყვარე კაცის, რომელიც სიღარიბემ სიყრმიდანვე აიძულა მოშორებოდა მამეულ არე-მარეს, მოხუცებულ დედას, საყვარელ ცოლს და წასულიყო შორეულ ქალაქში, სადაც მუდამ დღე ოფლს ღვრის ორიოდე გროშის საშოვნელათ, თვითონ სანახევროთ მშიერი რჩება და სახლეულობას კი საზრდოს აწვდის...

ეს სურათი მისი ქმრის ივანესი იყო. გწყალობდეს ყოვლათ სასო ღვთისმშობელი, და გენაცვალოს შენი მართა, ჩემო ივანე! ეს თქვა, და ამოიხვნეშა სევდით შეპყრობილმა ყმაწვილმა ქალმა.

კვლავ მოელანდა მართას იმ საზიზღარი ვაჭრის სახე და ხელმეორეთ შეძრწუნდა იგი.

— ყოვლათ შემძლე ღვთაებავ! დაგელოცოს სამართალი, რომ ივანესთანა კაცებთან ერთათ ამრიგ ოხრებსაც ბადებ, წაილაპარაკა მან და დადუმდა.

იგი ფიქრობდა, თუ რანაირი ღონისძიება მოეპოვებინა მისი შეურაცხმყოფელი ვაჭრის დასასჯელათ. ამ ნაირ ფიქ-

რებში გართულს მას მოესმა რჩევა იდუმალი ხმის, რომელიც ჩაძახოდა:

— „მოკალი, მოკალი, მაგ უზნეო, სისხლის მწოველი ვაჭარი, მოკალი!“ „მოკალი მაცთუნებელი, მოკალი!“ გაწივოდა საბრალო ქალს ყურებში იგივე იდუმალი ხმა.

განუსაზღვრელი იყო მართას სიძულვილი იმ ვაჭრისადმი, მარა მოკვლა მაინც ულვთო ღონისძიებათ მიიჩნია, და იდუმალის ხმის რჩევის გაგონებისთანავე პირჯვარი გადიწერა, და „ღმერთო შენ შემინდევ მე ცოდვილის“ თქმით მეორე გვერდზე გადაბრუნდა ლოგინში.

მარა არც ამას შემდეგ დააყენა იდუმალმა ხმამ იგი, და კვლავ გასწიოდა მას ყურში შემზარავ სიტყვებს—„მოკალი მაცთუნებელი, მოკალიო!“

დიდ ხანს ებრძოდა მართა ამ რჩევას იდუმალ ხმისას, რომელიც ჩვენი ტვინის მუშაობის ნაყოფია, და ხშირათ, ჩვენდა უნებლიეთ, ჩვენი გულის სიღრმეში ჩასაფრული ჩვენს განზრახვებს უდასტურებს.

ასე იყო ამ შემთხვევაშიაც. მისი გონება დარწმუნებული იმ ვითომ-ვაჭრის ნამდვილ სისხლის მწოველ ვაჭრობაში, წარმოიდგინა მისი მრავალი უგვანი საქმეები, რაც მას უნდა ჩაედინა, როგორც ეტყობოდა ამ უკანასკნელ უზნეო განზრახვისგან, და მისი ტვინის მუშაობამ გადაწყვიტა იმისი სიკვდილი, და გადაწყვეტილებას აცხადებდა სიტყვებით—„მოკალი მაცთუნებელი, მოკალი“-ო!

დიდი ხნის ცხარე ბრძოლის შემდეგ იდუმალმა ხმამ ძლია ყმაწვილი ქალის გულს, დამნაშავის სიკვდილით დასჯის წინაამდეგს.

მართა ქვეშსაგებიდან წამოდგა, გამოაღვიძა და წამოაყენა დედამთილიც. რძალმა დაუწყო დედამთილს ჩაგონება, თუ რა ღირსეულ საქმეს იზმენ ისინი, თუ მოკვლენ მისს შეურაცხმყოფელ ვიღაც ოხერ ვაჭარს, და მითი დაიცვენ თავიანთ ქალურ ნამუსს, რითაც დიდათ ასიამოვნებენ ივანეს.

ცოტაოდენ ზნეობრივი ფურთვნის შემდეგ ნება-სუსტი მოხუცი დაეთანხმა საშინელ განზრახვას რძლისას.

ბოსელიდან ისმოდა სტუმრის ხვრინვა.

რძალმა და დედამთილმა გადიცვეს კაბები, და ერთმა წალდით და მეორემ ქინძლით გასწიეს ტკბილათ მძინარე ვითომ ვაჭრისაკენ.

შეაღეს ოთახიდან ბოსლის კარი, მივიდენ მძინარესთან და უცებ შეჩერდენ გაშეშებულნი.

ახალგაზდაც და ბებერიც სულიერ ბრძოლას განიცდიდენ...

გაიარა რამდენიმე წუთმა.

დედამთილის ქინძლი ჯოჯოხეთურ სინათლეს ფენდა საქონელს და ივანეს სახეს.

მართას წალდი აიწია ჰაერში, და თვალის დახამხამებამდე დაეშვა მხვრინავ მსხვერპლის კისერზე...

მოჭრილი თავი დაგორდა ტახტზე და დაეცა მიწის სოხანეზე. უთავო კისრიდან სისხლის შადრევანი ასხამდა...

იმ ბედკრულს. არც კი ამოუოხრავს, ისე ამოხთა სული...

## IV

მეორე დღეს, სადილობის დროს, მოვიდა ივანეს დაპატიჟებული კაცი, და დაუწყო ძახილი „ივანე, კარში გამომხედეო!"

იმის ძახილზე გავიდა მართა, და უთხრა: „შე კაცო, რას ამბობ, ივანე აგერ ათი წელიწადია რაც თბილისშია".

— რას მეუბნები, შე ქალო, გუშინ საღამოს რომ კაცი მოვიდა, ივანე არ იყო იგი?

— ივანე კი არა, ვიღაც ვაჭარი იყო?..

— ვაჭარი რავა იყო, თვითონ გამომეცხაურა, გზაზე რომ შემხვდა ივანეთ, შენს ქმარათ და შენი დედამთილის შვილათ. თბილისიდან მოვდივარო... თქვენი ამბავი გამომკითხა, და,

როცა გამომემშვიდობა დღეისთვის სადილათ დამპატიჟა, ერთათ ვიმხიარულოთო...

მართა აცბა. მან გაიხსენა ივანეს სახე, მისი მიხვრა-მოხვრა, კილო, თვალი, შუბლი. ყველა ეს შეადარა იმ ვითომ ვაჭრისას, და... შემზარავი კივილი მოისმა მისი მკერდიდან... სულ შეხუთული მართა იმ კაცის წინ გაითხლართა...

რძლის კივილზე გამოვარდა დედამთილი. ის ფიქრობდა, რომ ღამით მადლიანი საქმე ქნა ვაჭრის მოკვლით, მარა გული მაინც უცნაურ ძალით უწუხთა, და ეხლა კი, რძალს რომ შეხედა ტირილით ივანეს მომთქმელს, ყველაფერს მიხვთა, და კივილით და ლოყების ხოკვით გვერდს ამოუჯდა თავის სულ შეხუთულ რძალს...

1881 წ.

## გადავედი მაშ!

№-ის გიმნაზიაში ეგზამენები ახლოვდებოდა. მოწაფეებს ციების ჟრუანტელი უვლიდა ტანში, მარა ყველაზე უფრო დაშინდა ჩვენი ამბის გმირი დათიკო, მეექვსე კლასის შაგირდი.

მართლაც, ცუდათ იყო მისი საქმე. ერთხელ ამ მასხარა მოწაფემ, როცა გაკვეთილი არ იცოდა, თავის კლასის დამრიგებელს, რომელიც იმავ დროს მათემატიკის მასწავლებელიც იყო. „შენი სულის ჭირიმე“-ს მაგიერ „შენი ცოლის ჭირიმე“ უთხრა, და მას აქეთ ეს დამრიგებელი-მასწავლებელი გადამტერებული ყავდა და ისეთაც სუსტათ მათემატიკის მცოდ-

ნე დათიკოს „ერთეულის“ მეტს არაფერს უწერდა თავის საგნიდან.

არც სხვა საგნები იცოდა მაინც და მაინც კარგათ დათიკომ, მარა ზოგის ეგზამენის დროს გადაწერის იმედი ქონდა, ზოგიდან მასწავლებლის გულ-კეთილობისა. მარა მათემათიკის მასწავლებელმა იმისთანა თვალის დევნება იცოდა, რომ მის ხელში ტყუილათ ნუ იფიქრებდა კაცი გადაწერას, და მოწყალება ხომ რა...

—

შემდეგს კლასში თუ ვერ გადვიდოდა, ისე ვერ მიბედავდა დათიკო სახლში. ამიტომაც გადაწყვიტა, რაც უნდა მომიხდეს, უნდა გადვიდეო. თავ-გადადებულათ გარდაწყვეტილების მიღება ნახევრათ საქმის გაკეთებას უდრის. მართლაც, რუსულიდან და ლათინურიდან, როგორც იყო, „გამოძვრა“: რუსულიდან თითონ დაწერა თხზულება და ლათინურიდან კი ზოგი გადაიწერა და ზოგიც თითონ გულ-კეთილ ლათინურის მასწავლებელს აკარნახებინა!

მესამე ეგზამენი მათემათიკიდან უნდა ყოფილიყო, რომელიც გადაწყვეტდა დათიკოს ბედს. საქმე ცუდათ იყო.

პარასკევს რომ ეგზამენი იყო, ოთხშაბათს დათიკო სასოწარკვეთილებას მიეცა. თუმცა კიდევ ფიქრობდა—რა „ხერხით“ დაეჭირა მათემათეკიდან ეგზამენი.

—

ხუთშაბათი დილაა. მიტროფან შვეიცარის პაწაწინა ოთახის კარი გაიღო და შიგ შევიდა ჩვენი დათიკო, რომელმაც მცბიერ-მეგობრობით მიაყვირა რუსს მიტროფანს (რომელიც ქართულსაც ამტვრევდა):

— აა, ჩემო მეგობარო, გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს! რა ამბავია?

— არაფერი, შენ სანახავათ მოვედი.

მასპინძელი და სტუმარი შეყვენ მუსაიფს. დათიკო ისე

მხიარულათ აჩვენებდა თავს, რომ მასპინძელმა ვერ მოითმინა, რომ არ ეკითხა ამის მიზეზი.

— ივ, როგორ თუ რათ ვარ მხიარულათ? შინიდან ფული მივიღე!

— ფული მიიღე? არ დამპატიჟებ მაგ ფულებით?

— ბატონი ხარ! სამსახურს რაკი მორჩე, ექვსს საათზე, საღამოს, ოჰანეზიანის სარდაფში მოდი, მე იქ ვიქნები. ერთათ გადავკრათ.

— მართლა?

— ღმერთმანი!

— მაშ ხელი! ერთმანეთს ხელი მისცეს და გაშორდენ.

დათიკოსაც ეს უნდოდა: მიტროფანს ებარა პედაგოგიური რჩევის ოთახის კლიტე და ყველა სტოლების გასაღებები.

—

დანიშნულ დროს მიტროფანი და დათიკო ოჰანეზიანის სარდაფში „საუზმეს“ და ღვინოს შეექცეოდენ, და ერთს დინჯს, დარბაისლურ საუბარში იყვენ. შუა-ქეიფის დროს დათიკო სახვეწნათ დაეჭყანა თავის მოქეიფეს.

— მიტროფან!

— რა გნებავს?

— ევ, რაღა რა მნებავს... თუ შენ არ მიშველე, წრეულს დავრჩები...

— ევე... აი, სად უკრავ! მარა, არა... მე დაფიცებული ვარ, რომ სიმართლით ვიმსახურო!

— არა, ღმერთმანი, ყელ-გადაგდებით დაუწყო ხვეწნა დათიკომ, შენ თუ მოინდომებ, ყველაფერი შეგიძლია! **თუ ძმა ხარ**, მიტროფან, შენ იცი და შენმა კაცობამ, მიშველე რამე და მერე მე მკითხე შენი პატივისცემა, საქეიფოთ დაპატიჟება... წითელი ქაღალდი მზათა მაქვს.

— არ შემიძლია, ჩემო პატარა ბატონო, მე სამსახურის კაცი ვარ, ფიცი მიმიღია! თავი გამოიდო რუსმა: იგრძნო,

რომ რამე მასაც შეძლებია და ახლა კი რაღაც სიყალბემდი მიდის საქმე.

დათიკომ შეატყო ეს, სიტყვა ბანზე ააგდო და ხმა მაღლა მოითხოვა ერთი ბოთლი მაგარი ვოდკა.

— ოო... შენი ჭირიმე, სიხარულით წამოიძახა მიტროფანმა, ეს კი მესმის. აბა ღვინო რაა? ფიე!

მოიტანეს ვოდკა, რაც დათიკომ სულ მიტროფანს მიანება. ამ უკანასკნელმა კი მარდათ გადაკრა ჭიქა ჭიქაზე და მოლბა კაცი: დაიწყო კრეჭა და სიმღერა...

„ნადირი მონადირეს თვით ჩამოურბენსო“—ნათქვამია. ახლაც ასე მოხდა. დათიკოც ამას ელოდა.

— ბატონო, რას მთხოვდი წეღან?

ნახევრათ ძლევა-მოსილმა დათიკომ ერთი მაგრათ ჩაახველა, თავის მოსაუბრეს ხელი მხარზე მოკიდა და ხმის კანკალით უთხრა:

— მათემათიკის ეგზამენის ტემა უნდა **მო-მა-პარ-ვი-ნო!**

— ეეხ, ეს რავა შეიძლება! ცოდვაა! ცოდვა იცი შენ?

— ცოდვა ჩემს კისერზე იყოს! შენ მხოლოთ, თუ კაცი ხარ, შემეწიე მიტროფან, შენი ჭირიმე!

— მე რა ნაირათ შემიძლია მოპარვა აბა, მითხარი!

— ამაღამ შუაღამეზე, როცა ყველას ეძინება, მოვალ შენთან, ერთათ შევიდეთ პედაგოგიურ რჩევის ოთახში, და იქ, რომელიმე მაგიდის უჯრაში იქნება თემა...

— ჰო... კარგი! ფული იქნება?

— მაშ, აი ეხლავე 5 მანეთი! დათიკო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

რუსმა გიმნაზიაში მოინდომა დაბრუნება, სადაც ღამის 12 საათზე დათიკოს და მას თემა უნდა მოეპარათ. გამომშვიდობების დროს დათიკომ ერთი ბოთლი არაყი გაატანა.

—

შუაღამეზე დათიკო მიტროფანთან გაჩნდა, რომელიც

ტკბილ ძილს მიცემოდა და მამაცურათ ხვრინავდა. გვერდს ცარიელი ბოთლი ედგა.

გიმნაზიაში ყველას ეძინა. არე-მარე დუმილით იყო მოცული. ოთახში შესვლისათანავე დათიკომ ჩუმათ გააღვიძა მიტროფანი და ჩაუჩურჩულა „საქმეს შევუდგეთო“. რუსმა თვალები გააჭყიტა, წამოდგა და... ავაი! მთვრალი იყო...

— რისთვის მოსულხარ? ბოხი ხმით კითხა, უიმისოთაც შემკრთალ ყმაწვილს.

— რავა თუ რისთვის? მიტროფან, გენაცვალე, გახსოვს სარდაფი? შენი ჭირიმე, მიტროფან, თემა თუ ძმა ხარ!.. ფული, ვოდკა, ქეიფი, არაყი, რაც გინდა!

სარდაფის ხსენებამ და ვოდკის და არაყის სახელმა რუსს ყველაფერი გაახსენა.

— აა, ვიცი, მესმის, წავიდეთ!

აანთეს სანთელი და გასწიეს. გააღეს პედაგოგიური რჩევის ოთახის კარი, შევიდენ და დაიწყეს მაგიდების უჯრებში „თემის“ ძებნა.

ერთი-ორი მაგიდის უჯრების გადათვალიერება რომ გაათავეს და „თემა“ ვერ ნახეს, დათიკო დაფიქრდა. შიშით ცახცახი დააწყებინა. „ახლა რომ დირექტორმა ან ინსპექტორმა შემოხედოს ამ გაჩაღებულ ოთახს და შემოვიდეს, ხომ დავიღუპე კაცი? ხომ იმ წამსვე გამომაგდეს გიმნაზიიდან... ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავ! ღმერთო, შენ გადამარჩინე!“

— მიტროფან, თავი დავანებოთ, წავიდეთ, დავრჩე თუ დავრჩები. შეშინებულის და ტირილის ხმით თქვა დათიკომ.

დაპირებულით წაქეზებული რუსი არ ეშვებოდა ძებნას.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ — დათიკოზე ასრულდა: როცა მიტროფანმა სეკრეტრის მაგიდის უჯრა გამოწია, რომელიც სავსე იყო სხვა-და-სხვა დოკუმენტებით, და შიგ სანახევროთ ჩაწოლილმა დაიწყო ძებნა, ამ დროს უწია

არაყმა და ვოდკამ და, უკაცრავათ მოხსენებაა, პირიდან ალებინა... ყველა ქალალდები დაისვარა... აქამდინაც შეშინებულმა დათიკომ ეს რომ დაინახა, თავ-ზარი დაეცა, სანთელი ხელიდან გაუვარდა, და „თავი დაანებე, მიტროფან, არ მინდა თემა"-ს ძახილით შინისკენ მოკურცხლა...

პარასკევი დილაა, რვა საათია. ორი საათის შემდეგ VI კლასის შაგირდებს ეგზამენი დაეწყებათ. დათიკოს შიშით მკვდრის ფერი ადევს და ვილაცას პუტუნით ემუქრება. უეცრათ მან თვალი მოკრა თავის კლასის შაგირდს ილიინს, რომელიც პირველი იყო სწავლით, მარა საძაგელი ხასიათი ქონდა და მთელ კლასს ძულდა. ვერც ალერსით და ვერც მუქარით და ცემით ვერ აიძულებდით, რომ თქვენთვის რამე აეხსნა, და გადაწერას ხომ, რალა თქმა უნდა... წელს იმას უნდოდა რომელიმე სოფელში წასულიყო, მარა მისი კაი ხასიათის წყალობით არც ერთს ამხანაგს არ უნდოდა წაეყვანა.

„წყალ წალებული ხავსს ეკიდებოდაო". დათიკოც ასე მოიქცა: მივიდა ილიინთან და ცბიერობით ალუთქვა სოფელში წაყვანა. ილიინი სიხარულმა გაიტაცა და... წარმოიდგინეთ! თითონ უთხრა დათიკოს ეგზამენის დროს ჩემს გვერდით დაჯექ, მე ჩუმათ გიკარნახებ და შენ წერეო.

მეათე საათზე VI კლასის შაგირდები და მასწავლებელნიც თავიანთ ადგილს სხედან. ეგზამენი დაწყებულია. ყველა შაგირდები დალონებულათ სხედან, გარდა ილიინისა და დათიკოსი. მათემათიკიდან შაგირდებს უნდა აეხსნათ გეომეტრიული ასახსნელი, რომელიც ერთობ ძნელი ყოფილიყო. ცოტა ფიქრს შემდეგ ილიინი მიხვდა ასახსნელს, დაიწყო წერა და დათიკოს ეჩურჩულებოდა, თუმცა მასწავლებელის მკაცრი თვალ-ყურის გამო, უძნელდებოდა კი. დათიკო ხალისიანათ იყო და წერდა, და თან ისეთ სახის გამომეტყველებას იჩენდა, რომ ვითომ რაო და ძნელი ასახსნელიაჰ და ახსნა მიჭირსო.

ეგზამენი გათავდა. დათიკო კარგ გუნებაზე იყო: ის შემ-

დეგს კლასში გადასვლას მოელოდა. მარა ჩაუშწარდა მოლოდინი: ილიინს დაეიწყებოდა შეცვლით დაეწერინებინა დათიკოსათვის და ერთობ მიმსგავსებით დარჩა დაწერილი მათს რვეულებში ასახსნელის ახსნა. ამას მიხვდა მასწავლებელი და 1 მოაწერა. ინსპექტორმა კი ვერ დაიჯერა: ილიინს მე ძალიან კარგათ ვიცნობ, ის არაფრისათვის არავის არ გადააწერინებდა თავის ახსნასაო, და ამის გამო მოაწერა 3.—მაგრამ ინსპექტორის მოწერას დიდი მნიშვნელობა არ ქონდა და დათიკო იმავ კლასში უნდა დარჩენილიყო, რადგანაც მასწავლებელ-დამრიგებელისაგან 1 მიიღო ეგზამენის დროს და მთელი წლის ბალლის რიცხვი შუათანა გამოანგარიშებით $2^1/_2$ გამოდიოდა.

შაგირდების რვეულებიდან მასწავლებელთაგან მოწერილი ბალლების გადაწერა საგანგებო სქემაზე გიმნაზიის კანცელარიის ერთს მწერალს მიანდვეს. ამ სქემას პედაგოგები განიხილვიდენ პედაგოგიურ რჩევის დროს და იმის მიხედვით გარდაწყვეტდენ—ვინ უნდა გადასულიყო და ვინ დარჩენილიყო.

კლასსის დამრიგებელ-მასწავლებელმა ამ რჩევას ალარ მოუცადა: ნება აიღო მთავრობისაგან და შინ (რუსეთში) წავიდა.

ეს სულ ყველაფერი გაიგო დათიკომ, გაძვრა-გამოძვრა, იშოვნა ერთი „წითელი ქალალდი“ და გამოეცხადა იმ მწერალს... ხანგრძლივ პოლიტიკურ საუბრისა და ფარისევლობის შემდეგ, იმან დაითანხმა მწერალი და ამიტომაც... პედაგოგიური რჩევის დროს საქმის მწარმოებელმა ხმა-მაღლა წაიკითხა: „დავით მეხარიძეს მასწავლებელმა მოუწერა 4 და ინსპექტორმა 3; შუათანა რიცხვი $3^1/_2$“.

ამ ნაირათ დათიკო გადავიდა, ანუ როგორც თითონ ამბობდა „გადაძვრა“ მეშვიდე კლასში.

გამოვა თუ არა რამე ხეირი ამნაირ გადასვლით, ეს თი-

თონ მკითხველმა გამოიცნოს; მე აწ მხოლოთ ამ ამბვის დაბოლოებას მოგახსენებ.

სექტემბერში, ერთხელ, როცა დათიკო ღიღინით შედიოდა მე-VII კლასში, წინ, დერეფანში, შეხვდა შარშანდელი მისი დამრიგებელი-მასწავლებელი, რომელიც წრეულს მე-II კლასში იყო იმავ ადგილზე.

— დავით მეხარიძევ, განა თქვენ გადახვედით?! გაოცებით კითხა მასწავლებელმა, რომელსაც, მგონი, ახლაც ახსენდებოდა გულ-მომწყლავი სიტყვები: „შენი ცოლის ქირიმე ერთეულს ნუ დამწერო“.

დათიკომ გვერდი უქცია, ღიღინითვე შევიდა კლასში და მხოლოთ იქიდან ამაყათ გამოძახა:

— გადავედი მაშ!!

# 1882 წ.

## ბედნიერი დაცილება.

### I.

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილი ისე გამონახე.

მდიდრულათ მორთულ საწოლ ოთახის სავარძელში, გაღებულ ფანჯარასთან გადაწოლილიყო მამზელ მინადორა, და გულ-დასმით კითხულობდა ჩინებულათ დაკაზმულ წიგნს. შავი თვალ-წარბი და სწორი, თითქო საგანგებოთ გამოქანდაკებუ-

ლი, ცხვირი ეშხს უმატებდენ იმის მარჯნის ფერს ტუჩს, მი-ჯრით წყობილ კბილებს და ელფერით სავსე შავგვრემან ლა-წვებს, რომელთაც ხშირათ ეხებოდენ ზილფი „ყორნის ბო-ლოები“. მამა მისი რუსია და ამის გამო, თითქმის ყველა გა-კვირვებული იყო მინადორას ამნაირის სილამაზისაგან: სად რუსი, სად შავგვრემანი შვენიერებაო, ამბობდენ ისინი. მაგრამ ზოგიერთები თავიანთის ავ-ენაობით ჩურჩულობდენ, რომ მი-ნადორა ერთი ჩვენებური დონ-ჟუანის ნალვაწი არისო და ამის დასამტკიცებლათ ასახელებდენ მართლაც რომ გასაკვი-ფრებელს მსგავსებას მინადორასა და იმის სახეებისას. ამ სა-ბუთს ისინი კიდევ იმითი ამტკიცებდენ, რომ ჩვენის მამზე-ლის დედას—აცუნდრუკებულ ქართველ ქალს,—და იმ ვაჟ-ბატონს ერთს დროს ძალიან დაახლოვებული მეგობრობა ქონ-დათ...

მაგრამ რაც იყო, დანამდვილებით არავინ იცის, ხოლო მინადორა ღია ფანჯარასთან წიგნს გულ-დასმით კითხულობ-და. წამითი-წამათ იმის სახეს ეწვეოდა კეკლუცი ღიმილი, ლა-წვებზე გადაკრავდა ატაცებულ მორცხვობის წითელი ფერი და ხანდახან კურცხალიც ჩამოუვარდებოდა ხოლმე თვალები-დან. ამ დროს ის იღებდა კარანდაშს და შინჯავდა მოსაწონს ადგილებს, რაც ერთობ ხშირი იყო იმ წიგნში—„როკამბო-ლის თავ-გადასავალში“. ნახევარ საათის შემდეგ ის ზანტათ წამოდგა სავარძელიდან, გაისწორა ცოტათი მოხრილს ბეჭებ-ზე წამოსხმული პლედი, ხელები გულზე დაიკრიფა და თავ-ჩაღუნულმა, მძიმეთ დაფიქრებულმა დაიწყო წინ-და-უკან სია-რული სპარსულ ნოხებით მოფენილ იატაკზე. მთელი გუნდი ფიქრებისა ძლიერ ნაკადულსავით მოაწვა მისს ნორჩ თავს, გაიტაცა გონებით და მიცა გაუსაზღვრელს ოცნებას... „აგერ სამი წელიწადია, რაც ინსტიტუტი გავათავე და საზოგადოე-ბაში გამოველ, ამბობდა იგი **თავის გულში**,—და ცხოვრე-ბისადმი გაუსაზღვრელ გულ-გრილობის მეტს ვერაფერს ვხე-დავ. სადაა ის ნეტარი, ატაცებული ცხოვრება, განცხრომითა

და ფუფუნებით დროის გატარება და დალოცვილი სიყვარული, რომელთ შეხვედრას სულითა და გულით ველოდები? მარტო დალოცვილ საფრანგეთსა და ესპანაში ყოფილა ამისთანა ღირსეული ცხოვრება, როგორც ვხედავ რომანებიდან... შემძაგდა ღმერთმანი სიცოცხლე, ერთ კაცს იმისთანას ვერ ვხედავ, რომელსაც გრძნობა გავუზიარო... უსიყვარულოთ უნდა მოკვდეს ადამიანი მაგათ ხელში... უგემურათ სმა-ჭამა, უმიჯნუროთ დაბერება და მერე... შავი საფლავი! ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ!..“

აქ მინადორას აჩუყებულმა გულმა ველარ მოითმინა და ქვითინს მოყვა. გრძნობიერი ტირილით დაღალულმა მალე აშფოთებულს რულს მისცა თავი.

უეცრათ, სადღაც თოფი გავარდა და გზა-დაბნეული საფანტები ზუზუნით შეცვინდენ მინადორას ოთახში. ყმაწვილი ქალი გარეტიანებული წამოხტა, ერთი შეკივლა და გულ-შეწუხებული იატაკზე დაეცა.

შეშინებული დედა მეყვსეულათ შემოვარდა ქალიშვილთან და მოახლეთა შემწეობით, როგორც იქნა, გული მოუბრუნა მას.

## II

— ევრიკა! თუ არ გინდოდეს ქირიო, ყურში იკარი ჩხირიო, ეს არის, ა!.. ღმერთო, თუ რამე უბედურება მოხდა! ბიჭო, წადი შეიტყე, ხომ არავინ მომიკლავს პოლკოვნიკის ლახვიცის სახლში?

ამას ამბობდა კაპიტანი თავადი ს—შვილი, რომელიც თავის კაბინეტის ფანჯრიდან ჩიტებს თოფს ესროდა, მარა დააცილა და ლახვიცის ქალის, მინადორას ოთახის ფანჯარას მოარტყა. სულ ორი დღე არ იყო მას აქეთ, რაც იგი სხვა ქალაქიდან გადმოვიდა და ეხლავე ამისთანა ხიფათს გადაეკიდა.

ბიჭის მოტანილი ამბვით მისი გული ცოტათი დაშოშმანდა.

პირველ შემთხვევისათანავე მან უამბო თავის ამხანაგებს, თუ როგორ დააცილა ჩიტებს თოფი, სად მოხვდა დაცილებული საფანტი და თხოვა რჩევა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ამხანაგებმა ბოდიშის მოხდა ურჩიეს. კაპიტანი დათანხმდა, და შეუდგა იმისთანა კაცის ძებნას, რომელიც დაახლოვებული უნდა ყოფილიყო პოლკოვნიკის ოჯახთან და მას მიძღოლოდა.

## III

ქალაქის ერთ მიყრუებულ ქუჩაში, სოფიო მკითხავის სახლის კარებთან, სალამოს 7 საათზე გაჩერდა ფაეტონი და გადმოხტა ვილაც, შავებში გახვეული, ქალი და მოუთმენელი სისწრაფით დაუბრახუნა კარები....

ერთ წამს შემდეგ ის იყო მკითხავის დარბაზში. მასპინძლის თხოვნით ტახტზე დაჯდომის შემდეგ, შავოსანმა გადიგდო რიდე პირიდან და გამოჩნდა... ჩვენი ნაცნობი მინადორა!

— რას იტყვი, ჩემო შვილო, ტკბილი და კუდურის კილოთი კითხა მარჩიელმა სტუმარს. მინადორას სწრაფათ გადაკრა ლაწვებზე მორცხვობის ალის-ფერმა, ტუჩები აუთრთოლდა, აკანკალებული ხმით და გულის ძგერით უამბო სიზმარი და თხოვა მისი ახსნა. მარჩიელმა მოკიდა მაჯაზე ხელი, ჩააცქერდა პირის-სახეში და მოყვა:

— „აქამდის ბედისათვის გიცდია, ჩემო შვილო, და აი, ეხლა თავათ ბედი მოგდგომია კარზე. ვილაც ერთი ღირსეული კაცი სტუმრებია ჩვენ ქალაქს და პირველ ნახვისათანავე გულს ცემია შენი სიყვარულის ალი... იმას უნდა შენი გაცნობა და, როცა თავის სურვილს აისრულებს, თავს ბედნიერათ ჩათვლის... ჯვარის წერა იქნება თქვენი გაცნობის ბო-

ლო. ღმერთმა დაგლოცოს შვილო, ბედნიერი სიცოცხლე მოგელის“...

მინადორა სიხარულით წამოხტა, ხუთ მანეთიანი „გასამრჯელოთ“ მისცა მკითხავს, ერთ წამზე ფაეტონში გაჩნდა და გასწია თავის ამხანაგთან, რომელთანაც დედ-მამის ნებართვით მთელი დღით იყო გაშვებული. აბა, რით არ ვგავარ ევგენია დე-მონტიხოს? თავის თავს სიამოვნებით კითხავდა ფაეტონში მჯდომარე მინადორა.

## IV

კვირა დღეა. ლახვიცის სახლების წინა-კარებთან დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე შეუწყვეტელი მიმოსვლაა ფაეტონებით სადარბაზოთ მოსიარულე პირთა. შიგნით დარბაზში სტუმრები ორათ არიან დაყოფილი: ერთი წილი, უმრავლესობა, მასპინძელ ცოლ ქმარს უსხედან შორი-ახლო და გარშემო და პოლიტიკურ ახალი ამბებით და ადგილობრივი ჭორებით ირთობენ თავს, და მეორე წილი — ახალგაზდობა, გარს არტყია აივანზე მჯდომარე მინადორას. აქ კი საუბრის საგანია რომანების შინაარსი, სიყვარული და ვენერა, მინერვითა და დიანითურთ. მაშინ, როდესაც პირველი წრე ალჟირიაში ხრუმირების შესევაზე ბაასიდან გადვიდა იმერეთის თავად-აზნაურთ წინამძღოლისაგან პეტერბურგში „დასაკოსებელის“ თხოვნის განსჯაზე, — დარბაზში შემოვიდა ექსელბანდებით დახლართული და ორდენებით გულ-ჩარიჩხინებული ს — შვილი. მას თან ახლდა ამ ოჯახის დაახლოვებული აფიცერი, რომელმაც გააცნო იგი მასპინძლებსა და ზოგიერთს სტუმრებს. რა იხელთა დრო, ს — შვილმა განზე გაიყვანა მასპინძელი და ბოდიში მოიხადა დაცილებისათვის.

არაფერია, თავადო, ნუ სწუხართო! მიუგო მასპინძელმა და სიტყვა ბანზე აუგდო. ამ დროს შემოვიდა მინადორაც და გააცვნეს თავადს ს — შვილს. კარგათ დამკვირვებელი ფსიხო-

ლოგი შეატყობდა მინადორას, რომ პირის-სახე აუთამაშდა და თვალებმა გამოსცეს იშვიათი ანდამატის ძალი... ეს უნდა იყოს სწორეთ... რა ლამაზია? გულში ამბობდა იგი.

— არა უჭირს რა, რამდენიც სილამაზე აქვს იმდენი სიმდიდრე თუ მოეპოვებაო, ზრახვიდა ჩვენი კაპიტანი. ს—შვილმა აკანკალებული ხმით მოიხადა M-lle მინადორას წინაშე ბოდიში და, რასაკვირველია, პატივება მიიღო.

უეცრათ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდენ... „ახლა კი მესმის, რათ აცილდა ჩემი თოფი ნიშანს და მოხვდა თქვენს ოთახს—ეუბნებოდა კაპიტანი მინადორას, ანდამატებრივი ძალი თქვენის სიტურფისა, თოფისას კი არა, ზარბაზნის ტყვიასაც გზას აალდენს...“

— მერსი, კომპლიმენტისათვის!

- ბატონო, სიმართლის თქმა განა კომპლიმენტია?

ეს ნამეტანია, ბატონო! და ასე, ამ რიგ მასლაათით თითქმის საათი დაყო ს—შვილმა ლახვიცისას. გამომშვიდობების დროს მასპინძლებმა თხოვეს მას, საღამ-საღამოობითაც შემობძანდებოდეთო. ჩვენს ს—შვილსაც ეს უნდოდა...

## V

ამას შემდეგ თ-დი ს—შვილი ხშირი სტუმარი იყო ლახვიციანთსა, რომელთაც შეძლების და ყოფა-ცხოვრების ამბავი დაწვრილებით შეიტყო. არც თითონ მისი ვინაობა და ამბავი დარჩენიათ შეუტყობელი პოლკოვნიკს ლახვიცს და მის მეუღლეს... მინადორა და ს—ი მალე დაუახლოვდენ ერთმანეთს... ორნივე ერთისა და იმავ ჭკუისა და ხასიათის აღმოჩნდენ... სავაჟო გიმნაზიის მეექვსე კლასის სიბრძნისაგან გაქცეული და იუნკრის სკოლაში „სწავლა დასრულებული“ ს—შვილი და ინსტიტუტ გათავებული მინადორა ახლა დანიშნული გახლავთ და თითქმის მუდამ ერთათ არიან. ბალებზე, არიფანებზე, ტანცაობასა და, წარმოიდგინეთ, ფრონტზედაც

ლაპარაკს კი მათ შორის ბოლო არა აქვს. სხვათა შორის ისინი მალ-მალ იხსენიებენ და ლოცვენ იმ ბედნიერს დაცილებას, რომლის გამოისობით ისინი დღეს ერთმანეთს ეკუთვნიან. მინადორა ახლა მხოლოთ იმას თხოვს ღმერთს, რომ მისმა ქმარმა მეტი აღარ დააცილოს არაფერს...

## უნებურათ გაგონილი.

ციხის-ძირის ფერდზე, ჩაქვში, შავი ზღვის პირათ, იდგა ლამაზათ ნაგები დიდი ხის სახლი, წინამოსკენ შუშაბანდიანი. სახლში იდგენ თბილისიდან ჩამოსულნი მოაგარაკენი, თავადნი ლონერაშვილები. ოჯახს შეადგენენ: სამოცდა ხუთი წლის მამა, ორი მოწიფული ვაჟი მათი ცოლებითურთ და ერთი გოგო. საოცარი ტკბილი რძლობა ქონდათ ნადია და სონა ლონერაშვილებს. კარგი ადამიანებიც იყვენ: ნაკითხი, ნაზნი, თვალ-ტანადნი და ენა-წყლიანათ მოუბარნი. თავიანთი იერით ისინი ხიბლავდენ ნაცნობებსა და მნახველებს. მე, როგორც კარგი ნაცნობი, ხშირათ დავდიოდი მათთან, მარა უნდა გამოგიტყდეთ, ქალბატონების გასართობათ იმდენათ არა, რამდენათაც მათი გოგოს გამო. ოჰ, რა გოგონა ყავდათ! რა ცეცხლი ღვიოდა მის გულში, რა გიშრის ზღვა კიანთობდა მის თვალებში! არავისთან არ გამიტარებია იმისთანა ბედნიერი წუთები, როგორც მასთან, თუმცა ერთხელ კინაღამ წამმწარდა ყველაფერი.

აი, რა რიგათ მოხდა ეს ამბავი:

ერთხელ ჩემმა ნესტან-დარეჯანმა პაემანი გამომიგზავნა: ამაღამ ჩემი ქალბატონები ქმრებიანათ თეატრში მიდიანო, დი-

დი ბატონი თორმეტის ნახევარზე დაიძინებს და შენც ამ დროს მოდიო; შემოდი დერეფანში და სადაც ტახტი დგას, იქ შირმას დავდგამ კუთხეში და იმას ამოეფარეო.

მე ზედ-გამოჭრილ სინამდვილით ავასრულე ყველაფერი, მარა ჩემი ნესტანი არსით ჩნდა. ლოდინი რომ მომწყინდა, საათს დავხედე: იყო თორმეტი საათი... ამ დროს უეცრათ კიბიდან ფეხის ხმა შემომესმა...

ამზურძგა. კარებს ღება დაუწყო ვიღამაც... არც ვაცივე, არც ვაცხელე, დავღუნე თავი და შევძვერი ტახტ ქვეშ. ფი, რამ-სისქე მტვერი იყო! კინაღამ გამოვიცვალე ჩემი ნესტან-დარეჯნის ფაქიზობაზე აზრი, მარა ამის არ მცხელოდა მაშინ...

— გოგო, ვარდუა! წადი ვაჟბატონთან, და თუ არ ძინავს, მოახსენე, რომ ვარლამი და ნიკო მატარებლით გორში წავიდენ-თქო და ქალბატონები წინა აივანზე მიირთმევენ ვახშამს-თქო!

ბევრი ეცადა ვარდუა, რომელიც ქალბატონებთან ერთათ მოვიდა თეატრიდან, რომ ვახშამი ან ზალაში, ან უკანა აივანზე მიერთმიათ, მარა, ჩემდა სამწუხაროთ, ვერაფერი გააწყო. ოციოდე წამს შემდეგ რძლები მადიანათ შეუდგენ პირის პატივს. ერთიც ვნახოთ, ტახტ ქვეშ შემოვარდა უზარმაზარი კატა! აი დალახვროს ღმერთმა: იმისთანა გაავთრებული არც ლომი მინახავს, არც ნაჯინქვლი დათვი. „ნცხა, ნცხა“ იძახდა, სულ დამდორბლა ერთიანათ...

— ვარდუა, ვარდუა, ერთი გალალე ეს კატაი!

ვარდუას წამიც არ დაუკარგავს, წელს ზევით შემოძვრა ჩემთან, კატა მარჯვენა ხელით გააჩერა, მე მომხვია კისერში მარცხენა ხელი და სულ „ნცხა“, „ნცხა“ ისმოდა, ხუთჯერ ისე ტკბილათ მაკოცა. მე, იმ ყოფაში, კოცნაზე უფრო ის გამიკვირდა, რომ ისეთი მოხერხებით შეაწყო „ნცხას“ ძახილთან კოცნის ხმა, რომ სად მოვიდოდა მათთან რუსთველის რითმები! „არ გაინძრე, თვარა, ორნივ დავიღუპებითო“, მი-

თხრა. ვითმენდი, რაც გაეწყობოდა, თუმცა ერთი დახველება წლის სიცოცხლეს მერჩია. ვარდუა უცებ გამოძვრა და მეორე თავ საქმლის მოსატანათ წავიდა საჩქაროთ.

— იცი რა გითხრა? მიმართა ნადიამ რძალს, დღეს თვალი არ მოგიკრავს შენა ლოჟაში შალვა ფხიაშვილისათვის? ოჰ, რა ლამაზი იყო ჩემს გათხოვებამდი, ამ ხუთიოდე წლის წინათ! სონაჯან! გინდ გამცე, მაინც უნდა გიამბო ერთი რამ:

— „როდესაც ჩემი ვარლამი და ის ყმაწვილი ერთათ დადიოდენ ჩვენთანა, მე ორნივ თანასწორათ მიყვარდა. ჩემი ვარლამი, იმ დროს საქმროთ მისაჩნევი, სადღაც წავიდა ერთი თვითა. მაშინ შალვას მოწონებამ გადაწონა ჩემს გულში. ერთხელ, სწორეთ აი, ამ ოთახში, ვწევარ. იყო ზაფხულის სურნელებით ფშვინვარე ღამე; საწოლ ოთახისა და აივნის ფანჯრები ღია დავტოვე. თუმცა ზღვის პირია, მაგრამ მაინც ცხელოდა და ზეწრის ამარა დავწექი, ერთიც ვნახოთ, ძილშია, რაღაც მძიმე გულ-აღმა გაშხლართულს მთელ სხეულზე დამეცა. შიშის უმალვე ნერვები დამიტკბა. სულ საამო ჟრუანტელმა დამიარა ტანსა... გონს რომ მოველ, ვიფიქრე: შალვა ფხიაშვილი იქნება მეთქი!.. კვლავ ისე დამკარგოდა გონება, რომა დილამდი არ გამორკვეულვარ... დილას გამოვიღვიძე და რას ნახავს ჩემი თვალები: აი, ის დასაწვავი კედლის ნოხი ჩამოვარდნილიყო და გულს დამცემოდა... მთელი ის დღე სულ ვიტირე...

— ვაი შენ ქიასა! მიაძახა სონამ. სამაგიეროთ ერთს რასმე მეც გიამბობ და გაქვითებული ვიქნებით, აი.

— პირველათ ჯვარის დაწერისას ისე ვუყვარდი ჩემ ქმარსა, რომა მეტი არ შეიძლებოდა. სულ ნეტარების მორევშია ვცურავდით ორნივე. ერთიც ვნახოთ ქა-ჯან, მამასაგან მზითევი მიიღო, ჩემი ქმარი ვეცხლის წყალივით დამძვრა ხელიდანა... ზაფრამა გული მომიკლა, სევდამა დამჩაგრა, ცრემლებმა ღაწვები დამიღარა. ბოლოს-ღა გავიგე, რომა ჩემი ვაჟ-

ბატონი აბანოებში დაჩვეულა კეკელ-კეკელა ქალების გაცნობასა. უნუგეშოთა ვტიროდი მთელი ის დღენი. ბოლოს დედა ჩემმა ერთი ოინბაზობა მასწავლა:

— სონაჯან, ისეთი აბანოის იჯარადარი მოისყიდე, რომელიც ვერ გიცნობდეს და მოახერხე შენს ქმართანა შენ მიგიყვანოსო, სხვა ქალის მაგიერადაო. ჰო და ასე. შენ კი ისე მოახერხე, პირისახე არ უჩვენო, მოითხოვე ბნელოში მიგიღონო... დანარჩენი ჩემით მივხვდი.

დავუჯერე დედასა. ავლაბარში ჩემი კარგი ნაცნობისას დავიბარეთ ერთი აბანოის იჯარადარი. ვუთხარი, სოფლიდანა საქეიფოთ ვარ ჩამოსული და ერთი ნიკო ლონერაშვილი გამაცან თქვენს აბანოში თქო, მაგრამა ნიშანი უნდა მომიტანო, ბეჭედი ან ხელ-მანდილი, თორემ რა ვიცი ქა, განა მარტო ლონერაშვილია ეგეთი?

ფულიც ვაძლიე, მაგრამ არ წაიღო.

— რას ბრძანებთ, თქვენისთანა შვენებას მაგ საქმეზე ფულს გამოვართმეთო! ეს კნიაზების გადასახადიაო.

პირობაი დავსდევით: მესამე დღეს უნდა მოსულიყვნენ და მე ფაიტონით წავყოლოდი, რიდე აფარებული. გასახადი ოთახი ბნელი უნდა დამხვედროდა.

მიველ. დანიშნული კარი გაიღო და გულის ფანცქალითა შაველი. შესვლისათანავე ქმარი სუროსავით ჩამეწმახნა... ქალოჯან, აბანო თუ სიყვარულს სხვებისათვისაც ისეთს გემოსა აძლევს, რატომ ქვეყანა აბანოებს არ ასკდება, ჰაა?? ერთი თვის განმავლობაში ორჯერ შევიყარენით იქა. ამ დროებში სახლში კი სულ ხელი ამაღო ნიკომა. თვის მიწურულში განგებ ტირილი დავიწყე და ვუთხარი, ნიკოჯან, მგონია, თვალი მიდგება, მღალატობ მეთქი? ისიც უცებ გამოტყდა. სწორეთ ერთ ვისმე ვეტრფიო, რამდენათაც შენ პატივსა გცემ, იმდენათ იგი მომწონსო. სონაჯან, რომ იცოდე რა არის, რა არის, ფა, ფა, ფაო!

„ვუთხარი: მაჩვენე და თუ ჩემისთანა მაინც არის, ნებით

დავუთმობ შენს თავსა მეთქი. ისა გაწითლდა და ისე გავიდა მეორე ოთახში, ხმა არ ამოუღია. მეორეთ შეყრისას აბანოში ვუთხარი:

— აწ ჩემს სახლში იარეთ, აქ ნუ მომიყვანთ მეთქი. ჩემი ქმარი ერთი კინტო ვინმეა, ახლა აღესაში არის და ერთ თვემდის იქა დარჩება მეთქი. ისიც სიამოვნებით დამეთანხმა: ერთი რომ აბანო ძვირათ უჯდებოდა, და მეორე -მარტო ჩემთან ქონდა ხუთასი მანეთის ფეშკეში, თუ ფულები მორთმეული. მოვითხოვე მხოლოთ, რომ ჩემს ავლაბრულ ნაცნობთან მოსულიყო, სადაც სახე პირბადითა და ხელები აბრეშუმის ხელმანდილითა უნდა შამეკრა და ისე წამეყვანა ჩემსასა. სახლში ისე შავიყვანე, რომ არაფერი ეჭვი აუღია.

დილას გოგოსა დავუძახე და ფანჯრების დარაბები რომ დავაღებინე, შამომხედა... მხედავს თავის ცოლს, ხედავს თავის სახლს!.. რა გითხრა ქალო, მე ვერ ავსწერ ვერც იმის გაოცებასა და ვერც იმის დარცხვინებასა! ლოყებზე სირცხვილის ალმური ასდიოდა, თვალებზე ცრემლები მოადგა...

მას აქეთ ისე ბედნიერნი ვართ, როგორც მე მინდა და მასაცა'...

ძლივს, როგორც იქნა, გაათავეს რძლებმა თავიანთი მოგონებანი და შევიდენ დარბაზში.

მოვითქვი სული.

ტახტის ქვეშიდან კი მანამ ვერ გამოვედი, სანამ ვარდუა არ მოვიდა და არ გადამარჩინა მოულოდნელ ტყვეობას...

# 1899 წ.

## ქუთათური დიალოგი.

ხუმრობა),

**გიგო.**

— რა გახარო, კოწია: ძლივს მოესწრო ქუთაისი ქართულ გაზეთს! აი, დღეს გადაწყვიტეს შავი-ქვის მწარმოებლებმა — გაზეთი გამოსცენ! ამაზე უკეთესი რაღა იქნება... ფული რაკი საძებრათ აღარ გვექნება... ჰმ! ქუთაისისთანა კაი გარემოება და ნიადაგი ქართული გაზეთისთვის საქართველოში სხვაგან სად არის?!

**კოწია.**

— ეჰ, როდის მომხდარა ნაზარეთში სიკეთე, რომ ახლა მოხდეს! არა მრწამს გლახაკის სიბრძნე და ქუთათური საზოგადო საქმე, ნამეტურ გაზეთი...

**გიგო** (აღელვებით).

— რატომ, რატომ, აბა დაასაბუთე!..

**კოწია.**

— რატომ და... ერთი იმიტომ, რომ ყოველი ქუთათური — ასე ასიოდე კაცს გარდა, — თავის-თავათ ცოცხალი გაზეთია; მაშასადამე, სტამბაში დასაბეჭდავ გაზეთს იმდენი მეტოქე ეყოლება, რამდენიც ქუთათურია. მეორე იმიტომ, რომ თანამშრომელს ვერ ვიშოვნით...

გიგო.

— რას ამბობ, ხუმრობ თუ სულელათ მთვლი? ნიჭს დაუწუნებ თუ კალამს გიორგი რიჟინაძეს!

კოწია.

— ნიჭიერიც არის და კალამ-ფხიანიც!..

გიგო.

— კოლა ცხვირაძე?

კოწია.

— საუცხოვო სტილისტია. რეცენზენტათ ზედაური იქნება!

გიგო.

— სისო სუმბულაძე?

კოწია.

— კიდევ უკეთესი! ჩინებული მეფელტონე იქნება!

გიგო.

— საშა ნალიძე?

კოწია.

— საუცხოვო მეთაურისტი იქნება!

გიგო.

— აბა რაღა გინდა, კაცო? ყველა ესენი ქუთაისის ბინა-

დარნი არიან, დიდი სიამოვნებით იკისრებენ თანამშრომლობას.

### კოწია.

— ვაიმე, ვაიმე, ჩემო კოწია, რა სუსტათ შეგისწავლია ქუთათურების ფსიხოლოგია!.. არც ერთი მათგანი, ვინც შენ დამისახელე, თანამშრომლობას არ დაჯერდება... თითოეული მათგანი უფროს რედაქტორობას მოინდომებს, უფროს რედაქტორობას!! აბა, ეს არის საქმე, და აქ, თუ ღმერთმა ქნა და არ წაიტეხა მაგ განზრახულმა გაზეთმა კისერი, რასაც მე შიშით მოველი,—მაშინ ეჭვი არ არის, რომ ქუთათური გაზეთი იქნება ყველა ქართულ გამოცემაზე უფრო შინაარსიანი, ცოცხალი, რიხიანი და ფხიანი...

### გიგო.

— ??!!

## პალიკო ამანჩახოძე.

ახალგაზდა კაცი, გახუნებულ და სიმტკიცე შებღალულ ჩოხაში გამოწყობილი, ტარ-მუქში შელანძღულ ხმალ-სატევრით აღჭურვილი და პატარა ჯოხზე ამხედრებული, სოფლის შარას ადგა. დინჯი იყო პირუტყვის ტარება და ამაყი მხედრის შეხედულება: ისე მედიდურათ ეჭირა ყურებამდის ბოხოხჩამოფხატული თავი წვრილათ აწოწილ ტანზე, რომ ხამს კაცს ეგონებოდა—სამშობლოს დასახსნელათ მიდისო.

გზა ჯვარედინზე ნაცნობი ჭაბუკი შემოხვდა.

ეს მაღალს, ძვალ ტყავათ გადაქცეულსა და ფერდი-ფერდს მიკრულს ჯახრიკაზე იჯდა; ჩარგვალებულ დაბალ ტანზე გაცვეთილი პალტო ეცვა, თავზე სანახევროთ დაფლეთილი ჰილობის ქუდი ეხურა, საპირე გაბზღარული ჩექმის წვერი ძლივს ედგა დაზიანებულსა და მრავალგან დაკერებულ მოსართავზე ჩამოცმულ უზანგში. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ პალტოიანი გამოეხუმრა ჩოხიანს:

— რაა, გიორგი, მაგ? ვირია, თუ ჯორი, ზედ რომ ზიხარ?

— ჩურჩუტისთვის ვირია და კაცისთვის ჯორი!..

— ჰოო... მართლა, მართლა... პატარაა თვარა... კაი კია... თამარ მეფის ნახედნი რომ არ იყოს!

— შენს რაშთან არ მოგეწონება... მეფე ერეკლეს შაისევანსა გავს სწორეთ, შენი თავი ნუ მომიკვდება...

და ორივეს გაეცინა.

— საით მიბძანდები, პალიკო?

— ქუთაისს... მგონი შენც იქით გიჭირავს გზა?

— ჩემო ძმაო, რად ღუპავ შენს გამომზრდელს და დამაპურებელ სოფელს ამ ბოსტნობაზე?!

— როგორ?

— აბა რა,—და ამ დროს გიორგიმ თვალები თანამგზავრს მიაჭყიტა,— უცხენოთაც არაფერი გიჭირს საფრთხობელათ, თვარა ცხენიანათ ხომ სულ გაკეთება იქნები: რომელ ბოსტანშიაც კი ერთ წამს გაჩერდები, მერე იმ არეს სამიდღემჩიოთ ვერ მიეკარება ვერც ყვავი და ვერც ძერა!!!

სიცილს ძლივს იკავებდა, ისე მიუგო პალიკომ:

— ჰოი, შენ ამოგაგდებს ჩემი ცოდვა .. რამე ხეირიანი მირჩიო, ღმერთი გიწყენს, სულ რომ მასე მეკრიჭები?

რამდენიმე წუთს შემდეგ პალიკომ განაგრძო:

— მართლა, გიორგი ხუმრობა გაშვებით და ერთი რამ უნდა გითხრა.

— თქვი, მარა მალე გაათავე, სანამ ე შენი რაში ფეხებს გაჭიმავდეს, თორემ ხომ იცი, ფიცის კაცი ვარ, სოლომონ მეფის ტახტის აზნაური—უკან ვერ შემოგიჯდენ სწორეთ, უცხენოთ რომ დარჩე.

— მოკლეთ გეტყვი, მოკლე იყოს შენი გზა და სოფელი... ჰო, იმას გეუბნებოდი, მჭადი და ლობიო მაქვს ღვთისა და ბაბუას წყალობა, როგორც ქვეყნის მაცხოვარმა ბძანა: „არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი“ და როგორც რუსთველმა გვირჩია „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“,—მე კი სოფლის მწერალსაც ვერ გავაცან თავი, როგორც რიგია, ისე. ჩემ სოფელს იქით ხომ ერთი პატიოსანი კაციც ვერ მიცნობს...

— მე რომ გიცნობ, ეს არაფერია?

— არა, შენ ხომ ხარ და ხარ... არა, შენს გარდა... ჰო, იმას ვამბობდი... ის ჩამყვა გულს ზაფრათ, რომ ქვეყანაში ვერაფერით ვერ გამოვიჩინე თავი. არც ერთს კენჭის ყრას არ ვაკლდეში: ხან ერთს დასს ვეხმარები, ხან მეორეს, ხან მესამეს, მარა არც ერთმა არაფრათ ჩამაგდო. დახმარებით ყველამ დამიხმარა, მარა მე კი არც ერთი არ წამადგა. ასეთი უბედური შევიქენი, რომ ორჯელ-სამჯერ ჩხუბიც ამიტეხეს კენჭის ყრის დროს... გვერდები მე დამემტვრა და გაზეთში კი სხვები ჩაწერეს მახჩუბრათ, მე გამომტოვეს.

— მერე, რა წაგიხდა მაგითი?

— როგორ თუ რა წამიხდა, შე კაცო: მე რომ ჩავეწერეთ, ქვეყანა წაიკითხავდა ჩემ სახელსა და გვარს. მერე მე დავაბეჭდვინებდი პასუხს და რამდენიმე კაცს საპასუხოთ გამოვიწვევდი: იმათაც პასუხს გავცემდი, ისინი მე, მე იმათ, მერე სხვებიც ააწრიპინებდენ კალამს, შეიქნებოდა წერა, ჯღაბნა, ჩხრეკა, კილვა, კიცხვა, შარი, ქება, დაცინვა, ჭორი და ყველა ამაებში სულ მე ვიქნებოდი ხსენებული. თემსა და სოფელს, იმერეთსა და გურია-ოდიშს, ქართლსა და კახეთს ყველას ეცოდინებოდა, რომ პალიკო ამანჩახოძეც არის ქვეყანაზე!

ასეა, ჩემო გიორგი, ღვთის გაჩენილი სოფელი, აბა როგორ გგონია? „სოფელი იმათ არა, ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსაო“, უთქვამს პოეტს და ამას ზედ დავუმატებ, რომ „ერთხელ გაზეთში ჩაბეჭდვა მიჯობს მადლს საცხონებელსა“.

— მასე თუ მოგწყურებია გაზეთში თავის ჩაბეჭდვა, ბიძი, მე გასწავლი, როგორ მოახერხო.

— იჰ, უთუოთ იმასხრებ რაღაცას!

— არა, ღმერთმანი. აი, რა გითხრა: რომ მოკვდეს ვინმე, სადმე კენჭ-ნაყარი კაცი,—ხომ იცი, ყველა კენჭ-ნაყარს ჩვენში საზოგადო მოღვაწეებს ეძახიან,—მოდი და... კი არ იტირო, არ გაგიწყრეს ღმერთი!—მიდი და „ბავთი“ თქვი. აქე და ადიდე მიცვალებული; ასე თქვი: „ღამეს რომ მთვარე მოშორდეს, მზე მაინც გაგვითენებს; მდინარეები რომ დაშრეს—წვიმის წყლით მოვიკლამთ წყურვილს; პური რომ გაწყდეს ქვეყნათ, მჭადით გამოვიპურებთ თავს,—მარა რა უნდა ქნას კაცობრიობამ, თუ ერთ უბედურ დღეს ჰაერი აღარ ექნება?“.. და ამ ადგილას ხმა აუწიე: „ეჰზგავსათ ამისა, რაღა უნდა ქნას დღეს დაობლებულმა საქართველომ, რომ ცოცხალთა შორის აღარ ყავს აწ ამ კუბოში მდებარე გვამი მისი ერთად-ერთის შარვანდედით შემკულ მოღვაწისა, მწერლისა, სარდლისა და სხვა-და-სხვა ამა და ამ კაცისა-თქო“...

აქ შენ შეატყობ, რომ დამსწრეთა შორის ჩოჩქოლი შეიქნება... ისარგებლე ამ წუთითა და გამოლანძღე რომელიმე ჟურნალი, ან გაზეთი, ან იმისი თანამშრომელთაგანი ვინმე და უთუოდ მოესწრები იმ ბედნიერებას, რომელიც შენ მასე გენატრება...

— შენ, მგონი, ხუმრობ, ჩემო გიორგი, და მაგას თუ ვერ მოვახერხებ პირველ შემთხვევისათანავე, ამ ულვაშს გადავიპარსავ, აი!

# 1900 წ.

## საჯავახოელის შენიშნვა.

მატარებელს გაჩერება არ აცალეს მგზავრებმა რკინის გზის სადგურზე, ისე მიესიენ ვაგონებს. შეიქნა ჩვეულებრივი ჯგლითი და „გზა მომეცი!" „მაცა!" „მოითმინეს" ძახილი. როგორც ყოველთვის, ეხლაც მგზავრები ბევრი იყო და ვაგონები ცოტა. ის იყო გავივლე გულში: „ჩვენში რკინის გზა თითქოს იმისთვის არის, რომ თვალსაჩინოთ დაანახვოს ყველას, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ეკონომიური ძირითადი კანონი მოთხოვნილებისა და მოწოდებისა,—მაგრამ აზრის დასრულება არ მაცალა ჩემი თანამგზავრის პალიკოს ძახილმა:

— აქ მო, კაცო, შენთვის ადგილი მაქვს შენახული, გაზეთიც ვიყიდე ახალი!

მეც გავეშურე. ვაგონი სწორეთ ისე იყო გაჭედილი, რომ ძალიან გამოქნილი ბანძელიც ვერ გაატანდა სკამებს შუა და კარიდან მეორე კარამდე. შუა ვაგონში ორი ცალკ-ცალკე დასაჯდომები დაეკავებინა პალიკოს და სწორეთ გითხრათ, არც ანტონ კათოლიკოსის გრამატიკისა და ლიპერტის „კულტურის ისტორიის" ქართულ თარგმანის კითხვის დროს დამსხმია იმდენი ოფლი, რამდენიც ამ ჟამათ ჩემ სკამამდის მისვლამდე. დავჯექი, სული მოვითქვი. მიმოვიხედე. სარკმლები ყველა დაელოთ და მძიმე სუნი არ იდგა. სასიამოვნოთ დამრჩა, რომ სრულიათ შემთხვევით, რასაკვირველია, ყველანი ერთი თემისანი შევყრილიყავით. ყველა გაჩუმებული იყო, აქა-იქ ისმოდა მხოლოთ ჩუმათ ჩახველების ხმა. პალიკო გაზეთის კითხვას შეუდგა. უცებ ხმა-მაღლა გვითხრა, ერთ სახალისო ამბავს წაგიკითხავთ, თუ ყურს დაუგდებთო.

— დიდი სიამოვნებით! კი, ბატონო! წაიკითხეთ! ძალიან მადლობელი ვიქნებით!—ყოველ მხრიდან გასროლილ თოფე-

ბივით მოისმა თუ ქალის, თუ ჭაბუკის და თუ მოხუცის ხმე-ბი. პალიკომაც დაიწყო:

### როგორ მდიდრდებიან ამერიკაში.

„1857 წელს, როდესაც კალიფორნიაში აღმოჩნდა ოქროს მადნები, ბევრმა მიატოვა თავისი სახლ-კარი და გასწია მადნებისაკენ ბედის საძიებლათ. მათ შორის იყო კლარკიც, ახლანდელი მილიონერი. სანამ კალიფორნიას მიაწევდა, კლარ-კი გზაზე ავათ გახდა. რაც შეძლება ქონდა, წამლობას მოან-დომა. გამომრთელების შემდეგ მასწავლებლობას მიყო ხელი. 1861 წელს მასწავლებლობა მიატოვა და კოლორადოს მთებს შეაფარა თავი. ის იქ ხან მიწის მუშაობას კიდებდა ხელს, ხან მადნებში მუშაობას და ხან ვაჭრობდა კიდეც. ბოლოს, რო-გორც იყო, შეაგროვა 5000 დოლარი, იყიდა სხვა-და-სხვა სანოვაგე, ტანთსაცმელი, ხელსაწყოები და წაიღო მონტანის შტატის ოქროს მადნიან ადგილებში. იმ მადნებიდან ამოიღეს 600 მილიონის ოქრო და კლარკი სწორეთ იმ დროს ყიდდა იქ თავის საქონელს და ძალიან მალეც გამდიდრდა. გირვანქა კარტოფილს, მაგალითად, ის ყიდდა მანეთათ და ორ მანეთა-თაც. გირვანქა თამბაქოს თუმნათ, ფქვილს ორ და ათ შაუ-რათ და თითო კვერცხს ორ-ორ მანეთათ. მთელი საქონელი ამ ფასათ გაასაღა.

პირველი მაგალითით წაქეზებულმა კლარკმა განაგრძო ვა-ჭრობა და გააღო მაღაზიები სხვა-და-სხვა შტატებში. ამით მის სიმდიდრეს ბევრი მოემატა. ერთგან კლარკმა იყიდა ერთი ნა-ჭერი მიწა, რომელშიაც ოქროს ან ვეცხლის მადანი ეგულე-ბოდა, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა, სამაგიეროთ შიგ იპო-ვეს თითბრის მადანი. ამ მადანმა კლარკს შეძინა 35 მილიო-ნი, გარდა იმისა, რომ დღეს მადანი კიდევ ღირს 50 მილი-ონათ. სხვა შტატებშიაც აქვს კლარკს თითბრის მადნები, რო-მელიც კიდევ უფრო ძვირათ ღირს. აქვს საბანკირო სახლი,

რომელიც დიდ შემოსავალს აძლევს. ამ ჟამათ კლარკი ცხოვრობს ნიუ-იორკში, სადაც იშენებს ჩინებულ სასახლეს. მარტო ავეჯეულობისა და სახლის მოწყობილობისათვის გადადვა ერთი მილიონი. მთელი სასახლე კი ჯდება 10 მილიონათ“.

პალიკომ კითხვა გაათავა.

— „იმე!.. დაილოცა ჭკუა!.. აი, რას ნიშნავს მიხვედრილობა! ასე იცის საქმეში კაცის გაბედვამ!“—მოისმა მსმენელთა შენიშნვები.

— მე ჩემი ბრიყვი გონებით ერთს ვიტყვი, თუ მოიხსენიებთ...

ყველამ მივიხედეთ მთქმელისაკენ. ის იყო ჩოხოსანი მოხუცი, ძველებური თვალ-ტანადობისა, მაღალი, მხარ-ბეჭ განიერი, წელში წვრილი და ოდნავ მოხრილი; თოვლივით თეთრს გაჩეჩილს თმაზე პაწაწა ფაფანაკი თავს ძლივს უფარავდა, სქელსა და გრძელ ულვაშს უფრო უსქელებდა წვერ-მოპარსულობა. ლაპარაკის დროს ტუჩებ შუა გამოკრთოდა სადაფივით კრიალა, თეთრი კბილები.

— გენებოთ დაიჯერეთ, გენებოთ ნუ დაიჯერებთ, მარა მე მაინც ვიტყვი: ის ბედნიერი კლარკი რომ ჩვენში ყოფილიყო და ისე წასულიყო სავაჭროთ, ერთი ათი მაინც მისი მახლობელ-შორებელთაგანი წამხედურობით სწორეთ ისეთსავე სანოვაგეს, ისეთსავე ტანთსაცმელს, ისეთსავე ხელსაწყობებს, ისეთსავე კარტოფილს, ისეთსავე თამბაქოს და სწორეთ იმავ ქათმების დადებულ კვერცხებს წაიღებდენ და შეუდგებოდენ იმის გზა-კვალს. სადაც ის დაიწყებდა ვაჭრობა, ესენიც იქ, სწორეთ იქ შეეცილებოდენ და, ის რომ ორ მანეთ ნახევრათ ყიდდა ერთ კვერცხს, ესენი სამ აბაზათ გახდიდენ ასს! რავა ფიქრობთ თქვენ: მოაგებიებდენ? რას მიბრძანებთ! თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემ თავს, ამდენ პატიოსან კაცს ტყუილათ არ დაგიფიცებთ, ის რომ ჩვენში ყოფილიყო, ტყავი გაძვრებოდა, როგორც მრავალ სხვას, ჩვენებურებს, რომელთაგან ბევრს იმ თქვენ კლარკზე ნაკლები არც აღებ-მიცემის სიმხნე ქონებია

და არც ჭკუა და გამჭრიახობა, მარა მათი ბოლო მაინც სიმწრით ლუკმის ჭამა ყოფილა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში ამერიკა არ არის, აქ ერთ თაოსანს ასი ხელის შემშლელი კანჭებში შეყურებს და ასი კიდევ სხვა, მიღმა უმზადებს სამარეს...

არა, ვაჭრობაში მეტოქეობა კარგია და ხალხისთვის სასარგებლო, ეს მეც მესმის. მახსოვს ჩემი სიყმაწვილის დროს, ჩვენ სოფელში მარტო ერთი თვალამაისა კერავდა ფაფანაკებს და თითოს ათ შაურათ ყიდდა. მერე მეორე მისი გამოზდილი იისახარი შეეცილა ხელობას, და ფაფანიკები უკეთესათაც იკერებოდა და შაურით გაიაფდა კიდეც... ასეთი მეტოქეობა, რასაკვირველია, ყველასთვის სასარგებლოა: მეტოქეებისთვისაც და მყიდველებისთვისაც.

მარა ახლა ჩვენში ასე კი არ იქცევიან: ჩვენებური მეტოქე იმას კი არ ცდილობს მეორეს ვაჯობო და ფული მოვიგოვო, არა, ის იმის ცდაშია, ჩემი მეტოქე გავაფუჭო და თუგინდ მეც გავფუჭდეო. ფუჭდებიან კიდეც ორივენი.

აი, რა ღუპავს ჩვენს საქართველოში ვაჭრობასა და ვაჭრების საქმეს.

ერთი მომიხერხეთ თქვენ: ახლა რომ იმდენი გამოცდილება აქვს იმ კაცს, ახლა მომიყვანეთ ის ჩვენში, ოღონდ მილიონები იქ დატოვოს, თვარა თავისი შეძლებით მოიგებს, რა თქმა უნდა: ჩვენ ქვეყანას იყიდის, როგორც ბორჩალოს ყიდულობენ ახლა ღიპიანიძენი და ყველას აგვიდგამს ფეხს... და... სულო ცოდვილო... ჩვენ ქვეყანას რა აჯობებდა, ჩვენისთანა მცონარე ხალხი რომ არ ესხას ზედ?! არა, თავდაპირველათ რომ სერმია ქონებია იმ ვაჟბატონს, იმით ჩამომიყვანეთ აქ და დააწყებინეთ რამე საქმე, თუ სული კბილით არ გაიტანოს... რას ბძანებთ, შეძენით შეიძენდა რამეს ის ამ ქვეყანაში? ა, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემ თავს! ჩვენში ტყავი გაძვრებოდა, ტყავი!

ამ დროს მატარებელიც შეჩერდა სადგურთან და მგზავ-რებიც აიშალენ ვაგონიდან გასასვლელათ.

— ნურას უკაცრავათ, ჩემო ბატონო, ეგებ ვინმე თქვენ-განს საწყენათ დაგირჩათ ჩემი ნაუბარი,—შემინდვეთ, ბატო-ნებო! რა ვქნა, მოხუცებული კაცი ვარ და მერე კიდევ საჯა-ვახოელი,—არ შემიძლია ენა გავაჩერო, როცა გული სასაუბ-როთ მერჩის და...

— ოოჰ, საჯავახოური ხუმრობა ნახევარი მართალია! ან-დაზათ არის ნათქვამიო, გააწყვეტინა ვილაცამ სიტყვა...

## ვ ო რ თ ო ს ლ ე ბ ი.

სხვისი რა მოგახსენოთ და მე კი ჩვენებური ნადიმისთანა მოსაწყენი, თავ-მომაბეზრებელი და ნერვების ამშლელი თით-ქმის არა მეგულვებარა. ძველსა და ახალს შუა ჩატეხილი ხი-დი სწორეთ ამნაირი სადილებია. სიმღერა სიმღერას არა გავს, —ხმა არავის უვარგა და ჰანგები არავინ იცის; დაიწყებენ მრავალ-ჟამიერს ძველებურ კილოზე და გადავლენ რუსულს „კამარინზე“; შეუდგებიან ვითომ ძველებურ ხუმრობას და მო-სწრებულ სიტყვებს და ლანძღვა-გინებით გაათავებენ; მოინ-დომებენ მამა-პაპურ სიმკვირცხლის გამოჩენას ყანწების სრო-ლა-დაჭერით და ბოლოს ბოთლებს დაუშენენ ერთმანეთს თავ-პირში; ცდილობენ აქა-იქ დღევანდელ საზოგადო საქმეებზე ჩამოაგდონ საუბარი და ისიც ჭორიკანაობათ და ცილის წა-მებათ გადაექცევათ ხოლმე.

თქმა არ უნდა, რომ ყველა ნადიმზე ერთათ, თავწაყრით

არ ითქმის ეს, მარა დიდი უმრავლესობა მათგანი რომ ასეთია, მეტადრე დაბა-სოფლათ, ამაზე სიტყვის შემობრუნებას ნუ იკადრებთ.

აი ასეთი აზრით დავჯექი, ამ ათიოდე წლის წინათ, სხვა მრავალ წვეულთა შორის გეგუთში, იქაური მემამულის სუფრაზე, რომელსაც ამ დღეს ჩვეულებრივი სადღესასწაულო სადილი ქონდა გამართული „უკანეთობის“ დღესასწაულის გამო. ორასამდი სტუმარში, ერთი ბერი ჟინარიძის გარდა, სულ ახალგაზდობა იყო; ქალებს გარდა მეტობდენ ისეთები, რომლებიც ორი ჭიქა ღვინის დაცლის შემდეგ მოინახეთა თავდაბლობას თავხედობათ იღებენ, და ღვთის წყალობას ღვთისრისხვისაგან ვერ არჩევენ. მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლის უზარმაზარი ცაცხვები პირველივე ყანწის შემდეგ მათთვის ყალყზე შემდგარ ცხენებათ გადიქცეოდენ.

ჩემი წინათ-გრძნობა მასპინძელს გავუზიარე.

— ნურაფრის გეშინიაო, მითხრა, თამადათ ბერს ჟინარიძეს ამოვარჩევინებ და ყეელაფერი სიამტკბილობით ჩაივლისო. შენ არ იცი, რა იდეალური თამადაა ბერიო. ოო, აი, ახლავე ნახავო!

მაშინ უნებურათ მივიხედე ბერისკენ და შევაცქერდი. ღრმა მოხუცებული იყო. მასზე ამბობდენ, ხუმრობით, რასაკვირველია: მეფე სოლომონ დიდს ჩაქვის ომში ახლდაო. მარა ისე ჯანმრთელათ იყო, რომ არც თვალს აკლდა და არც კბილს, რაც უნდა გადარეული ცხენი მიგეყვანათ, უზანგში მისს ფეხის შედგმას თვალს ვერვინ მოასწრებდა, ისე მოახტებოდა უნაგირს.—თვითონ ამბობდა: მეტრიკა არა მაქვს და, რა დღეს ვეწვიე წუთი-სოფელს, დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მარა ეს მახსოვს, რომ მამა ჩემმა ძღვენი გამატანა მეორე მეფე სოლომონთან, ჩემ ნათლიასთან, და მე თვითონ წავიღე, ახლა რომ ყანთარია ქუთაისის ბულვარის ზემოთ იქიდან, აწინდელს სავაჟო გიმნაზიის ეზოში, სადაც ოქროს ჩარდახი, მეფის სასახლე იდგა, რიონის პირათ. მეფე, ახლა რომ დიდი

ჭადრის ხეა ინსპექტორის სახლის წინ, იმის ძირში იჩრდილებ-და, გარშემო დიდკაცობა ეხვია, მარა გაბედულათ მიველი. კარის კაცებმა რაღაცები მითხრეს, იმათთვის ყური არ მითხოვებია, ისე პირდაპირ მივართვი მეფეს და მოვახსენე წინდაწინ დაზეპირებული სიტყვები:

— მამა ჩემი, თქვენი მონა, თავადი ბეჟან ჟინარიძე მწყალობელს კალთაზე გეამბორათ, და თქვენი ნათლულის ხელით უმდაბლესათ ეს ტიკჭორა გურული ჯანის ღვინო მოგართვათ: როგორ გაგიბედავდათ, მარა ძველის-ძველი გახლავთ, ასე მოწერა თქვენმა ერისთავმა და ჩვენმა სიძემო.

სახლთ-უხუცესის ბძანებით კუპრიელი სწრაფათ ჩამომართვეს.

მეფემ გაიღიმა, თავზე ხელი გადამისვა და ეს კარგათ მახსოვს, რომ ბძანა: „რა მარჯვე ნათლული მყოლია, სხვა ასე პატარა ზიდავდა ამოდენა კუპრიელსაო!?“ ერთი ოქროც მიწყალობა...

ეს მისი ნათქვამი მახსენდებოდა, როცა მას ვაკვირდებოდი, როგორც თამადას. ისეთი ხერხით და ოსტატობით ასრულებდა ამ დროში მნიშვნელობასა და ფასს დაკარგულ თანამდებობას, ისე ჩაუდგა სული თავის მოვალეობას თამადისას, ისეთი იერი და ღარღილიანობა მისცა მას, რომ მთელი ამდენი სხვა-და-სხვა აღზრდისა და ხასიათის საზოგადოება წმინდა სანთელსავით ყვებოდა არა თუ ყოველსავე მის სიტყვიერ განკარგულებას, არამედ თვალ-წარბ-ულვაშებით ნიშნებასაც... სუფრაზე იგი მაგონებდა ნიჭიერ და თავის მოვალეობის ტრფიალს მხედართ-მთავარს, რომელსაც სტრატეგიისა და ტაქტიკის ცოდნასთან ერთათ დიპლომატიური გერგილიცა აქვს. ყველას ღვინოს გვასმევდა და ვსვამდით კიდეც, მარა ძალას არავინ გვატანდა, არც უსადღეგრძელოთ ზედ მეტის დალევის ნებას აძლევდა არავის—მოითმინეთ, მოესწრებითო,—და უჯერებდენ კიდეც, ისე მოხიბლული ყავდა ყველანი. ყველა აალაპარაკა, მარა ლაპარაკის საგანს ხშირათ შეუმჩნევლათ და ყო-

ველთვის სასიამოვნოთ თვითონვე იძლეოდა; სიმღერასაც თავი მოაბა: თვითონ პირველ ხმას ამბობდა, თუმცა ფიცულობდა—ჩემი ხმა არავის გაუგონია, სანამ ნამდვილი მოსიმღერეები იყვენ ჩვენში, მარა იმ დღეს მომღერალ ყმაწვილებს კი სირცხვილის ოფლი დაასხა...

მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენშიაც შესაძლებელი ყოფილა სიამოვნებით ლხინი დიდ წვეულებაშიაც, თუ გინდ ქინქყლიანი ყმაწვილების მონაწილეობითაც, თუ კი თამადას თამადობის ნიჭი და ღირსება შეწევს. მას აქეთ მესმის, თუ რათ დაუწესებიათ ჩვენს წინაპრებს ეს სალხინო თანამდებობა...

საყოვლად-წმინდო და თამადას სადღეგრძელო დიდის ამბით რომ დავლიეთ, მაშინვე სუფრიდან ადგომა დავაპირეთ; გვინდოდა ჯარში წავსულიყავით ბურთაობის სანახავათ. ამ დროს სტუმართ-მოყვარე მასპინძელმა მოგვმართა: ბატონებო, თქვენი ნებართვით ვთხოვ ბატონ ბერს, რომელმაც ასე სიამოვნებით გაგვატარებია დრო, რომ ერთი მისი „ფორთოხლების“ ამბავი გვიამბოს და მითი მადლს მარილიც მოგვიყაროს!

— ვთხოვთ უმორჩილესათ! დაგვავალოს! ბატონო ბერო, თქვენი ჭირიმე! მოისმა ყოველ მხრით.

— ჰმ, კაია, ბავშებო! ნუ გამომიყვანთ ამოდენ ალაიაში, გვიპასუხა ოდნავ შეზარხოშებულმა თამადამ. ერთი გადაგვავლო თვალი, გადისვა ულვაშებზე ხელი და მადიანათ დაიწყო:

— უჩასნაჩალნიკი ვიყავი, თქვენ ხარ ჩემი ბატონი, კოლუბაკინის დროს. ჰო, „უჩასნაჩალნიკი“ ვიყავი, კაი ზავთიანი, რადგანაც თავადიშვილიც კაი გამოჯგიმული გახლდით. ერთ დღეს კანცელარიიდან—დიდი ეზოს ბოლოში მქონდა კანცელარია—სახლში მივდიოდი ყალიონის წევით, და მარჯვენა ხელით ჯიბეში ვამოწმებდი—რამდენი „ჯორის ნალები“ და აბაზიანები შემომივიდა იმ დღეს... ქრთამათ!.. არა,

ქრთამს ვიღებდი, სულო ცოდვილო, ეს რა, რომ დავიფიცო, რა დროსია ახლა.

ჰო-და, იმას მოგახსენებდით, კანცელარიიდან მივდიოდი სახლში და გავიხედე—მომიახლოვდა ჩვენებური კაძახის შვილი, ქუთაისს რუსებთან მზარეულობაში გამოცუღლუტებული, და პირქვე დაემხო ჩემ წინ. ყელში ცერი და სალოკი თითი წაიჭირა, დამეჭყანა და ცრემლებით მთხოვა:

— დღეს არის ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის ბორჯი და იმდენი წყალობა მოიღეთ ჩემზე, ორიოდე სიტყვა მოიხსენიეთო.

მეც ვიფიქრე—ესეც ერთი მოსაწველი ცხვარი იქნება-თქო და დავეკითხე, რა უნდოდა. მომიყვა ნამდვილ იმერულათ:

— თავიდან რო მოგიყვე ჩემ სიმართლეს, იმდენი დრო თქვენ სად გექნებათ. ან და თქვენს განათლებულობას ახსნა რათ უნდა, ერთი შეხედვითაც შეატყობთ, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. სწავლული კაცი (აუშენდა ოჯახი, მე რომ უნივერსიტეტები მქონდა შეჯერებული) ცოდნის თილისმით გულთმისანიაო! ჩვენი სიმართლე მაინც ზედ-მიწევნით გეცოდინებათ, ბატონოო! დღეს ონოფრე ქურდიანმა უჩივლა თქვენს სასამართლოში, შენ ხარ ჩემი მწყალობელი მამაჩემს გოგიელა ბუაძეს ძროხის ნაქურდალობა. იმ საქმეს თუ მოგვაგებინებ, ბატონო, გელათის ხახულის ღვთის მშობელს გეფიცებით და თქვენი რისხვა ნუ გვექნება--თხუთმეტ აპელცინს მოგართმევ, განაჩენის გამოცხადებისათანავეო...

ქრთამი წინდაწინ ვიცოდი ყოველთვის, აბა ვის გაუგონია ჯერ საქმის გაკეთება და მერმე ქრთამი, მარა ისე მომაჯადოვა იმ კვალ წასაწყმედმა, ისე გამიწყრა ღმერთი და დამიბნია გონება, რომ დავეთენხმე... უნდა გამოგიტყდეთ, იმიტომ უფრო დამიდგა თვალი, რომ სიტყვა „აპელცინი“ არ მესმოდა რა იყო... ვიფიქრე ან ფული კია, ან ნივთი რამ, ან საქონელი, ერთი სიტყვით ჩემი საკადრისი რამე; თუ არა,

სხვას როგორ შემომბედავდა ყაძახი, ისიც აზნაურის წინაალმდეგ მოსაგებში-მეთქი. სირცხვილით ვერც ვიკითხე მე უბედურმა!

მოაწია სამართლის გადაწყვეტის დღემ. მარტო ის საქმე მქონდა ერთ დღეს დანიშნული. ვიჯმენ ქრისტესაგან, გავუღიმე ეშმაკს და მოვაგებინე საქმე ბუაძეს. საწყალი ქურდიანი ბურდღულით გავარდა კარში. მგონი ქრთამმა რომ ვერ გაჭრა მისმა, ის უფრო აკვირვებდა,—ქრთამი იმისაგანაც მქონდა აღებული, აბა რა, ერთ მხარეს დავჯერდებოდი მარტო თუ?

მივდივარ ახლა კანცელარიიდან სახლში წყნარ-წყნარა, ხელი უკან წელზე მაქვს დადებული და პეშვიც მზათ მაქვს: ვიცი, რომ ბუაძე მომყვება შორი-ახლო და ხელმანდილში გამოხვეული რაღაც უჭირავს. მივდივარ და ველი, როდის ჩამიდებს ხელში. დიდ ხანს არ გაუვლია, მარა მე კი სული მიხუთდებოდა ლოდინით! უეცრათ მარჯვენა ხელის თითზე, ვიგრძენი, რაღაც მძიმე ჩამომეკიდა. „თუთხმეტია" ბატონო, თქვენ გაცოცხლოს ღმერთმაო, სასწრაფოთ შემომჩურჩულა იმ შეჩვენებულმა, წამომიარა წინ, მიწამდე დამიკრა თავი და მწევარ გამონაკიდ კურდღლის სიმალით გასწია თავის სახლისკენ...

ისე მივედი სახლში, რომ დახედვა ვერ მოვახერხე, რაღაცამ ისე ამაბორგა კიდეც და მასთან სახსრებიც დამიხუთა. რომ ავედი სახლის აივანზე, ცოლი შემხვდა წინ, ხელში ერთი წლის ბავშვი ეჭირა.

— რაა მაგ, რომ მოგაქვსო?

მაშინ დავიმორჩილე ხელი, წამოვიღე წინ, ავწიე ზევით და შევხედე... იმე, იმისთანა გულ-გასაგმირი თქვენს მტერსა და მაწყევარს დაუნახავს, რაც ჩემმა თვალებმა მაშინ დაინახეს! ფორთოხალი!.. თუთხმეტი ფორთოხალი!! ვაჲ შენ ბერს, ვუი შენ ბერს!! აზნაურშვილი, ჩემი ძმა და მეზობელი, ჩემი

მომლხენი და დამტირებელი გავწირე, გადავიმტერე და თუთხმეტი ფორთოხლისათვის!!!

არა, მომატყუა, მომატყუა, მარა რა იცოდა იმ, ...მა... რომ მაინცა და მაინც, სიტყვა „აპელცინი“ არ მეცოდინებოდა?!

იმ დღეს აქეთ ფორთოხალისათვის კბილი არ დამიკარებია, ისე შემძულდა!..

## დროის ბრალი.

ყოველ უქმე დღეს, თუ კაი ტაროსი იქნებოდა, ჩვეულებათ მქონდა ჯუმათის მონასტრის გარემოს ვწვევოდი, იქიდან გადმოსახედის შვენიერებით თვალი დამეტკბო და გრძნობა გამეძღო.

ვისაც ჯუმათის მთის წვერიდან არ გადუხედია, ნუ იტყვის ღვთის გაჩენილი ქვეყნის სიტურფის ფასი ვიციო. ბევრი საზღაპრო შვენიერების მდებარეობაა საქართველოში, ამ ბალთა ბაღში დედამიწის ზურგისა, მარა ის, რასაც ადამიანის თვალი დაინახავს ჯუმათიდან, უსაცილოთ უნდა ჩაითვალოს ერთ უჩინებულეს სანახავთაგანათ დედამიწის ზურგზე.

წარმოიდგინეთ მაისის მოწმენდილი დილა. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთით ხედავთ მთელ დასავლეთ საქართველოს მიდამოებს . თვალს ვერ აშორებთ რიონის, სუფსის და ბევრი მათი შესართავების თვალ-უწვდენელ ზურმუხტ ვაკეებს, ვეცხლის ფრათ მოლაპლაპე მდინარეებით შემკულთ. ამ ვაკეებს სიკეკლუცე მიუწვდენელის არეულობით შემოფარგვლიან სხვა-და-სხვა სიშორეზე სხვა-და-სხვა სიმაღლე-სიდიდისა და მიმარ-

თულების მთები, ვაკე-გორებით შეპეპლებულნი, უმეტეს ნაწილათ ტყეებით შექოჩრებულნი და ზოგან აუღებელი თოვლით დაგვირგვინებულნი. დასავლეთით, თითქმის თქვენს ფეხთქვეშ, დაყურებთ უსაზღვრო შავ ზღვას, მყუდროს, ზვიადს, ლაჟვარდი მჭევლებით ნაზათ მობიბინეს, გემ-ხომალდებით და ნავ-ფელუგებით მოოჭვილს, და მზის სხივებით უცხოთ მოციაგეს. ფოთს კანდელიანათ, პალიასტომის ტბით და მალთაყვათი ჩრდილოეთით ისე ხედავთ, როგორც ხელის გულზე. ხედავთ ბათომს სამხრეთ-დასავლეთითაც, თუ უნისლო ტაროსი იქნა. ყველაფერ ამას ზევით განგებას გადაუშლია ფირუზი ცა, რომლის ზესკნელიდან ცხოველ-მყოფელი მზე სწორათ ეფინება როგორც ხილულს, რომ თვალი და გული გაძღეს, ისე უხილავსაც, რომ გრძნობა დატკბეს... ჯუმათის მწვერვალოზე ერთიღა ძველი მონასტერია, ოდესმე მდიდარი და აწ კი დალარიბებული; იგი დგას უსიტყვო მოწმათ მთის კატარის ტრიალ მინდორზე, როგორც ზღვის ღელვისაგან ჩხერზე გარიყული გემი, ანძებ დამტვრეული, ფსკერ გაბზარული და მგზავრებ დალუპული...

ყოველთვის, როცა აქედან გადასახედის ხილვით დავიკმაყოფილებდი გულსა და სულს, ამ მონასტრის კედლებს მოვაშურებდი ხოლმე, რომ მათი უტყვი აგებულობის გამომეტყველ სახიერებას და თავგადასავალის კიდევ უფრო მჭერმეტყველს წარმოდგენილობას უხმოთ გამოვლაპარაკებოდი, გულის ხმიერებით გამოვსაუბრებოდი...

ხშირათ არის კაცის სიცოცხლეში ისეთი დრო და ადგილი, როცა სამშობლოს რომელიმე კუთხე, ან კუთხის კუნჭული თავის გარემოთი და აწმყო-წარსულით უენოთ უფრო მეტს ეუბნება გულს, უფრო გარკვეულ საგნებს და ცოცხალ აზრებს უზიარებს სულს, ვიდრე მთელი სიბრძნე უგანათლებულესი მჭევრმეტყველისა.—რაც უნდა დასაღონებელი დარჩეს ასეთი გამოსაუბრება ბუნებასთან, მაინც სიამეს გვრის იგი გულს და გამაკეთილშობილებელი გავლენა აქვს კაცის სული-

ერ მხარეზე... მითი კაცი ეჩვევა დიდებულ ხელოვნებას—უან-ბანოთ კითხვას დაუბეჭდველის, მაგრამ ღვთის ხატებით აღბე-ჭდილის, ბუნების წიგნისას, რომლიდანაც უფრო მეტს ზე-გარდმო მადლიანს, დიდებულს და ღრმა აზრიან საგნებს ამო-იკითხავს იგი ზოგჯერ, ვიდრე მთელი ქვეყნის ლიტერატური-დან.

მეც, თვალისა და გრძნობის დატკბობის გარდა, ამისათ-ვისაც ვეტანებოდი ჯუმათს.

ბევრი სასიამოვნო, სათნო და ტკბილათ დამაღონებელი წამები გამიტარებია მის მწვერვალზე. ბევრჯელ ამჩქროლებია სისხლი მის გამო აწმყოს უგვანობის გათვალთვალებით და უკუღმართათ დაბოლოვებულ წარსულის წარმოდგენით, მარა ისეთი გულის ტკივილი, როგორიც გამომაცდევინა იქ ერთი მოხუცებულის შეხვედრამ და ნაამბობმა, იშვიათად მიგრძვნია მთელ ჩემ თავგადასავლით სავსე სიცოცხლეში.

მზე წითელ ატლასისფრათ ჩაესვენა შავი ზღვის დასავ-ლეთს კიდეზე, საღამოს ბურუსი თხელ ტყვიის-ფერ ლეჩაქი-ვით გადაეფარა დასავლეთ საქართველოს ვაკეებს, მდინარეებს, და მთებს.—ზღვის მქევლთა ბიბინი ტალღების ნელ ღელვაზე იცვლებოდა. ქვეშ სოფლებიდან ადამიანების და მათ თანა-მხლებელ არსთა ხმაურობა-ჟრიამული გაურკვევლათ მოისმო-და, ზევით, ცაზე მთვარე ამოცურდა; ქვეშ მიწაზე, მოსახლე-ებში ცეცხლები დაინთო.

დობილოსთან დაბმული ცხენი მოვხსენი და ზედ ვჯდე-ბოდი წამოსასვლელათ, რომ უცებ ხეობიდან გამოვიდა ცხრა-ფათ მოკეცილი მოხუცებული, ხელში არგანი ეჭირა, თხელი, თოვლივით თეთრი წვერი მუხლებამდე ცემდა. თავს კაბალახი გურულათ ეხვია. მომიახლოვდა, რაც შეეძლო წელში გაიმარ-თა და სალამი მომცა. სქელი წარბები ჩაცვენილ თვალებს უფარავდა, მარა ვერ დაეფარა ცრემლები, რომლებიც ნაწ-ყვეტ-ნეწყვეტათ, ხანდაზმით მოცვიოდა...

— ბატონო, თქვენ დიდი ხანია გითვალთვალებთ აქ...

ჩვენი ქვეყნის შვილი რომ ბძანებულხართ, გავიგე, იმიტომ შემოგბედავთ... მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე, მღვდელ-მთავარი ახლა ოზურგეთშია?

— ეპისკოპოსი ახლა თბილის-ქალაქშია სამსახურის გამო, როდის დაბრუნდება არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი.—მოხუცმა ჩემდა გასაოცებლათ, ისე შეიცხადა ეს ამბავი, როგორც დედამ საყვარელი შვილის სიკვდილი.

— ეს ჩემი ცოდვის ბრალია! ეს ცოდვა რომ წამწყმენდა, ვიცოდი; მარა უაღსარებოთ თუ ჩავიტანდი მიწაში, ეს არ მეგონა. ვაჲ, ჩემი ცოდვა! იუდამ უფრო ადრე მოინანა ჩემზე.. და უცებ, მწვავე, გულიდან ამონაქენჯნი, უხმო ქვითინი მორთო...

დავუწყე, რაც შემეძლო, ნუგეშინის ცემა. ვუთხარი აღსარების უთქმელობა თუ გაწუხებს, მღვდლების მეტი რა გეშოვნება, მაგ მღვდელ-მთავრის საქმე არც არის-მეთქი.

— არა, ბატონო, ჩემი ცოდვა სხვანაირი ცოდვაა, მას მღვდელი ვერ მოერევა!.. მღვდელ-მთავარი თუ შემეწევოდა და მომისმენდა, თვარა მღვდლები ვერ შებედვენ მას... მაინც, ჩემი ცოდვის გასადიდებლათ არ ბძანებულა ოზურგეთს... მარა რა, კიდეც რომ იყოს, ვატყობ ჩემ თავს, ველარ ჩავაწევ... გვიან გავბედე აღსარებაში მეთქვა ის, რითაც ვიღუპები...

შევყევით ასე საუბარს და ბოლოს, როცა დავარწმუნე, რომ მადლიან მღვდელს სრულიათ საკმაო ძალი და ლოცვაკურთხევა აქვს აღსარებისა და ზიარების საქმეში,—ჩემ მოხუცებულს, ქალურის სიმალით, შეუვარდა გული ჩემზე და დამიწყო ხვეწნა: რაკი თვალი ამიხილე, ბარემ თქვენ მაინც მომისმინეთ, ეგებ ვერ ვიცოცხლო აღსარებამდი, და თქვენისთანა პატიოსან კაცს რომ გავანდობ ცოდვას, გულს ცოტა მომეშვებაო.

დავყევი ნებას. მოხუცმა დაიწყო თავის ამბავი, რომელსაც ხშირათ წყვეტდა ოხვრითა და ცრემლებით.

— „ეს, ბატონო, სამოცი წლის ამბავია, გურიელი მამია სწორედ იმ წელს მიიცვალა--აცხონოს უფალმა! (ამ სიტყვების თქმის დროს მოხუცმა მოიხადა კაბალახი და მერე ისევ დაიხურა). ბატონისაგან თოფი ახალი მოცემული მქონდა და გურიანთის ციხის-თავს ვახლდი შიგ ციხეში, მეციხოვნეთ. კაძახი კი ვიყავი, მარა კაი გამოწკიპული გურული კაძახი გახლდი... ოოი, რატომ არ დაიქცა იგი დღეი!.. სროლაში, ქესკინობით და გულადობით ბევრი ვერ მჯობდა. ციხის თავი ძალიან მადლობელი ბძანდებოდა ჩემი. მაგრამ ყველა მჯობდა წელის იარაღით. ჩემს ამხანაგებს ყველას ქონდა ვეცხლით მოთელილი მაჭახელა, ფიშტო და ცხემლაიში, ოქრო-მკედით მოქარგული ფალასკა, სატყვიე, მათარა, ჩინებული აბრეშუმის სარტყელი, ხუთფათ წელზედ კოხტათ შემოვლებული, და მე კი ასეთი არაფერი მქონებია. ჩემს შინ გაკეთებულ ფიშტოს, შავათ შეღებულს და ხის კონდახში ჩასმულს, ასეთსავე ქარქაში მოთავსებულ ყამას, ხარის ტყავის შავ ფალასკას და მეშის მათარას წამდაუწუმ ჩემი ამხანაგებისას ვადარებდი, და ყოველთვის გული ღრუბელსავით მომეკუმშებოდა და ზედ შურის ბზიკი მკბენდა.

ერთხელ გაღმა გავედი, ქობულეთის ქალაქში—მაშინ ქალაქი იყო და ახლა სოფელია.—ქობულეთს მივედი, იქაური ნათესავის სანახავათ. ბაზარში რომ ჩავიარე, ერთ დუქანში თვალი მოვკარი იმისთანა მდიდრულ სილაღს (იარაღს)—სულ ოქროთი მოთელილს და აბრეშუმის სარტყლებს, რომ ტარაბუა დამესხა თავზე და სარ-გადაყლაპულსავით უძრავათ ამჯგიმა რაღაცამ შუა გზაზე, თვალები კი, მჯიღების სისხვანათ გამობრაწული, იმ ნივთებზე მქონდა მიშტერებული... მოვინდომე წასვლა, მარა ერთი, სიცრუე რომ არ ვთქვა, ხუთოდჯერ თვალის დახამხამებაში ტყულა ბანდალი ვერ ვქენი ვერც იქით, ვერც აქეთ. ამ დროს მომესმა ჩემივე ხმა: ღმერთოთქვა, ვამბობდი, ამ ნივთებიდან რაც ერთ საწელის-იარაღოთ საჭიროა, ჩემი ქნა, თუნდ ერთ დღეს, რომ თემსა და სოფელს

თავი დავანახვო და მერე მომკლა, არ მენაღვლება-თქვა... ამ ჩემივე ხმის გაგონებამ გამომაფხიზლა და სასიარულოთ ავიდგი ფეხი. ვნახე, ვინც მინდოდა. სახლში გამობრუნებისას წამომეწია სოლომონ თამაზაშვილის,—მერე სულეიმან თამაზ-ოღლათ ხმობილის,—ბიჭი და მითხრა,—ბატონი გიწვევს თავის სასახლეშიო... ცნობა მქონდა მისი: ქობულეთში მძლავრი კაცის სახელი ქონდა, გურიაში ხშირათ დადიოდა, მარინობაზე (ნაგომარში) იმაზე უკეთესი მოჯირითე იშვიათი იყო... ვიახელი... მომეგება ტოლსავით, სალამი მიბოძა, მე კალთას ვაკოცე. დამაჯდინა. მითხრა, ერთი მძიმე საქმე მაქვს გურიაში მოსაგვარებელი და რაკი შენისთანა დარბაისელ ყმაწვილ კაცს შემყარა უფალმა, ბარემ შენ გაგენდობიო. საჩუქარი დიდებული იქნება: ერთი სიტყვით, რასაც შენ თვითონ მოისურვებო.

— წყლის იარაღი! დღეს რომ ვნახე ის!—გამიელვა თავში...

— აი რა არის საჭიროო: ტრაპიზონის ხასან-ფაშას, იგიც გურულია, ხომ იცი? ერთი ათი წლის გურული ბიჭი უნდა სამადლოთ გამოზარდოს, კაცათ გამოიყვანოსო. სამადლო საქმეა და უნდა შევეწიოთო. დაფაცურდი შენო, მითხრა, ერთი მაგისთანა ბიჭი გვაშოვნინე და რაც აგითქვი, ის ისე იქნებაო...

რაღა გავაგრძელო მე უბედურმა... შევყევით მუსაიფს, ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს დამიყოლია ნებას. ასე დავდევით პაემანი: რაკი ნებით გურული არავინ მოგვცემდა შვილს გასათათრებლათ,—თუმც ხვანთქრობაც მიეცათ,—მე ძალათ უნდა დამეჭირა იმ ხნის ბიჭი და ჩოლოქის ტყეში ერთი დიდი მუხის კატარზე მიმეკრა იღლიათი. დანიშნულ დღეს, საღამოთი, ის მხლებლებით უნდა მოსულიყო, ბიჭი მოეხსნა და წაეყვანა, და ჩემთვის იმავე კატარზე მიკრული უნდა დაეტოვებინა ჩემგან არჩეული წყლის იარაღი...

გამოხდა დრო და ხანი. ერთგან თვალი მოვკარი ისეთ

ლამაზ ბიჭს, რომ ჩემ ორ თვალს მისთანა ტურფა ნაქნარობის დედის შობილი სხვა არ უნახავს. გამოვემცნაურე, დავუმეგობრდი. ზედი-ზედ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებზე და ჯანჯუხებზე ვპატიჟობდი. ერთ დღეს სანადიროთაც გამომყვა ჩოლოქის ტყეში, ნაჩუმათევათ, რასაკვირველია, ნადირობის დროს ვიშოვე მარჯვე დრო, მიცეპარე ზურგს უკანიდან, დავცი და; სანამ გონს მოვიდოდა, ხელები გავუკარი წელის ბაწრით და პირში ბურთი ჩავუგდე... მოვიგდე ზურგს და გავუდექ დანიშნულ მუხისაკენ... არც მინახავს ბადეში გაბმული მძლავრი ღლავი, ისე საშინლათ აქნევდა ის საბრალო მთელ ზროს ტანისას და ისე ღონიერათ, რომ ერთხელ წამაქცია კიდეც. ზურგი და მთელი უკანალი ხომ სულ დამილილავა... მივიტანე, როგორც იქნა, იმ მუხასთან... ვაცალე ფართხალი და კარგათ რომ დაიქანცა, ბაწარი მოვაბი კიდევ, მე ზევით ავყევი ხის ტანს და ბაწრით ავზიდე კატრამდი. იქ კი მაღალ შტოზე ჩამოვაჯდინე, იღლიაში გავუყარე ბაწარი, მერე მკერდზე შემოვავლე და ისე მივაკარი ხეს. ფეხები ცალკე ბაწრით დავუმაგრე. ბურთი ცოტათი ჩავუდევი პირში, რომ არ იყვიროს-თქო. ამ დროს ანაზდეულათ თვალები მომკრა თვალებში და როგორც გველი ჭუჭულს დაიმორჩილებს შეხედვით, ისე დამიმორჩილა თვალებით! ოოჰ, რა ზარ-დამცემი იყო მისი თვალები ჩემთვის! მგონია საშინელი მსჯავრი უფლისა არ იქნება იმაზე უფრო საშინელი! ცეცხლი, რისხვა, სიბრალული, ცრემლები, მუდარება, მუქარა, ოღროს ანთებული ფისი და წმინდა ელიას მეხის ელვა ერთათ გამოსჭვიოდა ჩემდა გასაქრობათ საწყლის თვალებიდან...—რას მცმართლები? რა შეგცოდე? ზეცამ გრისხოს! ღმერთმა დაგსაჯოს! რათა მკლავ! ნუ მკლავ! ამიშვი! ჩემო ბიძია, ამიშვი! ყველა ეს ერთათ ამოვიკითხე მის საშინლათ მოელვარე და საცოდავათ მცრემლავ თვალებში. დამეხვია თავბრუ, ამიტაცა შიშის ზარმა, თმა ყალყზე დამიდგა და ისე ხელ-მოსხლეტილი ჩამოვსრიალდი ხიდან,

რომ ახალ კვერტუა ჩოხისა და შარვალის მხოლოთ დაფლეთილი ნაჭრები ჩამომყვა ძირს...

ტყეში, იმ წყეულ ხიდან შორს ბარდში შევრგე თავი. თამაზაშვილის მოსასვლელ გზაზე დავჯედი, სული არ მითმენდა, მინდოდა შევყროდი და პირის-პირ გამომერთმია ჩემი წელის იარაღი... დღე და ღამე ახალი გაყრილი იყო, რომ შორე-ახლოდან მომესმა თოფის ხმა. ყური ვაცქვიტე. ხმაურობა ოდნავ მომესმა. ვიფიქრე, რომ სწორეთ ბევრნი მოდიან ერთათ, მხიარულობენ, თოფს ისვრიან და ჩემი ნახვა ბევრი კაცისაგან არ ივარგებს-მეთქი და გავწიე შინისკენ... პირდაპირი გზით დაბრუნება ვერ გავბედე, მოვიარე. ცოდვამ გზა დამიბნია. ათას ალაგას ტბებსა და საფლობებში ჩავვარდი; როგორც იქმნა მივატანე ბინას. ის ღამე ცეცხლათ გავატარე. როგორც იქნა გათენდა, მარა ლოგინიდან წელი ვერ წამოვწიე, ისე ვიყავი დაღალული ტანჯვით გატარებული ღამით. სიცხეც მომცა. მალე ოფლით გავიწურე და ძილათ მივეგდე. მთელი ის დღე და მეორე ღამე ბოდვაში გამეტარებინა, რომ გამოვიღვიძე, მეზობლები თავს მეხვიენ და მეუბნებოდენ: არაფერი გიჭირსო. ისინი რომ წავიდენ, ცოლმა და დედამ მითხრეს: სულ წელის იარაღი, ხაჭაპურები და ნადირობა გაბოდებოდაო. ზედ დატანებით სრული სწორი ვეგდე ლოგინში უნდომათ. სწორზე წელი წამოვწიე, როგორც იქნა, და ეზოში გავიარგამოვიარე. გული დაჯავრიანებული მქონდა, ღვთის გაჩენილი ქვეყნის სიკეთე აღარ მახარებდა.

უცებ იმ საცოდავის დედა მოიჭრა ჩვენსას სახე დაღმანჭული, თმა აწეწილი, ფერ-მკრთალი, ნამტირალევი თვალებით,—თავის თავის ლანდათ გადაქცეულიყო საწყალი. ქალები მიესალმენ, მარა ისინი არც შეუმჩნევია, პირდაპირ მე მომვარდა და შემომბღავლა:

— „შვილი! ჩემი ერთად ერთი ბიჭი! ჩემი სულის დგმა, ჩემი დამტირებელი, დამეკარგა!.. მიმპარეს?.. თათარში გაიყვანეს?.. მგელმა შეჭამა? . არაფერი ვიცი! შენ გენაცვალოს

ჩემი უბედური თავი... მომინახე... ღმერთი გადღეგრძელებს... შემეწიე მე დღე გამწარებულს... შენ გიყვარდა ის უბედური... რამდენი ხაჭაპური გიჭმევია მისთვის... სულ შენ აბოდებდი იმ საცოდავს!"—მომეხვია მუხლებზე, ცრემლებით დამილტო შარვალი... მისი საცოდაობა ქვასაც აატირებდა... ჩემი გულის ცეცხლს ნავთათ დაესხა მისი ცრემლები... მომეკიდა ჯოჯოხეთის ალი, ავზლუქუნდი... ძლივს დავიმორჩილე ენა ასალაპარაკებლათ და დავპირდი შვილის მონახვას... გულ-მოოხებული გადავიდა საბრალო ჩვენგან მეზობლებში...

იმ მუხისკენ წასვლის სურვილი ხანდაზმით გამკრავდა გულში, მარა იდუმალი ხმა „ნუ წახვალო" ჩამძახოდა ყურში და ველარ მივდიოდი...

ადგომის მესამე დღეს, საუზმის დროს ცა საწვიმრათ მოქურუშდა. „მუხა"! „წელის იარაღი!" რაღაცამ გამწივლა ყურში. მომერია ეშმაკი და მეც გავწიე. მივატანე ტყის არეს, შევედი შიგ ტყეში და რომ დაუახლოვდი იმ ჩემი ცოდვის ადგილს, უთვალავი ყვავ-ყორანის ჩხავილმა ყური გამომიყრუა, მარა ყურადღება არ მიმიქცევია, ისე მივუახლოვდი მუხას...

გადვიწერე პირჯვარი... ავცოცდი ხეზე. უცნაური მყრალი სუნი იკრა ცხვირმა... ხის შუა წელამდი ვიქნებოდი აცოცებული, რომ ავიხედე ზევით. იმისთანა შენმა მტერმა და ავმა ნახა, რაც მე მაშინ დავინახე: ჩონჩხი, ჩამოკიდებული ბაწრით, ყვავ-ყორნებისაგან ხორც გაცლილი, მარტო აქა-იქ შერჩენოდა აშმორებული მძორის ნამცეცები... თავის ქალა მკერდის ძვლებზე ჩამოქინდრებოდა, სვავის ამონაკორტნი თვალის უპეები შავ უფსკრულათ ჩნდა, ფეხების ძვლებზე ჭია-ღუები დაცმუცავდენ... ნიავმა დაქროლა, ახმაურდა ტყე და ჩონჩხის ხელ-ფეხის ძვლები ერთმანეთზე აწკაპუნდა... ერთი ისეთი უშველებელი „ვაიმე" ამოიჭრა ჩემი მკერდიდან, რომ იმ ტყეს ზარბაზნის ხმასავით მოედვა, თვითონ მევე დამცა თავ-ზარი, ელდამ შემიპყრო, ხელ-ფეხი ამიკანკალდა... რის ვაი-ვაგლახით ჩამოვძვერი ძირს და სულ კბილების კრაჭუნით კიძუნძულე

შინამდი. სამი დღე და ღამე ჩემ თვალებს რული არ მიკარებია. სულ ის საბრალო ბავშვი ცოცხლათ ხეზე აკრული მელანდებოდა, ვითომ მიძახდა: „ბიძი ნუ მომკლავ! ნენა არ გეცოდება, ჩემი ნენაო!“ სულ ქაჯებს, ეშმაკებს, ჯოჯოხეთის კუპრს და გველებს ვხედავდი ცხადათაც და სიზმარშიაც.

ეს ფიქრიც ამიხირდა თავში: რათ არ მოვიდა თამაზაშვილი ბავშის წასაყვანათ? რათ ამაკვრევინა ბავში ხეზე, თუ მეტათ უფრო არ უნდოდა მისი წაყვანა? რათ წამწყმინდა? რა სისხლი ემართა ჩემი, რომ ასე დამტანჯა?!

მეოთხე დღეს გადავწყვიტე ჩემ გულში თამაზაშვილი მომეკლა, და გავიწიე კიდეც ქობულეთისაკენ დილა ადრიანათ. სადილობის დრო იქნებოდა, ჩემ ნათესავს ქობულეთში რომ თავი დავუკარი. სამხრობაზე იმისთანა ამბავი მიამბო, რომ ჩემი აუხსნელი საიდუმლოს ბოქლომი უცბათ გაალო. მითხრა, სოლომონ თამაზაშვილი ამა და ამ დღეს—სწორეთ იგი შავი დღე თქვა, მე რომ მოგახსენეთ—გურიანთის ტყეში მოკლა იოსებ გეჯალიამ, რომლის სისხლი მართებოდაო. აი, ჩემი ცოდვის მორევი სად ყოფილიყო! საჭირო შეიქმნა ჩემი ცოდვის გასადიდებლათ, რომ თამაზაშვილს გეჯალიას სისხლი მართებოდა, და რომ გეჯალიას სწორეთ იმ დროს მოეკლა იგი, როცა ხეზე მიკრული ბავში თამაზაშვილს უნდა წაეყვანა...

ასე წავიწყმინდე სული, ასე უწყალოთ დაიღუპა ათი წლის სიცოცხლით სავსე, მზეთ-უნახავი, ხუჭუჭ თმიანი, შავთვალებიანი, თეთრ ყირმიზ—ლოყებიანი, კალმით ნახატი ნაქნარობის ყრმა... ვაი... იმ წყეული წამის აქეთია სულის სიმშვიდე რაა, ტკბილი ძილი რაა, არ ვიცი.

სოფელმა ეჭვითაც არ იცის, რა ცოდვას ვატარებ, და ბედნიერს მეძახის. ღმერთი კი მიტომ არ მკლავს, რომ უფრო დავიტანჯო... ოჰ, არა მგონია, სინდისის მხილებით სიცოცხლითვე ტანჯვას საიქიოს ტანჯვები რომ შეედარონ... ჰაი, რა მენატრება სიკვდილი!.. ვფიცავ ნეტარებას სულისა და გულის სიმშვიდისას, რომ ისე მეჩქარება ჯოჯოხეთში ჩემი სა-

კუთვნო ტანჯვების დაწყება, როგორც ათასს სხვას ხელმწი-ფის ჯილდო... შევურიგდი ჩემს ხვედრს, რომ უნდა წავწყდე, სამართლიანათ მიმაჩნია ჩემი ცოდვილი სულის ჯოჯოხეთში ყოფნა და, ასე მგონია, იქაური წამება სინიდისს გამიწმენდს და ცოდვას მომიოხებს... ყველაფერი სჯობს ამისთანა ყოფას!.. ვაი, მას კი არა, ვინც ჯოჯოხეთში იტანჯება, ვაი მას, ვინც სიცოცხლითვე ჯოჯოხეთს გულში ატარებს!

აქ ერთი კიდევ ამოიოხრა სიმწარით და ჩაღუნა თავი.

მინდოდა მენუგეშებინა, მარა ვერ მოვახერხე: გარემოე-ბის შესაფერ სიტყვებს ვერ მივაგენი.

მშვიდობით! ვუთხარი მშრალათ და შევანძრიე ლა-გამი...

მან გზა დამილოცა და, როცა ჩემგან შეიტყო, რომ ს. მამათს მივდიოდი, გულითადათ მთხოვა მისას ჩამომხდარვი-ყავ:

— ომაინ კილლაძე იკითხეთ, ბატონო,, ყველამ იცის ჩე-მი კარ-მიდამო. შებძანდით, შენ ხარ ჩემი ბატონი და, თქვე-ნი საკადრისი ვერა, მარა სოფლის პირობაზე ჩემისთანა მას-პინძელი სხვა კაძახი ვერ დაგხვდებათ!

ჩამოხდომით არ ჩამომხდარვარ მისას, მარა ისე გამოვი-კითხე კი მისი ავან-ჩავანი. ყველანი ერთხმათ იხსენიებდენ მას, როგორც სამაგალითო პატიოსნების ადამიინს, სიტყვის კაცს, მხნე მუშას და გამტან მეზობელს...

## ბრუსილოვი მოკლეს!

— ჰმ... როგორ გამოიცვალა დრო, მეუბნებოდა ლომ-კაცი ყრონტი, რომელიც ხონის შარაზე, ოღასკურის ხიდთან წამომეწია თამარ მეფის ნახედნი ჯორით. ჩემსავით ისიც გი-ორგი სარმაღლიძისაგან იყო თურმე წყალტუბოს წვეული და ძალიან იამა ჩემი თანამგზავრობა. ნასიამოვნებმა დამიწყო ამ-ბებით გართობა:

— ახლა, განაგრძო მან, ისე ჩაუვლის ტინგიცა ბიჭი გუ-ბერნიაში უპირველეს მოხელეს, რომ ზედაც არ შეხედავს, უწინ კი, ჩემს სიყმაწვილეში, — თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემ თავს, კაი დიდი თავადის შვილი ასი მხარის სიშორეზე ჩამოხტებო-და ცხენიდან, უპირველესი მოხელე კი არა, მდივანბეგი რომ შემოხვედროდა წინ.

ერთხელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, საფერისცვალებოთ გა-ხლდით სოფელს ჭამაწოლეთში. მთელი თემი იქ იყო თავ-მოყრილი ეკლესიასთან. ხომ მოგეხსენებათ მაშინდელი სადღესა-სასწაულო მორთულობის ამბავი: ოქრო-ვეცხლი, ფარჩა-აბრე-შუმი, დიბა-ხავერდი, ძვირფასი მაუდი ყველას აშვენებდა... თავმომწონე კაცი და ქალი შალის და ჩითის ტანისამოსით, გლეხების გარდა, არ გავიდოდა დღეობაზე. „არ ვიჭრი ამ ჩემ თავს ჩემის ხელითვე მთელ თემში და რა გინდათ ახლაო“, იტყოდენ და დარჩებოდენ თავიანთ ეზო-გარემოს შიგნით...

იმ დღეს, რომ არ მოვუმატო, ხალხის მეასედი ვერ ეტე-ოდა საყდარში. ნაწირევს, მღვდელ-მთავრის და მისი კრებუ-ლის გამობძანების შემდეგ, ფერად-ფერადს კაბებში გამოწყო-ბილი ქალები ჩამწკრივდენ ტრიალ მინდორის ერთ მხარეს, ხეების ჩეროში; მათ ახლო, დიდრონ ჭანდრებს ქვეშ მოთავს-დენ მღვდელ-მთავარი და საპატიო მოხუცნი, თავად-აზნაურე-ბი. მათ უკან იდგა სათვალისეიროთ მოსული გლეხობა. ყვე-ლანი ემზადებოდენ ჯერ ბურთის თამაშის და მერე ჯირითის

საყურებლათ. თავად-აზნაურობა, ვინც კი ჯანზე იყო, ორ ორ მხარეთ იყო გაყოფილი: ერთ მხარეს ლელო უნდა გაეტანა აღმოსავლეთით, მეორეს—დასავლეთით. თითოეული მხარე ორ-ორ წყებათ იყოფოდა: ერთი წყება შეადგენდა მობურთალთა ორ წილს, ეს ქვეითი იყო. მას მხარს უჭერდენ გლეხებიც; მესამედი შეადგენდა მეორე წყებას,—სულ მარტო თავად-აზნაურობისას: ის იყო ცხენოსანი რაზმი. თამაშს იწყებდენ ჯერ ქვეითები და, რომ გაუჭირდებოდათ, ბურთს გადაცემდენ თავის მომხრე ცხენოსნებს. ორთავე მხარეს მოთავეობდა თავადთ სატევანიშვილების გვარი, აგრეთვე ორათ გაყოფილი: პირველის მოთავეთ სიგელის სახელათ ცხვირგრძელიშვილებს ეძახდენ და მეორისას—ტურაჭამიაშვილებს. თავიანთ თავს-კი, გვარში გამოსარჩევათ, პირველნი ბეჟანიშვილებათ უწოდებდენ, ბაბუის შვილობით, და მეორენი—ზურაბიშვილებს. იმ დღეს, მე რომ მოგახსენებთ, შვენიერი დარი იდგა. ხომ იცით, ჩვენმა შეჩვენებულმა იმერეთმა რა სამოთხის ტაროსი იცის, როცა დარი დარობს... მობურთალნი გავიდენ მინდვრათ და დადგენ ისე, რომ შუაში დატოვეს პატარა წრე და გზა, სამი კაცის გასატევი. მოვიდა მაღალის ტანადობის, მოხნიერებული, კარგათ შენახული, დიდი სიმონ სატევანიშვილი,—იმ წელს მისი მხრის რიგი იყო ბურთის სროლა,—დიდი ხაბურზაკის ოდენა ბურთი მოიტანა, კოხტათ გადაიგდო ყურთმაჯები,—მაშინ მთელს დასავლეთ საქართველოს კიდევ ყურთმაჯებიანი ჩოხა ეცვა, თითონ ვარ ამის მომსწრე,—დიაღ, იმას მოგახსენებდით, გადიგდო ყურთმაჯები, გასწორდა წელში, მოიმარჯვა ფაფანაკი, დაკრა მარჯვენა ხელი მარცხენაში დაჭერილს სამფერა ბურთს და შეძახა მოთამაშეებს:

— აბა, დარბაისელნო, წადით რამდენიმე პატიოსანნი და სთხოვეთ მღვდელ-მთავარს ბურთის მაკურთხეველნი გამოგვიგზავნოს!

თორმეტი საუკეთესო გვარის თავადის შვილები ეახლენ

არქიელს მოციქულებათ.—ეპისკოპოსმა მაშინვე უბძანა ერთს არქიმანდრიტს და ორ მღვდელს, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ბურთი ეკურთხებიათ.—არქიმანდრიტმა მიიღო სიმონ სატევანიშვილისაგან ბურთი, ჩადგა ხალხში და წარმოთქვა: „ერნო და დარბაისელნო! უფალმა ღმერთმა მისი მსგავსების—კაცის შრომა რომ დალოცა, მით დალოცვილი იქნა აგრეთვე ყოველივე ის, რაც პატიოსანს შრომას ხელს უწყობს! ამ მრავალნაირ ხელის შემწყო საგანთა შორის თავის ადგილი აქვს აგრეთვე კაი გუნებაზე ყოფნას, წესიერ ლხინს და სიმრთელის გამამაგრებელს, თვალის გამწაფავს, სიმკვირცხლე-ვაჟკაცობის გამომაჩენელ პატიოსან თამაშსაც. შრომასთან ესენი ისე არიან ერთმანეთზე უხილავათ გადაბმულნი, როგორც რუსთველის თქმისა არ იყოს—„გული, გრძნობა და გონება“. თუ კაი გუნებაზე არა ხარ, ვარგა რამე მაშინ შენი შრომა? არა! თუ მოლხენა არ შეგიძლია და ლხინი გძულს, კაი გუნებაზე ყოფნას რით ეღირსები?—ვერაფრით!.. თუ სიმრთელე არა გაქვს, თვალი არ გიჭრის, სიმკვირცხლე არ შეგწევს და ვაჟკაცობა არ მოგდგამს, მაშინ შეგეძლება მოლხენა?—არა! რა მოგანიჭებს სიმრთელეს, მარჯვე თვალს, სიმკვირცხლეს და ვაჟკაცობას, რაიცა ასე სასურველია ყველასათვის?—ღვთისაგან ნაკურთხი პატიოსანი შრომა და, ხანდისხან, სულის ამაფრთოვანებელი და გულის გადამშლელი მოლხენა და თამაში! ყველა თამაშობაში ბურთაობა მეფეა და ჯირითი დედოფალი! მაშ დალოცოს ღმერთმა თქვენი დღევანდელი მეფე-დედოფალი! იკურთხოს უფლისაგან თქვენი დღეს მასიამოვნებელი და სამრავალდღისოთ საამოთ მოსაგონი ბურთი! ამინ!“

— „ამინო“, იგრიალა იმოდენა ხალხმა.

არქიმანდრიტმა ასხურა წმინდა აიაზმა ბურთს და გადასცა სიმონ სატევანიშვილს. ამან დააპირა ბურთის ალმა აგდება, მარა ამ დროს მთელს იმ თვალუწვდენს მინდორზე იმდენი ადამიანისაგან ერთხმათ გაისმა: „სსს... ბრუსილოვი მობძანდება, ბრუსილოვიო!“

თქვენთვის ახლა ამის გაგონება რაა? არაფერი! და მაშინ, — თუ კი ქუდი მხურავს, ამას მართალს მოგახსენებ, — ისეთი ზავთი იქონია მთელს იქ შეკრებილს თემზე, როგორც ახლა რომ ვინმემ უცებ დაიძახოს ხალხში: „ხელმწიფე მობძანდება!“

სატევანიშვილმა შეაჩერა ბურთი. ყველამ ხმა გაკმინდა. ისმოდა მხოლოთ იქა-აქ ცხენების ფრთხვინვა-ხვიხვინი და ახლო მიმდინარე წყლის ჩქრიალ-შხუილი, რომლის ხმასთან ერთათ ნელი სიო საამოთ ეფინებოდა იქაურობას. რამდენიმე წამს შემდეგ გამოჩნდა ბრუსილოვი ერთი ყაზახ-რუსის და თარჯიმანის, კაი პალიკარტიანი აზნაურის, საყვარელ მანდილაშვილის თანახლებით. უფრო რომ მოგვიახლოვდა, შეიქნა თავადთა შორის ფუჩუნით გადალაპარაკება.

— ვისი წვეული ბძანდება?

— ვისი წვეული უნდა იყოს?

მარა ამისი ვერავინ ვერაფერი გაიგო. მაშინ ყველას გაუხიცინა გულში იმედმა, ეგების ჩემი დაპატიჟება მიიღოს და მეწვიოსო. არ დარჩენილა თავადთა და აზნაურთა შორის არავინ, ვისაც ფეხ-მოტეხილი ქათამი კი ეგულებოდა ეზოში, რომ ბრუსილოვი არ დაეპატიჟებიოს.

ბრუსილოვი თურმე სხვა აზრით იყო წამობძანებული, რომ გაეგო დიდძალი თემი იქნება ჭამაწოლეთშიო, — და ასე უთხრა ყველას: დაპატიჟებისათვის მადლობელი ვარ, ვიფიქრებ ცოტა ხანს და შემდეგ მოგახსენებთ ვის ვეწვევიო. და მაშინვე ბძანა: თამაში დაიწყონ, მე ნუ მერიდებიანო.

მე აღარ შევსულვარ თამაშში. შვილი მყავდა მისაბარებელი ქუთაისის პანციონში სახელმწიფო ხარჯით და, რაკი ბრუსილოვი დავინახე, გადავწყვიტე მისთვის შემებრალებია თავი. უკეთესს დროს სად ვიშოვნიდი: ერთ-ერთს მოსახლისას, ვისთანაც ჩავიდოდა, საუკეთესო გვარის თავად-აზნაურნი იქ ჩაყვებოდა და ყველანი ერთხმათ დამაწევდენ ბანს, როცა თხოვნისათვის მარჯვე დროს შევარჩევდი... ამიტომაც თვალს

არ ვაშორებდი მას, ახლო-მახლო ვუტრიალებდი, და რამდენიმე ტკბილი სიტყვით თვალი ავუხვიე მისს თარჯიმანს. მხოლოთ ერთი წამით მოვაშორე თვალი, მაშინ, როცა სატევანიშვილმა, რაც ძალი და ღონე ქონდა, აისროლა ბურთი.

იმდენი ვაჟკაცის მკერდიდან, როგორც ერთი კაცისაგან, მოისმა მამაცური კიჟინი.

ტურაჰამიაშვილების საკერძოთ იმ დღეს ერთობ ცოტა მობურთალი იყო მოსული, და ამიტომაც გადაეწყვიტათ, აგდებისთანავე, როგორმე ეშოვნათ ბურთი და იმ წუთშივე თავიანთ ცხენოსნებისთვის მიეცათ ლელოსთან მისატანათ. მართლაც, წყობილობის ისეთი თავდარიგი დაეჭირათ, ისე დაეყენებინათ თავიანთი მომხრე ქვეითნი თუ ცხენოსნები, რომ ასროლისათანავე ბურთი მათ ჩაიგდეს ხელში და გადაცეს თავიანთ საუკეთესო ცხენოსანს ზურაბ ცალკალამიძეს, შვენიერს, ყაზახურის ჯიშის ცხენზე ამხედრებულს და მარჯვე ადგილს გაჩერებულს. ზურაბმა დაიჭირა ბურთი კბილით, დაიმოკლა სადავე, რადგანაც მობურთალნი მიჯრით იდგენ და ჯგლითი იყო, და, რაც შეიძლებოდა, სიმალით მიმოაძვრენდა ჯარის სისქეში ბედაურს, სანამ მისი დასტის ცხენოსნები გზას გაუხსნიდენ და სამი მხრით შემოერტყმოდენ მცველებათ. მაშინ კი, მოგეცათ სიცოცხლე, მისცა ცხენს სადავე და წავიდა შვილდის განატყორცი ისარივით. მას ცხენ-და-ცხენ მიყვებოდენ სამოცი მომხრე, უკან კი მისდევდენ დანარჩენნი მობურთალნი. თვითონ ზურაბი შედგა უზანგებზე და მარჯვენა ხელით მუნჯურათ ანიშნებდა თავის მიმყოლებს—ვის საითკენ, რა სადავით და რა სიმალით წაეყვანა თავ-თავისი ცხენი... ისე გაიტაცა სიხარულმა ტურაჰამიაშვილების მხარე, რომ მოყვენ ძახილს: „ლელო ჩვენია, ლელო!“ ბავშები ლობეებსა და ხეებზე ადიოდენ და ისე იძახდენ „ლელოს“; ქალები ფერადს მანდილებსა და ლეჩაქებს აფრიალებდენ... ის-ის იყო ზურაბი ბურთის სასროლზე უახლოვდებოდა ლელოს, შეიქნა კიდეც ერთი კიჟინი: „ლელო ტურაჰამიაშვილებს! გაუმარჯოს ზუ-

რაბს! — ზურაბ! ზურაბ!“ მარა... გგონიათ ისროლა და გაიტანეს ლელო? — არ შეგჭამოსთ ჭირმა!

პირველში, როცა ტურაჭამიაშვილებმა მათი ხერხი იხმარეს, ცხვირგძელიშვილებისანნი შეწბენ, მარა მაშინვე გამოერკვენ და ასე, ოთხმოცდა-ათიოდე საუკეთესო ცხენოსანნი, მზე-ჭაბუკ ბურჯიაშვილის წინამძღოლობით ხმა-გაკმენდილნი გამოუდგენ ბურთის წასართმევათ. რაკი იმდენ ბრბოში ვერ გაატანდენ, დროის მოსაგებათ გადუხვიეს მინდვრათ, დარაზმდენ ერთ წყებათ ლარივით და როცა მარჯვე ადგილი იშოვნეს, ძალზე გააჭენეს ცხენები, ატაკეს მოსახლის ლობეს მკერდით, თივასავით წააწვინეს ის მიწაზე და დაუარეს თავი ზურაბის დასტას. ქუსლნაკრავი და ალვირ-მინებებული ცხენები გაიშალენ წელში, მიწის სისწორეზე გამართეს სახსრებში ძარღვებ დაჭიმული ფეხები და მუცლით ბალახს ეხებოდენ, ისე ქარბუქივით გასწიეს ძუა-ფაფარ აფრიალებულთ. მოისმა ყივილი: „ვერ წაგვიხვალთ! ხელი ბურთს!“ ეს იყვენ მზეჭაბუკის დასტისანი. რა იყვენ, ღმერთო! მართლა მზეჭაბუკნი იყვენ! უნაგირზე ლერწამივით სწორათ იჯდენ, გაჩეჩილ სქელ თმაზე ფაფანაკ გადაგდებულნი, მხარ-ბეჭში სქელ განიერნი და წელში კალამსავით წვრილნი, — ერთს ვერ ნახავდით ახლანდელსავით ღიპიანს, — სწორი და ლამაზის სახისანი, შავ გამომეტყველ თვალებიანნი, მტრებსაც კი გულის ხალისზე მოიყვანდენ!..

მალე გათავდეს ჩვენი ქვეყნის მტერი, მალე ისინი დახვდენ წინ ზურაბის დასტას. ზურაბმა უკან გაბრუნება არ იკადრა და, რაკი წინ წასვლა აღარ შეეძლო, ქნა განი თავის დასტიანათ და მოინდომა, ცხენის იმედნეულმა, მარჯვნით მოეარა და ისე მიეტანა ბურთი ლელოზე. მარა, როგორც კი იბრუნეს პირი, ჭენებ-ჭენებითვე შეერიენ მათ მზეჭაბუკისანნი. თვით მზეჭაბუკმა გამოიღო ფეხი უზანგებიდან, ისკუპა და დაახტა ზურაბის ცხენს გავაზე, მოხვია ზურაბს ხელები და გრიგალივით შოლდვა ხმა იქაურობას: „აბა, ვაჟკაცებო, მიშველეთ,

მიმაყვანიეთ ეს ასე ცხენიან-ბურთიანათ ლელოზე!“ ზურაბს მიაშურა მისმა მომხრემ, რომელმაც გამოართვა პირიდან ბურთი. მას მივარდა მოწინააღმდეგე, ორივე მხარეს მის-მისი მომხრე წამოეშველა და შეიქნა ჯგლითი. მხედარი მხედარზე მიდიოდა ცხენის მკერდით; ამ დროს ქვეითებმაც მოაწიეს და შევიდენ ცხენოსნებში. გახურდა ხელჩართული, ცხენოსან-ქვეითის შერეული შეჯიბრება ბურთის შოვნისათვის... გასაკვირველი ის იყო, რომ იმდენ ჯარში, ცხენების მიგდებ-მოგდებისა და ყალყზე შედგომა-გახტუნების დროს, კაცს არაფერი უშავდებოდა! როგორ ვთქვა, სულო ცოდვილო, თვარა მაშინდელი ბედაურები, მგონია, ბევრ ახლანდელ ყმაწვილებს ჯობდენ ზნითა და საქციელით...

ჯერ კიდევ შუადღეს გადაცილებული არ იქნებოდა, ბურთი ისევ იმ ადგილას იყო. ჩვეულებისამებრ სამი წილი თამაშობდა, ერთი დასვენებული იყო და გულის ფანცქალით უყურებდა მომხრეებს... შაღლა ჰაერში ადიოდა გაოფლიანებულ ცხენებისა და კაცების ორთქლი, ოფლის სუნი მძიმეთ ხვდებოდა ცხვირს, ისმოდა მოთამაშეთა გუგუნი და ცხენების ფრთხვინვა-ჭიხვინი. მთელი თემი ირგვლივ შემოერტყა ახლა სამზერათ ამ ერთ წრეთ შეჯგუფულ მობურთალთ, მათ მიხლა-მოხლასა და გაწევ-გამოწევას...

უცებ გაისმა თავზარ-დამცემი, გულის გამგმირავი და წელის მომწყვეტი ღრიალი:

— „ბრუსილოვი მოკლეს!“

ბურთი ყველას დაავიწყდა. ამდენმა კაცმა, ცხენოსანმა თუ ქვეითმა, ერთათ იგრიალა მთის ნიაღვარივით და გასწია იქითკენ, საიდანაც ეს შემზარავი ხმა მოისმა. მეც, სხვებსავით, ამიტაცა ადამიანების ცოცხალმა ტალღებმა და ისე გამარბენიეს მთელი ის მინდორი, რომ მიწაზე ფეხი არ დამიდგამს, ბევრი ქალი და ბავში, მოხუცი და ვაჟკაციც დაშავდა ამდენი ხალხის აზვირთებით გაქცევაში, მარა მაშინ ვინ ფიქრობდა ამას!

— „ბრუსილოვი მოკლეს!..

— არ გაუშვათ მკვლელი, არ გაუშვათ!“ ისმოდა ყოველ მხრიდან და ყველასაგან.

შეინძრენ და მორბოდენ ისინიც, ვინც სოფლათ დარჩენილიყო. ვინ კეტით მოისწრაფოდა, ვინ თოფით ან სხვა იარაღით; ვისაც არაფერი ქონდა, ღობეს აძრობდა სარს და იმითი მოეჩქარებოდა „არ გაუშვას“ ძახილით. მალე ადამიანებს აყვა საქონელიც და ყურთა სმენა წაიღო უწესრიგოთ ხმა არეულმა ღრიალმა, ბღავილმა და ყეფამ. ელვასავით გამირბინა თავში: ბრუსილოვისათვის თვალი რომ არ მომეშორებია, იქნება ვერ მოეკლათ და ჩემი შვილი... მარა აზრის დასრულება არ დამცალდა; ეს უზარმაზარი ბრბო უცებ გაჩერდა და, რასაც ვფიქრობდი, დამავიწყებინა, ისე მიმახეთქა ვილაცებს და მეც მომეხეთქენ ყოველ მხრიდან... რანაირათ ავძვერი თვალ-უწვდენელ კოპიტის შუამდე, ვერ გავიგე, რადგანაც გონებას მაშინ მოვეგე, როცა იქვე, სულ ახლოს, მომესმა: „აქ ბძანდება! ცოცხალია! ნუ გეშინიათ! ცოცხალია!“ გადავიხედე და ბრუსილოვი დავინახე ჩირგვებიდან მომავალი... მაგარ-მაგარ რუსულ სიტყვებს ხარჯავდა ყველა ჩვენებურებზე, გაგულისებული, დათვივით მობუზღუნობდა და ისე მოდიოდა... მუხლის თავებზე და, რომ გამშორდა, ნიდაყვებზეც მტვერი დავუნახე... მის უკან მოლაპარაკობდენ მაცთურათ მოღიმარნი, დაქვეითებული ათიოდე ცხენოსანი თავადიშვილები. მინდვრათ რომ გამოვიდენ, ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს, გაიწ-გამოიწიეს და ხალხს დაახევინეს შუაგულ მინდვრისაკენ; აღარავინ არ დატოვეს იმ მზღვარზე, სადაც მე, ხიდან ჩამოსული, ვიდექი.

ერთი მათგანი, შორი-ახლო ნაცნობი ჩემი, მომიახლოვდა მთხოვა მისი ცხენი ცოტა ხნით დამეჭირა სადავით, — აგერ მეზობლისას მინდა ჩავიდე, პირი გავისველოვო. როგორც კი დამიტოვა ცხენი, მაშინვე მოვაჯედი უნაგირს და უცნაურმა ცნობის მოყვარეობამ მომანდომა გადახედვა იმ ჩირგვნარისა-

კენ, საიდანაც ბრუსილოვი და ის თავადები გამოვიდენ... მივანებე ცხენს სადავე, ნელი ტარებით გავცილდი იმათ და დობილოში შევრგე თავი. უცებ რაღაცა ძაღლის მსგავსმა ჩამირბინა... ცხენი დაფრთხა, გახტა განზე და მე, შენი მონა, ტახტის აზნაური ყრონტი, კაი მაგრა მდვა ბარდ-ეკალზე, ისე, რომ ხელ-პირი საფანტ-ნაკრავივით დამისისხლიანა. როგორც იქნა ავდექი, გადავისვი თვალებზე ხელი, მიმოვიხედე—ცხენი აღარსად ჩნდა. არ შემიწუხებია ამითი მაინც და მაინც თავი—ვიცოდი, ან ის პატრონს მოძებნიდა, ან პატრონი მას,—ახლა საზრუნავათ შემექნა ხელ-პირის დაბანა. მინდვრით მოსახლეებისას გადავსულიყავი—არ მინდოდა, იქვე შევუდექი ბინულის (წყაროს) ძებნას—ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში რა ხშირია ეს მიწის ძუძუს მადლიანი რძე... არ გამიდგამს არც ორმოცი ბიჯი, რომ მომესმა ნელი ჩუხჩუხი... გავუჩქარე, გავედი საცალ-ფეხო გზაზე. დობილო გათავდა, დაიწყო ტყე. ჩუხჩუხი უფრო მკაფიოთ მესმოდა, მარა წყალს ვერსად ვხედავდი. გზადაბნეულ აფხაზივით მივენდე ჩემი ყურთა-სმენის ალღოს, გადვიარე ის ბილიკი, მივადეგ ეკლითა და კრიკინათი გადაბურდულ ჩირგვს. ძლივს გადავწ-გადმოვწიე აქით-იქით ბარდი და დავინახე—პაწია ღელე ქურდულად მიიპარებოდა იმ ხშირ ეკალ-ბარდში.

გავძვერი, მარა ჩემსავით არ გაჭირვებია არც ჩვენებურ დაუღლებულ ქათამს ბოსტნის ღობეში გაძვრენა. ხელ-პირის დაბანას რომ შევუდეგი, კაცის ხმა მომესმა. დავუგდე ყური. ქალების ხმა გავარკვიე... გავკმინდე სული და გადავიქეცი სმენათ... ხმა თანდათან ახლოვდებოდა.

— ასე წაბძანდი, ჩემო თვალის სინათლეო!.. აქეთ, ჩემო დიდებაო!.. მე მომყევი, ჩემო ბატონო!.. ნუ სწუხარ, შენ შემოგევლოს შენი პირმთვარისა!.. შენ არ მომიკვდე, იმან შენ აწი აღარ მიგატოვოს! დიდი კაცია, შენ გენაცვალე, და დიდკაცობის ზნე ხომ იცი: ლამაზ ქალზე რომ გული შეექნება, სანამ სასიყვარულოთ არ შეეყრება, მანამ არ დაწყნარ-

დება... მე აგერ არ გყავარ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი... მაგისთანა საქმეები მომიხერხებია და მომინამუსებია განსვენებულ ჩემის ქალბატონის და შენი დედამთილისათვის?!. ჰაიპე, ჰაიპე, ჰაიპე!.. ის ხომ არ გეფიქრება, შენ გენაცვალე, რომ აგებ ვინმე შემხედავდაო! შენ არ მოუკვდე ჩემ თავს, ისე დროიანათ გამოვწიეთ, რომ ჩვენ თვალს ვერავინ მოგვკრავდა. ამის ჯავრი ნუ გაქვს...

ამას ამბობდა აჩქარებით და სულ-დაუთქმელათ მოხუცებული, მომცრო ტანის, წელში მოხრილი, ძველ ქათიბა ჩაცმული ქალი. ის გამდელი უნდა ყოფილიყო. მას უკან მოყვებოდა ყმაწვილი ქალბატონი, მდიდრულათ ჩაცმული, ლამაზი, თვალ-ტანადი, ისეთი კაი გვარისა და დიდი ოჯახის შვილი, რომ... ახლაც გულს ჩამთუთქავს, რომ გამახსენდება... ეტყობოდა ძალიან შეეშინებია გრიალ-ღრიალით იმდენი ხალხის მოულოდნელათ თავზე წადგომას. შიშისაგან ჰკუაც ოდნავ არეული უნდა ქონოდა, ისეთ სიტყვებს ხარჯავდა... ჩიხტაკოპი გვერდზე მოქცეოდა, როგორც ბუხრის ქუდი კახელ დარდიმანდს; სახე გაფითრებულს, ტუჩებზე ლაინის ფერი ეკრა, წამოწითლებულ თვალებს კურდღელსავით მიმოატრიალებდა... ეტყობოდა, გამდელს არ უსმენდა... მისი გულის ყური არეული იყო...

— „ჰო, რა მოხდა ისეთი, რაც არ ქნილა,—ამბობდა ის ხვნეშით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ,—რა იქნა... მთელ ქვეყანას რომ მოუყრია თავი... ბრუსილოვს ჩვენში ვინ შებედავდა სასიკვდილოთ?!. ასე როგორ გამოსულელდა ამდენი კაცი... შენ დამიფარე უფალო!.. აი, თავს ლაფი დავასხი მანდილაშვილს და მის თარჯიმნობას, კაი აზნაური და ვაჟკაცი ის არ იყოს!.. ამისთანა საქმეში კაცს თუ ულვაში ასხია, მზირობას იკადრებს?!. უბძანეს ყარაულობა და უნდა ეყარაულა... თუ ლაჩრობს და მოყურადებას კადრულობს, ყური მაინც უნდა უვარგოდეს... თვარა... რა იყო თქვენი ჰირიმე... რუსის დიდკაცმა... რა უყოთ მერე...

— ქალბატონის რძალო, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, სულ დაივიწყე ეს შემთხვევა... გულს ნუ მოიყვან... მალე შენი მტერი და ავი შეჭამოს ჭირმა, მალე შენ ისევ იმ დიდ კაცს შეხვდე... არა, ეს კი უნდა ვთქვა გამოტეხილი, რომ ამ საქმეში რაც მოხდა, ყველაფერს მიმხვდარი ვარ, მხოლოთ ის ვერ გამიგია—რა ღრიალებდა იმ წუწკ მანდილაშვილს—ბრუსილოვი მოკლესო?

— ბეჩა, პირმთვარისა, მანდილაშვილზე უფრო ახლო შენ არ იყავი?.. გამოასულელებს ჩემი გამჩენი იმას, მაინც არ არის ჭკუიანი!.. ღენერალმა მაყურჭათ შეკრულს ვერაფერი გაუგო... მე **მოკლეს** ბატონო-თქვა, ვუთხარი და... დედა... მორთო მაგ შერცხვენილმა მანდილაშვილმა ღრიალი: „ბრუსილოვი მოკლეს! ბრუსილოვი მოკლეს!..“ ქვე არ წამომაყენა ამდენი ერი და დარბაისელი თავზე!..

— მერე და ჭირი მიგჭამე... და აქ გამდელმა ჩუმათ ჩაუჩურჩულა რაღაც ყურში გაზრდილს.

— ვა ბეჩა, პირმთვარისა, გამოსულელდი მგონია, ამ სიბერის დღეს... ჩემით რავა, უნამუსო ვიყავი, თუ?!.

— ეს... მეტი არაფერი... გულზე გასკდა, რატომ ცოლი ან ქალი არ აირჩია ჩემიო, და ვითომ შემარცხვინა... დედა... აბა, რა სირცხვილია თურმე... ქვეყანაში პირველ კაცს, ხელმწიფის ტოლს თუ მოეწონე!..

— მეტი არ შეგჭამოს ჭირმა, ღენერლის სიყვარული სირცხვილი და თავის მოჭრა არ იყოს... მარა, ჩემო სულის დგმა ქალბატონო, რათ არ მიჯერით, ჩვენთვის არავის მოუკრავს თვალი-თქვა, რომ მოგახსენებთ?..

ამ ლაპარაკით ორნივე ჩაცილდენ იმ ადგილს, სადაც ვიყავი და მერე აღარაფერი გამიგონია მათგან.

— ძალიან არ გაგიკვირდებოდა მაგისთანაების გაგონება? —ჩავუმატე მე.

— გაკვირვებით? აჰ... აგცდეს კაცხის ზარბაზანი, გაკვირვება მე მაშინ ამცდა. მაგისთანა საქმეები, ბატონო, იმ დროს,

რუსები რომ ახალი შემოსულნი იყვენ ჩვენში, სულ ხშირი შეიქნა, აღარავის უკვირდა.. მაშინდელი მოხუცებულნი რუსებს აბრალებდენ... მარა... აჰ... ეს ტყუილი უნდა იყოს... მართალია, კბილს დალაქი თხრის კაცს, მარა იმიტომ, რომ კბილის პატრონს უნდა... და თვით კბილიც არ ვარგა... გაგიგონია ძალათ რომ ვინმეს მოთხარა დალაქმა კბილი?! როგორ გეკადრებათ,.. დროს ვერ ავყევით, ვერ დავხვდით მომზადებულნი და დავეცით ზნით,—მეტი არაფერი... უპირველესი ბრალი ჩვენვე გვედება.

— ჰო, მერე, ჩემო ლომკაცი?

— მერე და... ასე, ერთი საათის შემდეგ, როცა თემში დავბრუნდი, ყვირილ-ღრიალი და ჯგლითი-სირბილი სიცილკისკისათ და მუსაიფათ იყო შეცვლილი...

ბრუსილოვზე ლაპარაკისათვის რომ ბოლო მოეღოთ, საპატიო თავად-აზნაურობის თხოვნით მღვდელ-მთავარმა თხოვა ყველას, ბურთის თამაში ისევ დაეწყოთ. არ გაუწბილებიათ მისი თხოვნა: როგორც ქრისტეს მაგიერი კაცის. მარა გულიანათ ვეღარ თამაშობდენ: ყველას ღიმილი და ოხუნჯობა ეკრა პირზე წინა წამს ნახულსა და გაგონილზე. ერთი გაცინება და ხმა მაღლა დალაპარაკება ამ სასაცილო შემთხვევაზე თითოეულისათვის ღირდა თითო სოფლათ,..

როგორც იქნა მოესწრენ თამაშის გათავებასაც.

ლელო ცხვირგრძელიშვილებმა გაიტანეს.

ორთავე მხარეს ისე ეჩქარებოდა გულის შეჯერება იმ საამიკო, თვალით ნანახ ამბავზე ლაპარაკითა და ყბათ აღებით, რომ არც ლელოს გამტანს დაუცია დიდხანს გამარჯვების კიჟინა, და არც მეორე მხარეს დაწყვეტია მაინცა და მაინც გული.

სუფრიდან არავისას არ ამდგარან მეორე დღემდე. ისე ხალისიანათ იშვიათად მოულხენიათ, როგორც მაშინ, მონასიბათ თქმულ შაირებს, იგავებს, მოსწრებულ სიტყვებს ზომა არ ქონდა, როგორც გულით სიცილსაც. ქარაგმით ლაპარაკს ხომ

მაშინ ალო დაუდგა. რაღა თქმა უნდა, რომ ყველაფერი ამის საგანი ბძანდებოდა ბრუსილოვი... აიღებდა, მაგალითათ, სმის დროს ერთი ვინმე ორ ყანწს, ან დანას, ისე შერჩევით, რომ ერთი უგრძესი ყოფილიყო მეორეზე და ეტყოდა მეზობელს: ამ ორში რომელს აირჩევ?

— მე... მე... ამ მოგრძოს: ღვინო უფრო მეტი ჩავა შიგ, და ბატონი ბრუსილოვი კი **მოკლეს** აირჩევდა, რადგან ის უფრო ლამაზია! ან და:

— მე ამ მოგრძოს, რადგან უფრო დიდ ნაჭრებათ მოვთლი ბეჭს და ბრუსილოვი კი **მოკლეს** აირჩევს, მიტომ რომ უფრო მოსახმარია სხვა რამესთვისაცო...

ყველაზე გვიან ლხინი გათავდა იმ ლამაზ ქალისას, ახლა რომ მოგახსენეთ... თუმცა მისი ქმარი, უჩასნაჩალიკის მდივანი, წინა დღით ფიცხელი მოწერილობის ძალით რაღაც საქმის გამო სხვაგან იმყოფებოდა, მარა ამას არ დახედა სტუმართ-მოყვარე დიასახლისმა და იმდენს ეცადა, რომ ბრუსილოვი იწვია სადილათ. უღარბაისლესი თავად-აზნაურნი, საუკეთესო მომღერლები და მაცეკვარნი მისას ჩავიდენ, რაკი შეიტყეს, ვინ ყავდა სტუმრათ... მეც იქ გეახელი. სამაგალითო მასპინძელი იყო და სტუმრებმაც შვენიერათ მოულხინეს... უზარმაზარ ჭანდრებ ქვეშ გაშლილ სუფრას ორი დღე და ღამე არ დაკლებია არაფერი, რაც პირს იამებოდა და კუჭს დაატკბობდა.

სანთლის ანთებისას დიასახლისს თავი ატკივდა, გვითხრა, ჩემს მაგიერობას ეს ჩემი ნათესავი მზეჯავარი გაგიწევთო და თითონ წავიდა. შუაღამისას, როცა ცოტა გაუჯდა თავში საჯაოხურის წვენი, ბრუსილოვმაც ბოდიში მოითხოვა, ხვალ ადრე ვარ წასასვლელი საქმეების გამოვო და დასაძინებლათ წაბძანდა. გზაზე გავეგე ფეხ ქვეშ და წამოვუყაჭე, რაც მქონდა შესავედრებელი... კარგი, კარგიო დამპირდა, მარა რათ გინდა... დაპირება ქართველური იყო და მოტყუილება რუსული“...

უცებ შედგა ჩემი ცხენი და ჩემი თანამგზავრის ჯორიც. თურმე მასპინძლისას მისულიყავით. ჭკუიანმა პირუტყვებმა შეგვატყეს, რომ რა საგნისთვისაც მათს ზურგზე შევჯედით, იმას გადავცილდით და თავისით შედგენ. მასპინძლებმა მოგვკრეს თვალი და ისე გულმხიარულათ გამოგვეგებენ, რომ ჩემი ყრონტიც გაიტაცა მათთან დარბაისლურათ მისალმების მზადებამ. ეხლა სულ ბუკით რომ გეყვირათ, მას ველარ გააგონებდით ვერც ბრუსილოვს, და ვერც მანდილაშვილის **მოკლეს**!..

# მოშივებულთ მადა.

## **სცენა დუქანში.**

(ვუძღვნი მათ, ვინც ამ ამბავს მომშეულზე წაიკითხვენ).

შუა შემოდგომა იყო. კოკის-პირულათ წვიმდა. ქიათურაში ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი შეწყდა, ხმაურობა მიწყნარდა. მაღაროებში მომუშავეთა გარდა, ყველამ სახლებს, დუქნებს ანუ სხვა რამ სახურავებს მიაშურა თავის შესაფარებლათ. ქალები და ბავშები ძლივს გადიოდენ გზებზე მოვარდნილ, შავი-ქვის მტვრისაგან მელნათ გადაქცეულ ნიაღვრებს.

ყვირილაზე გადამდგარს, ჩვენებურს ერთ ისეთ დუქანში, სადაც ერთათ თავსდებიან პატრონი, იგივე დახლიდარი, საჭმელ-სასმელი, მუშტრები, შინაური ფრინველი და დედა-ღორი გოჭებიანათ, თავი მოეყარა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხი-

დან გადმოხვეწილ მუშებს. აქ იყო კუდაბზიკობას გადაჩვეული იმერელი, მაჭახელა-გადავიწყებული გურული; მეგრელი, რომელიც თავის დღეში ცხენზე არ მჯდარა; რაჭველი, რომელსაც არც კურტანი მოუკიდია ზურგზე, არც მესტვირეთ უვლია და არც მათხოვრათ; ლეჩხუმელი, რომელსაც არასოდეს ქურდისათვის ხელი არ დაუცლია; სვანი, ქალაქის გემოალებული და ქართლელი, კუჭის წვისაგან ქართლს გარეთ ფეხ-გადადგმული.

მუშტრები გავიდენ ღრიალით მიმდინარე და უცებ ადიდებულ ყვირილაზე გადადგმულ აივანზე და მოითხოვეს სადილი. გაიმართა ამისთანა შემთხვევაში ქართველ მედუქნეებთან ჩვეულებრივი დავა:

— რას ინებებთ, ბატონო?— შეეკითხა მედუქნე.

— რა გაქვს?

— რასაც ინებებთ!

— მწვადი შეგვიწვი და ღვინო მოგვიტანე!

— სამწვადე არ გახლავს!

— მაშ, აბა რა გაქვს?

— რასაც მიბძანებთ!.. და ასე, ამ გვარათ იდავეს, სანამ მედუქნემ არ მოართვა, რაც ქონდა და მოშივებულნი არ შეექცნენ მას, რაც მოუტანეს.

გამხმარმა პურმა, დაძმარებულმა ღვინომ და ქვა-კირათ გადაქცეულმა ყველმა თითოეულ მათგანს მოაგონა და მოანატრა შინაურული საჭმელი.

— აი, ბიჩა, ჩემს ოცხილებ ქვეშ, მოხდილ ჭურის თავთან დამაჯდინა ახლა თქვენიანათ, თქვა იმერელმა: რავა გაგბრუჟავთ, ბიჩა, კრახუნათი და რავა გამოგაძღებთ თორნის გახიკინებული, ცხელ-ცხელი მჭადებით და ჭყინტი ყველით!

— გიმინოდ, ძამია, ლომისკარელმა და ჯუმათის მაცხოვარმა! იმ შენი ოცხილების ქვეშიდან და ჭურის თავიდან, აგვსვა, დაგვსვა და ჩემ ოდის პარმაღზე დაგვსვა... ვაი, ნენა,

გამჩენის მადლმა, ერთ ლანდზე აგივსებდით სუფრას: უმარილ წასმულ ციცასავით თეთრი ღომით, მძალე-ძმარში გაკეთებული ქათმით, საცივათ შემზადებულ ინდაურით, კეცზე შემწვარ ჩვენი ბჟუჯის კალმახებით და საწებლით! ღვინო... კრახუნა ჩვენში მის დღემჩი არ ყოფილა, ჯანი და ჩხავერი ახლა ტელემაკ გურიელ'აც წამლათ თუ ეშოვება, თვარა მე ვინ მომცემს, მარა ანდასოულით კი კურცხლებს გადმოგაყრევინებდით თვალებიდან... კურცხლებს!..

— ქვე ამ გურიელმა მადაზე მომიყვანა-ჰი! მრავალ-ძლის წმინდა გიორგიმ აგასრულებიოს თქვენი ქადილი! ქვე, მეც არ შეგირცხვებით-ჰი, მაშინ. ჩემსა, ამბროლაურში, რომ მოგაბძანათ-ყე, ქალს ჯორის ტლინკებივით დავაფაცურებდი, ხელათ დამცხვარ თორნეულებს-ჰი, რძით გაზდილ გოჭუნას, შამფურზე კანდაბრაწვით შემწვარს, ხონჩით მოგართმევდით-ჰი, თან ერთ ჩაფს, თამარ მეფის თვალებივით შავს, ღვინოს გვერდით ამოგიდგამდით-ყე!..

— ჰო და, კაი მოგცეს ღმერთმა, მაგ კაი მასპინძლობაზე მეც სირცხვილ-ნამუსიანათ დაგხვდებოდით ჩემს ოპიტარაში,—ჩაურთო ლეჩხუმელმა. თუ ღმერთი თქვენისთანა პატრონსნებს მაწვევდა, ისე რა ჩემი ცოდვა გამოაცალიერებდა ჩემს ბელელ-მარანს, რომ კეცებზე დამცხვარი აფუებული პურები, რგვლათ მოხარშული ორი-სამი მთავარი—უკაცრაული მოხსენებაა—ყველული, სიმსუქნისაგან—უკაცრაული მოხსენებაა—კურტუმო გადმობრუნებული; ლადარში შემწვარი ახალი—უკაცრაული მოხსენებაა—კვერცხები და ჰურიდან ახალ ამოღებული ალექსანდროულის ნუნუა თქვენდა საკადრისათ არ მომერთმია!..

— ჰაი, ჰაი, დაილოცოს იმერეთის პურ-ღვინო! რა იშტაზე მომიყვანეთ, თქვენი გაჩენის მზემა, რო იცოდეთ, ერთ-ერთი ეხლავ წამიყვანდით სახლშია, აი!.. ჩემდა თავათა, შვილოსა, თქვენისთანა ბიჭებისათვის კაკლის ძირშია სუფრასა მწვანეზე გავშლიდი და ზედაც დაგიდებდით ღვთისაგან მოცე-

მულსა ნამცხვრებსა, მოხარშულ დეკეულის ხორცსა, მწვანილსა, მოთალსა და ერთ-ორ თუნგს წითელ კახურსა. ვენაცვალე იმის გამჩენსა, ჰაი!

— ჩემსასუ ახალ შემოდგომაზე დაგპატიჟებთუ, დასძინა მეგრელმა. თქვენს მოსაწონსუ ვერაფერს გიშოვნითუ, მარა იმისანა ჰანდირს ძირში დაგაჯდენთუ, თუ ღმერთმა დარიინება, რომე დადიანს და გურიელს ეკადრებოდეს. მერე, სულ რომ ჩამოვითხოვო, ან მოვიპარო, მაინც მოგართმევთ: ახალ სულუგუნებს, ცივათ მოხარშულ ქაცარს (თიკანი), ტაბუცუნითუ, მაწონს, სიმინდეის ღომს, ჭყინტ სიმინდს ნაკვერცხლებზე შემწვარს, გარჩეულს, ახალ-ახალ თოთო ნიგოზსუ და თხილსუ, შემწვარ კვახს, წაბლივით რომ პირში იფშვნებოდესუ და ორ-სამ დოქს წყაროში ჩაცივებულ ადესის ღვინოსუ. მეტს ვერაფერს დევიტრაბახებ სწორებით... აზნაურობაში დამტკიცებამ გამწყვიტა წელში, თვარა ამისთანა მასპინძლობასუ რავა გკადრებდით, უწინდელ ყოფაში რო ვიყო, თქვენ ხართ ჩემი პარტენი!..

— ჰო და მე თქვენისთანა პატიოსნებში წვევას მოვნდომებივარ და სამაგიეროს ზღვევა როდისღა მერგება-და? აღარც ისეთი ბალანა ვარ, რომ მრავალს ჟამს გავძლო... თუ-და ვიცოცხლე იმ ჟამამდი, რომ თქვენ გნახავდეთ ჩემს კოშკში ბეჩოს,— ერთს, სომეხივით ჩარგვალებულს, ძროხას დაგიკლავთ, —სუკი ბევრი ავა ზედ, სათბილო და ბეჭი... მიზდექით და ბლაყნეთ... ქერის პურებს კიდევ პევრს დაგიყრით ზედ, გუდით არაყს გამოგიკოტრიალებთ, თუ გინდათ ქე ჩეიხრჩვით შიგ... სხვა რომ მოინებოთ რამე კიდევ, ჩიყვს თუ მომჭამთ, თუ არა მეტს ვერაფერს გიშოვნით-და...

# ოცდახუთ მანეთიანი ლია წერილი.

— იცით, ყმაწვილებო, რა გითხრათ?—ეკითხებოდა სკამლოგინზე მხარ-თეძოთი წამოწოლილი მასპინძელი, ახალგაზრდა ექსელბანდებიანი აფიცერი ალექსი თავის წვეულ ამხანაგებს, რომელნიც აქა-იქ სკამებზე ისხდენ და დივანზე წამოწოლილიყვენ მდიდრულათ მორთულ დარბაზში.

— ორი წვეული გვაკლია მაინც, მათ მოსვლამდე რომ სადილი ვჭამოთ, უზრდელობა იქნება და ამბით გაგართობთ, თუ მოსმენის გუნებაზე ხართ და სილიბისტროს ნაამბობს არ დაახარჯეთ რაც თქვენ ნერვებს სიცილის ძალი ქონდა?

— თქვი... ჰო... აბა, მოყევი... მიაძახეს აქეთ-იქიდან ამხანაგებმა, რომელთაგან ბევრს წინდაწინვე მოდიოდა ღიმილი.

— ჰო... ახლა, გავიხედე და შემოდის ჩემი გამდელი და მეუბნება: ბატონო, დღეს ნასტიას მაგიერ ახალგაზდა რუსისვე გოგო დაგიყენეთ, ნეფის სასახლეს რომ ეკადრება, ისეთიო... ჰმ... მიამა... ხომ იცით ჩემი ამბავი: ახალ გაზაფხულს საჯანმრთელოთ, ახალ ხილს გემოსათვის, ახალ პარტიას ბანქოში გასართობათ და ახალ გოგოს... მოსამსახურეთ არაფერი მირჩევნია ქვეყანაზე...

მოვღუშე სახე. შევკარი წარბები, რომ გამდელს ეჭვი არაფრისა აეღო და ვუბძანე:

— შემოვიდეს, ვნახო!

არ გასულა ორი წამი, გაიღო კარი. შემოვიდა, მარა რა შემოვიდა!.. ერთი სიტყვით, რუსის პირობაზე რაც კი შეიძლება, კალმით ნახატი სილამაზის იყო! ბრგე წარმოსადეგი, მკერდ მაღალი, მხარ განიერი, რძე და ღვინის ფერი ჩაფუნთრუშებული ლოყები, ჟუჟუნა თვალები... ცხვირი კი ქონდა, უნდა გამოგიტყდეთ, ცოტათი აპრეკილი, მარა მე რა მენაღვლებოდა; იმას ის აპრეკილი ქონებოდა!.. ამიარ-დამიარა ცე-

ცხლმა ძარღვებში... გამდელი რაღაცაზე დავსაქმე და გავის-ტუმრე ოთახიდან...

— რა გქვია სახელი? დავეკითხე ჩემ ახალ სამოახლოს.

— ტანია, ბატონო! მიპასუხა. ჰმ, ვიფიქრე: დასტურ, რომ კაი ტანია... ღმერთმა შეარცხვინოს მაგაზე უკეთესი ვი-საც ქონდეს ტანია... მართლაც რომ იქნება კარგი... და აქ ისეთი რითმა შეწყობილი მოსწრებული სიტყვა მომივ და თავ-ში, რომ გითხრათ სწორეთ მოგეწონებათ, ნამეტურ ახლან-დელ ძალათ-პოეტების რითმაზე, მაგრამ ეს სამერმისოთ იყოს...

— რამდენი წლისა ხარ? ვკითხე.

— თვრამეტის, ბატონო!

— რის მაქნისი ხარ-მეთქი?

— ყველაფრის, ბატონო!

— ჰო, ჩემო ტანია, ეს მომეწონა შენგან!

— სიამოვნებით ვეცდები ყველაფერი ვქნა, ბატონო!

— ჰო, ჩემო ტანია, შენ იცი აბა, თუ მასიამოვნებ, მეც გასიამოვნებ-მეთქი!

— გულმოდგინეთ ვეცდები თქვენს სიამოვნებას რითაც შეიძლებაო...

ამ სიტყვებთან ისე აათამაშა თვალ-წარბი, რომ, როგორც ელვას, ისე ძლივს მოვასწარი შეხედვა, მარა მაინც საკმაოთ ვიგრძენი ის, რასაც ყველა იგრძნობდა ჩემ ალაგას...

ძლივს დაღამდა. შევედი კაბინეთში, ჩავიცვი ხალათი. ვი-ფიქრე: რუსს მამაცური საქციელი უყვარს და გაბედულათ მოპყრობა, რაღას ვაგვიანებ, ბარემ შემოვიხმობ და ეხლავ განვუმარტავ ჩემ საშინაო ცხოვრების პროგრამას-მეთქი...

დავრეკე ზარა. გავილურსე. მოისმა ფეხის პაკა-პუკი... ველი ტანიას შემოსვლას. გულმა უჩქარა ცემას. როგორც იქნა გაიღო კარი... აი, დაწყევლოს ღმერთმა: ჩემი გამ-დელი!

— დაუძახე ტანიას-მეთქი, შევუბღვირე საწყალობელს.

— ტანია, ბატონო, ტანს იბანს, აუზში გახლავსთ ახლა...

გამდელი გავისტუმრე. მიამა, რომ ისე ყვარებოდა სიწმინდე... დავრჩი მარტოკა ოთახში. დავიწყე წინ და უკან სიარული. ვიარე, ვიარე, ვწიე პაპიროსი პაპიროსზე, მომწყინდა. ავდექი და მივედი აუზის ოთახის კარებთან... მინდოდა გამეგო, როდის გაათავებდა ტანის დაბანას... დავაკაკუნე კარზე თითით. ისიც იქიდან მოადგა კარს და „ვინ ხარ მანდო?“ იკითხა.

— მე ვარ-მეთქი.

— ამ წამს, ჩემო ბატონო, ამ წამს გავათავებ... ახალი მოდის საპნის ხმარება მომიხდა, მე სულელს, და ბევრი ვარდის წყლის გადასხმა და დაზელა დამჭირდა, იმიტომ დამაგვიანდა. ახლავე, ჩემო ბატონო, ახლა ვიცვამ, ნუ გამიწყრებით, ბატონო!

ისეთი გულ-უბრყვილო კილოთი ამბობდა ამას, რომ... ხომ იცით ჩემი ამბავი, რა გამოკაპოეტებული ვარ ამისთანებში, მარა მაინც დამიბნია კვალი...

დავბრუნდი ჩემ მარტოხელს ოთახში. ვწევ პაპიროსს, სიგარას, ჩიბუხს, არ ამითავდა არაფერი... გავათავე რაც თუთუნი მქონდა.. მარა მაინც არსათ ჩანს ჩემი ტანია... მოვკიდე წანაკითხ გაზეთს ხელი, გადვიკითხე აქა-იქ ხელ-მეორეთ... ბოლოს მომბეზრდა და გადავაგდე... წამოვწიე თავი, დავუგდე ყური... ფაჩუნიც არსაიდან ისმის... წაველი, მივადექ ისევ იმ ნაცნობ კარს... დავარაკუნე.

— ამ წამს, ბატონო, ამ წამს... ეხლავე გეახლებით, ბატონო! მომესმა იგივე ეშმაკური ხმა...

დავბრუნდი. მივუჯედი ჩემსავით არეულ საწერ მაგიდას... უცებ თვალი მოვკარ ნაცნობი ხელით ნაწერ ბარათს. გავხსენი, ვკითხულობ: „ძმაო ალექო! დღეს საღამოს 10 საათზე შენი სტუმარნი ვართ: მე, ძია ვანო, ასლანი და პეტრე. შენი და ირინე“.

ვეცი ზარას, ვრეკე და ვრეკე, სანამ გამდელი არ შემოვიდა...

— აგრაფენა, ვინც უნდა მოვიდეს, ვინც, გესმის, ასე უთხარი: ბატონი შინ არ არის და დღეს არც მოვა-თქო! ახლა კი წადი.

დავხედე საათს, 9 საათი იყო.—ეე, ვთქვი ჩემ გუნებაში, ეს კი ნამეტანია! წამოვდეგი თუ არა, გაიღო კარი და ჩემი ტანია აკი შემოვიდა! მიტრიალდა უცებ და ღია დატოვებული კარი მაგრა მოიხურა... ავდექი, მიუახლოვდი და მოვინდომე შემემოწმებინა, თუ როგორი ოსტატობით დაებანა ტანი, მარა ქურციკის სისწრაფით გამიხტა განზე და მომხიბლველის კოპწიაობით შემომიტია:

— თქვენ თქვენს ადგილას იყავით და ნუ ღელდებით, ბატონო აფიცერო, თქვენს არწივისებურს თვალებს ვერც ერთი მოწინააღმდეგე მაინც ვერსად დაემალება!

გამაშტერა ამ მარჯვედ და სამხედრო კილოთი თქმულმა სიტყვებმა. უნებლიეთ შევჩერდი. ერთი წუთი დრო გავიდა, მეტი არა, მარა ვგრძნობდი, რომ დამარცხებული ვიყავი... სიყვარულის საქმეში, როგორც ბრძოლის ველზე, წუთი ყველაფერს ნიშნავს...

გავიმაგრე ისევ გული, არ შევიმჩნიე პირველი იერიში რო გამიცუდდა და დავუწყე მოქარგული სიტყვებით საუბარი:

— ჩემო ტანია, შენ სამხედრო კაცის შვილი ხარ?

— დიახ, ბატონო, მამა ჩემი ფელდფებელი იყო...

— ჰო... კიდეც იმიტომ ხარ მასე იერიანი, ყოჩაღი... მა...მა...ცი და თანდათან ვიწევოდი, მარა რამდენი მე მივიწიე, იმდენიც იმან გაიწია... მივიდა ფანჯარასთან, წამის უმალეზე გაალო და ჩამოჯდა დაბგაზე.

რას იზამ ახლა? მიხვალ? ქუჩიდან ხალხი დაგინახავს... ხერხი ჯობია ღონესაო, თქმულა, და იმ შეჩვენებულმაც სწორეთ ასეთი ხერხი იხმარა!

— ერთი მითხარი, შე ცუგრუმელა: შეიძლება მხურვალე გრძნობით დავეწაფო შვენიერ შინაარსს ღვთაების იმ ტურფა თხზულებისას, რომლისათვის ადამიანს ტანია დაურქმევია?.. არ იფიქრო, რომ მე თუ ნაწარმოები ისე მომეწონება, როგორც ეხლა, ერთი-ორი გადაფურცვლის შემდეგ მივატოვო... არ...

აქ ისეთი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით შემომხედა, ისეთი საამო ვარდის ფერი გადაეკრა ლაწვებზე, რომ ეტყობოდა ჩინებულათ გაეხსნა ჩემი სიტყვების ყველა ქარაგმები.

— ბატონო, თქვენი ხომ არ არის ის თხზულება, რომელიც აგრე მოგწონებიათ? გადაფურცვლამდის ჯერ უნდა შეიძინოთ მგონი, არა? სხვისი საკუთრება...

— ეს არაფერია, ტანია... ვინც ვარგა, სხვისიც მისია და მისიც მისია!..

საშინლათ მოეწონა ეს ანდაზა... გულიანათ გადიკისკისა, და რატომ ათჯერ მაინც არ განიმეორა:

— რა კარგათ უთქვამთ, რა კარგათ უთქვამთ!

მერე მომაჩერდა... მომაჩერდა... ოდნავ დამიქნია თავი და ხმა აკანკალებულ ფუჩუნით გადმომილაპარაკა:

— შეიძლება... რატომ არა...

აქ თვალები იატაკს დააპყრო და თითის ფრჩხილებს ნაზათ დაუწყო კვნეტა, და სწრაფათ შემეკითხა:

— ბატონო, იცით რა უნდა გთხოვოთ?..

— თქვი, ნურაფრის მოგერიდება...

— ერთი თუთხმეტი მანეთი მიბოძეთ ჯამაგირის ანგარიშში... ძლიერ მეჭირვება... ღმერთმანი, ერთგულათ გემსახურებით... ჩემი ბატონი... დავიმსახურებ უთუოთ...

ამას ისევ თავ ჩაღუნვითა და ბრჩხილების კვნეტით ამბობდა... ფუნთრუშა ლოყებზე ისევ ალმური ადიოდა... ფანჯრიდან სიო შემოვიდა და ტანიას თმა-ლოყებიდან ანასხლეტი ოდეკოლონის სურნელება საამოთ მომბერა...

— კარგი, კარგი, მივუგე მე და გავიკარ ჯიბეზე ხელი,

ამოვიღე ქისა, გავხსენი და ვნახე, რომ ობოლი ოცდა-ხუთი-ანის მეტი არაფერი ჰქონდა შიგ... თვის ოცდა-სამიც იყო ჩემდა ცოდვათ... მაგრამ ეს მერმე მომივიდა ფიქრათ... იმ წამს სულ სხვა გუნებაზე ვიყავი.

— ჰა, შე ეშმაკო, დაახურდავე და ხვალ ნაშალი მო-მეცი...

- - არა, ბატონო, ამას ამ წამში დავშლი, ქვეშ რომ სა-კანდიტეროა, იქ ჩავალ და...

ვუთხარი, ახლა რა საჭიროა-მეთქი, მარა ისე დამძვრა თვალსა და ხელს შუა, რომ პირ-დაბჩენილი დავრჩი...

არ გასულა არც სამი წამი, გაიღო შემოსავალი კარები, საიდანაც ტანია გავიდა და მოისმა რამდენიმე ადამიანის ფე-ხის ხმა. მივვარდი კაბინეტის კარს... იმისთანა შენ მტერს: იმ შერცხვენილს კარები ღია დაეტოვებინა და ირინე მისი სტუმრებიანათ თავს ბოქაულებათ წამომადგენ... ვეეი... ვიფი-ქრე... დამიგვიანეს ახალი თხზულების წაკითხვა...

რაღა დროს დამალვა იყო. მიღებას ვინღა გკითხავდა, უჩემოთაც დაიპყრეს სახლი... თავ-თავის დრზე ბანქოც მონა-ხეს და ბუფეტის გასაღებიც... მთელი ის საღამო ისე ვიყავი, თითქო ნემსებზე ვიჯედი. ისეთ არეულ პასუხს ვიძლეოდი სტუმრების კითხვებზე, რომ ერთმანეთს თვალებით ეკითხებო-დენ: რა დაემართა ამ კაცს, რა ჭირს დღეს უცნაურიო??

გავიხედე და ერთი საათის შემდეგ აკი შემოგოგდა ჩემი ტანია... წარმოიდგინეთ, მართლა ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველა იქ მყოფნი, ნამეტურ კაცები, ერთმანეთს მოწონების და გაკვირების ნიშანს აძლევდენ.

— ბატონო, მობძანდით ერთი... ეს თქვა თუ არა, გაი-წია კარებისაკენ და ზედ დირეზე გაჩერდა. მივედი. მოვინდო-მე წინა ოთახში დამეწია და მეც გავყოლოდი, რომ თხზულე-ბის სათაური მაინც გადამეკითხა, მარა ისე მაგრათ იდგა, რომ ეტყობოდა, უომრათ არ დაცლიდა ადგილს და საომარი დრო კი აღარ იყო.

— ბატონო, ჩემო ბატონო, ის ოცდა·ხუთ მანეთიანი ბარემ დარჩეს ჩემზე..., დედა მომადგა კარზე... თქვენზე მითხრა — თუ არ მოგცემსო, წამოდი სხვასთან დაგაყენებ, ის წლისას იძლევა წინ-და-წინაო. ხვალ დილით პრისტავი თურმე ყველაფერს უყიდის დედა ჩემს!

ამას ისეთი ნელი, საიდუმლო კილოთი და მომხიბლავი ხმით ამბობდა, რომ თავს ტარაბუა დამასხა... თან შემაშინა კიდეც წასვლის მუქარით...

— კარგი, მიირთვი... ოღონდ იცოდე, მალე მოდი-მეთქი.

— ახლავე, ბატონო, დედა ჩემი აქ არის საკანდიტეროსთან... მივცემ და ამ წამს ამოვალ... წავიდა, მარა წინა კარებთან მისვლამდი, მოტრიალდა და ისევ მიმიხმო. კიდევ დირეზე გაჩერდა ის შეჩვენებული!

ძლივს გავიგონე, ისეთი ნელი და აკანკალებული ხმით წამჩურჩულა:

— ბატონო... იცით რა... აუზის ოთახში შემობძანდით სწორეთ ათი წამის შემდეგ და იქ დაგხვდებათ საამოთ გადაშლილი ის თხზულება, რომელიც ასე მოგეწონათ მარტო სათაურით... ამის გაგონებამ გამზრინა, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და გავქვავდი იმავე ადგილზე, სადაც ის ტკბილი სიტყვები ჩამეწვეთა ყურში.

— კაცო, შემოგვხედე ერთი... რა ეშმაკმა გაგაშეშა მანდ... აწ ის... გოგოა, თუ ქალბატონი, აღარ მოვა მეტს, თუ როგორ არის შენი საქმე? მომაყკირეს ჩემმა დაუპატიჟებელმა სტუმრებმა. ყია-მყრალმა ირინემ არც ეს იკმარა და დაუმატა:

— ვინ იცის... ხშირათ გამოცდილ მეჩიტბადესაც გაუფრინდება დაჭერილი ჩიტი ბადიდან, მთელი თავ-ტანით გაბმული რომ გონია ისეთი...

ძლივს გადავრჩი ათი წამის ლოდინს. დავხედე საათს და ისარმა გადიწია თუ არა მეერთმეტისაკენ, მოვიმიზეზე კბი-

ლის ტკივილი, ვუთხარი სტუმრებს, რომ როგორც შინაუ-რებს, უჩემოთაც გაეტარებიათ დრო; შევედი საწოლ ოთახში, ჩავკეტე კარი და იქედან შევიპარე აუზის ოთახში...

ოთახი ცალიერი დამხვდა... ის თხზულება ვერ ვნახე... ვიფიქრე, დააგვიანდა-თქო, და რომ მოცდა არ მომწყენოდა, ავავსე აუზი და ჩავედი შიგ. გავიდა ოცი წამი... არავინ მო-დის. ამოვედი, გავაგე დივანზე ზეწარი, მერე გადავიფარე და დავწევი. ვიტრიალე ბარე ერთი საათი გვერდიდან გვერდზე, შამფურზე წამოგებულ გოჭივით... ვარ ერთ ყურის ცქვეტაში, მარა... აჰ, არ შეგჭამოს ჭირმა... ჩავედი კიდევ აუზში, დავყა-ვი ნახევარი საათი, ამოვედი, წამოვწევი; მომწყინდა, ისევ აუზს მივმართე; იქ დავიღალე, კვლავ დივანზე გავიშხლართე... გავ-წვალდი ასე... დავხედე საათს, მერე იყო ღამის... დავრეკე. შემოვიდა გამდელი. ერთი შეგინება მილიონს მერჩია, მარა შევიკავე თავი.

— სტუმრები წავიდენ?

— დიახ, ბატონო, წავიდენ... ბატონო, ტანია რა იქნა, არ იცით?

პირაქეთ მკითხა იმ შეჩვენებულმა.

— რა ვიცი, რა იქნა! როდის ვიყავი მე ტანიას მცველი! შენ უფრო არ უნდა იცოდე?

— არ ვიცი, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემ თავს! საკანდიტე-როში ვიკითხე და მგონი სამასხაროთ ამიგდეს: ოცდახუთ მა-ნეთიანი გამოეტანებია ბატონს და ის დავუხურდავეთო, მერე კი აღარ გვინახავსო...

— ჰო, ეს მართალია, ფული გავატანე დასახურდავე...

— უი, ჩემი სიკვდილი! მაშ აწ თქვენ ველარ ნახავთ იმას... ისე იცის იმ შეჩვენებულმა... სადაც დადგება ყმაწვილ კაცთან, პირველ დღესვე არ დატყუოს ფული და არ გაიპა-როს მაშინვე, არ შეიძლება... ღმერთო მომკალი! ოცდახუთი მანეთი... ვითამ მაგდენი ფული რამ მიგაცემინათ, თქვე და-ლოცვილო...

— შე კაი ადამიანო, მერმე და თუ მაგისთანა იყო, ვერ გამაფრთხილე... ან რათ ქირაობდი მაგისთანა ადამიანს?!

— ბატონო, რომ არ დამაცალეთ..., რამდენჯერაც შემოვედი, თქვენ და ის რომ ლაპარაკობდით მაშინ, იმდენჯერვე მომიშორეთ თავიდან... გატყობდით ძალიან გულით გინდოდათ მარტო დარჩენა და მეც ჩვეულებისამებრ, გშორდებოდით. მაინც, რა ვიცოდი, თქვე დალოცვილო, თუ მოყვანისათანა...

— კაი, კაი; ნუ გააპრტყელე ენა! დაწევი აწი! წინა კარს ნუ დაკეტავ მაინც, ვინ იცის, ეგებ დედასთან წავიდა და დააგვიანდა, შეიძლება გათენებისას მოვიდეს.

მეორე დღეს, დილის ათი საათი იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. წამოვხტი, გავაღე ფანჯარა და ისევ ჩავწევი ლოგინში. დილის სიომ შემოატანა ოთახში, დამწვდა საბნის ქვეშაც და კიდევ უფრო საიმ... რა ქვია ვაჟო... სამამაცო გუნებაზე ვიგრძენ ჩემი თავი...

ვიკითხე, ტანია თუ მობრუნდა-მეთქი, მარა მეტათ ნუ მოგიბრუნდათ მტერი, ის ჩემთან აღარ მობრუნებულიყოს...

საუზმეთ ვიჯედი, რომ ფოსტალიონმა შემომიგზავნა ღია წერილი. ქალის ხელი იყო... შიგ ეწერა მხოლოთ ექვსი სიტყვა: „ვინც ვარგა, მისიც მისია, სხვისიც მისია“...

საერთო სიცილი გაისმა დარბაზში.

# გარემოების ძალა.

(ნესტორა და კარაპეტა).

186... წელს, ხონში, მაშინდელ იმერეთის მრეწველობის შუაგულში, ვაჭრობა დაიწყო საიდანღაც ახალ მოსულმა ნესტორა ნახულაშვილმა. ის იყო შუა ხნის, საქმის კაცის შეხედულობის, ზორბა ტანადი, ცოტათი ღიპიანი, მოკლეთ შენაკრეჭ შავ წვერ-ულვაშ-თმიანი. ბაზრის საუკეთესო, ყელ-ადგილას იქირავა სამი დუქანი ერთად და დაიწყო ვაჭრობა თევზეულობითა და მარილით. დუქნების კარებს, ზემოდან, სიგრძისად გააკრა შავი ფიცარი თეთრი ზედ წარწერით: „თევზეულობითა და მარილით ვაჭრობა ნარდად და წვრილად ნესტორ ნახულაშვილისა“.

ხონელები გამრჯელნი და მომჭირნენი არიან, ალებ-მიცემობაში გაწრთვნილნი და გაბედულნი, მარა ამ თვისებებთან ბევრ მათგანს ერთი ახირებული ზნეც ჭირთ: ჩამოსულები, ვინცა და რა ხელობისაც უნდა იყვენ, არ უყვართ, ნამეტურ თუ შეატყეს, ადგილობრივ ფეხის მოკიდება უნდათო.

ამიტომაც, არ უნდა გაგიკვირდესთ, რომ დიდი ჩოჩქოლი შეიქნა ხონში, როცა ნესტორა თავის დახლს ამოუჯდა. ბაზარი შეუდგა საიდუმლო გამოძიებას ნესტორას ვინაობა-სადაურობისას, მარა იმის მეტი ვერა გაიგესრა, რომ ვაჭრობის დაწყებამდე იგი რამდენჯერმე ჩამოსულა ხონში ორი-სამი დღით, რაღაცას აკვირდებოდა, ვიღაცაებს ეფუჩუნებოდა, რომ ის გორელი ვაჭრის შვილი უნდა ყოფილიყოს, მდიდარი მამის-ერთა...

ეს იყო და ეს. ამის მეტი მისი ავან-ჩავანის ვერა შეეტყოთ-რა, თუმცა იგი ხონში ჩამოსვლის დღიდანვე ყველას ენაზე ეკერა: ბევრს როგორც მეტოქე, რომელმაც ბარე ორს კიდეც აალაგებინა დახლი, ზოგს როგორც ამქრის უცნაური

კაცი, რომელმაც დინჯი და სინიდისიერ ვაჭარ ხალხისათვის ხანდახან ნამუსიანი ხელის გაწყობა იცოდა, და სხვებს კიდევ, ნამეტურ დედებს, როგორც მდიდარი სასიძო კაცი...

ნესტორას შესანიშნავი სიფრთხილით ეჭირა თავი, როგორც ვაჭრობაში, ისე კერძო ცხოვრებაშიაც—ვაჭრობდა სინიდისიერათ, ბევრს წვრილ ვაჭრებს ნისიათ აძლევდა საქონელს, მარა იმდენათ ხელშისაცემ ფასათ, რომ ყველა დროზე უხდიდა ვალს, და კვლავაც უსაღებდენ საქონელს. კერძო ცხოვრებაში ერთ-ორს რიგიან ოჯახს გაეცნო, თუმცა მათთანაც იშვიათათ დადიოდა, და მაშინაც, როცა მივიდოდა, ერთობ ფრთხილი იყო სიტყვა-პასუხში. ეკლესიაში წირვა-ლოცვას არ დაცდებოდა, რაც უნდა ტაროსი ყოფილიყო, ანუ რაც უნდა მძიმე საანგარიშო საქმე ქონოდა...

მღვდელ-მთავრის ხონში ჩაბძანება წმიდა დღესასწაული იყო კრებულისათვის: ნესტორა გაუმასპინძლებლათ არ გაუშვებდა დაბიდან მათს მეუფებას, და მუცელ ფართო მამები სამოთხეში გრძნობდენ თავს მისს უხვს სუფრაზე. ახალი ხიზილალა, შემწვარი ლაფიცხოურები, თართის დოშები, ზურგიელები, შესაფერი საწებლებით, საუცხოვო ზეთის ხილი, ათი წლის ოჯალეში, გალმით დადიანის მამულიდან დიდი მეცადინეობითა და ძღვნობით შეძენილი, და ბევრი რამ სხვა საძლომათ და სათრობათ იყო სუფრაზე.—ყოველი წევრი კრებულისა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჭამა-სმაში. სადილის ბოლოს, რაც მათ პირს გადარჩებოდა, საჭმელი იქნებოდა თუ სასმელი, შინ მიქონდათ ხურჯინით, და, ვისაც ხურჯინი არ ექნებოდა—ხურჯინის მსგავსს ჯიბით. ნესტორა გულხალისიანათ შეყურებდა ასეთს სიხარბეს სულიერ მოძღვრებისას, და ხშირათ ნელი ღიმილით გადუძახებდა ხოლმე, როცა რომელიმე მათგანს შეკდემას შეატყობდა: „არაფერია, მამაო, მიირთვი, მიირთვი, სამაგიეროს ჯოჯოხეთის კარზე მოგთხოვ“.

ისე კარგათ მიდიოდა მისი ვაჭრობა, რომ ხონში ჩამოსლვის ხუთი ექვსი წლის შემდეგ უკვე დიდი მდიდარი ბობო-

ლა იყო,—რასაკვირველია, იქაურ სხვა ფულიანებთან შედარებით. გარემო ვაჭრები იმას ეკითხებოდენ ჭკუას, საქონლის მაზანდას და აღებ-მიცემის ყოველგვარ რთულ საქმეში რჩევას. —ირგვლივ ოც ვერსზე ვაჭრისა და გლეხის ოჯახს ვერ ნახავდით ისეთს, რომ ნესტორას სიძეობას მონატრულებული არ ყოფილიყო.—ბევრი მაშვლები გააწბილა, სანამ გორიდან არ მოიყვანა ახალგაზდა მეუღლე, შუშანა, ბავშობიდანვე თურმე მასთან შეზრდილი, რომელიც, ქმარსავით, ქართლის სომხურ კილოზე უქცევდა ცოტათი ლაპარაკს.—ხასიათით და მომჭირნეობით ორივე ცოლ-ქმარი სრული მსგავსება იყვნენ ერთმანეთის. ცოლის მოყვანის შემდეგ ნესტორას სადგომის კარი არც უფრო გაღებულა, არც უფრო დახურულა, მხოლოთ დუქნის უკანა ოთახების მაგიერ, თავის სადგომი გადიტანა სამ თვალიანს სახლში, რომელიც შეიძინა კიდეც თორმეტი ქცევა მიწით ერთის ხონელ მემამულესაგან, და ჩინებულათ მოაწყო ყველაფრათ.—შუშანას კვირაობით თუ დაინახავდით ეკლესიაში, თორემ სხვა დროს სულ ოჯახში იყო საქმეში გართული. ალიონიდან სანთლის დანთებამდი მისი შესვენება არ იქნებოდა, თუ იშვიათი ავათმყოფობა, ან და ხან-გაუმცდარი ლოგინობა ხელს არ უშლიდა. ისე მოაწყო ოჯახის მეურნეობა, რომ ფრინველეულობას, კვერცხსა და რძეს თვეში ათი თუმნისას ყიდდა. მისი ქათმების ხორცი და კვერცხი და მისი ძროხის რძე ქუთაისამდე გაითქვა. ახლო-მახლო სოფლელებს ქათამი და ან ძროხა რომ მოეწონებოდათ, „ნახულაშვილის ნოგროსი, ან ჯიშისააო“ იტყოდენ...

იშვიათი მოვლენა ის იყო, რომ ნესტორას და მის ოჯახს ხონში თუთხმეტი წლის დაბინავების შემდეგაც ბევრათ მეტი პატივისმცემელი და მაქებელი ყავდა, ვიდრე მაგინებელი და ცილის მწამებელი. ფრთხილი ხასიათი, თავის ქერქში დატევის ცოდნა, საკუთარი ოჯახის საქმითა და აღებ-მიცემით ყელამდი გართვა,—თვით ხონში და ხონის არე-მარეშიაც შეიქნა მისი ყოფა-ცხოვრებისათვის იქაურის ჭორებისა და ცილის

წამების ამცდენი. ამ თვისებათა გარდა, კიდევ ერთი მისი საქციელი უწყობდა ხელს მისი სახელის შეუმწიკვლელობას: ნესტორას დუქნისათვის აყავდა თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ჭაბუკები, წვრთნიდა ვაჭრობაში და ასწავლიდა წესიერ დახლიდრობას. ერთი-ორი წლის შემდეგ ერთათ აძლევდა ჯამაგირს სარგებლის ზედ-მისვლით, და სადმე მარჯვე ადგილას, იქვე ხონში, ან მახლობელ დაბა-სოფელში ახსნევინებდა პატარა სავაჭროს, ხოლო საჭირო კრედიტს წინდაწინვე უკეთებდა ქალაქის დიდ ვაჭრებთან. ასე შვიდი ჭაბუკი გამოიყვანა კაცათ, შვიდს ბედნიერს ოჯახს მისცა დასაბამი მისმა კაცთ-მოყვარე საქმიანობამ. შვიდივე მისი ერთგული, მლოცველი, ხელ-მისაცემი მუშტრები იყვენ...

სოფელი ცვალებადია. არც ნესტორას და მისი ოჯახის ბედი, ბევრისათვის სანატრელი, დარჩენილა უცვლელი. ერთხელ, ქუთაისში მიმავალი ფაეტონი, რომელშიაც, ოთხს სხვა მგზავრებს შორის, ნესტორაც იჯდა, ცხენებმა გაიტაცეს. მაღლაკის ეკლესიასთან ფაეტონი გადაბრუნდა. ხუთთაგან სამი მძიმეთ დაშავდა და ორი იქვე მოკვდა. იმ ორში ერთი ნესტორა იყო... დილით ქალაქისკენ სავაჭროზე მოსაგებათ წასული, იმავე დღეს საღამოს სახლში მიასვენეს გაცივებული, მკვდარი. მეხუთე დღეზე მეზობლების და ნაცნობების უწვევრათ, მხოლოთ მისი შვიდი ნადახლიდრების, მღვდელ-მთავრისა და კრებულის დასწრებით მიცვალებული მისმა ქვრივმა მიწას მიაბარა. კუბო ორი იყო, ერთი მეორეში ჩადგმული, ორივე რკინის, რადგანაც ქვრივი, ანდერძის თანახმათ, შემდეგ გორშივე უპირებდა წასვენებას.

უტირლათ, მეზობლებისა და ნაცნობების უწვევრათ დასაფლავებამ ასეთი მდიდარი კაცისამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს დაბაში და მიდამოებშიაც. ბევრმა ახლა დაუწყო ლანძღვა-გინება განსვენებულს. მაგინებელთა შორის იმისთანანიც ერიენ, რომელთაც ნესტორასაგან არა ერთხელ გაუმართავთ ხელი გაჭირვების დროს. როგორც ყოველთვის, ახ-

ლაც გამეორდა ერთი უმცირესთაგანი მსოფლიო კანონისა: მოძღვრავნი, სირცხვილ-ნამუსისაგან სინიდის გაღვიძებულნი, გაჩუმებულნი იყვნენ, და ნამეგობრალნი კი ლაფშ-მოხევით ითათხებოდენ: ქელეხის ულუფის დაკლება ერთობ წვავდათ კუჭს!

ავი ენებისათვის მალე გამოცხვა კიდევ უკეთესი სალუკმო, როცა გამომჟღავნდა შინაარსი ნესტორასა და მისი მამობილის, გორელთ ვაჭრის, კარაპეტა ტერ-ასტვაწათურიანის ანდერძებისა. ანდერძებზე უფრო ყველას აოცებდა კარაპეტას წიგნი.., „თურმე იმიტომ არ იკარებდა არავის ჩვენგანს, რომ სომხურათ ყოფილა მარილ-წყალში მონათლულიო. ჩვენს ეკლესიაში თურმე ეშმაკობით დადიოდა, რომ უფრო შემოგვძრომოდაო“... ყოველ ორ წელიწადში ერთხელ რომ ყმაწვილ ბიჭებს იცვლიდა... თითოულს მათგანს, რომ დუქნიკელას ულებდა, გგონიათ, სულის სიწმინდით მოდიოდა ეს!.. და ამას ისეთის სახის მეტყველებით ამბობდენ, რომ სრულიად უმანკო ადამიანიც მიხვდებოდა, რა ბრალსაც სდებდენ უენო მიცვალებულს. ბევრი რამ ამისთანაები გამოუგონეს კიდევ. საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული დაბა, როგორც მშიერი ლუკმა-პურს, ისე მადიანათ მოეკიდა მეჭორეებისაგან შეხანხლულ ავან-ჩავანს ამ უცნაური კაცისას.—ყველა იქაური—ქალი, თუ კაცი ცისმარა დღე ალიონიდან დაძინებამდის შეექცეოდა ამ ჭორების მოთხრობასა და მოსმენას. იმ დროსვე ხან მომთხრობი და ხან მსმენელი, ვინც უფრო კაი გუნებაზე დარჩებოდა, სხვისაგან გაგონილს თავის მხრითაც ჩააპწნიდა უცნაურ ალნაქვსებსა და ქართულებს... „დააწვინეს რწყილი და აშობინეს აქლემი“.

მაშინ ნესტორას ქვრივს, პირველათ ხონში ჩამოსვლის შემდეგ, გაახსენდა გორში ხშირათ განაგონი ქართული ანდაზა: „ღმერთმა დაწყევლოს ამერეთში გორი და იმერეთში—ხონიო!“ მისდა გასამწარებლათ საკმაო იყო სიცოცხლით სავსე ქმრის უეცრათ სიკვდილიც, და ეს საზომს გადაცილებული

ცილის წამება ხომ ჭირის ფიალას ამავსებელი წვეთი შეიქნა. შუშანამ მაინც არ გაიტეხა გული, არამედ მტკიცეთ გადაწყვიტა სრულიათ გაექარწყლებინა ყველა საზიზღარი ჭორები, რაც მის ქმარს მოუგონეს და უგონებდენ: დაუყოვნებლათ მიიპატაჟა მთელი დღით ორი ქალი, ნესტორასაგან დავალებულ მეზობელ ვაჭრების ცოლები, გაანდო მათ მთელი თავგადასავალი ნესტორასი, გადააწერინა ქმრის ანდერძი, მამის წიგნი და ანდერძი, და, რადგანაც მათი შინაარსის ხალხში გავრცელება სურდა, ყველაფერი დააფიცა გადამწერლებს, რომ ხორციელი ადამიანისთვის არ ეთქვათ და არ ეჩვენებიათ, რაც მისგან მოისმინეს და გადაწერეს იმ დღეს. მანამ იმდენი და ისე გულითადათ ეხვეწა, სანამ იმათაც ქმარ-შვილები არ შემოფიცეს, რომ ვერავინ სულდგმულთაგანი ვერაფერს გაიგონებდა მათგან გაგონილის და გადაწერილისას.

მეორე დღეს, რასაკვირველია, ყველაფერი დაწვრილებით ქონდათ გაგონილი იმ ხონელებსაც კი, რომელნიც საქმეებისა გამო რამდენიმე წელიწადი ქუთაისს ფეხ-მოუცვლელათ ცხოვრობდენ... ჭორს თავი დაუარა ჭორისავე ბილიკებით გატარებულმა სიმართლემ, შეერია მას და ამოხადა მთავარი სული. მეჭორეებს დაებნათ დავთრები, მათმა მოყურადეეებმა ვეღარ გაიგეს—სად თავდებოდა სიმართლე და სად იწყებოდა მოგონილი, ისე აეპუწათ წარმოდგენა. ყველა ნალაპარაკევზე უფრო მათ აკვირვებდათ კარაპეტასაგან ნესტორას მიმართ მიწერილი წიგნის შინაარსი, რომლის მსგავსი მათ არც წაეკითხათ, არც გაეგონათ. ნესტორას ანდერძში მათს განსაკუთრებულს ყურადღებას ის იპყრობდა, რომ მთელს თავის თანხას, 100,000 მანეთს, საქველმოქმედოთ სტოვებდა.

მათ შორის 20,000 მანეთს დებდა სპარსეთის ქართველებში სკოლის დაარსებისათვის, რომელშიაც უნდა ყოფილიყო განყოფილებანი: მეურნეობის, ხელოსნობის და მეფუტკრეობის.—ამდენსავე ტოვებდა ოსმალოს საქართველოში, სახელდობრ ხახულის ხეობაში, იმისთანა ბანკის დასაარსებელ თან-

ხათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შემთხვევით გასაყიდ დიდი მამულების შეძენა და მათი ღარიბ უმიწაწყლო ხალხზე შეღავათიანათ გაყიდვა. ასი თუმანი დატოვებული იყო სვანეთში მარილის საწყობის გასამართავათ, რომ იქაურებს საშვალება მიცემოდათ ეს უსაჭიროესი მასალა ღირებულობის ფასათ ქონოდათ და არა ისე მამასისხლათ, როგორც წინათ, როცა გირვანქა მარილში ზოგჯერ ბათმან ქერს იხდიდენ. 15,000 ტოვებდა აბრეშუმის ჭიის სამაგალითოთ მოშენების მოწყობისათვის სამურძაყანოში და დაბა ოქუმში თესლის შერჩევის სწავლების განყოფილებით, სამ-სამ ათას მანეთს უტოვებდა თბილისში ქართულ მუზეუმის ამშენებელ კომიტეტს, ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას, სინას მთაზე და სხვ. წმ. ადგილებში რაც ქართული წიგნებია მათთვის განჯინების გასაკეთებლათ, და ვრცელი სამეცნიერო კატალოგის შედგენისათვის. ათასი მანეთი ნაანდერძევი ქონდა სომხების ეჩმიაძინის საკათოლიკოსო მონასტერს, კარაპეტ ტერ-ასტვაწათურიანის სულის საოხათ. დანარჩენს თანხას 31.000 მან. ტოვებდა თბილისში ქართველთათვის უნივერსიტეტის დასაარსებელ თანხათ; ცოლს სიცოცხლეში სასარგებლოთ უტოვებდა თავის მთელი უძრავი ქონების შემოსავალს—30,000 მან. მისს სიკვდილს შემდეგ კი ის შემოსავალი უნდა მიმატებოდა საუნივერსიტეტო თანხას. კიდევ ორი თხოვნა იყო ანდერძში ცოლის მიმართ: ერთი ის, რომ მას ყოველთვის ყოლოდა გასაზრდელათ გადაშენების გზაზე დამდგარ ხევსურების თითო-ოროლა ქალი წერა-კითხვისა და მეოჯახეობის სასწავლებლათ და მეორე—გადაწერილი პირი კარაპეტას წიგნისა დაეტოვებია იმ ობოლთა საკითხავათ, და დედანი კი მისთვის კუბოში ჩაეტანებია ისე, როგორც მას სიცოცხლეში ქონდა შენახული,—ვეცხლის საუცხოვოთ ნაკეთები კოლოფით.

რა იყო ასე ძვირფასათ მისაჩნევი იმ წიგნში? შუშანიკასაგან ნამუს-განდობილ ქალების ხელნაწერებში, რომელთ ნახ-

ვა არავისთვის არ იყო ძნელი, თუ კი სიტყვას დადებდა, რომ წაკითხულს არსათ გაამხელდა,—ეს ეწერა:

„შვილო ნესტორ! შენმა სიყვარულმა ამ წიგნის დასაწერათ კალამს ხელი მომაკიდებინა, თორემ სად მე, სად წერვა. —ტერტერას ვერ ვენდევი,—ვინძლო არ მოსწონებოდა, გავემხილე შანჭრაქებთან და ყალილა ეტეხნათ.

„რასაცა ვსწერავ, მას მხოლოთ შენ წაიკითხავ, ისიც ჩემს სიკვდილს შემდეგა. ამიტომაც, ყოველსავე სიმართლეს დაუფარავათა ვსწერავ ისე, როგორც იყო და იცის ღმერთმა.

„მამა შენი, გიგია ნახულაშვილი, ქალაქში გავიცანი. ორნივე სირაჯებთან ბიჭებათ ვიდექით, ძლიერ დავძმობილდით. ტოლები ვიყავით, ცხრა თუ ათის წლისანი. რა რომ ალები გვცემდენ, ერთმანეთთან მივდიოდით და ჩვენს გულის დარდსა ერთი-მეორეს გავუზიარებდით, დავსხდებოდით და ერთათ ვიტირებდით. ერთხელა ეგეთი პირობა დავსდევით: გორშია გავიპაროთ და იქ თავადებს შევაფაროთ თავი-თქო. ასრულებას ამა პირ-შეკრულობისას დიდხანს ვერა ვბედავდით, სანამ ალებმა ორნივე ერთსა და იმავე დღეს, თითქმის იმავ საათსაც, რჯულზე არა გვცემეს.

„მაშინ ავდექით გამწარებულები, ალებსა თითო მანეთ უზალთუნი დავპარეთ გზის ფულათა, და გავუდექით გზასა. მე თელაველი არუთინას შვილი ვიყავ, მამაშენი შორაპნელი აზნაურის კიკნაძისაგან გამოქცეულ გლეხის ხახულო ნახულაშვილის შვილი იყო. იმ ერთი ვაჟის მეტი შვილი არ გააჩნდა პაპა შენსა. თავათ მალე გამოსთხოვებოდა წუთის სოფელსა. მისი ობოლი, განსვენებული გიგია, მამაშენი, სამადლოთ სირაჯსა აეყვანა ბიჭათ. რა მადლსაც უწევდა, აკი ზევით დავსწერე.

„ხუთი დღე და ღამე ფეხით ვიარეთ. ჩაველთ გორშია. იქ ერთს თავადსა თავი შევაბრალეთ, ყველაფერი ჩვენი ჭირვარამი ანუსხვით მოვახსენეთ, დავუჩოქეთ ტირილით, ჩექმები დავუკოცნეთ. მასაც გული აუჩუყდა და მიგვიღო. ერთობ მუ-

ყაითად გვეჭირა თავი. მამაშენი მალე პირის ფარეში გახდა თავადისა, და მე ხაბაზსა ვეხმარებოდი. ჩვენი ახალი ბატონი დიდი ხმიანი თავადი იყო, ამირინდო, ანდუყაფარ სავარსამიძის შვილი, ბევრი ყმის პატრონი. მუდამ დღე სტუმრიანობა იყო. სულ დიდკაცობა, სულ ღენერლობა და რუსის მთავრობის კაცები დადიოდენ საქეიფოთა და დროს გასატარებლათ. —გიგია ბევრ საჩუქარს იღებდა მათგანა, სულ ნაღდ ფულსა. ერთი წლის შემდეგ მე უფროსი ხაბაზობა მერგო. ისეთს გრძელსა და ლაზათიანს ლავაშებსა ვაცხობდი, რომ ჩემი ბატონისას ყველანი ჩემს ქებაში იყვენ. მაშინ დამიწყეს ზოგიერთებმა საჩუქრების ძლევა. ჩვენ ორნივე ნაჩუქარს ფულებს ქალბატონსა—აკურთხოს უფალმა,—ვაბარებდით. ხუთი წელიწადი ვიყავით აგრე, ბედის მადლიერნი. ამ ხნის განმავლობაში ქალბატონმა გიგიას წიგნი ასწავლა, გიგიამ კიდევ მე მასწავლა. ვაჰ, რა დრო იყო!.. მეხუთე წლის ბოლოს, მე და გიგიამ ვიანგარიშეთ ჩვენი თანხები. ისა ოთხასი მანეთის პატრონი აღმოჩნდა, მე ოცდა ორი თუმნისა. სიხარულით ცასა ვწვდით.

„ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ სამიკიტნოს გაღება გორის ქალაქში; თანაც, ბატონის ოჯახი რომა მუშტრათ გვყოლოდა,—რიგიანი საქონელიც უნდა გვქონოდა: ჩაი-შაქარი, სანთელი, ბრინჯი და მისთანანი.—სანამ ჩვენს განზრახვას შევისრულებდით, ერთი წელი მეტი გავიდა. მიზეზი ისა იყო, რომ ქალბატონმა მანამდი ფული ვერ გვიშოვნა. ანგარიშის გაწმენდისას ბატონებმა სამი თუმანი ზედ მეტი გვაჩუქეს, დაგვლოცეს და ისე გაგვიშვეს.

„დუქანი რომ გავაღეთ, მოურავი გამოეგზავნათ და პირველი სიფთა მათ გვიჩვენეს. მას შემდეგ მათი დალოცვილი მუშტრობა არ მოგვკლებია. სხვებიც ბევრი თავადობა გვიშოვეს მუშტრათ. ჩვენმა შრომამ და საქმეზე მუყაითობამაც ბევრი მუშტარი გაგვიჩინა. ვაჭრობა, ღვთის მადლით, კარგათ მიგვდიოდა. მე დახლში ვიყავ, მამაშენი ფეხზე მეხმარებო-

და. საქონლის ყიდვა, ნისიას განაღდება—სულ მისი საქმე იყო.

„საიდანაც არ იყო გიგიას კარს მოადგა აზნაური კიკნაძე: მამაშენი ჩემი ყმა იყო, შენც ჩემი ხარ, და უნდა წაგიყვანოვო. ჩამოვარდა თავის გამოსყიდვაზე ლაპარაკი. რომ უფრო ცოტას დაეჯერებინა უეცრათ მოვლენილი ბატონი, მამაშენმა თავისი საამხანაგო წილი საერთო ვაჭრობაში ნაჩუმათევათა, ვითომ ნასყიდობით მე გადმომცა. ისე მენდო, აცხონოს უფალმა, ჩემთვის ბეითალმანიც არ გამოურთმევია. თავი ყმობასა დაახწია სულ ოცი თუმნითა.

„გავიდა დრო და ჟამი, ორნივე ოჯახობას მოვეკიდეთ, მე ორი წლით უფრო გვიან. ორთავემ ჩვენ-ჩვენი რჯულის ქალები შევირთეთ, ს. ხიდისთავში. წლის თავზე შენ ეყოლე მშობლებსა. ოთხი წლის შემდეგ ჩემი შუშანიკაც ეწვია ამ წუთი-სოფელსა. მამიშენის ცოლის ძმას მოვანათვლინე. ამ დროს მოხდა ის, რაც ბევრს ესიზმრებოდა: ხელმწიფემ ბატონ-ყმობის გაყრა ბრძანა. მთა და ბარი მაშინ გასწორდა, აი! ის წელიწადი და სამიცა შემდეგ ჩვენთვის ოქროს დრო იყო. ფული ჩენჩივითა დაზავდა. დახლის ყუთს მომატება დასჭირდა. ყველა ნისიები მაშინ თავის თავათ განაღდდა. ჩვენც გვემართა ბატონისა ასი თუმანი და მივართვით. ამ დროს შენ ცხრა წლისა იყავი. მამაშენმა ქალაქში ჩაგიყვანა და სემინარიაში მიგაბარა ბატონის დიდი შემწეობით.

„გახსოვს, შვილო, ერთხელ კლასიდან მოსულმა რომ მითხარი: ზღვის მოქცევას, ყოველთვის მიქცევაც თანა ჰყვებაო. სწორეთ ეს გვეწვია ჩვენც. რაც დრო გადიოდა, თავად-აზნაურობას ნისიების გადახდა თანდათან უძნელდებოდა, თუ არ სასამართლოს გზით, ისე თუმანსაც ვერ ვინაღდებდით. უწინდელი ხეირი აღარ იყო. ორჯელ-სამჯერ გიგიამ სიტყვაც ჩამომიგდო ვაჭრობის იმერეთში გადატანაზე... ვალი დაედვა ჩვენს ბატონსაც. ორი წელიწადი არ შეგვიწუხებია თხოვნითა: ბევრი დავალება ჰქონდა ჩვენზე და სინიდისი არ გვაბე-

დვინებდა. მესამე წელს ვიანგარიშეთ და სამასი თუმნის ნისია შედგა სარგებლითა მათგან წაღებული. მამაშენს ვუთხარი, წადი და სთხოვე-თქო. მან მე მირჩია წასვლა. პირველ დღეს უარი ვუთხარი, მარა შემდეგ რო აღარ მომეშვა, ნებას დავყევი. წაველ რაღა. მაშინ ბატონი გორში აღარ იდგა, სოფლათ ცხოვრობდა. სასახლეს რომ მივატანე, გულს ვარამი მომეკიდა იქაურობის დანახვითა. აშკარათა ჩნდა—ყმების მოშორებასა ბატონისას ქესატობა დაებუნაგებინა. სად იყო წინანდელი სიფაქიზე ეზოსი, სასახლისა და მთლათ გარემოსი?! ბატონმა შვილივითა მიმიღო. სტუმრები ერთიც არავინა იყო. თავის სუფრაზედაც დამსვა. მთხოვა მომეცადა, მალე გაგისტუმრებო, ყმებს ვანთავისუფლებო,—ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე. ვერა გავარიგე-რა, ისე წამოველ მეორე დღეს დუქანშია.

„გზაზე მამაშენის ბიჭი შემომეგება - წუხელის გიგია მოჰკლესო. საღამოთი სახლში მიდენილიყო, გზაზე მაყრიონს გადაყროდა. ერთს იმათგანს დამბაჩა დაეცალა, როყიო ტყვია გიგიას ძუძუს თავში მოხვედროდა და იქვე სული დაელია ცხონებულსა.

„განსვენებულის დამარხვის მეორე დღეს დავჯექ და ვიანგარიშე ჩვენი ავლა-დიდება: 40 ათასი მანეთის თანხის პატრონი გამოვედით. მე თითონ გამიკვირდა. ორმოცის შემდეგ დედაშენი მოვიდა და მთხოვა ანგარიში გამისწორეო.

„აი, მაშინა შემიჯდა ეშმაკი, მიქცია მხარი კეთილისა, ხელი აშალო ჩემმა მფარველმა ანგელოზმა და შევირცხვინე ულვაში! ვუთხარ თუ: ჩემო თინა, მწუხარებას ხო არ გაუგიჟებიხარ, რა ანგარიში, რის ანგარიში? განსვენებული ჩემი ამხანაგი დიდი ხანია რაც არ იყო-მეთქი, და თამასუქი გადავუშალე... დამარხვისა და ტირილის ხარჯათ ორმოცი თუმანი მქონდა მიცემული, ისიც ვალათ დავადევ.

„თინამ ბატონს მიმართა. დამიბარეს სოფელში... ვეახელ. გზაზე ზედი-ზედ მაგონდებოდა გიგიას და ჩემი ბავშობა, ბა-

ტონთან გორში მისლვა, მათი მფარველობა, ამაგი, მუშტრობა... თანდათან სინიდისი ჩემი ცოტათი ილვიძებდა... ეზოში რო შეველ, ერთი გული მეუბნებოდა „შეაფურთხე ეშმაკსაო“, დარბაზში რომ ბატონს თვალი მოვკარ, ჩემი თავი ქვეყნის ამამგდებელი ავაზაკი მეგონა. ერთი ტკბილი სიტყვა ებრძანებინა, როგორც კვლავაც იცოდა, ერთი... მეტი არა უნდოდა-რა ნამუსში იმ წუთს ჩემს ჩაგდებასა! მარა ჩვენის საქართველოის შვილებსა, შვილო, აშენებული საქმე ხშირათ უნგრევიათ, და აშენების შნო კი იშვიათათ გამოუჩენიათ. მაშინაც ასე მოიქცა ბატონი. დანახვისათანავე მომდგა უშვერი სიტყვითა და სამი მათრახი ისე გადამიჭირა, სულ ანგელოზები დამიფრთხო და ეშმაკები გამილიზიანა... რაც სიმხნე მქონდა მოვიკრიბე და დუქნისაკენ მოვუსვი! ეზოშივე ყური მოვკარ, ბატონი მემუქრებოდა: „ამ ერთს კვირაში თუ არ გასწორებიხარ ამ ქვრივსა, ოთხში ამოგიღებო!“ იმ მათრახებმა ისე გადამიბრუნეს გული და ტვინი, რომ სულ რუსულს აშოროზე ვიდეგ.

„მიჩივლეს. საქმე მოვიგე. დედაშენისაგან საქმის საწარმო ბელიც მე მომისაჯეს. ეგრეთს ბოლოსა ვერ გაუძლო ცხონებულმა, იდარდა, ლოგინში ჩავარდა და სამს თვეზე ამ წუთის-სოფელს გაშორდა. მისი სიკვდილის შეტყობამ ერთი მძლავრათ შემირყია ჯანი. სინიდისი წამისათ გამომცლვიძა, გული მწარეთ ამიღელვა... ბატონზე ბოღმა გულს მომაწვა... ვეუბნებოდი მაშინ ჩემ თავსა: ბატონს რომ მათრახით არ ვეცემე, ტკბილი სიტყვით ეთქო, რაც სათქმელი იყო, მე ნამუსს არ ვუღალატებდი, გიგიას ცოლ-შვილიც თავისას მიიღებდა, და მეც სინიდისი წმანდათ მექნებოდა!“

„იმ ჯავრიანს გულზედა ბატონს ვუჩივლე და ოთხას ოცი თუმანი დავადევ გადასახადათ. მოურავი გამომიგზავნა ერთი წელიწადი მადროვეო. დავსწერეთ ახალი პირობა ორასი თუმნის ჯარიმით. სიტყვა რომ მოკლეთ მოვსჭრა, სამჯერ თითო წელიწადს გადავუდევ ეგრეთ, და სამჯერვე პირობა ვერ შეა-

სრულა. ავდექ, ჯარიმები და თავნი ერთათ შევსვი, ვიჩივლე და თორმეტი ათასი მანეთის აღმასრულებელი ფურცელი ავიღე. მოციქულობითა და თხოვნით ორჯელ ექვს-ექვსი თვე კიდევ მოვიცადე, მერმე ბოქაული გავუგზავნე.—თან მე ვერ წავყევ: კანონისაგან ზურგი მაგრათ მქონდა, მაგრამ სინიდისი ვერ მიმაგრებდა გულსა,—ამიტომაც ვექილათ ვიქირავე ერთი ვიღაც შანჭრაქი—ადგილის კაცი არავინ დამთანხმდა,—და ის გავატანე ჩემ მაგიერ.

„ბატონი აივანზე ხალათიც ამარა თურმე დადიოდა, როცა ბოქაული და ჩემი ვექილი მისი სასახლის თვალ-უწვდენს ეზოში შევიდნენ. ბიჭი გამოეგზავნა ამბვის შესატყობლათ. რაკი გაეგო ჩემი ბოქაული იყო, სახლში შესულიყო, ანაზდათ ხალათზე ხმალი შემოერტყა და კიბის ზემო საფეხურზე გაჩერებულიყო.

— ფეხი არ შემოადგა კიბეზე, თორემა შუაზე გაგჭრი! შეეტევებია ბატონსა ბოქაულისათვის ისეთი ყარამანისებური ხმითა, რომ შიშით ჭკუა დაბნეულს ბოქაულს, გამოქცევის მაგიერ კიბეზე არბენა მოენდომებინა. მესამე საფეხურზე ფეხი დაედგა თუ არა, ბატონის ხმალს ელვასავით ამოენათებინა ქარქაშიდანა და მარჯვენა მხრიდანა მარცხენა თეძომდი ირიბულათ ჩაჭრილი ბოქაული ტომარასავით ჩაკეცილიყო... საბრალოს სული იქავ დაელია. ჩემს ვექილს, ამის დანახვამდის, ისე ძალზე მოექუსლა, რომ გზაზე ვისაც შეხვედროდა, ყველას გაცოფებული ჰგონებოდა...

„ამ უბედურმა შემთხვევამ ცოდვა გაადიდა. უშველებელი საქმე შესდგა. მთელი საქართველოს დიდკაცობამ თავზე შეიდვა ბატონის ამირინდოს გამოხსნა. მის ქონებას, რაც ჩემს ფურცელს გადარჩა, ბარე ორი სხვა თავადის ქონებაც გადაეგო, ბოქაულის ცოლ-შვილიც მომხრეთ იშოვეს. ღენერალი არ დარჩენილა, რომ არ დახმარებოდა. რამდენიმე გამოჩენილი ვექილი უშოვნეს, მარა სამართალმა მაინც თავისი გაიტანა: ბატონს ციმბირი გადაუწყვიტეს... როცა სასამართლოს

დარბაზში დამსწრეთ შორის ტირილი ატყდა, თვალით მოვიძებნე ბატონი. იმ ხნის კაცი იყო, მაგრამ ისე იდგა—ჯეირანივით. ყაყაჩოსავით წითელს ლოყებს ანაზდათ ფითრის ფერი გადაეკრა. ორი, გაზაფხულის სეტყვასავით მსხვილი, ცრემლი გადმოუგორდა მუშტის სიდიდე თვალებიდან; თარაქამის ხარის რქების სიგრძე ულვაშები მაგრათ გადიგრიხა მთრთოლვარე ხელით და ოდნავ აკანკალებული ბოხი ხმით წარმოსთქვა: „ღმერთმა ჰკითხოს, ვისგანაც ესე მჭირს!“

„მაშინ, შვილო, რაღაც ნემსივით შემერჭო გულში...

„დიდკაცობამ იმდენი მოახერხა, რომ ბატონი თავდებობით გაანთავისუფლეს საქმის საბოლოვოთ გათავებამდი. აპელაციებით საქმე ერთი სამი წელიწადი კიდევ გააგრძელეს. მანამ მე მთელი მისი ავლა-დიდება დავინარჩუნე და დავიმტკიცე კიდეც.

„ერთ დღეს გუბერნატორმა დამიბარა. ვეახელი. ხელი მომცა, სკამზედაც დამსვა. მთხოვა, სახლი ეზოთი და მოძრავი ქონებით თავადს ამირინდოსა აჩუქე ჩემი პატივისცემისათვის, შენ მისი ზვრები და ხოდაბუნები იმყოფინეო. ამ თხოვნას თუ ამისრულებ, ძლიერ დამავალებ, მაგიერს პატივისცემას ვეცდები, თუ არა და—შენ იციო. ვიფიქრე ჩემს გუნებაში: „დალოცვილო, გაჩუქებაში რომ მეხმარები, რატომ შოვნაში არ მეხმარებოდი?“—მაგრამ... რა უნდა მექნა ... მაშინ გუბერნატორს, იცი, რა უფლება ჰქონდა? მე ხომ თავადი არ ვიყავ, ან აზნაური, ან ჩინიანი ვინმე. ერთის თვალის ნიშნებით პირისაგან ქვეყნისა აღმგვიდა... მოდი და გადაიკიდე იმისთანა კაცი... ხომ გახსოვს თათრული ანდაზა:

„სომეხი არ დაგითმობს არაფერს,
თუ სცემ, ხონჩით მოგცემს უველაფერს!“

„მეც ავდეგ და დავუთმე გუბერნატორს: რაც მთხოვა, მივართვი თავადის ამირინდოსათვის. მადლობა მითხრა, მაგრათ ხელი დამიჭირა და კარებამდი გამომაცილა

„მოაწია ბატონის გაგზავნის დღემაც. ერთიც ვნახოთ,

დუქანში ჩემი ქალი შემოიჭრა, აღელვებული იყო, ქშენდა; სულის დაუთქმელათ მომაძახა:

— ქალბატონი მობრძანდა, შენი ნახვა უნდა, ეხლავ წამოდიო! ვუთხარ, თუ:

— ქალო, რით ვერ გაიგე, რომ ვაჟ-და-ქალბატონობა მოისპო. დღეს დიდი და პატარა კანონმა გაასწორა. სახლში მიბრძანებულა, როცა მე დახლში ვარ, ეს რა არის, აქ მობრძანდეს და!

„მაგრამ ამას ენა ამბობდა ჩემი. ისე კი იდუმალმა ხმამ წასასვლელათ ამატროვა, კაბა-ახალუხი გავისწორე, ქუდი დავიხურე, დახლი შაგირდის ამარა დავტოვე და გავუდევ ცოლიანათ გზასა.

„გარეთ სახლის კართან ქალბატონი დამხვდა. სახე გაფითრებული, ტუჩებზე ლაინის ფერ-გადაკრული, ამაყათ იდგა. თვალებს ნაცრემლავობა ეტყობოდა, მკერდი უღელავდა. უწინდულათ ფარჩა აღარ ეცვა. სულ ჩითებში ბრძანდებოდა. კაბა ძალზე შელანძღული ჰქონდა. თავსაკრავში ძვირფასი ქინძისთავი აღარ ჩნდა. მონურათ მივესალმე, კალთა გადავუკოცნე. შევატყე აღელდა. რამდენათაც მჭევრმეტყველება შემწევდა, სახლში შევიპატიჟე, მაგრამ არ ინება.

— კარაპეტა, რა დღეში გინახავარ და რა დღეშია მხედავ!.. ხვალ ჩემი ამირინდო მიჰყავთ... მეც მივყვები... ეს უბედურება იმდენათ არ მტანჯავს, რამდენათაც ჩემი ქმრის სიყვარულით აქ შენთან სათხოვრათ მოსვლა... ეეჰ!

„და აქ ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა თვალებიდან. მაშინვე თავი შეიკავა და განაგრძო:

— რაც რამ გვებადა ამ შავს დღემდი გავათავეთ. გზაზე სახარჯო არა გვაქვს... იქნება... შე... გაი...

„აქაც ენამ უღალატა, ცრემლები კვლავ თვალებს მოაწვა, ქვემო ტუჩი კბილებით დაიჭირა, ძლივს, როგორც იქნა, დიდი ტანჯვით, სამარისებური ხმით მითხრა:

— სამგზავრო ფული გვეჭირვება...

„მეტი არა უთქვამს რა. გაჩერდა და თვალები მიწას დააპყრო... მისი საცოდაობის მზერა გულს მკბენდა, ისეთი დაჩაგრულობის ბეჭედი ეკრა სახესა!

„ჩემმა ატირებულმა ქალმა სახლიდან ფულის ყუთი გამოარბენინა და ქალბატონს მიართვა: „რამდენიც გენებოს აიღეთ, თქვენზე ~~ა~~რამი არ იქნებაო, თქვენითა ვართო“, და მოჰყვა წილადობილასა...

„ქალბატონს რომ ვხედავდი და ამირინდოს ბედი გავიხსენე, ცრემლები მეც მისველებდა თვალებსა, მაგრამ ჩემი ფულის ყუთი, სამასი თუმნით გაჭიკნული, რომ ქალბატონის ხელში დავინახე, მაშინ კი ღრიალი მოვრთე!.. ცრემლები ქალბატონზე უფრო მეტი დავღვარე. ვფიქრობდი: „ახარ, რა იქნება, რომ ერთბაშათ მოინდომოს?!“ იმათ კი ეგონათ სხვის ბედს ვსტიროდი... კიდევ კარგი, რომ კლიტე მე მქონდა და შეიძლება ცალიერიც ეგონა. გადმომცა ყუთი და მითხრა: რამდენსაც გაიმეტებ, შენ იცი, სხვის ყუთში ხელის ფათური რა ჩემი საქმეაო. რასაც მოგვცემ, მის დაბრუნებას არ უნდა ელოდეო.

„ყუთი რომ ხელთ ვიგდე, წინანდელი მწუხარება სიამეთ შემეცვალა. იმ ცხელს გულზე ოცდახუთი თუმანი მივართვი, — სწორეთ ის თანხა, რაც ბატონისეულს ზვარში მონაკრები ქვების გაყიდვით ამოვიგე... საღამოთი ორი ჩაფი ღვინო, მისეული ზვრისა, საპატიმროში ვაახელ. არ მიიღო, უკანვე გამომიბრუნა. ეს დღისით მიცემული ოცდახუთი თუმნის მიზეზი იყო. ასეთია ჩვენი საქართველოს ხალხი: როცა ჯიბეში აბაზი უდევს, გული მილიონისა აქვს!

„მეორე დღეს, გათენებამდი, ბატონი ამირინდო წაიყვანეს ეტლით, შიგ ცოლი და ერთი რუსის აფიცერი უჯდა, ეტლს წინ და უკან ცხენოსანი ყაზახ-რუსნი მიჰყვებოდნენ. ასე ადრე წაყვანა თვით მოესურვებინა: არავინ დამინახოსო, მაგრამ მაინც გაიგეს და მთელი გზა, ორსავ მხრით, გაჭედილი იყო ყოველ ჯურის ხალხით. მეც ჩემმა ცოდვამ წამიყვა-

ნა სამზერათ; გული კარგს არას მეუბნებოდა და ხალხს უკან ვიმალებოდი. ეტლის დანახვისათანავე ყველამ ქუდი მოიხადა. ბატონმა რაღაცა გადულაპარაკა აფიცერს. მან მეეტლეს და ამალას შეჩერება უბრძანა. ბატონმა ქუდი მოიხადა, წამოდგა ფეხზე და მიმართა ხალხს:

— „ჩემო ძმებო, დებო და შვილებო! ამ დღეში მყოფი ამირინდო... ჩემი უბედური მეუღლით, დიდი ოთარ შატბერდელის ქალით, გეთხოვებით საუკუნოთ! ღმერთმა, რაც ჩვენ ბედი დაგვაკლო, თქვენ შეგმატოსთ, იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ, შეუწუხებლათა... ვისაც რამ შეგცოდეთ, შეგვინდეთ, თუ ვისმე რამეთ გარგოდით, ხანდისხან მოგვიგონებდეთ ხოლმე!.. ჩვენს ნახვამდის არაფერი გეტკინოსთ... გაჭირვებული, მშიერ-მწყურვალი, სისხლის ცრემლით მტირალი, სხვისგან ილაჯ-გაწყვეტილი კარაპეტა ჩემს ოჯახში შევიხიზნე, ვუპატრონე, დავაპურე, კაცათ გამოვიყვანე... მან კი ნელ-ნელა მთალა... მონავერათ მოევლინა ჩემს ავლა-დიდებასა... რაც ჩემსას აკლდებოდა, ის მისას ემატებოდა... ბოლოს ჩემით მევე გამომჭრა ყელი... სადაც ქვეყნის გაჩენიდან ბინადრობდა სავარსამიძის გვარი, იქ ეხლა გაბატონდა გუშინ შემოხიზნული კარაპეტა. ეხლა კარაპეტები უფრო საჭირონი არიან... ძმებო, დებო და შვილებო! იყავით ფრთხილათ, თორემ თქვენც ამ დღეს მოელოდეთ! მშვიდობით! დაგიცვასთ უფალმა!!!“

ბატონი ჩაჯდა. ეტლმა და ამალამ გასწია. იმდენს ხალხსა, როგორც ერთს კაცს, ისე, ერთბაშათ წასკდა ტირილი. მეც ვტიროდი. თვალი მოვკარ ორს ყიზილბაშს, რომელთაც ხალხში ვერ გაეტანებიათ და ჩემს გვერდით გაჩერებულიყვნენ: ისინიც ტიროდნენ, თუმცა ქართულისა ინჩი არ ესმოდათ და ვერც ბატონს იცნობდნენ...

„ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა. უცებ მომესმა ძახილი: „აი, ეს არის ამირინდოს დამღუპველი!“ და ორი სილა ისეთი მომხვდა, სინათლე დამიბნელა. შეიქნა გრიალი: „მოსცხეთ ამ ქრისტეს გამყიდველს, ჩვენი ბატონის ამომგდებს!“ როდის

გაუტანია სომეხს ქართველი! მოსცხეთ სომეხსაო!.. მე ლაყე კვერცხივითა გამხადეს. სახლში ძლივს, ფორთხვით მიველ.

„სამი დღე ლოგინათ ვეგდე. ეს პირველი ავათმყოფობა იყო ჩემი. სამი დღე და ღამე სამ საუკუნეთ მომეჩვენა. ათას გვარი ფიქრები მომივიდა თავში... ფიქრებით გართულმა ვიგრძენი, რომ მაშინ პირველათ ამეხილა თვალები, რომ იმ დღემდის ბურანში ვყოფილიყავი, არ მცოდნოდა არც ჩემი ვინაობა, არც ხალხისა, რომელშიაც ვცხოვრობდი და ჩემს თანამემამულეთ მიმაჩნდა. „სომეხიო!..“ როდის გაუტანია „სომეხს ქართველიო!“ მე ვარ სომეხი? უხსოვარ დროიდან ჩემი წინაპარნი საქართველოში დაბადებულან, საქართველოში უცხოვრიათ, საქართველოს პურ ღვინით აღზრდილან, საქართველოს მეფეებისა და მამულისათვის სისხლი ერთათ და ერთმანეთისათვის უღვრიათ, საერთო ლხინით ულხენიათ, საერთო ჭირით უტირნიათ და ახლა, როცა გამოცვლილი დროების ალომ ჩემს გარჯასა და აღებ-მიცემობას უფრო მეტი ფასი დასდვა, ვიდრე უძრავს მიწა ხოდაბუნებსა,—ახლა მეუბნებიან „სომეხი ხარო?!“ რა ზეითუნელი შანჭრაკი მე ვარ, „სომხათ“ გამომარჩიონ ამდენს თანშეზრდილს ქრისტიან ხალხში! განა ბატონთან როგორც მოვიქეცი ჩემი სომხობისაგან იყო, თუ ამა ჟამის სამართლისაგან? გგია განა სომეხი იყო, რომ ჩემზე უფრო ის ჩქარობდა ბატონის ქონების გაკრეჭასა? ქართული ენით ვლოცულობ, ქართულათ ვმასლაათობ,.. მხოლოთ ჩემს ეკლესიაში მწირველს „მღვდლის“ ნაცვლათ „ტერტერას“ უძახიან... მორჩა და გათავდა, ეს არის მთელი დაღი და ნიშანი ჩემი სხვა აქაურ ქრისტიანებისაგან გარჩევისა. არა, ჩვენს ძველსა ის ანდერძი არ დაუგდიათ ჩემთვისა და ჩემის მერჯულეებისათვის, რომ „სომხობით“ „ქართველობას“ გამოერჩიეთო. სიონის ღვთის მშობელს, მცხეთას, ალავერდს ვინ და ვინ დადიან სალოცავათ? არა, ბატონო, ამირინდო! თქვენმა უსაქმურობამ და უმუყაითობამ დოვლათი გამოგაცალათ — აქ არც მე არაფერს შუაში ვარ, არც ჩემი „სომხობა“...

მას აქეთია სულ ეს მეფიქრება. გადავივიწყებ მგონია, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, ანაზდათ გამკრავს გულში და გამიელვებს თავში... ამ ბოლო დროს მისი ახსნა და გადაწყვეტა ღმერთს მივანდევ: ის არის გულთამხილავი და ყველაფრის მცოდნე. მან განსაჯოს ვინცა ვარ. მე მხოლოთ ეს ვიცი, რომ სადაც ვშობილვარ და რა ქვეყნის პურ-მარილსაც გავუზდივარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა მეხუროს...

„ექვსი თვე იყო განვლილი ბატონი ამირინდოს გაგზავნის შემდეგ. ერთ კვირა დღესა, შვილო, შენ მომადეგ კარზე. მითხარ თუ: „ჩემი ამხანაგები და მათთან ერთად მეც, ამა და ამ მიზეზების გამო, გამოგვაგდეს მესამე კლასიდანო. მოწმობა ისეთი მომცეს, არც კერძო, არც სახელმწიფო სამსახურში არ შემესლვებაო..... თავისუფალი შრომით თავი ვერ ვირჩინე, შენს იქით გზა აღარ მაქვსო. დედისაგან გამიგონია, ვითომ ჩემი მამისეულობით გაქვს ხელი მოჰთბარი, და შენს ღმერთსა და სინიდისს შეხედე და ისე განსაჯე: შემართლები ხელის გამართვას, თუ არაო?"

„სახლში ცოლმა ილაჯი გამიწყვიტა, უთუოთ უპატრონე, თორემ ღმერთი არ შეგარგებს გიგიასეულობასა, თავსა და ცოლ-შვილს უბედურებას შეჰყრიო. არ მომასვენა და არა, თან გულიც არ მეუბნებოდა ნუ დაეხმარებიო.

„ვიფიქრე, გავზომე და ასე გადავჭერ: ჩემი თამასუქებისა და დახლის ანგარიშების წერა და წარმოება მომენდო შენთვისა. თვეში ჩემი ხარჯითა ორი თუმანი დავინიშნე.

„შენც ამის თანახმა იყავ.

„მერმე სულ ბედსა ვლოცავდი, რომელმაც შენი თავი ჩემს კარს მოაყენა. დიდი ფასი ჰქონია, შვილო, ვაჭრისათვის თანხებისა და თამასუქების წესიერათ ჩაწერასა წიგნებში. შენმა მუყაითობამ და წიგნების წარმოების შნომ ბევრი თავისუფალი დრო მომცა. იმ დრომ ბევრი მოსაგებიანი საზრისები აღმიძრა და შემასრულებინა. ჩემს ქონებას სულ ემატებოდა...

„ის იყო თავს ბედნიერი ოჯახის ბედნიერ პატრონათ ვსთვლიდი, რომ ეტლი უკუღმა დამიტრიალდა: ჩემი ერთგული, თავ-დადებით უღლის გამწევი, ჩემი მელანო მძიმეთ დამისნეულდა ფეხების ხუთვითა.—რა არ ვუწამლე, რა ნასწავლი ექიმები არ მოვუყვანე, რა წამლები არ ვახმარე, არაფერი არ მოუხდა. ის ჯეელი და საღი ადამიანი საბრალოთ ჩა წვა ლოგინში: არც სიარული, არც ფეხზე დგომა. ჩემი რა გითხრა, როცა გარეშე მნახველებსა ტირილი მოსდიოდათ. ასე გაგრძელდა მთელი ერთი წელიწადი. ორასი თუმანი დამეხარჯა და ავადმყოფი უარესობაში იყო... ერთს ღამეს, გათენებისას, საშინელი ტირილით გაიღვიძა და მეც გამიფრთხო ძილი. მთხოვა მასთან მივსულიყავი და ხელი დამეჭირა. მიველ. ფერი, რაც ჰქონდა, ისიც დაჰკარგოდა; ძლიერ ნაცემსავით თრთოდა, ცრემლი კოკისპირულათ ასხამდა თვალთაგან. ძლივს დაწყნარდა. მერმე მაფიცა რჯული, რაც გიამბო ბოლომდი მომისმინეო.

მეც დავუგდე ყური. მელანო მოჰყვა:

— „ახალ დაძინებული ვიყავი. ჩვენი დარბაზის კარები უხმოთ გაიღო, და შემოვიდნენ ღვთისმშობელი, წმ. მაქსიმე მოძღვარი და წმ. რიფსიმე. წინ მოუძღოდათ წმ. მაქსიმე. ყველანი ენით გამოუთქმელ ისეთი ღმობიერებითა იყურებოდნენ, ისეთი სათნო თვალის ჯავარი ჰქონდათ, რომ მათმა შემხედვარემ ვიგრძენ, რა განსხვავებაცა ყოფილა მიწიერსა და ციურს ცხოვრებას შუა. შემოსვლის დროს წმ. მაქსიმემ სთქვა: „რა უცნაური კაცია ეგ ჩვენი კარაპეტაო, სინიდისი დაუკეტავს და დარბაზის კარები ღია დაუტოვებიაო“.—ღვთისმშობელმა უთხრა წმ. რიფსიმეს: „ამის სული შენ ჩაიბარე შვილო, რადგან შენი ეკლესიის შემავალიაო“. წამიყვანეს. სხეული ლოგინზე დარჩა, სული წაიყვანეს ჩემი, მაგრამ მაინც სახიერება არ დამიკარგავს, თითქო ტანადობასაც ვგრძნობდი. მივდიოდით ღრუბელ-ღრუბელ, ცის ზესკნელ ლაჟვარდში. ღრუბელი და ლაჟვარდი ერთმანეთში შესთულიყვნენ და მზის

სხივებით ათას ფრათ ელვარებდნენ... სამოთხის ნელი ნიავის ბიბინი საამოთ გვაგრილებდა. გავჩერდით ერთგან. ღვთისმშობელი და წმ. მაქსიმე სხვა-და-სხვა მხრით გაუჩინარდნენ. ჩემთან მარტო წმ. რიფსიმე დარჩა. თვალებში ჩამხედა და მითი ხორციელ ენაზე უფრო გასაგებითა მითხრა: „შვილო, ეს სამოთხის არეა, დარჩი ცოტა ხანს. ნაცნობი თუ ვინმე გეგულება აქ, მოინატრე და გნახავს. მე წავალ და მალე მოგიკითხავო. ვინატრე ნახვა მინასა წაირაქუნ-ვართაპეტისა, შენ რომ გემადლიერებოდა. არ გამოჩნდა. ეპისკოპოზი მარტირუსი მოვინატრე სანახავათ, არც ის გამოჩნდა. დავინახე წმ. მაქსიმე, მოვიდა და მითხრა: ქალო, შენ აქ იმათი ნახვა შეგიძლია, ვინც ცხონებულია, თორემ წაწყმენდილებს აქ ვინ შემოუშვებსო! თურმე იმათა, ჩვენი მერჯულეებისაგან ეჩმიაძინისათვის შეწირული ფულები გაეფლანგათ. მაქსიმემ მითხრა ვართაპეტების და ეპისკოპოზების გარდა ბევრი დიდი კაცებიც არიან წაწყმენდილნი მაგ ცოდვისათვისაო... ბოლოს გიგიას ცოლის ნახვა ვინატრე. მაშინვე გაჩნდა. ქმარიც თან წამოეყვანა. ორთავეს სამოთხის ბედნიერება ქონდათ სახეზე აღბეჭდილი. სიყვარულით მომეფუათქურენ. მომილოცეს „ბიწიერს წუთის სოფელს და მისს ამაოებასა რომ მოშორებიხარო".

„წამიყვანეს არეს დასათვალიერებლათ. მითხრეს: სანამ წმ. რიფსიმე შეგიყვანდეს წმინდათა განყოფილებაში, წმიდათა და ანგელოზებს გაგაცნობდეს და შენს ბინას გიჩვენებდეს, მანამ ჩვენ არეს გაგაცნობთო.

„მიმიყვანეს და გადამახედეს მრავალ ფერათ მოციმციმე ვარსკვლავთ მთიდან და მითხრეს:—ჩაიხედე ქვეშაო!—ჩავიხედე. უშველებელი ჯურღმული გამოჩნდა... ჯოჯოხეთის განყოფილება ყოფილიყო, სხვისი ქონების მიმთვისებელთა და ფეხ-წაკრულების დამჩაგვრელებისათვის მიჩენილი... იქ თურმე ყველაფერი მარილისაა, ოღონდ იქა-აქ კუპრის წყაროები სცემს. თურმე იქ მყოფ წაწყმენდილებს ცოდვისაგან თვალი ისე აქვთ გადაბრუნებული, რომ კუპრის წყარო ანკარა წყლათ

ეჩვენებათ: რამდენიც მოსწყურდებათ, იმდენსა სმენ და მხოლოთ გულ-ღვიძლზე რომ ცეცხლათ მოედებათ, უკვირთ და ვერ წარმოუდგენიათ—რა უნდა იყოს. როცა მოშივდებათ, იქ მოყრილ მარილის ქვები მათ თვალს პურათ ეჩვენება, დაუწყებენ ჭამას, აუტყდებათ წყურვილი, და ისევ იმ კუპრის წყაროს დაეწაფებიან. ეს არის მათი უკუნითი უკუნისამდე ტანჯვა.

„მითხრეს: იქა-აქ იმ ჯურღმულის მიწაზე წითელი ასოებით სახელები სწერია მათი, ვინც იტანჯებიან, და თეთრათ იმათი, ვინც ჯერ კიდევ წუთის სოფლათ ცოდვილობენო. ნაცნობების სახელები ამოვიკითხე, სანამ... ვაი ჩემი უბედური თავი... შენი სახელი და გვარი მეცა ცეცხლათ ამ ჩემს ცოდვილს თვალებში... შენ, კარაპეტ! კარაპეტ!

„დავიწყე განგმირულს გულში ლოცვა: ყოვლად მოწყალე ღმერთო, მე წამწყმიდე, ოღონდ შავს დღეზე დაბადებული ჩემი კარაპეტ გადაარჩინე კუპრის სმას და მარილის ჭამას-თქო!

„ანაზდათ თვით მამა ღვთის წინაშე გავჩნდი. ნაზნი, საოცნებო შვენიერების ანგელოზები გუნდრუკს უკმევდნენ. იდგა საამო, სურნელოვანი ჰაერი, რომელსაც ოდნავ მოდებული ჰქონდა ძალზე თხელი, ნისლის ფერი კვამლი საკმეველისა. ღვთის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მთელი არსებით კი ვგრძნობდი მის იქაურს სუფევას. საოცნებო დუმილი იყო და იმავ დროს გარკვევით მესმოდა ყოვლად ძლიერი და გულისხმიერი ცოცხალი სიტყვა ზენაარისა: „მხევალო! გულუბრყვილო და სარწმუნოების სავსებით აგზნებული ლოცვა შენი სათნოთ მივიღე. წარვედ კვლავ წუთიერსა ქვეყანასა, მოაქციე ქმარი შენი სჯულსა ჭეშმარიტსა, რათა შევუნდო ცოდვანი მისნი“... თქმად შეუძლებელია, ისე მესიამოვნა ეს ღვთის ბრძანება. გული ამიჩუყდა და ტირილი დავიწყე. ის იყო, იმ ტირილის ხმამ გამომაღვიძა“...

მელანომ დაასრულა თავისი ამბავი.

„გუნებაში გავივლე: აშენდა ჩემი საქმე, თუ წვითა და დაგვით შენაძენი, სიზმარში ნახულისამებრ მოვიხმარე! მაგრამ სნეული ცოლი რომ მენუგეშებინა, დავპირდი —ვიფიქროთ და ისე მოვიქცეთ, საუკუნოთ წაწყმედას წუთის სოფელში სილარიბე მიჯობს-მეთქი. ისე იამა ეს ჩემი აღთქმა, რომ იმ დღიდან უკეთესობა დაეტყო, რაც წამლები წინათ ვერაფერს შველოდა, ახლა სასწაულებრივათ რგებდა. მალე ფეხზე დადგა, გამოჯანმთელდა.

„დამიწყო ზედი-ზედ გახსენება, აღარ მაძლევდა საშველსა: პირობაზე როგორა ხარო,—ათასნაირს ხერხსა ვხმარობდი, რომ როგორმე თავიდან გადამეძვრინა, მხოლოთ სნეულის სანუგეშებლათ მიცემული, პირობა. ვგონებ, გრძნობდა განსვენებული, რომ გულში სხვა რამ მქონდა და ნელ-ნელა დაიწყო ისევ დნობა. უხშირა ეკლესიაში სიარულს და უკლო ჭამას.

„ანაზდათ ხოლერა ღვთის რისხვათ მოევლინა ქვეყანას. გვეწვია გორშიაც. ერთი პირველი მსხვერპლთაგანი ჩემი მელანო შეიქნა...

„ამ უბედურებამ კინაღამ ჭკუაზე შემშალა. აქამომდე ჯანსაღი კაცი უცებ სახსრებში მოვიშალე, დავსუსტდი, დავჩაჩანაკდი.—დიდი ხნიდან ვიცოდი, მაგრამ გრძნობით კი პირველათ იმ უბედურ დღეს ვიგრძენ საშინელება წუთი სოფლის ამაოებისა... მას მერმეთ ერთხელაც არ მოვსულვარ ჯანზე. ერთი გულის ხალისი მთელს ჩემს ქონებათ მიღირდა, მაგრამ სადღა იყო...

„ვაჭრობაც უკან-უკან იწევდა. უწინდელი ხეირის ნასახიც აღარ იყო, როგორც საერთოთ არც სხვისა რისმე გორში. ერთი პირი იმერეთს გადასვლაც დავაპირე, ხონში—სადაც იმ დროს ძლიერ ხეირსა ამბობდნენ ვაჭრობაში. მაგრამ გარემოებამ სხვა რამ მოიტანა ჩემთვის, როგორც შენც იცი, შვილო.

„დამჩემდა ავადმყოფობა. ხან წელი მტკიოდა, ხან გუ-

ლი; უფრო დაჟინებითა კი თავბრუ არ მეშვებოდა. ექიმები ჩემს კარ-მიდამოს არ აცივებდნენ. ერთს სნეულებას რომ მომაცილებდნენ, მეორე მომეკიდებოდა. რაც წინათ ვიყავ, იმის ლანდათ-ღა გადავიქეც. აღარ მინდოდა ექიმების მოყვანა, მაგრამ შენ არ მეშვებოდი, სანამ ზედ მეტათ არ მომბეზრდა თავი.

„ექიმები რა მოვიშორე, თავბრუს გარდა სხვა ყველა სნეულება მომშორდა, მადა თითქმის მომემატა. სოფლათ წაველ საცხოვრებლათ და ცოტათი წამოვჯობინდი. მალე ისევ დავდარდიანდი. სულ ჩემი მელანო მელანდებოდა თვალ-ცრემლიანი, მოწყენილ სახით.

„მეგობრებმა მირჩიეს თელეთის ხატი მომელოცნა ღამის თევითა და თეთრი ზვარაკის შეწირვით. გახსოვს, შვილო ნესტორ, როგორ მიშლიდი? მაგრამ მე მაინც წაველ. გრძნობითა და სასოებით ლოცვისათვის ხელი არ დამიკლია, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, სამსხვერპლოთ მიყვანილი ზვარაკი და შემდეგ სანაცვლოთ ნაყიდი ორ გზის ზედი-ზედ მომპარა ვიღაც ჩემი სულის მტერმა. ტერტერამ მითხრა „ეს არ არის კარგი ეტლის ნიშნებიო"... ცეცხლზე ნავთ დასხმული დავბრუნდი შინ. მეორე დღეს, საღამო ხანს, მელანოს საფლავის ნახვა მწვავეთ მომენატრა. წაველ. მთელი ჩემი წარსული ცხოვრება იქ ცხოვლად გავითვალთვალე. ოცნებამ გამიტაცა, მერე ზაფრა მომაწვა გულსა. შემცივდა. საღამო ღამეთ ქცეულიყო. თავი ავსწიე და მთვარის ციაგში მელანო დავინახე. თოვლსავით თეთრი ქლამიდა ემოსა. შორი-ახლოდან შემომცინა ისე სათნოიანათ, როგორც სიცოცხლეში იცოდა. მისი თვალების ცეცხლი გულის სიღრმემდი ჩამწვდა. ტკბილი მუდარებით მითხრა: „კარაპეტ ჩემო! იზრუნე საუკუნო ცხოვრებისათვის! იჯმენ ეშმაკისაგან, არარათ გიჩნდეს ამაოება წუთის სოფლისა. მიეცი კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა! ხელი დაიცალე გიგიას წილი სიმდიდრისაგან! ისწრაფე, სანამ წუთის სოფლათა ხარ! მენდვე შენს მელანოს, ცუდს არაფერს გირ-

ჩევ!“ — გამოლაპარაკება მოვინდომე, მაგრამ გაუჩინარდა... ფიქრს გავეტაცე... როცა საათს დავხედე — ცხრა საათი იყო. მაშინ ვიგრძენ საშინელება სასაფლაოზე მარტოთ ყოფნისა. აკანკალებული ავდექ და სადგომისაკენ წაველ. გზაზედაც სამარისებური დუმილი იყო. ისმოდა მხოლოთ ჭრიჭინობელას ჭრიჭინი. შიშმა და თავის ბრუმ მიმატა. გზაზე ჯერ ოდნავ შემცივდა, მერე კარგა გამიჯდა ტანში და ბოლოს კანკალიც დამაწყებინა. შინ მისვლისას ლოგინს მივაშურე და, ისიც იყო, შენ შემოხველ, შვილო. შემდეგ გაცივება ანთებათ გადამექცა, ანთება კი მოსწრაფებულ ჭლექათ. ექიმზე ტყუვილა მახარჯვინებდი ფულსა. ეჭვი აღარ იყო, რომ სიკვდილი მსუბუქი ფრთითა მოისწრაფოდა ჩემკენ.

„მაშინ დავაწერინე ის ანდერძი, რომელსაც ამ წიგნთანა ნახავ. სულ, შვილო ნესტორ, ოთხი ათას ხუთასს თუმანსა ვტოვებ—ნახევარს შენთვისა და ნახევარს ჩემი შუშანიკასთვის. ჩემ სიკვდილს შემდეგ მელანოს დაი ჩემს სახლში უნდა დადგეს ქმარ-შვილითა, რომ ჩემს შუშანას ყური უგდონ. ჩემი გულითადი ნატვრა არის, ჩემმა შუშანამა და შენ ჯვარი დაიწეროთ და საყვარელ ცოლ-ქმრობაში გაატაროთ თქვენი დღენი, გამრავლოსთ და გაბედნიეროსთ ღმერთმა, ყოვლის დამბადებელმა. თუ ეგ არ მოხდეს, გთხოვ, შვილო, მფარველი იყო ჩემი ქალისა, ვინძლო ამ წუთის სოფლის ოხრობამა დაჩაგვრა მოინდომოს მისიცა.

„ჩემი კარ-მიდამო, შვილო, როგორც ანდერძშიაც მითქვამს, შენა და ტერტერამ უნდა გამიყიდოთ და განაღდებული ფული ეჩმიაძინს გამიგზავნოთ ჩემისა და ჩემი მელანოს სულის საოხათ.

„ავათ არ მომიხსენო, შვილო ნესტორ. ენდვე ღმერთსა, ჩემი დანაშაული განსვენებულის გიგიასა და შენს წინაშე, რამდენათაც შემეძლო, გადავიხადე. თუ რამ დამრჩა გადაუხდელი — შემინდევ“...

## 1902 წ.

# უტუ სუნცურავა.

### ესკიზი.

„ცნობის ფურც." დამატება № 50, 1902 წ.

ვაგონი ღვინის რუმბსავით იყო მოგზაურებით სავსე. თუმცა ტევა არ იყო, მარა მაინც შემოგვემატა სამტრედიის სადგურზე შუახნის ქერა კაცი, ცხვირ-აბზეკილი და მოსული ტანადი. შემოსვლისათანავე, რაკი დასაჯდომი ადგილი არსად იყო, ერთ ყმაწვილ კაცს დააჯდა მუხლებზე. ბოდიშის მაგიერ მაგრათ შეუკურთხა—მაშინაც, როცა ის, ათვალცრემლებული, ძლივს გაუძვრა, როგორც იქნა, და, ფეხზე გაჩერებული, ვაგონის კარს აეტუზა. ქერას მალე ერთის ადგილი აღარ ეყო, მეორე მოგზაურიც აიძულა წამომდგარიყო. ეს მეორე უფრო წინდახედული გამოდგა, და სულ გავიდა ვაგონიდან. პირველი კი, რომელსაც თურმე კაი ძალი და დიდი ფასის ბარგი ქონებოდა თან, კარებთან დარჩა გაშეშებულივით. მას ეცვა შავი მაუდის, კოჭებამდის გრძელი, პალტო, თავზე ძვირფასი ბოხოხი ეხურა, უყელო ჩექმებზე ფართო შარვალი ქონდა გადმოფარებული. შუატანისაზე ცოტა უფრო მაღალი გეჩვენებოდათ, კარგა ჩასკვნილი მოყვანილობა ქონდა, არც თუ ხმელ-ხმელი ეთქმებოდა და არც მსუქანი. სახით ჯმუხი შეხედულობისა იყო, შავი წვერ ულვაშითა და თვალებით; ერთი შეხედვით სავაჭკაცო მოყვანილობა ქონდა, მარა ახლა ისეთი შეშინებული თვალებით იხედებოდა, რომ კარგს პსიხიატრსაც გაუჭირდებოდა ეთქვა: გამოდგებოდა ის სავაჭკაცოში, თუ მხდალი უფრო იყო? თითქო გველის მოხიბლული წიწილიაო, ისე ვერ აშორებდა თვალს ქერას, ამ თავის კბილის მატლს: ემჩნეოდა, რომ არ სურდა შეეხედა მისთვის, მარა ცალი თვალი მაინც რჩებოდა მასზე.

— შენ... სადა... ური... ხარ?—კითხა ტანის რხევითა და თავის ჩამოქინდვრით ქერამ მას, ჯერ ისევ კართან ატუზულს...

— მე, ბატონო, აქაური გახლავარ, უტუ ხუნცურავა... მიუგო მან.

— ჰმ... აქაური!..—გაიმეორა ქერამ ისეთი ზიზღით და დაცინვით, რომ მაინცა და მაინც იქაურობა არ იყო საჭირო, რომ კაცს გული მოსვლოდა, მარა იმას კი, ვისდამიც ეს სიტყვები იყო მიმართული, წარბიც არ შეუნძრევია, ისე იდგა საყესავით...

— გიცნობთ... აქაურებს... რა შვილებიცა ხართ!.. გიცნობთ!.. რა მოხელე ხარ? ქურდობ, თუ ქურდების ხელის დამცლელი ხარ? თუ ორივე ერთათ? არა, ძმობილო, ბევრი კი პარეთ მეზობლებს ცხენები, მარა ამ ბოლო დროს მათმა დეპუტატებმა გადაგიხადესთ სამაგიერო... ჰა... ჰა... ჰა... იცით, ბატონებო?! – მოგვმართა ვაგონში მყოფთ მოგზაურებს, ქვეყნის დასაბამიდან რაც ჭაკი ცხენები უპარავთ აქაურებს მეზობლებისათვის, სულ ყველა კვიცებ დამატებით ქუთაისში ჩააყვანინეს... ჰა... ჰა... ჰა! შენც ჟინოსკუობას იშოვნიდი, იმედია... ა??. რამდენი დაგიჯდა... ერთი უნდა გვითხრა. უთ...თუ...ოდ. და წამოდგა, რომ წაპოტინებოდა ხუნცურავას, რომელმაც მხოლოთ ახლა იკადრა ზურგის მიბრუნება და ვაგონიდან გასვლა. ქერა გამოუდგა უკან და მალე, პალტოში ხელ ჩავლებული, შემოიყვანა ისევ ვაგონში და მოისვა გვერდით.

საცოდავი შესახედავი იყო, ხუნცურავასთვის რომ შეგეხედათ: სახე მოშლილი, მთლათ ოფლში იწურებოდა.

— ბატონო, გამიშვით, თუ ღმერთი გწამთ! როგორ გეკადრებათ ჩემთან ღლაბუცი!—ევედრებოდა ის.

— ჰმ... შეხეთ ერთი ამის დრუნჩს... როგორ იკატუნებს თავს, როგორ ბაძავს ლაზარე გლახის სახის მეტყველებას... აი, ასეთია თქვენი, აქაურების რჯული: თუ ღონიერს შეხვ-

დით, ფეხს დაულოკავთ, თუ მოსარევათ დაიბრიყვებთ ვინმეს და ნელს ცეცხლზე დაწვავთ, ან შამფურზე ააგებთ, შეწვავთ და შეჭამთ... ასე იცის ისეთმა ველურმა, მხეცმა, უსინიდისო, მხდალმა ხალხმა, როგორიც თქვენა ხართ!.. ძალიან მიყვარდა ჩემს ყმაწვილობაში თქვენში ქურდ-ავაზაკების დევნა: დღე იმათ ვქაჩავდი და ღამე კი სადაც შევიდოდი ღამის გასათევათ... რომ... დაზეპირებულს „სკანი ჭირს“ ვეტყოდი... რა გინდა სულო და გულო, რომ არ აგისრულებდენ... ცოდვა კია, ღმერთმანი, იმისთანა მყრალ მამაკაცების ქვეყანაში ისეთი ლამაზ-ლამაზი კალთა-მადლიანები რომ იყვნენ... ისინი... ჰო... კიდევ...მეს-მის... ჰმ... აქაური... ქალები... ვენაცვალე...

ამ სიტყვის თქმა და ვაგონის თითქმის დაცალიერება ერთი იყო. ყველანი, ორიოდე კაცს გარდა მოშორდენ იქაურობას: შარს, და ისიც ქერა ბატონების შარს, ამ ქვეყანაში ყველა ერიდება...

მარა ხუნცურავა ხმას არ იღებდა... ოფლათ იღვრებოდა და სახე ელმანჭებოდა... იჯდა უძრავათ და დაყურებდა პალტოს კალთას, რომელიც ჯერ კიდევ ქერას ხელში იყო...

— არა, ჩემო ხუნცურავა... გულს არ მოიყვან იმედია... უარესებიც გაგეგონება... რა მოხელე ხარ? აზნაურობ, ესე იგი ცხენებს იპარავ,—გლეხობ —ესე იგი თხებს იპარავ, თუ ვაჭრობ და ქვეყანას ატყუებ?

— მე, ბატონო,—მონური ნელი ღიმილით მიუბრუნდა და ისე მიუგო მან,—ვაჭარი ვარ, აქაური, მარა არც ქვეყანას ვატყუებ და არც არავის...

— ჰმ... აქაური!!!. ერთი მითხარი, დიდი ხნისაა თქვენში ეს თქმულება: „ჯგირი ჩხოუ მეყვანირე (კაი საქონელი ლობის მტეხელია) ჯგირი კოჩი მახინჯირე (კაი კაცი ქურდია) ჯგირი ოსური კახმარე!“... (კაი ქალი კახპაა) ა? მითხარი და...

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. უძრავათ იჯდა მწარეთ შეწუხებული სახით და დაყურებდა პალტოს კალთებს.

— ერთი მითხარი, ჩემო ხუნცურავა... შენ დიდი ფილოსოფოსი ხარ, გეტყობა... ჰო, ჩემო პატიოსანო ვაჟარო, რომელიც არავის ატყუებ—კოლიანი ხარ?

— კი, ბატონო!—ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან და ისე შეხედა ძალათ-მოსაუბრეს, რომ ცხადათ მიხვდებოდა კაცი, რასაც ის თხოვდა: თქვენს ღმერთს მიამადლეთ, ჩამომეხსენით, თუ ღმერთი გწამსთ, ჩემს ტყავში დამტოვეთო...

— ლამაზია?!

ხუნცურავა ხმას არ იღებდა... უძრავათ იჯდა და შუბლშეკრული დაყურებდა პალტოს კალთებს... ეტყობოდა, რომ სისხლი უდუღდებოდა, სახე წამოუჭარხალდა, ოფლი დაასკდა...

— ლამაზია, ა? შენ გკითხავ... ეი...—და ერთი მუჯლუგუნი კრა...

— ჩემთვის ყველაფერია და...

— და სხვის... მაგალითათ...

აღარ დაუთავებია ეს ფრაზა, ისე განაგრძო: მართლა როგორია, ა? თეთრ-წითურია... ა? მაღალ-მაღალი... ა? შვენიერი ტანადი... ა? წელში წვრილი... ბეჭებში განიერი და მაღალი მკერდი, ორგან გასაგიჟებლათ აბორცვებული, ა?...

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. ის უძრავათ იჯდა და დაყურებდა პალტოს კალთებს... მხოლოთ მკერდი მისი უფრო მაღლა-მაღლა იწეოდა და სულთქმა უფრო მძიმე ქონდა...

— არაფერს მეტყვი? ა? აბა... ერთი რაღაც უნდა გთხოვო: რა მოგცე რომ... გამაცნო... საჩუქარი მე მკითხე... არ შეგარცხვენ...

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. კრინტ-დაუნძრევლათ, ღონიერათ წამოდგა, „ხელი პალტოს!“ ცივათ და ხმა-მომაღლოთ მიმართა მან ახირებულათ აკვიატებულს მოსაუბრეს, რომელმაც უცებ შეუშვა ხელი კალთებს.

ხუნცურავამ მოიხადა ბოხოხი, ხელმანდილით შეიმშრალა ოფლის ღვითქი, მივიდა ფანჯარასთან, გააღო და გადიხედა...

ამ დროს მატარებელმა დასტვინა და ცოტა ხნის შემდეგ გაჩერდა სადგურთან. იქ ჩამოსახტომი მარტო ხუნცურავა ყოფილიყო. ის შეუდგა ჩამოსახტომათ მზადებას: თამამათ, ქერას მოურიდებლათ, მივიდა თავის ადგილთან, ჩამოიღო ზევიდან ორი ჩემოდანი, ერთი ხურჯინი და დაიღუნა, რომ ქვეშიდან გამოეწია ერთი ბარგით სავსე კალათი.

— ჩემო მეგობარო, ამ სიმაღლე ქუდი რათ შეგიკერავს? აქედან ხომ ორი ქუდი გამოვა? და ამის თქმისათანავე ქერამ ამოიღო ჯაყვა, გაშალა, უცებ მოხადა ბოხოხი და, სანამ პატრონი გონს მოვიდოდა და წელში გასწორდებოდა, შუაში გადუჭრა.

— ა... ეს ერთი შენ გეყოფა და ეს მეორე შენს ცოლ... უჰ... რა თვა...

მეტის თქმა არ დაცალდა.

უწყინარი, თავმდაბალი, მშვიდობიანი, ყოველგვარ შეურაცხყოფის ამტანი და მოშიში ხუნცურავა უეცრათ დაემსგავსა სისხლის მსმელს, ჩხუბს მოწყურვებულს, ნაჯინჭლს დათვს: სახეზე ყაყაჩოს ფერი გადაეკრა, თვალები მუშტის სიდიდედ გამოექაჩა, პირზე დორბლი მოადგა. ხმას არ იღებდა არც ახლა, მარა სამჯერ ზედიზედ, ელვაზე უსწრაფესათ, ისეთი სილები გააწნა, რომ მათმა შუქმა ჩალის ქუდი გადამიგდო თავიდან მე, მეზობლათ მჯდომს, და ქერას კი ცხვირიდან სისხლი წახეთქა და გონება სრულიათ დაუბნია. ესეც არ აკმარა. დაავლო მარცხენა ხელი საყელოში, მარჯვენა მარცხენა მუხლის სახსარში, გადაადვა ფანჯარას, ასწია თავდაყირა, კრა ხელი და გადაგდო ვაგონიდან რკინის გზის პლატფორმაზე...

მერე ჩამოჯდა სკამის ნაწიბურს, შეიხსნა პალტო გულზე და ძალზე სუნთქვა დაიწყო: ჰაერი არ ყოფნიდა, მკერდი ახალუხში აღარ ეტეოდა, რაღაცას თქმა დააპირა და ძლივს მოახერხა წამოეთქვა:

— ჰმ... აქაური!!!

ყველაფერი ეს ერთი წამის საქმე იყო. ვაგონში მსხდომ-

ნი გაცვინდენ გარეთ ისეთი ჯგლითით, რომ, უეჭველია, არა ერთის და ორის გვერდი დაიზილებოდა.

მოისმა საშინელი ღრიალი სადგურთან მდგომ ხალხისა. მიცვინდენ იმ გადაგდებულს; დაუწყეს სინჯვა. სასიკვდილო არა უჭირდა რა: მარტო ოთხი წინა კბილი ქონდა ჩამტვრეული. ააყენეს, მარა ისე დასუსტებული იყო, რომ ორი კაცის მხრებში შედგომა დაჭირდა.

რამდენიმე იქ მყოფთაგანმა მორთეს ძახილი: ჟანდარმ! ჟანდარმ!

უტუმ ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოყო. აჭარხლებული სახით და მრავალნაირი გრძნობის გამომხატველი კილოთი წაილაპარაკა:

— ჰმ... აქაური!!

ბოლოს მოვიდა ჟანდარმიც.

ქერამ მიახლოვებაც არ აცალა წესიერების დარაჯს, ისე გაიშვირა ხელი უტუსაკენ და უთხრა მას:

— შეიპყარით ეს ძაღლი!.. მაგ ანარქისტია... რევოლიუციონერია!!!

## 1903 წ.

## ქარაგმული ამბავი.

იყო და არა იყო რა, სიმართლეზე უფრო მწარე და ცოდვაზე უფრო ტკბილი არ იქნებოდა? იყო ცხრა მთას გადაღმა და ათ ზღვას იქით ერთი მამფალი, სახელათ ლომკაცი,

რომელსაც წესათ ქონდა თურმე დიდებული: როგორც კი გაიგონებდა ესა და ეს ყმა საჯაროთ სიმართლის მეტყველიაო, მაშინვე თავს წაავდებინებდა... სიმართლე ცეცხლიაო, ბრძანებდა მამფალი, ზღუდეთა შიგნით; კერძო სახლის კერისათვის დიდი სასარგებლოაო, ხოლო გარეთ გამოტანილი, შეიძლება მთელს სახელმწიფოს მოედვას და ერთიანათ გადაბუგოს ყველაფერი, რაც ამდენ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს წინაპრებს მოუმარაგებიათ, და რითაც ჩვენ სული გვიდგას და ვცოცხლობთო.

ერთხელ მამფალს წარუდგა შემკრთალი და შიშისაგან ფერ მქრალი ნაზირ-ვეზირი, თაყვანი სცა და მოახსენა: დიდებულო მამფალო, შენი საბატონოს ამა და ამ თემში გამოჩენილა ერთი შიშველ-მშიერი მწყემსი, დადის დაბათ და სოფლათ და სიმართლეს ღაღადებს. გვინდოდა, სანამ შენ მოგახსენებდით, მანამ გაგვევგდებინებია მისთვის თავი. მარა იმ თემის ერს ძალიან უყვარს იგი და იცავსო. თუ არ შენი ბრძანება და ლაშქრის ძალა, ისე შეუძლებელია მისი ხელში ჩაგდებაო.

მამფალი შეკრთა, ეცვალა ფერი, ფიცხლავ შეყარა ლაშქარი, იახლა თავისი პირმშო და გასწია იმ თემში. ისეთი ჩქარი ტარებით მიბრძანდებოდა მამფალი და მიყავდა ლაშქარი, რომ მისმა პირმშომ ბევრი ითმინა, მარა ვერ მოითმინა და ბოლოს მოახსენა: მამფალო—ბატონო, განა აგრე სასწრაფოა შენი იმ თემათ მიბრძანებაო?

მამფალმა შეკრა წარბები და მიუგო: იცოდე ჩემგან შვილო, რომ სიმართლე, მაძღართა და მდიდართაგან ნაქადაგები, უბედურებაა მამფალისათვის; ხოლო სიმართლე, შიშვლებისა და მშიერებისაგან ნაღაღადები, ნამდვილი ღვთის რისხვაა ჩვენდა დასასჯელად მოვლენილიო.

მამფალის პირმშო ერთგული შვილი იყო მამა-მისის, ამიტომაც მოწიწებით იუწყა და იგულისხმა, რაც მან უბრძანა.

მალე მივიდენ იმ თემში, სადაც იგი საშიში მქადაგებელი სიმართლისა მოვლენილ იყო.

თემს გაეგო მამფალი ლაშქრით მობრძანდებაო, და ყველა, დიდი თუ პატარა, მორთულ-მოკაზმული გამოეგება. წინ იდგენ თემის უხუცესნი, თეთრ წვერიანები, თაყვანი სცეს მამფალს, დაუგეს გზა ფიანდაზით და მიართვეს ხონჩით პურმარილი.

მამფალმა სალამი უწყალობა, დაუყვავა, მამაშვილურათ დაარიგა და ბოლოს, როცა იფიქრა — ახლა კი ყველანი ჩემს ჭკუაზე მოვიყვანეო, მოთხოვა მათ ის შიშველ-მშიერი მღაღადებელი სიმართლისა.

მთელი თემი, როგორც ერთი კაცი, ჯერ მუხლზე დავარდა, მერე გაენართხა მიწას და მორთო ქვითინი. წამოდგა მათგანი ერთი, ღრმა მოხუცი, იმ თემში ყველაზე უფრო საპატიოთ მიჩნეული ჭკუით, გამოცდილებით, მაღალ ზნეობით და სიმართლის მოყვარეობით. მოკრძალებით მიუახლოვდა მამფალს, მიწამდე თაყვანი სცა და ნებართვა თხოვა მოეხსენებინა მთელი თემის გულის ნადები.

დასტური მიიღო, აღახვნა ბაგენი და მოახსენა: „ისმენდი მამფალთ-მამფალო, ცხოვნდი უკუნისამდე! მამები, მამისმამები, პაპები და პეპერანი ჩვენი და ჩვენ თვითონ ყურ-მოჭრილნი ყმანი და ფერხთა მტვერნი ყოფილან და ვართ ხელმწიფებისა ღვთივ-განსვენებულ წინაპართა შენთა და აგრეთვე შენი, ჰოი, ღვთისა მიერ გვირგვინოსანო მამფალო! შეგვიწყალე და გვაჩუქე ერთი შიშველ-მშიერი მწყემსი, შემცოდე მარტო ოდენ სიმართლის საჯაროთ ღაღადებითა, და მთელი ეს თემი, როგორც წინადაც, კვლავაც მტლად დაედება მამფლობასა შენსა“.

მიუგო მამფალმა: „შეუძლებელსა თხოულობს ეს ერთი თემთაგანი ჩემის სახელმწიფოისა. ყოველს სახელმწიფოში და ჩემსაშიაც არ არს სიმართლე გარეშე ხელმწიფის წესებისა. როგორც ერთია ღმერთი სამ სახიერებით — მამით, ძით და

სულიწმინდით, ისე მამფალიც ერთია ღვთის მიერ ნაკურთხი სამი ნიშნით: ხელმწიფებით, უფლებითა და სიმართლით! ყმა, დამჩემებელი სიმართლისა, მიმტაცებელია მამფალთ ხელმწიფე ბის არსებითის ნიშნისა და მაშასადამე, ორგულიცა. იგი უნდა დაისაჯოს სიკვდილით!"

ეს თქვა თუ არა, მამფალმა უბრძანა ლაშქარს შემოექალტა იქ მყოფი ერი, მოეძებნა და თავი მოეჭრა იმ მშიერ-ტიტველ მწყემსისთვის. ბძანების ასასრულებელ თავდარიგისათვის მამფალმა იქ დატოვა ნაზირ-ვეზირი და თვითონ ამალით გაემართა სასახლისაკენ.

ღვთისა და მამფლის ძალიან მოშიში კაცი იყო ნაზირ-ვეზირი. ებრალებოდა და უყვარდა ყოველი ხორციელი კაცი, მარა სხვებზე უფრო მამფალი და მამფალზე უფრო-კი თავის თავი. გულმოდგინეთ შეუდგა მამფალის სიყვარულის ვამო მისი ბრძანების ასრულებას და მოლაშქრეთა დახმარებით გაფაციცებით ეძებდა სიმართლის მქადაგებელ იმ მწყემსს, მარა ვერას გახდა: თემთაგანმა არავინ გასცა და გარეგან ნიშნით— „მიშველ-მშიერობით“ ვერ მიაგნეს, რადგანაც იმ თემში, როგორც ბევრგან სხვაგანაც ბედნიერ მამფალის სამფლობელოში, თითქმის ყველა შიშველ-ტიტველი იყო. ბევრი იფიქრა, თუ რა ღონისძიებით დადგომოდა საწადელ კვალს, და რომ ვერაფერი მოიფიქრა, შეშინდა: ვაი, თუ მამფალმა თავი მე მომჭრას სიმართლის მღაღადებელ მწყემსის მაგიერო! თავისთავის სიყვარული მცხინვარეთ მოეგზნა მის გულს და უბრძანა ლაშქარს: გაწყვიტეთ მთელი თემი დიდიან-პატარიანათ, არ გამოგრჩესთ არავინ სულიერი, და მაშინ ის მწყემსიც გამოესალმება წუთის სოფელსო!

ლაშქარმა მოიმარჯვა შუბი, და ის იყო უნდა დარეოდა თავ-მოყრილ თემს, რომ ამ დროს ხალხიდან გამოვიდა ერთი კონკებ მოსილი, ღარიბი ყმაწვილი კაცი, მიუახლოვდა ნაზირ-ვეზირს და კადრა: შეაჩერეთ, ბატონო, ლაშქარი,—მე ვარ

ის მწყემსი, რომელიც ვესავ სიმართლეს და ვმეტყველებ მას. მე მომკალით, სიმართლისთვის თუ კაცი მოიკვლებათ!“

ვეზირმა ლაშქარი შეაჩერა, მარა გულში იჭვი შეეპარა: ვაი, თუ ეს სხვის დანაშაულს კისრულობს და თვითონ კი ის არ არის, ვისაც ჩვენ ვდევნითო? და გადაწყვიტა თავის გულში, გამობაასებოდა და გამოეცადა იგი. თუ ჭკუიანური პასუხები მითხრა, ხო რა, კარგი, თუ არა და ის არ იქნებაო: ბრიყვი სიმართლეს ვერ მიწვდებაო, და კითხა:

— მუნიანი ძაღლი ჯობია თუ ბედაური ცხენიო?

მწყემსმა მიუგო: თუ ბედაური ცხენი თქვენი ხელობის კაცის მატარებელი იქნება, ბატონო, მაშინ მუნიანი ძაღლი ჯობია, რადგანაც მალე მოკვდება და მალე მოანაკელებს ძვლებით მიწას, რომელიც უფრო მეტს მოსავალს მისცემს ხალხსო. ხოლო თქვენისთანების ბედაური დიდ ხანს ცოცხლობს, ადგილ-ადგილ სისწრაფით გადაყავს უფლებით მოსილი კაცები, რომელნიც ავიწროებენ და ტანჯვენ ხელ-მოკლე მუშებს, ქვრივ-ოხრებსა და ღარიბებს, და ამ ნაირათ ხელს უწყობენ, თუმცა შეუგნებლათ, უსამართლობის უფრო სიჩქარით გავრცელებასაო.

ვეზირმა ჩკითხა:—ვინ მეფობსო?

მწყემსმა მიუგო: ხორციელი ვერავინ, არამედ ყოველგან და ყოველთვის უმეფებია და კვლავაც იმეფებს დროვო!

ვეზირმა კითხა: რა არის ნიჭი საერთოთო?

მწყემსმა მიუგო: ნიჭი ზენაარი ძალაა, რომელსაც წვრთნა წყენს და სწავლა ალაფრთოვანებსო!

ვეზირმა კითხა: რომელი ქარია უფრო ძლიერიო?

მწყემსმა მიუგო: ერის თავის-თავის შეგნებისაგან დაბერილი ქარი ყველა სხვა ქარებზე უფრო ძლიერიაო.

ვეზირმა კითხა: რა არის ამ დროის მწიგნობრობაო?

მწყემსმა მიუგო: ამ დროის მწიგნობრობა ისეთი ასპარეზია, რომელზედაც მარულაში გამოდიან ერთსა და იმავე დროს: ბედაურები და ბარგის ცხენებიც, ვირები და ახლათ დამუტრუკებული ჩოჩრებიცო.

ვეზირმა თავის გუნებაში თქვა: ამან ისეთი ჭკვიანური პასუხები მითხრა, რომ სწორეთ ეს უნდა იყოს სიმართლის მეტყველიო. ანიშნა ლაშქარს და იმ უბედურ მწყემსს ფიცხლავ მოკვეთეს თავი. მერე მიუბრუნდა თემს ვეზირი და უბრძანა: დაივიწყეთ, რაც ამ კაცისაგან გაგიგონიათ. თუ არა და თქვენც ამ დღეს მოელოდეთო,— და დაედევნა მეფეს ლაშქრიანათ.

ნაზირ-ვეზირი და ლაშქარი მამფალს წამოეწიენ ერთ ლაჟვარდ-წყლიან ტბის პირათ და მოახსენა სიმართლის მეტყველის თავის მოკვეთის ამბავი. მამფალმა ასეთ სამახარობლოში ათი სოფელი უწყალობა ვეზირს და ლაშქრისათვის კი თითო ტიკჭორა ღვინის მიცემა ბრძანა კაცის თავზე. მამფალმა ნაზირ-ვეზირი, მწიგნობართ-უხუცესი, ამილახორი და ცხრა პირის-ფარეში იქ დატოვა და ლაშქარი დაითხოვა. იმ ტბის ერთ მხარეს, მაღალ ბრეგზე, თვალ-უწვდენელ სიმაღლისა და შორს ტოტებ გაწვდილი მუხა იდგა. მამფალმა იქ ინება საჩრდილებლათ დასვენება.

ფარეშებმა გაშალეს ფას დაურქმელი ხალი, დააწყვეს თვალ-მარგალიტის ფოჩებიანი აბრეშუმის მუთაქები, ზედ დაალაგეს ლალებითა და ოქრო მკედით მოქარგული ბალიშები. მამფალი და მისი პირმშო დაბრძანდენ ხალზე და მიწვენ ბალიშებზე. ვეზირები და, ცოტა მოშორებით, ფარეშებიც თავს დაადგენ და ბრძანებას ელოდენ.

უცებ მამფალმა თვალი მოკრა, რომ ტბაში, პატარა ჭალაკზე, იდგა ერთი ჭაბუკი და რაღაცას მუნჯურად ანიშნებდა წყალს. „ვინ არის ის ჭკუიდან შეშლილი, და რას აკეთებს იქ, შემიტყეთო!“ ბრძანა მამფალმა.

ვეზირები მაშინვე გაექანენ იმ კაცთან და ამბავი მოართვეს მამფალს: ასე მოგახსენებსთ, თევზებს ველაპარაკები, თევზების ენა ვიციო.

„მომგვარეთ აქო“, ბრძანა მამფალმა და ვეზირებმა იმ წამსვე აასრულეს მისი ბრძანება.

— შენ თევზთა ენა გცოდნია, რა მოგცე რომ მე და ჩემს პირმშოს გვასწავლოვო? უბრძანა მამფალმა.

— რაც თქვენი ნება იქნებაო, მოახსენა მეთევზემ.

— შენს წონა ოქროს მოგცემო, უთხრა მამფალმა.

— ცოტა იქნება, მწყალობელო ბატონოვო, ჰკადრა მეთევზემ.

მამფალის შუბლს წყენის ღრუბელმა გადაუარა. ეს შენიშნა ნაზირ-ვეზირმა, მიიჭრა მეთევზესთან და ყურში წასჩურჩულა:

— ოღონდ ჩვენს ბედნიერ ბატონს ცუდს გუნებაზე ნუ დააყენებ და ერთ დღეს რასაც მე და ჩემი ამხანაგები ქრთამს ავიღებთ, ნახევარს შენ მოგცემთო.

— ჰოო, ამ პირობაზე კი თანახმა ვარო...

ისწავლეს მამფალმა და მისმა პირმშომ თევზთა ენა, ამხედრდენ ცხენებზე და ვეზირებ-ფარეშების თან ხლებით, ნელი ტარებით დაჰყვენ ტბის პირ-პირ.

ლაჟვარდი წყალი ტბისა ისეთი ანკარა იყო, რომ არა თუ თევზები, პაწაწა კენჭებიც კი ნათლათ ჩანდენ.

ერთ ალაგს, სადაც წვერას (მურწას) მოეყარა თავი, მამფალმა და მისმა პირმშომ შემდეგ საუბარს მოკრეს ყური:

— გაიგე, ჭრიალავ, ფორჯებს რა დღე დადგომიათ? მოსულან მეჩანგლეები და სულ დედის რძეს ანთხევინებენ პირიდან! ხმა ისმის, მათი სინსილა უნდა გაწყვიტონ ამ ჩვენს ტბაშიო. ჰაი თუ დაგვრჩეს ბურთი და მოედანი?..

— არა, ჩემო პრიალავ, მიუგო ჭრიალამ—აქ ჩვენი გასახარებელი მაინცა-და-მაინც არა არის რა: ფორჯებს რომ გაწყვეტენ, მათ ნაცვლათ ღლავები გამრავლდება, ჩვენთვის კიდევ უფრო საშიშარი ჭირი. ბურთი და მოედანი კიდეც რომ დაგვრჩეს, მაინც ვერ შევირჩენთ: ჩვენი ცივი სისხლი და წყლით სავსე პირი ჯერ კიდევ დიდხანს აბატონებენ ჩვენში მეჩანგლეებს...

მამფალმა და მისმა პირმშომ შეხედეს ერთმანეთს და გასწიეს იქით, საიდანაც მოჩანდა კალმახების კრება.

— წინწკლავ, ეუბნებოდა ერთი კალმახი მეორეს,—მე მგონია ამ მიწის ხელმწიფემ, რომელზედაც ეს ჩვენი საცხოვრებელი ტბაა, ჩვენი ენა რომ იცოდეს, ეცდება ჩვენი ბედის გაუმჯობესობას. ჰა, როგორ ფიქრობ?

— რას ამბობ, პეპლია, ღმერთმა ნუ აცოდინოს მამფალს ჩვენი ენა, თვარა საშინაო ლაპარაკსაც აგვიკრძალავს, არა თუ ბედი გაგვიუმჯობესოს... განა მისი ყმების, მისივე მსგავსი ადამიანების ენა არ ესმის, რომ სამ-ფათ ტყავს აძრობს?!

მამფალმა გააქნია თავი, შეხედა თავის პირმშოს, და გასწია იქით, სადაც ნაპირთან მებადურებს ცეცხლი დაენთოთ და ხრამულებს ხარშავდენ ხუფ-დახურულ დიდ ქვაბში. ქვაბიდან ყრუთ მოისმოდა:

ამას გკითხავთ: ცხოვრებაა
ჩვენ რომ ვცხოვრობთ თევზ-კიბურათ!
ცნებას სიტყვათ, სიტყვას აზრათ
ვერ ვაქცევთ და ვუმუით მგლურათ!
დიდსა ქვაბში, მძიმე ხუფს ქვეშ,
სულს ვერ ვითქვამთ, ვიგუდებით...
მის ნაცვლათ, რომ თავს ავხადოთ,
ერთ-ურთს ვკენწლავთ, ზედ ვაკვდებით...
რასაც უნდა მხარს ვაძლევდეთ,
იმას ვქელავთ, იმას ვსრესავთ;
ჩვენს დასაკლავს სამართებელს
ჩვენვე ვჭედთ და ჩვენვე ვლესავთ!
ვინც რომ ქვაბში, მძიმე ხუფს ქვეშ
ჩაგვსხა, გვხარშავს ნელსა ცეცხლზე,
ტკბება ჩვენი დაბრმავებით
და... გვაქეზებს ერთმანეთზე!..

მამფალმა შეიჭმუხნა წარბები და ჩაღუნა თავი. დიდხანს იყო ასე დაფიქრებული, ბოლოს აწია თავი და უბრძანა ნაზირ-ვეზირს—თევზის სინსილა გაეწყვიტა იმ ტბაში. მერე

ამოიყენა პირმშო გვერდით და დაჯავრიანებული დაადგა სასახლის გზას.

ცოტა ხნის შემდეგ პირმშომ შეჰბედა მამას და გადუჩურჩულა ყურში:

— მამა ბატონო, რა დიდი უბედურება იქნება თურმე, თევზებმაც რომ კაცურათ ამოიდგან ენა?

მამფალის მკერდიდან ამოხდა ყრუ გმინვა, მოხვია ხელი პირმშოს, მიიახლოვა და ჩუმათვე ჩაულაპარაკა ყურში:

— ნუ გეშინია, შვილო, სანამ მამაშენი ცოცხალია, თევზებს კი არა, ადამიანებსაც არ ამოადგმევინებს კაცურათ ენას!..

—

მამფალის პირმშო მამის ერთგული და მორჩილი შვილი იყო, და როცა მას ხვდა მამფლობა, სცადა მამის კვალს დადგომოდა, მარა ბედის კოჭმა უმტყუნა და ალჩუს მაგიერ თოხლოთ დაუჯდა.

---

## ამირანი რამ გააცინა.

ამირანი დიდი ჭკუიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო. ის შეცდა ერთხელ, ხოლო მეტს აღარ შეცდება.

ერთ დღეს ამირანი ლომებზე ნადირობდა მყინვარის ფერდოებზე, უტეხს ტყეში.

შემოაღამდა.

თუთხმეტი დღის მთვარე თავმომწონე სიდინჯით ამოცურდა შავით მოსილ გარესკნელიდან და ლაჟვარდ ცაზე კეკლუცათ დაიჭირა გამოჩინებული ადგილი თავისი სხივ მომფინარე ავგავანით.

მთვარის შუქზე, შუა ტყეში, ამირანმა უცებ თვალი მოჰკრა ტრიალ მინდორს და იმ მინდორზე უცნობს, ნაზს, არა ამ ქვეყნიერ არსებას.

უცნაურ გრძნობების ტალღები მოაწვა ამირანის გულს

და იგი, ამცბარი, შედგა იმ ალაგას, საიდანაც თვალი მოკრა იმ უცნობ არსებას.

ხოლო მალე გამოერკვა გაოცების ბურანს, მიუახლოვდა მას და უზაკვო გაბედულებით დაუწყო თვალიერება...

ის იყო ადამიანი, მარა მას, ამირანს, არ ჰგავდა. მაღალი ტანისა იყო, თუმცა არა მამაკაცის ტოლა. მხარ-ბეჭსა და თეძოებში განიერი, წელში წვრილი იყო კალამსავით, ფართო მკერდი ორ ალაგას რაღაც ელექტრონის ძალის გამომცემით იყო აბურთებული; გრძელ წამწამებით და გრძელივე, შეკრულ წარბებით დაშვენებულ ლაჟვარდს, ჟუჟუნა თვალებში თითქო ერთად ჰკიანთობდა ცის ყველა მნათობები; სწორი, ზომიერი ცხვირი სიტურფეს უმატებდა რძე-და-ღვინისფერ ლოყებს, რომელთაც უკვდავ იერს აძლევდა მარჯნის ფერი ტუჩები და მათ შუა სადაფის ფერათ მოელვარე კბილები, აუწერელი სინაზის ოქროს თმების გრძელი ნაწნავები კოჭებამდი სცემდა...,

ის იყო ქალი, რომელიც ჯერ ამირანს არ ენახა.

ამირანმა მაშინ პირველათ იგრძნო თავისი მამაკაცობა და შეატყო, რომ რამდენათაც მეტს აკვირდებოდა არსებას, იმდენათ მეტს ჰკარგავდა სიმხნეს და გაბედულობას.

ამიტომ მოიკრიბა სულის ძალი, ჩახედა მას თვალებში, მარა იმ წუთსვე იტაცა ხელი გულზე: უხილავმა ძალამ შიგ ჩაუწერა ორი ცნება, რაც ორ ნეშტრათ და ორ ნეტარებათ მოხვდა მას...

ეს ორი ცნება იყო **სიყვარული** და **უკვდავება**...

ორივე ეს ცნება იმ წუთსვე ორ გრძნობათ იქცა ამირანისათვის, ალსავით მოედვა მას და შეიპყრო სრულიათ.

ამირანმა მაშინ პირველათ იგრძნო სიყვარული, შეუყვარდა იგი ქალი და მოინდომა გრძნობების გაზიარება.

დააპირა გამოლაპარაკება, მარა, აჰა, სასწაული! ის, რომელიც მეხს ხელით იჭერდა, ელვას თვალთა შუქით აბნელებდა და გრგვინვას ცისას ხმით ჰფარავდა, ეხლა ყელიდან

სიტყვის ამოტანას ვერ ახერხებდა, რომ თავის საყვარელი არსებისათვის ეთქვა, რასაც გრძნობდა.

გასამხნევებლათ მან გაანძრია თავი და დაჰკრა მიწას ფეხი.

შეირყა არე-მარე. მყინვარის მწვერვალოდან თოვლის ერთი წილი გადავარდა იალბუზის კატარზე. ტყეები ახმაურდა, ნადირებმა სირბილი შექნეს. ქალი კინაღამ წაიქცა, მარა ამირანმა ხელი მოკიდა და შეაჩერა. ამ ხელის შეხებამ გაბედულობა მოუმატა ამირანს და ძლივს, როგორც იქნა, შეიძლო და უთხრა:

— მე ამირან ვარ, მამაკაცი...
ძალა სიმხნისა...
გული სიწრფოებისა...
სული უბიწოებისა...

ახლა, შენ რო გიმზერ, ვგრძნობ სიყვარულს და უკვდავებას... მინდა შენც უკვდავ გყო და ის კაცობრიობაც, რომელმაც შენ შეგქმნა. ამიერ შენ იქნები ჩემი უპირველესი, სათნო ღვთაება.

ქალმა ახედა მნათობებს, იქიდან მოისმა ციური ჰარმონია ხმათა... ამირანს ესმოდა და გულს წვდებოდა ქალის ხმა...

— მე ვარ მინდა*), მთის გადალმელი დედა-კაცი.
ძალა სიყვარულისა...
გული სიტკბოებისა...
სული ნეტარებისა...

გიმზერ და გხედავ, ვგრძნობ სიამოვნებას და ვარ კმაყოფილი... მინდა შენც კმაყოფილი იყო... ამიერ შენ იქნები ჩემი უპირველესი, სათნო მამაკაცი.

გულ-უბრყვილო, ქალის უცნობი და სიყვარულ-გამოუცდელი ამირანი აღფრთოვანდა.

მას მოდგამდა დიდ-სულოვნობა, და ამ გრძნობამ გადააწყვეტინა ჩამოიტანოს ციდან უკვდავების ცეცხლი და მითი

*) ქალის სახელი დასავლ. საქართველოში.

უკვდავ ჰყოს სატრფო გულისა—მინდა და მისი მშობელი კაცობრიობაც; ხოლო შეუდარებელმა რაინდობამ სიცოცხლე გააწირვინა მას ამ მადლიანი განზრახვის შესასრულებლათ.

ფიქრის უმალვე საქმეს შეუდგა: ერთს იდლიაში კარჩხალის მთა ამოიდვა, მეორეში აბულისა, ცალი ხელი ბრუტსაბძელას მოკიდა, მეორე იალბუზს, აირბინა მყინვარის მწვერვალზე, ეს მთები ერთი მეორეს დაადგა, ავიდა ზეცას და მიატანა გაუქრობელს, თავის-თავადს ცეცხლს უკვდავებისას.

ამირანმა დადვა ცეცხლი ახხის მთის ქვის კეცზე და წამოიღო.

ეს იგრძნეს ცის ძალებმა და შეშფოთდენ: უოსტატესი მათგანი, რომელსაც ხერხი ჰქვიოდა, მიუახლოვდა ამირანს, მიესალმა და გამოჰკითხა მიზეზი მათი სამფლობელოთა საზღვრის უკითხავათ გადალახვისა.

კადნიერმა ამირანმა შეუპოვრათ უთხრა, რაც მიზეზი იყო მისი ზეცას ასვლისა.

ხერხს გაეცინა, რაღაც ფხვიერი აყნოსვბინა ამირანს, რომელსაც ისე ძლიერათ დაანცხინკვა, რომ კაიხანს თვალთაგან ცრემლი დიოდა... ცრემლების შეშრობის შემდეგ მას მხედველობა და ყურთა სმენა ერთი ასათ მომატებოდა.

მაშინ ხერხმა ჩაახედა ამირანს ძირს, ქვეყანაზე; და დაანახვა მისი სატრფო—მინდა, რომელიც ვიგინდარა ქერა კაცს ჩახუტებოდა და ვნებათა ღელვისაგან ათრთოლებულ ხმით ეუბნებოდა:

„გიმზერ, რადგანაც მიმზერ, გეხუტები რადგანაც მეხუტები, ვგრძნობ სიამოვნებას და ვარ კმაყოფილი. ამიერ შენ იქნები ჩემი უპირველესი, სათნო მამა-კაცი“.

ამირანი შეკრთა. მისი მძლავრი არსება ერთი ისე ძალუმათ შეირყა, როგორც არაოდეს არც წინათ და არც მას შემდეგ...

მან იგრძნო, რომ თვალებზე ბინდი გადაეკრა, გული

მოწყდა და სადღაც მიემალა... გულს გაჰყვა გრძნობა, გრძნობას—გონება...

ბევრი ეცადა მოეკრიფა გონება, მარა ვერ შეიძლო, იმას შერჩა მხოლოთ ძალა სიმხნისა!

ამ ძალის იმედნეულმა გამოსწია ქვეყნისკენ, მარა გონება მიხდილს დაებნა გზა: იმის ნაცვლათ, რომ იმ გზით დაბრუნებულიყო, რა გზითაც მოვიდა, ის გაემართა იქით, საითაც ცის ძალების ბინა იყო. ცის ძალები, ხერხისაგან გაფრთხილებულნი, ერთათ დარაზმულ-შეიარაღებულიყვნენ, დახვდენ ამირანს, გაუმართეს ბრძოლა, ძლიეს და დააგდებინეს ცეცხლი.

მერე ჩამოიყვანეს ქვეყნათ, იალბუზის მწვერვალის კლდეში ჩაარჭვეს რკინის პალო და იმაზე მიაჯაჭვეს ამირანი, ზეცის სამჭედლოში ცხრაფათ ნაჭედი ჯაჭვით, რომელიც წელზე შემოავლეს ექვს-ფათვე.

შემდეგ ცის ძალებმა რის ვაივაგლახით და ჭაპან-წყვეტით, ამირანისაგან იალბუზზე ატანილი მთები თავ-თავის ადგილას მიიტანეს, რომ სხვასაც არ აშლოდა საღერღელი ცაში ასვლისა...

ამირანი კი მაშინვე შეუდგა ჯაჭვის დაწყვეტას, მარა დარწმუნდა, რომ უამხანაგოთ ვერ მოერეოდა, და ხელი მიჰყო პალოს ამოგლეჯას კლდიდან... ათასი წლის ჯაფის შემდეგ მან ოდნავ შეარყია პალო.

ეს შენიშნეს ცის ძალებმა და შექნეს თათბირი. გადაწყვიტეს: შევირიგოთ ამირანი, თვარა ოდესმე უთუოთ აიწყვეტს, აქ შემოგვივარდება, კვლავინდებურზე უფრო გააფთრებული, მოგვტაცებს უკვდავების ცეცხლს და ერთს უცნაურს ამბავს გადაგვკიდებსო.

მიუგზანეს მოციქულათ ხერხი...

ამირანმა უთხრა: „ზეცასთან შერიგების ურჩი არა ვარ, ხოლო რა პირობითო?“

ცის ძალებმა ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ეს დაასკვნეს:

„ისეთი რამ პირობა დავუდვათ, რომ მისი ასრულებით, ვერ მიხვდეს ისე, სულის ძალა, შემოქმედებითი ნიჭი და სხეულის ღონე ნელ-ნელა, თანდათანობით აკლდებოდესო; მაშინ უფრო საიმედო იქნება მისი შემორიგებაო და შეუთვალეს: „ქალი შეირთეო... ვინც მოგეწონოს დედა მიწის ზურგზე ის აირჩიე და შენი იქნებაო, ან ინატრე, როგორიც გინდა და ჩვენ გავაჩენთ შენთვისო“...

ამის გაგონებაზე ამირანს გაეცინა, პირველათ მას შემდეგ, რაც მიჯაჭვული იყო...

მერე მწარეთ ამოიოხრა, ციდან მოგზავნილ მოციქულს ისე შეუბღვირა, რომ მან ამჯობინა გაუჩინარებულიყო...

ხოლო თვით ამირანმა პალოს ამოსაგლეჯათ ისევ ჯაჭვს დაუწყო ქიჩმაჩი...

ამირანი ძალიან ჭკუიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო: ის შეცდა ერთხელ, ხოლო მეტს აღარ შეცდება...

## დ ე ბ ი.

(ძველებური ამბავი, ჩაქვში ჩაწერილი).

რუსუდან და სალომე დები იყვნენ, ერთის დედისგან შობილნი, ხოლო მამით სხვა და სხვანი. ორივენი მამის-ერთნი იყვნენ. რუსუდანი იყო თეთრ-ყირმიზი, გულუბრყვილო, დანდობილი, მალხაზი, პურ-ღვინის მოტრფიალე. მდიდარი მამის სიკვდილისათანავე, ძალიან ცდილობდა გათხოვებას—ქალს ან მამა უნდა პატრონობდეს, ან ქმარიო. ამიტომაც პირველსავე თაყვანისმცემელს იოანე ნათათრალს ცოლობის დასტური მისცა ისე, რომ ბევრი აღარ უფიქრია, მხოლოთ ეს პირობები დაუდვა: მამული, რაც ქონდა, რუსუდანისათ უნდა დარჩენილიყო სახელითაც და სახრავითაც; მოურავ-მუშების დაქირავება და დათხოვნაც რუსუდანისავე საქმე უნდა ყოფილიყო და არა იოანესი. იოანეც თანახმა იყო. ან რათ არ იქნებოდა თანახმა, თავნიდან რას აგებდა?

ის დიდი შორსმხედველი და ხერხიანი ვინმე იყო. მას კაცი თავისდღეში ვერას გაუგებდა და ის კი ყველას გულში კითხულობდა საიდუმლოებს. ის მიშინვე მიუხვდა რუსუდანს გულ-უბრყვილობასა და დანდობილობას. ჯვარის წერამდე შეუტყობინებლათ ეწვია, დაბინავდა მის სახლ-კარში, მამულში კი თან ჩამოყვანილი ფარეშები და მებაღეები ჩააყენა და დაეპატრონა ყველაფერს.

რუსუდანმა რომ ჯვარის-წერა მოითხოვა და პირობები გაახსენა, იოანემ მიუგო:

— შენ თუ კაი ქალი ყოფილიყავი, არც მასე მენდობოდი. რაკი მასე მენდე, სჩანს როსკიპი ყოფილხარ და როსკიპებზე მე ჯვარს არ ვიწერო.—ერთი-ორი თქვენი მოწონებული მუჯლუგუნიც უთავაზა (ამობენ კუკუც კი კადრაო) და ჩაჩუმა...

ყველაფერს აონავრებდა იოანე, ყველას თავში უფაჩუნებდა, ხოლო პატივს ცემდა და ეფერებოდა რუსუდანის დას—სალომეს.

სალომე არაფრით არ ჰგავდა რუსუდანს. შავგვრემანი იყო, გულ-ჩათხრობილი, გადაჭარბებული მომჭირნე, მქირდავი და ტრაბახი. მისი ღარიბი მამა სიცოცხლეშივე გაკოტრდა, ასე რომ სალომესთვის არაფერი დაუტოვებია. დაობლებული სალომე შეეხიზნა რუსუდანის მამას, ხოლო მის სიკვდილს შემდეგ დარჩა რუსუდანის სამკვიდროში. კეთილი გულის რუსუდანი არაფერს ეუბნებოდა,—გული არ დაეჩაგროსო; პირ-იქით—ხელსაც ხშირად უწყობდა. სალომეც რუსუდანის ლოცვაში იყო. სხვები კი რაღაცაებს მიჰქარავდენ, მარა რუსუდანი მათ ყურს არ ათხოვებდა...

სალომემ იმ დღიდან, რა რომ იოანემ რუსუდანი მოაღორა, უცებ იცვალა საქციელი. დაუწყო შინ და გარეთ რუსუდანს კილვა, ძაგება, კიცხვა, შარი, უსამართლო ღავა მისსავე მიწა-წყალზე, დაუმსახურებელი გინება პურ-ძვირობაზე, დაუჭორა ნამუსი, გაულანძღა მამის გვარი, დაუგმო ნი-

ჰიერება, ერთი სიტყვით—არ დაინდო არაფრით. დარწმუნებული იყო ივსებაო და გადაწყვიტა შესვლოდა...

ამასობაში სალომე არ ივიწყებდა თავის-თავს... ტრაბახობდა და ბაქიაობდა, ნაცარში ბძღვირს ადენდა, მტვერში—კორიანტელს, ითხზავდა საქებარ ზღაპრებს, სხვის ძეგლებზე წარწერებს შლიდა და თავის მამის, ბაბუის და პაპის მოსახსენებელს წერდა. თან არც ჭამდა, არც სვამდა და სამზითვოს აგროვებდა. იოანეს ეჩურჩულებოდა: „შენი ხათრი რომ არ მქონდეს, ამ ჩემ დაია-ბატონს ავგავდი პირისაგან ქვეყნისაო. ან რა სასიცოცხლოა მაგ უპირისწყლოვო. ჯერ იყო და ისე დაუფიქრებლათ შეგიყვარა, ახლა არის და სულ იმის ფიქრშია—როგორ მოგიშოროს თავიდან. რაცახანია—შენდა დასაკლავათ დანას ლესავსო. მაგის ამარა ამ ქვეყანაში არ დაგედგომებაო. მეკი, ღმერთმა ხომ იცის, თავსა ვდებ შენთვის, მარა ჩემი ბატონი დაია ხელს მიცარავს და ვერას გშველიო. ერთი გადაჰკარგე სადმე, რომ შენს გარჯას ნაყოფიერება გაუმრავლდესო. თუ ჩემსას არ დაიჯერებ, მალე იწვნევ რუსუდანის საზრისს და დანაპირების შედეგსაო“.

ვერაგი იოანე არც სულელი იყო. რუსუდანსა და სალომეზე ერთი ორად მეტი ჭკუა მაინც ქონდა. მან კარგათ იცოდა, მამლები რომ ერთმანეთს დაქოჩრავენ, ორივე საქორეთ დარჩება. ამიტომ განიზრახა რუსუდანისა და სალომეს ერთმანეთზე გადაკიდება, რომ მათ ერთმანეთისათვის სული ამოეხადათ და მერე თავათ დაჰპატრონებოდა დების ნაპარტახევს...

რაკი უფრო შეძლებული რუსუდანი იყო, იოანემ ჯერ სალომეს მხარე დაიჭირა და მიუტია რუსუდანს. თანაც აღუთქვა: თუ შენს დას აქედან ფეხს აუდგამ, შენ კანონიერათ შეგირთავ ცოლათაო.

დაფაცურდა სალომე. ერთგულ დათ მოიკატუნა თავი, რუსუდანთან ბოდიში მოიხადა წარსულ შეცდომისათვის, უფრო ახლო მიუჩოჩდა, ქება და ქათინაურები უხშირა და მოგროვილს სამზითვოდან ფულის სესხებაც კი დაუწყო რუსუდანს.

ერთხელ კიდევ მოტყუვდა რუსუდანი.—სალომე ახლა ერთთავათ მის პურ-ღვინოზე იყო.

გადიოდა დრო და ხანი. რუსუდანისას აკლდებოდა, სალომესას—ემატებოდა.

რუსუდანს არც თუ მთლათ ეჭვი, ისე, რაღაც ეჭვის მსგავსი შეეპარა თავში და ალალმართლად დაეკითხა სალომეს: დაო, ეს რასა ჰგავს, მგონი სულ შენკენ ითლიო?

სალომე მიუახლოვდა, ტუჩები მარჯვენა ყურზე დაადვა, თანაც მარჯვენა ხელი აიფარა და ჩუმ-ჩუმათ ჩაუჩურჩულა:

— „სსს, ჩუმათ, დაო! რა დროს შენ—ჩემობაა... ერთობა გვმართებს, ერთობა“...

მერე ჩახედა თვალებში და ისე მრავალ მნიშვნელოვნათ ანიშნა თვალებით, რომ გულ-უბრყვილო რუსუდანს დავთრები დაუბნია და გულში ბოდიშიც მოახდევინა.

სალომე სულ თან-და-თან მდიდრდებოდა, რუსუდანი თან-და-თან ღარიბდებოდა.

სალომე იცინოდა, ხარხარებდა, რუსუდანი იყო პირ-დაღრეჯით, თვალ-ცრემლიანი.

რუსუდანის პურ-ღვინო სალომეს ასუქებდა და აფეროვანებდა, რუსუდანს კი აჩიავებდა და აპირ-მქრქალებდა.

სალომეს სამზითვო იზრდებოდა ფულითაც და მიწა-წყალითაც. რუსუდანს კი ჭლექი ეკიდებოდა, და თუ სული არ ამოხდა, იმიტომ, რომ საბრალო ჯერ კიდევ გულს ასაზრდოებდა სალომესგან აღთქმულ ერთობის იმედით.

იოანე რუსუდანს დაცინოდა, სალომეს აქეზებდა...

ერთს შვენიერ დღეს სალომემ გაიხმო იოანე თავის ჩინებულ ბაღში და საიდუმლოთ დაეკითხა:

— ჩემს ბატონს—დას, შენს რუსუდანს, კუდის რიკამდე ტყავი გავაძრე, ერთი ყათლანი ვუქნა, მეტი არა უნდარაო! შენ როგორა ხარ პირობაზე, მირთავ კანონიერათ?

იოანე შეკრთა. მას იმედი ჰქონდა, რომ სალომე დააუძლურებდა რუსუდანს, მარა ისე საშინლათ დასუსტებას,

რაც უნდა იყოს მაინც მისს თანა-მემცხედრისას, არ მოე-ლოდა.

მარა ეს თავისი შეკრთომა არ შეამჩნევინა სალომეს და მიუგო:

— ამ ქვეყანაში ყველაფერი ანგარიშის საქმეა. გირთავ, თუ მზითევი ჩემი საკადრისი მოგყვებაო.

ამაო დიდების სიყვარულით დაბრმავებულმა სალომემ უჩვენა თავისი სამზითვო: ფული, ოქრო-ვეცხლი და მიწა-წყალი.

იოანე გაშტერებული დარჩა: არც თვალით უნახავს, არც ყურით სმენია და არც წიგნში წაუკითხავს, რომ ოდესმე, სადმე ობოლ ქალს ამდენი სიმდიდრე ქონებოდეს. იფიქრა: ამან სადაც მოუყვარული და არ გაიტანა და სულით ხორცამ-დე გაატყავა, მე როგორღა გამიტანს, გუშინდელ დამეგობრე-ბულ ვიგინდარასო! თან შურიც შეუვიდა გულში, როგორც წინათ რუსუდანისა...

ერთს შავ-დღეს, იოანემ გაიხმო სალომე ხელჯოხიანთა და მონათა შესაკრებელ ასპარეზზე და გამოუცხადა:

— რაც შენია, ის ჩემია, ხოლო შენი თავი ტარტარო-ზისაა, საიდანაც მოსულხარ იქით წადიო.

დაუძახა მებალეებს და უბრძანა: ჩაიბარეთ ამისეული მი-წები და ჩემეულათ მოუარეთო.

დაუძახა ფარეშებს და უბრძანა: წადით ამის სახლში და რაც სამზითვო გააჩნდეს, ფულათ თუ ოქრო-ვეცხლით, ჩემს სასახლეში მიიტანეთო.

სალომეს თავზარი დაეცა.

— განა ეს სამართალია? ზევით ღმერთს რას ეუბნები, ქვეშ კაცობრიობასო?

რა დამიშავებია შენთვის მაინცა? განა შენს პირს არ ვენდვე, შენი წადილი არ შევასრულე?!

იოანემ გაიღიმა და მგესლავი ენით მიუგო:

— სალომე, სალომე! სამართალი ან რა შენი სახსენებელია, ან რა ჩემი ასასრულებელი!

ეს თქვა, გადიხარხარა და მოშორდა...

სალომე ვითომ ძალზე დადგა, მისი ჭკუით არც ფარეშებს და არც მებადეებს ნებით არაფერს აძლევდა, მარა მათმა ძალამ აჯობა და საწყალ სალომეს მარჯვნით მიქცეული ცხვირი მარცხნით მოუქციეს და ჩამორთმევითაც ყველაფერი ჩამოართვეს.

გულ-გახეთქილს, ნაცემს და გონება დაკარგულ სალომეს მაშინ გაახსენდა რუსუდანის დობა, მივარდა მას, მარა გული ვერც ახლა გაუხსნა დასავით. იმის მაგიერ, რომ ყოველივე სიმართლე გაემჟღავნებინა მისთვის, ეთქვა თუ რამდენი დღიური მიწა წაართვეს, რამდენი ფული და ოქრო-ვეცხლი, რომ ერთად მოესაზრებინათ, როგორ მოევლოთ საქმისთვის, ეს უთხრა, მისი მისვლით გაოცებულს, კეთილ რუსუდანს:

— დაო... ჩემო... რუსუდან...ჯან... მიშველე!

რუსუდანს თვალებზე ცრემლი მოადგა, რა შეხედა ჩიხტა მიღრეჯილს, მარცხნით ცხვირ-მოქცეულს და სისხლ-მტვერში გათხუპნულს დას, დაავიწყდა მისი ყოველივე ავი და გულ-მტკივნეულათ შეჰკითხა:

— რა ამბავია, ქა?!

— მიშველე... შენმა იოანემ მიჩქმიტა!

— უი, დალოცვილო, მე რაცახანია მიკბინა კიდეც, მარა თავისთვის ვერ მიშველია, შენ რა გიშველო?! ან რა იქნება ჩემი შველით: მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარის კარამდე მიმიტანეო...

— სალომე, სალომე! შენც წახდი, მეც წამახდინე, და ახლა ხომ ხედავ, ვისაც უხარია?

## 1909 წ.

# პოზნანელ მასწავლებლის დღიურიდან.

ჰენრიკ სენკევიჩისა.

ხშირათ გამოვუღვიძებივარ ლამპის მქრქალ სინათლეს ღამის მეორე და მესამე საათზე და ყოველთვის დამინახავს ისე გვიან მოცადინე მიხასი. პატარა და სუსტი, ის მარტო თეთრეულში უჯდა წიგნებს, და ნამძინარევ, ჩახრენწილ ხმით მექანიურათ იმეორებდა ლათინურ, ან ბერძნულ უღვლილებას ისეთი ერთნაირობით, როგორც საყდარში იმეორებენ ხოლმე ლიტანიის სიტყვებს. როდესაც ვეტყოდი—წადი და დაიძინე მეთქი, ბავშვი მომიგებდა: „ჯერ კიდევ არ ვიცი გაკვეთილი, ბატონო ვავჟინკევიჩ!" აქ უნდა მოგახსენოთ, რომ მე მიხასთან ერთათ ოთხიდან რვა საათამდი ვხსნიდი არითმეტიკულ ასახსნელებს, და შემდეგ—ცხრიდან თორმეტამდი, სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ მას ყველა გაკვეთილი დასწავლილი ჰქონდა, არ ვწვებოდი. მართალი უნდა ვთქვა, რომ ასეთი მეცადინეობა მეტის მეტი იყო. ბავშვი რომ ბოლონდელ გაკვეთილს დაისწავლიდა, პირველი ავიწყდებოდა; ბერძნული, ლათინური და ნემეცური უღლვილებანი და სხვა და სხვა სახელები მაზრებისა, ისე დომხალივით ირეოდა საწყალ ბავშვის თავში, რომ ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. ამიტომაც მიხასი ნაშუაღამევს გამოძვრებოდა საბნიდან, აანთებდა ლამპას და ისევ მიუჯდებოდა მაგიდას. როდესაც გავუჯავრდებოდი, ის მეხვეწებოდა და ტიროდა. შემდეგ ისე მივეჩვიე მის ღამით მეცადინეობას, ლამპის სინათლეს და უღლვილებათა ჩადუდუნებას, რომ როდესაც ვერცერთ ამას ვერ დავინახავდი და ვერც გავიგონებდი—ვეღარ დავიძინებდი. იქნება, მე არ უნდა მიმეცა ნება ბავშვისათვის, რომ ასე გადაჭარბებით ემეცადინა, მარა რა უნდა მექნა? მას ხომ ყოველ დღე უნდა დაესწავლა როგორმე გაკვეთილები, თუ არა და გამო-

რიცხავდენ გიმნაზიიდან, და ეს მხოლოთ ღმერთმა უწყის, თუ რა უბედურება იქნებოდა დედისათვის, რომელიც ორი შვილის პატრონი იყო, და დაქვრივების შემდეგ, ყველა თავის იმედებს მიხასზე ამყარებდა. საქმის გარემოება თითქმის უსაშველო იყო, რადგანაც, მეორე მხრით, ვხედავდი, რომ გადაჭარბებული გონებითი ჯაფა ასუსტებდა ბავშვის ჯანს, და შეიძლებოდა საშიშარიც გამხდარიყო მისი სიცოცხლისათვის. საჭირო იყო, რომ ბავშვი ფიზიკურათ მაინც გაგვემაგრებინა, გიმნასტიკა გვესწავლებინა, ბევრი გვერონინებინა, ანუ ცხენით გვეტარებინა, მარა საამისოთ დრო აღარ რჩებოდა. ბავშვი ყოველ დღე იმდენს მეცადინეობდა, იმდენს იზეპირებდა და იმდენს წერდა, რომ სულს ქვეშე შემიძლია ვთქვა: ფიზიკური ვარჯიშობისათვის სრულიათ არ რჩებოდა დრო. ყოველ იმ წამს, რომელიც საჭირო იყო ჯანისათვის, სიცოცხლისა და ბავშვის გართობისათვის, გვართმევდა ლათინური, ბერძნული და... ნემეცური ენები. დილ-დილობით, როცა ჩავუწყობდი ბავშვს ჩანთაში წიგნებს, და ვამჩნევდი როგორ იზნიქებოდა მისი გამხდარი მხრები ამ მსხვილი წიგნების სიმძიმით,— გული მეკუმშებოდა სიბრალულით! ზოგჯერ მივდიოდი სკოლაში და ვთხოულობდი, რომ ლმობიერათ მოპყრობოდენ მიხასს, მარა გერმანელი მასწავლებლები მეუბნებოდენ, რომ მე ასეთი თხოვნით ვაფუჭებ და ვანებივრებ ბავშვს, რომ ის, ცხადიაო, ჯეროვანათ არ მეცადინეობს, და თანაც ტირის ტყუილ უბრალოთო. მიხასი იყო საშუალო გულის ყურის ყმაწვილი, ნაზი ბუნებისა, მარა იმდენათ ამტანი და მტკიცე ხასიათის, რომ იმგვარი ხასიათი არც ერთი სხვა ბავშვისათვის არ შემიმჩნევია. საბრალო მიხასს გაშმაგებით და ბრმათ უყვარდა დედა. მას უთხრეს ერთხელ, რომ დედა მისი ერთობ უბედური და ავადმყოფია, და თუ მან ცუდათ ისწავლა, ბოლოს მოუღებს დედას, და იმ დღიდან ბავშვს აკანკალებდა, როცა ამას წარმოიდგენდა, და მთელი ღამეობით უჯდა წიგნებს, რომ დედა არ შეეწუხებინა. ბავშვი ტიროდა, როცა

ცუდ ნიშნებს მიიღებდა, ხოლო არავის აზრათ არ მოუვიდოდა—რატომ ტიროდა, და რანაირს პასუხის მგებლობას გრძნობდა ბავში ამისთანა დროს,—ეს ვის რათ ენაღვლებოდა? მე იმას არც ვაფუჭებდი და არც ვანებივრებდი. მე მხოლოთ გაგებული მქონდა მისი ბუნება სხვებზე უკეთესათ, და თუ მის მიგიერ, რომ მეყვედრებინა, ვანუგეშებდი მას, ეს ჩემი საქმე იყო. მე თითონ ცხოვრებაში შემხვდა არა მცირედი შრომა, გამომიცდია შიმშილი, გაჭირვება, არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ბედნიერი—და—ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი!—არც ვწუხვარ მაინცა და მაინც, როცა ამას დავუფიქრდები: არ მწამს, რომ ღირდეს ქვეყნათ ცხოვრება და იქნება მარტო ამ მიზეზით, სულითა და გულით თანავუგრძნობ ადამიანის ყოველგვარ გაჭირვებას.

მე კი, როცა მიხასის ხელა ვიყავი და ქუჩაში, ქალაქის გამგეობის წინ, მტრედებს დავსდევდი და ჩემს ტოლებს ვეთამაშებოდი,—თავისუფალი დრო მაინც მქონდა, აგრეთვე—ჯანმრთელობა და კარგი გუნებაც. ხვალება მაშინ მე არ მაწუხებდა; როდესაც მცემდენ, ვტიროდი, სანამ მცემდენ, მარა თავისუფალი მაინც ვიყავი, როგორც ჩიტი, და არაფერზე არ ვზრუნავდი. მიხასი ამასაც კი მოკლებული იყო. ცხოვრება, რასაკვირველია, ბოლოს იმასაც გააწვენდა გრდემლზე და დაურთავდა უროს, მარა, სამაგიეროთ, ბავშობაში მაინც უნდა ღირსებოდა გულიანათ გაცინება იმაზე, რაც ბავშებს ართობს, უნდა ღირსებოდა აგრეთვე წმინდა ჰაერში და მზისით გულის შეჯერებამდე ცელქობა და სირბილი. მარა ასეთს ჰარმონიას შრომისას ბავშობასთან ის მოკლებული იყო. ეს კი არა, მე მას ვამჩნევდი, როცა სკოლაში მიდიოდა და იქიდან ბრუნდებოდა, ყოველთვის მოწყენილი იყო. წიგნების სიმძიმით ბეჭებში მოხრილი, დასუსტებული, კუთხეებ დანაოჭებულ თვალებით, თითქმის ყოველთვის ცრემლებს იკავებდა, —და ამიტომაც მე თანავუგრძნობდი მას და მინდოდა მისთვის მფარველობა გამეწია.

მე თვითონ მასწავლებელი ვარ, თუმცა კი კერძო, და არ ვიცი რას ვიზამდი ამ ქვეყნათ, რომ სხვა სიკეთესთან ერთათ დამკარგვოდა რწმენა მეცნიერების მნიშვნელობისა და იმ სარგებლობის, რომელიც მეცნიერებას მოაქვს. ხოლო ვფიქრობ, რომ მეცნიერება ბავშებისათვის ტრაგედია არ უნდა იყოს, რომ ლათინური მათ ვერ გაუწევს ჰაერისა და ჯანმრთელობის მაგიერობას, და რომ სხვა ენაზე კარგ ან ცუდ გამოთქმას არ უნდა ჰქონდეს საბედისწერო გავლენა პატარა არსებათა ბედსა და სიცოცხლეზე.

მე აგრე მგონია, რომ პედაგოგიკა მაშინ უფრო კარგათ შეასრულებს თავის დანიშნულებას, როცა ბავში იგრძნობს, რომ მას ხელმძღვანელობს ალერსიანი ხელი, და არა მკერდზე დაჰირებული ფეხი, რომელიც თრგუნავს ყველაფერს, რისიც პატივისცემა და სიყვარული ბავშს სახლში ასწავლეს.—ვგონებ, მარტო მე უნდა ვიყო ასეთი უკუღმართი, რომ სწორეთ ამ საგნის შესახებ არაფრისთვის არ გამოვიცვლი ჩემ აზრს, რადგანაც თან და თან უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემი აზრი მართალია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გავიხსენებ ჩემ მიხასს, რომელიც წრფელი გულით მიყვარდა.

ექვსი წლის განმავლობაში მისი მასწავლებელი ვიყავი, ჯერ როგორც აღმზრდელი, მერე კი, როცა ის მეორე კლასში გადვიდა, როგორც რეპეტიტორი, და, მაშასადამე, საკმაო დრო მქონდა, რომ მას შევთვისებოდი. მაინც რატომ უნდა დავუმალო ჩემ თავს: ის ჩემთვის ძვირფასი იყო, როგორც შვილი ჩემთვის უძვირფასესი არსებისა ამ ქვეყნათ... იმ არსებას არასოდეს არ ცოდნია ეს, და ვერც ვერასოდეს გაიგებს. კარგათ მახსოვს, რომ მე... ვიყავი მხოლოთ ბა-ნი ვავჟინკევიჩი, კერძო მასწავლებელი, და ამასთანავე ავათმყოფი, ის კი—გამოჩენილი გვარის შვილი, კარგი საზოგადოების მანდილოსანი, რომელსაც მე შეხედვასაც ვერ ვუბედავდი. მარა რადგანაც ობოლი გული, ცხოვრების ქარიშხალისაგან ნაქენჯნი, ბოლოს და ბოლოს უნდა მიეწმასნოს რამეს, როგორც მიე-

წმასნება ხოლმე ზღვის ტალღებისაგან განატყორცნი ნიჟარა, —ჩემი გულიც ისე მიეწმასნა მიხასის დედას. მაშ რა უნდა მექნა? განა ამით იმას რამე დაუშავდება? მე ხომ იმისაგან უფრო მეტს სინათლეს არ ვნატრულობ, ვიდრე ჩემდა წილათ მხვდება მზისაგან, რომელიც გაზაფხულში ათბობს ხოლმე ჩემ ავადმყოფ მკერდს, ექვსი წელიწადი ვცხოვრებდი მის სახლში, დავესწარი მისი ქმრის სიკვდილს, როცა ის იყო უბედური და მარტოხელი, მარა ყოველთვის კეთილი, როგორც ანგელოზი, იყო შვილების მოყვარული, თავის ქვრივობაში თითქმის წმინდა და, მაშასადამე... ასეც უნდა მომხდარიყო... მარა ეს სიყვარული კი არ არის ჩემი, ეს უფრო სარწმუნოებაა ჩემი.

მიხასი ძალიან ჩამოჰგავდა დედა მისს. ყოველთვის, როცა ის შემომხედავდა, ასე მეგონა—დედა მისს ვუყურებდი. მას ჰქონდა იგივე ნაზი, მოხდენილი პირის ნაკვთები, იგივე პირისახე დაჩრდილული სქელი ხუჭუჭა თმით, იგივე ნაზი მოქნილობა წარბებისა, ნამეტურ კი ხმა, თითქმის იგივე, როგორიც ჰქონდა დედა-მისს. დედა-შვილის ხასიათში იყო ერთი მსგავსებაც: ორივეს ჩვევოდათ გრძნობებითა და ფიქრებით გატაცება. ისინი ორნივე ეკუთვნოდენ იმ გვარ ნერვებიან, მგრძნობიარე, კეთილ-შობილ და მოყვარულ არსებათ, რომელთაც შეუძლიათ უდიდებულესი თავ-განწირულება, მარა ცხოვრებაში კი, სინამდვილესთან საქმის დაჭერის დროს, ბედს ვერ ეწევიან, და უფრო მეტს გაცემენ, ვიდრე თითონ მიიღებენ ხოლმე. ამგვარი ადამიანები დღეს იღუპებიან, და მე მგონია, რომ ეხლანდელს ვინმე ბუნებისმეტყველს შეუძლია თქვას იმათზე, რომ ისინი იბადებიან გულის მანკით, რადგანაც ერთობ მოყვარულ გულისანი არიან.

მიხასის წინაპარნი ოდესმე მდიდრები ყოფილან, მარა, ვაი რომ ერთობ გატაცებულნი ყოფილან სიყვარულით... და ამიტომაც სხვა და სხვანაირ გრიგალ-ქარებს შეურყევიათ მათი სიმდიდრე, და, თუმცა ის, რაც დარჩათ არც სალარიბოა და არც საგლახაკო, მარა მაინც შეუძლებელია ეხლანდელი

მათი ნივთიერი მდგომარეობის შედარება მათს ბრწყინვალე წარსულთან. მიხასი თავის გვარის მოძირე *) იყო, და ამიტომაც დედა მისს უყვარდა იგი არა მარტო როგორც შვილი, არამედ როგორც ყველა თავის იმედები მომავალში. საუბედუროთ დედა მისი, როგორც საზოგადოთ ყოველი დედა, იმდენათ ცდებოდა, რომ მიხასი საუცხოვო ნიჭის პატრონი ეგონა! მართალია, ბავში არ იყო გონება ჩლუნგი, მარა ის ეკუთვნოდა იმ ჯურს ბავშებისას, რომლების ნიჭი თავდაპირველათ არ აღემატება საშუალო ნორმას, და იფურჩქნებიან მხოლოთ შემდეგში, ფიზიკურს ძალასა და ჯანმრთელობასთან ერთათ. სხვა პირობებში ის შეიძლებდა გიმნაზიის და უნივერსიტეტის გათავებასაც, და სასარგებლო მუშა იქნებოდა ყოველგვარ ასპარეზზე. არსებულ პირობებში კი, ბავში მხოლოთ იტანჯებოდა, და, რაკი იცოდა დედის აზრი, ტყუილათ ძალას ატანდა თავის თავს.

ბევრი რამ უნახავს ამ ქვეყნათ ჩემ თვალებს, და მე გადავწყვიტე არაფერი აღარ გავიკვირვო ხოლმე, მარა გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ წინათ ძნელათ დავიჯერებდი ისეთი აპუწული წესის არსებობას, რომელიც ბავშს სავნებლათ გადუქცევდა მისვე მხნეობას, ხასიათის სიმტკიცეს და შრომას. ასეთ წესში არის რაღაც მანკი, და რომ სიტყვებს შეეძლოს ჩემი სიმწრისა და ლმობიერების ანაზღაურება, ჰამლეტისამებრ ვიტყოდი, რომ „ამ ქვეყნათ ბევრი რამ არის, რაც ფილოსოფოსებს არც დასიზმრებიათ“...

მე ისე ბეჯითათ ვმეცადინეობდი მიხასთან, თითქო იმ ნიშნებზე, რომელსაც ის იღებდა, დამოკიდებული იყო ჩემი საკუთარი მომავალი. მე და ჩემ ძვირფასს ბავშს ერთი რამ გვქონდა საგნათ: არ გვეწყენინებია დედისათვის, გვეჩვენებია მისთვის კარგი ნიშნები და მითი გამოგვეწვია ბედნიერების

---

*) მოძირე—უკანასკნელი წარმომადგენელი (უთუოთ ვაჟი) ოჯახის, ანუ გვარისა. მთარგმნელი.

ღიმილი მის ტუჩებზე. როდესაც ბავშვი მიიღებდა კარგ ნიშანს, ის ბრუნდებოდა გიმნაზიიდან გახარებული და ბედნიერი. მე მეჩვენებოდა, რომ ამისთანა დღეებში ის უეცრათ იზრდებოდა, მისი ჩვეულებრივათ მწუხარე თვალები იცინოდა ბავშვური გულწრფელი სიცილით, და ანათებდა, როგორც ორი ნაკვერცხალი. მიხასი მაშინვე გადმოიგდებდა თავის ვიწრო მხრებიდან წიგნებით სავსე ჩანთას, და თვალების დაპაჭუნებით კარების დვირედანვე მომაძახებდა:

— ბატონო ვავჟინკევიჩ, დედა დღეს ჩემი კმაყოფილი იქნება! დღეს მივიღე გეოგრაფიიდან... აბა, თუ გამოიცნობთ, რამდენი?

და როდესაც თავს ისე ვაჩვენებდი, ვერ გამოვიცანითქო, ის გამარჯვებული სახით მომვარდებოდა, მომეხვევოდა და ვითომც ყურში მეუბნებოდა, მარა ხმამაღლა მეტყოდა:

— ხუთი, ნამდვილათ ხუთი!

სწორეთ მაშინ იყო ჩვენთვის ბედნიერი წამები. ასეთ დღეებში, საღამოობით, მიხასი ოცნებას მიეცემოდა, და თავის გუნებაში წარმოიდგენდა, თუ რა იქნება, რომ მან ყველა საგნებში კარგი ნიშნები მიიღოს, ამასთანავე ის, არ ვიცი მე მეუბნებოდა, არ ვიცი თავის თავს:

— საშობოთ ჩვენ გავემგზავრებით ზალესინოში, იქნება თოვლი, როგორც ჩვეულებრივათ არის ხოლმე ზამთარში, და ამიტომაც ჩვენ წავალთ მარხილებით. სოფელში ღამე ჩავალთ, მარა ეს არაფერია! დედა მიმელის, მომეხვევა, მაკოცებს, და მერე მკითხავს წლის მეოთხედი ნიშნები როგორი მაქვს, მე განგებ მოვიმწუხარებ თავს, და დედა კი წაიკითხავს: სალმრთოო წერილიდან—კარგი, ნემენცურიდან—კარგი, ლათინურიდან—კარგი... სულ კარგი ნიშნები. ოჰ, ბატონო ვავჟინკევიჩ, რა ბედნიერება იქნება ეს!

და საწყალ ბავშს ცრემლები მოადგებოდა თვალებზე. მე კი, იმის მიგიერ რომ ბავშვი შემეჩერებინა, ჩემი დაქანცული საგონებელით მივყვებოდი მისი ოცნების კვალს, გავიხსე-

ნებდი სახლს ზალესინოში, მის დიდებულ შესახედაობას და იმ, უმაღლეს ხარისხამდი კეთილშობილ არსებას, რომელიც იქ სუფევდა; გავიხსენებდი აგრეთვე იმ ბედნიერებას, რომელსაც მას მოუვლენდა ბავშის მისვლა კარგი ნიშნებით.

მე ვსარგებლობდი ამისთანა დროით და ვუხსნიდი ბავშს, რომ დედამისისათვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მისს კარგ სწავლას, მარა იმისთვისვე უაღრესათ საჭიროა შვილის სიმრთელეც, და, მაშასადამე, ის არ უნდა ტიროდეს, როცა მე სასეიროთ მიმყავს, იძინოს უნდა იმდენხანს, რამდენხანსაც მე ვურჩევ, და ისე დიდხანს არ უნდა მეცადინეობდეს ღამ ღამობით. გულ აჩუყებული ბავში მომეხვეოდა და იმეორებდა:

— კარგი, კარგი, მე მრთელი ვიქნები და ისეთი დიდი გავიზრდები, რომ ვერც დედა მიცნობს და ვერც პატარა ლოლა.

მე ხშირათ მომდიოდა წერილები დედამისისაგან, რომელიც მთხოვდა თვალყური მედევნებინა ბავშის სიმრთელისათვის. მარა სასოწარკვეთილებით ვრწმუნდებოდი, რომ სწავლისა და სიმრთელის მორიგება შეუძლებელი იყო. სასწავლო საგნები რომ ძნელი ყოფილიყო, ვითხოვდი, რომ მიხასი მეორე კლასიდან პირველში დაებრუნებინათ, მარა მას ყველა ეს უნაყოფო საგნები ჩინებულათ ესმოდა: მაშასადამე, საქმე ეს საგნები კი არ იყო, საქმე დრო და შავბედითი ნემეცური ენა იყო, რომელიც მიხასმა კარგათ არ იცოდა. აქ მე არაფერი შემეძლო, და მხოლოთ იმის იმედი მქონდა, რომ ზედმეტ მეცადინეობისაგან დასუსტებული ბავში გამომრთელდებოდა მომავალ დღესასწაულებში.

მიხასი რომ გულგრილათ ყოფილიყო სწავლას მოკიდებული, მე უფრო ნაკლები საზრუნავი მექნებოდა, მარა, ვაი, რომ მისს სწავლას მარცხი უფრო სდევდა, ვიდრე გამარჯვება. ისეთი წამები, როცა ის ისე გახარებული იყო ხუთების მიღებით, როგორც ზევით მოგახსენეთ, იშვიათი იყო.

მე იმდენათ შევისწავლე ბავშვი, რომ პირველ შეხედვისა-

თანავე შევატყობდი, როდის მოდიოდა ის სკოლიდან დამარცხებული.

— ცუდი ნიშანი მიიღე? ვკითხავდი მას.

— ჰო!

— გაკვეთილი არ იცოდი?

ზოგჯერ ის მომიგებდა:

— არ ვიცოდი. მარა, უფრო ხშირათ კი მეტყოდა: ვიცოდი, მარა ნემეცურათ ვერ ვთქვი...

პატარა ოვიცკი, მეორე კლასის პირველი მოწაფე, რომელიც განგებ მოვიწვიე, რომ ჩემ საბრალო ბავშთან ერთათ ესწავლა, მეუბნებოდა, რომ მიხასი უფრო იმიტომ ღებულობს ცუდ ნიშნებს, რომ ნემეცურში ენა არ აქვს გატეხილიო...

რამდენათაც უფრო და უფრო იღალებოდა ბავში გონებრივათ და ფიზიკურათ, იმდენათ უფრო ხშირათ იღებდა ის ცუდ ნიშნებს. მე შევამჩნიე, რომ როცა ნამტირალევი მიხასი გაკვეთილის დასასწავლათ დაჯდებოდა, მაშინ დაწყნარებული და დამშვიდებული იყო, მარა ამ გაორკეცებულ ბეჯითობას, რომლითაც ის ეკიდებოდა თავის საქმეს, რაღაც სასოწარკვეთილება და აფოცება ეტყობოდა. ხანდახან ის დაჯდებოდა კუთხეში, ორივე ხელს შემოიჭირებდა თავზე და გაჩუმდებოდა: ფიქრით გატაცებული ბავში ჰგონებდა, რომ სამარეს უთხრის საყვარელ დედას, მარა არ იცოდა—რანაირათ გამოეკეთებია საქმე. მას ჯეროდა, რომ ის თილისმით არის შეკრული, და რომ ვერასოდეს ვერ გამოვა ასეთ მდგომარეობიდან.

მიხასმა უფრო ხშირათ დაიწყო ღამით მეცადინეობა. იმის შიშით, რომ მე არ გამომღვიძებოდა, და არ მეთქვა იმისთვის დასაძინებლათ წასულიყო, მიხასი ჩუმათ ადგებოდა ხოლმე ღამით, გაიტანდა ლამპას წინა ოთახში, იქ აანთებდა და შეუდგებოდა მეცადინეობას. სანამ მე ამას გავუგებდი, მან ამნაირათ გაატარა თურმე რამდენიმე ღამე ცივ ოთახში. მე მეტი რა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ მეც წამოვდექი, შევიხმე

ის ოთახში, მოვუსმინე ყველა გაკვეთილები, და დავარწმუნე, რომ მან იცოდა ისინი, და რომ ის ტყუილა უბრალოთ იცივებდა თავს. ბოლოს იქამდი მივიდა საქმე, რომ მიხასს აღარ შეეძლო გამოერკვია—რა იცოდა მან და რა არა. ბავშს ეკარგებოდა ძალა, ხდებოდა, ყვითლდებოდა და კიდევ უფრო ჯავრიანდებოდა. ზოგჯერ მოხდებოდა ისეთი რამე, რაც მარწმუნებდა, რომ არა მარტო მეცადინეობა ასუსტებდა მის ძალებს. დედამისის თხოვნით მას ყოველ დღე ვასწავლიდი ისტორიას, რომელიც „ბიძამ უამბო თავის ძმის წულებს". ერთხელ ასეთ სწავლების დროს მიხასი წამოვარდა მოელვარე თვალებით, მე კინაღამ შემეშინდა, როცა მან გადმომავლო განმცდელი და მკაცრი თვალები, და შემომძახა:

— მაშასადამე, ეს მართლა არ ყოფილა ზღაპარი, რადგანაც...

— რადგანაც რა, მიხასო? ვკითხე მე გაკვირვებით.

პასუხის მაგივრათ მან დაკრიჭა კბილები და ბოლოს ისეთი გულ ამოსკვნილი ტირილი დაიწყო, რომ მე დიდხანს ვერ დავამშვიდე.

მე გამოვკითხე ოვიცკის ამ ტირილის მიზეზი: იმან, არ ვიცი ვერ მოახერხა, არ ვიცი მართლა არ იცოდა და ვერ ამიხსნა ამის მიზეზი, რაც მე თვითონ მივხთი მალე. ყოველ ეჭვს გარეშე იყო, რომ პოლაკის ბავშს ნემეცურ სკოლაში ესმოდა ბევრი რამ ისეთი, რაც შხამავდა მის გრძნობებს. ასეთი განაგონი ახსლტებოდა სხვა ბავშების გულს, და არაფერ კვალს არ ტოვებდა მათში, გარდა მტრობისა მასწავლებელთადმი და მათი ეროვნების მიმართ. მარა ისეთი პატიოსანი ბავშვი, როგორც მიხასი წვალობდა ასეთ მონასმენისაგან გამოწვეულ გრძნობებით, მარა სიტყვის შებრუნებას ვერავის უბედავდა. ორი ძალა, ორი ხმა, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდეს ბავში, და რომელთა შორის სწორეთ ამიტომ უნდა არსებობდეს სრული ჰარმონია, თავ-თავისკენ, ერთი მეორის წინაალმდეგ, ეწეოდენ მიხასს. რასაც ერთი ავტორიტეტი არქმევდა წმიდას, ძვირფასს, ის მეორეს მიაჩნდა დაძველებუ-

ლათ და სასაცილოთ; რასაც ერთი არქმევდა სათნოებას, მეორეს მიაჩნდა—დანაშაულათ. და აი ამ ორი, ერთმანეთის წინაამდეგ მიმართულებიდან ბავში გაჰყვა იმ ხმას, რომელსაც თანაუგრძნობდა მისი გული, მარა ამასთანავე ისე უნდა ეჩვენებია თავი, ვითამ ემორჩილება და წამს სრულიათ წინაამდეგი. ასეთ თავის მოჩვენებაში უნდა ყოფილიყო ის დილიდან საღამომდი, და ეცხოვრა ამნაირს ტანჯვაში მთელი დღეები, კვირეები, თვეები... რა საშინელი მდგომარეობაა... ბავშისათვის!

ახირებული იყო მიხასის ბედი. ცხოვრების დრამები იწყება ხოლმე ბევრათ უფრო გვიან შემდეგ იმისა, როცა სიყმაწვილის ხეს ჩამოცვინდება პირველი ფოთლები, მიხასისთვის კი ყველაფერი ის, რაც შეადგენს უბედურებას: ზნეობითი იძულება, დაფარული მწუხარება, მოუსვენებლობა, ამაო მეცადინეობა, დაბრკოლებებთან შებრძოლება, თანდათანი სასოწარკვეთა,—ყველაფერი ეს დაიწყო მისი ცხოვრების მეთერთმეტე წლიდან. არც მის სუსტ აგებულებას, არც მის მილეულ ძალებს არ შეეძლოთ ასეთი ტვირთის ზიდვა. გადიოდა დღეები, კვირეები, და საბრალო ბავში აორკეცებდა თავის მეცადინეობას, მარა შემდეგი მაინც უფრო და უფრო უარესი იყო. დედის წერილები, თუმცა გრძნობით იყო ნაწერი, მარა მის მწუხარებას კიდევ უფრო ადიდებდა.

„მიხასო, ღმერთს მოუნიჭებია შენთვის არა ჩვეულებრივი გულის ყური,—წერდა დედა მისი,—ამიტომაც მე მწამს, რომ შენ გამიმართლებ რაც შენზე იმედები მაქვს, და გამოხვალ მამულის სასახელო და ნუგეშის მცემელი შვილი“.

როცა ბავშმა პირველათ მიიღო ასეთი წერილი, მე მომვარდა, დამიჭირა ხელი და ცრემლების ღვრით იმეორებდა:

— რა ვქნა, ბატონო ვავჟინკევიჩ! რა მოვახერხო?

მართლაც, რა უნდა ექნა? განა მისი ბრალი იყო, რომ მას არ ჰქონდა თანშობილი ნიჭი ენების შეთვისებისა, და რომ ნემეცურში ენა არ ჰქონდა გატეხილი?

მარა, აი, დაიწყო ყველა წმიდათა დღესასწაული, და გათავდა პირველი მეოთხედი წლისა. მიხასის ნიშნები ვერაფერი შვილი იყო: სამი უმთავრესი საგნიდან სუსტი ნიშნები ჰქონდა. შევიწყნარე მისი მუდარება, და ცნობები არ გამიგზავნია დედა-მისისთვის.

— თქვენი ჭირიმე, ნუ გაუგზავნით! შემომძახა მან. დედამ არ იცის, თუ ამ სადღესასწაულოთ ცნობებს გვაძლევენ, და საშობოთ კი, იქნება ღმერთმა მომხედოს.

საბრალო ბავში თავს იმედით იტყუილებდა, რომ საშობოთ კარგ ნიშნებს მიიღებდა. სულს ქვეშე რომ ვთქვა, მეც ასეთი იმედი მქონდა. მეგონა, რომ ის შეეჩვეოდა სკოლაში არსებულ წესებს, შეეგუვებოდა ყველაფერს იქაურს, და უფრო თავისუფლათ ილაპარაკებდა ნემეცურათ. უფრო კი იმას ვიმედობდი, რომ მიხასს აღარ დაჭირდებოდა იმდენი მეცადინეობა გაკვეთილების მოსამზადებლათ. რომ ასეთი მოსაზრებანი არა, მე დიდიხნიდან უფრო ადრე მივწერდი დედამისს და გულ ახდილათ ავუხსნიდი საქმის მდგომარეობას.

იმედები თითქმის არ იყო ამაო. ყველა წმიდათა დღესასწაულის შემდეგ მიხასმა მიიღო სამი ჩინებული ნიშანი, იმათგან ერთი ლათინურიდან. მთელ კლასში მარტო იმან იცოდა რომ გაუდეო—დან (მიხარია) წარსული დრო იქნებოდა—გავისუს სუმ, და იცოდა იმიტომ, რომ წინათ ორი კარგი ნიშანი მიიღო და მკითხა—როგორ არის ლათინურათ—მიხარიაო. ასე მეგონა ბავში სიხარულისაგან გადირეოდა. მან მიწერა დედა მისს წერილი, რომელიც იწყებოდა ასე:

„ძვირფასო დედილო, იცი როგორ არის პერფეკტუმ გაუდეო-დან?“ დარწმუნებული ვარ, ეს არც შენ გეცოდინება, და არც პატარა ლოლას, რადგანაც მთელ კლასში მარტო მე ვიცოდი!“

მიხასი ალმერთებდა დედა მისს. იმ დღიდან ის ყოველ წუთს მკითხავდა სხვა და სხვა პერფექტა და პარტიციპია-ზე. ამ კარგი ნიშნების შერჩენა მიხასისთვის გადიქცა ახლა სიცოც-

ხლის საგნათ. მარა ეს კარგი ნიშნები ბედის ხან-მოკლე გამოშუქება გამოდგა. მალე შავბედითმა პოლაკურმა გამოთქმამ ჩაფუშა ის, რაც შექნა მეცადინეობამ; დიდძალმა რიცხვმა საგნებისამ არ შეაძლებინა ბავშს, რომ ყოველ საგნისათვის იმდენი დრო მოეხმარებინა, რამდენსაც თხოულობდა მისი დასუსტებული მეხსიერება. ერთი შემთხვევა შეიქნა მიზეზი ბავშის კიდევ უფრო დიდი უბედურებისა. მიხასს და ოვიცკისაც დაავიწყდათ ეთქვათ ჩემთვის ერთი დასაწერი გაკვეთილი, და არ მოემზადებინათ ის. ოვიცკის ეს შერჩა, რადგანაც მისთვის, როგორც პირველი მოწაფისთვის, არ უკითხავთ გაკვეთილი, ხოლო მიხასს კი ყველა მის ამხანაგების წინაშე საყვედური უთხრეს, და გარდა ამისა დაემუქრენ,—თუ კარგათ არ ისწავლი, სულ გამოგრიცხავთო.

მასწავლებლები მართლა ფიქრობენ თურმე, რომ მიხასმა განგებ დამალა არითმეტიკური ასახსნელი, რომ ის არ გაეკვეთებინა. ბავშმა, რომელსაც არასოდეს სიცრუე არ უთქვამს, ახლა ვერაფრით ვერ შეაგონა მათ თავისი სიმართლე. მართლა, მას შეეძლო თავის გასამართლებლათ ეთქვა, რომ ოვიცკისაც დაავიწყდაო, მარა სკოლის ეთიკა ამის ნებას არ აძლევდა. როცა მე დავუწყე მათ რწმუნება, რომ მიხასი სრულიათ მართალი იყო ამ შემთხვევაში, ნემცებმა მომიგეს, რომ მე ბავშს სიზარმაცეზე ვაქეზებ. მე ეს ძალიან მეწყინა, მარა მიხასის შესახედავობამ კიდევ უფრო ამაშფოთა. იმავე დღეს, საღამოთი, მე დავინახე, როგორ მოიჭირა მან ორივე ხელები თავზე და დაიწყო ჩურჩული: „მტკივა! მტკივა! მტკივა!“ მას ეგონა, თუ მე არ მესმოდა, რასაც ის ამბობდა. მეორე დღეს დილით მოვიდა დედა მისის წერილი, რომლითაც ის ქებას ასხამდა შვილს წინათ მიღებულ კარგ ნიშნებისათვის. ეს წერილიც თავსაცემათ გახდა მისთვის.

— ახლა როგორ ვანუგეშო დედა ჩემი! შეძახებდა ხოლმე ის, და პირის სახეს ხელებით დაიმალავდა.

მეორე დღეს, როცა მე გადავკიდე ბავშს წიგნებით გატე-

ნილი ჩანთა, ის წაბარბაცდა და კინაღამ დაეცა. მე მინდოდა ის სახლში დამეტოვებია და სკოლაში აღარ გამეშვა, მარა ის ჩამაცივდა, ეს არაფერიაო, და მთხოვა მხოლოთ სკოლამდი გავყოლოდით, რადგანაცო, მითხრა მან, მეშინია გზაში თავბრუ არ დამესხასო. ბავში შუადღისას დაბრუნდა კიდევ სუსტი ნიშნებით. სუსტი ნიშანი მიიღო მან იმ გაკვეთილისათვის, რომელიც ჩინებულათ იცოდა, მარა, როგორც ამბობდა ოვიცკი, შეშინებოდა და ერთი სიტყვა ვერ ეთქვა. მიხასზე სკოლაში ნემეც მასწავლებლებს ის აზრი შეედგინათ, რომ ეს ბავში გაჟღენთილია „უკუღმართ დედა აზრებით და ინსტინქტებით, არის გონება ჩლუნგი და ზარმაცი“.

ორ უკანასკნელ ბრალდებულებას, რაც გაგონილი ჰქონდა მიხასს, ის ებრძოდა როგორც წყალ წაღებული ზვირთებს—თავგანწირულათ, მარა, მისდა საუბედუროთ, ამაოთ.

ბოლოს მას დაეკარგა ყოველივე იმედი და ყოველივე ნდობა თავის ძალებისა; მივიდა იმ დასკვნამდი, რომ ყოველივე მეცადინეობა და შრომა იმისი ამაოა, რომ სულ ერთია—მისი სწავლა მაინც ცუდათ ჩაივლის, და ამასთანავე წარმოიდგენდა, თუ რას იტყოდა იმისათვის დედა მისი, როგორ შეაწუხებდა, და როგორ დაასუსტებდა ეს დედა მისის ისედაც სუსტ არსებას.

ზალესელი მღვდელი, რომელიც ზოგჯერ წერდა მიხასს, ძალიან თანაუგრძნობდა მას, მარა წინ დაუხედავი იყო და ყოველ წერილს აბოლოვებდა ასე:

„გახსოვდეს, რომ არა თუ სიხარული, არამედ სიმრთელეც დედაშენისა დამოკიდებულია შენს კარგ სწავლასა და ყოფა ქცევაზე სკოლაში“.

საცოდავ ბავშს ახსოვდა, ძალიანაც ახსოვდა, რადგანაც სიზმარშიაც იმეორებდა საბრალო ხმით: „დედა! დედა!“ თითქო მას პატიებას ეხვეწებაო.

სიფხიზლეში კი უფრო და უფრო ცუდ ნიშნებს ღებულობდა. ამასობაში ახლოვდებოდა შობის დღესასწაული და

საეჭვო აღარ იყო, რომ ნიშნები კარგი არ იქნებოდა. მე მივწერე მიხასის დედას წერილი, რომ წინდაწინ მომემზადებინა ის ცუდი ნიშნებისათვის. მე გულ-ახდილათ და გადაჭრით ვაცნობე, რომ ბავში სუსტია და ქანც-გაწყვეტილი, რომ ის თუმცა მეტის მეტათ მეცადინეობს, მარა არაფერი არ გაუდის, და რომ მოსალოდნელია, დღესასწაულის შემდეგ, საჭირო დარჩეს მისი სკოლიდან გამოყვანა, რომ სოფელში იცხოვროს და იქ გამომთელდეს. მისმა პასუხმა გამაგებინა, რომ მისი დედობრივი გული ერთობ დაეტანჯა ჩემ წერილს, მარა ის მაინც პასუხს მაძლევდა, როგორც ჭკვიანი ქალი და მოყვარული დედა.

მე არაფერი არ მითქვამს მიხასისთვის არც ამ წერილზე, და არც მის გამოყვანაზე სკოლიდან, რომ ნამეტანი არ ამეღელვებინა ბავში. მე მხოლოთ ვუთხარი მას, რომ რანაირიც უნდა იყოს მისი ნიშნები, დედამისმა მაინც ძალიან კარგათ იცის, რომ ის გულმოდგინეთ სწავლობს და ამიტომაც შეიწყნარებს მის ცუდ ნიშნებს. ამ ჩემი სიტყვებით მას ცოტა გულს მოეშვა, რადგანაც დიდხანს იტირა, რაც მას ბოლო დროს არ დამართია. ტირილში ის იმეორებდა: „რამდენი საწყენი ხვდება დედა ჩემს ჩემგან!“ მარა, რომ წარმოიდგენდა სოფელში მალე წასვლას, დედის, პატარა ლოლასი და სოფლის მღვდლის მაშინსკის ნახვას, ბავში თვალ ცრემლიანი იღიმებოდა. მეც მინდოდა მალე წავსულიყავი ზალესინოში, რადგანაც მეტი აღარ შემეძლო მეცქირა ბავშის სამწუხარო მდგომარეობისათვის. სოფელში კი მას მოელოდა დედის ალერსი, თავისიანების თანაგრძნობა, მყუდროება და დამშვიდება. იქ მოელოდა მას წმიდა, მშობლიური ატმოსფერა, რომელშიაც ყმაწვილს შეეძლო თავისუფლათ ესუნთქა.

მე ისე მოველოდი დღესასწაულებს, როგორც ჩემ ხსნას და ვითვლიდი წამებს, რაც დარჩენილიყო იმ დღესასწაულამდი, და რომლებსაც მიხასისთვის ახალ-ახალი უბედურება მოჰქონდა. თითქოს ყველაფერი შეერთდა მის წინაამდეგ. მიხასს, როგორც ისეთ ბავშს, რომლის გავლენითაც ვითომ სხვა

მისი ამხანაგები ეჩვევოდენ თავიანთი მოვალეობის აუსრულებლობას, კიდევ მთელი კლასის წინაშე საყვედური გამოუცხადეს. ეს მოხდა თავათ დღესასწაულების წინ, და მაშასადამე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძნელი ასაწერია, როგორ იმოქმედა ამ შემთხვევამ თავმოყვარე ბავშზე, და როგორ არივდარია მისი გონება. სახემ ამ თერთმეტი წლის ბავშისამ მიიღო ნამდვილი ტრაგიული გამომეტყველება; გეგონებოდათ, ვითომც ის ძალიან იმაგრებდა ტირილს, წამ და უწუმ მისი თვალები თოფ-ნაკრავ ჩიტის თვალებს ემსგავსებოდა; შემდეგ უცნაურათ დაღონდა და ძილათ მივარდნა დაჩემდა; თითქოს შეუგნებლათ მოძრაობდა, და ხმა კი საოცრათ ნელი გაუხდა. ის შეიქნა არა ჩვეულებრივათ ჩუმი, მშვიდი და მექანიურათ დამჯერე. როდესაც ვეუბნებოდი, დროა გავისეიროთ-თქვა, ის აღარ მეწინაამდეგებოდა, როგორც უწინ. დაიხურავდა ქუდს, და ხმა ამოუღებლათ გამომყვებოდა თან. მე კმაყოფილიც ვიქნებოდი, რომ ეს მისი გულგრილობისაგან ყოფილიყო, მარა ვატყობდი, რომ ეს მისი სიმშვიდე იყო მოჩვენებული სიმშვიდე, რომელიც ფარავდა ბავშის ატაცებულს და სატანჯველ მორჩილებას ბედისადმი. ბავში მიუჯდებოდა ხოლმე გაკვეთილს, ხსნიდა ასახსნელებს, როგორც უწინ, მარა უფრო იმიტომ, რომ ასე იყო დაჩვეული. ცხადი იყო, რომ ბავში, როცა მექანიურათ იმეორებდა ულლვილებას, ფიქრობდა სხვა რაღაც საგანზე, ან უფრო მართალი რომ ვთქვა — არაფერს აღარ ფიქრობდა. ერთხელ, როცა მას ვკითხე, მორჩი თუ არა გაკვეთილს თქვა, მან მომიგო ნელი და თითქმის მძინარი ხმით: „მგონია, ბ-ნო ვავეინკევიჩ, ამიდან არაფერი არ გამოვა". ახლა კი მე მეშინოდა დედა მისის გახსენებაც, რომ სიმწრის ფიალას არ გადმოეარა.

მე უფრო და უფრო მაწუხებდა მისი სიმრთელის მდგომარეობა, რადგანაც ის თან და თან ხდებოდა, და ბოლოს თითქმის გამჭვირვალი შეიქნა. ქსელი უუწვრილესის ძარღვებისა, რომლებიც უწინ საფეთქლებთან გამოაჩნდებოდა ხოლმე,

როცა ის განსაკუთრებით გამოცოცხლდებოდა, ახლა უფრო ემჩნეოდა მას. ბავში ისე გამოლამაზდა, რომ მოგაგონებდათ რომელიღაც ნახატს. საცოდავი შესახედავი იყო ამ ბავშის თითქმის ანგელოზური პატარა თავი, რომელიც ისეთს შთაბეჭდილებას იწვევდა, თითქო ვარდი ჭკნებაო. სათვალდათვალოთ მას თითქოს არაფერი განსხვავებული რამ არ ჭირდა, და ნამდვილათ კი, ის ლნებოდა და კარგავდა ძალებს. მას აღარ შეეძლო ყველა წიგნების წაღება, და ამიტომაც ჩანთაში ვულაგებდი მას მხოლოთ რამდენსამე წიგნს, და სხვები კი მე თითონ მიმქონდა, რადგანაც ახლა ყოველ დღე დავყვებოდი მას სკოლაში და სკოლიდან სახლში.

ბოლოს დადგა დღესასწაულები. ორი დღეა რაც გვიცდის ზალესინოდან გამოგზავნილი ცხენები. დედა მისი წერილით გვაცნობებდა, რომ ყველანი მოუთმენელათ მიგველოდენ. „მე გავიგე, ათავებდა დედა მისი წერილს, რომ შენ, მიხასო, ძალიან გაგჭირვებია, და ამიტომაც არ მოველი კარგ ნიშნებს, მხოლოთ სასურველია, რომ შენი მასწავლებლები ჩემსავით ფიქრობენ შენზე, რომ შენ ყველაფერი შეასრულე, რაც შენზე დამოკიდებული იყო, და რომ სწავლაში ჩამორჩენილობას აინაზღაურებ კარგი ყოფაქცევით“.

მარა მასწავლებლები სულ სხვანაირათ ფიქრობდენ, და ამიტომაც ცნობებმა ეს მოლოდინიც არ გაუმართლა მიხასის დედას. უკანასკნელი საჯარო საყვედური პირდაპირ წუნს დებდა ყოფაქცევას ბავშისას, რომელზედაც დედა მისი სულ სხვანაირი შეხედულობის იყო. ნემეც მასწავლებლების აზრით მხოლოთ ის ბავში იყო კარგი ყოფა-ქცევის, რომელიც იცინოდა, როცა ისინი დაცინოდენ პოლაკების ჩამორჩენილობას, პოლაკების ენას და ისტორიულ გადმოცემებს. ასეთი ეთიკურ შეხედულობის მასწავლებლებისათვის მიხასი არ იძლეოდა იმედს, რომ ის მომავალში მაინც, შეეგუვებოდა ასეთ სწავლებას. ამიტომაც ის, როგორც ტყუილათ ადგილის გამცდენი კლასში, გამორიცხეს სკოლიდან. ბავშმა ეს განაჩენი მოი-

ტანა საღამოს. ოთახში თითქმის ბნელოდა, რადგანაც ძალიან თოვდა, და მე კარგათ ვერ შევხედე მის სახეს. ვხედავდი მხოლოთ, რომ ის მივიდა ფანჯარასთან და ჩუმათ, უაზროთ უმზერდა, თუ როგორ ტრიალებდა ჰაერში თოვლის ფირფლები. საწყალი ბავშის აზრიც უთუოთ ისე ტრიალებდა, როგორც თოვლის ფირფლები და მეც აღარ მინდოდა გამოვლაპარაკებოდი მის საქმეზე. ასე დაჯავრიანებულნი ჩუმათ ვიყავით მეოთხე საათამდე, და ამასობაში სულ ჩამობნელდა. მე შევუდეგი ზანდუკის ჩალაგებას, მარა რაკი ბავში კიდევ ფანჯარასთან იდგა, შევეკითხე:

— მანდ რას აკეთებ მიხას?

— როგორ ფიქრობთ თქვენ,—წაილაპარაკა იმან მთრთოლვარე ხმით, კითხვაზე პასუხ მოუცემლათ,—დედა ახლა ხომ მწვანე კაბინეთში იქნება, ბუხართან, და ჩემზე ფიქრობს?

— შეიძლება. რატომ ასე აგითრთოლდა ხმა? ავათ ხომ არ ხარ?

— არა, ავათ არა ვარ, მხოლოთ ძალიან მცივა.

მე გავხადე მაშინვე და ჩავაწვინე ქვეშსაგებში. გახდის დროს გულმტკივნეულათ დავყურებდი მისს გამხდარ მუხლებს და ჩხირებსავით წვრილ ხელებს, ვურჩიე მას დაელია ჩაი, და მერე დავხურე რაც კი შემეძლო.

— როგორ ხარ ახლა, გათბი?

— ჰო, კი! მხოლოთ თავი მტკივა ცოტათი.

საბრალო თავი! კი ჰქონდა ატკივების მიზეზი. ნაწამებ ბავშს მალე ჩაეძინა და მძიმეთ ითქვამდა სულს თავის ვიწრო მკერდით. მე გავათავე ნივთების ჩალაგება და დავწევი, რადგანაც მეც უხდომათ ვგრძნობდი თავს. გავაქრე თუ არა სანთელი, თითქმის იმ წამსვე ჩამეძინა.

ნაშუაღამევის სამ საათზე მე გამომაღვიძა სინათლემ და კარგათ ნაცნობმა ერთგვარმა ბურდღულმა. მაგიდაზე ენთო ლამპა და წიგნს უჯდა პერანგს ამარა მიხასი; ლოყები წამოჭარხლებული ჰქონდა და თვალები დაჭუტული, თითქო

მეხსიერება უნდა უფრო მოიკრიბოსო, თავი კი უკან გადაეხარა. მძინარე ხმით ის იმეორებდა:

— **კონიუნკტივუს: ამემ, ამეს, ამეტ, ამემუს, ამეტის!**

— მიხას!

— **კონიუნკტივუს: ამემ, ამეს.**

მე ჩავაფრინდი მხრებში და ჩავძახე:

— მიხასო!

ის გამოფხიზლდა და გაკვირვებით დაიწყო თვალების ფახური, თითქო ვერ მცნობილობდა.

— რას შვრები? რა დაგემართა, ბავშო?

— ბ-ნო ვავჟინკევიჩ,—მომიგო ბავშმა ღიმილით,—მე ვიმეორებ თავიდან ყველაფერს, ხვალ მე უნდა მივიღო ჩინებული ნიშნები!

მე ავიყვანე ის და ჩავაწვინე ლოგინში; მისი სხეული თითქო იწვოდა. რაღაც ბედათ იმავე შენობაში იდგა ექიმი, რომელიც იმ წამსვე მოვიწვიე. ის დიდხანს არ მონდომებია ავადმყოფობის გამოცნობას: გაუშინჯა მაჯა, დაადვა ხელი შუბლზე ავადმყოფ ბავშს და თქვა: „ტვინის ანთებაა!“

ოჰ, ცხადია, ბევრი რამ არ დაეტია საბრალო ბავშის თავში.

ავათმყოფი მალე იმდენათ უარესათ შეიქნა, რომ საშიშარი იყო მისი მდგომარეობა. მე დავუკარი დედამისს ტელეგრამა, და მეორე დღეს წინა ოთახში ზარის მკვეთრათ ჩამოკვრამ გაგვაგებინა მისი მოსვლა. მე გაუღე კარი და დავინახე მისი მკრთალი სახე შავს ვუალ ქვეშ; მან ხელი მაგრათ ჩამომართვა, შეშფოთებული ჩამაცქერდა და მკითხა:

— ცოცხალია?

— ჰო, ექიმი ამბობს—უკეთ არისო.

მან გადიწია ვუალი და შევარდა ბავშის ოთახში. მე ტყუილი ვუთხარი. მართალია მიხასი ცოცხალი იყო, მარა უკეთ კი არ იყო. მან ვერ იცნო დედამისი. როცა ის მიუჯდა და ხელი მოკიდა. მხოლოთ როცა მე დავადევი თავზე ახალი

ყინვა, მან დაიწყო თვალების ხამხამი და ძალზე მიაცქერდა დედას, რომელიც ზედ გადაყრდნობილი დაყურებდა მას. ბავშს ეტყობოდა, რომ აზრებს იკრებდა, ცხელებას ებრძოდა, ტუჩები უთრთოდა. რამდენიმე წამს შემდეგ ბავშმა გაიღიმა ერთი ორჯერ, და ბოლოს ძლივს წამოიჩურჩულა:

— დედა!..

დედა ჩააფრინდა მას ორივე ხელებში, და ასე უჯდა გვერდით რამდენიმე საათი, ისე რომ სამგზავრო ტანისამოსიც არ გაუხდია. ხოლო როცა მე მივაქციე ამას მისი ყურადღება, იმან მომიგო:

— მართლა, მე სულ დამავიწყდა ქუდის მოხდა.

როცა მან ქუდი მოიხადა, გული შემეკუმშა ტკივილისაგან: თმები, რომელიც აშვენებდა ახალგაზდა ტურფა თავს, რამდენიმე ალაგას შეჭაღრებულიყო. იქნება ამ სამი დღის წინეთ ეს ჭაღარა ძაფები არც ერია მის თმას.

დედა ახლა თითონ უცვლიდა შვილს კომპრესს და აძლევდა წამლებს. მიხასი სულ თვალს ადევნებდა დედა მისს, მარა კიდევ ვერ ცნობილობდა. საღამოს ცხელებამ უმატა. ბოდვაში ის ამბობდა ნემცევიჩის ლექსებს ჟოლკევსკიზე. ხანდა-ხან წაილაპარაკებდა ნემეცურათ, ან აუღლვილებდა ლათინურ სიტყვებს. მე ყოველ წამს გამოვიდოდი ოთახიდან, რადგან არ შემეძლო იმისატანა, რაც იქ ხდებოდა. როცა მიხასი ჯანმრთელათ იყო, ის ნამალევათ სწავლობდა ღვთის მსახურებას, რომ ამითი დედა მისი მოულოდნელათ გაეხარებია. ახლა კი მე გამაცივა, როცა საღამოს სიჩუმეში მომესმა თუ როგორ იმეორებდა ეს თერთმეტი წლის ბავში, სიკვდილის წინათ, ერთგვარი მიმკვდარებული ხმით: **„ღმერთო ჩემო, რისთვის უგულებელ მყავ მე, და რისთვის დავალ მწუხარე, როცა მტერი შეურაცხმყოფს მე?“**

არ შემიძლია გადმოგცეთ თუ რა საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს სიტყვები. ეს ამბავი შობის წინალამით იყო. ქუჩიდან ისმოდა მარხილების ზარების ხმა და ადამიანე-

ბის ლაპარაკი. ქალაქს სადღესასწაულო, მხიარული სახე ედგებოდა. როცა სრულიათ დაღამდა, ქუჩის მეორე მხარეზე, ფანჯრებში მოჩანდა შობის ხე, ანთებულ სანთლებით სავსე, ვეცხლის და ოქროს ნიგვზებით დაყურსული, რომლის ირგვლივ კულულებ აფრიალებულნი ცქრიალა ბავშები დახტოდენ ისე, თითქო აშკებით იყვნენ მომართულნი. ფანჯრები ერთობ განათებულიყო, და იმ სადგომიდან მოისმოდა მხიარული სიცილი და ყვირილი, ქუჩიდანაც მხიარულობის ხმა ამოდიოდა. ერთი სიტყვით საერთო მხიარულება იყო, მხოლოთ ჩვენი ბავში მეტის-მეტი შესაბრალისი ხმით იმეორებდა: **„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისთვის უგულებელ მყოფ მე?“** ჭიშკართან მეალილოები გაჩერდენ და გალობა დაიწყეს; ახლოვდებოდა შობა ღამე, ჩვენ კი ვძიგძიგობდით და გვეშინოდა, რომ ის ღამე ჩვენთვის არ გადაქცეულიყო სიკვდილის ღამეთ.

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ მოგვეჩვენა, ვითომც ბავში ცნობას მოეგო, რადგანაც მან დაუძახა თავის პატარა დას ლოლას და დედას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ხან და ხან მისი ჩქარი სულთქმა უცებ შეწყდებოდა. ვაი, რომ იმედით თავის მოტყუილება მეტი აღარ შეიძლებოდა! ეს პატარა სული მხოლოთ სანახევროთ იყო ჩვენ შორის, მისი ცნება გაფრინდა, და ახლა თითონ ის მიდიოდა თან და თან სადღაც, ბნელ სივრცეში, უსაზღვროებაში. უკვე ვეღარავის ხედავდა, ვეღარაფერს გრძნობდა, ვერ გრძნობდა დედის ხელსაც კი, რომელიც მკვდარსავით იწვა მის ფეხთით. ბავში გულგრილათ ეკიდებოდა ყველაფერს ირგვლივ, და უკვე ჩვენ აღარ გვიცქერდა, მისი მკერდის ყოველივე სულთქმა გვაშორებდა მას, და თითქო გადაქონდა ის უცნობ წყვდიადში. ავათმყოფობა აქრობდა სიცოცხლეს ნაპერწკალ-ნაპერწკალობით. ბავშის ხელები, საბანზე დალაგებული, მკვდრისას დაემსგავსა, ცხვირი თან და თან უმწვეტიანდებოდა და პირის სახის გამომეტყველება, რაღაც ცივი და დიდებული უხდებოდა.

სულთქმა თან და თან უფრო ჩქარი ხდებოდა და ბოლოს დაემსგავსა პატარა საათის ფუჩუნს. გვეჩვენებოდა, რომ კიდევ ერთი წამი, ერთი ამოოხვრა და დასასრული დადგებოდა...

შუაღამისას ჩვენ მოგვეჩვენა, რომ სულთა-ბრძვა დაიწყო, რადგანაც ბავშმა იწყო ხრიალი და კვნესა, როგორც კაცმა, რომელსაც ყორყი წყალით ევსება, და მერე უცებ შეჩერდა. მარა სარკე, რომელიც ექიმმა მიადვა მის ტუჩებს, სულთქმისაგან გაორთქლდა: ერთ საათს შემდეგ სიცხემ უცებ უკლო: ყველას გვეგონა, რომ ის გადარჩა. ექიმსაც კი იმედი მოეცა. საცოდავ დედას კი გული შეუწუხდა.

ორი საათის განმავლობაში ბავში სულ უკეთ და უკეთ ხდებოდა. რადგანაც მე მეოთხე ღამეს ვათევდი ბავშის საწოლთან, და ხველება თან-და-თან უფრო მაწუხებდა, ამიტომაც გავედი წინა ოთახში, წავწექი ლებზე და მიმეძინა. მალე გამაღვიძა ავადმყოფ ბავშის დედის ხმამ. მე ჯერ მომეჩვენა, რომ ის მიძახოდა, მარა ერთ წამს შემდეგ ცხადათ მომესმა ღამის სიბნელეში: მიხას! მიხას! მე თმა ამებურძგლა, როცა ყური დავუგდე და გავიგე-თუ რას ნიშნავდა ეს ძახება. სანამ მე წამოვხტებოდი, წინა ოთახში შამოვარდა ბავშის დედა სანთლით ხელში და, მთლად აძიგძიგებულმა, წაიფუჩუნა:

— მიხასი... მოკვდა!

უცებ მივირბინე ბავშის ლოგინთან. ჩემი მიხასი აღარ იყო ამ ქვეყნათ. დაბჩენილი პირი, დალებული თვალები, უძრავათ მიშტერებულნი ერთ წერტილს, და გაცივებული ნაკვთები აღარავითარ ეჭვს აღარ ტოვებდენ, რომ მიხასი მკვდარი იყო.

მე გადავახურე მას საბანი, რომელიც დედა მისმა უცაბედათ გადახადა მის გამხდარ გვამს. დავუხუჭე თვალები, და შემდეგ დავუწყე მოსულიერება დედა მისს. როდესაც კუბოსთვის ზომა აიღეს, საბრალო დედას კიდევ შეუწუხდა სული. სული შეუწუხდა აგრეთვე ბავშის ჩაცმისას და კუბოს დადგმის დროსაც. მისი ვაება ყოველ წამს წინ ხვდებოდა გულგრი-

ლობას მესამარე მსახურებისას, რომელნიც მიჩვეულნი იყვნენ ასეთ სანახაობას, რაც დედას ბავშისას თითქმის აგიჟებდა. ამასობაში მიხასი იდვა ლოგინზე, ახალ მუნდირ ჩაცმული და თეთრი ხელთათმანებით, დაწყნარებული, გულგრილი. ბოლოს ჩვენ ჩავდევით მისი გვამი კუბოში, დავდგით საცხედრეზე და ირგვლივ სანთლები დავუნთეთ. ოთახი, რომელშიაც საცოდავმა ბავშმა დააუღლვილა იმდენი ლათინური სიტყვები და ახსნა იმდენი არითმეტიკური ასახსნელები, თითქო გადიქცა საჯვარეთ. დახურული დარაბები სინათლეს არ უშვებდენ ოთახში, და სანთლების ყვითელი მოლაპლაპე სინათლე რაღაც საეკკლესიო დიდებულების სახეს აძლევდა კედლებს. ჩინებულ ნიშნების მიღების შემდეგ მე არასოდეს არ შემიმჩნევია მიხასის სახისათვის ასეთი მშვიდი, ნათელი გამომეტყველება, როგორც ახლა. მისი ნაზი სახე იღიმებოდა, თითქო სიკვდილის უკუღმართ ხელში ის ბედნიერათ გრძნობდა თავს. სანთლების ლაპლაპისაგან მისი სახე და ღიმი ისე მოჩანდა, თითქო იგი ცოცხალი ყოფილიყო და ძინებოდეს. ოთახში თან და თან შეგროვდენ მისი ამხანაგი ბავშები, რომლებიც სადღესასწაულოთ სახლში არ წასულიყვნენ და ქალაქში დარჩენილიყვნენ.

ბავშები გაკვირვებისაგან ფართეთ აღებდენ თვალებს, რომ ხედავდენ სანთლებს, საცხედრეს და კუბოს. იქნება იმათ უკვირდათ ამხანაგის გამოჩვენებული მდგომარეობა. აი, სულ ამ ცოტა ხნის წინათ ის იყო მათ შორის, იხრებოდა, როგორც ისინი, ნემეცურ წიგნებით სავსე ჩანთის სიმძიმით, იღებდა ცუდ ნიშნებს და საჯარო საყვედურებს; თითოეულ მათგანს შეეძლო აეწია მისთვის ყურები და ჩაფრენოდა მას თმაში; ახლა კი ის როგორღაც მათზე უფრო მაღლა არის, დევს ასე დიდი ამბით, დაწყნარებული, სინათლით გარშემოვლებული; ყველანი უახლოვდებოდენ მას პატივის ცემითა და რაღაც შეშფოთებით, და თვით ოვიცკი, თუმცა პირველი მოწაფე იყო, მარა ახლა ბევრს არას ნიშნავდა მიხასთან შედარებით. ბავშები ერთმანეთს ნიდაყვს წაკრავდენ და ეფუჩუნებოდენ,

რომ ახლა იმისთვის სულ ყველაფერი ერთია. ახლა რომ აქ მოვიდეს თვით ბ-ნი ინსპექტორი, მიხასი მაინც არ წამოხტება, არ შეეშინება, და როგორც არის ისე დაწყნარებით გაიღიმებს,—რომ იქ მას შეეძლება ყველაფერი, სულყველაფერი, რაც ენებება, იყვიროს რამდენიც უნდა და ისაუბროს პატარა ფრთიან ანგელოზებთან.

ამ ფუჩუნით ისინი უახლოვდებოდენ დიდ სანთლებით განათებულ საცხედრეს და ლოცულობდენ ამხანაგის სულისათვის.

მეორე დღეს კუბოს თავი დახურეს და წაიღეს სასაფლაოზე, სადაც თოვლნარევ ქვიშის ზვინმა მალე დაფარა ის ჩვენ თვალთაგან... სამარადისოთ!

ეხლა, როცა მე ამას ვწერ, წელიწადია გასული მას შემდეგ, მარა მე შენ მახსოვხარ, ჩემო პატარა მიხასო, და მეცოდვები შენ, ჩემო პატარა და დამჭკნარო ყვავილო. არ ვიცი სად ხარ ახლა და გესმის თუ არა ჩემი, მხოლოთ ვიცი, რომ შენი წინანდელი მასწავლებელი თან და თან უფრო მეტს ახველებს, რომ ის უფრო და უფრო უარესათ არის, მარტოხელია და, შეიძლება, მალე წავიდეს იქ, სადაც შენ წადი.

---

## სოფლის მწერალი ზოლზიკევიჩი.

(„ესკიზები ნახშირით“)

ჰენრიკ სენკევიჩისა.

### თავი I.

ცხვრიეთის სასოფლო კანცელარიაში სრული სიჩუმე სუფევდა. მამასახლისი ფრანც ბურაკი, შუახნის გლეხი კაცი, უჯდა მაგიდას და დიდი მეცადინეობით ჩხაპავდა რაღაცას

ქაღალდზე; მწერალი ზოლზიკევიჩი კი, ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე კაცი, ფანჯარასთან იდგა და ბუზებს იგერიებდა.

ბუზები კანცელარიაში იმდენი იყო, რამდენიც შეიძლება იქნეს საქონლის ქართაში. კედლები იმდენათ მიშავებული იყო მათგან, რომ თავდაპირველი ფერი აღარ ეტყობოდა. ბუზებისგანვე იყო შეპელილი: ხატის ჰიქა, რომელიც მაგიდასთან ეკიდა, ქაღალდი, ბეჭდები, ჯვარცმა და კანცელარიის წიგნები. ბუზები ნებისათ დამგზავრობდენ მამასახლისის თავზე, როგორც ჩვეულებრივს სკამ-ლოგინზე; მარა განსაკუთრებით იზიდავდა მათ მიხაკის პამადით წასმული თავი ბატონ ზოლზიკევიჩისა. მის თავს ზევით ყოველთვის დაბზუოდა მთელი გუნდი ბუზებისა; ისინი დააჯდებოდენ მას თმის განაყოფში და გავდენ ცოცხალსა და მოძრავს შავ წერტილებს. ბატონი ზოლზიკევიჩი ხან და ხან აწევდა ხელს, უცებ ისევ დაიღებდა, და გაისმოდა ხელის გულის ტკაცანი თავზე. ბუზების გუნდი ბზუილით აფრინდებოდენ და ბატონი ზოლზიკევიჩი კი დაღუნავდა თავის კეთილშობილ მოაზრე ორგანოს, თითებით ამოიღებდა მოკლულ ბუზებს თმებიდან და იატაკზე დაყრიდა.

ნაშუადღევის ოთხი საათი იყო; მთელი სოფელი სიჩუმეს მოეცვა, რადგანაც, ვისაც კი შეეძლო, სამუშაოთ იყვნენ წასულნი; მხოლოთ კანცელარიის ფანჯარასთან ძროხა ეფხანებოდა კედელს, და ხან-და-ხან ფანჯარაში შეყოფდა თავის ნესტოებს მოქშინავი დრუნჩით და პირზე ჩამოკიდებულ ლორწკით. ზოგჯერ, ბუზების მოსაგერებლათ გადიქნევდა თავის მძიმე თავს ზურგისკენ და დრო გამოშვებით რქებს კედელს მოახვედრებდა. მაშინ ბატონი ზოლზიკევიჩი გამოყოფდა თავს ფანჯრიდან და დაიძახებდა: „ხი, შე სამგლე!“ შემდეგ ჩაიხედავდა იქვე ფანჯარასთან დაკიდებულ სარკეში და თმის დავარცხნილობას გაისწორებდა.

ბოლოს მამასახლისმა დაარღვია სიჩუმე.

— ბატონო ზოლზიკევიჩ, დამიწერეთ თუ ღმერთი გწამთ,

ეს რაპორტი; მე ვერ გამოვიყვანე კარგათ. მწერალი ხომ თქვენ ხართ მაინც.

მარა ბატონი ზოლზიკევიჩი ცუდ გუნებაზე იყო, და ამისთანა დროს მამასახლისს ყველაფერი თითონ უნდა გაეკეთებია ხოლმე.

— რაო მერე, მწერალი რომ მე ვარ? აგდებულათ მიუგო მან.—მწერალი ვალდებულია წეროს რაპორტები მაზრის უფროსთან ან კომისართან, და იმისთანა მამასახლისებს კი, როგორიც თქვენ ხართ, თვითონ შეგიძლიათ მიწეროთ, რაც გინდათ.

ერთი წამის სიჩუმის შემდეგ იმან დაუმატა შეურაცხყოფილ გულზვიადობით:

— რას ნიშნავს ჩემთვის ვინმე მამასახლისი? გლეხს, მეტს არაფერს! გლეხს რა თანამდებობაც უნდა მისცე, მაინც გლეხია!—და მან ხელახლავ ჩაიხედა სარკეში და გაისწორა თმები.

მამასახლისმა შეურაცხყოფილი კილოთი მიუგო:

— დახე, როგორ იბერება! შენ არ იცი რომ მე კომისართან ერთათ ჩაი დამილევია?

— ჩაი კი არა, აგდებულათ წარმოთქვა ზოლზიკევიჩმა,— რაც უნდა იყოს, რომით მაინც ხომ არ იქნებოდა?

— აი, ეს კი სიცრუეა! რომით იყო, აბა!

თუგინდ რომითაც ყოფილიყო, მე რაპორტს მაინც არ დავწერ.

მამასახლისმა დაცინვით მიუგო:

— რაკი ასეთი ნაზი ფიზიკოსი ბძანდებით, სოფლის მწერლათ რათ დგებოდით?

— თქვენ არავინ გკითხავსთ! მე სოფლის მწერლათ დავდექი მაზრის უფროსის ხათრისათვის, რადგან ის ჩემი ნაცნობია.

— კაი ნაცნობია სწორეთ: როდესაც მაზრის უფროსი აქ მოდის, თქვენ ხმასაც ვერ იღებთ!

— ბურაკ, ფრთხილათ იყავით, ნუ წაგიშვიათ ენა! მე

ისეთაც თავი მომაბეზრეს თქვენმა გლეხებმა თქვენი მწერლობითურთ. თუ გავგულისდი, ჯანდაბას გავგზავნი თქვენს მწერლობასაც და თქვენც ყველას!

— ჰო და, მაშინ თქვენ რაღა უნდა ქნათ?

— რაო? შიმშილით არ მოვკვდები! განათლებული კაცი არასოდეს არ დაიღუპება. თქვენ ნუ წუხდებით განათლებული კაცისათვის. გუშინაც რევიზორმა სტობიცკიმ მითხრა: „ეი, შენ, ზოლზიკევიჩ, შეიძლებოდა შენგან ეშმაკი გამოსულიყო და არა ეშმაკის თანაშემწეო. შენ ბალახის ზრდასაც კი გრძნობ". რათ მინდა თქვენი მწერლობა! განათლებული კაცი...

— ჰო და, წაბძანდით, ჩვენი საზოგადოება მაგით, ვგონებ, არ დაიღუპება.

საზოგადოება არ დაიღუპება, მარა თქვენ კი სათხუპნელას ამოაწებთ მელანში და იმითი დაიწყებთ წიგნებში წერას: ამისათვის თქვენ ისე შეგახურებენ, რომ ცხრაფა ტყავს ქვეშაც კი იგრძნობთ ტკივილებს.

მამასახლისმა კეფა მოიფხანა.

— ერთი თქვენც, როგორც კი ცოტა რამე შეგხვდებათ, მაშინვე ყალყზე დგებით...

— ჰო და, თქვენ ნუ მეუბნებით თავხედ სიტყვებს!

— ეს მართალია, მარა მაინც...

და ხელახლავ ჩამოვარდა სიჩუმე; ხოლო მამასახლისის კალამი ჩუმათ წრიპინებდა ქაღალდზე. ბოლოს, მამასახლისი გასწორდა წელში, შეაწმინდა კალამი თავის კალთას და თქვა:

— მადლობა ღმერთს,—გავათავე!

— წაიკითხე, რაც დაჩხაპნე.

— რატომ უნდა დამეჩხაპნა? ყველაფერი ისე დავწერე, როგორც რიგი იყო.

— წაიკითხე მეთქი, გეუბნებით!

მამასახლისმა აიღო ქაღალდი ორივე ხელით და დაიწყო კითხვა:

„მამასახლისს ვუეცენძის საზოგადოებისას. სახელითა, მა-

მისათა, და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ. უფროსმა ბძანა, რომ სასალდათოების სიები გამოგზავნოთ მაშინვე, ღვთის მშობლობას შემდეგ, ყველა მეტრიკები კი აქაური მრევლის მღვდელს აქვს, და ჩვენი ყმაწვილები კი, რომლებიც სამკალზე დადიან, უთუოთ იმ სიებში უნდა ჩაწეროთ; და ისინი გამოგზავნოთ ღვთის მშობლობას წინეთ, როცა მათ შეუსრულდებათ თვრამეტი წელიწადი, რადგანაც რომ, თუ ეს არ შეასრულეთ, მოგხვდებათ შუბლში, რასაც ჩემთვის და თქვენთვისაც ვისურვებ. ამინ“.

პატივცემულ მამასახლისს ეკლესიაში ესმოდა, რომ მღვდელი ყოველთვის ასე ათავებდა თავის ქადაგებას,—რასაც ჩემთვის და თქვენთვისაც ვისურვებო, და ამიტომაც ასეთი დაბოლოვება იმას იმდენათ აუცილებელი ეგონა, რამდენათაც კარგი კალმისა და კილოს შესაფერისი. ზოლზიკევიჩმა კი გადიხარხარა.

— განა ასე წერა შეიძლება? დაეკითხა ის მამასახლისს.

— მაშ თქვენ დაწერეთ უკეთესათ.

— უეჭველათ უნდა დავწერო, იმიტომ, რომ მრცხვენია თქვენ მაგიერ. თქვა თუ არა ეს, ზოლზიკევიჩი მიუჯდა მაგიდას, აიღო კალამი, რამდენჯერმე მოხაზა მითი ჰაერში წრე და შეუდგა სიჩქარით წერას. რამდენიმე წამს შემდეგ ქაღალდი მზათ იყო. ავტორმა გადისვა თმებზე ხელი და შეუდგა კითხვას:

„ცხვრიეთის სოფლის საზოგადოების მამასახლისისაგან ვჟენცენძის მამასახლისს“.

„ვინაიდგან მთავრობის განკარგულებით სასალდათოების სიები მზათ უნდა იყოს ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვს, ამიტომაც ვატყობინებ ვჟენცენძის მამასახლისს, რომ ცხვრიეთის საზოგადოების გლეხების მეტრიკები, რომელნიც სამრევლო კანცელარიაში ინახება, გამოითხოვოს და წარმომიგზავნოს მე, ცხვრიეთის საზოგადოების მამასახლისს, სულ მოკლე ხანში. ცხვრიეთის საზოგადოების ის გლეხები,

რომლებიც ვუენცენძანში არიან სამუშაოთ, იმავ დროისთვის უნდა იქნან წარმოგზავნილნი“.

მამასახლისი სიხარბით ისმენდა ამ სიტყვებს, მას სახეზე გადაეკრა სიხარულისა და თითქმის სარწმუნოებრივი მოწიწების ელფერი. ყველაფერი, რაც მწერალმა წაუკითხა, მას ეჩვენებოდა ჩინებულათ, დიდებულათ და იმავ დროს სრულიათ აფიციალურადაც! თუნდაც მაგალითათ დასაწყისი: „ვინაიდგან მთავრობის განკარგულებით“, და სხ. მამასახლისის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამ „ვინაიდგან“-ის გამო, მარა მის დასწავლას კი მაინც ვერ ახერხებდა. დაწყებას კიდევ როგორმე ახერხებდა, მარა გაგრძელებას კი სულ ვერ აბამდა თავს. ზოლზიკევიჩი წყალსავით წერდა. იმაზე უკეთესათ ვერც მაზრის სამართველოში დაწერდენ.

ახლა მარტო ის იყო საჭირო, რომ ბეჭედი სანთლის ალზე გაემურათ და ქაღალდზე ისე დაეკრათ, რომ მაგიდა გახეთქილიყო.

— რა უნდა ვთქვა, ერთი სიტყვით—თავი მხრებზე აქვს ამ ჩემ მწერალს! თქვა მამასახლისმა.

— ღღონდაც! მიუგო შეფერებით ზოლზიკევიჩმა,—მწერალი ხომ იმას ჰქვია, ვინც წიგნებს თხზავს.

— განა თქვენცა თხზავთ?

— კიდეც მკითხავს! მაშ ვინ თხზავს კანცელარიის წიგნებს?

— ჰო, მართლა, მიუგო მამასახლისმა.

— სიებს სწრაფათ მოვრჩებით. მარა, აი რა უნდა გითხრათ კიდევ: ეცადეთ, როგორმე თავიდან მოიცილოთ ყველა ჩვენი უსაქმურები.

— მერე რა საშუალებით მოვიცილო ისინი თავიდან?

— მაზრის უფროსმაც კი ასე თქვა: ცხვრიეთის სოფლის გლეხები უსაქმურები, მთვრალები და, ერთი სიტყვით, წამხთარი ხალხიაო; და რადგანაც ბურაკი მათ ხელს უწყობს, ამიტომ პასუხსაც ის მიგებსო!

— განა არ ვიცი, რომ ყველაფერში მე ვარ დანაშაული.

როცა როზალკა კოვალიხას ბუში ეყოლა, სასამართლომ ოცდა ხუთი როზგის დაკვრა გადაუწყვიტა, რადგანაც ამისთანა საქმე ქალიშვილისათვის თავის მოჭრააო. მერე ვისი ბრძანება იყო ეს? სასამართლოსი! და პასუხი კი შენს ბურაკს აგებინეს.

ამ დროს ძროხა ისე მძლავრათ დაეტაკა კედელს, რომ მთელი კანცელარია შეიძრა.

— აი, შენი დალუპვა ბარემლა, წაიბურდღულა მამასახლისმა.

მწერალმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მაგიდაზე იჯდა, ხელახლავ დაიწყო თავის მოკოპწიავება სარკის წინ, და ბოლოს წარმოთქვა.

— ახია თქვენზე! რას უყურებთ? ეს სიმთვრალე თქვენ სიკეთეს არ დაგაყრისთ. ერთმა ქეციანმა ცხვარმა მთელ ჯოგს ქეცი დამართაო!

— კი მარა, უსმელობაც არ შეიძლება,—მიუგო მამასახლისმა. ნამუშევარზე ზოგმა უთუოთ უნდა დალიოს.

— მე კი მითქვამს, თავიდან რომ მარტო ერთი რეპა მოიშოროთ, შემდეგ ყოველივე საქმე კარგათ წავა.

— თქვენი აზრით ახლა როგორ უნდა მოვიქცე: კისერი მოვუგრიხო, თუ რა?

— რატომ! ახლა სასალდათოების სიებს ვადგენთ, ჩავწეროთ შიგ, და დეე ამოიღოს თავის წილი.

— კი მარა, ის ცოლიანია და ერთი შვილი ყავს.

— მერე ამას ვინ გაიგებს? საჩივლელათ ის ვერ წავა; და კიდევაც რომ დააპიროს საჩივარი, არავინ ყურს არ დაუგდებს.

— აფერუმ მწერალო! ვფიქრობ, რომ აქ სიმთვრალე კი არა, რეპას ცოლია შუაში... ეს ხომ დიდი ცოდვაა!

— ეს რა თქვენი საქმეა! თქვენთვის ის ემჯობინება იფიქროთ, რომ თქვენი ვაჟი ცხრამეტი წლის არის და მაშასადამე იმასაც შეხვდება წილის ამოღება.

— ეს ვიცი, მარა მას სალდათათ მაინც არ წავაყვანინებ, და თუ საჭირო შეიქნა კიდეც გამოვიყიდი.

— ერთი უყურე, რა მდიდარი გამხდარა.

— ცოტა რამ მეც მომეძებნება.

— ჰო, მარა ასეთი საქმისათვის რვაასი მანეთი დაგჭირდებათ!

— მერე რაო? გადვიხთი, და თუ ღმერთი შემეწია და კიდევ დავრჩი მამასახლისათ, ორ წელიწადში დავიბრუნებ დანახარჯს.

— ეს კიდევ ვინ იცის, დაიბრუნებთ თუ არა. მეც ჩემი მხრით ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენ მარტო ისარგებლოთ ყველაფრით. განათლებულ კაცს ყოველთვის მეტი ხარჯი აქვს, ვიდრე გაუნათლებელს; და ჩვენ რომ თქვენი ვაჟის ნაცვლათ რეპა ჩავწეროთ, თქვენ შეგრჩებათ რვაასი მანეთი.

მამასახლისი დაფიქრდა. ასეთი დიდი ფულის შერჩენა დიდათ სასარგებლო იყო მისთვის.

— კი მარა, ამისთვის რომ მადლობას არ გვეტყვიან?

— თქვენ ხომ ამაზე პასუხის მგებელი არ იქნებით.

— მე მაგისი მეშინია: თქვენ გამოიწყებთ, და დამნაშავე მე დავრჩები.

— თუ არ გინდა და გადაიხთი რვაას მანეთს...

— მე ხომ იმას არ ვამბობ, რომ მაგდენი ფული არ მენაღვლებათქვა!

— თუ ფიქრობთ, რომ შეიძლებთ მაგდენი ხარჯის დაბრუნებას, მაშინ რა გენაღვლებათ. მარა ამის იმედი ნუ გაქვთ. თუ თქვენ გაგიგეს ყველაფერი ის, რაც მე ვიცი თქვენზე, თქვენი საქმე ცუდათ იქნება.

— რაო ახლა, საკანცელარიო ხარჯებს თქვენ უფრო მეტს იღებთ ჩემზე,—მიუგო მამასახლისმა.

— კანცელარიის ხარჯებს ვინ ამბობს! მე წინანდელ წლებზე მოგახსენებ...

— მე მაგის არ მეშინია! რასაც მიბძანებდენ მეც იმას ვაკეთებდი.

— ჰო და მაგისთანაების თქმა სხვა ალაგას მოგიხთებათ.—

თქვა თუ არა ეს, მწერალმა დაიხურა თავის მწვანე ქუდი და გავიდა კანცელარიიდან.

მზე მიწურული იყო. მუშები ყანებიდან ბრუნდებოდენ. სხვებზე წინ მწერალს შემოხვდა ხუთი მომკალი, მხრებზე ცელებ გადაგდებულნი, რომლებმაც თავის დაკვრით გამარჯობა მოახსენეს. მწერალმა სამაგიერო არაფერი უთხრა, მხოლოთ პომადიანი თავი დაუკანტურა. ის იმ აზრის იყო, რომ განათლებულ კაცს არ ეკადრება გაუნათლებელს სალამი მისცეს, რომ ბატონი ზოლზიკევიჩი განათლებული იყო, ეს ყველამ იცოდა, და ამაზე ეჭვის მიტანა შეეძლოთ მხოლოთ ბოროტ ადამიანებს, ანუ ისეთებს, რომლებისათვის ყოველი კაცი, რომელიც მათზე უკეთესია, თვალში ეჩხირებათ!

ჩვენში რომ იბეჭდებოდეს ყველა გამოჩენილი კაცების ბიოგრაფიები, ჩვენ ამ არა ჩვეულებრივი კაცის ბიოგრაფიიდან შევიტყობდით, რომ თავდაპირველი განათლება მან მიიღო ოსლოვიცაში, ოსლოვიცის მაზრის სატახტო ქალაქში, რომელ მაზრასაც ეკუთვნოდა სოფელი ცხვრიეთი. დაბადებიდან მეთვრამეტე წელს ზოლზიკევიჩი მივიდა მეორე კლასამდი, და უთუოთ ასეთივე სისწრაფით წაიწევდა წინ შემდეგშიაც, რომ არ დამდგარიყო არეულობის დრო, რამაც ერთხელ და სამუდამოთ მოუღო ბოლო მისს სამეცნიერო წინ მსლველობას.

ახალგაზდობის ჩვეულებრივი სიფიცხით ზოლზიკევიჩმა თანამგრძნობ ამხანაგებითურთ ზარი უთხრა მასწავლებლებს, რომლებიც წინათაც დევნიდენ მას თავიანთი უსამართლობით. ბოლოს ზოლზიკევიჩმა დახია წიგნები, დაამტვრია სახაზავები, კალმები და კარანდაშები, მიატოვა სიბრძნის ტაძარი და დაადგა ახალ გზას.

ახალ გზაზე დამდგარი მივიდა სასოფლო მწერლის ხარისხამდი, და ზოგჯერ ოცნებობდა კიდეც რევიზორის თანაშემწის თანამდებობაზე.

თუმცა მისი საქმეები სოფლის მწერლის თანამდებობაშიაც არ მიდიოდა ცუდათ. საფუძვლიანი ცოდნა ყოველთვის

სხვების პატივისცემას იწვევს; და ჩვენს სანდომიანს გმირს კი, ამ ცოდნას გარდა, შეტყობილი ჰქონდა თვითეული მცხოვრებლის ავან-ჩავანი. ამიტომაც მას შიშ ნარევის პატივისცემით ეპყრობოდენ, რომ არ მოდებოდენ როგორმე ამ არა ჩვეულებრივ კაცის ანკესს. შეხვედრისას მას თავს უკრავდა ინტელიგენციაც, უკრავდენ მას თავს გლეხებიც, რომლებიც შორიდან მოუხდიდენ ქუდს და მოახსენებდენ გამარჯობას...

მარა მე უნდა ვრცლათ აგიხსნათ, თუ ზოლზიკევიჩი რატომ არ მიუგებდა მათ მისალმებაზე გაგიმარჯოს—ით. მე ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მისი აზრით განათლებულ კაცს ეს არ შეეფერებოდა; გარდა ამისა იყო სხვა მიზეზებიც. თავისთავადი ჭკუა ყოველთვის გაბედულია და საფუძვლიანი. ამიტომაც ზოლზიკევიჩიც მივიდა იმ დასკვნამდი, რომ სული —ორთქლია და მეტი არაფერი. სწორეთ ამ დროს ბატონი მწერალი კითხულობდა ბატონი ბრესლაუერის რომანს— „იზაბელლა, დედოფალი ესპანასი, ანუ მადრიდის სასახლის საიდუმლოები".

ეს ყოველ მხრით გათქმული რომანი ისე მოეწონა მას, ისე გაუჯდა ძვალ რბილში მისი შინაარსი, რომ მზათ იყო ყველაფერი მიეტოვებია და ესპანაში წასულიყო. მერფორიას თუ გაუღიმა ბედმა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ მასაც, ზოლზიკევიჩსაც გაღიმებოდა იგივე ბედი? უეჭველათ ის აასრულებდა თავის განზრახვას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ის ტყულა კარგავდა თავის ნიჭიერებას ამ სულელ ქვეყანაში, მარა მის განზრახვას ხელი შეუშალა სულ სხვა გარემოებებმა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ყოველ შემთხვევაში ამ გათქმულმა რომანმა, რომელსაც დროთი დრომდე ბეჭდავს ხოლმე მსოფლიო ლიტერატურის სადიდებლათ ბატონი ბრესლაუერი, გავლენა იქონია ბ—ნ ზოლზიკევიჩზე. ამ რომანის წაკითხვის შემდეგ ბ-ნი ზოლზიკევიჩი ურწმუნოს თვალით უცქერდა არა თუ სამღვდელოებას, არამედ ყველაფერს, რასაც კი მასთან რაიმე დამოკიდებულება

ქონდა. ეს იყო მიზეზი, რომ მან პასუხი არ მისცა მომკალთ და გვერდი ჩაუარა მათ.

რამდენიმე ნაბიჯს შემდეგ მან დაინახა ყანიდან დაბრუნებულნი ქალიშვილები, მხრებზე ცელებ გადებულნი. ამ დროს ისინი მოდიოდენ დიდი თხრილის დაყოლებაზ, და ამიტომაც თითო-თითოთ მოდიოდენ იუბკა აწეულნი, რის გამოც უჩნდათ ლამაზი და მზით დამწვარი წვივები.

— გამარჯობა გვრიტუნიებო! შეძახა მათ ზოლზიკევიჩმა და გაჩერდა იმავე ბილიკზე, რომელზედაც ისინი მოდიოდენ. ის თითეულს მათგანს მოხვევდა წელში ხელს, აკოცებდა და შემდეგ თხრილში გადააგდებდა, რასაკვირველია, ხუმრობით. ქალიშვილები შეკივლებდენ, კისკისობდენ და კისკისის დროს თეთრ კბილებს აჩენდენ. შემდეგ მწერალმა თვისდა სასიამოვნოთ ყური მოკრა ასეთს საუბარს:

— რა ჩინებული კავალერია ჩვენი მწერალი!

— ჰო,—მიუგო მეორემ და დაუმატა: მასთან ვაშლივით წითელიც არის.

— თავიც ვარდივით უფშვინავს, – დაუმატა მესამემ!

მწერალს ესმოდა ეს საუბარი და კმაყოფილი ელიმებოდა.

ერთი ქოხის გვერდით რომ მიდიოდა, მოესმა რომ ვილაცეები მასზე ლაპარაკობდენ. ღობეს გადაღმა იყო სქლათ დაწარგავი ქვიშნების ბაღი, სადაც ფუტკრის სკასთან ორი ქალი იდგა და საუბრობდენ. ერთ მათგანს კალთაში კართოფილი ეწყო და წმენდდა, მეორე კი ეუბნებოდა:

— რა ვქნა, შენ გენაცვალე, ძალიან მეშინია, რომ ჩემი ფრანკი სალდათათ არ გაიყვანონ.

— მერე და, შე დალოცვილო, მიდი ჩვენს მწერალთან და რჩევა კითხე, ის თუ დაგეხმარა, მერე ვერავინ ვერას დაგაკლებს.

— მასთან რომ მივიდე, რა მივუტანო? ცალიერი ხელით მასთან მისვლა არ შეიძლება. მას ისევ მამასახლისი ჯობია: რაც უნდა მიუტანო, კიბო იქნება, თუ ერბო, სელი და თუ

გინდ ქათამიც,— ყველაფერს მიიღებს გაურჩევლათ. მწერალი კი ამისთანაებს არც შეხედავს. ოო, ის დიდი ამპარტავანი ვინმეა. იმას მარტო ფული უნდა მიართვა

— ის დღე არ მოგესწრებათ, რომ მე თქვენი ქათმები და მისთანა რამ ავიღო!—ჩაიბურდღუნა თავისთვის მწერალმა.—განა მე მექრთამე ვარ? წაეთრიეთ თქვენი ქათმებით მამასახლისთან. მწერალი ჩაფიქრდა, გადაწია ქვიშნების შტოები და უნდოდა ქალების დაძახება, მარა უცებ ეტლის ხმაურობა მოისმა. მწერალი მობრუნდა, რომ დაენახა, ვინ მოდიოდა. ეტლში იჯდა სტუდენტი, რომელსაც ქუდი განზე ეხურა და პირში პაპიროზი ჰქონდა. ეტლი მოჰყავდა იმავ ფრანკს, რომელზედაც საუბრობდენ ქალები. ზოლზიკევიჩი რომ დაინახა, სტუდენტმა დაუქნია ხელი და დაუძახა:

— როგორ ბძანდებით, ბატონო ზოლზიკევიჩო? რა ამბავი ახალი? თქვენ კიდევ ისე გულმოდგინეთ ისვამთ პომადას?

— გახლავართ თქვენი მონა-მორჩილი, მოწიწებით თავის დაკვრით მიუგო ზოლზიკევიჩმა,—მარა, როცა ეტლი ცოტა დაშორდა, ჩუმათ მიაყოლა:

— კისერიც მოგიტეხია.

ეს სტუდენტი ეძაგებოდა მწერალს. ის იყო სკორაბევსკების ნათესავი, რომლებთა-ნაც ყოველ ზაფხულობით სტუმრათ მოდიოდა. ზოლზიკევიჩს არა თუ მხოლოთ ეძაგებოდა ის, არამედ კიდეც ეშინოდა მისი, რადგანაც ის დიდი კოხტა იყო და დაცინვაც უყვარდა. ზოლზიკევიჩს ის ყოველთვის მასხრათ იგდებდა, და მთელს მიდამოში მარტო ის თვლიდა მას არარაობათ. ერთხელ ის შევარდა სოფლის კანცელარიაში, სასამართლოს სხდომის დროს, და ყველა დამსწრეებთან უთხრა ზოლზიკევიჩს, რომ შენ სულელი ხარო; გლეხებს კი ურჩია—არაფერი დაუჯეროთ ამასო.

ზოლზიკევიჩი დიდი სიამოვნებით გადუხდიდა სამაგიეროს, მარა რითი? ამ სტუდენტის მოსვლა ახლა მწერლისთვის ერთობ არ იყო სასიამოვნო. ამიტომაც ზოლზიკევიჩს მოეღრუბ-

ლა სახე, და ისე განაგრძო გზა. მალე მოუხვია მან ერთ ფაცხასთან, რომელიც გზიდან დაშორებით იდგა. ეს ფაცხა შეიძლება სხვაზე უფრო ღარიბული იყო, მარა ერთობ ფაქიზი იყო. ეზო წმინდათ იყო დახვეტილი და დაყრილი ჰქონდა სოვდა ბალახი, ღობესთან ეწყო შეშა და ერთ ღერში ერჭო ნაჯახი. მიღმა მოჩანდა კარლია ბეღელი, მის გვერდით—გომური, რომელიც ფარეხობასაც ეწეოდა. ცოტა კიდევ იქით გავლებული იყო მესერი, რომლის გადაღმა ხელ-ხელა დადიოდა და ბალახობდა ცხენი. გომურის წინ წუმპეში გორავდა ორი ღორი, და შორი ახლო დადიოდენ იხვები. ნახერხში იქექებოდა მამალი და რომ ნახავდა მარცვალს, ან ჭიას, დაიწყებდა კაკაკანს. დედლები რომ გაიგონებდენ ამ დაძახებას, თავ-დასწრებით გამორბოდენ და ერთმანეთს პირიდან ტაცებდენ გემრიელ ლუკმას. ფაცხის კარებს წინ ქალი წეწდა კანაფს და ამღერებდა: „ოი-ტა, და-და! ოი-ტა, და-და! და-დანე!“ მას ფეხთით უწვა ძაღლი, რომელიც ხანდაზმით დააფჩენდა პირს და იჭერდა მისვე ჩამოხეულ ყურზე წამომჯდარ ბუზებს. ის იყო ახალგაზდა, ოცი წლის შესანიშნავი ტანადი ქალი; მას ეცვა თეთრი პერანგი წითელ ზონრით შემორტყმული, თავზე ქალის ჩვეულებრივი ჩეპეცი ეხურა.

მისი აგებულება ძალისა და სიმთელის გამომხატველი იყო. მას ამკობდა განიერი მკერდი და თეძოები, წვრილი და ქურციკისებური მოქნილობა, სახის ნაკვთები წვრილი ქონდა, თავი პატარა, და ფერი მისი მქრქალი იქნებოდა, რომ მზისაგან სიდამწვრე არა, რაც მის სახეს უფრო ოქროს ფერს გადაკრავდა; თვალები დიდრონი და შავი ქონდა, წარბები—დახატულები; პატარა ნაზი ცხვირი და ქვიშნის ფერი ტუჩები. სქელი, მუქი წაბლის ფერი თმა თავსახურავში არ ეტევოდა.

როცა მწერალი მოახლოვდა, ძაღლი, რომელიც საწეწელთან იწვა, წამოდგა, ამოიძუა კუდი, დაიწყო ღრინვა და დაკრიჭა კბილები.

— ჩუ, ყურშა! შიაძახა ქალმა ტკბილი, კრიალა ხმით.

— საღამო მშვიდობისა მარო!

— საღამო მშვიდობისა, ბატონო მწერალო, მიუგო ქალმა სამუშაოზე ხელ აუღებლათ.

— თქვენი ქმარი სახლშია?

— ტყეშია სამუშაოთ.

— მეწყინა. მე მასთან საქმე მქონდა სოფლის კანცელარიიდან.

სოფლის კანცელარიაში საქმე არასოდეს არ მოასწავებს კარგ რამეს გლეხი კაცისათვის, ამიტომაც ახალგაზდა ქალმა მიატოვა სამუშაო, ამცბარი მიაცქერდა მწერალს და გულის წუხილით კითხა:

— მითხარით, რა საქმეა?

ამ დროს მწერალი შევიდა ჰიშკარში და ამოუდგა მას გვერდით.

— თუ ნებას მომცემ—გაკოცო, მაშინ გეტყვი?

— თქმა ისედაც შეიძლება, მიუგო ახალგაზდა ქალმა, მარა მწერალმა კიდეც მოასწრო მოხვევნა და მიიკრა გულზე ქალი.

— დავიკივლებ! შეძახა რეპას ცოლმა და უნდოდა თავი წაერთმია.

— შენ ჩემი მშვენიერება ხარ, მარო!

— ღმერთის გეშინოდეს ბატონო მწერალო.

ამასობაში ქალი რაც ძალი და ღონე ქონდა, ცდილობდა მოეშორებინა მწერალი, მარა ეს უკანასკნელი არ იყო სუსტი ღონის და მოხვევნაზე ხელს არ იღებდა. ამ დროს ქალს წამოეშველა ყურშა, რომელიც აიბურძგა და გამწარებული ყეფით ეტაკა მწერალს, და, რადგანაც ამ უკანასკნელს მოკლე პიჯაკი ეცვა, უკბინა იმ ალაგას, რომელსაც პიჯაკი არ ფარავდა. როცა ყურშამ იგრძნო, რომ კბილები კარგათ ჩაერჭო ხორცში, დაუწყო ქიჩმაჩი.

— ქრისტე ღმერთო! შეძახა ზოლზიკევიჩმა, რომელსაც დაავიწყდა რომ ის ეკუთვნოდა დიდ სულოვანთა რიცხვს.

მარა ყურშა არ მოეშვა მას მანამდი, სანამ მწერალმა არ აილო ერთი ღერი შეშა და არ დაუწყო რტყმევა. ყურშას ერთი მოხვთა წელში. ძაღლი გახტა განზე და ზუილი დაიწყო, მარა ერთ წამს შემდეგ ისევ მივარდა მას.

— მომაშორეთ ეს ძაღლი, მომაშორეთ ეს ალქაჯი! ყვიროდა მწერალი და გამწარებით იქნევდა შეშას.

ქალმა დაუძახა ძაღლს და გააგდო ჭიშკარს გადაღმა. რამდენიმე ხანს ორივე ხმა ამოუღებლათ უმზერდენ ერთმანეთს. ბოლოს ასეთი ამბით შეშინებულმა ქალმა წამოიძახა:

— ოჰ, მე უბედური! რა მოგეწონათ ჩემი?

— გადაგიხდით სამაგიეროს, იძახოდა მწერალი, ვიძიებ შურს! დამაცადეთ! რეპას გაიყვანენ სალდათათ... მე მინდოდი მას დავეხმარებოდი... მარა ახლა... აწი თქვენ თითონ მოხვალთ ჩემთან!

ქალი გაფითრდა. თითქო ვინმეს ნაჯახი დაეკრას თავზეო, გაშალა ხელები და დააღო პირი, თითქო რაღაცას თქმა უნდოდაო.

ამასობაში მწერალმა აილო გადავარდნილი ქუდი მიწიდან და სიჩქარით გასწია ისე, რომ ცალი ხელით შეშას იქნევდა, და მეორეთი მოხეულ ადგილს იფარავდა.

## II

ერთ საათს შემდეგ რეპა დაბრუნდა ტყიდან ლუკა დურგალთან ერთათ. რეპა იყო ბრგე ვაჟკაცი, მაღალი, ალვის ხესავით, როგორც იტყვიან ნაჯახში გამოყვანილი. ის ტყის საჭრელათ იყო დაქირავებული, რადგანაც მემამულემ მთელი ტყე ებრაელებს მიყიდა. ის კარგ გასამრჯელოს ღებულობდა, რადგანაც ჩინებული მუშა იყო. ის რომ ხლის გულზე დაიფურთხებდა და ნაჯახის ტარს ხელს მოავლებდა, ერთს ლოთიანათაც შეძახებდა და მოიქნევდა, ფიჭვებს ზანზარი გაქონდათ, და ნაფოტები ორ აღლზე ცვივოდენ. ვერავინ ვერ შეედრებოდა მას მოჭრილ ხეების დაწყობაშიაც. ებრაელები

რომლებიც ტყეში ადლით დადიოდენ და ფიჭვების კატარებს უყურებდენ, თითქო ყვავების ბუდეს ეძებენო, გაკვირვებულნი იყვნენ მისი ღონით. მდიდარი ოსლოვიცელი ვაჭარი დრისლა ხშირათ ეუბნებოდა მას:

— ა, ბიჭო რეპა! ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, აჰა, შენ ექვსი გროში ვოტკისათვის... არა, მოიცა, ხუთი... რეპა კი იქნევდა თავისთვის ნაჯახს და ხანდახან დაძახებდა ისე, რომ მისი ხმა მთელ ტყეს მოედებოდა.

— ჰე! ეჰე! მისი ხმა ედებოდა მთელ ტყეს და უპუთი (ეხოთი) ისევ უბრუნდებოდა მას. და კვლავ არაფერი არ ისმოდა ტყეში მისი ნაჯახის რტყმისა და ფიჭვების შრიალს გარდა, რასაც ჩვეულია ტყე. ზოგჯერ გაისმოდა ტყის მჭრელთა სიმღერა, რომელშიაც გარკვევით მოისმოდა რეპას ხმა.

სამიკიტნოშიაც რეპას ეჭირა არა უკანასკნელი ადგილი, მას უყვარდა გადაკვრა და როცა გადაკრავდა, ჩხუბზედაც მზათ იყო.

ერთხელ დამასიას მებატონის მუშას ისე გაუხეთქა თავი, რომ მომვლელი ქალი ფიცულობდა—სული გამოუჩნდაო. წინათ კი, როცა რეპა 17 წლისა შესრულდა, ის სამიკიტნოში წაეჩხუბა სამსახურიდან დათხოვნილ სალდათებს. სკორაბევსკიმ, ოომელიც მაშინ მამასახლისათ იყო, დაიბარა ის კანცელარიაში, გაარტყა ერთი და ორი—ისე შესახედავათ, და მერე კითხა:

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, როგორ გაუმკლავდი მათ, ისინი ხომ შვიდნი იყვნენ?

— რა ვუყოთ მერე?—მიუგო რეპამ,—იმათ ფეხები აქვთ მოქცეული მათებური მარშით: როგორც კი თითს კრავ, მაშინვე წაიქცევიან.

სკორაბევსკიმ მიჩქმალა ეს საქმე.

ოდესღაც რეპა ძალიან შეთვისებული იყო მასთან. დედაკაცები საიდუმლოთ ეუბნებოდენ ერთმანეთს, რომ რეპა მისი შვილიაო.

— ეს იმითაც ეტყობა, უმატებდენ ქალები, — რომ რეპას თავმოყვარეობაც აზნაურისა აქვს. მარა ეს ტყუილი იყო, თუმცა რეპას დედას ყველა იცნობდა, და მამას კი — ვერავინ. ის იყო ჯერ მიწის იჯარადარი, შემდეგში კი შეიქნა იმავე მიწის მესაკუთრე, და რადგანაც კარგი მეურნე იყო, მისი საქმე ცუდათ არ მიდიოდა. ცოლი ისეთი ყავდა, რომ მისთანას სანთლითაც ვერ მოძებნიდით. ერთი სიტყვით ყველაფერი მეტის მეტათ კარგათ იქნებოდა, რომ ცოტა გადაკვრა არ ყვარებოდა.

მარა ამ უკანასკნელი უბედურების გასწორება არაფრით არ შეიძლებოდა. ყველას ვინც კი მას დაელაპარაკებოდა ამ ჩვეულებაზე ის მიუგებდა ხოლმე:

— შენი საქმე არ არის! ვსვამ ჩემი ფულებით და არა სხვისით. —

სოფელში მას არავისი არ ეშინოდა, გარდა მწერლისა. შორიდანაც რომ დაენახა რეპას მწვანე ქუდიანი, აპრეკილი ცხვირიანი, თხასებურ წვერიანი, მაღალ ფეხებით მომავალი მწერალი, დასწრაფებით მოუხდიდა ქუდს. რეპაზედაც იცოდა მწერალმა ზოგიერთი რამ. ერთხელ, არეულობის დროს, რეპას უბძანეს რაღაც ქაღალდები ეზიდა ტყეში, და ისიც ზიდავდა. იმას რა ენაღვლებოდა? ამას გარდა ის მაშინ თუთხმეტი წლის იყო და ღორებს და ბატებს მწყესავდა; მარა ის რადგანაც დარწმუნებული არ იყო, რომ ეს დაუსჯელათ შერჩებოდა, ცოტათი შიში ქონდა მწერლის.

აი ასეთი იყო რეპა.

როცა ის, ტყიდან დაბრუნებული, შევიდა ქოხში, ცოლი ტირილით მივარდა და მოთქმით დაუწყო ლაპარაკი.

— დიდხანს ველარ გიყურებს აწი შენ ჩემო საყვარელო, ჩემი თვალები, აწი ველარც ვერაფერს მოგიხარშავ და ველარც ვერაფერს დაგირეცხ. საბრალოვ, აწი უნდა წახვიდე ქვეყნის კიდეზე.

რეპას ძალიან გაუკვირდა.

— ხომ არ გაგიჟდი ქალო? ან ხომ არაფერს უკბენია შენთვის?

— არც გავგიჟებულვარ და არც არაფერს უკბენია ჩემთვის, მხოლოთ აქ იყო მწერალი, რომელმაც მითხრა, რომ შენ სალდათათ გაწვევა არ აგცდება... ვაი, ჩემს უბედურს თავს—შენ სალდათათ წაგიყვანებენ და სადმე დასაკარგავში გაგგზავნიან!

ქმარმა გამოკითხა მას ყველაფერი, და იმანაც ყველაფერი უამბო გარდა მწერლის არშიყობისა, რადგანაც ეშინოდა —მეტი არაფერი წამოცდენოდა, და მითი თავისათვის არ ევნო.

— შენ ჩურჩუტო, რა გატირებს? უთხრა ბოლოს რეპამ.— მე სალდათათ ვერ გამიწვევენ, რადგანაკ გასაწვევ ხნოვანებას გადავცდი; გარდა ამისა მაქვს მიწა, და, გამიგონე, შენ ჩურჩუტო, გვყავს ეს კიბორჩხალი!—ამის თქმისათანავე ანიშნა ცოლს აკვანი, რომელშიაც, მთვარესავით გაბადრული, ერთი წლის ფუნთრუშა ბავში ფეხებს იქნევდა და ბლაოდა რაც შეეძლო. ცოლმა მოიწმინდა თვალები წინსაფარით და მიუგო: ვერაფერი ეს ვერ გიშველის. განა მან არ იცის, რომ შენ ტყეში ქალალდებს ზიდავდი? რეპამ ქეჩო მოიფხანა.

— უთუოთ ეცოდინება.

რეპა ჩაფიქრდა და დაუმატა:

— წავალ მასთან, მოველაპარაკები. იქნება საქმე არც ისე საშიშარი იყოს.

— წადი, - უთხრა ცოლმა, მხოლოთ თან მანათიანი წაიღე. უფულოთ მასთან ნურც კი მიხვალ.

რეპამ ამოიღო მანათიანი ზანდუკიდან და გასწია მწერლისკენ.

რადგანაც მწერალი უცოლო იყო, ამიტომაც მას ცალკე სახლი არ ჰქონდა ნაქირავები, არამედ იდგა ტბის პირათ აგებულ ოთხ კედელში, რომელშიაც ჩვეულებრივათ დგას

ოთხი ოჯახობა და თითეულს ცალკე შესავალი კარები აქვს. ზოლზიკევიჩს ეჭირა ორი განყოფილება.

პირველში არაფერი არ იყო ბზისა და მოკლე ყელიან ჩექმებს გარდა; მეორეში, რომელიც ზალაც იყო და საწოლი ოთახიც, იდგა მუდამ აულაგებელი ლოგინი პირგადაუკვრელ ბალიშებით, რომელთაგან ღუნღლი მოცვივოდა; ეწყო კანცელარიის წიგნები და რამდენიმე ნომერი ბრესლაუერის გამოცემულ **„იზაბელლა ესპანელისა“**; იყო აგრეთვე ორი წვირიანი საყელო, ერთი შუშა პომადა, გილზები და, მაგიდის დამამშვენებელი ქონის სანთელი, ჟესტის შანდალში ჩადგმული და ბუზებით მოოჭვილი.

ფანჯრის ახლო, კედელზე ჩამოკიდებული იყო ერთი მოზდილი სარკე; მის პირდაპირ, კედელთან იდგა კამოდი, რომელშიაც ეწყო მთელი რჩეული საპირისფარეშო ბატონის მწერლისა: ესე იგი, წარმოუდგენელი ფერის შალვრები, ზიპუნები, გალსტუკები, ხელთათმანები, დაბალ ყელიანი ლაქწასმული ჩექმები და ცილინდრიც კი, რომელსაც მწერალი იხურავდა, როცა მაზრის ქალაქს ოსლოვიცაში მოუხდებოდა ჩასლვა.

გარდა ამისა, ამ დროს ლოგინთან მდგომ სკამზე იდვა დაზიანებული შალვარი; თვითონ მწერალი კი კითხულობდა **„იზაბელლა ესპანელის“** რომანს.

მისი მდგომარეობა იმდენათ ცუდი იყო, რომ „ვიკტორ ჰიუგოს“ კალამი უნდა ქონდეს კაცს, რომ შეძლოს მისი აწერა. პირველ ყოვლისა, მას მეტის მეტათ ეწოდა ჭრილობა. თვით „იზაბელლა ესპანელის“ კითხვა, რომელიც სხვა დროს ყოველთვის დიდი სანუგეშო იყო მისთვის, ეხლა უმწვავებდა ტკივილს და იმ შეჭირვებულ ყოფას, რომელშიაც ის იყო ყურშასაგან დაკბენის შემდეგ.

მას ჰქონდა ცოტა სიცხე, და ამიტომაც აზრები ვერ მოეკრიბა. ხან და ხან საშინელი რამ ეზმანებოდა მას. მას წაეკითხა, რომ ახალგაზდა სერანო დაბრუნდა ესკურიალში

მრავალ ჭრილობებით, კარლისტებზე გამარჯვების შემდეგ. დედოფალი იზაბელლა, აღელვებული და ფერ მკრთალი შეხვდება მას... დოლბანდის კაბის ნაოჭები უღელავს მკერდზე.

— დაკოდილი ხარ სარდალო?—ეკითხება დედოფალი მთრთოლვარე ხმით.

უბედურ ზოლზიკევიჩს ეზმანება, რომ ვითომ ის არის სერანო.

— ოჰ, მე დაკოდილი ვარ,—მიუგებს ის სუსტი ხმით. მაპატიეე დედოფალო!

— დაისვენე სარდალო! დაჯედი და მიამბე შენი გმირობის ამბავი.

— მბობა კი შემიძლია, მარა დაჯდომა კი არა!—სასოწარკვეთილებით წამოიძახებს ზოლზიკევიჩი.—ოჰ, შემინდევით დედოფალო, ეს წყეული ყურშა... მინდოდა მეთქვა დონ იოზე... ვაი! ვაი!

მწარე ტკივილი მოიყვანს მას გონებაზე. სერანო მიმოავლებს თვალს და დაინახავს: მაგიდაზე ტკაცუნი გააქვს სანთელს, რადგანაც ქონით გაჟღენთილი ბუზი იწვის, და სხვები კი მიცოცავენ კედელზე. მაშ აქ ესკურიალი არ არის? არც დედოფალი იზაბელლა ბძანდება აქ? მთლათ გამოფხიზლდა ზოლზიკევიჩი, წამოიწია და გამოიცვალა სატკივარზე დადებული სველი ტილო. შემდეგ გადაბრუნდა კედლისკენ, მიეთვლიმა, ან უკეთ რომ ვთქვათ—თვლემდა და განაგრძობდა ესკურიალში მოგზაურობას.

— ჩემო საყვარელო სერანო! ჩემო სატრფიალო!—ფუჩუნობს დედოფალი,—მოდი, მე შეგიხვევ ჭრილობას.

სერანოს თმები ყალყზე დაუდგება, ის გრძნობს თავის გაჭირვებულ მდგომარეობას. როგორ არ უნდა დაემორჩილოს დედოფალს, მარა ამასთანავე როგორ უნდა დაეთანხმოს?

უეცრათ დედოფალი გაქრება, კარი ერთი ყოფით გაიღება, და გამოჩნდება მისი უბოროტესი მტერი დონ იოზე.

— შენ აქ რა გინდა? ვინა ხარ? შეძახებს სერანო.

— მე გახლავართ რეპა,—მიუგებს პირქუშათ დონ იოზე.

ზოლზიკევიჩს მეორეთ გამოელვიძება. ესკურიალი გადიქცევა ოთხ კედელათ, სანთელი ბჟუტავს და ზედ მიწმასნილი ბუზი ტკაცუნით იწვის და გადმოდის ტრედის ფერი ნალვენთი. კარებში დგას რეპა და რეპას უკან... კალამი მივარდება ხელიდან... ოდნავ გაღებულ კარებშუა თავს გამოყოფს ყურშა! საშინელება, ესე იგი ყურშა მიაცქერდება თვალებში ზოლზიკევიჩს და თითქო გაუღიმა.

ახლა კი ნამდვილათ ცივი ოფლი დაასხა შუბლზე ზოლზიკევიჩს, და თავში გაუელვა იმ აზრმა, რომ რეპა მოვიდა იმისთვის, რომ მას გვერდები დაუზილოს, და ყურშა კი მიტომ, რომ პატრონს დაეხმაროს მეორე მხრიდან.

— რა გინდათ თქვენ ორივეს ჩემგან?—შეშინებული ეკითხება ზოლზიკევიჩი.

რეპა კი მაგიდაზე დებს მანათიანს და გაუბედავათ ეუბნება:

— მოწყალეო, ბატონო მწერალო! მე მოვედი თქვენთან სალდათობის შესახებ...

— გაეთრიე აქედან! გაეთრიე!—შეუძახა წამოთამამებულმა ზოლზიკევიჩმა.

გამძვინვარებულ მწერალს უნდოდა ძგერებოდა რეპას, მარა კარლისტური ჭრილობა იმდენათ ემწვავა მას, რომ ის დაეცა ბალიშებზე და საშინელი ყვირილი მოჰთო?.

## III

ჭრილობას ანთება უჩნდებოდა.

ვხედავ, რომ ჩემი ტურფა მკითხველი ქალები ცრემლებს აფრქვევენ ჩემი გმირისათვის, და ამიტომაც მათდა დასამშვიდებლათ აქ უნდა დავძინო, რომ ზოლზიკევიჩი ამ ჭრილობით არ მომკვდარა. ის, თავის ხვედრისამებრ, კიდევ დიდხანს ცოცხლობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მე აქ უნდა გამეგდო

კალამი და მიმეტოვებინა მოთხრობა, მარა რაკი ის ცოცხა-ლია, მეც უნდა ბოლომდის დავასრულო მისი ამბავი.

თუმცა ჭრილობა ძლიერ აწუხებდა ჩვენს ცხვრიეთელ-კანცლერს, მარა ამასთანავე ზოგს რამეში სარგებლობაც მოუ-ტანა მას. ამ ჭრილობამ შეაძლებინა მას გამოეწვლილვა მოც-ლილობის დროს თავისი საქციელი, და იმ დასკვნამდი მისუ-ლიყო, რომ ამდენხანს ის მხოლოთ სისულელეებს ჩადიოდა. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, ჩვენმა კანცლერმა გადაწყვიტა, რომ რათაც უნდა დაუჯდეს, იშოვნოს რეპას ცოლი, და ამისთვის საჭირო იყო თავიდან მოეცილებინა მისი ქმარი. ეს ისეთი საცდური იყო მისთვის, რომ არ შეეძლო გამაგრებო-და მას, რადგანაც მთელს ოსლოვიცის მაზრაში არ მოიძებნე-ბოდა მეორე იმისთანა ქალი, როგორიც იყო რეპას ცოლი. მისი ქმარი რომ სალდათათ წაეყვანათ, ზოლზიკევიჩი ადვი-ლათ ეწევოდა გულის წადილს. მარა არც ისე ადვილი იყო მამასახლისის შვილის მაგიერ რეპას გაწვევა. სოფლის მწერა-ლი—ძალაა. ზოლზიკევიჩიც ასეთი ძალა იყო, მარა, საუბე-დუროთ, ის არ შეადგენდა უკანასკნელ ინსტანციას. საქმეს უნდა გაევლო კიდევ სათემო დარაჯთა დაწესებულება, სამ-ხედრო კომისია, მაზრის უფროსი, და სათემო დარაჯთა უფ-როსი,—ერთი სიტყვით ისეთი დაწესებულებანი და ვინმეები, რომელნიც სრულიათ არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ბურაკის ნაცვლათ სახელმწიფოსა და ლაშქრისათვის ეჩუქები-ნათ რეპა. ჩაწეროს ის სასალდათოების სიაში? მერე რა გამო-ვა აქედან? სიებს ხომ მეტრიკები უნდა დაერთოს, და რეპა-საც პირს ვერავინ შეუკრავს. ყველაფერი იმითი გათავდება, რომ ერთი ამბავი შეიქნება და შენც ადგილს დაკარგავ.

ყველა დიდებული კაცები ვნებათა ღელვისაგან სისულე-ლეებს ჩადიოდენ, მარა მათი დიდებაც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ იცოდნენ დროზე თავის შეკავება. ზოლზიკევიჩმა აღიარა, რომ პირველი სისულელე მისი ის იყო, როცა ბუ-რაკს შეპირდა—სიაში შენი შვილის მაგიერ რეპას ჩავწერო;

მეორე მისი სისულელე იყო, როცა რეპას ცოლს ისეთი სულელური ამბავი დაუთენა,—და მესამე სისულერე კი ის იყო —სალდათათ გაწვევას რომ დაემუქრა რეპას. დაუვიწყარია ის წამი, როცა ნამდვილათ დიდებული კაცი თავის თავზე იტყვის: „მე—ვირი ვარ!“ ასეთი წამი თითქო ფრთებით მოფრინდა სოფელს ცხვრიეთში; რამეთუ ზოლზიკევიჩმა წარმოთქვა: „მე ვირი ვარო!“

მარა როგორ მიატოვოს მან ის გეგმა, რომელსაც მოასხა საკუთარი სისხლი... რომელსაც შეწირა მან ახალი დრაპის შალვარი და ნაშური, რაც ორჯერს მეტათ არ ჩაეცვა.

არასოდეს!

სწორეთ ახლა, როცა რეპას ცოლის შოვნის სურვილს დაერთო შურის ძიების წყურვილი, ზოლზიკევიჩმა დაიფიცა არ მოისვენოს მანამდი, სანამ თავის განზრახულებას არ შეასრულებს.

ის ამაზე ფიქრობდა მთელი სამი დღე, რომლის განმავლობაში ის იდებდა ჰრილობაზე ცივ ტილოს, მარა ვერავითარს გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა.

მეოთხე დღეს მას მოუტანეს ოსლოვიცის აფთიაქიდან მალამო, რომლის დადებისათანავე ზოლზიკევიჩმა, ჰოი, საკვირველებავ, წამოიძახა: „მივაკვლიე!“ მართლაც მან რაღაც მოისაზრა!

## IV

ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ ცხვრიეთის დუქანში ისხდენ მამასახლისი, ხმოსანი გომულა და რეპა.

— რა გადავეებსთ უმიზეზოთ, წაილაპარაკა მამასახლისმა.

— მე ვამბობ, რომ ფრანგი პრუსაკს არ დანებდება,— თქვა გომულამ და მუშტი დაკრა მაგიდას.

— ჩემი აზრით პრუსაკიც ხერხიანი ქოფაკია, მიუგო რეპამ.

— მერე რაო, რომ ხერხიანია? ფრანგს ოსმალო დაეხმარება, და ოსმალო ხომ ყველაზე ღონიერია.

— შენ ძალიან იცი. ყველაზე უფრო ღონიერი გარიბალდია.

— ერთი შენც, იტყვი რაღა. საიდან გამოჩხრიკე ეს გარიბალდი?

— გამოსაჩხრეკი აქ რა არის? მეც ყური მაქვს და გავიგონე, რომ გარიბალდიმ ვისლაში შეცურა დიდი ჯარით, მარა ისევ გაბრუნდა, რადგანაც ვარშავაში ლუდი არ მოეწონა.

— რას როტავ? ვინ არ იცის, რომ შავაბი ურია არის.

— მარა გარიბალდი ხომ შავაბი არ არის?

— მაშ ვინ არის შენი აზრით?

— ვინ და მეფე უნდა იყოს.

— რა ჭკვიანი ხარ.

— არც შენ ხარ ჩემზე უფრო ჭკვიანი!

— თუ შენ ასეთი ჭკვიანი ხარ, აბა მითხარი — რა ეწოდებოდა სიგელით ჩვენს წინაპარს?

— რა და ადამი.

— ადამი ნათლობის სახელია და არა სიგელის.

— მაგ კი არ ვიცი.

— მე კი ვიცი, მისი სიგელი იყო: „გამოისყიდე".

— შენ მგონია შეირეკე.

— თუ არა გჯერა ყური დამიგდე:

„ო, ყოვლად წმიდაო ქალწულო!
შენ აწოვე ძუძუ უფალსა ღმერთსა
და მით ცოდვა ჩვენი წინაპრისა გამოისყიდე".

— არ გჯერა არც ახლა, რომ მართალს ვამბობ?

— მასე იყოს.

— ყველას ის ემჯობინება — კიდევ დავლიოთ, გააწყვეტინა მათ საუბარი მამასახლისმა.

— შენი სადღეგრძელო იყოს ნათლია!

— აგრეთვე შენიც!

— დალიე!

— გაამოს!

— ღმერთმა ყოველივე სიკეთეს შეგყაროს.

სამივემ კარგათ გადაკრა, მარა რადგანაც ეს იყო საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, ამიტომაც გომულა ისევ პოლიტიკას დაუბრუნდა.

— ერთი კიდევ დავლიოთ,—სიჩუმის შემდეგ წამოიძახა ბურაკმა.

— ღმერთმა ბედს შეგყაროს!

— გმადლობ!

— იცოცხლე!

კიდევ გადაკრეს, და რადგანაც ისინი სვამდენ რომს, რეპამ დაკრა ჭიქა მაგიდას და თქვა:

— ჩინებული სასმელია!

— დაუსხით კიდევ!

რეპას თანდათან უფრო და უფრო წითელი ფერი ედებოდა, და ბურაკი კი გაუმცდარათ უსხამდა რომს ჭიქაში.

— აი შენ, —მიუბრუნდა ის რეპას,—ერთ ცალ მუხუდოს ცალი ხელით მოიგდებ ზურგზე, მარა ომში წასვლის კი შეგეშინდება.

— რატომ შემეშინდება? ჩხუბი თუა, ვიჩხუბებ.

— ზოგი პატარა კაციც ვაჟკაცია, თქვა გომულამ—და ზოგი კი დიდია და ღონიერი, მარა ფრთხალია.

— ტყუილია! შეძახა რეპამ—მე ფრთხალი არა ვარ!

— ვინ იცის, მიუგო გომულამ.

— იცი რას გეტყვი,—უთხრა რეპამ და უჩვენა მჯიღი,— ერთი რომ დაგცხო ეს მკერდში, ფუნჩხათ გაქცევ გამხმარ კვახივით.

— ვინ იცის, იქნება ვერა?

— აბა, ვშინჯოთ.

— გეყოფათ, ჩაერია დავაში მამასახლისი, თქვენ მგონი ჩხუბის გუნებაზე ხართ? მაგას ის ემჯობინება — დავლიოთ.

დალიეს კიდევ, მარა ბურაკმა და გომულამ მარტო ტუ-

ჩები დაისველეს, და რეპამ კი მთელი ჭიქა რომი წააფირქვავა და ისე გადახუხა, რომ თვალები მთლათ გადმოეკარკლა.

— აბა, ახლა გადაკოცნეთ ერთმანეთი, — თქვა მამასახლისმა. რეპა მოეხვია გომულს და ტირილი დაიწყო. ეს სიმთვრალის ნიშანი იყო. შემდეგ რეპა მოყვა ბედის სამდურავს, და ბოლოს გაახსენდა ჭრელი ხბო, რომელიც ორი კვირის წინეთ მოუკვდა.

— რა ხბო იყო, რომ იცოდეთ, რა ხბო! მარა ღმერთმა წამართვა მისი თავი.

— ნუ სწუხარ, — მიუგო ბურაკმა. — შენ მე გამიგონე რასაც გეტყვი. კანცელარიაში ქაღალდი მოსულა, საბატონო ტყე კაძახებს გაურიგეთო.

— სამართალიც მაგას მოითხოვს, — მიუგო რეპამ. ტყე ხომ ბატონს არ გაუშენებია.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ დაიწყო მოთქმა:

— ოხ, რა ხბო იყო, რა ხბო... როცა ძროხას მიუახლოვდებოდა, ისეთს ამოცხებდა შუბლს ფაშვებში, რომ ცივათ მიაგდებდა ბაგასთან.

— მწერალი ამბობდა...

— ვინაა თქვენი მწერალი! — გააწყვეტინა მას სიტყვა რეპამ, — თავს-ლაფი დავასხი თქვენს მწერალს!

— თავი დაანებე მის შურისძიებას, ჯობს ისევ გადავკრათ!

კიდევ გადაკრეს. რეპა თითქო დაწყნარდა. ის ის იყო დაჯდა სკამზე, რომ უცებ გაიღო კარი, და გამოჩნდა მწვანე ქუდი, აპრეკილი ცხვირი და თხისებური წვერი მწერლისა.

რეპამ მოიგლიჯა კენკრეხოზე მოქცეული ქუდი, დაარტყა იატაკს და წაიბურდღულა:

— გაუმარჯოს!

— მამასახლისი აქ არის? იკითხა მწერალმა.

— აქ არის, მიუგო სამივემ.

მწერალი მიუახლოვდა სუფრას. იმავ წამს მივარდა მას

შმული და მიართვა პატარა ჭიქით რომი. ზოლზიკევიჩმა დაყნოსა, დაილმანჭა და სუფრას მიუჯდა.

ჩამოვარდა სიჩუმე. ბოლოს გომული შეეკითხა:

— ბატონო მწერალო!

— რა გინდა?

— მართალია, რასაც ამბობენ ტყეების თაობაზე?

— მართალია. მარა თხოვნაზე მთელმა საზოგადოებამ უნდა მოაწეროს ხელი.

მე არ მოვაწერ ხელს,—გამოეხმაურა მათ რეპა, რომელსაც, როგორც ყოველ სხვა გლეხს საზოგადოთ, ეძაგებოდა გვარის მოწერა ქაღალდზე.

— შენ არც არავინ გეხვეწება. არ მოაწერ—ვერც ვერაფერს მიიღებ. ეს შენი ნებაა.

რეპამ მოიფხანა კეფა. მწერალი კი მიუბრუნდა მამასახლისს და ხმოსანს და ბძანების კილოთი უთხრა მათ: რაც შეეხება ტყეს, ეს მართალია, ხოლო თითოეულმა უნდა შემოლობოს თავისი ნაჭერი ტყე, რომ ამით დავა აიცილოს შემდეგისათვის.

— ვაი, თუ ღობე უფრო მეტი ეღიროს, ვიდრე ტყე,—თქვა რეპამ.

მწერალმა მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

— ღობეების შემოსავლები ხარჯი,—თქვა ზოლზიკევიჩმა და მიაცქერდა მამასახლისს და ხმოსანს,—მმართებლობამ გამოგზავნა. ამ საქმეში ფულის მოგებაც შეგიძლიათ, რადგანაც თითოეულ ოჯახზე ხუთ-ხუთი თუმანი არის გამოგზავნილი.

რეპას თვალებმა გაუელვა.

— თუ მასეა, მეც მოვაწერ ხელს, მარა სად არის ფულები?

— მე მაქვს,—მიუგო მწერალმა. აი საბუთიც.

თქვა თუ არა ეს, მწერალმა ამოიღო უბიდან ოთხათ დაკეცილი ქაღალდის ფურცელი და წაიკითხა რაღაც, რასაც გლეხებმა თავბოლო ვერ გაუგეს, მარა ძალიან გახარებულნი

კი იყვნენ. რეპა რომ ძალიან დამთვრალი არ ყოფილიყო, უეჭველია შეამჩნევდა, თუ როგორ უქნა თვალი მამასახლისმა გომულს.

შემდეგ მწერალმა ამოიღო ფული და იკითხა:

— პირველი ვინ მოაწერს ხელს?

მამასახლისმა და გომულმა მოაწერეს ხელი, მარა როცა რეპამ აიღო კალამი ხელის მოსაწერათ ზოლზიკევიჩმა მიიწია ქაღალდი და კითხა:

— შეიძლება შენ არ გინდოდეს ხელის მოწერა, შენ ხომ ძალას არავინ გატანს.

— მე რატომ არ უნდა მინდოდეს? მწერალმა დაუძახა შმულს. ის მაშინვე გაჩნდა კარებში და იკითხა:

— რა ნებავს ბატონ მწერალს?

— მოწამე იყავი, რომ ყველა აქ თავის სურვილისამებრ აწერს ხელს.

— შეიძლება შენ არ გსურდეს ხელის მოწერა?—გაუმეორა ამანაც რეპას.

მარა რეპამ უკვე მოაწერა ხელი, შემდეგ აიღო ფული, ჩაიდვა უბეში და დაჰყივლა: აბა, ერთი კიდევ მოიტათ რომი!

შმულმა მაშინვე აუსრულა ბძანება, და ყველანი გავიდენ დუქნიდან. რეპა კი ნიდაყვებით დაეყრდნო მუხლებს და ჩათვლიმა. რამდენიმე ხანს ის ქანაობდა გვერდიდან გვერდზე, ბოლოს გაიშხლართა და წაიბუტბუტა: „უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი“ და ჩაეძინა.

ცოლმა არ მოაკითხა ქმარს, რადგანაც იმისაგან, სიმთვრალის დროს, ხშირათ შეხვედრია მას უსიამოვნება. მეორე დღეს კი ყოველთვის ბოდიშს თხოვდა მას ქმარი, უკოცნიდა ხელებს, მარა როგორც კი დათვრებოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა — ბოდიშიც და აღთქმაც.

— რეპას მთელი ღამე დუქანში ეძინა. გათენებისას რომ გამოეღვიძა, გაკვირვებით მიმოიხედა ირგვლივ და, ბოლოს, მიხვდა, რომ არც თავის სახლში იყო, და არც დუქნის იმ

ცალკე ოთახში, რომელშიაც წუხელის იჯდა, არამედ იმავე დუქნის საერთო ოთახში.

— სახელითა, მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მან კიდევ მიმოიხედა ირგვლივ. მზე ამოსულიყო და დუქნის ფანჯარაში იჭყიტებოდა. ფანჯარასთან იდგა სამლოცველო კვართით გამოწყობილი შმული, თავს ედგა ათი მცნება,ირწეოდა გვერდიდან გვერდზე, და ხმა მაღლა ლოცულობდა.

— შმულო, შე ძაღლის შვილო! წამოიძახა რეპამ.

შმულს ყურადღება არ მიუქცევია, აქნევდა თავს და ლოცულობდა.

რეპამ მოისვა უბეზე ხელი, როგორც ჩვეულება აქვს ყველა გლეხს, რომელიც დუქანში გაატარებს ღამეს. ფულებს რომ ხელი შეახო მან გაკვირვებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

ამ დროს შმულმა გაათავა ლოცვა, მოიხსნა ყველა სამლოცველო სამკაულები, შეინახა ისინი ცალკე ოთახში, და დაბრუნდა დინჯათ და დამშვიდებული.

— შმულო, ეს რა ფულები მიდევს უბეში?

— აღარ გახსოვს, შე სულელო? წუხელის რომ დათანხმდი მამასახლისის შვილის მაგიერათ წახვიდე სალდათათ, და პირობას ხელი მოაწერე, დაგავიწყდა? აი რატომ გიდევს უბეში ფულები!

რეპას ამის გაგონებაზე ფერი ეცვალა, მოიძრო ქუდი, დაარტყა მიწას, და ისეთი დაიღრიალა, რომ შუშებს რიწკინი დააწყებია.

— გაეთრიე აქედან სალდათო! გულ-გრილათ უთხრა შმულმა.

ნახევარ საათის შემდეგ რეპა უახლოვდებოდა თავის ქოხს. მისი ცოლი ამ დროს სადილს აკეთებდა, და რომ მოესმა ჭიშკრის ჭრიალი სირბილით მიეგება ქმარს და გულ მოსულათ მიაძახა:

— აი, შე ლოთო! მარა რომ მიაჩერდა ქმარს, შეეშინდა: რეპას სახე შეშლილი ჰქონდა.

— რა დაგემართა? გაფოცებით კითხა ქმარს.

რეპა შევიდა ქოხში ხმა ამოუღებლათ, რადგანაც სიტყვის თქმა აღარ შეეძლო, ჩამოჯდა სკამზე და თავი მკერდზე ჩამოექინდრა. ბოლოს, ცოლის დაჟინებულ გამოკითხვაზე, წამოილუღლუღა:

— „გამყიდეს!“

ამის თქმა იყო და მისი ცოლის ალრიალება, მას აყვა თვითონ რეპა, აკვნის ბავში შეშინდა და, რაც შეეძლო, ბანი მისცა მშობლებს; ყურშამ კი ისე საცოდავათ დაიზმულა, რომ მეზობლების ქალები გამოცვინდენ გარეთ კოვზებით ხელში და ერთმანეთს ეკითხებოდენ:

— რა მოხდა რეპასას?

— უთუოთ ცოლი გალახა!

რეპას ცოლი კი ქმარზე უფრო ხმა მაღლა ტიროდა, რადგანაც მას ქმარი ყველაზე უფრო უყვარდა ცას ქვეშეთში.

## V

მეორე დილას სხდომა ქონდა სოფლის სასამართლოს. ხმოსნები შეიკრიბენ მთელი საზოგადოებიდან, გარდა პანებისა *), რომელთაგან ზოგიერთები ხმოსნებათ იყვნენ. ამ ზოგიერთებს არ სურდათ ჩამორჩენოდენ სხვებს, თავიანთ წოდებისანთ, რომელნიც მისდევდენ ინგლისურ პოლიტიკას, ე. ი. სხვის საქმეში არ გარევის პრინციპს, რასაც, ასე აქებს გათქმული ჯონ ბრიქტონი. მარა ეს პრინციპი არ უარყოფდა ადგილობრივ ინტელიგენციის გავლენას სოფლის საზოგადოების საქმეებზე. თუ რომელიმე წევრს ინტელიგენციისას საქმე ქონდა სოფლის სამართველოში, სხდომის წინა დღით დაპატიჟებდა ზოლზიკევიჩს, შემდეგ ინტელიგენციის წარმომადგე-

*) პან—პოლშის აზნაურს ეწოდება.

ნელის კაბინეთში გაჩნდებოდა არაყი, სიგარები და საქმე მალე იჩარხებოდა. ბოლოს გაიშლებოდა სუფრა და მოქონდათ სადილი, რომელზედაც გულითადათ პატიჟობდენ ზოლზიკევიჩსაც.

მეორე დღეს ზოლზიკევიჩი ცალ ყბათ ეტყოდა მამასახლისს: „გუშინ მეძიშოვსკისთან, სკორაბევსკისთან ანუ ოსცერჟინკისთან ვიყავი სადილათ. მესმის, რასაც ეს ნიშნავს: იმათ ხომ ქალიშვილი ყავსთ გასათხოვი“. სადილზე ზოლზიკევიჩს თავი დარბაისლურათ ეჭირა: ცდილობდა ყოველივე განსხვავებული საჭმელი ისე ეჭამა, როგორც სხვები ჭამდენ, და თუ სადილზე მიპატიჟება მისთვის დიდი რამ იყო, ამას სრულიათაც არ იფერებდა.

საზოგადოთ ის ერთობ მოხერხებული კაცი იყო და ყოველგან ახერხებდა თავის დაჭერას. ის მოხერხებულათ გაერეოდა ლაპარაკში, კილოკავათ გაიხსენებდა პატივცემულ კომისარს, საყვარელ მაზრის უფროსს, რომლებთანაც ამ დღეებში თამაშობდა კაპეიკიანს პრეფერანსს. ამით მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ის მეგობრულს განწყობილებაშია ოსლოვეცის მაზრის ყველა მეუფროსეებთან. ამ დროს ის ამჩნევდა ხოლმე, რომ ქალები რაღაც სხვანაირათ ჩაცქეროდენ საინებს, და ფიქრობდა, რომ ეს მოდაში იყო ასე. უკვირდა მას აგრეთვე ისიც, რომ მასპინძელი სადილის გათავებისათანავე არ უცდიდა მის გამომშვიდებობას, ისე დაუპარტყუნებდა ხელს მხრებზე და ეტყოდა: „ახლა კი მშვიდობით, ბატონო ზოლზიკევიჩ!“ მარა იმას ეგონა, რომ კარგ საზოგადოებაში ასე უნდა მოპყრობოდენ სტუმარს. როდესაც მასპინძლის ხელს ზოლზიკევიჩი ხელს მოუჭერდა და იგრძნობდა თავის ხელში რაღაც შრიალას, ის მოღუნავდა თითებს, ჩაიდებდა ჯიბეში ამ რაღაცას, და თან დასძენდა: „ეს სრულიათ მეტია ჩვენ შორის; რაც შეეხება თქვენს საქმეს, გულდამშვიდებით ბძანდებოდეთ“.

ზოლზიკევიჩის თანშობილ ნიჭის წყალობით სოფლის საზოგაბის საქმეები ჩინებულ მდგომარეობაში იქნებოდა, მარა საუ-

ბედუროთ, ზოლზიკევიჩი ყოველთვის არ ნებულობდა აეხსნა მოსამართლეებისათვის, თუ როგორ უნდა გაეგოთ მათ ესა თუ ის საქმე იურიდიულის თვალსაზრისით. იმ საქმეებს კი, რომლებსაც არ წინაუძღოდა „რაღაც შრიალი“, ის მოსამართლეების სრულს ნებაზე მიაგდებდა ხოლმე. ასეთი საქმეების გარჩევის დროს ის კერპსავით მდუმარებდა, და მით დიდათ აწუხებდა ხმოსნებს, რომლებსაც ასეთ შემთხვევებში სრულიათ ებნეოდათ თავი.

აზნაურთაგან მარტო ერთი ფლოსი, პოსინგი პოვიცის მებატონე, ესწრებოდა ხოლმე სოფლის სასამართლოს სხდომებს, როგორც ხმოსანი, და ამტკიცებდა რომ ინტელიგენცია ვალდებულია სოფლის საქმეებში მონაწილეობას იღებდეს. ამით მან გამოიწვია საერთო უკმაყოფილება. აზნაურებს ეფიქრებოდათ, რომ ის „მემარცხენეთაგანი“ იყო, რასაც ამტკიცებდა ვითომ თვით მისი გვარი. გლეხები კი დემოკრატული განთვისების გრძნობის გამო ამტკიცებდნენ, რომ ბატონს არ შეფერის გლეხებს მოუჯდეს გვერდით, მაგალითად და მოყავდათ სხვა აზნაურები, რომლებიც სოფლის საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ.

საერთოთ კი გლეხებს შეეძლოთ ესაყვედურებინათ ფლოსისათვის მხოლოთ ის, რომ ის არ იყო შთამომავლობითი ბატონი. ზოლზიკევიჩს კი იმიტომ არ უყვარდა ფლოსი, რომ ის არ ცდილობდა მის ყურადღების დამსახურებას „რაღაცა შრიალათი;“ გარდა ამისა ერთხელ, სხდომის დროს, მან მოთხოვა ზოლზიკევიჩს, რომ ეს უკანასკნელი ჩაჩუმებულიყო, რითაც სამუდამოთ გადიმტერა არა თუ მწერალი, არამედ სხვებიც. ყველა ამის შედეგი იყო ის შეურაცხყოფა, რომელიც მიაყენა მას ერთმა ხმოსანთაგანმა მთელი ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე. „განა თქვენ ნამდვილი ბატონი ხართ? ოსცერჟინსკი და სკორაბევსკი—ნამდვილ ბატონები არიან, ხოლო თქვენ კი—არა“. ამ სკანდალს შემდეგ ფლოსმა, რომელმაც ამ დროს კიდევ იყიდა მეორე მამული, ხელი აიღო სოფლის

საქმეებზე და მიატოვა ხმოსნობა. ამის გამო აზნაურები ამბობდენ: „თხარა და გამოთხარაო“, და არ გარევის დედა-აზრის დასაცველათ მოყავდათ ანდაზა, რომელიც შეადგენს სიამაყეს ბრძენი ხალხებისას, და ღაღადებს: „გლეხს რამდენიც უნდა ასწავლო, მაინც გლეხი იქნებაო“.

ამნაირათ სოფლის საზოგადოებას არ აშფოთებდა ინტელიგენციის მონაწილეობა, და თავის საქმეებს განაგებდა მარტოთ მარტო ცხვრიეთის ჭკუის მეოხებით. ცხვრიეთის ჭკუა უნდა ყოფნოდა ცხვრიეთის იმავ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ამბობენ, რომ პარიჟის ჭკუა პარიჟში ყოფნისო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკვე დამტკიცებულია, რომ სასაქმე ჭკუას, გლეხის ჭკუათ წოდებულს, უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე გლეხებისათვის უცხო ინტელიგენციის ჭკუას, რანაირიც უნდა იყოს ამ ინტელიგენციის ჭკუა, და რომ ამ კუთხის მცხოვრებლებს ამ ქვეყნათ დაბადებისათანავე, მოაქვთ თავიანთი ფხიზელი ჭკუა,—ამას დამტკიცება არ უნდა.

ესეც უნდა ვთქვათ, რომ ეს დამტკიცდა ცხვრიეთში მაშინვე, როცა იმ სხდომაზე, რომელზედაც ჩვენ მოგითხრობთ, წაკითხულ იქმნა უმაღლესი მთავრობის შეკითხვა: თანახმაა თუ არა საზოგადოება საკუთარი ხარჯით შეაკეთოს დიდი გზა, რომელიც გადის მისს მიწებზე ოსლოვიცამდის? ეს წინადადება არ მოეწონათ სოფლის მამებს და ერთმა ადგილობრივ სენატორთაგანმა გადაწყვიტა, გზის შეკეთება სრულიათ მეტია, რადგანაც მიმოსვლა შეიძლება სკორაბევსკის სათიბითაცაო. სკორაბევსკი რომ დასწრებოდა სხდომას, უთუოთ უპასუხოთ არ დატოვებდა ამ pro publico bono. მარა რადგანაც ის ალიარებდა პრინციპს გლეხთა საქმეში არ გარევისას, ამიტომაც სენატორის გადაწყვეტილება უთუოთ გავიდოდა unanimitate, რომ წინადღით ზოლზიკევიჩი დაპატიჟებული არ ყოფილიყო სკორაბევსკისას სადილზე, რომელზედაც ის პანნა იადვიგას უამბობდა, თუ როგორ დაახრჩვეს ორი გენერალი მადრიდში, რაც მას წაკითხული ქონდა „ესპანას დედოფლის“ რომანში.

სადილს შემდეგ, როცა მასპინძელს ემშვიდობებოდა მან იგრძნო ხელში „რაღაც შრიალი“, ამიტომაც ხმოსნების აზრის ჩაწერის მაგიერ, მწერალმა დადვა კალამი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მას სათქმელი რამ ქონდა.

— ბატონს მწერალს სათქმელი აქვს, — მოისმა ხმოსნების ხმა.

— მე ის მინდა გითხრათ, რომ თქვენ სულელები ხართ! — გულგრილათ მიუგო მწერალმა.

ნამდვილ პარლამენტურ მჭევრმეტყველობის ძალა, რაც ასე მოხერხებულათ გამოიჩინა ბ-ნ მწერალმა ცხვრიეთის გამგეობის პოლიტიკის წინაალმდეგ, იმდენათ ზავთიანი გამოდგა, რომ გამგეებმა პასუხის თქმა ვერ მოახერხეს და მწუხარებით დაიწყეს თავის ფხანა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მათ ღრმათ შეიგნეს მჭევრმეტყველის სიტყვა. ბოლოს, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ერთმა მათგანმა თქვა:

— მერე რა?

— რა და ის, რომ თქვენ სულელები ხართ!

— შეიძლება, — თქვა ერთმა ხმოსანმა.

— სათიბები რასვარგა, — დაუმატა მეორემ.

— გაზაფხულზე სათიბით ვერც გაიარს კაცი, — თქვა მესამემ...

ამნაირათ ადგილობრივი სენატორის პროექტი უარ-ყვეს. შემდეგ ხმოსნები შეუდგენ გზის შეკეთებისათვის საჭირო ხარჯების გაწერას თანახმათ მიღებულ ხარჯთ-აღრიცხვისა ცხვრიეთის გამგეობის სამართლიანობა უმაღლესი ხარისხის იყო და ამიტომაც ვერავინ ვერ აიცილა თავიდან ხარჯი, მამასახლისის და ხმოსან გომულს გარდა, რომელთაც, ხარჯის მაგიერ, იკისრეს მუშების თავდეგობა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთმა უანგარო თავგანწირულებამ მამასახლისისა და გომულისამ, როგორც ჩვეულებრივ ყოველ კეთილშობილმა საქციელმა, რაც ყურადღებას მიაპყრობინებს ხოლმე საზოგადოებას უანგარო და კეთილშობილ პი-

 როვნებაზე, ახლაც გამოიწვია ხმოსნებში შური და საწინაამდეგო ხმა. ერთმა მათგანმა უსიამოვნობით იკითხა:

— რატომ თქვენ არ უნდა გადიხადოთ ხარჯი?

— ტყუილათ რატომ უნდა გადავყაროთ ფული, როცა ისიც იკმარებს, რასაც თქვენ გადიხდით,—მიუგო გომულამ.

ეს ისეთი საბუთი იყო, რომლის წინააღმდეგ არა თუ ცხვრიეთის ფხიზელი ჭკუა, არამედ სხვისიც, უეჭველია, ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყოდა, და ამიტომაც უკმაყოფილო ხმოსანი ჩაჩუმდა და ერთ წამს შემდეგ დარწმუნებით წარმოთქვა:

— ეს მართალია!

ამ საქმეს რომ მორჩენ, სასამართლო უთუოთ სხვა საქმის განხილვასაც შეუდგებოდა, რომ ამ დროს უცებ შამოვარდნილიყო ორი გოჭი. ნახევრათ ღია კარებში შამოვარდნილ გოჭებმა დაიწყეს ყოვლათ უმიზეზოთ სასამართლო ოთახში სირბილი და მსაჯულების ფეხებთან ტრიალი და ჭყვირილი. მსაჯულებმა შეწყვიტეს სხდომა, შეუდგენ გოჭების გადენას და ერთხმათ შეძახეს „სსა“, „სს!“ ამასობაში გოჭები ფეხქვეშ შეუძვრენ ზოლზიკევიჩს და რაღაც მწვანით გაუთხუპნეს მეორე რწყვილი ნაცრის ფერი შალვარი, რასაც პატრონმა შემდეგ წაუსვა გლიცერინის საპონი და შემდეგ კბილის ჩოთქი, მარა არაფერი გამოვიდა რა. გოჭები, თუმცა დიდი წინააღმდეგნი იყვნენ, მარა ცხვრიეთის გამგეობის სიმხნისა და ახოვანების წყალობით მაინც შეიპყრეს უკანა ფეხებით და გააგდეს კარში. ამას შემდეგ სასამართლოში კვლავ დამყარდა წესიერება და სასამართლო შეუდგა გარჩევას გლეხის სრედასი და ფლოსის საქმისას. საქმე დაიწყო იმის გამო, რომ სრედას ხარები გამოძღენ ფლოსის სათიბში იონჯით, და მეორე დილას გაჭიმეს ფეხები, გაემგზავრენ ამ სოფლიდან ხარებისათვის უკეთეს ქვეყანაში. ხარების დაკარგვამ სრედა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და მიმართა სასამართლოს, რომელსაც თხოვდა მფარველობასა და სამართლიანობას.

სასამართლომ შეიგნო რა საქმის არსება, მისივე ჩვეულებრივი სისწრაფით მივიდა იმ დასკვნამდი, რომ სრედამ თუმცა განგებ შეუშვა თავის ხარები ფლოსის სათიბში, მარა ეს უკანასკნელი რომ პურით ან შვრიით ყოფილიყო დათესილი, და არა საწამლავიანი იონჯით, მაშინ ხარები ცოცხალი გადარჩებოდენ, ასე სამწუხაროთ არ მოეღებოდათ ბოლო მათ არსებობას ამ წუთის სოფელში. სასამართლომ იხელმძღვანელა რა ამ მოსაზრებით, მივიდა მეორე, არა ნაკლებ ჭკუიანურ, და მასთანავე სამართლიან აზრამდი, და გადაწყვიტა, რომ ხარების სიკვდილის მიზეზი იყო არა სრედა, არამედ ფლოსი; ამიტომაც დაადგინა უზღოს ფლოსმა სრედას ხარების ფასი და, გარდა ამისა გადახდეს სასოფლო კანცელარიის კასის სასარგებლოთ ხუთი მანეთი. თუ ვინიცობაა დამნაშავემ უარი თქვა ჯარიმის გადახდაზე,—მაშინ ჯარიმა გადახდეს მისი მიწების იჯარადარს იცკა ცვეინოსს.

შემდეგ გაირჩა კიდევ ბევრი კერძო ხასიათის საქმე, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა გენიოსს ზოლზიკევიჩთან, და ამიტომაც ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლათ წყვეტდა მას ცხვრიეთის მსაჯულების ფხიზელი ჭკუა, აწონილი წმიდა სამართლიანობის სასწორზე.

ინგლისური პრინციპის—სხვის საქმეში არ გარევის წყალობით, რომელსაც მისდევდა ინტელიგენცია, სოფლის მსაჯულების საერთო თანხმობა და ერთ-აზროვნობა იშვიათათ თუ დაირღვევოდა საქმის გარეშე შენიშვნებით: შესახებ დამბლის დაცემისა, ღვიძლების დალპობისა და შავი ჭირის შეყრისა, რასაც ერთმანეთის მიმართ მოსურვებასავით წარმოთქვამდენ ხოლმე ხან ბრალდებულნი, ხან კი თვით მსაჯულებიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დაუფასებელ პრინციპისვე წყალობით ყველა საქმეები ისე წყდებოდა სოფლის სასამართლოში, რომ ორივე მხარეს—მოგებულსაც და წაგებულსაც გადაწყვეტილი თანხა უნდა შეეტანა კანცელარიის სასარგებლოთ.

ყოველივე ეს უზრუნველ ყოფდა სოფლის სასამართლო-

ში მამასახლისისა და მწერლის დამოუკიდებლობას, და გარდა ამისა პირდაპირ შეეძლო გადაეჩვია ხალხი სასამართლოში თრევას, და მით ცხვრიეთის საზოგადოება ზნეობითათ აემაღლებინა იმ სიმაღლემდი, რომელზედაც ამაოთ ოცნებობდენ მე-18 საუკუნის ფილოსოფოსები.

ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ზოლზიკევიჩი წიგნებში წერდა მხოლოთ ნახევარს იმ ფულებისას, რასაც სასამართლო ახდევინებდა მომჩივან-მოპასუხეს კანცელარიის სასარგებლოთ, დანარჩენი იხარჯებოდა მოულოდნელ გარემოებათათვის, რაც შეიძლებოდა შემთხვევოდა მწერალს, მამასახლისს და ხმოსან გომულას.

ბოლოს, ჯერი მიდგა სისხლის სამართლის საქმეებზე და მსაჯულებმა ბძანეს მოეყვანათ დამნაშავენი და წარედგინათ ისინი მართლ-მსაჯულების წინაშე. საჭირო არ არის დავძინოთ აქ, რომ ცხვრიეთის სასამართლოში მიღებული იყო ახალთ-ახალი და ცივილიზაციის მოთხოვნილებასთან შეთანხმებული წესი თითოეულ დამნაშავის ცალკე დამწყვდევისა. სასჯელის ამ ახალთ-ახალი წესის არსებობა ყოველი ეჭვ გარეშეა, რადგანაც ცხვრიეთის მამასახლისის სალორეში დღესაც არის ოთხი გადამკედლული დასამწყვდევი, რომლებშიაც დატუსაღებულნი ისხდენ თითო თითოთ, გარდა პირუტყვებისა, რასაკვირველია. ეს პირუტყვები იმ ჯიშისანი იყვნენ, რომელზედაც ზოოლოგია ამბობს: „ღორი—პირუტყვია, რომელსაც ეს სახელი სამართლიანათ დარქმევია მისი სიბინძურის გამო და სხ.“ „უთუოთ ბუნებამ რაიმე მოსაზრებით არ მისცა მას რქები“. ერთი სიტყვით, დაპატიმრებულნი ისეთ საზოგადოებაში იყვნენ, რომ ის ხელს არ შეუშლიდა მათ ჩაფიქრებოდენ თავიანთ დანაშაულს და გასწორების ღონის ძიებას.

იასაული მაშინვე წავიდა პატიმრის ცალკე დასამწყვდევ შენობაში და ერთი გადამკედლულიდან გამოიყვანა ორი დამნაშავე. მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რა საფარსაგო და ღრმა ფსიხოლოგიური საკითხები ქონდათ ხოლმე გადასაწყვე-

ტი ცხვრიეთის სასამართლოს მსაჯულებს. საქმე მართლაც მეტის-მეტათ საფარსაგო იყო. ვიღაც აბესალომი, სხვანაირათ—ვახ-რეხნიო, და ვიღაც ეთერი, სხვანაირათ—ბასკა ჟაბიანკა მსახურებდენ ერთ და იმავე ბატონთან, და, რაღა დასამალავია, შეუყვარდათ ერთმანეთი იმ ზომამდი, რომ უერთმანეთოთ ცხოვრება ისე არ შეეძლოთ, როგორც აბესალომს უეთეროთ. მალე მათ ეჭვიანობა შეეპარათ. ერთხელ ეთერმა შენიშნა, რომ აბესალომი ერთობ დიდხანს ელაპარაკებოდა გოგოს იაგნას. მას აქეთ უბედური ეთერი მხოლოთ შემთხვევას ელოდა, რომ აბესალომისთვის თავის ეჭვები გაემჟღავნებია. ერთ შვენიერ დღეს, როცა ეთერის აზრით აბესალომი ნამეტანი ადრე დაბრუნდა ყანიდან და უდიერათ მოითხოვა ეჭმიათ მისთვის სადილი, ეთერმა გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა მას. ამ გადაწყვეტილებას მოყვა რამდენიმე ათეული მუშტის ურთიერთისადმი მოქნევა, და ბოლოს ციცხვიც კი დაატრიალეს. ამ მოლაპარაკების კვალი ზოლ-ზოლებათ დაეტყო ეთერის შვენიერ სახეს და აგრეთვე აბესალომის ვაჟკაცურ ღირსებით სავსე გატეხილ შუბლსაც. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, რომელი იმათგანი იყო მართალი, და მაშასადამე, რომელ მათგანს უნდა გადაეხადა ხუთი ზლოტი*) ხარკათ, როგორც სიყვარულში ღალატისათვის, აგრეთვე წაჩხუბებისათვისაც.

დამპალ დასავლეთის გავლენას ჯერ კიდევ არ შეუპყრია ცხვრიეთის მსაჯულების გონება, და ამიტომაც ისინი თავიანთ სულის სიღრმეში ზიზღით უყურებენ ქალთა თანასწორობას, რაც სხვებზე მეტათ ეძაგებათ სლავიანთა მოდგმის ხალხებს. ამიტომაც ჩვენმა სასამართლომ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა პირველი სიტყვის თქმის ნება მიეცა აბესალომისათვის, რომელმაც მოიკიდა გატეხილ შუბლზე ხელი და დაიწყო:

— ბატონო მსაჯულებო! ეს სულიერი მე დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს. დავბრუნდი ყანიდან და ვთხოვე ეჭ-

---

*) ზლოტი=პოლშური სამ-შაურიანია.

მია რამე ჩემთვის. ის კი მეუბნება: „შენ ძაღლის შვილო, რათ დაბრუნდი ასე ადრე? ბატონი ჯერ სამუშაოზეა, და შენ კი აქ მოთრეულხარ. შენ მეტი არა იცი რა—ჭამით უნდა გასკდე, მერე წაგორდე და თვალების ქნევა დამიწყო!“ მე კი მაგისთვის არასოდეს თვალი არ დამიქნევია. ერთხელ მაგან დაინახა, რომ მე იაგნას ვეხმარებოდი ჭიდან ვედროების ამოსაღებათ, და იმ დღიდან არის, რომ მაგ გადამემტერა. ისე დამიხეთქა ჯამი სუფრაზე, რომ კინაღამ სალაფავი მთლათ დამიქცია, და ჭამაც არ მაცალა ქრისტიანულათ: მომდგა და დამიწყო უშვერათ ლანძღვა... „შენ ძაღლის შვილო, შენ ფლიდო, შენ არამზადავ!“—ეს რომ მითხრა, მე მეტი ველარ მოვითმინე და ერთი დავცხე დრუნჩში, მარა გამეტებით კი არა, ისე... მან კი ციცხვი მთეთქვა შუბლში...

აქ კი ტურფა ეთერმა მეტი ველარ შეიკავა თავი: მიუახლოვდა აბესალომს, გაუჩერა ცხვირთან მუშტი და ყურწარმტაცი ხმით მიაკივლა:

— ცრუობ, ცრუობ შენ ძაღლის შვილო! შემდეგ მიუბრუნდა მსაჯულებს და მოყვა მყვირალა ხმით:

— ბატონნო მსაჯულებო, შემიცოდეთ საწყალი ობოლი! ჭასთან არ შევხვედრივარ მაგას და იაგნას, ოი, ორივეს დაუყენოს თვალები ჩემმა უფალმა. შენ გარყვნილო მეთქი, ვუთხარი ამას, შენ არ იყავი მეფიცებოდი, რომ ისე ძალიან მიყვარხარ, ისე, ისე, რომ დაჩეჩქვა მომინდება შენიო?! ოი, შენი ფეხის გაფშიკება, შენი ენის დადუმება, შენ ციცხვი კი არა თავტაბიკი უნდა დაგცხოს კაცმა შუბლში. ოი, ჩემი უბედური გაჩენის დღე! ჯერ კიდევ მზე იმ სიმაღლეზე იყო, და ეს კი ყანიდან მომიბძანდა და—მაჭამეო ჩამაცივდა! მე პატიოსანი ზდილობით ვუთხარი—შენ წუწკის შვილო რამ მოგათრია მეთქი? ბატონი სამუშაოზეა და შენ კი აქ მოეთრევი მეთქი? მარა გინებით არ შემიგინებია და არც არამზადა დამიძახებია. ასე, ჩემო ბატონებო, შემეწიეთ მე საცოდავს; ოი შე... შე...

ამ ადგილას სიტყვა გააწყვეტინა მას მამასახლისმა და გაახსენა წესიერება შემდეგი მჭევრმეტყველური შეკითხვით:

— ამოქოლავ თუ არა შენს ყრონტს, შეჩვენებულო?!

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დროს სასამართლო საზრავდა თავის განაჩენს. წინასწარმა სცენამ იმდენათ აუჩუყა გული მოსამართლეებს, რომ იმათ არც ერთ მხარეს არ გადაუწყვიტეს თუთხმეტ შაურიანი ჯარიმა, მარა თავიანთი ღირსების დასაცველათ და ცხვრიეთის ყველა შეყვარებულების ჭკუის სასწავლებლათ, დაადგინეს, რომ მომჩივან-მოპასუხემ თითო დღე და ღამე კიდევ დაყონ ერთს გადამკედლულში, და გადაიხადონ კანცელარიის სასარგებლოთ თითო მანეთი.

„ვახა-რეხნიასაგან და ბასკა ჟაბიაკისაგან შემოვიდა კანცელარიის სასარგებლოთ ათ-ათი შაური თითოსაგან“ — ჩაწერა ზოლზიკევიჩმა.

სხდომა ამით გათავდა.

ზოლზიკევიჩმა აიწია თავისი ნაცრის ფერი შალვარი და ჟილეტი კი ჩაიწია ქვევით. ხმოსნები ის იყო იღებდენ ქუდებს და მათრახებს, და აპირებდენ თავიანთ-სახლებში დაბრუნებას, რომ უცებ გაიღო გოჭების შემოსევის შემდეგ მიხურული კარები და გამოჩნდა ღამესავით პირქუში რეპა და მის ზურგს უკან ცოლი და ყურშა.

რეპას ცოლს ფითრის ფერი ედვა; მისი ჩინებული ნაზი ნაქვთები მწუხარებას გამოთქვამდენ, და დიდრონ შავ თვალთაგან ღაპა-ღუპით გადმოდიოდა მსხვილი ცრემლები. რეპა შამოვიდა ქოხში ამაყათ, თავ-აღერით, მარა სასამართლო რომ მთლათ შეკრებილი ერთათ დაინახა, ვაჟკაცობა გაუქრა და ნელა წამოთქვა:

— „ღმერთმა გაგიმარჯოსთ“.

— გაგიმარჯოს, ერთხმათ მიუგეს ხმოსნებმა.

— თქვენ აქ რა გინდათ? რისხვით შეეკითხა მამასახლისი, რომელიც პირველათ დაიბნა, და მერე კი ისევ გონს მოეგო.

— რა საქმე გაქვთ? ხომ არ წაჩხუბებულხართ?

— მაგათაც აცალეთ ლაპარაკი,—უცებ გაერია ლაპარაკში მწერალი.

— ბატონნო მსაჯულებო! დაიწყო რეპამ.

— შენ მე მაცალე,—გააწყვეტინა მას სიტყვა ცოლმა,— მე ვილაპარაკებ, შენ ჩუმათ იყავი.

ეს თქვა თუ არა, ქალმა წინასაფრით მოიწმინდა თვალები და მთრთოლვარე ხმით მოყვა...

მარა ეს რას გავს? ის მოვიდა მამასახლისსა და მწერალზე საჩივლელათ,—და ვისთან? იმავ მამასახლისსა და მწერალთან.

— ჩემი ქმარი წაიყვანეს,—ამბობდა რეპას ცოლი, შეპირდენ ტყეს,—რასაკვირველია, მოსატყუილებლათ, მისცეს ხელ-მოსაწერათ რაღაც ქაღალდი და ამანაც მოაწერა. შეაჩეჩეს ხუთი თუმანი, და ეს კი მთვრალი იყო, არ ესმოდა, რომ იმ ხუთ თუმანში ყიდდა თავის თავს და ცოლ-შვილს. ჩემი ქმარი მაშინ მთვრალი იყო, ბატონნო მსაჯულებო, და გონება დაბნეული, როგორც პირუტყვი,—ტირილ-ნარევი ხმით ლაპარაკობდა რეპას ცოლი. მთვრალს ხომ მისი თავი არ ეუფლება; მან თვითონ არ იცის, რას ჩადის, მთვრალს ხომ სამოსამართლოც შეღავათს აძლევს. იტყვიან—სიმთვრალეში მოუვიდა და არ ახსოვსო. შემიწყალეთ! ჩემი ქმარი რომ ფხიზელი ყოფილიყო, თავის თავს ხუთ თუმანში არ გაყიდდა. შეგვიცოდვეთ ჩვენ და ჩვენი უმანკო ბავშვი! რა ვქნა მე უბედურმა, მარტოთ-მარტო რომ დავრჩე ამ წუთის სოფელში! ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდისთ! შემიბრალეთ!

ტირილმა სიტყვა გააწყვეტინა ქალს. რეპაც ატირდა და წამ და უწუმ ცხვირს იხოცდა. ხმოსნები ხან ერთმანეთს გადახედავდენ და ხან მამასახლისს, და არ იცოდენ ამ შემთხვევაში როგორ მოქცეულიყვნენ.

ბოლოს რეპას ცოლი ცოტათი დაწყნარდა და განაგრძო:

— დადის ახლა ეს ჩემი ქმარი მოწამლულსავით, შენც

მოგკლავო და ბავშსაცაო, ქოხს გადავწვავ და სალდათათ კი არ წავალო. მე უბედური რა დამნაშავე ვარ? ან ბავში რა შუაშია? ახლა ჩემ ქმარს არაფერზე არ მიუდის გული, არც ნაჯახს ეკარება და არც სხვა რამ სამუშაო იარაღს. ზის თავისთვის და ოხრავს. მე თქვენს სამართალს მოველი! თქვენც ხომ ადამიანები ხართ, თქვენც ხომ გყავსთ ღმერთი გულში. ნუ დაალუპვინებთ ჩვენს ავის მნდომლებს ჩვენს, საწყლების თავს. ქრისტე ღმერთო! დედაო ღვთისავ, შენ დაგვიფარე ჩვენ.

ერთ წამს ქალის ტირილი ისმოდა მარტო, ბოლოს ერთმა უხუცესმა ხმოსანმა წაიდუდღუნა:

— ეს მართლა არ არის კარგი საქმე,—კაცი დაუთვრიათ და ისე გაუყიდიათ სალდათათ!

— რასაკვირველია, კარგი არ არის,—მიუგეს დანარჩენებმაც.

— გაკურთხოსთ ღმერთმა და ყოვლათ წმიდა ღვთის მშობელმა!—წამოიძახა რეპას ცოლმა და დაიჩოქა სასამართლოს ქოხის დირესთან.

მამასახლისი მთლათ დაიბნა, შეცბა გომულაც. ორივემ გადახედა მწერალს, რომელიც ხმა-ამოუღებლათ იჯდა, ხოლო როცა რეპას ცოლმა დაასრულა თავისი სიტყვა მან მიმართა ხმოსნებს:

— აი, თქვენ სულელებო, სულელებო?

ჩამოვარდა სრული სიჩუმე, და მწერალმაც განაგრძო:

— კანონში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ვინც გაერევა ნებაყოფლობით გარიგებულს სხვის საქმეში, იმას გაასამართლებენ ზღვის კანონებისამებრ. გესმისთ თუ არა, თქვენ სულელებო, რას ნიშნავს ზღვის სამართალი? არ გესმისთ? ზღვის სამართალი — ეს... აქ მწერალმა ჯიბიდან ამოიღო ცხვირსახოცი, მოიხოცა ცხვირი და საქმიანის კილოთი განაგრძო:

— თუ რომელიმე თქვენთაგანმა, სულელებო, არ იცის, თუ რა არის ზღვის სამართალი, აბა ერთი სცადოს და შერგოს თავი ამ საქმეში: მაშინ გაიგებს ზღვის სამართალს, რო-

დესაც მას ცხრაფა ტყავს ააძრობენ. თუ არის ვინმე მსურველი, ვინც ნებაყოფლობით თანხმდება სხვის მაგიერ სალდათათ წასვლას, მის საქმეში არავის არა აქვს უფლება გაერიოს. პირობა ხელმოწერილია მოწმეების დასწრებით, მაშ, მორჩა და გათავდა! ამას კანონთ კრებულიც ამბობს. გესმისთ? თუ არ გჯერათ, მაშ ჩაიხედეთ კანონებში და კანონების განმარტებაში. რაც შეეხება არაყის გადაკვრას, ეს ხომ ჩვენებური, ძველებური საქმეა. თქვენც ხომ, სულელებო, ყოველგან და ყოველთვის სვამთ!

თვით მართლ-მსაჯულების ღმერთა, სასწორით ცალ ხელში და შიშველ ხმლით მეორეში, უცებ რომ გამოსულიყო ბუხრის იქითა მხრიდან და ჩამდგარიყო ხმოსნებ შუა, ის ვერ შეაშინებდა იმათ იმაზე მეტათ, როგორც ამ ზღვის სამართალმა, კანონებმა და კანონის განმარტებამ. ქოხში უეცრათ დამყარდა სამარისებური სიჩუმე, და მხოლოთ რამდენიმე ხანს შემდეგ ხმა ამოიღო გომულამ, რომელსაც ყველამ მიაშტერა თვალები, თითქო უკვირდათ მისი გამბედაობა.

— ჰო, მართლაც ასეთი ჩვეულება გვაქვს: ცხენს გავყიდით,—გადავკრავთ! ხარს გავყიდით,—გადავკრავთ! ღორს—მაშინაც გადავკრავთ! ასეთია ჩვეულება.

— ჰო და, ჩვენც ხომ მაშინ ჩვეულების გულისათვის გადავკარით,—ჩაერია მამასახლისი.

ხმოსნები, წათამამებულნი გომულას და მამასახლისის ნათქვამით, მიუბრუნდენ რეპას და უფრო გაბედულათ უთხრეს:

— ძაღლი შენ მოგიკლავს, ძამიავ, და შენვე უნდა გაათრიო!

— ექვსი წლისა ხომ არ ხარ, შენვე უნდა გესმოდეს შენი საქციელი,—დაუმატა მეორემ.

— თავს ხომ არ მოგჭრიან, რისი გეშინია? დასძინა მესამემ.

— და თუ სალდათათ წაგიყვანეს, შეგიძლია შენს ადგილას დატოვო მოჯამაგირე მუშა: ის შენს მაგიერობას იზამს შენს ოჯახშიაც და შენს ცოლთანაც.

ამ ხუმრობამ გაამხიარულა მთელი შეკრებილება, და მოსამართლეებმა ჩაიხითხითეს.

მარა ამ დროს ალაპარაკდა მწერალი და ყველამ ხმა გაკმინდა:

— თქვენ თვითონ არ გაგეგებათ, რა საქმეში უნდა გაერიოთ და რაში არა. მაგალითათ; თქვენ უნდა გაერიოთ იმაში, რომ რეპა დამუქრებია ცოლს,— შენც მოგკლავ და ბავშსაცო, იმაში — რომ უთქვამს — ქოხს გადავწვავო, — თქვენ ვალდებულნი ხართ გაერიოთ და დაუსჯელათ არ დატოვოთ ასეთი საქმე. თუ ეს ქალი მოვიდა ქმარზე საჩივლელათ, ის არ უნდა წავიდეს აქედან დაუკმაყოფილებელი.

— ტყუილია, ტყუილი! სასოწარკვეთილებით წამოიძახა რეპას ცოლმა, — მე ქმარზე საჩივლელათ არ მოვსულვარ; ჩემს სიცოცხლეში მისგან არაფერი საწყენი არ შემხვედრია! ო, ქრისტე ღმერთო, მეორეთ მოსვლის ნიშნებია სწორეთ!

მარა სასამართლომ არ მიაქცია ქალის პასუხს ყურადღება. ბოლოს, ცოლ-ქმარმა არა თუ ვერაფერი მოიგეს, არამედ წააგეს კიდეც. სასამართლომ ინება მფარველობა გაეწია ცოლისა და ბავშისათვის, და გადუწყვიტა რეპას ორი დღე და ღამით მამასახლისის სადორეში დაპატიმრება, და რომ მას შემდეგშიაც არ მოსვლოდა თავში ასეთი მუქარები, დააჯარიმეს ორი მანეთით და ათი შაურით კანცელარიის სასარგებლოთ.

ამის გამოცხადებისათანავე რეპა გველ-ნაკბენივით წამოხტა და თქვა, რომ ის არაფრისათვის სადორეში არ შევა; რაც შეეხება ფულის ჯარიმას ის გაიღებს ორ მანეთს კი არა, ყველა იმ ორმოცდა ათ მანეთს, რაც მამასახლისისაგან მიუღია. ამასთანავე დაყარა მიწაზე ფულები და თქვა:

— წაიღეთ, ვისაც გერჩიოსთ.

შეიქნა საშინელი ღრიანცელი.

იასაული მივარდა რეპას და უნდოდა წაეთრია. რეპამ მუშტი ჩაცხო, იასაულმაც მაგიერი გადუხადა. რეპას ცოლმა მორთო კივილი. ერთი ხმოსანთაგანი მივარდა მას, მოკიდა ხე-

ლი, გააგდო კარში და ერთი მუშტი უთავაზა ზურგში. სხვე-ბი ეხმარებოდენ იასაულს, რომ თმით წაეთრევინებიათ რეპა სადორეში.

ამასობაში მწერალი წერდა:

„ლავრენტი რეპასაგან კანცელარიის სასარგებლოთ შამოვიდა მანათი და ხუთი შაური“.

თითქმის ჭკუიდან შეშლილი რეპას ცოლი მარტო დაბრუნდა თავის დაცარიელებულ ქოხში. ისე მიდიოდა, რომ თვალ წინ ვერაფერს ხედავდა; ამიტომაც ხშირათ წაიკრავდა ხოლმე ფეხს, და ხელების მტვრევით მოთქვამდა:

— ვაიჰ! ვაიჰ! ვაიჰ!

მამასახლისს ეტყობოდა, რომ კეთილი გულის იყო, რადგანაც გომულასთან ერთათ დუქანში შესვლის დროს თქვა:

— უნდა გამოვტყდე, თითქო მეცოდვება ის ქალი, მოდი ერთი სამი კოდი მუხუდო კიდევ მივცე?

## VI

იმედი მაქვს, რომ მკითხველმა გაიგო და ღირსებისამებრ დააფასა გენიალური გეგმა ჩემი სიმპატიურ გმირისა. ზოლზიკევიჩმა, როგორც მოჭადრაკენი იტყვიან, დააშამათა რეპა და მისი ცოლიც. მისი სასალდათო სიებში ჩაწერა ადვილი იყო, მარა რა მოყვებოდა ამას შედეგათ? ხოლო მისი დათრობა, და საქმის ისე მოწყობა, რომ რეპას თითონ მოეწერა პირობაზე ხელი და აელო ფული—ეს კი საფარსაგო საქმე იყო, და მისი მოწყობა დამამტკიცებელია ზოლზიკევიჩის არა ჩვეულებრივ გერგილისა და აგრეთვე იმისაც, რომ ზოლზიკევიჩს სხვა პირობებში შეეძლებოდა დიდი როლის ასრულებაც.

მამასახლისმა, რომელიც მზათ იყო შვილის სალდათობისაგან დახსნისათვის გადაეხადა რვაასი მანეთი, სიამოვნებით დათანხმდა ამ გეგმას, რადგანაც ზოლზიკევიჩა, რომელიც იმდენათვე გენიოსი იყო, რამდენათაც მცირესა ზედა კმაყოფილ,

მოთხოვა მას ამ საქმისათვის სულ ოცდახუთი მანეთი. ეს ფული მას სიხარბისათვის კი არ აუღია, როგორც სიხარბისათვის არ სარგებლობდა კანცელარიის შემოსავლით. რაღა თქმა უნდა, რომ ზოლზიკევიჩს მუდამ ემართა რამე ოსლოვიცის თერძის სრულასი, რომელიც მთელს იმ არე-მარეში ავრცელებდა ნამდვილ პარიჟულ ტანისამოსს.

რაკი ერთხელ მივყავ ხელი ამბვის გამოტეხილათ გადმოცემას, ვერც იმას დაგიმალავთ, თუ რატომ იყო ზოლზიკევიჩი ტანისამოსს გადაყოლილი. ამის მიზეზი, თანდაყოლილი კოხტაობის გრძნობის გარდა, ის იყო, რომ ზოლზიკევიჩს უყვარდა ერთი ვინმე. მარა არ იფიქროთ, რომ მისი სიყვარულის საგანი რეპას ცოლი იყო. ეს ქალი მას, როგორც თითონ ის ამბობდა, მხოლოთ მადას ულვიძებდა. ზოლზიკევიჩს კი უფრო ნაზი გრძნობებიც ჰქონდა. ამ მოთხრობის წამკითხველი ქალები უთუოთ მიხვდებოდენ, რომ მისი ტრფობის საგანი იყო პანნა იადვიგა სკორაბევსკი. ხშირათ, როცა ცაზე ამოვიდოდა მოკაშკაშე მთვარე, ზოლზიკევიჩი აიღებდა გარმონიას, რომელზედაც დაკვრა მშვენიერათ იცოდა; დაჯდებოდა სკამზე, პირს მიიქცევდა სკორაბევსკის სახლისაკენ, დაუკრავდა და დაამღერებდა რამე მგრძნობიარე ლექსებს; ის მღეროდა, და ლექსების ხმები ნიავს მიქონდა მისი ტრფობის საგნისაკენ პოეტურ ღამის სიჩუმეში.

მარა ვინმემ რომ მეტის მეტი გრძნობიერება დაწამოს ზოლზიკევიჩს, მე წინდაწინ ვამბობ, რომ ის დიდათ შემცდარი იქნება. ზოლზიკევიჩი ერთობ ჭკუიანი იყო და მეტის მეტათ გრძნობასაც არ აჰყვებოდა. მის ოცნებაში პანნა იადვიგა იზაბელლათ იყო გარდაქმნილი, და თითონ ის სერანოთ ანუ მარფორიოთ. მარა რადგანაც სინამდვილე ხშირათ არ ეთანხმება ოცნებებს, ამიტომაც ამ რკინის კაცმაც ერთხელ გამოამჟღავნა თავისი გრძნობები. ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება. ერთხელ, საღამოთი, როდესაც ზოლზიკევიჩი მიდიოდა სკორაბევსკისთან, მან მოჰკრა თვალი შეშის საწყობთან

ჩამოკიდებულ იუბკებს, რომელთაც ამოქარგული ჰქონდათ ფერადი ძაფებით ასოები П. Ь. და მათ ზემოდან აზნაურობის გვირვინი. ზოლზიკევიჩი მიხვდა, რომ ისინი ეკუთვნოდა პანნა იადვიგას. განა შეიძლებოდა გულის შემაგრება? და იმანაც ვერ შეიმაგრა გული,—მივიდა ერთ იუბკასთან და ცხარეთ დაუწყო კოცნა. ეს დაინახა გოგომ, გაიქცა იადვიგასთან და მოახსენა—სოფლის მწერალი თქვენი იუბკით ცხვირს იხოცსო. რაღაც ბედათ ეს არ დაიჯერეს, მარა ზოლზიკევიჩის გრძნობები გაუგებელი დარჩა და მის მეტმა არავინ იცოდა.

ჰქონდა კი მას რაიმე იმედი? შემკითხავს ამისი წამკითხველი ქალი. ჰო, მას ჰქონდა იმედი, მარა ამისთვის ნუ გაამტყუნებთ მას. ყოველთვის, როდესაც ის მიდიოდა სკორაბევსკისთან, რაღაც შინაგანი ხმა, თუმცა სუსტი, ჩაჩურჩულებდა მას: „ერთიც ვნახოთ დღეს პანნა იადვიგამ მაგიდას ქვეშ ფეხზე თავისი პატარა ფეხი დაგაბიჯოს?

— ჰმ? მაშინ ჭირი წაიღოს ბრჭყვიალა ჩექმებმაც,—ამბობდა ის მიჯნური კაცის სულგრძელებით.

ბრესლაურისაგან გამოცემულ რომანების კითხვით მას ისე გაუჯდა მათი შინაარსი თავში, რომ შესაძლებელი ეგონა პანნა იადვიგისაგან მისთვის ფეხის დაბიჯება.

ხოლო ვინ გაიგებს ქალის გულს? პანნა იადვიგა, არა თუ მაგიდას ქვეშ ფეხს არ აბიჯებდა, არამედ ისე გულგრილათ უყურებდა მას, როგორც მესერს, კატას, საინს ანუ სხვა რამ ასეთ ნაირ საგანს. რას არ ცდილობდა ზოლზიკევიჩი, რომ მიექცია მისი ყურადღება! ხშირათ, როდესაც ის აკერვინებდა საოცარი ფერის გალსტუკს, ან ჩაიცვამდა ახალ ტანისამოსს უცნაური ღამპასებით, ის ფიქრობდა: „ახლა კი ნამდვილათ ყურადღებას მომაქცევს“. თვით სრულამ, როცა ერთხელ მოუტანა ახალი ტანისამოსი, უთხრა: „ახლა კი ამისთანა შალვრით თვით გრაფინიასთან შეგიძლიათ შეხვიდეთ“. მარა, დახეთ ამაოებას! ზოლზიკევიჩი ეწვია სკორაბევსკის სადილათ, ხედავს—სასადილო ოთახში შემოვიდა პანნა იადვიგა,

ზვიადი და თავქედი, როგორც დედოფალი, მოაშრიალებს კაბას, მრავალ ნაკეცებ დაყრილს, სრულიათ ყურადღებას არ აქცევს სტუმარს, მიუჯდება სუფრას და თავისი წვრილი ნაზი თითებით აიღებს კოვზს.

„ნუ თუ არ ესმის ამ ტანისამოსში რამდენი ფულია მიცემული“, სასოწარკვეთილებით ფიქრობდა ზოლზიკევიჩი, მარა იმედს მაინც არ კარგავდა.

„აი, ფიქრობდა ზოლზიკევიჩი, რევიზორის თანაშემწის თანამდებობას რომ ვეღირსებოდე, მაშინ სხვა საქმე იქნება. მაშინ ხომ რევიზორობამდისაც დიდი მანძილი არ დამრჩებოდა. მაშინ შევიძენდი ეკიპაჟს, რწყვილ ცხენს, და პანნა იადვიგა მაგიდას ქვეშ ხელს ჩამომართმევდა“.

ოცნებებმა ხელის ჩამორთმევაზე უფრო შორსაც გაიტაცეს ზოლზიკევიჩი, მარა ამაზე არაფერს მოგახსენებთ, რადგანაც ის შეადგენდა მისი გულის ღრმა საიდუმლოებას.

თუ რამდენათ ზეგარდმო მომადლებული ბუნებისა იყო ზოლზიკევიჩი ეს იქიდან ჩანდა, რომ ის ერთ-და-იმავე დროს გატაცებული იყო პანნა იადვიგასადმი იდეალური გრძნობით და რეპას ცოლისადმი—მადით. მართალია, რეპას ცოლი ყოვლათ ტურფა იყო. მარა ამ სიტურფისათვის ის ამდენ უსიამოვნებას არ აიტანდა, რომ ის არ გაეღიზიანებინა იმ ქალის გულგრილობას და მიუკარებლობას. მას ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი მდაბიო ქალი ბედავდა მის უარყოფას! ეს წარმოუდგენელ კადნიერებათ ეჩვენებოდა მას, თუმცა ამავე მიზეზით იმ ქალს მისთვის აკრძალული ხილის მიმზიდველობაც ეძლეოდა. ზოლზიკევიჩმა სიტყვა მისცა თავის თავს—დაესაჯა იგი დანაშაულობისამებრ, და ეს მისი სიტყვა ყურშას ნაკბენმა უფრო გაამტკიცა. მან იცოდა, რომ სხვერპლი თავს დაიცავდა და ამიტომაც გამოიგონა ეს ნებაყოფლობით ხელ-შეკრულობა მამასახლისთან, რაც რეპასა და მის ცოლს რამდენადმე მისი მოწყალების შემყურებლებათ ხდიდა.

რეპას ცოლს თუმცა სასამართლოში არ გაუმარჯვდა, მა-

რა ის მაინც საქმეს წაგებულათ არ თვლიდა. მეორე დღეს, კვირას, მან გადაწყვიტა წასულიყო წირვაზე ვრჟენცენძში და იქ რჩევა ეკითხა მღვდლისათვის. იქ იყო ორი მღვდელი: ერთი წინამძღვარი, ულიანოვსკი, იმდენათ მოხუცი, რომ სიბერისაგან თვალები, როგორც თევზს, ისე ჰქონდა გადმოკარკლული, და თავს გაუჩერებლათ აქიცინებდა. მარა რეპას ცოლი მასთან არ მიდიოდა: მას გადაწყვეტილი ჰქოდა რჩევას დაკითხებოდა ულიანოვსკის თანაშემწეს, ჩიჟიკს. ეს მღვდელი უმაღლეს ხარისხმდი კეთილ მორმწმუნე და ჭკუიანი კაცი იყო, და შეეძლო ამ შემთხვევაში მისი ნუგეშის ცემა და ჭკუის დარიგება. ქალს სურდა მას მოლაპარაკებოდა წირვამდი, მარა რადგანაც რეპა დაჭერილი იყო და მას ორკეცი სამუშაო აწვა კისრათ, მიტომაც დააგვიანდა. სანამ მან საჭმელი მისცა ცხენს, ღორს და ძროხას, სანამ საუზმე დაამზადა და დაპატიმრებულ ქმარს მიუტანა, მზე მაღლა ავიდა. როცა ვრჟენცენძში მივიდა, წირვა დაწყებული იყო.

მწვანე ზედა წელებით გამოწყობილნი ქალები ისხდენ ეკლესიის ბჭესთან და იცვამდენ ეკლესიამდი ხელით მოტანილ ფეხსაცმელებს. ასევე მოიქცა რეპას ცოლი, და ეკლესიაში შევიდა. ამ დროს მღვდელი ჩიჟიკი ქადაგებას ამბობდა, წინამძღვარი კი იჯდა სავარძელში, და, თვალებ გადმოკარკლული, ჩვეულებრივათ აქიცინებდა თავს. მღვდელი ჩიჟიკი, არ ვიცი რის გამო, მჭევრმეტყველობდა საშუალო საუკუნოების მწვალებლობაზე, და უხსნიდა თავის მრევლს, თუ როგორი თვალთა ხედვით უნდა განიხილავდენ ისინი, როგორც ამ მწვალებლობას, აგრეთვე მის გამკიცხველს ბულლასაც. შემდეგ დიდი მჭევრმეტყველობით და დიდი გატაცებით აფრთხილებდა თავის ცხოვართ, ამ გულუბრყვილო და ციურ ჩიტებსავით უქონელთ, და მიტომაც ღვთისაგან სათნო ყოფილთ, რომ ისინი არ დაენდონ სხვა და სხვა ცრუ ბრძენთ და საერთოთ ისეთ კაცებს, რომელნიც დაბრმავებულნი არიან ეშმაკის თავქედობით, თესვენ ღვარძლს ხორბლის ნაცვლათ, რისთვისაც მოიმ-

კიან მხოლოთ ცოდვასა და ცრემლებს. სხვათა შორის, მან მოიხსენა კონდილიაკი, ვოლტერი, რუსსო და ოხოროვიჩი ისე, რომ არავითარი განსხვავება მათ შორის არ დაუნახავს. ბოლოს მან დაწვრილებით აწერა ყველა ის ტანჯვები, რაც შეხვდებათ ცოდვილებს საიქიოს. ამ ქადაგების მოსმენამ რეპას ცოლს დარდები შეუმსუბუქა. მას თუმცა არ ესმოდა, რას ამბობდა მღვდელი ჩიჟიკი, მარა დარწმუნებული იყო, რომ ის რაღაც ძალიან კარგს ამბობდა, რადგანაც ისე ყვიროდა, რომ სულ ოფლს ასხამდა; და მლოცველები კი ისე ოხრავდენ, რომ გეგონებოდათ ყველას ეხლავე ამოხდებოდათ სული. ბოლოს ქადაგება გათავდა, და დაიწყო წირვა. რეპას ცოლს ასე გულმოდგინეთ არასოდეს არ ულოცავს. მან იგრძნო, რომ გულს თანდათან ეშვებოდა.

ბოლოს, დადგა დიდებული წამი.

მტრედსავით თეთრმა წინამძღვარმა ამოიღო სანაწილედან წმიდა ნაწილები და მოტრიალდა ხალხისკენ. მთრთოლვარე ხელებით ეჭირა მას მზესავით ბრწყინვალე სატარებელი სანაწილე; ასე იდგა რამდენიმე ხანს ოდნავ დახუჭულ თვალებით და თავდახრილი, თითქო ძალებს იკრეფდაო და ბოლოს გალობით წამოიწყო:

„წინაშე ამა დიდებული საიდუმლოისა...“ და მლოცველების ათასმა ხმამ ერთათ დასძახა: „მუხლებს მოვიყრით ჩვენ“.

ჰიმნი გუგუნებდა ისე, რომ შუშები აზრიალდა; დაუკრეს ორგანო, დიდი ამბით დაკრეს ზარები; ეკლესიის წინ დაუკრეს დოლი; საცეცხლურებს ადიოდა მტრედის ფერი გუნდრუკი. მზის მცხინვარე სხივები ატანდენ სარკმელების შუშებიდან ეკლესიის შიგნით, ერეოდენ საცეცხურებიდან ასულს კვამლს და ბრჭყვიალებდენ ცისარტყელას ყველა ფერებით. კვამლის ბოლქვებსა და მზის სხივებს შორის ხანდახან გამობრწყინდებოდა სატარებელი სანაწილე, რომელსაც მღვდელი ხან ზევით აწევდა და ხან კი დაწევდა და მით ლოცავდა ეკლესიაში მყოფ... თეთრი მოხუცი სატარებელი სანაწილეთი იმ დროს ჰგავდა

რაღაც მოჩვენებას. ის იყო სანახევროთ გახვეული გუნდრუკის ბურში, რომლისგანაც გადმოდიოდა მორწმუნეთა გულში მადლი და სიმშვიდე. ეს მადლი და სიმშვიდე მოევლინა რეჲას ცოლის ტანჯვებით დამზარულ გულსაც.

— უფალო იესო, ყოვლათ წმიდა ნაწილებში არსო,— ღაღადებდა ის,—ნუ მიმატოვებ მე საწყალობელს!

ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოდიოდა მას თვალთაგან, ხოლო ეს ცრემლები არ ჰგავდა მამასახლისთან ტირილის დროს დაღვრილ ცრემლებს. ეს ცრემლები რაღაც განსხვავებულათ კარგი და მსუბუქი იყო, თუმცა მსხვილი, როგორც ძვირფასი მარგალიტი. იგი პირქვე დაეცა საკურთხევლის წინაშე, და მერმე თვითონ არ იცოდა, რა ემართებოდა. მას მოეჩვენა, რომ ანგელოზებმა აწიეს ის მიწიდან, როგორც ერთი რამ ფოთოლი, და აიყვანეს ცაში, სამარადისო ნეტარების სამეუფოში, სადაც არ იყო არც ზოლზიკევიჩი, არც მამასახლისი, არც სასალდათო სიები, არამედ მხოლოთ ცისკარი, და იმ ცისკარში ტახტი უფლისა, რომლისაგანაც გადმოდიოდა ისეთი ბრწყინვალე ნათელი, რომ თვალები ვერ უძლებდა მას და იხუჭებოდა. ტახტის ირგლივ ფრინავდა ანგელოზთა დასი, მსგავსნი თეთრ ფრთებიან ჩიტებისა.

რეჲას ცოლი დიდხანს იყო ასე პირქვე დამხობილი. როცა ის წამოდგა, წირვა უკვე გათავებული იყო, ეკლესია დაცარიელებული და გუნდრუკის ბოლქვა კვამლი კი ეკლესიის ცას წვდებოდა. დაგვიანებულნი მლოცველები მიდიოდენ, და ეკლესიის მოსამსახურე სანთლებს აქრობდა. რეჲას ცოლმა გადიწერა პირჯვარი და გაემართა სამრევლო სახლისკენ, რომ მღვდელს მოლაპარაკებოდა.

ამ დროს მღვდელი ჩიჟიკი სადილობდა; მარა როცა მოახსენეს: ვიღაც ქალს, ნამტირალევ თვალებიანს, თქვენთან მოლაპარაკება სურსო, მაშინვე გამოვიდა მასთან.

ეს მღვდელი ახალგაზდა კაცი იყო, ფერმკრთალი, სახი-

ერი; შუბლი ჰქონდა მაღალი და თეთრი, და ტუჩებზე გადაკრავდა ალერსიანი ღიმილი.

— რა გნებავს ჩემო თვალის სინათლევ? დაეკითხა ის წყნარი საამო ხმით.

რეპას ცოლი დაეცა მის ფეხთა ქვე და მოუყვა თავისი გაჭირვება, თან ტიროდა და ხელებს უკოცნიდა მღვდელს. შემდეგ მიაპყრო მას თავისი შავი თვალები და შესძახა:

— რჩევის საკითხავათ, მამაო, რჩევის საკითხავათ მოვედი შენთან!

— და არც შემცდარხარ, ჩემო კარგო,—ალერსიანათ მიუგო მღვდელმა,—მარა მე მხოლოთ ერთი რჩევა შემიძლია მოგცე: მიანდვე შენი მწუხარება უფალს! ის გცდის შენ სიყვარულით, ვითარცა იობს, რომელსაც ძაღლები ულოკავდენ წყლულებს, ანუ ვითარცა აზარიას, რომელსაც მან მოუვლინა სიბრმავე. უფალმა იცის, რასაც შვრება, და ძალუძს სამაგიერო ჯილდოს მიგებაც. ის უბედურება, რომელიც მოევლინა შენს ქმარს, ჩათვალე უფლისაგან მოვლენილ სასჯელათ მისი ცოდვისა—ლოთობისათვის, ამიტომაც მადლობდე უფალს, რომ ეს სასჯელი მოუვლინა მას სიცოცხლეში, რამეთუ შესაძლებელია მიუტევოს მას საიქიოს.

რეპას ცოლი მიაცქერდა მას თავისი შავი თვალებით, წამოდგა და წყნარათ გავიდა ისე, რომ სიტყვა არ დაუძრავს.

გზაში მას სულ ეჩვენებოდა, რომ რაღაცა თითქო ყელში უჭერსო. ტირილი მოუნდა, მარა ვერ მოახერხა.

## VII

ნაშუადღევის ხუთი საათი იყო. ქოხებს შუა, უმთავრეს ქუჩაზე, შორიდან მოჩანდა მტრედის ფერი ქოლგა, ყვითელი ჩალის ქუდი მტრედის ფერი ლენტებით, და ნუშის ფერი კაბა მტრედის ფერივე გასაწყობით. ეს იყო ჰანნა იადვიგა, რომელიც სეირნობდა თავის კარგ ნაცნობ ვიკტორთან. ჰანნა ძა-

ლიან ლამაზი ქალიშვილი იყო. ის იყო შავ თმიანი, ცისფერ თვალებიანი და შესანიშნავი თეთრი პირ-სახიანი. ამასთანავე მისი ტანისამოსი ყოველთვის იმდენათ ახალი და კოხტა იყო, რომ გეგონებოდათ, მისგან რაღაც შუქი გამოკრთისო, რაც კიდევ უფრო მატებდა მას სანდომიანობას. მისი წერწეტი ტურფა ტანადობა თითქო ჰაერში მოფრინავდაო. ცალ ხელში მას ეჭირა ქოლგა, და მეორეთი კაბა, რომლის ქვეშ მოჩანდა თეთრი იუბკის ნაკეცები და პაწია ტურფა ფეხები ვენგრულ მაშიებში („ბაშმაკებში“).

მისს თანამგზავრს ვიკტორს ქონდა ხშირი, დახუჭუჭებული მხიარული ქერა თმა და პატარა ახალ ამოყრილი ბუსუსები წვერის მაგიერ. ის იყო ნახატივით ლამაზი.

ამ მოსეირნეთაგან თქვენ გცემდათ შუქი სიმრთელის, ახალგაზდობის, მხიარულებისა და ბედნიერების. მათ სახეს ეკრათ ბეჭედი უმაღლესი უქმი ცხოვრებისა. ისინი მიესწრაფებოდენ არა მარტო გარეგან სიკეთეს ამ ქვეყნისას, არამედ აზრის სამთავროის რაინდულ სურვილებსა და მაღალ იდეებს, და ზოგჯერ კი—ოქროვანსა და სხივოსან ოცნებასაც.

ამ ქოხებს შუა გლეხების ბავშებში და საერთოთ ამ მდაბიო ხალხში ორივე ჰგავდა მიწაზე ჩამოსულებს, სხვა უფრო წარჩინებულ პლანეტიდან.

ისინი მიდიოდენ ერთათ და საუბრობდენ პოეზიასა და მწერლობაზე, როგორც შეფერის განათლებულ ადამიანებს.

სამწერლო საგნები, რაზედაც ისინი ლაპარაკობდენ ახალი არ იყო, ისინი გადადიოდენ წიგნიდან-წიგნზე, როგორც პეპელა—ყვავილიდან ყვავილზე. ასეთი საუბარი, არ გეჩვენება კაცს ცალიერ, უშინაარსო ლაყბობათ, როცა საუბრობენ ტრფიალნი. მაშინ საუბარს აქვს იმ ქსელის მნიშვნელობა, რომელზედაც შეყვარებული არსება ქსოვს თავის გრძნობების ოქროს ყვავილებს, და დროთი დრომდე კარებს გაუღებს თავის შინაგან მსოფლიოს, სწორეთ ისე, როგორც მზის სხივების მცხინვარებისაგან თეთრი ვარდი გადაშლის ხოლმე თავის ფშვინ-

ვარე ფურცლებს. ამასთანავე ასეთი საუბარი კამარას კვრით ადის ზეცამდე, საიდეალოს სფეროებამდე, ეხება სულიერ მხარეს და ადის ზევით, როგორც სურო მუხაზე.

იქ, დუქანში, გლეხები სვამდენ და ბრიყულათ მსჯელობდენ ბრიყულსავე საგნებზე, და ესენი კი თითქო სულ სხვა მხარეში მიცურავდენ გემით, რომელსაც, გუნოს სიტყვით, აქვს:

„ანძა სპილოს ძვლებისა,
დროშა ვარდის ფერ ქსოვილისა
და საჭე წმინდა ვეცხლისა!“

აქ უნდა დავუმატოთ, რომ პანნა იადვიგა მხოლოთ თავბრუს ახვევდა ვიკტორს, და ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირათ ლაპარაკობდა ის პოეზიაზე.

— წაგიკითხავთ თქვენ ელიოტის რომანი? კითხა კავალერმა.

— ოჰ, ელიოტი საოცრათ მომწონს,—მიუგო პანნა იადვიგამ, როდესაც მის ნაწერებს ვკითხულობ, ასე მგონია, რაღაც მუსიკა მესმის და უნებურათ ვიფერებ ამ ცნობილ ლექსს:

„მიმოვფრინავ ცის ღრუბლებში,
საამურსა სიჩუმეში,
და ვღვრი ცრემლის ნაკადულებს,
რაც სიზმარში სდის ჩემ თვალებს“.

— ოჰ,—წამოიძახა იადვიგამ უცებ—მას რომ ვიცნობდე, უთუოთ შემიყვარდებოდა! ჩვენ, უეჭველია ერთმანეთს გულის ნადებს გავუგებდით.

— რაღაც ბედათ ის ცოლიანია,—მქისეთ მიუგო ვიკტორმა.

პანნა იადვიგამ დახარა თავი, ტუჩები გასაღიმრათ მოაწყო, რის გამო ლოყებზე ფოსოები გაუკეთდა, განზე გადახედა ვიკტორს და კითხა.

— ბედათო, რატომ თქვით?

— მათდა ბედათ, რომელთათვის სიცოცხლეს მაშინ ყოველივე მიმზიდველობა დაეკარგებოდა.

ამის თქმის დროს ვიკტორი ერთობ შეწუხებული იყო.

— თქვენ ჩემს მნიშვნელობას ერთობ აზვიადებთ.

ახალგაზდა კაცი გაიტაცა ალმაფრენამ.

— თქვენ ანგელოზი ხართ...

— ჰო..., კაი... მარა ახლა სხვაზე ვილაპარაკოთ, მაშ თქვენ ელიოტი არ გიყვართ?

— ამ ერთი წუთის წინათ ის შემძაგდა.

— ახირებული ყოფილხართ სწორეთ! ნუ იბუტებით და მითხარით—თქვენი საყვარელი პოეტი ვინ არის?

— სოვინსკი... დაღრეჯით წაიდუდღუნა ვიკტორმა.

— მე კი მისი სწორეთ მეშინია. დაცინვა, სისხლი, ცეცხლი... ველური ჟინის ფეთქება!

— ასეთი რამეები მე სრულიათ არ მაშინებს.

ეს თქვა და ისეთი მრისხანე თვალებით გაიხედა წინ, რომ ერთი ქოხიდან გამოვარდნილმა ძაღლმა კუდი ამოიძუა და გაიქცა.

ამ დროს ისინი მიუახლოვდენ ერთ შენობას, რომლის სარკმელიდან გამოჩნდა... თხისებური წვერი, აპრეკილი ცხვირი და მხიარული მწვანე ფერის გალსტუკი. შემდეგ მიუახლოვდენ ერთ კოპწია სახლს, რომელიც მობარდნილი იყო კრიკინათი, უსურვაზით და სარკმლებით გაცქეროდა პატარა ტბას.

— შევიდეთ ამ კოპწია სახლში,—ეს ერთათ ერთი პოეტური ადგილია ამ ცხვრიეთში, თქვა იადვიგამ.

— ეს რა სახლია?

— უწინ აქ ბავშების თავშესაფარი იყო, აქ მოდიოდენ წერა-კითხვის სასწავლებლათ გლეხთა ბავშები, როცა მათი მშობლები ყანაში მუშაობდენ. მამა ჩემმა საგანგებოთ ააშენებია ეს სახლი.

— ახლა კი რა არის აქ?

— ახლა იქ აწყვია არაყით სავსე კასრები. იადვიგას არ დაუმთავრებია თავისი აზრები, რადგანაც ამ დროს ისინი მი-

უახლოვდენ დიდ ტბორს, რომელშიაც ეყარა რამდენიმე ლო-რი, წოდებულნი ესრეთ თავიანთ სიბინძურის გამო. ამ ტბო-რეს შემოსარებათ იმათ გაიარეს რეპას ქოხს წინ. ქოხის კა-რებში იჯდა რეპას ცოლი, რომელსაც თავი ხელებზე დაეყრ-დნო და მკრთალი პირისახით, ნამტირალევი და ამღვრეული თვალებით უაზროთ გაცქეროდა არეს. ის გაქვავებულს ჰგავდა.

რეპას ცოლმა ვერ შენიშნა ისინი, მარა პანნა იადვიგამ დაინახა და უთხრა:

— სალამო მშვიდობისა!

ქალი წამოდგა, მივიდა, დაეცა მათ ფეხებთან და ტირი-ლით დაიწყო.

რა დაგემერთა ჩემო კარგო? კითხა იადვიგამ.

— ოჰ, ჩემო სულის მტრედო, ჩემო თვალის სინათლევ! იქნება შენ თვითონ ღმერთმა გამოგგზავნა ჩემთან! დამიფარე, მიშველე, ჩემო გახარებავ! და ყველაფერი დალაგებით მოუყვა იადვიგას. ხანდახან იგი შეწყვეტდა თავის ამბავს, რომ ეკოც-ნა იადვიგასთვის ხელზე, ანუ უკეთ ვთქვათ, ხელთათმანებზე, რომლებსაც ლაქათ აჩნდებოდა მისი ცრემლები. იადვიგა სულ დაიბნა. მისს ლამაზ სერიოზულ პირისახეს გაუგებრობა ეტყო-ბოდა. რამდენიმე ხანს იგი ჩუმათ იყო, ბოლოს კი გაუბედა-ვათ იკითხა:

— რითი შემიძლია დაგეხმარო ჩემო კარგო? სწორეთ ძა-ლიან მებრალებით... მარა არაფრის რჩევა არ შემიძლია... ჯობს მამაჩემთან მოხვიდეთ... ეგებ იმან გირჩიოსთ რამე... ახ-ლა კი მშვიდობით.

და პანნა იადვიგამ ისე მაღლა აიწია კაბა, რომ მაღალ მაშიებს გარდა, გამოკრთა თეთრი, ცისფერ ზოლებიანი წინ-დები, და განაგრძო გზა თავისი კავალრით.

— ღმერთმა დაგლოცოს ჩემო მაისის ვარდო, მიაძახა მას რეპას ცოლმა.

ამ სცენამ ისე შეაწუხა იადვიგა, რომ მის კავალერს მო-ეჩვენა, თითქო მის თვალთაგან ცრემლებიც გამოკრთაო.

რომ ახალგაზდა ქალისათვის მოეშორებინა სამწუხარო ფიქრები, ვიქტორმა მოყვა ლაპარაკს კრაშევსკიზე და მწერლობის სამთავროის სხვა უფრო მცირე ერთეულებზე. საუბარი თანდათან უფრო ცხოველდებოდა და მალე ორივეს მათ დაავიწყდათ წინანდელი სამწუხარო სცენა.

— ბატონთან უნდა წავიდე,—ამბობდა გულში რეპას ცოლი,—თავიდანვე ასე უნდა მოვქცეულვიყავ, მე უბედურს რომ ჭკუა მქონებოდა.

## VIII

ბატონის სახლის დერეფანი, რომლის სვეტებსაც კრიკინა ჰქონდა შემობარდნილი, გადიოდა ეზოსა და ალვის ხეების ხეივანში. ამ დერეფანში ბატონები სადილს შემდეგ ჩვეულებრივათ მიირთმევდენ ყავას. მასპინძლებს გარდა, ამ დღეს, იქ ისხდენ: წინამძღვარი ულიანოვსკი, მღვდელი ჩიჟიკი და აქციზის რევიზორი სტოლბიცკი. ბატონი სკორაბევსკი მსუქანი, წითური და დიდ ულვაშებიანი კაცი, იჯდა სავარძელში და წევდა ყალიონს; ქალბატონი სკორაბევსკისა ჩაის ასხამდა, რევიზორი კი, დიდი ურწმუნო ადამიანი, სახუმროთ იგდებდა მოხუც წინამძღვარს.

— ერთი გვიამბეთ მამაო, იმ სახელოვანი ბრძოლის ამბავი,—უთხრა რევიზორმა.

— რაო? მიუგო წინამძღვარმა და მიიდვა ყურზე ხელი.

— ბრძოლის ამბავი,—უფრო ხმა მაღლა გაუმეორა რევიზორმა.

— ჰო... ბრძოლის ამბავი... გაჭიანურებით თქვა წინამძღვარმა და, თითქო დაფიქრდაო, მოყვა რაღაც ფუჩუნს, აიხედა ზევით, თითქო აზრებს იკრებსო და დაიწყო. რევიზორი მოემზადა გასაცინებლათ, და სხვები კი ხმა ამოუღებლათ ელოდენ ამბვის დაწყებას, თუმცა ასჯერ გაუგონიათ ის, რადგანაც ყოველთვის აამბობინებდენ მას მოხუც წინამძღვარს.

— ჰო,—დაიწყო მოხუცმა,—მაშინ მე წინამძღვრის თანაშემწე ვიყავი, წინამძღვრათ კი ქსენძი გლადიში იყო. ჰო, კარგათ ვამბობ: მღვდელი გლადიში. სწორეთ ის, რომელმაც ეკლესიის სალარო განაახლა, საუკუნო იყოს ხსენება მისი! წირვის გამოვსლისათანავე მივმართე მას: „მამაო წინამძღვარო მეთქი!" მან მომიგო, „რაო?" — „აი, მე მგონია, რომ ამას რამე მოყვება-მეთქი". მან მომიგო: „მეც მგონია, რომ ამას რამე მოყვებაო". გავიხედეთ: უცებ ქარის წისქვილებს იქედან გამოჩნდენ მხედრები—ზოგი ცხენოსანი, და ზოგიც—ქვეითი; გამოჩნდა აფრიალებული დროშებიც; დავინახეთ, რომ მოჰქონდათ ზარბაზნებიც. მაშინვე ვიფიქრე: „ოო მეთქი!" მეორე მხრით თვალი მოვკარი—თითქო ცხვრის ფარა იყო, მარა მალე დავრწმუნდი, რომ ცხვრის ფარა კი არა, ცხენოსანი ჯარი ყოფილიყო. როგორც კი იმათ დაინახეს ესენი, მაშინვე შემოძახეს „შესდეგითო!" ამათაც შეძახეს „შესდეგითო!" უცებ ტყიდან გამოვარდა ცხენოსანი ჯარი, ამათ მარჯვნით გაიწიეს; იმათ მარცხნით, ამათ მარჯვნით; ისინი იმათ გამოუდგენ. ხედვენ—ცუდათაა საქმე! იმათაც ამათ შეუტიეს! დაიწყეს სროლა, და ამ დროს მთას იქიდან რაღაცამ გადმოანათა. „ხედავთ?" ვკითხე წინამძღვარს. „ვხედავო", მომიგო მან. ამ დროს შეიქნა ქვემეხთა (ზარბაზნების) გრიალი, თოფების სროლა. ისინი მდინარისკენ მიიწევიან, ესენი არ უშვებენ, ის იმას ეძგერა, ეს იმას ებღლვნა. ხან ისინი იმარჯვებენ, ხან ესენი. ყვირილი, ღრიანცელი, კვამლი და შემდეგ ხიშტებით იერიში! მარა მე ისე მეჩვენა, რომ ესენი დასუსტდენ. წინამძღვარს ვუთხარი: —„მამაო, ისინი ჯობნიან მეთქი!" მანაც მომიგო: „მეც მგონია, რომ ჯობნიანო". როგორც კი ეს ვთქვი, ესენი გაიქცენ, ისინი გამოუდგენ: დაუწყეს მდინარეში ხრჩობა, კლვა, ტყვეთ შეპყრობა. ვფიქრობდი—გათავდა მეთქი, მარა ჯერ სად იყო თურმე!

მოხუცმა გაიქნია ხელი და უფრო ღრმათ ჩაიწია სავარ-

ძელში; თავი ჩვეულებრივზე უფრო აუქიცინდა, და თვალები კიდევ უფრო გადმოკარკლა.

რევიზორი სკდებოდა, ისე იცინოდა.

— მამაო წინამძღვარო, ვინ, სად და ვის ეომებოდა? შეკითხა მან.

წინამძღვარმა კიდევ მიიდვა ხელი ყურზე და დაეკითხა:

— რაო?

— ოჰ! სიცილისაგან ლაპარაკიც არ შემიძლია, წამოიძახა რევიზორმა და შეხედა სკორაბევსკის.

— სიგარა არ გნებავთ?

— ა, შეიძლება ყავა გნებავთ?

— ოჰ! არა, არ შემიძლია სიცილისაგან...

რევიზორის ხათრისათვის, ზრდილობის გამო, სკორაბევსკისანიც იცინოდენ, თუმცა ამ ამბვის მოსმენა მათ უხდებოდათ ყოველ კვირაობით. ერთი სიტყვით, ყველანი იცინოდენ და ყველანი მხიარულათ იყვნენ, რომ უცებ მათ ზურგს უკნიდან მოისმა წყნარი, მთრთოლვარე ხმა:

— ღმერთმა გაგიმარჯოსთ...

სკორაბევსკი წამოდგა, მივიდა კიბესთან და იკითხა:

— ვინა ხარ მანდ?

— მე გახლავარ, ბატონო, რეპას ცოლი.

— რა გინდა?

რეპას ცოლმა დაბლათ დაუკრა თავი, რამდენათაც შეიძლებოდა ხელში ბავშიან ქალისაგან.

— რჩევის საკითხავათ გიახელით, ჩემო მწყალობელო ბატონო, შემიწყალეთ მე უბედური, საცოდავი!

— კვირას მაინც მომასვენეთ! გააწყვეტინა მას სიტყვა სკორაბევსკიმ ისეთი კილოთი, თითქო საცოდავი ქალი ყოველ დღე აწუხებდა მას თხოვნით.— ვერ ხედავ, რომ ახლა მე სტუმრები მყავს? შენი გულისთვის ხომ ვერ მივატოვებ მათ.

— მოვიცდი ბატონო...

— ჰო და მოიცადე... შუაზე ხომ არ გავიჭრები! ამის

თქმისთანავე სკორაბევსკი დაბრუნდა სტუმრებთან, და რეპას ცოლი კი მივიდა ბაღის მოაჯირთან და მოთმინებით დაიწყო ლოდინი.

მას დიდხანს მოუნდა ცდა. ბატონები ლაპარაკში იყვნენ გართულნი, და მის ყურს ესმოდა მხიარულ ადამიანების სიცილი, რაც გულს უჭეჭკდა მას, რადგანაც ის სულ არ იყო სიცილის გუნებაზე. მალე პანნა იადვიგა და ვიკტორი დაბრუნდენ სეირნობიდან, და შემდეგ შევიდენ ოთახებში. მზე დასავლეთისკენ იწურებოდა. დერეფანში გამოჩნდა პატარა კაზაკი იასკა, რომელიც ჩაისათვის სუფრის გაწყობას შეუდგა. მან გამოცვალა სუფრა, დააწყო ფინჯნები და მათში რიწკინით ჩააწყო კოვზები. რეპას ცოლი კი იცდიდა და იცდიდა. ზოგჯერ მას აზრათ გაუელვებდა თავში, რომ ჯერ-ჯერობით დაბრუნებულიყო სახლში და მერე მოსულიყო, მარა ეშინოდა არ დაგვიანებოდა, და ამიტომაც მოირთხა ფეხები მწვანეზე და დაუწყო ბავშს ძუძუს ჭმევა. ბავში გაძღა ძუძუთი და დაიძინა, თუმცა მოუსვენარი ძილი ჰქონდა, რადგანაც დილიდანვე არ იყო კარგათ. რეპას ცოლი გრძნობდა, რომ მას ხან აცხელებდა, და ხან კი აცივებდა, რაც ძვლებამდი ატანდა; ხანდა-ხან კი ძილი ერეოდა, მარა ის მაინც მოთმინებით იცდიდა. ბოლოს დაღამდა და მთვარეც ამოვიდა. ჩაის სუფრა მზათ იყო. დერეფანში ენთო ლამპები, მარა ბატონები ჯერ არ გამოსულიყვნენ ჩაის დასალევათ, რადგანაც იადვიგა როიალს უკრავდა. რეპას ცოლმა გადიწერა პირჯვარი, წაიკითხა შესანდობელი ლოცვა და შეუდგა ფიქრს იმისას—თუ რას ურჩევს მას ბატონი სკორაბევსკი. ის რასაც ურჩევდა, მან რასაკვირველია არ იცოდა, მარა დარწმუნებული იყო, რომ ის, როგორც ბატონი, იცნობს კომისარსაც და უფროსსაც, და თუ ის ერთ სიტყვას დახარჯავდა მათთან, ყველაფერი გაკეთდებოდა. თვით ზოლზიკევიჩს და მამასახლისსაც რომ წინააღმდეგობა გაეწიათ, ბატონი იმათაც მოუარდა თავს. „ბატონი ყო-

ველთვის კაი გულის იყო და საწყლები ებრალებოდა, და მეც არ დამტოვებს გაუკითხავათ“,—ფიქრობდა რეპას ცოლი.

ის არც შემცთარა. მართლაც სკორაბევსკი ძალიან კარგი კაცი იყო.

შემდეგ მას გაახსენდა, რომ ბატონი განსაკუთრებით წყალობდა მის ქმარს; ბოლოს ისიც მოაგონდა, რომ პანნა იადვიგა მისი დედის ძუძუთი არის გაზდილი. ამ განახსენებამ და მონაგონმა დააწყნარა და სიმხნე შემატა მას. ორ საათს რომ იცდიდა, ეს მას ისე ბუნებრივათ ეჩვენებოდა, რომ ამაზე არც კი ფიქრობდა. ამასობაში ბატონები გამოვიდენ დერეფანში. კრიკინას ფოთლებ შუა რეპას ცოლი ხედავდა, როგორ ასხამდა პანნა იადვიგა ვეცხლის ჩაიდანიდან ჩაის ანუ, როგორც განსვენებული დედამისი იტყოდა, „ისეთ აბჭორებულ წყალს, რომ მითი მთელი პირი აბჭორდებოდა“. ყველანი შეექცეოდენ ჩაის, მხიარულათ ლაპარაკობდენ. რეპას ცოლი უცქეროდა მათ და ფიქრობდა: „ბატონები ყოველთვის უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ჩვენისთანა ადამიანები“, და არ ვიცი რატომ, ცრემლები კვლავ გადმოეფრქვია ლოყებზე. უცებ მისი მწუხარება სხვა გრძნობით შეიცვალა: სუფრაზე ერთი მეორეზე დაალაგეს სხვა და სხვა ცხელ-ცხელი საჭმელები, რომელთაც ოშხივარი ადიოდა. მას ძალიან მოშივდა და თანაც გაახსენდა, რომ დილიდან არაფერი არ უჭამია.

—ძვლებს მაინც მომცემდენ გასახრავათ,—გაივლო მან გულში.

მან იცოდა, რომ საკმაო იყო ეთხოვა მას, და არა თუ ძვლებს მიცემდენ, კარგათაც გამოაძღებდენ, მარა ვერ გაბედა ბატონების შეწუხება, მით უფრო, რომ მათ სტუმრები ყავდათ, და შეიძლებოდა ამისათვის ბატონი გაწყრომოდა მას.

ბოლოს ვახშამიც გათავდა. რევიზორი მაშინვე წავიდა, და ნახევარ საათს შემდეგ ორივე მღვდელიც ჯდებოდენ ბატონის ეტლში. რეპას ცოლმა დაინახა, როგორ დაეხმარა ბა-

ტონი წინამძღვარს ეტლში ჩაჯდომის დროს, და გადაწყვიტა, რომ ახლა მარჯვე დრო იყო ბატონთან მისლვისათვის.

ეტლი დაიძრა თუ არა, გაისმა ბატონის ხმა: „საგუბართან არ გადაატრიალო, თუარა მე შენ მოგიგრეხ კისერს“.

შემდეგ ახედა ცას, თითქო უნდოდა შეეტყო როგორი დარი იქნებოდა ხვალისათვის, თვალი მოკრა ბნელაში რეპას ცოლის თეთრ პერანგს და იკითხა:

— ვინა ხარ მანდ?

— მე გახლავართ, ბატონო, რეპას ცოლი.

— ჰო, შენ ხარ! ჩქარა თქვი, რაც გინდა, გვიან არის.

რეპას ცოლმა განუმეორა მას ყველაფერი, რაც უთხრა მის ქალიშვილს.

სკორაბევსკი უსმენდა მას, აჩქარებით წევდა ყალიონს, და ბოლოს, მიუგო:

— იცი ჩემო კარგო, სიამოვნებით დაგეხმარებოდი, რომ სიტყვა არ მქონდეს დადებული—სოფლის საზოგადოების საქმეში არასოდეს არ გავერიო.

— ვიცი მე ეს, მიუგო რეპას ცოლმა აკანკალებული ხმით,—მარა ვფიქრობდი, რომ ეგება ბატონმა მაინც შემიბრალოს მეთქი... და აქ ხმა გაუწყდა მას.

— ეს ყველაფერი კარგი,—თქვა სკორაბევსკიმ, მარა მე რა შემიძლია? ჩემს სიტყვას თქვენი გულისათვის მე ვერ დავარღვევ, და უფროსსაც ვერ მივმართავ. ის უამისოთაც ჩივა, რომ მე ყოველთვის ვაწუხებ მას ჩემი საქმეების გამო. თქვენ გაქვთ სოფლის სასამართლო და მას მიმართეთ; უფროსისკენ კი გზა თქვენც ისე იცით, როგორც მე. რაღაც მინდოდა კიდევ მეთქვა? ჰო, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— ღმერთმა მოგანიჭოსთ ყველაფერი სიკეთე! ძლივს გასაგონი ხმით წაილაპარაკა უბედურმა ქალმა, მიწამდი თავი დაუკრა და გაუდგა გზას...

# IX

რეპა სატუსაღოდან გამოსღვისათანავე წავიდა პირდაპირ, მარა სახლში კი არა—დუქანში. ვინ არ იცის, რომ ყოველივე გლეხი არაყში ეძებს თავის ნუგეშს. დუქნიდან ის, იმავე აზრით გატაცებული, როგორც მისი ცოლი, წავიდა სკორაბევსკისთან, რაც დიდი სისულელე მოუვიდა.

ის დამთვრალი იყო, და სიმთვრალეში ის ყოველთვის თავ აგდებული და კადნიერი გახლდათ. ბატონისაგან რომ იგივე პასუხი მიიღო, რაც მისმა ცოლმა, მან გლეხთა ჯილაგის სიბრიყვით ვერ მიუხვდა ბატონს მისს უმაღლეს ხარისხამდი დიპლომატიურ პრინციპს, და როდესაც მისგან უარი გაიგონა, იმავე გლეხთა ჯილაგის სიბრიყვის გამო ისეთი თავაგდებული პასუხი უთხრა, რომ ქისტის კვრით გამოაგდეს იქედან. სახლში რომ დაბრუნდა ცოლს უთხრა:

— ბატონთან ვიყავი.

— მერე?..

— ცეცხლი უნდა წაუკიდოს იმ ძაღლიშვილებს კაცმა! დაიყვირა რეპამ და მოკუმშა მჯიღები.

— სსუ, გაჩუმდი! ის ჯობს თქვა—რა გითხრა ბატონმა?

— უფროსთან მიმასწავლა... ჰოი მისი...

— მაშ ოსლოვიცაში უნდა წავიდეთ.

— ამ საათშივე წავალ და მას დავუმტკიცებ, რომ უმისობაც შემიძლია.

— არა ის ემჯობინება, შენ სახლში დარჩე, შენ გენაცვალე, და მე წავიდე. შენ როგორც კი გადაკრავ, მაშინვე რამე უზდელობას ჩაიდენ მთავრობასთან, და ამით კი შეიძლება უფრო გაიფუჭო საქმე.

რეპა პირველათ არ იყო ცოლის თანახმა. ნასადილევს ის წავიდა დუქანში გადასაკრავათ, ასე მოიქცა მეორე დღესაც. მაშინ მისმა ცოლმა, ქმრისთვის სიტყვის უთქმელათ, ყველა-

ფერი მიანდო ღვთის ნებას, და ოთხშაბათს წაიყვანა ბავში და წავიდა ოსლოვიცაში.

ცხენი ოჯახობაში იყო საჭირო და ამიტომაც ის ფეხით მიდიოდა.

სახლიდან ის გავიდა მზის ამოსვლამდე, რადგანაც ოსლოვიცამდი ოც ვერსტზე მეტი იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ გზაზე შეხვდებოდა ურმებით მიმავალ ღვთისნიერ კაცებს, და ისინი ჩაიყვანდენ ქალაქში, მარა არავინ არ შეხვედრია. დილის ცხრა საათზე ის დაჯდა ტყის პირათ, დაისვენა და დანაყრდა თან წამოღებული პურის ყუათი და ორი კვერცხით, და შემდეგ ისევ გაუდგა გზას. მზემ ძლიერ დააცხუნა. და ამიტომაც, მოკრა თუ არა თვალი ოსლოვიცაში მიმავალ გერშკას, რომელსაც ბატები მიყავდა გასაყიდათ, მაშინვე შეეხვეწა მას, რომ ჩაეყვანა ის ქალაქში.

— წადი შენი გზით,—მიუგო გერშკამ,—აქ ისეთი ქვიშნარია, რომ ცხენი მარტო მე ძლივს მიმათრევს. ერთ წამს შემდეგ მან დაუმატა,—მარა ერთ სამ შაურიანს თუ მომცემ, წაგიყვან.

ქალს ახლა გაახსენდა, რომ მას ცხვირსახოცში ჰქონდა გამოკრული ერთი სამ კაპეიკიანი, და შეაძლია ებრაელს, რომელმაც დაცინვით მიუგო:

— სამი კაპეიკი? მას ტყუილა მიწიდანაც არ ავიღებ. განა სამი კაპეიკიც ფულია? ფი! ეს თქვა თუ არა, დაკრა ცხენს და გაუჩქარა გზას.

სიცხე თანდათან მატულობდა, ქალს ოფლი ღვითქით ჩამოდიოდა, მარა მან მოიკრიბა რაც ძალა ჰქონდა და ერთს საათს შემდეგ უკვე ოსლოვიცაში იყო.

ვინც კარგათ იცის გეოგრაფია, იმან ისიც იცის, რასაკვირველია, რომ ცხვრიეთიდან ოსლოვიცაში შესვლისას, გვერდი უნდა ჩაუარო რეფორმატულ ეკლესიას, რომელშიაც ძველათ ესვენა ღვთის მშობლის სასწაულთ მოქმედი ხატი, და რომლის გარშემო კვირაობით დღესაც იკრიბებიან მათხოვრე-

ბი, რომლებიც მაღალი ხმით გალობენ საეკლესიო საგალობლებს. იმ დღეს, როცა რეპას ცოლი შევიდა ოსლოვიცაში, საქმის დღე იყო, და ეკლესიის გალავანში მარტო ერთი მათხოვარი იმყოფებოდა, რომელსაც გამვლელ-გამომვლელების დასანახავათ ცალი უთითო ფეხი გამოეშვირა, ხელში დაეჭირა ვაქსის კოლოფის სახურავი და გალობდა ღვთის მშობლის საგალობელს.

როცა დაინახავდა ვინმე გამვლელს, გალობას შეწყვეტდა, კიდევ უფრო წინ გამოიშვერდა უთითო ფეხს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორთავდა ყვირილს, თითქო ტყავს აძრობდნო:

— ღარიბების შემწყალებელნო! საცოდავი ხეიბარი მოწყალებას გთხოვსთ! ყველა იმ სიკეთისათვის, რასაც ამ ქვეყნათ მოიქმედებთ, ღმერთი სამაგიეროს მოგაგებსთ!

რეპას ცოლმა რომ ის დაინახა, გახსნა თავისი ცხვირსახოცი, ამოიღო სამ კაპეიკიანი, მისცა მათხოვარს და კითხა:

— ხუთი გროში ხურდა გაქვს? მას უნდოდა მიეცა მისთვის მხოლოთ ერთი გროში, მათხოვარმა ფული რომ ხელში იგრძნო, აღარ უნდოდა მისი შელევა და მორთო რაც შეეძლო ყვირილი:

— ღმერთს ამადლი? სამაგიეროთ შენც დაგამადლის ის ბედნიერებას. წაეთრიე, სანამ პირში სული გიდგას!

რეპას ცოლმა იფიქრა: „ჰქონდეს ეს ფული გლახას ღვთის სადიდებლათ!“ და გაუდგა გზას.

ბაზარს რომ მიაწია, ის შიშმა შეიპყრო; ადვილი იყო მისთვის ოსლოვიცაში ჩასლვა, მარა კიდევ უფრო ადვილი იყო გზის დაბნევა. ხუმრობაა ასეთი ქალაქი! რომელიმე სოფელში რომ შეხვალ, იქაც უნდა იკითხო—ვინ სად დგას, თვარა ოსლოვიცაში ხომ რაღა სათქმელია.

— „მე აქ, როგორც ტყეში, ისე დავიბნევი“,—გაივლო მან გულში.

მეტი რაღა გზა იყო, ისევ უნდა ეკითხა გამვლელ-გამომ-

ვლელისათვის, სად და როგორ ენახა ისინი, ვინც მას ეჭირვებოდა. კომისარის სახლს მან ადვილათ მიაგნო, მარა იქ მას უთხრეს, რომ კომისარი სოფლებში წავიდაო, უფროსის შესახებ კი უთხრეს, რომ ის შეკრებილებაში იქნებაო.

— მარა სად იქნება ეს შეკრებილება? ვაი, მე სულელი, სულელი, რასაკვირველია, ოსლოვიცაში იქნება.

და ისიც შეუდგა შეკრებილების მოძებნას ოსლოვიცაში. დიდხანს ეხეტებოდა ის ქუჩა-ქუჩა, და ბოლოს შეხედა, რომ დგას უზარმაზარი სასახლე, და მის წინ აუარებელი ეტლები და ებრაელების ურმები. რეპას ცოლმა იფიქრა—აქ უთუოთ იარმუკა არისო, მივიდა ბჭე კართან, მძიმეთ თავი დაუკრა ვიღაც ფრაკში გამოწყობილს და კითხა:

— აქ შეკრებილება სად არის?

— სწორეთ აქ არის.

რეპას ცოლმა მოიკრიბა გამბედაობა და შევიდა შენობაში. ხედავს: ყველგან დერეფნებია, და მათში—მარცხნით კარი, მარჯვნით—კარი, და სულ კარები და კარები, და ყოველ კარზე რაღაც ასოები. ქალმა გადიწერა პირჯვარი, შეაღო პირველივე კარი, და გაჩნდა ერთ დიდ ოთახში, რომელიც ეკლესიასავით მოაჯირებით იყო გაყოფილი.

მოაჯირს იქით იჯდა ვიღაც კაცი ფრაკით და ოქროს ფოლაქებით გამოწყობილი, ყურზე კალმის ტარი ჰქონდა გადებული. მის წინ ბევრი კაცები იდგენ, რომელნიც ფულს იხდიდენ, და ფრაკში გამოწყობილი კი წევდა პაპიროზს, წერდა კვიტანციებს და აძლევდა მათ. ქალმა იფიქრა აქ უთუოთ ფულის გადახდა არის საჭიროვო და დანანდა მისი სამი კაპეიკი. შემდეგ გაუბედავათ მივიდა მოაჯირთან.

მარა იქ მას არავინ არ მიაქცია ყურადღება. ქალმა იცადა ერთი საათი, მეორე; ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა; მოაჯირს იქიდან ისმოდა კედლის საათის რაკუნი, და ის კი სულ ერთ და იმავე ადგილას იდგა. თანდათან ოთახი ცალიერდებოდა, და ბოლოს ყველანი წავიდენ. მოხელე მიუჯდა

მაგიდას და შეუდგა წერას. რეპას ცოლი გაუბედავათ მიუახლოვდა მას და წაილაპარაკა:

—„ღმერთმა გამარჯობა მოგცესთ, ბატონო“.

— შენ რა გინდა?

— ბატონო უფროსო!..

— აქ კასსაა, კასსა!

— ბატონო უფროსო!..

— გეუბნები, აქ კასსაა მეთქი!

— აბა უფროსი სად ბძანდება?

მოხელემ კალმის წვერით დაანახვა კარი და წაიდუდღუნა:

— იქ არის.

ქალი გავიდა დერეფანში, იქ... მარა სად, სად არის ეს „იქ?“ კარები ბევრია, რომელ მათგანში შევიდეს? ბოლოს, დაინახა, მრავალ სხვა კაცებში, რომელნიც იქით-აქეთ მიდი-მოდიოდენ, დგას ერთი გლეხი ხელში მათრახით. ქალი მივიდა მასთან და გამოეხმაურა:

— ბიძია!

— რა გინდა?

— სადაური ხარ?

— ვეპრჟოველი, რა გინდა?

— უფროსი სად არის აქ?

— არ ვიცი.

შემდეგ ის დაეკითხა ვიღაცას ოქროს ფოლაქებიანს, მარა ფრაკიანს კი არა, ნიდაყვ გამოხეულს. იმან არც მოუსმინა კარგათ, ისე მკვახეთ მიუგო:

— შენთვის არ მცალია!

ქალი ხელ-ახლავ შევიდა პირველსავე კარში. საცოდავმა არ იცოდა, რომ იმ კარებზე ეწერე: „ვინც აქ არ მსახურებს, იმას აქ შემოსვლის ნება არა აქვს“. ის მოსამსახურეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ხოლო კითხვა, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, მან არ იცოდა.

მან ფრთხილათ შეაღო კარი და დაინახა—ცალიერ ოთახ-

ში, სარკმელთან, სკამზე ზის ვიღაც კაცი და თვლემს. პირდაპირ მოჩანდა მეორე ოთახის კარები, და იმ ოთახში იყვნენ ფრაკში გამოწყობილნი ვიღაც კაცები. რეპას ცოლი მივიდა მასთან, ვისაც თვლემდა; ამ კაცთან ის ნაკლებ მორიდებული იყო, რადგანაც ის მდარე კაცათ მოეჩვენა და გარდა ამისა შენიშნა, რომ გახეული ჩექმები ეცვა.

ის წამოხტა, და ქალი რომ დაინახა, რაც შეეძლო შეუყვირა:

— არ შეიძლება! ქალი გამოვარდა ოთახიდან და იმ კაცმა კი სიბრაზით მოარაჯგუნა კარი.

ქალმა მესამეჯერ იმავ დერეფანში ამოყო თავი.

ის ჩამოჯდა რომელიცლა კართან, და წმინდა გლეხური მოთმინებით გადაწყვიტა მოეცადა იქ, თუნდ მეორე მოსლვამდისაც. „ხომ მკითხავს ვინმე—საიდან და რისთვის მოვსულვარ“,—ფიქრობდა ის.

ქალი არ ტიროდა, ხოლო თვალებზე ისვამდა ხელს, რადგანაც ექავებოდა. მალე დერეფანმა ყველა კარებითურთ მის წინ ტრიალი დაიწყო.

ამასობაში მის ირგვლივ, ხან მარჯვნით, ხან მარცხნით ისმოდა კარების ხათქუნი და ლაპარაკი. ერთი სიტყვით ისეთი ხმაურობა და ღრიანცელი იყო, რომ კაცს იარმუკა ეგონებოდა.

ბოლოს ღმერთმა მოხედა მას. იმ კარებიდან, სადაც იჯდა, გამოვიდა მართებული აზნაური, რომელიც მას რამდენიმეჯერ უნახავს ვრჟენცენძის ეკლესიაში. მან რომ ქალი შენიშნა დაეკითხა:

— შენ აქ რა გინდა, ჩემო კარგო?

— უფროსის ნახვა მინდა ბატონო.

— აქ მიწის მზომელია, და არა უფროსი.

და აზნაურმა მიასწავლა მას კარი დერეფნის სიღრმეში.

— იქ არის, სადაც მწვანე ფიცარია გაკრული. მარა ახლა ნუ მიხვალ მასთან, რადგანაც დრო არა აქვს. აქვე მოიცადე, ჯობს, ის მალე ჩამოივლის აქეთ.

აზნაური გაუდგა გზას, და ქალმა კი ისეთი თვალი გააყოლა, თითქო ის იყო მისი მფარველი ანგელოზი.

მარა მას დიდხანს მოუნდა ცდა. ბოლოს, როგორც იქნა, მწვანე ფიცარ გაკრული კარი ხმაურობით გაიღო, და გამოვიდა შუახნის სამხედრო კაცი, რომელიც სიჩქარით მოდიოდა დერეფანში. მას იმ წამსვე შეატყობდით, რომ უფროსი იყო, იმიტომ რომ უკან მოსდევდენ რამდენიმე მთხოვნელნი, რომელნიც ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან, ჩამოურბენდენ, და საბრალო ქალის ყურებს ესმოდა მათი სიტყვები: „ბატონო უფროსო! ბატონო უფროსო, მხოლოთ ერთი სიტყვა! გვიყავით იმდენი სიკეთე!..“ მარა ის მათ ყურს არ უგდებდა, ისე მიდიოდა. რეპას ცოლს თვალთ დაუბნელდა, უფროსი რომ დაინახა. „იყავ ნება ღვთისა!“ გაურბინა მას აზრათ, უცებ წამოდგა, გაჩერდა შუა დერეფანში, დაეცა მუხლებზე და გადუჭრა უფროსს გზა.

უფროსმა შეხედა მას და შეჩერდა. მას მიბაძა ყველამ, ვინც უკან მოჰყვებოდა.

— რა გინდა? კითხა მან ქალს.

— ჰო... ჰო... მე... სალდათობის თაობაზე...

— შენ ხომ არ გაყავხართ სალდათათ? კითხა უფროსმა.

მთხოვნელებმა, უფროსისთვის რომ ესიამოვნებინათ, გაიცინეს, მარა მან თხოვა მათ დაჩუმებულიყვნენ; და შემდეგ ისევ მიმართა რეპას ცოლს:

— თქვი მალე, რაც გინდა, თუარა მე მეტი დრო არ მაქვს.

ქალს სულ დაუბნია თავი მთხოვნელების სიცილმა და ამიტომაც მთლათ აერია სათქმელი და უაზროთ მოუყვა:

— ბურაკი, რეპა, რეპა, ბურაკი... ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

მთვრალი უნდა იყოს, თქვა ერთმა მთხოვნელთაგანმა.

— ენა სახლში დაუტოვებია,— დაუმატა მეორემ.

— ერთი გამაგებინე რა გინდა? გაიმეორა უფროსმა, რომელსაც მოთმინება დაეკარგა. მთვრალი ხომ არა ხარ?

— ქრისტე! ღვთის მშობელო! დაიკვნესა ქალმა და იგრძნო, რომ უკანასკნელი იმედი ხსნისა უქრებოდა. ყოვლად წმიდაო, ბატონო, უფრ...

მარა უფროსი მართლა ძალიან გართული იყო საქმით, რადგანაც იმ დროს სასალდათოების გაწვევის დრო იყო; გარდა ამისა მაზრის საქმეებიც ბევრი ჰქონდა, და ამასთანავე მან მართლა ვერ გაუგო ქალს, ვერაფერი. ამიტომაც მან გაიქნია ხელი და შეუყვირა:

— ასეთი ახალგაზდა და ლამაზი დამთვრალხარ, არ გრცხვენია! წადი გამოიძინე, შემდეგ სასოფლო სასამართლოს მიმართე და მან შენი საჩივარი წარმომიდგინოს მე.

ქალს ერჩია მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ოღონდ კი ეს სიტყვები არ გაეგონა, მარა თქმა მაინც ვერაფრის ვერ მოახერხა.

უფროსი გზას გაუდგა, მას გაყვენ მთხოვნელებიც და იმეორებდენ:

— ბატონო უფროსო! გვიყავი სიკეთე, ბატონო უფროსო!

ბოლოს დერეფანი სულ დაიცალა. ჩამოვარდა სრული სიჩუმე, რომელსაც არღვევდა მხოლოთ რეპას ცოლის ბავშის ყვირილი. ამ ყვირილმა გამოაფხიზლა დედამისი. ის წამოდგა, აიყვანა ბავში, მიიკრა მკერდზე, და არა ბუნებრივ, ათრთოლებულ ხმით დაუწყო მას წყნარება:

— აა, აა, აა!

შემდეგ გავიდა სასამართლოდან. ცა მოქურუშდა, მოისმა ქუხილი.

სულის შემხუთავი ჰაერი იყო.

რა ხდებოდა ქალის გულში, როცა მან ცხვრიეთის დაბრუნებისას, ხელმეორეთ ჩაუარა რეფორმატების ეკლესიას, იმის აწერას ვერ ვკისრულობ. პანნა იაღვიგა რომ ჩავარდნილიყო ასეთ მდგომარეობაში, მე დავწერდი გრძნობიერ რომანს, რომელშიაც დავუმტკიცებდი თვით უფიცხეს პოზიტივისტებს, რომ ამ წუთის სოფელში კიდევ არსებობენ იდეალური ადა-

მიანები. მარა პაინა იადვიგა შეძლებდა თავის შთაბეჭდილებათა გარკვევას. სულიერს მწუხარებას იგი გამოხატავდა არა ნაკლებ მწუხარე და მასთან ძლიერ დრამატული სიტყვებითა და აზრებით. ეს მოჯადოებული წრე, ეს დაავადებული გრძნობა უმწეობისა, ბუნდოვანი შეგნება იმისი, რომ ხსნა არსაიდან არის,—პანნა იადვიგას უეჭველათ მოუვლენდენ ზე-შთაგონებას, და ის წარმოთქვამდა ზე-შთაგონებულ მონოლოგს, რომლის მხოლოთ მარტივი გადმოცემა საკმაო იქნებოდა ჩემთვის, რომ სახელი მომეპოვებინა. რეპას ცოლი კი—ვინ იყო? ეს მდაბიო ხალხი, როცა იტანჯვის, მხოლოთ იტანჯვის და მეტი არაფერი! რეპას ცოლი, უბედურების უწყალო კლანჭში რომ ჩავარდა, ისე უმზერდა თავის მდგომარეობას, როგორც ნაწვალები ჩიტი უმზერს ხოლმე თავის დამტანჯველ ბავშს. ის მიდიოდა გზაზე, ქარი უბერავდა ზურგიდან და აჩქარებიებდა ფეხს, ოფლი ღვითქით ჩამოდიოდა პირის სახეზე—მეტი არაფერი. ხანდისხან, როცა ავათმყოფი ბავში პირს დააღებდა და ისე მოითქვამდა სულს, როგორც სიკვდილის პირათ მივარდნილი, ის წაულაპარაკებდა მას: „იასია, შენ დაგენაცვლე, ჩემო სიცოცხლევ!“ და ტუჩებით დაეკონებოდა გახურებულ შუბლს ბავშისას.

რეფორმატების ეკლესიას რომ ჩაშორდა, ის გავიდა მინდვრათ, მარა უცებ შეჩერდა, რადგანაც დაინახა პირდაპირ მისკენ მომავალი მთვრალი გლეხი.

ღრუბლები თანდათან უფრო ფარავდა ცას, და მათში თითქო რაღაცა შფოთავდა და დუღდაო. ხანდისხან გაიელვებდა ხოლმე, მარა გლეხი ამას ყურადღებას არ აქცევდა. მას ჩაეშვა პერანგის კალთები, ქუდი განზე მოეგდო, ძალზე დაბარბაცობდა და მხიარულათ მღეროდა:

„დოდა მიდის ბოსტანში—
პასტერნაკსა ჰრგავს...
ქვა მოვარტყი ბარძაყში—

მირბის, მიბორგავს.
უ დუდუ, უ დუდუ!..“

რეპას ცოლი რომ დაინახა, ის შეჩერდა და გაშალა ხელები მისდა დასაჭერათ. ქალს შეეშინდა, როგორც თავის თავისთვის, ისე ბავშისთვისაც, და გახტა განზე. გლეხი გამოუდგა უკან, მარა სიმთვრალის გამო ფეხი ვერ შეიმაგრა და დაეცა.—შემდეგ წამოხტა, მარა აღარ გამოკიდებია, მხოლოთ აიღო ქვა და ესროლა. ქვა ზუზუნით გასრიალდა ჰაერში.

ქალმა თავში ტკივილი იგრძნო და თვალები დაუბნელდა ისე, რომ იძულებული იყო ჩამომჯდარიყო. მარა ბავში გაახსენდა, წამოდგა და გაიქცა. ჯვართან შეჩერდა, მოიხედა და დაინახა, რომ გლეხი, სულ ცოტა ნახევარ ვერსტზე ჩამორჩენოდა მას, და ბარბაცით ქალაქისკენ მიდიოდა.

ამ დროს მან ცხელი რაღაც იგრძნო კისერზე. მოისვა ხელი, დაიხედა თითებზე და დაინახა სისხლი.

მას ისევ დაუბნელდა თვალები და შეუწუხთა გული.

როცა გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ჯვართან იჯდა. შორით გამოჩნდა ოსჩეშინიდან მომავალი ეტლი, რომელშიაც იჯდა ახალგაზდა ოსჩეშინსკი და აღმზრდელი ქალი.

ოსჩეშინსკი ვერ იცნობდა რეპას ცოლს, მარა ეს უკანასკნელი იცნობდა მას, რადგანაც ხშირათ ენახა იგი ეკლესიაში. ამიტომაც გადაწყვიტა მისულიყო მის ეტლთან და ეთხოვა, რომ ბავში მაინც გადაერჩინა ქარბუქისაგან და მიეყვანა სოფელში. ქალი წამოდგა, მარა ფეხის გადადგმა ვერ შეძლო.

ამასობაში ოსჩეშინსკი გაჩნდა მის გვერდით. უცნობი ქალი რომ დაინახა ჯვართან დაუძახა:

— აბა ქალო დაჯედი...

— ღმერთმა დაგლოცოსთ...

— მარა მიწაზე, მიწაზე!..

ეს იყო მთელს იმ არე-მარეში განთქმული ხუმარა კაცი. ის არავის არ ჩაუარდა ისე, რომ რამე არ ეხუმრა მისთვის. ასე უხუმრა რეპას ცოლსაც, და შემდეგ გაუდგა გზას. ქალს

მოესმა მისი და აღმზრდელი ქალის სიცილი; შემდეგ მან დაინახა როგორ აკოცეს მათ ერთმანეთს და მიიმალენ უკუნს ბნელში.

რეპას ცოლი მარტოთ-მარტო დარჩა. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „დედაკაცს და ბაყაყს ნაჯახითაც ვერ გაჭრიო“, ერთს საათს შემდეგ ის წამოდა, თუმცა ფეხები ეკეცებოდა, მარა მაინც გაუდგა გზას.

— ბავში მაინც რა დანაშაულია? ჩემო გვრიტუნია! იმეორებდა ის და იხუტებდა გულში ავადმყოფ იასიას.

შემდეგ თითქო ბოდავდა, ისე წაიბურდღულა: სახლში ცალიერი აკვანია, და ჩემი კაცი კი ომში წავიდა თოფით.

ქარმა მოხადა ქალს თავშალი; შვენიერი თმა ჩამოეყარა მხრებზე და აუფრიალა ქარმა. უცებ გაიელვა და ქუხილმა ისე ახლოს დაიგრიალა, რომ ქალმა იგრძნო გოგირდის სუნი და ჩაჯდა.

ამან გამოაფხიზლა ქალი, და მან წამოიძახა: „და სიტყვა იქცა საქმეთ!“ შემდეგ მან ახედა ცას, რომელიც მას მოეჩვენა იმდენათ საზარელათ, უწყალოთ და მრისხანეთ, რომ მას შეეშინდა და მთრთოლვარე ხმით დაიწყო გალობა: „შენსა საფარველსა ქვეშე...“ რაღაც ბოროტის მომასწავებელი ლითონის ფერი ციაგი გადმოდიოდა ღრუბლებიდან მიწაზე. რეპას ცოლი შევიდა ტყეში, მარა იქ კიდევ უფრო ბნელოდა და საშიშარი იყო. დროთი-დრომდე ძლიერი ხმაურობა ატყდებოდა ხოლმე. ასე გეგონებოდათ, შეშინებული ხეები ერთმანეთს უფუჩუნებდენ რაღაც საშინელი ჩურჩულით: „რა მოგველის? ოჰ, უფალო!“ შემდეგ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ხანდისხან ტყის სიღრმიდან მოისმოდა ვიღაცის ხმა, რომელიც მას შიშის ზარს ცემდა. ქალს გაუელვა აზრი, რომ ეს მავნე სული იყო, დაცინოდა მას, და შეიძლება თავს წამოდგომოდა კიდეც. „ამ ტყეს რომ გადავრჩებოდე, — ფიქრობდა ის, მერე იაზოძინსკის წისქვილი და ქოხი იქვეა“. მან მოიკრიბა რაც ძალა დარჩენოდა და სირბილს დაადგა. გზა და გზა გახურებული ტუჩებით იგი ყლაპავდა ჰაერს. ამასობაში

მას ზევით ცა გაიხსნა და გადმოუშვა კოკის პირული წვიმა; ამოვარდა ისეთი ძლიერი ქარი, რომ ხეები მიწას ეკეცებოდა; ტყეში ისე ჩამობნელდა, რომ გზები სულ აღარ ჩნდა. ხეები იღუნებოდა, ჭრიჭინობდა და ხმაურობდა; გაისმა შტოების ლაწა-ლუწი.

რეპას ცოლმა იგრძნო, რომ მას გული უწუხდებოდა.

— მიშველეთ ქრისტიანებო! დაიკვნესა მან სუსტი ხმით, მარა გამგონე არავინ იყო. ბუქი ფარავდა მის ხმას და უხუთავდა სულის თქმას. ბოლოს მან იგრძნო, რომ მეტი სიარული აღარ შეეძლო.

მოიხადა თავშალი, შეიხსნა წინსაფარი (ფეშტამალი), გაიხადა კოფთა, ერთი სიტყვით, თვითონ თითქმის პერანგ სამარა დარჩა და ბავში შეფუთნა. მიფორთხდა შტოებ დაშვებულ არყის ხესთან, მის ძირს დადვა ბავში და თვითონაც იქვე ბავშის გვერდით წაიქცა.

— უფალო, მიიბარე სული ჩემი! წაიჩურჩულა მან და დახუჭა თვალები.

ქარბუქი კიდევ რამდენიმე ხანს მძვინვარებდა, შემდეგ კი ჩადგა. დაღამდა, ღრუბლებ შორის იქა-აქ გამოჩანდა ვარსკვლავები. არყის ხის ძირში თეთრათ მოჩანდა რეპას ცოლის უძრავი ტანი.

— აჩუ!.. უცებ გაისმა ვიღაცას ხმა იმ ბნელაში. ერთ წამს შემდეგ მოისმა ბორბლების რაჯგუნი და ჰონჭყოში ცხენის ფეხის თხლაშუნი.

ეს იყო გრეშკა, რომელსაც ოსლოვიცაში ბატები გაეყიდა და უკან ბრუნდებოდა.

რეპას ცოლი რომ დაინახა, მივიდა მასთან.

## X

გერშკამ ჩაისვა რეპას ცოლი, რომ ცხვრიეთში ჩაეყვანა, მარა გზაზე შემოხვდა ქმარი, რომელიც ავი ტაროსის მიზეზით წამოსულიყო ცოლის შესაგებებლათ.

სალოდავი ქალი სახლში მთელი დღე და ღამე იწვა, მარა მეორე დღეს უნდა წამომდგარიყო, რადგანაც ბავში ავათ ჰყავდა. მოვიდენ ნათლი დედები, ულრჩოლეს ნაკურთხი ბალახები, და ბოლოს მჭედლის ბებერმა ცოლმა ცხრილსა და შავქათამზე შეულოცა მას. ყველა ეს საშუალება მართლაც მოუხდა ბავშს, მარა მამა მისი კი ისე შეუდგა სმას, რომ ვერაფერს ვერ უხერხებდენ. საკვირველია, როცა მისმა ცოლმა მოიხედა და ბავში მოიკითხა, მან თანაგრძნობის ნაცვლათ მკვახეთ უთხრა: „შენ ეთრიე ქალაქებში და ბავში თუნდ ეშმაკს წაუღია! გაჩვენებდი შენს სეირს, რომ ის მომკვდარიყო!“ ქმარს რომ ასეთი უმადურობა შეამჩნია ქალმა, საშინელი ზაფრა ეცა მის გულს,—და პირდაპირი, გულიდან ამომავალი ხმით, ძლიერი ტკივილის გამომხატველით, მას უნდოდა საყვედურის თქმა, მარა მეტი ვერაფერი ვერ მოახერხა, მხოლოთ შეხედა ცრემლიანი თვალებით და შეჰყვირა: „ლავრენტი!“ მარტო ამ სიტყვამ ისე იმოქმედა რეპაზე, როგორც მეხმა. ის წამოხტა ზანდუკიდან, რამდენიმე ხანს ჩუმათ იყო, მერე დაიწყო ლაპარაკი, მარა სულ სხვა კილოთი: „მარისა, ჩემო ძვირფასო, მაპატივე! ვხედავ, რომ ტყვილა გაწყენიე“. ამის თქმისათანავე, ის დაეცა მის ფეხებთან, დაუწყო ფეხების კოცნა, და ატირდა, და ცოლმაც ხმაააყოლა! რეპა გრძნობდა, რომ ის ღირსი არ იყო ასეთი ქალის. მარა ამ შერიგებას დიდი ხანი არ ჰქონდა მათ შორის. უბედურებამ ისინი გულის მოსლვას შეაჩვია. რეპა, სახლში რომ დაბრუნდებოდა, მთვრალი იყო, თუ ფხიზელი, ხმას არ ამოიღებდა, ჩამოჯდებოდა სკამზე, და მთელი საათობით გაქვავებულსავით იყო, ცოლი ფაცურობდა, შრომობდა, როგორც უწინ, მარა ისიც ხმას არ იღებდა. ხანდახან მათ ხმის გაცემა რომ მოუნდებოდათ ერთმანეთისათვის, ისეთ უხერხულობას იგრძნობდენ, რომ გაჩუმებას ამჯობინებდენ; ამიტომაც ისინი ისე ცხოვრობდენ, თითქო დიდი უპატიურება მიეყენებიოსთ ერთმანეთისათვის. ამის გამო მათ ქოხში სამარისებური სიჩუმე იყო. ან რა უნდა ეთქვათ ერთმანე-

თისათვის, როცა ორივემ კარგათ იცოდა, რომ ხსნა არსაიდან იყო, და მათი ბედი გადაწყვეტილი იყო.

გავიდა რამდენიმე დღე. რეპას არ ჰსვენებდა რაღაც საშინელი აზრი. ის წავიდა აღსარების ასარებათ, მარა მღვდელმა არ აარებინა, და უბძანა მეორე დღეს მისულიყო მასთან. რეპა კი, მეორე დღეს ეკლესიაში მისლვის მაგიერ დუქანში წავიდა. იქ მყოფ გლეხებმა გაიგონეს მისი ნათქვამი, რომ „თუ ღმერთი არ შემეწია, ეშმაკს მივყიდი სულსო“. იმიერიდან ყველა ერიდებოდა მას, და მის სახლს თითქო რაღაც შეჩვენების დაღი დაეკრაო. ყველა იმ აზრის იყვნენ, რომ მამასახლისმა და მწერალმა კარგი ჰქნეს, რომ ის სალდათათ გაიყვანეს, რადგანაც ერთი უკეთურისათვის შეიძლება მთელ სოფელს ეწვიოს უბედურებაო. ნათლი დედებიც არ ცხრებოდენ და ვინ იცის რას და რას არ ამბობდენ რეპას ცოლზე.

მოხთა ისე, რომ რეპას ჰა დაუშრა. რეპას ცოლი დუქანში წავიდა წყლისათვის, და გზაზე გაიგონა, რომ პატარა ბიჭები ერთმანეთს ეუბნებოდენ: „აი სალდათის ცოლი მოდისო!“ ერთმა ბავშმა ისიც თქვა: „ეს სალდათის ცოლი კი არა, ეშმაკის ცოლია!“ საცოდავმა ქალმა სიტყვის შეუბრუნებლათ განაგრძო გზა, მარა კარგათ დაინახა, როგორ გადიწერეს ბავშებმა პირჯვარი. ქალმა ამოიღო ჰიდან წყალი და სახლში ბრუნდებოდა, რომ უცებ მას თვალი მოჰკრა შმულმა, რომელიც დუქანთან ყალიონს წევდა და დაუძახა ქალს.

— რა გინდა? ჰკითხა ქალმა.

— სასამართლოში იყავი?

— ვიყავი.

— მღვდელთან იყავი?

— ვიყავი.

— ბატონთან იყავი?

— ვიყავი.

— მაზრის უფროსთან იყავი?

— ვიყავი.

— მაინც ვერაფერი მოიგე, ხომ?

ქალმა ამოიოხრა და შმულმა კი განაგრძო.

— აი რა სულელი ხარ! მგონია, მთელ ცხვრიეთში არ მოიძებნება შენზე უფრო სულელი. რა გინდოდა მათთან?

— მაშ ვისთან უნდა მივსულიყავი? მიუგო ქალმა.

— ვისთან? გაიმეორა ებრაელმა,— პირობა რაზეა დაწერილი? ქაღალდზე ხომ? ის ქაღალდი რომ არ იყოს, არც პირობა იქნება, და რომ ის დაიხეს, საქმეც მორჩება...

— ის რომ მე მქონებოდა დიდი ხანია დახეული იქნებოდა, უპასუხა რეპას ცოლმა.

— განა არ იცი, რომ ის ქაღალდი მწერალს აბარია? მე ნამდვილათ ვიცი, შენ რომ პირადათ თხოვდე მას, ის შენ ყველაფერს შეგისრულებს. მან თითონ მითხრა მე: რეპას ცოლი თუ თვითონ მოვა ჩემთან და მთხოვსო, იმ ქაღალდს მაშინვე დავხევ და საქმეც გათავდებაო.

რეპას ცოლმა აღარაფერი არ უთხრა მას, მოკიდა ჩაფს ხელი და გასწია სოფლის მწერლისაკენ. ის იყო დაღამდა კიდეც.

## XI

მთვარე ამოსული იყო და ვარსკვლავები კაშკაშებდენ, როცა კარმა დაიჭრიალა და რეპას ცოლი ჩუმათ შევიდა თავის ქოხში. შესვლის უმალ ის გაშეშდა გაკვირვებისაგან. მას ეგონა, რომ მისი ქმარი, ჩვეულებისამებრ, ღამეს დუქანში გაატარებდა; ის კი სახლში იყო, ზანდუკზე იჯდა, თავი ხელზე დაეყრდნო და სოხანოს დაცქეროდა.

კერიაზე ცეცხლი ქრებოდა.

— შენ სად იყავი? დაღრეჯით კითხა რეპამ. პასუხის მაგიერ ქალი დაეცა ქმრის ფეხებთან და ტირილით შეძახა:

— ლავრენტი! მხოლოთ შენთვის გავბედე ასეთი სასირცხო საქმე... იმან კი მომატყუა! ლაფი დამასხა და შემდეგ გამომაგდო... ლავრენტი! შენ მაინც შემიცოდე! ჩემო ძვირფასო!.. ლავრენტი!..

რეპამ ზანდუკიდან ნაჯახი ამოიღო.

არა,—თქვა მან დამშვიდებული ხმით,—დადგა შენი აღსასრული! გამოემშვიდობე ამ სოფელს, მეტს ვეღარ დაინახავ მას. მეტს ვეღარ იბოგინებ ამ ქოხში... იდები საფლავში, რა კი...

ქალმა შეშინებული შეხედა მას.

— რაო, მოკლვა ხომ არ გინდა ჩემი?

— ჰო, უნდა მოგკლა! ტყვილა ნუ კარგავ დროს, გადიწერე პირჯვარი, ყველაფერი უნდა გათავდეს. შენ ვერც იგრძნობ...

— მართალს მეუბნები, ლავრენტი?

— დადევ თავი ზანდუკზე!

— ლავრენტი!...

— დადევ თავი მეთქი ზანდუკზე! შეყვირა პირდორბლიანმა რეპამ.

— ოჰ, ღმერთო! ადამიანებო! მიშველეთ!

ამ დროს გაისმა ნაჯახის დაკვრის ბნდუ ხმა, შემდეგ კვნესა, და თავის დარახუნება იატაკზე... შემდეგ მეორე დაკვრის ხმა და უფრო სუსტი კვნესა... შემდეგ მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე...

სისხლი ნიაღვარსავით მოედვა იატაკს, ცეცხლი კერიაში სულ ჩაქრა. ქალს უკანასკნელათ გააზრიალა... ის გაიჭიმა და გაცივდა.

## ბოლოსიტყვაობა.

ახლა ზოგი რამ ყურში უნდა გითხრათ ჩემო საყვარელო მკითხველო ქალებო. რეპას სალდათათ ვერ გაიყვანდენ. პირობის ქაღალდი, დუქანში დაწერილი, საკმარისი არ იყო მის და გასაყვანათ, მარა გლეხებს ასეთ საქმეში ცოტა ესმისთ, ხოლო ინტელიგენციას, რომელსაც პრინციპათ გაუხდია— სხვის საქმეში არ გარევა, გლეხებზე ბევრათ მეტი არც იმათ

გაეგებათ რა ასეთ საქმეებში. ზოლზიკევიჩმა იცოდა ეს და გამოიანგარიშა, რომ საქმე მაინც გაგრძელდებოდა, და შიში ჩაუგდებდა მას ხელში რეპას ცოლს.

და ეს დიდებული კაცი არც შემცდარა.

თქვენ შემეკითხებით, რა დაემართა ზოლზიკევიჩსო?

რა უნდა დამართოდა?

რეპამ ცეცხლი წაუკიდა მებატონეების შენობებს, და შემდეგ გადაწყვიტა მისთვისაც ეძია შური. მარა გაისმა ყვირილი: „ცეცხლი!“ და მთელმა სოფელმა მოირბინა და ზოლზიკევიჩი გადაარჩინეს.

ის ახლაც სოფლის მწერალია, და იმედი აქვს, რომ მალე მოსამართლეთაც ამოირჩევენ. ეს არის რაც მან წაიკითხა რომანი „ვარვარა უზრინ“ და იმედი აქვს პანნა იადვიგა მალე მოუჭერს ხელს მაგიდას ქვეშ.

გაუმართლდება თუ არა მას იმედები, — ამას მომავალი გვაჩვენებს...

# სცენები

1880 წ.

## მაჭლაჭუნა.

სცენები გიმნაზიის პანსიონერების ცხოვრებიდან 1877 წლებში.

—

ვუძღვნი ხსოვნას ლუარსაბ გრიგ. კლდიაშვილისას.

—

**მოქმედნი პირნი:** სემიონ ნიკოლაევიჩ **რენანდა**, გიმნაზიის დირექტორი.

ივან თეოდოროვიჩ **გილნევსკი**, ამზრდელი პანსიონერების.

**რიბინკინი**, **ხალევიჩი** — პანსიონერების ლალანი

**რიპაძე**, **ძიბიშვილი** — მეოთხე კლასის მოწაფეები,

**ფიდვიანი**, **დიდურავა** — პანსიონერები

**ქერაბიანი**, მერვე კლასის მოწაფე, პანსიონერი.

**ბესარიონი**, გიმნაზიის ფერშალი.

**სოფრომი** გიმნაზიის დარაჯი.

**სალდათი**

გილნევსკის ბიჭი.

## სანახავი პირველი.

სცენა წარმოადგენს ვაჟების გიმნაზიაში პანსიონის სასწავლო ოთახს. მაგიდები და სკამები რიგ-რიგათ ორ წყობათ არის დაწყობილი. კედლებზე გეოგრაფიული რუქებია მიკრული. კუთხეში საკლასო დაფაა. მაგიდებზე წიგნები არეულათ ყრია. რამდენიმე წიგნი და რვეული იატაკზე გდია,

—

**ძიბიშვილი** (დადის, ხელში წიგნი უჭირავს). უჰ, რა მტვერი ააყენეს ამ ოხრებმა! კაცს ეგონება, აქ ოცი ფარდაგი მაინც დაუბერტყავთო, ის კი არა თუ პანსიონერებს მუშტი კრივი ქონდათ გამართული... მართალი რომ ვთქვა, ცელქობისთვის არც მე მოვიხდი ბოდიშს, მარა ეხლა კი არ მომწონს მუშტი-კრივი: ჰა, სადაცაა ეგზამენები კარზე მოგვადგება და, ცელქობას თუ დრომდის თავი არ დავანებეთ, ეგზამენზე მივდგეთ და ვუყაროთ კაკალი! მერე, რა საშინელი, მკაცრი ეგზამენები იქნება თურმე წრეულს... უუჰ, ამოვარდეს მისი სახსენებელი! ღმერთმანი ექვსჯერ მაინც დამიჭერია ეგზამენი და ყოველ ნაირი ხერხები ვიცი, მარა იმ დაწყევლილ წითელ მაგიდას და მის გარშემო მასწავლებლებს როგორც კი შევხედავ,—დედაა... (ათრთოლებს, ჩახედავს წიგნს და ისე) ეს წყეული ლათინური და ბერძნული რომ არ იყოს, კიდევ ჰო, მარა ეს შეჩვენებული მკვდარი ენები გვაწყევლინებს დაბადებას!—სამას სამოცდა ცამეტ წმიდა გიორგის ვფიცავ—არ გვინდა მათი სწავლა, მარა ვინ არის პატრონი! ეს ჭკუის გიმნასტიკა არისო, ეს ექიმობისათვის არის საჭიროვო—გვეუბნებიან შეჩვენებულები. თითქო სხვა საგნები და ენები კი არ იყოს ჭკუის გიმნასტიკა... ან და, კიდეც რომ ვინმეს გვსურდეს, აქიმებათ გამოსვლა რაღა აქიმები ვიქნებით თუ აქიმობამდი მოგვკლავენ ენების წყალობით? მკვდრებს გაგვაექიმებენ მათი ჭკუით, თუ რა? (ცოტა სიჩუმის შემდეგ.) შენი მტერია, წრეულს დავრჩები ამ ენების გამოისობით, თუ რო-

გორმე არ ვიეშმაკე... ჰოი, თუ მართლა დავრჩი, მომეცა სიცოცხლე, დავუზილო გვერდები ლათინურისა და ბერძნულის მასწავლებლებს! (მაგიდას მიუჯდება.)

## გ ა მ ო ს ლ ვ ა II.

იგივე, დირექტორი **ს. ნ. რენანდა**, გამზრდელი **ი. თ. გილნევსკი** და ლალა **რიბინკინი**.

**დირექტორი**. ეს რა ამბავია? ჯერ რეკრეაციის დრო არ არის, სად წასულან პანსიონერები? (ძიბიშვილს რომ შენიშნავს.) სად არიან პანსიონერები?

**ძიბიშვილი**. (ადგება.) რა მოგახსენოთ, ვიღაც ორი წაიკიდა, აქედან გაირბინეს და სხვებიც მათ გაყვნენ.

**დირექტორი**. აჰ... ივან თეოდოროვიჩ, დამავალეთ და ამ ორი კლასის შაგირდები დღეს უჩაიოთ დატოვეთ. ვინც უფრო დამნაშავე გამოდგეს, ის კი ხვალ დილიდან საღამომდი ბნელ ოთახში ჩასვით.

**გამზრდელი**. ძლიერ კარგი! მე მგონია, უფრო დამნაშავეც ის იქნება, ვინც პირველათ ატეხა ჩხუბი!

**დირექტორი**. დიახ, მართალს ამბობთ.

**გამზრდელი**. და ვინ ატეხა თავდაპირველათ ჩხუბი ეს ეცოდინება... (შეხედავს ძიბიშვილს.) ძიბიშვილო! ვინ და ვინ წაიკიდენ პირველათ?

**ძიბიშვილი**. არ ვიცი ღმერთმანი, არ მიყურებია... მე ჩემს გაკვეთილს ვსწავლობდი, ჩხუბისთვის მაინცა და მაინც ყურადღება არ მიმიქცევია.

**დირექტორი**. (გამზრდელი ივან თევდოროვიჩ გილნევსკი მიიწევს, და რუქებს მიაცქერდება.) რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, უარის-თქმა ნუ გიყვარსთ მეთქი! როგორ არ გეცოდინება, მარა მალავ, ვითომ-და მაგითი კარგ ბიჭობას შვრები, ის კი არა თუ სისაძაგლეს ჩადიხარ. განა არ იცი, რომ მაგ ეშმაკე-

ბი შენისთანა კეთილზნეობიანს მოწაფეებს სწავლას უშლიან და თვითონაც არაფერს აკეთებენ? ამისთანა შაგირდები პან-სიონიდან უნდა გავაძეოთ, და კარგს მოწაფეებს ვალათ გაძ-ევსთ ამ საქმეში უფროსებს დაეხმაროთ!

**ძიბიშვილი.** რა ვქნა, სემიონ ნიკოლაევიჩ, რომ არ ვი-ცი ვინ და ვინ წაიკიდა...

**დირექტორი.** მე შენ გირჩევ მითხრა, შენთვისვე ემჯო-ბინება... ჰო, თქვი და...

**ძიბიშვილი.** (თავს ჩაღუნავს და ხმის კანკალით თავისთვის.) სხვისი გამოგდება ჩემთვის რათ უნდა ემჯობინოს, არ ვიცი ღმერთმანი...

**დირექტორი.** აა, თორემ გამოგდებისათვის გებრალება, და იმიტომ არ მისახელებ! მაშ კარგი, შენი ხათრისათვის არ გამოვაგდებ, მითხარი... თუ (ჩუმათ) ამასთან (მიუთითებს გამ-ზრდელზე) დასახელება არ გინდა? (ხმა-მაღლა) წამომყევი!

**ძიბიშვილი.** არ ვიცი, ღმერთმანი არ ვიცი, და რა ვქნა ახლა? (ორივე გადის.)

## გ ა მ ო ს ლ ვ ა III.

**გამზრდელი ი. თ. გილნევსკი.** (თვალით გააცილებს იმათ) ოჰ, როგორ არა, ეხლავე გამოგიტყდებათ! ჩვენს პანსიონე-რებს, ამხანაგს ვერ გააცემინებ, თუნდა ოქროს ჭურები შე-პირდეს კაცი. შესანიშნავია, რა გმირობათ მიაჩნიათ ამ ქარ-თველების შვილებს, ამხანაგთა საიდუმლოების და დანაშაუ-ლობის დაფარვა! ერთ კვირას წყალსა და პურზე გაატარებენ და ამხანაგზე კი არაფერს გეტყვიან მაგ აზიელები, მაგენი! ღმერთო ჩემო, აგერ რვა წელიწადია, რაც ამ ქალაქში დი-რექტორმა მომიყვანა და ამ პანსიონში გამზრდელათ ვარ. მე თვითონ მიკვირს მაგათ ხელში ამდენს ხანს როგორ გავძელი. განსაკუთრებული თვისება კი მაგათი—უზნეო არშიყობაა. თელ ქალაქში ერთ ქალიშვილს ვერ ნახავთ, რომ

ამათგანი არ ეარშიყებოდეს და ლექსი არ ქონდეს გამოთქმული. ეჰ, სხვებისას ვინ დარდობს, მაგ გაფუჭებულები ჩემ ქალს დამიყენებდენ თავისთვის თორემ. დღეს შევიტყვე, რომ ცერიჩკაზე ახალი ლექსი გამოუთქვამსთ... ღმერთო, რა ვუყო... სირცხვილს მარტო სად წაუვიდე, სირცხვილს... (შემობვალ დირექტორს დაინახავს და უცებ ჩერდება.)

## გ ა მ ო ს ლ ვ ა IV.

იგივე, დირექტორი და ძიბიშვილი.

**რენანდა.** ივან თეოდორიჩ, მიქენით სიკეთე ეს ბატონი ოთხი საათით ჩასვით ბნელ ოთახში.

**გილნევსკი.** ბატონი ბძანდებით!

**ძიბიშვილი.** (რენანდას.) რაა, ღმერთმანი, რათ მაჯენთ ბნელ ოთახში? არ ვიცი ვინ და ვინ ჩხუბობდენ და რა ვქნა? (შემოდის რიბინკინი.)

**რენანდა.** ნუ ტყუვი! მე ვიცი, რომ შენ იცი, მარა თქმა კი არ გინდა.

**ძიბიშვილი.** მაშ თქვენ გულთ-მისანი ბძანებულხართ და მე რაღას მეკითხებით?

**რენანდა.** ჩუმათ! წაეთრიე ბნელ ოთახში! (მიუბრუნდება რიბინკინს: „წაიყვათ!“ რიბინკინი მიიწევს ხელის მოსაკიდებლათ.)

**ძიბიშვილი.** რაა ღმერთმანი, მაპატიეთ ღვთის გულისათვის...

**რენანდა.** ააა, აპა—პა, ტყუილათ ნუ იხვეწები... დამნაშავის დამალვა ხომ ქართულ ენაზე ლაპარაკი არ არის, რომ ასე ადვილათ გაპატივოთ!.. არა პატივების იმედი ნუ გაქვსთ, ნუ!

**ძიბიშვილი.** (განზე ) ბიჭო, ოთხი საათი ბნელ ოთახში ჯდომა ხუმრობა კი არაა... მოდი ერთი ვთქვა? აჰ, რავა ღმერთი გამიწყრება, ამხანაგს როგორ გავამხელ! (რენანდას) რა ვთქვა, ღმერთმანი, ვინ დავასახელო არ ვიცი...

**რენანდა.** აი, აი... ჭკუაზე მოდიხარ... ისინი დაასახელე, ვინც თავდაპირველათ წაიჩხუბენ... (გახარებული გადახედავს გილნევსკის.)

**ძიბიშვილი.** (განზე: ჩამსვეს ხომ ეს არის და, მოდი ერთი...) თავდაპირველათ, ბატონო, წაიჩხუბნენ, როგორც ყველამ ვიცით... (შეჩერდება.)

**რენანდა და გილნევსკი** ერთათ. თქვი ჰო, კარგ საქმეს შვრები, გაბედე!

**ძიბიშვილი.** კაენი და აბელი!.. (გილნევსკის სიცილი შესკდება.)

**რენანდა.** (გამწყრალი) აი, შე ძუძუმწოვარა, წადი, წაეთრიე ბნელ ოთახში, ჩქარა-მეთქი წადი!.. (ძიბიშვილი გადის, „მშვიდობით ბძანდებოდეთო“—უუბნება მათ. რიბინკინიც გაჰყვება.) ივან თედორიჩ! დღეს ერთი საათით იჯდეს და ხვალ კი სამი საათით ჩასვით...

## გამოსვლა V.

შორიდან ისმის ძიბიშვილის სიმღერა:

სანამ ქალაქს ჩავიდოდი,
გავიარე ვერა,
იქავ წყალი ვნახე მითხრეს—
სახელათ ძევს—„ვერა“,
ზედ ხიდი არ ყოფილიყო,
ფონს გავედი ვერა,
იქ კაცს ვკითხე: „თუ გამიყვან?“
მან მომიგო—„ვერა!“.. (შემდეგ აღარ ისმის, ხმა წყდება.)

**რენანდა და გილნევსკი** ერთათ: რა საძაგელი ბავშია!

**გილნევსკი.** სემიონ ნიკოლაევიჩ!

**რენანდა.** რა გნებავთ?

**გილნევსკი.** თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს...

**რენანდა**. თქვით და დარწმუნებული იყავით, თუ კი შემეძლება, უთუოთ აგისრულებთ!

**გილნევსკი**. (მოწიწებით) სემიონ ნიკოლაევიჩ... ხომ მოგეხსენებათ... ოჯახის პატრონი, მამა ვარ.... მოგეხსენებათ მამის გული... ერთათ-ერთი ქალი მყავს (რენანდას ყრუთ-და გაუარს ტანში და თვალებს აკეთებს სცენისაკენ.) იმის მეტი შვილი არ გამაჩნია... (ათრთოლებული ხმით) რაღაც ნაირათ ამ წყეულ გიმნაზიელებს გაუცვნიათ და ეარშიყებიან. არ იქნა, ვერაფრის გზით ვერ მოვსპე მათ შორის დამოკიდებულება. აი, რანაირ ლექსებს უგზავნიან ის გარყვნილები. ამისთანა ლექსებს ანდომებენ ისინი დროს, იმის მაგიერ, რომ სწავლობდენ... (აძლევს დაწერილ ლექსს.)

**რენანდა.** (კითხულობს. განზე: „დახე იმ ტუღლუტს, რა გრძნობით წერს!") ხელ-მოწერილი არ არის. იქნება იცი, ვისი დაწერილია. მითხარი და მე იმას ორ წამსაც არ დავაყენებ გიმნაზიაში.

**გილნევსკი**. გულზედაც ის მხეთქს, რომ არ ვიცი. ჩემს ქალბატონ ქალიშვილს მოუხევია ხელმოწერილი ადგილი, და ისე შეუნახავს ყუთში. არც მაგას მომცემდა, რომ არ მომეპარა. ჩემდა საუბედუროთ ძალიანი თავქარაა საწყალი... ხომ მოგეხსენებათ ეხლანდელი ქალიშვილები.

**რენანდა**. (განზე: „მე კი ვერაფერს გავხდი და"...) დიახ, როგორ არა!

**გილნევსკი**. ვეკითხები: ვერიჩკა გარყვნილი გიმნაზიელები წერილის მოწერას გპირებდენ, როგორც ყური მომიკრავს და ხომ არ მიგიღია-მეთქი? „თუ მომსვლოდა ღირსეულს პასუხს კი მოვახერხებდი, მარა არ მომსვლიაო", მიპასუხა. ჩემი დატანჯული მამობრივი გული მიხვდა, რა აზრით იყო ნათქვამი „ღირსეული პასუხი"... შემიბრალეთ... მაკმარეთ ამდენი წვალება... აჰ, რათ არ გასკდება დედა-მიწა და შიგ არ ჩავარდებიან ახლანდელი მოზარდი ქალები.

**რენანდა.** (უეცრათ ხელს მოჰკიდებს.) ეი, ივან თეოდორიჩ, რას ამბობთ, უცოლო კაცებმა რაღა ვქნათ მერმე?

**გილნევსკი.** (უგონოთ.) ქვესკნელში გაუარშიყდით... (გონზე მოსული.) მიშველეთ რამე! ნუ მეხუმრებით, დაუკვირდით ჩემს მდგომარეობას... იმას გთხოვთ, პანსიონერებს გამოუცხადოთ და უბძანოთ, რომ ქალების არშიყობას თავი დაანებონ და ვერაზე გამოთქმულ ლექსებს ნუ იმღერებენ...

**რენანდა.** დიდი სიამოვნებით! (განზე: მეც ეს მინდა!)

**გილნევსკი.** უგულუთადესათ გმადლობთ. ეხლა კი ნება მიბოძეთ ეზოში მივხედო...

**რენანდა.** ბატონი ხართ. ინებეთ აგრეთვე უფრო მოეშმაკეთ შენიშვნა და დასჯა (გილნევსკი გადის.)

## გამოსვლა VI.

**რენანდა.** (მწარე ღიმილით.) ვაი იმ შაგირდების ტყავს, რომელნიც ჩემ ვერიჩკას ეარშიყებიან! ვაი ჩემ უბედურს თავს, რომ მათი სახელი არ ვიცი!.. (დადის აჩქარებით აღელვებული.) არა რატომ გული არ მისკდება ვკვირვობ! ერთი მითხარით, რატომ არ დავროზგავ ყველა გიმნაზიელებს, რომ მათ არშიყობა კი არა, თავიც დავავიწყებინო?! ტყუილია, ვითომც უფლება არ მქონდეს შაგირდების გაროზგვისა!.., (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.) ამ მდგომარეობისა და წოდების კაცი ქალს გავარშიყებივარ, აუარებელი ხარჯი გამიწევია, ვცდილობ ქალი ნებაზე დავიყოლიო ისე, რომ არაფერი ეცოდინოს მამა მისს, რომელსაც მისი ქალიშვილის სიყვარულისათვის მივეცი მხოლოთ პანსიონის გამზრდელობა... მარა წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც ძუძუ მწოვარა გიმნაზიელები, ჩემი ხელ-ქვეითნი, გზაზე გადამდგომიან! არა, უნდა შევიტყო, რა ფასათაც უნდა დამიჯდეს მათი ყველასი სახელ-გვარები თუ არა, იმისი მაინც, რომელიც უფრო საშიშოა ჩემთვის და დაუყოვნებლივ გავუძახო გიმნაზიიდან! მე გავაგებინებ მაგ აზიელებს რას

ნიშნავს რენანდას საარშიყო გზაზე გადადგომა! აბა ჩემო თავო იერიშით მიდი აქაურებზე! უჰ... (ისმის სიმღერის „ჩიტო გვრიტის“ ხმა რენანდა შკაფს ამოემალება) სსსუ! ვიღაც მოდის!

## გ ა მ ო ს ლ ვ ა VII.

### იგივე და რიპაძე.

**რიპაძე**, (ხელში უჭირავს წიგნი) გახლავარ! ისე გამოვძვერი, რომ გილნევსკიმ ვერაფერი შეიტყო! გახლავარ ბიჭი რომ უნდა იმისთანა! ტყუილა კი არ უყვარვარ მაშ, ჩემს ვერიჩკას, ვენაცვალე იმას სულსა და გულში ამღამინდელ რანდევუზე!...

**რენანდა**. (შკაფს ამოფარებული) ააა!!!

**რიპაძე**. (შეკრთება წიგნს გაშლის და ჩააკვირდება ეშმაკურათ ისე, რომ ოთახს თვალს ავლებს.) ვინ ეშმაკია რომ იძახის?

**რენანდა**. (აღელვებული გამოდის) გამარჯობა თქვენი!

**რიპაძე**. (განზე) ვაიმე! (რენანდას) გაგიმარჯოსთ ჩემო ბატონო! (განზე) შენი კუბო მენახოს ხვალ დილით!..

**რენანდა**. რას ბძანებთ, თუ შეიძლება მეც გამაგებინეთ...

**რიპაძე**. არაფერს... ისტორიის გაკვეთილს ვამბობდი...

**რენანდა**. რაღაც მშვენიერი ისტორია კია, ისე გრძნობით ამბობდით, თუ შეიძლება მეც მიამბეთ...

**რიპაძე**. (განზე) გიცხონდეს ბაბუა! (რენანდას) დიახ, დიდათ სახალისო ამბავია.

**რენანდა.** გერწმუნებით! (განზე) მე შენ გაყურებინებ სახალისო ამბავს ვირის აბანოში! (რიპაძეს) წადი გარეთ ეზოში, სადაც სხვები არიან! არ გაბედო დარეკამდი შემოსვლა!

**რიპაძე**. (მიდის) დავისვი ლარი, არაფერი გაუგონია, ამ შეჩვენებულს!

## გ ა მ ო ს ლ ვ ა VIII.

**რენანდა.** (დადის აღელვებული) აბა, ახლა უნდა გამბედაობა აი! (დაფიქრდება და ერთ ადგილს გაჩერდება. თავს დაღუნავს და მარჯვენა ხელის სალოკ თითს შუბლზე მიიდებს) დაიმალოს მაგათი რანდევუ, ვერას მე თვითონ დავაჭერინებ ეგზამენებს... რანდევუს მეც გამოვთხოვ! (მობრუნდება და მიდის.)

(ფარდა.)

## სანახავი მეორე.

## გ ა მ ო ს ლ ვ ა I.

სცენა წარმოადგენს ბნელ ოთახების დერეფანს. დერეფანში დგანან ძიბიშვილი, ფიდვიანი და დიდურავა. ორი დარაჯი კარებამდი მიაცილებენ რიპაძეს, გაუღებენ კარს, შემოუშვებენ და ისევ დაკეტვენ. რიპაძე შემოხტება. შემოსლვისთანავე მიბრუნდება კარებისკენ და მკვახეთ იტყვის.

**რიპაძე.** ვაი თქვენს ტყავს! (მიუბრუნდება ამხანაგებს) გამარჯობა ყმაწვილებო! რას მოგიწყენიათ თქვენ გლახებო, ა? დაჰკათ ტაში! (უკრავენ ტაშს, რიპაძე ლეკურს ჩამოუვლის. ამ დროს კარს გააღებს და ბნელ ოთახში შემოდის ლალა რიბინკინი, შაგირდები თავისას არ იშლიან.)

**რიბინკინი.** ბატონო რიპაძე, შენ აქაც არ იშლი ეშმაკობას!

**რიპაძე.** გამეცალე! აქ მაინც დამაყენე, თვარა მე შენ გიჩვენებ ეშმაკობას! (შაგირდები იცინიან.)

**რიბინკინი.** მიჩვენებენ კი არა და ის! ყური არ მომაჭრა ძირში!

**რიპაძე.** რიბინკინ, დამანებე თავი, თვარა გაგლახავ!

**რიბინკინი.** როგორ თუ გამლახავ? შენისთანა ძუძუ-მწოვარა ბალანა უნდა ლახავდეს ნიკოლოზ I სალდათს? ხელმწიფეს ტყვილა ვემსახურე 25 წელიწადი?

**რიპაძე**. თუ გინდა ასიც გემსახუროს! (უცებ მოისდომებს კარში გავარდნას, რიბინკინი გადუდგება გზაზე და მჯიღს ჩაკრავს ფერდში.) ვაიმე!

**რიბინკინი**. შედეგ! ვერ წახვალ, დირექტორის ბძანებაა!

**რიპაძე**. მე შენ გაჩვენებ ბძანებას! (გაარტყამს ყბაში.)

**რიბინკინი**. ააი!.

**ძიბიშვილი და ორი შაგირდი**. ბრავო რიპაძე, ბრავო! მასე მაგას, ჰო!

**რიპაძე**. (ხელს უშვებს რიბინკინს) წადი ახლა და იჩივლე რამდენიც გინდოდეს!

**რიბინკინი**. ვიჩივლებ, დირექტორთანაც და მზრუნველთანაც!

## გ ა მ ო ს ლ ვ ა II.

შემოდის **ქერაბიანი**, მერვე კლასის შაგირდი.

**ქერაბიანი**. რა ამბავია? რიპაძე რას შვრები კაცო?! (რიბინკინს) თქვენც მოგინახავსთ, რაღა, ამხანაგი!

**რიბინკინი**. მე ეხლავე დირექტორთან ვიჩივლებ! (უნდა წავიდეს მარა ქერაბიანი არ უშვებს) ლალავ მოითმინე, მოითმინე!

**ქერაბიანი**. რა გიქნია კაცო, მოგიკლავს კაცი! აჩუქე რამე და ჩააჩუმე, გირჩევნია.

**რიპაძე**. რა ვქნა ბიძია, ფეხებით რომ ჩამომკიდო, გროშს ვერ მომიძებნი ჯიბეში. თუ შენ გაქვს, მიქენი ძმობა და მიეცი, მერმე მე გადაგიხდი.

**ქერაბიანი**. არც მე მიჭყავის ბევრი, მარა რა გაეწყობა, ცოლის ძმას...

**რიპაძე**. რაა...იო? მე შენ გაჩვენებ ცოლის ძმას!

**ქერაბიანი**. ეე.. კია, კაი (წაიყვანს რიბინკინს, ბარე ორჯერ გადუფუჩუნებს, მიცემს ათ შაურს, და გაუშვებს, მიმავალი ეუბნება რიპაძეს): აი ბიძია უკანასკნელი კაპეიკი მიეცი, ცოლის ძმა რომ არ იყო... (გავა)

**რიპაძე.** თავს ნუ იგდებთქო გეუბნები! ჩემი და ის ნუ გგონია შენ!..

**ქერაბიანი.** ერთი შეხედეთ ამ ბზიკს! გული რაზე მოგდის? ჩემზე უკეთესს მაინცა და მაინც ვის მისცემ შენს დას?! (ამ დროს ქერაბიანთან ერთათ გასული რიბინკინი კარებს გარედან დაკლიტავს).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა III.

იგივე, ქერაბიანის და რიბინკინის გარდა.

**რიპაძე,** დავიღუპე კაცი, ქე არ დამიკლიტეს კარი!

**ყველა ამხანაგები.** ბრავო, რიპაძე ღმერთმანი, კარგათ მიბეყვე რიბინკინი! ისე უნდა იმას!

**რიპაძე.** რაღა ბრავო, ბიძია! სწორედ რაც უნდა იყოს, უნდა გავიპარო აქედან... კარები კი ჩამიკლიტეს მარა...

**ამხანაგები,** არაფერია! შენ მაინც მოიხერხებ!

**რიპაძე.** თქვენ სანამდი უნდა იყოთ აქ?

**ძიბიშვილი.** საღამოს რვა საათამდი.

**ფიდვიანი.** მეც!

**დიდურავა.** მეც!

**რიპაძე.** რის გულისათვის?

**დიდურავა.** რის კი არა „ვის" გულისათვის - თქო მკითხე!

**რიპაძე.** როგორ?

**დიდურავა.** როგორ და ვერას გულისათვის ვარ აქ გამოჭიმული!

**ფიდვიანი.** პირველათ მარჯვეთ გამოვძვერი თვარა, მეც კინაღამ ჩამაჯდინეს ვერას გულისათვის... მარა ბოლოს მაინც გავები ხაფანგში.

**დიდურავა.** ხომ იცით დირექტორმა რომ გამოგვიცხადა, არ გაბედოთ ვერას ხსენებაო. სათამაშო ოთახში მე და ჭოდაძე ვდგავართ და ვამბობთ: „ახლა ჩვენ მოკაზმული და გა-

მოწკიპული რომ ვერას წინ დაგვაყენა, რომელი უფრო მოვეწონებითქო". მე ჩემ თავზე ვამბობდი და ის თავის თავზე. შეგვექნა ერთი ჩხუბი და დავიდარაბა. თურმე, ნუ იტყვი, გილნევსკი მოგვპარვია და დგას ჩვენს უკან! ის საძაგელი ჭოდაძე შეხედვიდა, მარა კი არ მითხრა. ბოლოს მე ერთი ლოთიანათ შემოვძახე: „შენი ჭირიმე ვერა-თქო", და ის იყო წასლვა მინდოდა რომ უცებ ჩამავლო გილნევსკიმ ხელი: „გაჩერდი, როგორ ბედავ შენ ჩემი ვერას ხსენებასო, ამას მე რაპორტით მოვახსენებ დირექტორრსო". ქე არ მევალა ფერი და ჩამივარდა ენა! რაღა ვქნა აწი-თქვა, ვთქვი. დიდ ხანს არ მიფიქრია: ამ ბიჭის გოგრაში (შემოირტყამს შუბლზე ხელს) იმისთანა ფიქრი მოვიდა რომ ჰა... გავქუსლე და მოვძებნე გილნევსკი, რომელიც ის ის იყო დავთარში ჩამწერდა, რომ არ მიმესწრო. გამოვეჯგიმე წინ და თამამათ ვუთხარი! რას მერჩით, მე არაფერი დამიშავებია მეთქი! როგორ თუ არაო, და მოყვა თავისებურათ. მე ვუთხარი! შე დალოცვილო, ჩვენ ქართულათ ვდავობდითქო, ჭოდაძემ და მე ერთმანეთს ვუთხარით: აბა წავიდეთ და მასწავლებელს ვკითხოთ, თუ მე ვერ მოგიგოთქო. იმან მითხრა **ვერა**, ვერ მომიგებო, მე ვუთხარი **ვერა**, კი არა, კი თქო, და ეს იყო მეტი არაფერი... **ვერა** ქართულათ не-ს ნიშნავს, და თქვენი ვერა სრულიათ ფიქრშიაც არ მოგვსლიათქო. დამიჯერა იმ სულელმა და გადავრჩი (ყველანი იცინიან) მარა ბოლოს მაინც გავები ხაფანგში.

**ყველა**. როგორ?

**დიდურავა**. ბიბლიოთეკაში ვიყავი. იმისთანა რომანს ვკითხულობდი, რომ სისხლი ამიკვარკვალა. ამოვიღე ვერას სურათი და დავხედე, ის იყო გულს გადამრინა, რომ..

**რიპაძე**. (ირონიულათ.) საწყალი სურათი შენისთანა სულელის ხელში...

**დიდურავა**. შენ კი ბრძენი ხარ რაღა!.. ჰო, მერმე ერთი ლექსი ჩავიღიღინე, მარა ვაი იმისთანა ჩაღიღინებას...

**ძიბიშვილი**. როგორ?

**დიდურავა**. შემომესწრო გილნევსკი—და სურათიც გამომთხლიშა ხელიდან. ვინ მოგცაო, მკითხა. ვიყიდე მეთქი. რატომაო? ისე ტყუილათ მეთქი. „მაშ... თქვენც ისე მიბძანდი კარცერშიო. და ეს არი გიახელით.

**ყველანი**. ვეე!

**ძიბიშვილი**. შე სულელო, გეთქვა ვნახეთქო...

**დიდურავა**. მერმე მეც მასე ვიფიქრე, მარა რაღა დროს!.. ერთი მაინც შეიტყობდეს ვერა, ვენაცვალე იმას, რომ მის გულისთვის კარცერში ვარ გამომწყვდეული და შიმშილით ვკვდები.., ა? ძალიან არ იამება!

**რიპაძე**. (იქით საზოგადოებისაკენ.) ამისმა სიცოცხლემ!.. ვერას გულისთვის კი არა, თავის სისულელესათვის ზის! სულელი!

**ფიდვიანი**. მე, კაცო, აზიის რუქასთან ვიდექი, მეორე კუთხეში ამხანაგი იჯდა და დავუძახე: ჩვენ რომ ახლა ვსწავლობთ, რას შვრება ნეტავი ვერა მეთქი! თურმე აგერაა დირექტორი! მებდღვნა ის შეჩვენებული მარა რანაირათ: „თქვე გაფუჭებულო ბალნებოო, ვერ დაგაშლევინეთ მე თქვენ ვერას სახელის ხსენებაო! სადილი არ აჭამოთ ამას დღესო!“ ეცვალა ფერი შენს კოწიას! მარა მოგეცა სიცოცხლე, უცებ მოვნახე ხერხი ბიჭმა: თქვენ დალოცვილო, რას მიწყრებით უბრალოთ, აგერ რუქაზე ვსწავლობდი და თბილისის უბანი და მდინარე ვერა ვახსენე, ღმერთმანი—მეტი არაფერი ყოფილა მეთქი! როგორც იქნა დავაჯერე! (ყველანი იცინიან) მარა მაინც ვერ ავცდი ბალას!.. ეზოში ვარ და გავიხედე—შემოვიდა მოსასხამ მოხურული ქალიშვილი, მარა რა ქალიშვილი! ერთი სიტყვით, ქვით შენი ვენერა და დიანა. ამოვედევნე უკან და—შევხედე, ჯიბიდან ცხვირსახოცი უჩანს! ამოვაძვრე, ვთქვი ამ ცხვირსახოცს მაინც ვაკოცებ, და ისევ ჩავუდებ ჯიბეში, და მერმე იმ ჩემს ნაკოცნს რომ ის თავის ტუჩებზე გადისობს—იმეე!.. (ყველანი იცინიან) უცებ მომიბრუნდა და მითხრა: ინსპექტორის (ზოგიერთი: ვაი მის თავს!) ცოლის ნახვა მინდა, შემიძეღვიო.

ის რომ მომიბრუნდა, მე ცხვირსახოცი უკან, სერთუკის ჯიბეში ჩავიდევი, მარა ნახევარი ჩნდა თურმე, და ისე შევყევი ინსპექტორის სახლში. თურმე მოიგონა ინსპექტორის ცოლის ნახვა. როგორც კი დაინახა ინსპექტორი, მაშინვე უთხრა: „აი ამ თქვენმა შაგირდმა ცხვირსახოცი ამომაძრო ჯიბიდანო!" იმე! მეცვალა ფერი და დამეცა თავზარი, მარა რანაირათ, არ იტყვით?! ახლა ინსპექტორმაც რომ შემომიტია, ხომ სულ გავთავდი და ის იყო! დავადექი უარს, არ გავტყდი და არა!.. გაცხარებული უარის თქმაში რომ ვარ და, იმ შეჩვენებულმა ქალიშვილმა ქე არ ამომიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი.— „ეს ვისი რა არისო? ეს ჩემი ცხვირსახოცია თქვენ დალოცვილებო მეთქი. თქვენი კი არა, ჩემიაო, თქვა იმ ჩემი ცოდვით სავსემ და მიჩვენა თავისი ნიშანი ზედ! (ყველანი... ვეე!) აბა, ასე გამიწყრა ღმერთი!

**ყველანი.** მერე რა იყო?

**ფიდვიანი.** მერე რა იყო და ამ დიდყურაძეების აბანოში გამომგზავნეს და ის იყო!

**დიდურავა.** ეჰ, ი ოხერი! აგერ, შიმშილით მოვკვდები!

**ძიბიშვილი.** ჩემ მუცელში ისეთი რევოლიუცია არის, რომ, ჰა, სადაცაა შიმშილი დაეპატრონდება სიმაძღრის ყველა ციხე სიმაგრეებს.

**ფიდვიანი.** სადაცა, სული ამომხთება!

**რიპაძე.** ნეტავი თქვენ, რომ შიმშილის მეტი არაფერი გენაღვლებათ!

**დიდურავა.** შენ რა გიჭირს, ბიძია—სადილი ჭამე და ხვალ დილით გამოგიშვებენ, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ დილიდან ამ საღამომდი აქ ვზივართ უჭმელ-უსმელი.

**ფიდვიანი.** აბა! (ხანგრძლივი სიჩუმე) ერთი პაპიროზი მაინც მოგვცა, კაცო, გულის ჯავრის გადასაყოლებლათ...

**რიპაძე.** მოიცა, მე მაქვს პაპიროზი. (იძებნის ჯიბეში, გადმოაბრუნებს ჯიბეს და ხელზე დაიბერტყს თუთუნს) ამ ერთი ნამცეცი თუთუნის მეტი აღარ მქონია...

**დიდურავა.** ქაღალდი გაქვს?

**რიპაძე.** არა.

**ფიდვიანი.** ქაღალდი მე მაქვს, მომეცი თუთუნი (გამოართმევს და რა გააკეთებს) ცეცხლი რომ არ გვაქვს, რაღა გვეშველება!

**დიდურავა.** ვნახო, მე მქონდა მგონი (იძებნის და ამოიღებს კოლოფს.) აჰა, ამ ერთი ღერის მეტი არაა, იცოდე. მოიტა პაპიროზი! (მისცემენ და ერთს მოწევს.)

**რიპაძე.** მომეცი, ახლა მე მოვწევ! (გამოართმევს.)

**ფიდვიანი.** იცით, მე რანაირ რგოლების გამოშვება დავისწავლე? სულ ასოებს დავამსგავსებ! მიჩვენე, დაგანახოთ!

**რიპაძე.** მართლა? აბა ჰა! (აძლევს ფიდვიანს.)

**ფიდვიანი.** აბა ადექით და შემხედეთ, (წევს) ცოტა მოშორებით დადეგით. (წევს. სხვები კი მოშორებით დგებიან) უკან დაიწით (წევს) ცოტა უკან (წევს. სხვები იწევიან) კიდევ, ცოტა კიდევ!

**დიდურავა.** ჩქარა დაგვანახე შენი ოსტატობა!

**ფიდვიანი.** (უნდა კომლი რგოლებათ გამოუშვას მარა ვერ ახერხებს.) მაცა, მაცა...

**რიპაძე.** ეი, ბიძია, უუ! ჩემსავით გცოდნია შენც, მოიტა პაპიროზი ნუ გაგვითავე (უნდა წაართვას, მარა ფიდვიანი არ ანებებს, დარბის ოთახში რიპაძე და დიდურავა დასდევენ.)

**დიდურავა.** არ გრცხვენია კაცო, აწი ჩვენც მოგვეცი!

**ფიდვიანი.** (ნამწვარს გადუგდებს.) მიირთვით!

**რიპაძე.** შეხედე ახლა ამას! შენი ჭკუის ვიყავი, რომ მოგართვი და პატივი გეცი.

**ფიდვიანი.** ჩემი ჭკუის თუ ყოფილიყავი არც დამიჯერებდი!

**დიდურავა.** ფუ, შენ კაცობას!

**ფიდვიანი.** ჰა, ჰა, ჰა! მეორე გზობისათვის ჭკუას დაისწავლი.

**დიდურავა.** მაცა მე შენ..

**ძიბიშვილი**. მოგცლიათ ერთი თქვენც, რომ პაპიროზისათვის ჩხუბობთ! თუ კაი ბიჭები ხართ საჭმელი გააჩინეთ—აი ბიჭები მაშინ იქნებით.

**ფიდვიანი.** რომ გავაჩინოთ და შენმა რევოლიუციონერებმა მოინდომონ ყველაფერი! (ყველანი იცინიან.)

**დიდურავა.** მართლა, კარგი არ იქნება ერთი ახლა რამე საჭმელი რომ მოგვცა!

**ძიბიშვილი**. კარგი კი არა, მგონი ეგვიპტის უდაბნოებში ებრაელებს არ იამებოდათ ისე მანანა, როგორც მე ახლა ერთი ნაჭერი პური მიამება!

**ფიდვიანი.** ფული რომ მქონდეს სოფრომს დავუძახებდი და მოვატანინებდი, მარა რომ არ მაქვს. თქვენ გაქვსთ იქნება!

**დიდურავა**. არა, არ მაქვს!

**ძიბიშვილი.** რომ მქონდეს, რაღლისთვის მინდა, თუ არ ახლა!

**რიპაძე**. არც მე გამაჩნია ერთი გროში! (იქით) ნეტავი თქვენი თავი ფულებათ გადამიქცია, რომ ვერას მივუტანო.

**ფიდვიანი**. იქნება თვითონ სოფრომამ გვასესხოს ფული! მოდი, ერთი ვცადოთ მაინც!

**სულყველა**. ცადე, იქნება ღმერთი მოგვეხმაროს, და მართლა გვასესხოს!

**ფიდვიანი**. (სკამს დაიდგამს სამხრეთ ფანჯარასთან და შედგება ზედ.) რომ ჩანს სოფრომა!

**რიპაძე**. გარეთ იქნება ვინმე შაგირდი და შეეხვეწე დაუძახოს!

**ფიდვიანი.** აი, აი, სოფრომა გამოჩნდა (გაყოფს ფანჯარაში თავს) სოფრომ, სოფრომ! აქ მოდი, შენი ჭირიმე, სოფრომ! (ჩუმათ) ჩემი ჭირიც შენ და თავისტეხაც! (ხმა მაღლა) სოფრომ მოდი შე კაცო!

**ძიბიშვილი.** არ მოდის?

**ფიდვიანი**. კი, მოდის, მოდის!.. (ეუბნება სოფრომას რომელიც გარეთ დგას) სოფრომა, ერთი შესახვეწელი საქმე გვაქვს

შენთან და თუ კაცობა გწამს, უარს ნუ გვეტყვი! იცოდე, რომ თუ ამ თხოვნას აგვისრულებ—საუკუნოთ შენი მადლობელი ვიქნებით... ჩემო სოფრომ!

**სოფრომა**. (გარედან) იმე, თუ შემიძლია თქვენისთანა ყმაწვილებს როგორ არ ვემსახურები! მიბძანეთ რა საქმე გაქვთ!

**ფიდვიანი**. იცი რა, ჩემო სოფრომ? ცოტა ფული გვასესხე, რომ საჭმელის საყიდლათ გვეყოს, და იმდენი სიკეთე გვიყავი რომ შენ თვითონ გვიყიდე! თუ ძმობა გწამს, სოფრომ...

**სოფრომა**. (გარედან) შენი სიყრმის მზემ, და დღევანდელი დღის მადლი ნუ გამიწყრება, გასასესხებელი ფული არ მაქვს, თვარა თქვენ როგორ არ გენდობით!

**დიდურავა**. ვაი უბედურობას!

**რიპაძე**. ესეც შენი მევალე!

**ძიბიშვილი**. რაღა გვეშველება აწი?! მოვკვდი შიმშილით.

**დიდურავა**. (გახარებული იხსნის ვეცხლის ქამარს) მე მაცალეთ, მე! (ადის სკამზე, ფანჯარაში თავს გაყოფს) სოფრომას ვახლავარ!

**სოფრომა**. ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო ბატონო! თქვენ რაზე ჩაგაჯდინეს აქ?

**დიდურავა**. (იქით) მე რა მინდა, მაგ რას მკითხავს! (მაღლა) რისთვის და—შენს დღეში ხმას არ იღებო, მუნჯათ გინდა გამოხვიდეო, და ამას რომ გადამაჩვიონ, აქ იმიტომ მომიყვანეს!

**ძიბიშვილი**. (იცინის) შენ თუ ენა გაკლია, ზღვას ქვიშა კლებია.

**სოფრომა**. ჰოო?

**დიდურავა**. (აძლევს ქამარს) ჩემო სოფრომა, ხომ იცი— სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეავჟანდეს ნაქონია? ამ ერთი კვირის ვადით ხუთ მანეთათ დაიწინდრე და იცოდე ვალს დროზე გადაგიხდი!

**სოფრომა**. ერთი ბრუციანი სამ მანეთიანის მეტი არ

გამაჩნია ყმაწვილო, და თუ მასე გიჭირთ, თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს!

**დიდურავა**. ეჰ, მოიტა, მოიტა, როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო. აბა ჩემო სოფრომა წადი, და მანათის ღვინო გვიყიდე, კაობით კაი, თითო აბაზიანი ბოთლი, რვა გირვანქა პური, ორი შაურის მწვანილეულობა, და ხუთი სულუგუნი მოგვიტანე ისე, რომ არავინ შეგხედოს იცოდე. ტარხუნა არ დაგავიწყდეს სოფრომ!

**სოფრომა**. ბატონი ბძანდებით! (მიდის.)

**ფიდვიანი** და **დიდურავა**. (ჩამოხტებიან სკამიდან) სწორეთ მარჯვე და ჩვენთვის დაუზარებელია ეს სოფრომა!

**ძიბიშვილი**. ბარე ორი ბავში გადაარჩინა მაგან ხიფათს.

**რიპაძე**. საიდუმლოს შენახვა კი ძალიან იცის, კაცმა რო თქვას!

**ფიდვიანი**. რაღა მოგიწყენიათ ყმაწვილებო? ტაში! ჩამოვუაროთ ერთი. ჰო, ჩქარა! (ემზადება ლეკურს. **რიპაძე** წიგნს აიღებს და დაირასავით უკრავს. სხვები ტაშს ცემენ. ფიდვიანი ცეკვავს).

**ფიდვიანი**. (მივა ცეკვით ძიბიშვილთან და იწვევს) ჰო, გამობძანდი ყმაწვილო, გამობძანდი.

**ძიბიშვილი**. (გადის საცეკვრათ.)

ტაში—ტაში—ტაში—ნაირი,

ბიჭი უნდა ამნაირი! (ტაშს უხშირებენ. ძიბიშვილი გულდაგულ ცეკვავს.) დაჰკა, დაჰკათ! (ამ დროს სოფრომა რვა გირვანქიან პურს შამოაგდებს ფანჯრიდან, ყველანი სიხარულით ახტებიან ზევით, ფიდვიანი და დიდურავა შევლენ სკამზე და ელაპარაკებიან სოფრომას.)

**ფიდვიანი**. ჩემო სოფრომა, მოიტა, მოიტა. (გამოართმევს სულუგუნებს და ერთ ბოთლ ღვინოს.)

**დიდურავა**. მომეცი ჩემო სოფრომა. (დანარჩენ ოთხ ბოთლს და მწვანილეულობას გამოართმევს).

**სოფრომა**. (გარედან.) ეს ჭიქაც მიირთვით. მშვიდობით ყმაწვილებო!

**ფიდვიანი**. (გამოართმევს ჭიქას.) კოჩაღ, სოფრომა! ღმერთმა მაგიერი გადაგვახდევინოს, ჩემო სოფრომა. თუ მოვესწარით შენს ტყვეობას, ჩვენ გვკითხე გარედან დახმარება!

**დიდურავა**. სოფრომა, ერთი სიტყვით მე ვიცი და შენ აწი!

**ძიბიშვილი**. ეი, კამერ-ლაკეი, სუფრა გაშალე (თვითონ გაშლის ერთს პალტოს, სხვები დადებენ პურს, სულუგუნებს, მწვანილეულობას, ბოთლებს ღვინით და გარს შემოუსხდებიან).

**ფიდვიანი**. (აიღებს ერთს სულუგუნს დასათლელათ) უჰ, შენი კუჭისა!

**დიდურავა**. აწ, თუ გინდა, ხვალ დილამდი დავრჩები აქ (პურს ჭრის.)

**რიპაძე**. მოდი ერთი, რადგანაც შენ არ გეძნელება დარჩენა, შენ დარჩი ჩემ მაგიერ ხვალ დილამდი!

**დიდურავა**. (ერთ ბოთლს თავს ხსნის) დიაღ, დიაღ, ჭკუას რომ არიგებდენ შენ სად იყავი მაშინ?!

**ძიბიშვილი**. ჭკუა თუ გინდათ, მე გასწავლით: თქვენ ბაასით შევვაქციეთ და ჩვენ საჭმელს გიახლებით.

**დიდურავა**. შენმა მზემ. (ყველანი ჭამენ რიპაძის გარდა.)

**რიპაძე**. მე არ მინდა, ნასადილევი ვარ, ცოტა ღვინოს კი დავლევ! (დაასხამს ჭიქაში ღვინოს.) ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის, ვისგანაც ჩვენ სული გვიდგას!

**სხვები**. ჰო, ბიჭო, ჰო (ყველა სმენ რიგ-რიგათ ერთი ჭიქით. რიპაძე დადის. ამ დროს ვიღაც კარებს აღებს).

**რიპაძე**. ვიღაც მოდის კაცო, ვიღაც!

**ფიდვიანი**. ვაი, მორიგი ლალა იქნება! ჩქარა მეორე პალტო გადააფარეთ! (გაშლიან პალტოს და გადააფარებენ).

**დიდურავა**. ბოთლებს თავი დავაცვათ და წავაწვინოთ, ჩქარა! (ბოთლებს თავს უცობენ და პალტოს ქვეშ წააწვენენ).

**ძიბიშვილი**. ზედ წიგნები დავაყაროთ! ჩქარა, ბიჭო, ჩქარა! (აყრიან) ახლა ზოგმა წიგნი დაიკავეთ და იკითხეთ და ზოგმა რვეული. (ასრულებენ).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა IV.

იგინივე და ხალევიჩი ლალა.

**ხალევიჩი**. რას ყვირით? აქაც არ მოისვენებთ? თუ გნებავთ კიდევ გაგიგრძელონ აქ ჯდომის ვადა?! ჩუმათ იყავით, ხმა არ ამოიღოთ ისწავლეთ! (შეხედავს დაგდებულ პალტოს) პალტო როგორ დაგიგდიათ აქ, განა ასე უფრთხილდებით სახაზინო ტანისამოსს? აიღეთ ჩქარა! (დიდურავა მივარდება, ზოზმანით ჯერ წიგნებს აიღებს და სკამზე გადააქვს, ვითომ პალტოს აღება უნდა) ისწავლეთ ნახევარ საათს შემდეგ თქვენ ყველას გამოგიშვებენ, რიპაძის გარდა; თუ ასე იყვირებთ მაშინ კი რიპაძესავით ხვალ დილამდი დაგტოვებენ! (გადის).

**ძიბიშვილი**. (ჩუმათ) ჭამა გვაცალე და მერმე რაც გერჩიოს ის ქენი. (სიჩქარით ილუკმება).

**რიპაძე**. მამა გიცხონდება, რიპაძემ ხვალ დილამდი აქ მოგიცადოს?!

**ფიდვიანი**. უჰ, აგვცდა კაცხის ზარბაზანი! კინაღამ არ გავებით მახეში!

**დიდურავა**. კაი სეირი არ იქნებოდა, ღვინო და საჭმელი რო ენახა! რა მალე გამოგვრეკდენ გიმნაზიიდან...

**ძიბიშვილი**. გამოგდებაში ენდვე ჩვენს ახლანდელს უფროსებს!

**ფიდვიანი**. მერე, სულ ქალების ბრალი არ იქნებოდა ჩვენი გამოგდება, როგორც იმათი ბრალია ჩვენ რომ აქ ვზივართ?

**დიდურავა**. ეი, ბიძი, ქალებს სხვებისათვის ვისთვის დაუყრია ხეირი, ჩვენ რომ დაგვაყრიდა? ღმერთი შეაჩვენებს მათს სულსა და ხორცს!!

**ძიბიშვილი**. ჩქარა გავათავოთ საჭმელი, და დანარჩენი სოფრომას გავატანოთ, თვარა კიდევ არ შემოგვესწრონ (ჭამენ.)

**ფიდვიანი**. რა ტკბილი საჭმელია კაცი... ა? (ისმის რაღაც ხმა, კარის გაღებასავით).

**ძიბიშვილი**. ვაი! კარს აღებენ, ჩქარა დამალეთ. (ჰალტოს გადაათვარებენ, თვითონ წიგნებს აიღებენ, სხვა კუთხეში მიჯდებიან, ვითომ სწავლობენ. გარედან ისმის დირექტორის ღრიალი: გააღეთ კარი, ჩქარა!)

**ყველა ერთხმათ**. ვაი, დირექტორია.

**რიპაძე**. ერთი ბოთლი აქ მომეცით, მე შევინახავ! (მიაქვს მივა კუთხეში, ცხვირიდან სისხლს გამოიღებს, ბოთლს გატეხს და ღვინოს თავის წინ დააქცევს). თქვენი ჭირიმე უთხარით, რომ სულ დაიცალა სისხლიდანთქო, თქვენ მე შემომესიეთ. (მივლენ გარს შემოუჯდებიან.)

## გ ა მ ო ს ლ ვ ა V.

იგინივე და **რენანდა**. (გადაკრულია და კარგ გუნებაზე არის.)

**რენანდა**. ყმაწვილებო გა-მარ-ჯო-ბა!

**მოწაფეები**. (ადგებიან და თავს დაუკრავენ.) ღმერთმა გაგიმარჯოსთ! (განზე) ვაი, დავიღუპეთ კაცი!..

**რენანდა**. აქ რას აკეთებთ?

**მოწაფეები**. (ერთხმათ) ვსწავლობთ! (ხმა არევით)

**ძიბიშვილი**. მე ლათინურს!

**ფიდვიანი**. მე მათემატიკას!

**დიდურავა**. მე ფრანგულს!

**რენანდა**. (მიაცქერდება რიპაძეს). ეს ვინღა არის? რა დამართია?

**მოწაფეები**. (ყველანი ერთათ დაიწყებენ, ბოლოს სიტყვა ერთს შერჩება) სისხლი დის საწყალს სულ დაიცალა. უბედური სისხლისგან!

**რენანდა**. (მიუახლოვდება რიპაძეს და ჩახედავს. რიპაძე საბრალოთ იხრავს) აჰ, უბედური... საავათმყოფოში წასაყვანია.

**მოწაფეები**. გვიბძანებთ წავიყვანოთ? (განზე ერთი მათგანი: არიქა ბიჭო, დავისვით ღარი!)

**რენანდა.** არა, ვერ მოგართვესთ! ლალოს დაუძახეთ! (უძახის) ლალოვ! მოდის ბარბაცით კარებისკენ) ლალოვ!

**მოწაფეები.** (გახარებულნი) ბიჭო! მთვრალია, მთვრალი!.. გავკეთდით კაცი!

## გ ა მ ო ს ლ ვ ა VI.

### იგინივე და ხალევიჩი.

**რენანდა.** (ხალევიჩს დაანახვებს რიჟამეს). წაიყვანეთ საავათმყოფოში და უთხარით, რომ თვალყური მკაცრათ ადევნონ.

**ხალევიჩი.** მესმის! (მოკიდებს ხელს რიჟამეს და გაჰყავს. რიჟამე კოჭლობით მიუყვება. კარებს რომ მიაწევს იტყვის: ,,გახლავარ ბიჭო!“)

**რენანდა.** (დადის მიუახლოვდება პალტო გადაფარებულ ადგილს) ჰო... გესიამოვნებათ აქ ჯდომა? ვისი ბრალია... ცელქობა ვერ მოიშალეთ და ვერა! (უეცრათ შეამჩნევს პალტოს) აქ რათ აგდია ასე პალტო? აი თქვე... თქვე... (აწევს პალტოს და ყველაფერს დაინახავს) ეს რაა? ა! აქაც ქეიფს ახერხებთ? დახე, დახე ამ შეჩვენებულებს!! (იცინის) ჰე, ჰე, ჰე!..

**მოწაფეები.** (შემოეხვევიან და ხვეწნას დაუწყებენ) სემეონ ივანოვიჩ... სემეონ ივანოვიჩ!

**ფიდვიანი.** თქვენი ჭირიმე... მამა ხართ ჩვენი... თქვენისთანა ხელმძღვანელი, დამრიგებელი და გამზრდელი არ გვყოლია...

**დიდურავა.** და არც გვეყოლება! ღმერთმანი, ღმერთმანი!..

**რენანდა.** (ნასიამოვნები) ჰო, თქვე ეშმაკებო... თქვენ, თქვე...

**ძიბიშვილი.** (უცებ აიღებს ერთ ბოთლ ღვინოს და ჭიქას.) ბატონო, ეს მამაჩემის მარნიდან არის, თქვენი თავი ნუ მომიკვდება, იგემეთ, ნამდვილი ცოლიკაურია...

**რენანდა.** ჰაი შე ეშმაკო... მამაშენის ღვინის ქება გამიგონია...

**ძიბიშვილი.** (დაუსხამს და მიართმევს) ბატონო, მიირთვით!

**რენანდა.** (სვამს) ჰმ... ჰმ... არა უჭირს რა!.. (კიდევ სვამს სამ ჭიქას ზედიზედ.)

**ფიდვიანი.** (მეორე ბოთლს მოარბენინებს) ეს ბატონო, ბებია ჩემის დაყენებულია, საჯავახოური ღვინო გახლავს. რომ იგემებდეთ, ძიბიშვილის ღვინოს დაგავიწყებსთ!

**დიდურავა.** ბებია მისისაში, ბატონო, ბაბუა ჩემისაც ურევია (მოწაფეებს სიცილი წასკდებათ) ე. ი. ღვინო მეთქი, მინდოდა მეთქვა! (ამხანაგებს: რა ეშმაკები გაცინებსთ...) ერთათ გამოეგზავნათ ჩვენთვის, და ჩვენს აქაურ მასპინძელს ჰურჰელი არ ქონია საკმაო, და ორივე ერთ ტიკჭორაში ჩაესხათ!.. (ამხანაგებს) არ შეგრცხვათ ახლა?! (რენანდას) იგემეთ თქვენი ჭირიმეთ! (უსხამს).

**რენანდა.** (გადახუხავს) უჰ... ეს მართლა... ძალიანია! (ძიბიშვილი უსხამს, რენანდა სვამს) ჰო... ჰო... ჰო!.. სადაური ხარ ბავშო, შენ? შე... შე... (წაქცევაზეა. მოწაფეები შეუდგებიან და გაყავთ).

**ძიბიშვილი.** შეგვრჩა დანარჩენი ვადა!

**რენანდა.** აბა.. თქვე მამაძაღლებო, იმღერეთ!

Въ селѣ малой...

Ну!

**მოწაფეები** ერთათ სიტყვას ჩამოართმევენ და **რენანდა.**

Въ селѣ малой Ванька жилъ,
Ванька Таньку полюбилъ (გადიან)
Ай ли, это што?
Ванька Таньку полюбилъ да—
Ванька Таньку полюбилъ...

(ფარდა.)

## ს ა ნ ა ხ ა ვ ი III.

სცენა გიმნაზიის საავათმყოფოში სნეულთ საწოლი ოთახი, რომელშიაც ავათმყოფი არავინ არის. ფერშალი ბესარიონი წიგნს კითხულობს მაგიდასთან. გვერდით, კედელში შედგმულია ფერშლის გარდერობის შკაფი.

შემოყავთ **რიპაძე**.

## გ ა მ ო ს ლ ვ ა I.

**ბესარიონ ფერშალი**. აა, დათიკო, დათიკო! კერიას ნახშირი! როგორა ხარ გუნებაზე?

**რიპაძე**. ყოფნით ცუდათ, მარა შენი იმედი მაქვს, რომ მომარჩენ!

**ბესარიონ**. შენი წამალი ნამდვილი ვიცი, მარა არც ერთ აფთიაქში არ იშოვება, ისაა ბელა!

**რიპაძე**. თუ არ იშოვნება, რაღა წამალი ყოფილა!

**ბესარიონ**. არა, შოვნით კი იშოვნება, მარა აფთიაქში კი არ არის...

**რიპაძე**. ოღონ მიშოვნე და აფთიაქიდან იქნება, თუ არა, რას დავეძებ!

**ბესარიონ**. ოოჰ, ჩიშმი ბავშო! შენი მაჭანკალი გავხთები ახლა, სწორეთ!

**რიპაძე**. ჰო, კაი, ბესარიონ, ქარაგმებს რომ თავი დავანებოთ... რა გინდა თქვა ახლა?

**ბესარიონ**. ვერა ვერ მოგართვესთ... ვერა... ჰო?? (ეცინება).

**რიპაძე**. (ნაწყენი დინჯათ.) არა, მაგისთანებს თავი დამანებე! (სიტყვას ბანზე აგდებს) შენ ტახტი მიჩვენე, რომელზე დავწვე? (გასახდელათ ემზადება).

**ბესარიონ**. მართლა დაწოლას აპირებ?

**რიპაძე**. (მოსავებულათ) საშინელი მომისავდა რაღაც... ერთი ძილი ახლა ქვეყანას მირჩევნია.

**ბესარიონ**. რა დაგემართა, მართლა, დათიკო?

**რიპაძე**. მთელი დღეა სისხლი მდიოდა... მიზეზი არ ვიცი რა არის.

**ბესარიონ**. მოიცა, სადაცაა ექიმი უნდა მოვიდეს... (პაუზა) მანამდი თუ მაინცა და მაინც გინდა ცოტა წაიძინე... აი ამ ლოგინზე...

**რიპაძე**. (ემზადება გასახდელათ.) ბესარიონ!

**ბესარიონ**. ჰო!

**რიპაძე**. ძალიან ბიჭი ხარ!

**ბესარიონ**. შენისთანა ჩათლახებთან...

**რიპაძე**. ჰო, კარგი ახლა ნამეტანს ნუ გადიტყლარჭები... შენ დამიგდე ახლა ყური...

**ბესარიონ**. თქვი...

**რიპაძე**. ერთი ძიბიშვილი შემომიტყუე აქ, და შენ იქ ისე მოიქეცი, მე რომ გითხრა.

**ბესარიონ**. შენ ახლა რაღაც ფოკუსი გინდა...

**რიპაძე**. მე კაცო, მომისმინე, და თუ არ დაგიჯდეს ჭკუაში, ნუ დამეთანხმები (უცებ ხელს მოიკიდებს გულზე) ვაი ბესარიონ, გული... გული!

**ბესარიონ**. (მივა და მაჯას უშინჯავს) რა ვქნა, ჩემო ძმაო, ფეხით რომ ჩამომკიდონ, მაინც უნდა ვთქვა, რომ თუ შენ ავათ ხარ, მაშინ მე მკვდარი ვყოფილვარ!

**რიპაძე**. ძალიან შეტყობა გცოდნია! აი ნახავ ექიმი რას იტყვის! (უცებ მილეული ხმით) ოჰ, გული.., გული...

**ბესარიონ**. ჰო, კაი ახლა, გეყოფა განაზება. შენ ის თქვი—რაღაცას რომ ამბობდი ძიბიშვილზე...

**რიპაძე**. (მოსავებულათ) ჰო... მართლა... რა მოსაკითხი მოუვიდა იმ შეჩვენებულს ხურჯინით... ერთი რგვლათ შემწვარი ინდოური... გარდა ამისა მარილ-წყალში მოხარშული ყვერული, ისეთი მსუქანი, ისეთი რომ... სულ ქარვის ფერი გადაკრავს... ახლა იმათთან თორნის რგვლათ გამომცხვარი ცხრა პური და სამი კეცის ხაჭაპური... ეს ხურჯინის ერთ ცალში. მეორეში კი—პატარა ტიკჭორა სვირის ღვინო, მარა

რა ფუცხუნა ღვინო, იცი? ერთი გადმოასხა ძიძიშვილმა პატარა ტიკჭორაში, და სულ ჩინჩხლებს ყრიდა და ისე გადმოდიოდა; ჭიქაშიაც სულ ჩინჩხლებს ისროდა, ჩინჩხლებს, და ენაზე ის ტკბილათ იშხუნება, რომ ყელში ვერ იმეტებ გადასაშვებათ...

**ბესარიონ**. (ათრთოლებული, ქუდს იხურავს და წასასვლელათ ემზადება. ნერწყვს ყლაპავს). შენ ახლა ის მითხარი: სადა აქვს შენახული.

**რიპაძე**. მოიცა ბესარიონ... ახლა კიდევ იმათთან ფელამუში, ღომის გულით გაკეთებული, ისეთი გამქვირვალი, ისეთი, რომ გახედო, მეორე მხრიდან ნაწერს წაიკითხავ...

**ბესარიონ**. (აჩქარებული.) შენ ის მითხარი—სად აქვს შენახული?

**რიპაძე**. ალექსის აქვს მიბარებული გარდერობში...

**ბესარიონ**. მაცა აბა, იმ ხურჯინს აქ შემოვათრევ ძიძიშვილიანათ, და ერთი ლოთიანათ მოვილხინოთ ამაღამ... შენ, იცოდე, აქ ჭკუით იყავ... მე ახლავე მოვალ... იცოდე არსათ გაიპარო... (მიდის).

**რიპაძე**. (მოსავებით) ოჰ... სადა მაქვს, კაცო, გასაპარავი თავი! (გაყვება ზანტათ ბესარიონს, შემობრუნდება, ფერშლის შკაფიდან იღებს და იცვამს მისს პალტოს და ქუდს, გადიკიდებს კაპალახს, მიიხედ-მოიხედავს, კარებს ყველას მიხურავს, ერთ ლოგინში ჩადებს მუთაქებს და ზედ საბანს გადაახურავს.) აბა, ტარიელ რიპაძე ყოჩაღათ! რანდევუ უსათუოთ უნდა მოხდეს... გულო, მაგრათ! „შეყრა არის პირიანი ორთავეა რადგან ნება!“ აბა! (გააღებს ფანჯარას და გადახტება).

(ფარდა).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა II.

საღამოს ბინდია. ქუჩა. ცალი მხრით ღობე შემოვლებული ბაღი, ბაღის სიღრმეში ერთ სართულიანი სახლი, ჭიშკარი არ ჩანს.

**რენანდა.** (სიმთვრალე ეტყობა, ღობის სარს ჩაჭიდებია, ბარბაცობს.) დაწყევლოს ეშმაკებმა! ბაღი ეს არის და სახლი ეს, ჭიშკარი სად დაიკარგა? ღია უნდა დამხვედროდა... ეს ღობე რაღაც მეუცნაურება. (ამ დროს გამოჩნდება რიპაძე ბესარიონის პალტოში და ქუდში გაბალახ მოხურული).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა III.

**რენანდა და რიპაძე.**

**რიპაძე.** (გაჩერდება და მიაცქერდება რენანდას. განზე:) ვაიმე, დავიღუპე კაცი! ჩვენი დირექტორი!..

**რენანდა.** (შედებს ფეხს ღობის წნელში, მოებღაუჭება წვრილ და დამპალ სარს და ბაღში გადასვლას მოინდომებს. სარი მოტყდება, რენანდა პირაღმა დაეცემა მიწაზე, სარი მოხვდება შუბლში, მორთავს ღრიალს:) მიშველეთ! მომკლეს! მიშველეთ! (განაგრძობს ღრიალს, რიპაძე გარბის).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა IV.

იგინივე და სალდათი.

**სალდათი.** (გადაეღობება რიპაძეს და გაქაჩავს.) კაცი მოგიკლავს და მირბიხარ? ვერ წახვალ, ვერა!

**რიპაძე.** ძმობილო, მე სახლში მიმეჩქარება, მე აქ არაფერ შუაში ვარ, გამიშვი, თუ ძმა ხარ!

**სალდათი.** (წაართმევს გაბალახს და მირბის.) შენ იქით გაიქეცი და მე აქეთ გავიქცევი. (რიპაძე და სალდათიც გარბიან სხვა და სხვა მხრით).

(ფარდა).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა V.

(სცენა წარმოადგენს გიმნაზიის საავათმყოფოს).

**ბესარიონ**. (მიადგება იმ ლოგინს, რომელშიდაც რიპაძემ თავის მაგიერ მუთაქები დააწყო და საბანი გადაახურა). ამ ვაჟბატონს დაუძინია კიდეც? ჰოი, შენ დაგლუპა ჩემმა გამჩენმა! (გადააძრობს საბანს და დაინახავს მუთაქებს), აა! კიდევ გამეპარა ის შერჩვენებული? კიდევ თუ ჩემი ტანისამოსი მოიპარა? ერთი ვნახო... (გაადებს შკაფს და დააკვირდება) არა, ეს კი ნამეტანი თავის გდებაა! ვაყურებიებ მის სეირს, თუ ცოცხალი მობრუნდა!..

## გ ა მ ო ს ლ ვ ა VI.

იგივე და სოფრომა

**სოფრომა**. (მორიდებულათ) ბესარიონ, რა ვუყოთ იმ ყმაწვილს, რიპაძეს, კიდევ გაპარულა და ახლა მოდგომია ჭიშკარს, მარა ვაი ისეთ მოდგომას; ისეთია, რომ ქვას დაადნობს მისი ცოდვა... საშინლათ იხვეწება—გამიღეთ ჭიშკარიო. გავუღოთ ბესარიონ? ა?

**ბესარიონ**. (შემკრთალი.) გაუღე, გაუღე მალე, რაღა გაეწყობა... მარა ეს კი იცოდე სოფრომა, შენ გააფუჭე მაგი. (სოფრომა მირბის.) მშვიდობით მაინც მოვიდოდეს ის შერჩვენებული, და ჩემ ტანისამოსს მთელათ მოიტანდეს, მე მეტი არა მინდა რა.

## გ ა მ ო ს ლ ვ ა.

იგინივე და **რიპაძე**.

**რიპაძე**. (შემოდის დარცხვენილი და მოწიწებით.) ბესარიონ, უკანასკნელათ ჩემ სიცოცხლეში.... მაპატიეე...

**ბესარიონ**. ვიცი, შენი უკანასკნელათ რას ნიშნავს! (შიაცქერდება) კაბალახი, ჩემი კაბალახი სად არის ბიჭო?!

**რიპაძე.** (ხუმრობით.) შენი კაბალახი ბესარიონ... ნუ კი გამიწყრები ჩემო ბესარიონ... დამნაშავეთ იცნეს და სამხედრო ძალით დააპატიმრეს...

**ბესარიონ.** რა თავს იგდებ! რიპაძე და რენანდა ვერას ეარშიყებოდეს, ბესარიონის კაბალახი რა შუაშია?!

(ფარდა).

## გ ა მ ო ს ლ ვ ა VII.

### რენანდა, გილნევსკი და გილნევსკის ბიჭი.

(გილნევსკის და ბიჭს აუყვანიათ რენანდა და მიყავთ სახლისკენ.)

**რენანდა.** (ოხრავს) თავს დამესხა ერთი ვიღაც თქვენი ბაღიდან, აქაური იყო, აქაური... გრძელ ჩოხიანი, ეს ნამდვილათ შევამჩნიე!

**გილნევსკი.** (შემკრთალი.) აი, ღმერთმა დაწყევლოს აქაურები დედა-ბოჭიანათ! ავაზაკობისა და უზნეობის მეტი მაგათგან არა გამოვარა!

**ბიჭი.** (რენანდას მოწიწებით.) ბატონო, ის ვინც თქვენ დაინახეთ, შუა ტანის და პირ ხმელი უნდა იყოს, არა?

**რენანდა.** (გახარებულსავით.) ჰო, ჰო, ამას ცოდნია, ამას!

**ბიჭი.** (დაბეჯითებით.) ჰო და, აბა, ის ბატონო, ჩვენებური კი არა და (იფურთხება) ფუი ეშმაკს—მაჯლაჯუნაა ბატონო, მაჯლაჯუნა! ნამეტანი ეტანება ის შერჩვენებული ბატონის ქალიშვილის ფანჯარას. რამდენჯერ გამოვსულვარ უკუნია ბნელაში ეზოში, და ის შერჩვენებული, დამინახავს თუ არა, მოსხლტება ფანჯარას, და მოცხრილავს საოცრათ და უხორცოსავით გადაევლება ღობეს!

**გილნევსკი.** (გულმოსული.) რას ბროდიალობ შე ტუტუცო, რისი მაჯლაჯუნა, რა მაჯლაჯუნა?!

**ბიჭი.** (აწყვეტინებს.) აბა, ბატონო, რატომ არც ერთი ჩვენი ძაღლი არ ერჩის?! თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემ თავს, მაჯლაჯუნაა, მაჯლაჯუნა!

(ფარდა).

# 1903

# ს ც ე ნ ე ბ ი

## მომრიგებელ შუამავლის კამერაში.

## 1865—1866 წ.

### I.

თ-დი ომაინ ქველიაშვილი და მისი გლეხი.

სცენა წარმოადგენს ბატონ-ყმობის მოსპობის დროს პირველათ გამწესებულ მომრიგ.-შუამავლის კამერას. შემოვლენ თ-დი ომაინ ქველიაშვილი, თავაღერილი, პირქუში; მას უკან ტაატით მოჰყვება შეწუხებული გლეხი. ქველიაშვილს ხელთ უჭირავს გირვანქა სტეარინის სანთელი.

**ომაინ ქველიაშვილი.** (ძველებურ კაბით, აღელვებულია, დადებს სტოლზე სანთელს.) ააა! გადაბრუნებულ დროის წყალობა!

**მომრიგებელი შუამავალი.** რა ამბავი, ომაინ, რას ჩივი??

**ომაინ.** ნახეთ, მაგ რაც მოგართვით და შეიტყობთ ამ ვაჟბატონის (უჩვენებს გლეხს) ნასიკეთვარს; ნახეთ და სამართალი გადამიჭერით! ჯერ ნახეთ!

**მომრიგებელი შუამავალი.** (ნახავს სანთელს, ამოიღებს, ერთი გატეხილია.) ჰო... ერთია გატეხილი! მერე, რაო!

**ომაინ.** როგორ თუ რაო?! ბატონო მსაჯულო თქვენ ბრძანებთ მაგას? რაო და ის, რომ ეს ვაჟბატონი გუშინ ალიონზე გავაგზავნე ფეხით ქუთაისს ამ სანთლის საყიდლათ და იმის მაგივრათ რომ გუშინვე დაბრუნებულიყო და სანთელიც მთელათ მოეტანა, დღეს დილით იკადრა მობრძანება და

ერთი ღერი სანთელიც სულ მთლათ დაუფშვნია!! აბა, ასე წახდა დრო ამ, ოხრის მოგონილ, თავისუფლებისა თუ თავის აგდების წყალობით!! მაგ ლაწირაკი უწინ გაბედავდა ბატონისთვის ნაყიდ სანთლის გატეხას? ან გატეხდა და ზედ თავის ტვინსაც არ დააქცევდა?! ან არ დაიგირავებდა თავს და სამაგიეროს არ იყიდდა და არ მომიტანდა?! მარა ახლა რაკი გამოცხადდა თავისუფლება—თუ თავის გდებაა, რაცდა—ვინ გაგდებს ბატონს ბატონათ, თავადს თავადათ, ქველიაშვილს ქველიაშვილათ, პატრონს პატრონათ, მეფე სოლომონის მამიდაშვილის რძალის დეიდის შვილის შვილის შვილ...

**შუამავალი.** (არ აცლის) მერე, ბატონო, ომაინ რა გნებავს ახლა?

**ქველიაშვილი.** ჰმ! რა მნებავს? ნებაზე აღარაა ახლა საქმე, თვარა მე აქ ვერ მნახავდით! მე კაძახს არ ვუჩივლებდი!.. (ჩაფიქრდება) ჰეი, ჰეი! დრონი მეფობენ და არა მეფენიო... ახლა კი გლეხები სუფევენ და არა თავადები! რა გაეწყობა! როცა მელიცია ეჭირვებოდა იმ დალოცვილ რუსთ ხელმწიფეს, და ხვანთქრის ჯარს ჩოლოქზე ბდღვირს ვაყენებდით ზურგზე, მაშინ ძალიან გვაფასებდა და ახლა კაძახიც...

**შუამავალი.** (გააწყვეტინებს სიტყვას) საჩივარი ბრძანეთ, ომაინ, საჩივარი რა გაქვთ!

**ქველიაშვილი.** საჩივარი... მომისაჯეთ ზარალი და საქმის საწარმოვებელი ერთი-ორათ, გარდა ამისა სასჯელი...

**შუამავალი.** (გლეხს) შენ მითხარი, რამ შემოგატეხა ხელ'ში ის ერთი ღერი სანთელი?

**გლეხი.** (ამოიოხრებს ხელებს გულზე დაიკრეფს) ბატონო, ჩემო მწყალობელო, აქეთობას იმ ჩემს ამოსაგდებს ქვას წამოვკარი, ფეხი ოლასკურვის პირათ და დავეცი. შემიწყალა ღმერთმა და მარტო ერთი ღერი გატყდა, მარა ჩემმა ბატონმა კი, რომელსაც ოცი წელიწადი ვემსახურებოდი...

**ქველიაშვილი.** (არ აცლის) მემსახურებოდი!.. რა გიჭირს აწიც მემსახურო?? რუსი გაგიტანს ჩემზე უფრო?!

**გლეხი.** (შუამავალს) ჰო, იმას მოგახსენებდით, ჩემო ბატონო, ბატონმა არ შემიწყალა... ახლა შემიბრალეთ, ბატონო მოსამართლევ, და თუ გადასახადათ დამადებთ ერთი ღერი სანთლის ფასს, ერთი თვის ვადა მომეცით, რომ დავიმუშავო როგორმე, თვარა ფარები ვინ მომცა ნაღდათ ხელში...

**შუამავალი.** (ომაინს) აი, ომაინ, რას ამბობს მოპასუხე! აპატიეთ, ასეთი საჩივარი არც შენ გეკადრება...

**ქველიაშვილი.** უი, დალოცვილო, კადრების დრო, თქვენი წყალობით, წავიდა!.. აკი როცა აცხადებდით კაძახების თავისუფლებას—თუ თავის გდებას—გვირჩევდით, ბატონო კაცებო, მებატონეებმა აწი მომჭირნეობას უნდა დაადგეთო? აი, ესეც მომჭირნეობა! პატივება რას ჰქვია? რაც წამართვით,—წამართვით და რაც ვერ წაგირთმევიათ ის ჩემგან პატივებით გინდათ წაიღოთ! აჰ... აღარ, აღარ!

**შუამავალი.** აპატიეთ, აპატიეთ...

**ქველიაშვილი.** არა. დაწერეთ განჩინება.

**შუამავალი.** (წერს განჩინებას და უცხადებს მომჩივარ მოპასუხეებს) რადგანაც საქმიდან არა ჩანს, რომ მოპასუხეს განზრახ გაეტეხოს ის ერთი ღერი სანთელი, არამედ ეს მოსვლია მას სრულიათ შემთხვევით—ქვაზე უცაბედათ ფეხის წამოკვრით, ამიტომაც საჩივარი ბატონ ომაინისი დავტოვე უყურადღებოთ და დავადგინე გადახდეს მას მოპასუხის გაცდენისათვის სამი შაური ვეცხლის ფული...

**ქველიაშვილი.** (შეკრთება) ა? ვეცხლისო მაინცა და მაინც? გროშებათ არ მიიღებს, მაგის თავის გახეთქამ!! განჩინების პირი მიბოძეთ, განჩინების პირი... (აიტეხს ისტერიულ სიცილს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... (კარებთან რომ მივა წაიბურდღუნებს) თუ ღმერთმა ქნა და ისევ მოადგა ხვანთქრის ჯარი ჩოლოქს!!!
(გავა. გლეხი ფეხ-აკრეფით ნელა გაჰყვება.)

## II.

### კნეინა გულჩინა ქამარაძისა და მისი ნაყმევი.

(იგივე სცენა მომრიგებელ შუამავლის კამერაში. გულჩინა ახალგაზდა ქვრივი შემოდის ქაქანით, მას შემოუვება გლეხი ახალგაზდა კარგი თვალ-ტანადი).

**გულჩინა**. ბატონ მომრიგებელ შუამავალს ვახლავარ! ღმერთმა გვიდღეგრძელოს შენი თავი! აბა შენ იცი, შენი ჭირიმე, თუ ამ კაძახს არ ააგდებიებთ ჩვენ თავს! დედა, აქარ და ქალიაო და გადაჯირგალება არ მოინდომა შემდეგ იმისა, რაც ის ოხრობა—ბატონ-ყმის მოსპობა—გამოცხადდა!! მიშველეთ რამე, ამ კაძახს ნუ გადააჯირგალებიებთ ჩემ თავს...

**შუამავალი**. რას ჩივით, ბრძანეთ ჯერ და...

**გულჩინა**. ბატონო, ერთი პატარა, სულ პაწაწინა ჭური მაქვს ამოსაწმენდი... ამ ღვთის-პირისაგან შეჩვენებულს ერთი კვირაა ვემუდარები ამომიწმინდე-თქვა, ამომისპეტაკე-თქვა, ამომირეცხე-თქვა... ვითამ კიდეც ჩადის იმ ჩემ პატარა ჭურში, კიდეც ვითამ ფაცურობს, ამ გრძელ ჭურის სარცხელს უხლახუნებს და უხლახუნებს, მარა—ეშმაკობს მგონია—მაინც ვერ ამომიწმინდა, ვერ ამომისპეტაკა, ვერ ამომირეცხა და ვერა... უბრძანე, შენი ჭირიმე ერთი კარგათ ამომიწმინდოს, კარგათ ამომისპეტაკოს და კარგათ...

**შუამავალი**. (აწყვეტინებს სიტყვას) ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყრა ერთი პატარა ჭური ვერ ამოუწმინდე ამისთანა ქალ-ბატონს?! არა გრცხვენია მაგაზე აჩივლებ?

**გლეხი**. რა ვქნა შენი ჭირიმე? ქრისტე ღმერთია მოწამე, რომ თავად ეს ქალბატონი მადგება თავზე და მე, რაც ძალა და ღონე მაქვს, თავს არ ვშურავ ისე ვუხლახუნებ და ვუხლახუნებ ამ ჩემს სიგძე სარცხელს იმ ჩემი ცოდვით სავსე ჭურს, მარა...

**გულჩინა**. (სიტყვას აწყვეტინებს) არა, არა! მე, ბატონო

მომრიგებელო შუამავალო, რათ მინდა ამ ვირი კაძახის მარტო ხლახუნი, თუ... (აქ გულჩინა თვალს მოჰკრავს, რომ შუამავალი ძლივს იმაგრებს თავს სიცილისაგან, თავათაც წასქდება თავ-დაჭერილი სიცილი, ამის დამნახავი გლეხი იცინის ჩუმათ).

**შუამავალი.** (გლეხს) გასწი აქედან, ჩქარა, და იცოდე კარგათ ამოწმინდე ის პური! მეტი აღარ გიჩივლონ იცოდე. (გლეხი თავს უკრავს და მიდის. შუამავალი მიუბრუნდება მერე მომჩივანს) ბატონო, გულჩინა, როგორ გეკადრება მაგისთანა რამეზე ჩივილი? ნურც გგონიათ, რომ მე აქ თქვენი რაღაც ხლახუნის გასარჩევათ ვიყო გამოგზავნილი ხელმწიფისაგან!! მე მარტო საქმისათვის ვარ აქ...

**გულჩინა.** (აკაპასებული) ჰო, ძალიან კარგი! რაკი მასეა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! დაგელოცათ მოსამართლეობა, ძალიან სამართალი არ გადაუქერით ქვრივს! ერთი შეგერისხათ მაინც... (მიდის და მიბურდღულობს) ღმერთმა მოგკითხოს ნაცვალი ზურაბ სახლთუხუცესო!.. შენ რომ არ გეღალატებია მეფე სოლომონისათვის, ჩვენ ამ დღეში არ... (გადის და ხმა გარკვევით აღარ ისმის).

## III.

### სამსონა ახობაძე.

შემოდის შუახნის გლეხი. მძიმეთ თავს დაუკრავს შუამავალს, წელში გასწორდება და ელის.

**მომრიგებელ-შუამავალი.** რას იტყვი?

**გლეხი.** თქვენს დღეგრძელობას, თქვენს...

**შუამავალი.** საჩივარი, საჩივარი, თუ გაქვს რამე, თვარა არ მცალია!..

**გლეხი.** მოგახსენებთ, შენ ხარ ჩემი ბატონი. ჰმ. გამწყვიტა წელში ამ ჩემმა ქალბატონმა, აღარა ვარ მეტი, ისე მაწვალებს!.. ჩემს მეტი აღარავინ გააჩნია, ის ერთი ქვრივი, ბა-

ტონი—და მე ერთი ღერი კაცი, მისი ნაშინაყმევი... თავად აბა, როგორ იკადრებს რამეს გაკეთებას, ან ვინ აკადრებს! შემომჩერებია მარტო მე და—ქენი და ქენი სამსონაო!.. სად შემიძლია, შენი ჭირიმე, ყველაფრის ქნა? მეც კაცი ვარ ხორციელი, რკინა კი არა ვარ... მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, შინ საქნელს რომ მოვრჩები, დამსაქმებს რაცხას, მატუცვიებს თავს და ამომაყოფინებს ჭაგანში ვინმესთან მოსაკითხი წიგნით. დავბრუნდები იქიდან აქენთელებული და არც დამასვენებს ისე— მაკვრევინებს თავს და ამომაყოფინებს ჭყუშურში ღვინის წამოსაღებათ. მოვალ იქიდან, დავისვენებ მგონია, მარგამ არ შეგჭამოს ჭირმა! მაშინვე მაქნევინებს თავს პირუკულმა და გამახუნტრუცებს სამტრედიისკენ... მოვკვდი კაცი და, თუ ეს თავისუფლებაა, აღარ ვიცი!..

**შუამავალი**. რა არის ახლა შენი სათხოვარი?

**გლეხი**. იმას გევედრებით,რომ უბრძანოთ ნუ მაწვალებს ასე!

**შუამავალი** კარგი, კარგი, ვნახავ სადმე და ვთხოვ უფრო ლმობიერათ მოგეპყრას...

**გლეხი**. ჰო, შენს მუხლებს შემოვევლე! თუ ნახოთ, ბატონის ჭირიმე, ასე უბრძანეთ: ამ უბედურ სამსონიას როცა შინ ბევრი საქმე ჰქონდეს თქვა იმ დღეს მისს ოხერ თავს ნურც ჭაგანში ატუცვიებ-თქვა, ნურც ჭყუშურში აკვრევინებ-თქვა და ნურც სამტრედიისკენ აქნევინებ-თქვა, თვარა-თქვა...

**შუამავალი**. ჰო, კარგი, გეყოფა... ვიცი რაც ვუთხრა! წადი ახლა! (გადის კამერიდან).

## IV.

### თავადი ავთანდილ ქველიაშვილი და მისი შინაყმა.

*(იგივე სცენა. შემოდის ავთანდილ ქველიაშვილი. ღრმა მოხუცი, ხმელ-ხმელი ტანის, ძველი ქართული კაბა აცვია, თეთრი გაჩეჩილი თმა აქვს, ქამარი ახალუხზე არტყია, მოკლე მოკაკული სპილოს ძვლის ტარიანი ვერცხლის სატევარი ჰკიდია. სიარულის დროს შინაყმას ებჯინება.)*

**ავთანდილ**. ბატონს ლეონს, მომრიგებელ შუამავალს, ჩემი უმდაბლესი სალამი!

**შუამავალი**. ბატონს ავთანდილს სიკეთე! რამ გაგსარჯათ, რას ბრძანებთ?

**ავთანდილ**. თქვენს სიკეთეს, თქვენს კარგათ ყოფნას! დროის უკუღმართობამ მომიყვანა, ბატონო ლეონ, დროის სიწამხდრემ! ვითამ რაო ამ რუსმა? მის მეტი არავინ ბრძანებულა ამ ჩვენს ქვეყანაში თუ რა?? მარტო მაგას მოუვიდა ფიქრათ მთა და ბარის გასწორება? არა, ბატონო ლეონ... ეს ჩვენი ქართლოსიანთ ქვეყანა დიდი ნაჭირნახულევი ქვეყანაა... ბევრი სხვა და სხვა ბატონი ჰყოლია სხვა და სხვა დროს, მარა იმ ბატონების ახლა ძვლებიც კი დამპალია მიწაში და ჩვენ კიდევ დავკინკილებთ ამ ცოდვილ დედა-მიწაზე!! დაილოცა ღვთის სამართალი! ვინც მოსულა, ისევ წასულა... მოსვლისას ჩვენ ვუტირებივართ, წასვლისას თვითონ უტირიათ მწარე ცრემლით!.. რუსთველმა თქვა: „მაგრა ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსაო“... ღმერთთან საკმეველი, მეფესთან ამაგი თავის გზა-კვალს არ დაკარგავს! ახლა კიდევ დავრწმუნდი ამ თქმულების სიმართლეზე... ჩვენი ძველი, ბატონო ლეონ, დიდი ნამსახური იყო იმერეთის მეფეებზე. მამაჩემს ანდუყაფარს დიდი ამაგი მიუძღოდა დავით მეფის წინაშე გოდოგნის ომში, დიდი! დიდათაც დაასაჩუქრა მეფემ და დალოცა კიდეც. აი იმის ლოცვის მადლმა ახლაც მიწია! . აი შენი ჭირიმე, რუსი რომ ჩემს შინაყმას ვითამ იბრალებს და თავისუფლებას აძლევს, ის შინაყმა, აი, ეს გლახუა მენალიშვილი არ მშორდება, უნდა თქვენი დამოწმებული პირობა მომცეს, რომ არ სურს თავისუფლება და არ მომშორდება სიკვდილამდე!! ახლა ორივე იმას გთხოვთ ასეთი ხელ შეკრულობის ქაღალდი დაგვიწეროთ! (გლეხს) ხომ ეს არის, გლახუა, შენი სათხოვარიც?

**გლეხი**. (ესეც ხნიერია, თუმცა ჯანიანი, თეთრი თმა წვერულვაშიანი. უბრალო იმერული ჩოხა-ქალამანი აცვია, მხარზე ყაბალახი აქვს გადაგდებული.) დიაღ, შენი ჭირიმე! უკეთეს ბატონს სად ვიშოვნი? ამასთან დავბადებულვარ, ამასთან უნდა მოვკვდე, თუ ხელმწიფის საწყენი არ იქნება!

**შუამავალი**. თქვენი თხოვნა ყოვლათ უკანონოა და მე არ შემიძლია შევიწყნარო; ბატონო ავთანდილ, ბატონ-ყმობა მოისპო ამიერ და უკუნითი-უკუნისამდე, იმის დაბრუნება, თუ გინდ რომელიმე ერთს კერძო შემთხვევაშიაც ყოვლად შეუძლებელია. დამერწმუნეთ ამაზე!

**ავთანდილ**. (გააქნ-გამოაქნევს თავს, ამოიხვნეშებს!) ბატონო, მომრიგებელ შუამავალო, მიბრძანეთ: ეს გლახუა ხომ თავისუფალია? ე. ი. უფალია, ანუ სრული პატრონ-ბატონი თავის თავისა? არა ბატონო?

**შუამავალი**. ჩემო ავთანდილ. ის თავის უფალიცაა და თავის თავის პატრონ-ბატონიც, მარა კანონიერების ფარგალში, ეს იცოდეთ... მას არ შეუძლია, მაგალითათ ამ შემთხვევაში, მოითხოვოს რომ მისი სურვილი თქვენდამი დამონებისა ცნობილ იქნეს კანონისაგან. კანონი ამის ნებას არ მიცემს.

**ავთანდილ**. ჰო და მაგ თავისუფლება წასვლის თავის უფლება ყოფილა და არა დაბინავების... საჩუქარი ყოველი ჰგავდეს გამომჩუქებელსაო... ჰეი, ჰეი! დავით მეფეს გოდოგნის ომის შემდეგ ერთი ლექსი გამოუთქვამს... მამაჩემისაგან გამიგონია... მარა აღარ მახსოვს... ჰო... ეს იყო მგონია:

„... რა დროს მოვესწარ დაწყევლილს,
გულს ცეცხლათ მომდვა გენია:
ოხერი ოხრათ მოსული,
მას გვართმევს, რაც რომ ჩვენია!
ჩვენგან ზოგიც ხელს უწყობს,
მსახურობს... არც კი რცხვენია...
ღმერთო მომადლე შვილთ მაინც
ნაცვლის საზღვევი ზნენია!..“

მშვიდობით, ბატონო მომრიგებელ შუამავალო, არ დამდევი პატივი, მარა ვნახოთ... ღმერთი მოწყალეა... ვინც მოსულა ჩვენ ავუტირებივართ, წასულა თვით უტირია... მწარე ცრემლით! მწარე ცრემლით! (გლეჯს) წავიდეთ გლახუა. (მიდიან).

1 9 0 5

# წ ყ ა რ ო ს ე მ ყ ზ დ ე ნ...

ვუძღვნი აკადემიკოსს ნიკ. მარრს.

## ს ც ე ნ ე ბ ი

### წარსული საუკუნის გაზეთის რედაქციაში.

—

მოქმედნი პირნი:

რ ე ვ ა ზ შ რ ო ა ძ ე რედაქტორი.

ზ ა ა ლ ბ უ რ თ ა ძ ე, რედაქტორის თანაშემწე.

ლ ე ვ ა ნ უ ძ ღ ე ბ ა, დამოუკიდებელი თანამშრომელი.

ი ვ ლ ი ა ნ ე გ ა ხ ა ძ ე, თანამშრომელი.

ნ ა რ ი მ ა ნ ნ უ ზ ა შ ვ ი ლ ი } სათანამშრომლონი.
ქ ა ი ხ ო ს რ ო ა რ უ თ ა შ ვ ი ლ ი }

ბ ა ა დ უ რ მ თ ა ვ ე ლ ი ა ნ ი, წარჩინებული თავადი, მთავრობისაგან დაჯილდოვებული, მსუქანი, ჩარგვალებული კაცი, მგლისა და თხის შერიგების მსურველი.

ნ ი ნ ი ა ე რ ა ს ტ ი ძ ე თავადი, ბაადურის შინაკაცი, რედაქციის თანამგრძნობელი.

ბ ი ჭ ი.

უფროსი ამწყობი ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო ო მ ა დ მ ა თ ი ძ ე.

—

### სანახავი პირველი.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

**რევაზ შროაძე.** (შემოდის რედაქციის კაბინეტში, დაჯდება, ამოისუნთქავს მძიმეთ, ქუდს და პორთფელს მაგიდაზე დადებს. მას

ფეხ და ფეხ შემოყვება ზაალ ბურთაძე, ქუდს მოიხდის, ხვნეშით ხელს თავზე გადაისობს, მერე ხელსახოცით იწმენდს ოფლს.) უუფ! (მოუჯდება მაგიდას) რა ძნელია სამშობლოს სამსახური! ორმოცი წელიწადი რუსეთის მთავრობას ვემსახურებოდი ხმლითა და ცხენითა და ესოდენ არ გამჭირვებია, როგორც ამ რედაქციაში.

**ზაალ ბურთაძე.** მაშა, ჩემო რევაზ-ჯან, როგორ გეგონა? სიკვდილს შემდეგ მამულიშვილობის ძეგლს ასე ალა-ალა მოელოდი?! სამარემდე უნდა ვზიდოთ უღელი ჩვენი, და მხოლოთ სამარეზე დაგვადგება ნათელი, მაშა!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

იგინივე და ლევან უძღება.

**ლევან.** ვა, ვა, ვა, ვა! რა ნომერია, რა ნომერიააა! ღმერთმა შემარცხვინოს, თუ ასე გასტანა... გუშინაც, დახე, შენა ხარ ჩემი ბატონი... კლუბშიაც ვეუბნებოდი, რა ჰქვია იმ მამა ოხერსა, იმასა, აი, ცხვირი რომ გოჭის კუდს უგავს და თვალები გომფაშოსა? აი, იმ... ჰო, სულ ერთია—იმას ვეუბნებოდი—რომ რაც საქართველოში გაზეთები არის, ყველა დაიხურება, და ყველას ხელის მომწერლები ჩვენს „მთვარესა" მოაწყდება, ვით ნიაღვარი კლდის ნაპრალთა, ვითა ჯოგი ველისა და ზლოკვნი ხვრელთა... თქვენა ხართ ჩემი ბატონი... საოცარი ნომერია, საოცარი! მთელი რიყის ხალხი სულ ასე ლაპარაკობს: თუ ასეთი ნომრები იქნაო, როგორც ბუზნი თაფლსაო, ისე დავესევითო, (რევაზ და ზაალი ერთმანეთს გადახედვენ გახარებულნი, თავის დაკვრით.) თქვენა ხართ ჩემი ბატონიი! ჰი! ჰი! ჰი! (იცინის) მეტადრე ძლიერა მოსწონთ...

**რევაზ და ზაალ.** (ერთათ) შენი ფელეტონი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა!

**ლევან**. (მორცხვათ თავს ჩაქინდრავს) დიდი ბაიყუშები ხართ! როგორა მისანსავით მიხვდებით, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა! (მოუჯდება მათ გვერდით, შუბლზე ხელს გადაისობს) წუხელისა ძიელა გადავკარ და თავი მტკივა! მუცელიცა მგვრემს... ვგონებ თევზმა მაწყინა, ცოცხლათ რომ გადავსანსლე! რევაზ, ერთი ოციოდე მანათი ხომ არ გექნება რედაქციის კასაში, აა? ძიელა მჭირია მე და ჩემმა ღმერთმა, შვილი უნდა მივაბარო სასწავლებელშია!

**რევაზ**. (მუცელზე მოიჭერს ხელს) ოი, ოი, ოი!

**ლევან**. რა დაგემართა?

**რევაზ**. მუცელი ამტკივდა, მუცელი!

**ლევან**. დალოცვილო, არც მანგრე ვარგა, როგორც კი ფულს მოგთხოვ ნაწერებშია, მამწამს, შენა ხარ ჩემი ბატონი, მუცელი აგტკივდება? რატომა, გაიგონე, მე არა ამტკივდება მუცელი, როდესაცა შენ სტატიების წერასა შემომიკვეთ? ჰა?

**რევაზ**. ჰო, დაიცა, დაიცა! რაო ეხლა?

**ლევან**. მე პირამთქმელი კაცი ვარ... მასე თუ კვლავაც გაირჯები, ყველა თანამშრომელს შემოიცლი, შენა ხარ ჩემი ბატონი, და მერე მისდევი და ითვალე რუსეთიდან რაც ეკატერინეს მანეთები ჩაჰოგყვა. (მიდის სცენისკენ და ლაპარაკობს) თქვენს ლიტერატორობასაც კი რა ვუთხარ... ან რა რჯიდა გახუნებულ ჩინოსანს ჟურნალისტიკაშია? გეთაყვა, ე რა დრო დადგა!

**რევაზ**. ჰო, მოიცა, მოიცა!

**ლევან**. (მოიხედავს და დაბრუნდება) მაშ, ვერ მომცემ დღესა?

**რევაზ**! დაჯექ, კაცო! უთუოთ, ხათრიჯამათ იყავ, ხვალ დილით ადრე მოგართმევ, უზმოთა!

**ლევან**. შენი ნება იყოს!..

## გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

იგინივე და **ივლიანე გახაძე**.

**ივლიანე**. (მიმართავს რევაზს.) ბატონო რევაზ! არ შეიძლება ერთი ორი მანეთი მიბოძოთ?

**რევაზ**. ა? ერთი ორ... (უცებ მუცელზე შემოიჭერს ხელს) ოი, მუცელი, მუცელი! ჰმმმ... ოჰ, ვაი, ვაი! (ზაალი და ლევან ერთმანეთს გადახედვენ და იღიმებიან).

**ივლიანე**. გარდა იმისა, ბატონო რევაზ, თუ გასამრჯელო თავ-თავის დროზე არ მაძლიეთ, მე ხელს ავიღებ „საზღვარ-გარეთის" განყოფილების შედგენას... არ შეიძლება უსაჭმელოთ და უტანისამოსოთ კაცმა გულიანათ წეროს.

**რევაზ**. ჰო, მოიცა, მოიცა! „საზღვარ-გარეთის" განყოფილებას ველარ შეადგენ. არა? ჰა? დაიცა! რა გითხრა, ერთიც ახლე ჩვენ შორის ვსთქვათ: რათ უნდა ქართულ გაზეთს „საზღვარ-გარეთი", როდესაც ,,საზღვარ-შიგნითი'' ხელიდან მიგვდის? ჰა?..

**ივლიანე**. (გულ-მოსული) როგორ თუ რათ უნდა? ბატონო რევაზ! რათ კიდებდით გაზეთს ხელს, თუ მეტი არა გაგეგება. (სხვები შეიშმუშნებიან და ერთმანეთს შეხედავენ) ჰო, თუ მეტი გამოცდილება არა გქონდათ? თუ ჩვენ ჭკუა „საზღვარ-გარეთიდან'' არ ვისწავლეთ, მათ, საზღვარ გარეთელებს თუ არ მივბაძეთ, მათი გამოცდილებით თუ არ ვისარგებლეთ, ყველაფერს საწალმართოში, ,,საზღვარ-შიგნითაც'', რაც დღეს მიგვდის ხელიდან ხომ ისიც კმარა, და შემდეგში კიდევ უფრო მეტს დავკარგავთ...

**რევაზ**. აი, გამიგონე... სად შეგვწვდება ჭკუა, ან ცოდნა, რომ ,,საზღვარ-გარეთის'' ცოდნა და გამოცდილებით ვისარგებლოთ? ჰა? ცოდვა-გამჟღავნებული სჯობს! თუ რასმე ვისწავლით და შევიძენთ —ისევ ჩვენი მებატონე ხალხისაგან. ჩვენი სული და გული რუსეთის ცხოვრების შესწავლას უნდა მოვანდომოთ მთლათ, სავსებით, გულის ხმიერებით...

**ივლიანე**. განა მე წინაამდეგი ვირ რუსეთის შესწავლისა. აკი მაგისათვის არის ცალკე, „რუსეთის“ განყოფილება ყოველ ნომერში? მარა „საზღვარ-გარეთი“ მაინც საჭიროა ჩვენისთანა ხალხისათვის, იქ ჩვენ ვხედავთ ჩვენსავით ჩამორჩენილ, დამონავებულ ერებს, რომელნიც იღვწიან, გონებით ვითარდებიან, სულით მაღლდებიან და სხვანი და სხვანი.

**რევაზ**. (შეშინებული სახით გადახედავს სხვებს.) ვაი!

**ზაალ**. (შეშინებული) კარგია, მამა გიცხონდება! მაგრე მაღალ ფარდებს ნუ ვებღაუჭებით! საზღვარ-გარეთსა, თუ შენ მაინც და მაინც ხელს აალებ, თავის დროზე მაინც მივატანთ. მანამ კი შინაობაშიაც დიდნი საქმენი გვაქვს; ენა, ეკლესია, თავად აზნაურობის აუწყული საქმეები...

**რევაზ და ლევან**. (ერთად) მე და ჩემმა ღმერთმა!

**ივლიანე**. მე ჩემი კუჭის წვა მაწუხებს, მარა მაინც ვიტყვი, რომ ეს გაცვეთილი ფრაზები ნუ დაგვიჩემებია ამ „მთვარის“ რედაქციაში!.. სირცხვილია... გაზეთი გონების გამოფხიზლებას და ერის თვით შეგნების გამტკიცებას უნდა ემსახურებოდეს უპირატესათ და უმთავრესათ, და არა ენას, რომელსაც ქმნიან არა პუბლიცისტები და ყველ-დღიური პრესსა, არამედ ბელ ლეტრისტები, პოეტები, დრამატურგები და მეცნიერნი მწერლები, ხოლო მათ მასალას აწვდის თვით ხალხის შემოქმედებითი ნიჭი მეტყველებისა, მისგან შემუშავებული საფანელი ენისა...

**რევაზ**. ჰოი, ღმერთებო...

**ლევან**. რა ესმა ყურთა ჩვენთა!

**რევაზ**. (აღელვებული) ენა არს სული ერისა!..

**ლევან**. (ვითომ აღელვებული) ენა არს გულიც ერისა!

**ზაალ**. ენა არს სარკე ერისა და თუ სარკე მრუდე იქნა, ერიც მრუდეთ დაინახავს თავის თავს შიგა, გული გაუტყდება და გადარჯულდება, გადაგვარდება, გადაშენდება...

**ივლიანე**. ვითამ პასუხს მეუბნებით რაღა... გეუბნებით ენას ქმნიან ბელეტრისტები, პოეტები, მეცნიერნი, მწერლები

და ხალხის შემოქმედებითი ნიჭი. ჩვენ მათგან უნდა ვსწავლობდეთ ენას, არა თუ ჩვენ ვასწავლიდეთ მათ!

**ზაალ.** „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“
შე კორტოხელო, შენა, გრიგოლ ორბელიანის ნათქვამია, არ იცი?!

**ივლიანე**. ძალიან შემცდარა, თქვენ ნუ მომიკვდეთ. ჯერ ერი დაეცემა და ენა მერე ირყვნება. ერის დაცემას მოსდევს ენის შერყვნა, და არა ენის შერყვნას ერის დაცემა. ეს ისტორიული და სოციალური ანბანია, თუ თქვენ რამე გაგეგებათ ამ ანბანის.

**რევაზ, ლევან, ზაალი.** ჰოი, დრონი დრონი! ეს რა ღმერთების გმობა გვესმის, ეს ვინ შემოგვიშვია ჩვენს მართლმორწმუნე რედაქციაში?

**ლევან** და **ზაალ**. ბატონო რევაზ, ან ეს ივლიანე დაითხოვეთ რედაქციიდან, ან ჩვენ! მაინც ეგა დიდიხანია დასათხოვნი იყო, ენას იმერულათ უქცევს და სიტყვებიც კი არ იცის ქართული... დ ო ლ ს ა მარულას უძახის, ა რ ტ ა შ ა ნ ს ა— ხერკალს, ჩ ო რ ს ო ს—ოთხ-კუთხსა და სხვა.

**ზაალ.** ეს როგორა კაცო? ჩვენთან არის და ჩვენი წინააღმდეგია? (რევაზს შეხედავს მრავალ მნიშვნელოვნათ).

**ივლიანე**. აი, თქვენზე დადგა თქვენი გვარი! როგორი ლიტერატორებიც ბძანდებით, ისეთი ენის მცოდნენიც ხართ...

**რევაზ.** (შეურაცხყოფილი) ბატონო ივლიანე, ხვალ დილით მობრძანდით, თქვენი ხვედრი ჯამაგირი მიირთვით, და მერე სამუდამოთ ჩვენგან წაბრძანდით! ამ რედაქციაში უხერხულია თქვენი სამსახური!

**ივლიანე.** (ირონიით) მეტი ჯავრი ნუ მომცა ღმერთმა! ბატონო რევაზ, ხვალ დილით მოვალ, ოღონდ ფული უთუოთ დამახვედრე! (გადის).

## სანახავი I.

## გამოსვლა IV.

**ლევან**. ძლივს არ მოვიცილეთ თავიდან ეს შეჩვენებული! ეს ძლიერ კარგი საქმე ჰქენ რევაზ, ძლიერ კარგი, ამას ყველა მოგიწონებს და დაგიმადლებს კიდეცა!

**ზაალ.** ძლიერ კარგი საქმე მოიქმედე, მე და ჩემმა ღმერთმა!

**რევაზ**. მაშ! როგორც იმერლები იტყვიან: „იცის ბიჭმა, როდის გადადვას გოგოს კვანტი!".

**ზაალ**. (ლევანს ჩუმად გადაულაპარაკებს) ეს რა თქვა ამ კაცმა: სულ გამოლევია ტვინი ამ საწყალს!!

**ლევან**. (ირონიით ზაალს) ნუ იცი ხოლმე ტყუილი! რა გამოულევდა იმას, რაც არასოდეს არა ჰქონია!

**ზაალ**. იმისი გაგდებაი, აი, იმ ივლიანესი, ჩვენთვის სადღესასწაულო რამ არის... მოდით, ერთი სადილი გავმართოთ რედაქციის ხარჯით!

**ლევან**. მე და ჩემმა ღმერთმა მეც ეხლა ამას ვფიქრობდი! ძლიერ კარგი აზრია, ძლიერ კარგი! სულითა და გულით მივიღებ მონაწილეობას მაგ სადილშია... ჭამითა და სმითა, რასაკვირველია.

**რევაზ.** (უბაზე მიიდებს ხელს) ვაი კბილი, კბილი!!

**ზაალ.** რაღა ამისთანა დროს აგტკივდება, დალოცვილო, ხან კბილი და ხან მუცელი?

**ლევან**. პურად ავსა მასპინძელსა
ყოველთვის ზნე ასეთი სჭირს:
დაპატიჟებ,—ცეკვით მოდის,
მისას მიხვალ—გოდებს და სტირს!

უთქვამს ჩვენს პოეტს ირემაძეს...

**რევაზ.** (ხელს იღებს უბიდან) ჯერ ხორციელს არავის უნახავხარ სახლში შენ, ჩემო ლევან, თორემა შენსას რო ვისმე ენახე, უძღებას კი არა, პირ-მუწიას დაგარქმევდენ... სხვი-

სას რო ხარ, სამი დღის საყოფს ერთ სადილზე მიირთმევ, შენსას კი თითო კვირაობით ხმელა პურზე გადადიხარ...

**ლევან.** მაშ აგრე? მე სულ შენს ქებაში ვიყავ, და რაკი მასეა, მაცა მე შენა... (მიდის).

**ზაალ.** (რევაზს) ნუ გაუშვებ, მყრალი ენა აქვს! რა არი ერთი სადილი... მეც ჩამოვალ ფსონშია, თუ მაინცა-და მაინც...

**რევაზ.** (ზაალს ყურში) ჰო, კარგი, რა გაეწყობა. დააბრუნე მაგ მამა ოხერის შვილი...

**ზაალ.** ლევან, მოდი, სად მიდიხარ... სადილი არი, სადილი!!

**ლევან.** ართალა, ხაში იქნება?

**ზაალ.** ჰაი, ჰაი, რომ იქნება!!

**რევაზ.** (წამოიწყებს და უცებ შეჩერდება) ვაი კბ...

ფარდა.

## სანახავი II.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

**რევაზ, ზაალ, ლევან და ბიჭი.**

(პირველი სცენის შემდეგ ერთი წელიწადია გასული).

**ბიჭი.** ბატონო, ვიღაც კაცმა მოიტანა ეს წერილი და თქვა—ძლიერ საჩქაროაო. ზედაც ასე აწერია...

**რევაზ.** (ხსნის და კითხულობს) აბა, ბატონებო... ერთი წუთი ნება მომეცით გადავიკითხო... ეგებ რამ საყურადღებოა... (გადაათვალიერებს, მხრებს შეიშმუშნის) ჰმ... (კითხულობს თავისთვის) ჰმ... ჰმ... (კითხულობს თავისთვის) მაშა! (კითხულობს), მე და ჩემმა ღმერთმა!.. ყმაწვილებო, აბა, გაიგონეთ! (კითხულობს).

**„ვინმე რედაკტორი...**

ჰმ! მოიცათ თანამშრომლებზედაც იქნება, მოიცათ! (კითხულობს ხმა მაღლა).

„სიბერე მახლავს, დავლიე
სიყმაწვილისა დღენია...
ხან ჰკუით ვიყავ, ხან უჭკვოთ,
მაგრამ ეს არა მწყენია:
ამ ოხერს გაზეთს რა მრჯიდა,
ეს არის, ამის მრცხვენია!
ქვეყნათ სახელიც გამიტყდა,
ჯიბეშიც არ-რა მშთენია!"

მოიცათ, თანამშრომლებზედაც იქნება და!.. მოიცათ (ლევან და ზაალი იცინიან).

**ლევან**. (ზაალს) კაცო, მაგის დამწერს ოხერსა პოეტობას რა რჯის?

**ზაალი**. (ლევანს) ჩვენში, კაცი რომ გამოთაყვანდება, პოეტობას მაშინ მოჰკიდებს ხელსა!..

**რევაზ**. (განაგძობს) ,,უნიჭო თანამშრომლებსა:" (გადახედავს ზაალს და ლევანს).

წავაწყდი, ვსჯიდე ხელია...
ჯლაბნა იციან, წერა კი...
ნუ ვიტყვით, რა სათქმელია!..
დღეს რომ ივანეს ამკობენ,
ხვალ გაუთხრიან სამარეს;
ანდრიას ტყავსაც აძრობენ,
ქებასაც ძლვნიან თან ცხარეს!
ორთავე გვემდურებიან,
გალანძღული და ნაქებიც...
ხელის მომწერნი დაგვიფრთხენ,
მათ კვალს ადგება მკითხველიც!..

აი საზოგადოებისათვის გაწეული თქვენი სამსახურის დაფასება! ამასა ჰკვეხნულობთ შვილოსა?! (განაგრძობს კითხვას).

„რაც საპროგრამო რამ გვქონდა:
ენა, მიწა და რჯულია,—
იმათაც ვერ უერთგულეს...

თფუ! გაწყდეს მათი რჯულია!“ (ხელს ზაალისა და ლევანისკენ გაიშვერს).

ჰე... მე და ჩემმა ღმერთმა, საჯავახოური ხუმრობა ნახევარი მართალიაო, რომ იტყვიან, ეს არის, რაღა!! ახლა ესა სთქვით,—დავბეჭდოთ??

**ლევანი**. ეს-ღა აკლია შენს გაზეთსა!

**ზაალი**. მაინც ბატის-ტვინას გვეძახიან, და ახლა მაგის დაბეჭდვის მეტი არა გვინდა რა!

**რევაზ**. (ამოოხვრით) ეჰ, რა ქნას სარდალმა თუ ჯარის კაცნი არ უვარგა? რა ქნას რედაკტორმა, თუ თანამშრომლები... თქვენისთანები ჰყავს?!..

**ლევანი**. რა ქნას ერთმა თანამშრომელმა, გინდა, შენა ხარ, ჩემი ბატონი, გენიოსიც იყოს, თუ ირგვლივ (გადახედავს ზაალს და რევაზს) იდიოტები ახვევია?..

**ზაალი**... ახლა იდიოტები (გადახედავს ლევანს და რევაზს) იდიოტებათ დარჩებიან, მარა ისა სჯობს, თვითეულმა თავისთავი იკითხოს... მე ვინ რა ბრალი უნდა დამდვას? მე სტილისტი ვარ და ჩემს მოვალეობას პირნათლათ ვასრულებ! ღმერთმა ხომ იცის, თქვენი ნაწერების გასწორება თვით სიზიფოსსაც ჰლექში ჩააგდებდა, ისეთის ჩიქორთულითა სწერავთ... მხოლოთ მე იმდენს სასწაულს კიდევ ჩავდივარ, რომ დღეს **„მთვარის“** ენა მისაბაძი გამხდარა სხვა ჟურნალ გაზეთებისათვის, ჩემ...

**ლევანი**. რაო, რაო? ვისი ნაწერების გასწორებაო?! ზაალ ჯან... შენ... ჩემთან მაგისთანა ლათაიები არ გამოგადგება! ვინ შენა და ვინ სტილისტი?! უვარდისახარო ქვეყანაში ვირს ვარდისახარს არქმევდენო, ისე თუა—დახე—არ ვიცი თორემა მთელი შენი ცოდნაი ენისა ის არის, რომ—საცა უნდა და არ უნდა—ს—ანსა და ჰ—სა სჩრი, წარა—მარა... რაც შეეხება იმასა, რომ ამბობ—სხვები ჰბაძვენ ჩემს ენასაო, შენა ხარ ჩემი ბატონი,—ერთს იდიოტს, რო ხუთმა კრეტინამ მიბაძოს, ეს კიდევ არ ნიშნავს იდიოტის ჰკუიანობასა!

**ზაალ**. შე ხაში ყლაპია, შენა, შენი დასაცინი კიდევ ვინ არი, ჰა! შენი ნაწერი მითი არის ცნობილი, რომ ბოლოდან თავამდისინ ისე წაიკითხება, როგორც თავიდან ბოლომდისინა, სულ ერთია, მაინც არა ჰყრია რა შიგა? ჩვენს **„მთვარეს“** თუ რასმე აყვედრიან, სხვაზე უფრო შენს ნაწერებსა. თუ მაინცა-და მაინც არ მომეშვები, იცი, რა უნდა გითხრა? მე თუ ზედ მეტსა სანებსა ვჩრი, თუ მოვისურვე, აღარ ჩავჩრი, ხოლო შენს ლაყე გოგრასა თვით ბუნების ზენა ძალნიც ვერა რას უშველიან!

**ლევან**. (გააწყვეტინებს) შე ლობიოს გოდორავ, შენა, ვის გოგრაზე ლაპარაკობ? შე რა იცი ხურმა რა ხილია? როგორც ცარიელ ქურსა, დაიცა, რასაც ჩაგძახებენ, იმას ამოსძახებ შე...

**ზაალ**. (გააწყვეტინებს) ვინ არის ლობიოს გოდორა?! (აღელვებული მიიწევს ლევანზე).

**ლევან**. (ესეც მიიწევს ზაალზე) მაშ, ვინ არის შენი ხაში ყლაპია?!

**რევაზ**. (შემკრთალი გადგება განზე და ირონიით) ძიძგი, ძიძგი მამალო!.. (თავისთვის) ჰაი, თუ მომეხმარა ღმერთი და ერთმანეთს ჟბები დაუმტვრიეს! ვინძლო გადავრჩეთ მე და ჩემი გაზეთი მაგათ უხერხულ კალამსა, ხაში—გადაყლაპვასა და ლობიო მსანსლავ გოდორასა!

ფ ა რ დ ა.

## ს ა ნ ა ხ ა ვ ი III.

რევაზ, ნინია ერასტიძე, ნარიმან ნუზაშვილი. (მაგიდას შემოსხდომიან პირდაღრეჯილნი. დაფიქრებულნი არიან. მეორე სცენის აქეთ გასულის ნახევარი წელიწადი)

**რევაზ**. აბა, ბატონებო! დავარღვიოთ, დუმილი ჩვენი!.. უნდა მოგახსენოთ, რომ საგანი, რომლის განსახილველათა

და გადასაწყვეტათ მოგიწვიეთ, ერთობ საგულისხმო... (ჩაღუნავს თავს) უნდა გამოგიტყდეთ, რომ **„მთვარე“** ლამის სულ დაგვიბნელდეს... ვალი დიდი დაგვედვა, შემოსავალი სულ არ არის! გთხოვთ, ან თქვენ მიიღოთ თავის-თავზე მთელი გამოცემა, თქვენ ებატონ-ეპატრონეთ, ან მე ამომირჩინეთ შემწეობა...

**ნინია.** (ჩქარა სულწასულივით) ჰო, დიდათ სასიამოვნოა, დიდათ...

**რევაზ.** (შეკრთება) რა არის დიდათ სასიამოვნო??

**ნინია.** ისა, რომ... (დაფიქრდება) ჩვენ მოგვმართეთ! სასიამოვნო არის, რომ ბოლოს მაინც იცანით კაცნი... ბატონი ნარიმანი, ცნობილი ლიტერატორია და, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ქართულ ენაზე არა უწერია რა, მარა არაფერია, მალე გაიჩვევს ხელს და მკითხველებსაც შეაყვარებს თავს. მართლა, სიყვარულზე გამახსენდა... დღეს დილითა, ძაან ადრე, ბატონმა ბაადურმა ტელეფონით დამიძახა—ახლავე მოდი ძაანი საქმე მაქვსო, შენი ჭირიმე მოდიო, უშენობა არ შეიძლებაო, მოდიო... მეც საჩქაროთა ჩავიცვი და გავსწი... თითქო განგებაო, ერთი ფაეტონიც არ იყო გამოსული ბირჟაზედა, სულ ძუნძულითა მიველ. ძაან პატივისცემით მიმიღო. მაგრათ წარმოიდგინეთ... ვეკითხები რა საქმეა მეთქი—და იმანა... მოირტყა შუბლზე ხელი და... მეუბნება: ახ, ჩემო ნინიაჯან,—აკი დამავიწყდა, რა საქმისათვის დაგიბარე! აჰ ჩემო ნინიაჯანო! სალამოს შემოიარე ჩემო ნინიაჯანო, ძაან ვუყვარვარ ბატონ ბაადურს...

**ნარიმან.** (ირონიით) რაც თქვენ გვითხარით, მანდედან მაინცა და მაინც ვერაფერი სიყვარული ჩანს...

**ნინია.** აჰ, თქვენ არ იცით, თქვენ არა ხართ საქმის კურსში, და იმიტომ გგონიათ ასე... ბატონს ბაადურს ესა გულმავიწყობით მოდის, გულმავიწყობით... ხშირათა, მაგალითათ, სადილათ დამპატიჟებს, მივალ და შინ არა მხვდება: თავად, თურმე, იმ დღეს სხვისას სადილობს... ვერ წარ-

მოიდგენთ, მეორე დღეს როგორ გულიანათ დაცინის თავის თავს, როგორ ირტყამს შუბლზე ხელს და იძახის: „რა სულელი ვარ, რა გულმავიწყი ვარო“ და, როგორც უბრალო ბიჭი, ისე მთხოვს პატივებასა... არა, ბატონ ბაადურს სულში რომ ჩავუძვრე სულ...

**რევაზ**. (ნაწყენი) ამაზე, თუ თქვენი ნებაც იქნება, მერმე ვილაპარაკოთ, ახლა კი ვიზრუნოთ **„მთვარისათვის“** რომელსაც ამოსლვა უჭირს... ამას მოითხოვს ქართული მწერლობის საერთო ინტერესი...

**ნინია**. არა... ბაადურის ჩემდამი სიყვარულზე იმიტომ მოგიყევით, რომ... რაკი **„მთვარეს“** ასე გაჭირვებია, ბატონი ბაადური ჩემდამი სიყვარულისათვის, მე თუ ვუთხარ, თქვენ ხელს გაგიწყობსთ, შემწეობას აღმოგიჩენსთ, ხელის მომწერთ გიშოვნისთ, ბატონო რევაზ. განა ეს ცუდი იქნება?

**რევაზ**. (ნერვებ აშლილათ) დამეთხოვეთ, წინაპართ საფლავს გაფიცებთ. ბაადურებს რომ ჟურნალ-გაზეთობის ფეხზე დაყენება შეძლებოდათ, „მთვარის“ ბედს ეხლა ძაღლი არ დაჰყეფდა... ოთხი ბაადურისთანა მუდმივ თანამშრომლებათ მყავდა, ჩემდა სამწუხაროთ, და მეც ბარე—ორი ბაადური მყოლია ხელქვეითათ, მარა აშენებულის დაქცევის მეტი ვერაფერი მოვახერხეთ... თქვენ კი კიდევ ახალ ბაადურსა მჩრით...

**ნარიმან**. უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ბაადური გაერია **„მთვარის“** საქმეში მე ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებ თქვენს წრეში... ან რათ გაგვიწყობს იგი ხელს, როცა ქართული ენა არც კი იცის, მარტო გვარიღა აქვს ჩვენებური... კაცი სხვებთაგან გაკეთებას მოელის და ჩვენ შეგვხედავს?!

**ნინია.** ჰაი, კეთილნო სულნო, რა ანგელოზ სულზე რა მამულის შვილზე, რა განათლებულ ადამიანზე, რა სახელმწიფო ჭკუის კაცზე, და რა მოღვაწეზე როგორი კილოთი ლაპარაკობთ და...

**რევაზ.** დაანებე, კაცო, თავი მაგ შენს ბაადურს. ღმერ-

თი, რჯული არც იმასა ჩვენ უნდივართ და არც ჩვენ გვინდა იგი... კაცმა ჩვენი ენა არც კი იცის... მაშა!

**ნინია**. პროტესტს ვაცხადებ, ბატონო, ყოველივე იმის გამო, რაც აქ მოვისმინე, ისეთი სახელოვანი ქართველის შესახებ, როგორიც ბატონი ბაადური ბრძანდება! რა-ხან ეგრეა, და თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრის წინააღმდეგი ხართ, მეც თავი დამიკრავს თქვენთვის... ირწმუნეთ მამულიშვილობა და სახელმწიფო ჭკუა ჩემი მეგობრის ბაადურისა, და... მეც ხელს გაგიმართავთ... მანამ კი მშვიდობით! (გადის).

**რევაზ**. (ნარიმანს) აჰა, დახე? წადი ახლა შენა და უყარე კაკალი!.. რა ვუყოთ მაგ ოხერსა, თავში კი არა უყრია რა, მარა ჯიბეში უჭყავის ცოტა რამ საცუცქნელი, და ეგების გვესარგებლებია, რომა...

**ნარიმან**. ბატონო რევაზ, ხელი აიღე, მამა-გიცხონდება, მაგისაგან განსვენებულ მამა-მისს არ უნახავს ხეირი, ჩვენ რას ვნახავთ!!. ახლა კი რევაზ-ჯან წავიდეთ, ერთი-ორი ბოთლი კახური გადავხუხოთ: ხომ ხედავ, დღეს საქმეს თავი ვერ მოვაბით?

**რევაზ**. ხარჯი ვისი იყოს?

**ნარიმან**. რა თქმა უნდა, ჩემი!.. მე გეპატიჟები რაღა!

**რევაზ**. მაშ, კარგი. ეს ერთი ბოთლა ღვინო პირველი, და ვგონებ, უკანასკნელი ხეირია ჩემი გაზეთისაგანა. წავიდეთ, რა კი შენა მპატიჟობ... ახლა ისეთი დროა, კაცმა მუქთი კუბოც არ უნდა უარჰყო! (მიდიან).

**ნარიმან**. მაგეთი ანგარიშის კაცი, გაზეთს რას ეკიდებოდი?!

**რევაზ**. (სიტყვის გაპტყელებით)

გავბრიყვდი და შევჯეგ ვირსა,
მიკვინტა და დამდვა ძირსა!..

**ნარიმან**. მაშ, ახლა რას აპირებ?

**რევაზ**. ახლა მინდა ჰხვა შევსვა ზედ, თუ ვინმე სულელი ვნახე!

**ნარიმან**. (განზე) ვითომ გადაეყრება სადმე თვისსავე ტყუპსა?!

ფარდა.

## სანახავი IV.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

მესამე სანახავის შემდეგ გასულია ერთი თვე.

გრძელ მაგიდას უსხედან: რევაზ, ბაადურ, ზაალ; ლევანი, ნინია და ივლიანე. წინ უდევსთ თითო ფურცელი ქაღალდი და კარანდაშები, რევაზს უჭირავს თავმჯდომარის ადგილი, უცქერს პირდაპირ კედელს. ბაადურს მაღლა აუღერია თავი და ჭერს უმზერს. ნინია მის გვერდით ზის და პირში შეცქერის. სხვები რევაზს უყურებენ.

სიჩუმე.

**რევაზ.** (თვალს კედელს არ აშორებს) ბატონებო, ყველას მოგეხსენებათ, თუ რასთვისაც შევყრილვართ აქა... არ მოგახსენებთ — სამშობლო უთუოთ განსაცდელშია-თქო, ხოლო ქართული პრესსა კი ნამდვილ განსაცდელშია... ჩვენი ფერმიხდილი „**მთვარე**“ გვიბნელდება... ამაოთ დავშვერით მისს გაშუქებისათვის... თუ საზოგადოების განათლებულ შვილებმა არ გაგვიმართეს ხელი, ჩვენი საქმე მტრების დასაცინათ გახდება, ისინი ხომ ამ ბოლო დროს ჩვენ გაზეთს „**ჩამავალ მთვარეთ**“ იხსენიებენ. ვისაც მოდგამს ქართველობა (ნინია ბაადურს ჩახედავს თვალში) ის უარს არ იტყვის ჩვენთვის ხელის გამართვაზე!. (შეხედავს ბაადურს და ნინიას) ჩვენდა ფეხზე დასაყენებლათ საჭიროა პირველათ — **ფული** მეორეთ — **ფული** და მესამეთ — **ფული**!!.

**ნინია**. (შეპროწიალდება სკამზედვე) მე დარწმუნებული ვარ, ბატონო, რომ თქვენ ყველამ კარგათ უწყით რამდენათ სახელოვანი წარმომადგენელია ჩვენი ქართველობისა აქა მყოფი დიდათ განათლებული ბატონი ბაადური რომ...

**ბაადური**. (აწყვეტინებს ნინიას, რომელიც მოწიწებით მიაჩერდება მას) მე უნდა მოგახსენოთ, რომ ის, რაც ეს არის ახლა მოვისმინე, ჩემთვის არ იყო უცხო, რადგან ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა... ნინიამ (ნინია ღიმილით შეაცქერდება) თქვე-

ნი მდგომარეობის ყოველივე წვლილი მაუწყა. დიდება თქვენს ამაგს, ბატონებო დიდება თქვენს მისწრაფებას ღვაწლ-მოსილნო! *(ყველანი შეიფერებენ ამ სიტყვებს და ერთმანეთს გადახედვენ)* მხოლოთ ქართველთა ტანჯვით აღსავსე წარსულ ცხოვრებას შეეძლო თქვენებრ ახოვან ტიპის მოღვაწეთა შექმნა! ვფიცავ წინაპართ საფლავებს და მათ წმინდა ძვლებს, ბატონებო,— ვიდრე მიწა ტრიალობს თავის ღერძის გარშემო და ირგვლივ მზისა, ვიდრე სულდგმულობს თუნდ ერთი ქართველიც, და არსებობს ჩვენი კეთილის მყოფელი, სულგრძელი, მფარველი და სათნო დედა-რუსეთი; *(რევაზ თვალს უზამს სხვებს და გააქნევს თავს)* მორჭმითაც იყოს სუფევა მისი *(ივლიანე ამოიოხრებს)* მანამ პატივცემული იქნება თქვენი სახელი, როგორც მამულის ერთგულ შვილთა, დედაენის თავდადებულ მუშაკთა, და სარწმუნოების მხნე დამცველთა *(ზაალ და ლევანი ერთმანეთს შეხედვენ. ნინია თვალებს აცეცებს იქით-აქეთ)* ხოლო, ბატონებო, თუ თქვენი შრომიდან არა გამოვიდა რა *(რევაზ ტუჩებ აპრუწვით სხვებს შეხედავს)* თუ ღვაწლი თქვენი ამაოთ დაშვრა, და ვერ დაიცავით ვერც სამშობლოს მიწა, ვერც ენა და სარწმუნოება, ეს მოხდა იმიტომ კი არა, რომ თქვენ დაგეკლოთ საქმისათვის თავდადება, სიმხნე და ერთგულება, არამედ იმიტომ, რომ დროთა მეფობა ყოველ მეფობაზე უმტკიცესია, და შეურყეველი, მასთან შებრძოლებაში უძლურია არა თუ ერთი კაცი, *(შეხედავს თავ ჩაღუნულ რევაზს)* ანუ ერთი წრე კაცთა *(გადახედავს ყველა დანარჩენებს)* არამედ მთელი კაცობრიობაც!! დიაღ, ბატონებო, დრონი მეფობენ, და აწინდელ დროთა მეფობა ნიშნავს რუსთა ხელმწიფების (власть,) ენის და სარწმუნოების სუფევას და არა ჩვენი სიმართლეების, ენისა და სარწმუნოებისას!.. *(პაუზა)* ა-მი-ტო-მაც, თუ გნებავთ ქართველები ცოცხალნი გადავრჩეთ ახლანდელ დროითა მეფობის სუსხს, და მოგიხერხოთ ორასი თუმნის სუბსიდია, ჩვენ მთავრობის წინაშე უნდა ვიქონიოთ ენა შაქარსავით ტკბილი,

ზურგი—თასმასავით მოქნილი, სინდისი თაფლის სანთელივით მომყოლი და გული ყოვლად შემტკბობი...

**ნინია.** ვივაატ! ვივ... (შეხედავს რომ არავინ აჭყვა, მიიხედავს ბაადურისაკენ და ჩაღუნავს თავს).

**რევაზ, ზაალი, ლევანი და ივლიანე.** (ერთმანეთს შეწუხებულნი შეხედვენ და ამოიოხრებენ) ჰმმმ!..

**ბაადურ.** (ნინიას თვალებს გამოუქანავს) სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, მარილნო ქართველებისანნო, ყველა ამ თვისებათა განხორციელება ხართ... (რევაზ დაჭრილსავით ამოიკვნესებს) ღვაწლ-მოსილი წარსული და ოფლით პოხილი აწმყო თქვენი თავმდებია, რომ მე არა ვცდები!.. ისმინეთ, სმენასა გთხოვთ, ბატონებო! ვინ ვიყავით ჩვენ? მბრძანებელნი ამა ქვეყნისა ზღვიდან ზღვამდე, მეხი მტრებისა, ნუგეში ერთგულთა, ქრისტეს მოსავნი და მეზობელთა მფარველნი!!

**ყველანი.** (ივლიანეს გარდა). ბრავისსსიმო! (ნინია სკამზე დგება, უვირის რაც ძალი და ღონე აქვს და ტაშს უკრავს) პერ-ბაკო!

**ივლიანე.** აა?

**ბაადურ.** (ნასიამოვნებია, ყველას თავს უკრავს) ისმინეთ, სმენასა გთხოვთ ბატონებო! ახლა რა ვართ? სრული არარაობა, ენით მუნჯნი, საქმით—მრუდნი, მტრისა და მოყვრის ვერ გამრჩევნი, ლამაზ-ლამაზ სიტყვების ამყოლნი, საქმიანი საქმის ვერ მიმყოლნი! მტერსაცა და მოყვარეს—ორივეს ვეზიზღებით.

**ყველანი.** (ივლიანეს გარდა) მართალია, მართალი!

**ნინია.** (ნამზნის მოგებით) აკი გეუბნებოდით, ბატონი ბაადურისთანა...

**ბაადური.** (ნინიას აჩუმებს) ისმინეთ, სმენასა გთხოვთ ბატონებო! რა არის მიზეზი, რომ წარსულში დიდებულნი, ახლა არარაობა ვართ?? ისა, რომ დროს ალღო ვერ ავართვით, დროს ვერ ავყევით, მტერ-მოყვრის ღალატსა და ერის ახალ საჭიროებათ მომზადებულნი ვერ დავხვდით... ახლა მაინც შევიგნოთ ამ დროის ვითარება, პირდაპირ შევხედოთ ფაქტების

სინამდვილეს, ანგარიში გავუწიოთ ცხად და იდუმალ მტრებსა და მოკეთეებს, და ისე დავადგეთ სწორ გზას...

**რევაზ.** კეთილი, აი მეც მანდა ვარ!

**ივლიანე.** ვაი, ვაი... რაღაც... (თავს აქნევს).

**ბაადურ.** (გატაცებით) ბატონებო! მე ბევრი ჩვენთაგანნი მკიცხავს, რომ სამსახურში ვარ, თანამოსამსახურეთა ხმასა ვყვები, სამსახურში დავწინაურდი და სხვ. რენეგატი არისო, ზოგნი ამბობენ, თურმე, ჩემზე... არა, ბატონებო! რენეგატს თქვენ შორის, **„მთვარის“** რედაქციაში არასოდეს სკამი არ დადგმია და არც დაედგმება!

**რევაზ და სხვებიც.** (ივლიანეს გარდა) სრული ჭეშმარიტებაა!!

**ივლიანე.** ღმერთმაც ქნას ჩვენ თხას მგელი დაეჭიროს!.. (ყველანი შებღვერით გადახედვენ ივლიანეს).

**ბაადური.** მე რენეგატი კი არა ვარ, შეგნებული მამულისშვილი ვარ ჩემი მოვალეობის მცოდნე და ნამდვილი საერო მრწამსის აღმსაარებელი! ეს მოვალეობა და მრწამსი მიწვევს მე სულითა და გულით თქვენდა სასამსახუროთ, რაკი პატივი დამდევით და მომმართეთ ასეთს მძიმესა და საერო საქმეში, როგორც ერთს თქვენს მოწინავე კაცსა და ერთს მამულისშვილთაგანს! (ნინია ყველას ცალკ-ცალკე მიაჩერდება თვალებში, ისეთის სახის გამომეტყველებით, თითქო დიდი ომი მოიგოსო) ხოლო გულითადათ გთხოვთ მიიღოთ, ჩემი ტაქტიკის უმთავრესი ესე მუხლები: შემოვიღოთ გაზეთში ქრონიკა მთავრობის ამბებისა, რუსთ დიდკაცთა ბიოგრაფიებისა და შემდეგ სხვათა, რათა მოვიგოთ მათი გული და დავუმტკიცოთ (ხაზით) რომ ჩვენ ვართ ყოვლად ლოიალი ერი რუსეთის სხვა ერთა შორის, რომ ჩვენ შორსა ვართ სეპარატიზმზე, და შევადგენთ რუსეთის განუყოფელ ნაწილს!.. ამასთან, თუ კიდევ იმასაც დამიჯერებთ, რომ თითოეულ ნომერში ერთი ორი რამ შენიშნვა (ყველას თითეულათ ლაქუცა ღიმილით გადახედავს) რუსულ ენაზე დავბეჭდოთ, ხომ ჩა...

**რევაზ, ნარიმან, ლევან.** უუჰ... ამისა კი რა მოგახსენოთ!

**ივლიანე.** (იცინის) ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

**ნინია.** (განზე გაიყვანს ივლიანეს) ჩემო ძვირფასო თანამოკალმევ, ცოტა მეტი ზრდილობა დასდევით ბატონს ბაადურს.

**ივლიანე.** (განგებ ხმა მაღლა), ცოტა მეტ პატივს მაშინ დავდებ, როცა ის შენი ბაადური ცოტა ნაკლებ სიბრიყვეს...

**ნინია.** (მივარდება, ხელით პირს დაუცობს და ჩუმათ ეხვეწება) შენი ჭირიმე ივლიანე-ჯან!...

**ბაადურ.** (მიუბრუნდება რევაზს და სხვებს, ივლიანეს გარდა) მაშ თქვენ არ მოგწონთ ჩემი ტაქტიკა?!

**რევაზ და ლევან.** რუსულ ენაზე ბეჭდვა ქართულ გაზეთში, არავითარს შემთხვევაში!!!

**ბაადურ.** ქრონიკის შესახებ რასა ბრძანებთ?

**ნინია.** ჩემი მხრით მაგ მუხლის სრული თანახმა ვარ, მე მგონი თქვენც ბატონებო... არა? (მიმართავს ყველას ივლიანეს გარდა).

**რევაზ.** (გაიხმობს განზე ლევანს და ნინიას და ჩუმათ რჩევას შეუდგება. ბოლოს რევაზ მიმართავს ბაადურს) ბატონო ბაადურ, ქრონიკის შესახებ ყოველ მხრივი მოფიქრება გვმართებს, თუ შეიძლებოდეს, მოგვეცით დრო და მერე ყველაფერს მოგახსენებთ! მე თავათ გეახლებით თქვენს ბინაზე!

**ბაადურ.** (შეცბება, თავს უხერხულს მდგომარეობაში გრძნობს, მარა უცბათ გამოერკვევა, სისწრაფით დგება და სხაპა სხუპით მიუგებს:) ძლიერ კარგი! ძლიერ კარგი! მაშ მოგელოდებით ჩემსას, (ყველას ემშვიდობება და ხელს ჩამოართმევს, ივლიანეს გარდა, რომელიც კედელთან მივა და გეოგრაფიულ რუქას აივალიერებს).

**ნინია.** მაშ ძლიერ კარგი, ძლიერ!... (ემშვიდობება ყველას, ივლიანესთანაც მივა და ღიმილით ეტყვის: აი შე, შე შეურიგებელო, შენა!.. ბაადურ გადის, ნინია მოწიწებით მიჰყვება, სხვები ივლიანეს გარდა, მიაცილებენ კარებამდი. ივლიანე ერთ-ერთს მაგიდას მიუჯდება და წერას შეუდგება).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

იგინივე და ნარიმან.

**ივლიანე**. ესეც თქვენ და გორის ციხე!

**ნარიმან**. არა ჩემო რევაზ, მე გითხარ იმ თავითვე, რომ ბაადურისა არაფერი მწამს, და ის თუ იქნა რედაქციაში, მე მონაწილეობას არ მივიღებთქო... დახე რა ტაქტიკას გვირჩევს? მაგას რომ დავუჯეროთ, ჩვენს გაზეთს ერთი არავინ აიღებს ხელში და ვერავითარი ფული და სუბსიდია მაშინ ვერ გვიშველის!

**ლევან**. აშოროს უთხარ მაგ ოხერსა, მაგასა! მისი ორასი თუმანი მის ჩინოსან ამხანაგებს ჩატენოს ჩალმებშია! სული წავიწყმიდოთ და ორასი თუმნისათვისა, მარხვა ვჭამო და დოსთვინაო!

**რევაზ**. ეჰ, დალოცვილებო, თქვენგნითა ვერც ორას თუმანსა ვხედავ და!.. (პაუზა) ახლა რა ვქნათ? დაწუნება სხვისი ტაქტიკისა ხომ თქვენი საქმე ყოფილა, ახლა თქვენ არჩიეთ რა ღონის ძიება ვიხმაროთ, რომ ჩვენი „**მთვარე**" სულ არ დაცხრეს ამ ჩვენ ხელშია?! არა ისევ ბაადურს მოველაპარაკოთ... ცდა ბედის მონახევრეა! (წერს წერილს. რეკს. შემოდის ბიჭი.) ბიჭო, აი, ეს წერილი მიართვი ბატონს ბაადურს. (ბიჭს მიაქვს წერილი).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

იგინივე, ბაადურ და ნინია.

**რევაზ**. აა, მობძანდით ბატონებო! ბატონო ბაადურ და... თქვენც ბატონო ნინია!

**ბაადურ**. როგორ არის სამშობლოს ლიტერატურის საქმე? ჯდება კოჭი ალჩუთა?

**ლევან**. ჯერ კი თოხლია ისევა!

**ბაადურ**. (ნინიას ეფუჩუნება).

**ნინია**. (რევაზს) ბატონო რევაზ, შეიძლება თქვენი შემოსავალ-გასავლის დავთარი გადავათვალიეროთ?

**რევაზ**. რატომაო, მიირთვით (განჯინიდან გადმოიღებს დავთარს და გადასცემს ნინიას, რომელიც ბაადურს მიუტანს. ბაადურ და ნინია ორივე ერთს მაგიდთაგანს მიუჯდებიან და ათვალიერებენ).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

იგინივე და ქაიხოსრო არუთაშვილი, რომელიც შამოიხედავს კარებიდან და იკითხება.

**ქაიხოსრო**. შეიძლება შემოვიდე?

**რევაზ**. (ირონიულად გაიღიმებს) შეიძლება, შეიძლება, მობძანდით!

**ქაიხოსრო**. (თავს უკრავს ყველას, მივა რევაზთან და ხელს ჩამოართმევს) ბატონო რევაზ, პირდაპირ რომ სიტყვა მოვქრათ,—რა გადაწყვიტეთ, მოუპოვეთ ლალა **„მთვარესა?"**

**რევაზ**. რა გადავწყვიტეთ და ხბოს თავი... ლალას ახლანდელ დროშია, მთვარეს კი არა, მზესა ვერ უშოვნი კაცი... მაშა!

**ივლიანე**. ნამეტურ ღრუბელ ამოფარებულ მთვარეს ვინ მოეკიდება ლალათ...

**ყველანი ქაიხოსროს გარდა**. აჰ... ეს სიტყვა მარცხიანი, როდის დაისწავლის ლაპარაკსა?

**ივლიანე**. (დრმათ ამოიოხრებს) ჩემს ლაპარაკს **„მთვარესთვის"** არაფერი დაუკლია, ხოლო თქვენმა კალამმა კი სინათლე დაუბნელა...

**ლევანი**. (რევაზს ყურში) ახარ, თუ ყოველთვის და ყველაფერში ჩვენი წინაალმდეგია რაღა უნდა ჩვენთან, რაღას ჭვეტენება, ეს მამა ოხერი, რათ არ მოგვწყდება თავიდან?!

**ზაალ**. (რევაზს უფრო ხმა მაღლა) რათ არ წაეთრევა თავისთვის! სანამ ეს ყიამყრალი ჩვენს წრეში ტრიალებს და აბ-

რუს გვიტეხავს, **„მთვარეს“** რიგიანი დამხმარე თავის დღეში არსაიდან არ გამოუჩნდება. ან ეგა, ან ჩვენა! ნახავთ თუ უმაგისოთ რა მალე გამოვაწყოთ საქმეი!

**რევაზ**. ბატონო ივლიანე, ჩვენი წინააღმდეგი თუ ხართ ჩვენთან რათა ზიხართ?

**ივლიანე**. წინაამდეგი რო ვარ, წრფელი გულით მინდა მოგარჯულოთ, მინდა შეგასმინოთ, რომ სანამ განყენებულ საგნებს არკვევთ მეტაფიზიკური ნაწერებით, და ისიც ანტონ კათოლიკოზური ენით და შეითან-ბაზრის კილოთი, მანამ თქვენს გაზეთს მკითხველს ვერ უშოვნით, თუნდ თითო ნომერს თითო მანეთი წასაკითხი ჯილდო გაუღოთ. ვემსახუროთ ხალხის რეარულ მოთხოვნილობებს ცოცხალი აზრით, ენით და კილოთი და...

**ლევან**. (გულმოსული) შე კორტოხელო, შენა, შენ უნდა ჩვენ გვასწავლიდე ჭკუასა? შენ ვინა ხარ? შენ რა გინდა ჩვენთანა? შე...

**ზაალ**. (გააფთრებული არ აცლის) შენ რა იცი ქართული ენისაი, შე ტაკი მასხარავ, აა? შენი იმერული **კი**, **კი** და **ქვე**, **ქვე**, ქართული გგონია? (მიიწევს ივლიანესკენ.)

**რევაზ**. (გაწევს ზაალს და მშვიდობიანი ღიმილით მიუახლოვდება ივლიანეს რომელიც აღელვებულებას ძლივს ერევა.) ივლიან-ჯან, დღევანდელ სხდომაზედა იმიტომა მოგიწვიეთ, რომა, სხვათა შორის დაგვხმარებოდი **„მთვარის“** არსებობის გასამტკიცებელი წყაროს აღმოსაჩენათ. შეგიძლია ეგრეთი წყარო აღმოგვიჩინო?

**ივლიანე**. (სულს მძიმეთ ითქვამს) არა!

**რევაზ**. მაშა? (თავს ის იღუნავს და მარჯვენა ხელს კარებისკენ იმ ნაირათ გაიშვერს რომ ანიშნებს მიბძანდით).

**ივლიანე**. მშვიდობით! რაც მაგ თქვენი გერგილითა და კალმით გაზეთი შეიმაგროთ, ის მე დამაქადნეთ! (სწრაფათ გადის გულმოსული მიახეთქებს კარს).

## გამოსვლა V.

იგინივე, ივლიანეს გარდა.

**რევაზ.** უჰ, შენა ხარ ჩემი ბატონი, ძლივს არ გვეშველა!

**ზაალ.** (რევაზს) ერთი გამერტყა მაგ უნიჭოსათვის, ვითომაო რა იქნებოდა?

**ქაიხოსრო.** (ზაალს) ერთი პაშტაი მაცა ზალიკო! ბატონ რევაზთან მაქვს მცირე რამ განსაბჭობელი. სულ მცირე ჟამს მოვრჩები და ისევ უკუ მივიქცევი... (რევაზს მკლავს მკლავში გაუყრის და განზე გაიყვანს) უწყი, რას გეტყვი რევაზ? ამ თქვენი კრებითა და პაექრობით, ვითარცა არარაიდან, არა გამოვა რა. მე მაქვს ერთი კარგი გეგმა განზრახული და თუ შენც ხელს შემიწყობ, შეიძლება „**მთვარეს**" მტრის გულის გასახეთქადაც დავაჭყეტინოთ თვალი...

**რევაზ.** (ატაცებით) ვა, ვა! ვინძლო ერთი სასწაული რამ გვაჩვენო! მითხარ, რაღა, შენს მადლსა...

**ქაიხოსრო.** გავმართოთ საჯაროთ ეროვნული, ვახტანგ გორგასლის დროისა და ცოტა რამ ევროპიულიც,-როკვა და გამოჩვენება...

**რევაზ.** (პირს დააღებს გაკვირვებისაგან) რაო, რაო? როზგვა და გაქაჩავებაო?

**ქაიხოსრო.** ჰო, როკვა და გამოჩვენება. შე კაცო „**მთვარის**" რედაქტორი ხარ და ეს არ იცი, განა „**ქართლის ცხოვრება**" არ წაგიკითხავს? როკვა ნამდვილ ქართულად ეწოდება იმას, რასაც ახლა მდაბიურათ ცეკვას ვუხმობთ, ხოლო გამოჩვენება თეატრალურ წარმოდგენას ნიშნავს. ახლა ხომ შეგაგნებინე, რომ მე მწადს გავმართო, „**მთვარის**" რედაქციის სასარგებლოთ, ვითარცა ამ ჟამად იტყვიან თეატრალური და საცეკვაო საღამო?

**რევაზ.** ოო, და ეგრე ვიტყოდი, შე დალოცვილო, თავიდანვე. რაღა ისე ჩაუღრმავე იმ შენს ქართულსა, რომ როზგი და გაქაჩავება მომალანდე?

**ქაიხოსრო**. კარგია, ნუ აყოლიხართ თქვენს ივლიანესა...

**რევაზ**. ჰო, მერე? ძლიერ კარგი აზრი მოგსლვია... თუ თავსაც შენ მოაბამ მაგ კეთილ საქმესა, მაშინა ხომ მაღლზე მარილის მოყრა იქნება. ჰა??.

**ქაიხოსრო** მოვაბამ, თავსაც მოვაბამ ნუ გეშინია. ისე გაგიხდი ე მაგ შენს **„მთვარესა“**, რომ ჩვენი მტრების **„მზეს“** აჯობოს. ოღონდა შენმა გაზეთმა ხვალიდანვე მოამზადოს მკითხველი საზოგადოება ჩემ მიერ განზრახულის როკვისა და გამოჩვენებისათვის. გესმის?

**რევაზ**. (სიხარულით) როგორ არ მესმის! რაც ჩემი სასარგებლოა ყველაფერი ჩინებულად მესმის, ჩემო ქაიხოსრო. მარა ბედა ის არი, რომ ეგრეთი შემთხვევა იშვიათია და! ბატონებო! ბატონებო! (უძახის ბაადურს, ზაალს, ლევანს და ნინიას. ბაადურ და ნინია დავთარს ტოვებენ და რევაზს უახლოვდებიან. სხვებიც წამოხტებიან და გარს შემოეხვევიან რევაზს) იცით რა გახაროთ? აი ჩვენს ქაიხოსროსა განზრახვა აქვს ჩვენი **„მთვარის“** სასარგებლოთ ეროვნული თეატრალურ—საცეკვაო საღამო გამართოს...

**ბაადურ**. (სიტყვას აწყვეტინებს) აი, ეს კი ჭკუაში მოსასვლელია! საქმეც ამას ქვია! ბარაქალა ბატონო ქაიხოსრო, ბარაქალა! მეოთხედს ბილეთებისას მე გაგიყიდით...

**ზაალ, ლევანი და ნინია**. (აწყვეტინებენ) ოო, ესეც კიდევ უკეთესი საქმე!..

**რევაზ**. ეს კი მესმის...

**ბაადურ**. ნინია ჩემო!! (ნინია გამოეჯგიმება) შენის იმედითა ვკისრულობ ამ მძიმე საქმეს, აი! შენ უნდა დამიფაცურდე ჩვენს არისტოკრატებში, წერილებს კი მე მივწერავ. შენ ოღონდ ფულები აიღე და ამათ (რევაზს უჩვენებს) ჩააბარებ (ყველანი იღიმებიან). ხო დამეხმარები?

**ნინია**. (ბედნიერების სიხარულით) განა საკითხავია ბატონო ბაადურ? თქმა და ნება თქვენი და ასრულება ჩემი,—წინ რაღა გადაელობება?!

**ყველანი, ბაადურს გარდა.** განა ჩვენ არ ვიცით!

**ზაალ.** ერთ ათს ბილეთსა მეშვიდე წყობისას მეც გავასალებ.

**ლევანი.** ათს ბილეთსა მესამე წყობისას მე გავასალებ!

**რევაზ.** რაკი მასეა ხუთმეტ ბილეთსაც მე ვასალებ მეოთხე წყობისას!

**ყველანი, ბაადურს გარდა:** ყოჩაღ, ქაიხოსრო!

**რევაზ.** კაი დროს გვიჩვენე ფონი, თუ არა ცუდათ იყო ჩვენი საქმე!

**ზაალ.** (მხიარულათ) „ვინა სთქვა საქართველოზე—
ეგ არის—ლომი კვდებაო?!“

ფონს გავალთ მაშა!! ლაფს გადავასხამთ ჩვენს მტრებსა! მე და ჩემმა ღმერთმა ქაიხოსრო ჩინებული აზრი მოგივიდა თავში!

**ლევანი.** (მხიარულათ) თუ მაგ როკვითა და... რითაო, ქაიხოსრო-ჯან, მოსვენებითაო?

**ქაიხოსრო.** (ისიც მხიარულათ) ახლა მაინც ნუ მასხარობ, შე კარგო კაცო. **გამოჩვენება** როგორ არ იცი, კაცს ისტორიკოსად მიგაჩნია თავი! **გამოჩვენება** ნიშნავს წარმოდგენას!

**ლევანი.** ჰო, იმას ვამბობდი, შენა ხარ ჩემი ბატონი: თუ მაგ **როკვითა** და **გამოჩვენებით** (ჩაიცინებს) და მაგისთანაებით გავიტანთ თავსა, თორემა ისე (თავს გაიქნ-გამოიქნევს)...

**რევაზ.** (გახარებულია) ერთი შენცა, მომიყევი ფილოსოფოსობას! კაცო, ფლავი იყოს თორემა, რად ვიკითხავ ბრინჯი სადაურია?!

**ყველანი, რევაზს გარდა.** სწორეთ აგრეა!

**ზოგიერთნი.** ახლა გავუდგეთ გზასა! (მიდიან ყველანი).

ფ ა რ დ ა.

## ს ა ნ ა ხ ა ვ ი VI.

მეხუთე მოქმედების შემდეგ სამი დღე გასული.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

„მთვარის“ რედაქცია. რედაქტორის კაბინეტი. რევაზ მაგიდას უზის და წერს. შემოდის აღელვებული ნარიმან ნუზაშვილი და რევაზს გულ მოსული ეუბნება:

**ნარიმან**. გაიგევი, რა სკანდალს გვპირდება ის ჭკუა შერყეული ქაიხოსრო?! ვაი მის ტყავსა, რომ იმ დროს იქ არ ვიყავი, თორემა ვაჩვენებდი მისს **როკვასა და გამოჩვენებასა**, იმასა...

**რევაზ**. რაო, რა მოხდა, კარგათ გამაგებინე? (ამ დროს შემოდის ქაიხოსრო. ნარიმან შეცბება).

### გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

იგინივე და ქაიხოსრო.

**ქაიხოსრო**. (შეხედავს ნარიმანს და შეცბება, მარა მალე გამოერკვევა და ნარიმანს). რა დაგემართა ადამიანო, მთელ ქალაქში რომ თავსა გვჭრი? რაო ეხლა?

**ნარიმან**. (გულმოსული) ვინ ვისა სჭრის თავსა? შენა ჩემზე უნდა ამბობდე საყვედურსა, რომ ლევორველი არა გკარ გულშია?! (წუნარდება).

**ქაიხოსრო**. (რევაზს) ერთი მომისმინე, რევაზის ჭირიმე. ხომ საერთოთ გადავწყვიტეთ, რომ საღამო უნდა ყოფილიყო ეროვნული ვახტანგ გორგასლის დროისა, ცოტა რამ ევროპიულითა? არა?!

**რევაზ**. ჰო.

**ქაიხოსრო.** ჰო და მეც ევროპიული როკვათაგან ავარჩიე კადრილი და... ფიგურების განკარგულების სიტყვები

„ლედამ ღ გოშ, შევალიე ღ დრუა!“ ვთარგმნე ქართულად ზედ მიწევნითი სინამდვილით ასე: „წავებღ მარცხნით, ვაყებღ მარჯვნით!“ აი ამ თარგმნისათვის იკლავს თავს ბატონი ნარიმანი, ჩემი დაც ერია იმ ქალებშიო და, მაშასადამე ისიც ჰაკი ყოფილაო... (რევაზ და ნარიმან გიჟებსავით იცინიან).

**ქაიხოსრო.** (შემცბარი) ეხლა, რა არის აქ სასაცილო?! თუ იტალიური სიტყვა კაბელესღ არა გგვრისთ სიცილსა, რად იცინით, როცა ვაჟს გაიგონებთ, რით არის ჩვენებური ვა...

**რევაზ.** (იცინის) არა, ქაიხოსრო-ჯან, შენი ჭირიმე ვაყობას თავი დამანებე.

**ნარიმან.** (ხითხითებს) გიჟია ეს შეჩვენებული, მაგას რა უნდა ელაპარაკო კაცმა. (გადის).

**რევაზ.** არა, ქაიხოსრო, შენ იდეის კაცი ხარ. იდეის ხათრისათვის ამ ერთს შემთხვევაში დასთმე ზედ მიწევნითი სინამდვილე თარგმანისა და ქალებს ჰაკობა და (ეცინება) ვაჟებს ვაყობა ააცილე. მე გთხოვ ამასა!..

**ქაიხოსრო.** (მოწყენილი) ეჰ, გემო არა გაქვსთ არაფრის ეროვნულისა და ის არის, მეტი არაფერი! შენ ხომ იცინი და, იცი რა შთაბეჭდილებას მოახდენდა როკვის დამსწრე საზოგადოებაზე მასე გადმოქართულება უცხო ტერმინებისა?!.

**რევაზ.** (სწრაფად) აშოროს! ჩემო ქაიხოსრო, მაგეთი გადმოქართულება ყელს გამოვგჭრის ქვეყანაში და მოწინააღმდეგე ბანაკს ჩვენს დასაკლავ დანას მისცემს ხელშია! ნუ ჩემო ქაიხოსრო, მაგ სიტყვებს ამ ერთხელ უსაცილოთ ხელი უნდა აიღო, მაძლევ სიტყვასა?

**ქაიხოსრო.** ჰო, ამ ერთხელ, რა გაეწყობა, შენის ხათრისათვის... მარა (მოწყენილი) იცი რა იერს უკარგავ სალამოსა?!

**რევაზ.** ჰო ვიცი. ცოდვა ჩემ კისერზე იყოს, შენ ნუ იდარდებ!

**ქაიხოსრო.** რაკი მაგრეა, იყავნ ნება თქვენი. მე განვიბან ხელსა, როცა სალამო ისეთს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, როგორიც მე მინდოდა.

**რევაზ.** (აწყვეტინებს) ერთი მითხარ, ქაიხოსრო-ჯან, ბილეთები კარგათ იყიდება?

**ქაიხოსრო.** იყიდება, მარა ჭკუა განა მარტო ბილეთების გაყიდვა არის?

**რევაზ.** (აწყვეტინებს) ჭკუას ვინ კითხულობს ადამიანო, საქმე ფულია, ფული!

**ქაიხოსრო.** ვეჭვობ, რომ გაზეთის დღეგრძელობისათვის მარტო ფული კმაროდეს!

**რევაზ.** ეე, ერთი შენცა ივლიანეს აყოლიხარ!..

**ქაიხოსრო.** ივლიანე კი არა, ჩემი ცნება მეუბნება, რომ გაზეთისათვის პუბლიცისტობის ნიჭიც არის საჭირო...

**რევაზ.** (აწყვეტინებს) მაშ ქართულს ენაზედ გაზეთი ვერ გამოცემულა! არა ჩემო ქაიხოსრო, ჩვენში გაზეთისათვის სამი რამ არის საჭირო: პირველი—**ფული**, მეორე—**ფული** და მესამე—**ფული**! (საათს დახედავს:) ოო, სამი შესრულებულა! ეხლა გავუდგეთ გზასა! (ემზადებიან გასასვლელათ).

ფ ა რ დ ა.

## ს ა ნ ა ხ ა ვ ი მე-VII.

მეხუთე სანახავს შემდეგ გასულია თვე ნახევარი.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

რედაქციის ზალა. დიდ მაგიდას შუაზე უზის რევაზ. იქით-აქეთ ზალღ, ლევანი, ნარიმანი და ქაიხოსრო.

**რევაზ.** ესეც თქვენ და გორის ციხე! ჩავიდა ჩვენი „**მთვარე**:“ ხვალინდელი ნომერი უკანასკნელი იქნება! როკვისა და (მწარეთ გაიღიმებს) გამოჩვენებისაგან შემოსული ათასი მანეთიც ქალალდის მექარხნისა, ამწყობებისა და სხვათა ჯიბეში ჩავიდა, და მასთან ჩავიდა ჩვენი გაბადრული „**მთვარეცა**!“ შემოსავალი ვერ ფარავდა სახლის ქირასა და ქალალდის ფას-

საც კი... დღეში ხუთმეტი მანეთი წმიდა წუგება იყო... (ზა-ალი და სხვა თანამშრომლები ერთათ:) უჰ!..

**რევაზ**. თქვენ რას ოხრავთ, მე უნდა ამოვიოხრო, რომ ათასი თუმანი მიზის თქვენგან დამარხული გაზეთი!..

**ლევანი**. ჩემგანაცა?!

**ზაალი**. (ასწრებს) მე რა შუაში ვარ ჩემდა თავადა?!

**ქაიხოსრო**. (სხვებს სიტყვას ართმევს) მაშ მე ვყოფილვარ შუაში?!

**რევაზ**. ვაჰ, ვაჰ, ეს რა ამბავია?

ხედავთ, როგორის კანდიერებით.

შემოკრბის ჩემზედ უნიჭოება?!

**ლევან**. (გულიანათ) უი, შენს ნიჭსაცა რა ვუთხრა, შენ-სასა! შენ რომ, შენ ხარ ჩემი ბატონი, რედაქტორის მოხერ-ხება და ნიჭი გქონებოდა, ათასი თუმნითა ერთს გაზეთსა საშვილიშვილო ნიადაგსა მოუპოვებდი, შენა კი წელიწად ნა-ხევარშია ჩამარხევი...

**რევაზ**. თქვენისთანა თანამშრომლების ხელში წელიწად ნახევარიც რომ იცოცხლა გაზეთმა, ისიც ჩემი ჯიბის მად-ლია.

**ნარიმან**. მე გული მითქვამდა, რომ ბაადურიშა და ნი-ნიას ჩარევა ჩვენს გაზეთში ხეირს არ დაგვაყრიდა...

**ზაალ**. (ცეცხლ მოკიდებული რევაზს) მე, იცი, რას ვიტყვი? სხვა რომელ რედაქციაშიაც უნდა მეთანამშრომლნა, გამოცე-მასაც დავაშვენებდი და სახელსაც მოვიპოვებდი. ხოლო შენს შეკრებილ უნიჭოებში კი ამაოდ დავშვერ და...

**ლევანი და ქაიხოსრო** (ერთათ) უი, უი, შენს ნიჭსაც კა რა ვუთხრათ!

**რევაზ**. (იღიმება) ეჰ, შვილოსა, ნიჭიერნი ვიყავით, თუ უნიჭონი ამ ენასა, ეკლესიასა და... (ლევანი აწყვეტინებს).

**ლევანი**. (ზაალს) შენი ს — ანების მადლსა...

**ქაიხოსრო**. (აწყვეტინებს) ლევან-ჩემო, ღვთის წინაშე არც შენი კალამი იყო ერთობ ფხიანი?..

**ზაალ**. (აწუვეტინებს) შენსას უდრიდა მაგის კალამი, აი, აკი გულითადი ამხანაგები იყავით! „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!“

**რევაზ**. (ხუმრობით) ზარალი კი ქრთსაო! (თავის თავზე ინიშნებს. ყველას სიცილი წასკდება) რა ვქნა, სად არის ამდენხანს სილიბისტრო? (ზარს რეკავს შემოდის პატარა ბიჭი) რა იქნა სილიბისტრო?

**ბიჭი**. ამ წამში გეახლებათ, ბატონო, სიტყვას ამზადებდა თქვენდა სათქმელათ ამხანაგების მონდობილობით.

**რევაზ**. რაო? ერთი თავი დამანებოს მისი სიტყვითა... წა, გაიქეცი, უთხარი მე მისი სიტყვის არა მცხელა... (ამ დროს შემოდის სილიბისტრო.

## გამოსვლა II.

იგინივე და სილიბისტრო.

**სილიბისტრო**. (გახარებულია) ბატონებს ვახლავარ! (ყველანი თავს დაუქრევენ).

**რევაზ**. ოჰ, მოხვედი? შენ სიტყვებს თავი დამანებე, ოღონდ ეს მითხარ: ანგარიში მიიღევით ბ—ნის ნარიმანისაგან, ხომ არაფერი დარჩა ჩემზე, როგორც ხელი მოგიწერიათ ქაღალდზე.

**სილიბისტრო**. (სხაპა-სხუპით) იცოცხლეთ, მივიღეთ, კი... პატიოსანი ბძანდებოდით, ბატონო რევაზ, ყოველთვის და პატიოსნათაც გაგვისწორდით, გაზეთიც პატიოსნათ დახურეთ...

**რევაზ**. (აწყვეტინებს) ჰო, კარგია, კმარა... მომშორდი თავიდან!

**სხვები**. (ერთმანეთის დასწრებით) კმარა!
წადი აქედანა!
მშვიდობით ჩემო ძმავ!
გაეთრიე, რაღა!

**სილიბისტრო**. (მიდის და მილაპარაკობს) მე, კიდეც რომ გავეთრიო, ამწყობი ყოველთვის ვიქნები, თუ მინდა, მარა თქვენ რომ აქედან მიეთრევით, ლიტერატორობას სხვაგან ვერსად იშოვნით! (კარს მიიხურავს).

**ყველანი**. (ერთმანეთის დასწრებით, რევაზს გარდა) დახე!
შეხე!
უყუროს კაცმა!

**ზაალი**. ივლიანეს გაზდილია, მა რა იქნება.

**რევაზ**. (ქუდს აიღებს და ბიჭს ზარას ურეკავს. ბიჭი შემოდის) მუშები დაიქირავე?

**ბიჭი**. კი, ბატონო. ახლავე გეახლებიან...

**რევაზ**. როგორც მოვიდენ ყველაფერი ავეჯეულობა, რაც აქ არის, ჩემსას გადმოიტანონ.

**ბიჭი**. კი, ბატონო, მესმის.

**რევაზ**. (ქუდს და ჯოხს აიღებს) აბა, ბატონნო ლიტერატორებო და პუბლიცისტნო! მივბძანდეთ „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს"... (ყველანი აიღებენ ქუდებს და ჯოხებს და რევაზს მიყვებიან).

**ნარიმან**. (ხელს გაუყრის რევაზს.) აბა, რევაზ-ჯან, წავაგეთ ფული და ჭკუაც, მარა რაც უნდა იყოს ქართველები ვართ: მოდი ერთი სიმღერა ვთქვათ და სიმღერით გავიდეთ! (ყველანი შეჩერდებიან).

**რევაზ**. ბაშ უსტა! რა ვიმღეროთ?

**ნარიმან**. აი, ისა... ვირსაო შევჯეგ და დამდვა ძირსაო!

**რევაზ**. (სიცილი შესკდება) ჰო!.. აბა ყმაწვილებო ბანი და მოძახილი:

**გავბრიყვდით და შევჯეგთ ვირსა...**

**ყველანი**. (ლექსი გაახსენდებათ და ხმას აუღლებენ. მიიმღერიან და გადიან) **გვიკვინტა და დაგვდვა ძირსა!**

ფ ა რ დ ა.

# ზეპირგადმოცემანი.

## 1903 წ.

## იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან.

### I. ხრესილის ომი.

ოსმალეთის ხონთქრებმა გადაწყვიტეს საბოლოოთ დაემორჩილებიათ იმერეთი, სანამ ეს სამეფო მოასწრებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრას. ამ სათუო დროს იმერეთში მეფობდა სოლომონ პირველი, სამშობლოს წინაშე სამსახურისათვის „დიდათ" წოდებული, ნიჭიერი სარდალი, მოხერხებული გამგე (ადმინისტრატორი) და შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი. როცა ახალციხის სერასკირს მოუვიდა ბძანება, რომ დიდძალის ენგიჩარის ლაშქრით შესულიყო იმერეთს და სრულიათ დაეპყრო, სოლომონ მეფემ შეიგნო, რომ ეს ომიანობა იყო მისი სამეფოს ბედის და უბედობის გადამწყვეტი, მთელი სამეფო ფეხზე დააყენა, მეომრათ ვინც ვარგოდა, ყველანი თოფ-იარაღში ჩასხა და დანარჩენი მცხოვრებლები გახიზნა რაჭა-ლეჩხუმის მთებში. მთავარი ჯარი, რომელშიაც იყვნენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლის ძმა მეფისა, და გურიელი ერისთავითურთ დააბანაკა ქუთაისს ზემოთ, ოკრიბაში, სოფელს ხრესილს, იქ, სადაც ოთხმოციოდე ქცევა ვაკეს ირგვლივ ტყით შემოსილი მთები შემორტყმია. დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ მთებში ბუნებას დაუტანებია თითო ხევი—კარები—ას-ასიოდე მხარის სიგანე, ერთი ქუთაისის მხრით და მეორეც საწირისაკენ. აი აქ უპირებდა სოლომონი სერასკირს შეტყუებას და ბედის გადამწყვეტი ომით შებმას, რომ ან თვით დაღუპულიყო, ან მტერი გაეწყვიტა ისე,

რომ მთხრობელიც არ გაეშვა შინ. სამეფოს საზღვრებზე—ზეკარს, სალაშქროს, კაკას ხიდზე, ხანის მთასა და ხევში მეფე შეხვდა მტერს მხოლოდ თარეშული ომით. პატარ-პატარა გუნდებათ დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალოს ბანაკს, ხან იქ, მოუკლავდენ რამდენიმე კაცს და, თვითონ კი, თითქმის უვნებელნი, მოჩვენებასავით იმ წამსვე ქრებოდენ უგზო-უკვლოთ. ოსმალების ჯარს შეუმჩნევლათ აკლდებოდა მეომარი-მეომარზე, მარა, ერთ თვალ-უწვდენელ ჩეთეთ[1]) დარაზმული, მაინც მიდიოდა თანდათან წინ, და იმერლები კი იხევდენ უკან. მდ. ყვირილაზე ფონში გასვლის შემდეგ სერასკირს ერთი იმერელიც არ გადაღობებია წინ: მოთარეშენი თითქო გაწყდენ.

ქუთაისი უომრათ დაიკავა მტერმა. სერასკირმა მოინდომა ქუთაისში ფეხის მოდგმა. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალეთის ციხე-ქალაქათ გადაექცია, აქედან განეგო, სათვალდათვალოთ ვითომ დამორჩილებული, ზემო და ქვემო-იმერეთი, გაეტეხა გურია და ოდიში, და რაჭა-ლეჩხუმის და ზემო-იმერეთის დაპყრობას კი მერმე შედგომოდა.

სერასკირი თავისთვის კაი ჭკუაზე იყო, მარა არ მოუსვენეს მისმა დამქაშებმა, ყველაზე უფრო კი—ლევან აბაშიძემ[2]), არგვეთის მებატონემ და სამშობლოს მოღალატემ.

ეს აბაშიძე თავის თავს არგვეთის მთავრათ თვლიდა. მეფე კი მარტო მებატონე თავადის ქერქში აყენებდა მას, და გარეშე ამისა საძრაობის ნებას არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ პირველ შემთხვევისათანავე აბაშიძემ თავი დაუკრა მტერს, აღუთქვა სამშობლოს დაპყრობაში შემწეობა და სამაგიეროთ ჩამოართვა სიტყვა, რომ სამეფოს დაპყრობის შემდეგ მას დანიშნავდენ არგვეთის დამოუკიდებელ მთავრათ და იმერეთის

---

[1]) ჩეთე ჰქვია ოთხ-კუთხათ დარაზმულ მხედრობას, კარრეს. ლაშქარი ასე დარაზმდება მხოლოთ დიდ გაჭირვების დროს.

[2]) სოლომონ მეფის ბიძა, ღედით.

გამგეთ სერასკირის განზრახვა კი ბოლოს უღებდა მის ოცნებას მთავრათ და იმერეთის გამგეთ გახდომისას. ამიტომაც ყველაზე უფრო ის შეუჩნდა სერასკირს: „სდიე მეფეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელ-მოწყვეტილნი არიან... მეფის ლაშქარი, რომ გგონიათ, იმაზე უფრო მოშლილია; მთებში მიტომ იმალებიან, რომ ვაკეში თქვენი ეშინიათ, დიდი ზავთი აქვს ახლა ოსმალოს იმერეთში! მერწმუნე, სერასკირო, დაეწიე შენს გაქცეულ მეფეს, შეები და ხელში ჩაიგდებ მასაც და მის ერთგულ მთავრებსაც! ერთ დღეს შეძენ ხონთქარს მთელ იმერეთს გურია-ოდიშიანათ! თუ ხონთქრის ერთგული ხარ, ახლა გაქვს დრო მისი ხმალი მოპირო! შენ თუ გეშინია, მე წავუძღვები შენს ლაშქარს ჩემი ერთგული მარგველებით!..

აბაშიძეს ბანს აძლევდენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ფრთხილი სარდალი დაიყოლიეს ნებას. ოსმალოს ჯარი გაემართა ოკრიბისაკენ გოდოგნის გზით. გზის მაჩვენებლათ ყავდათ ლევან აბაშიძე და მისი ერთგული მარგველები.

მტერი გაება დაგებულ მახეში: სამშობლოს მოღალატემ, ანგარებით გონება-დაბნეულმა და თავქედობით თვალ-დამდგარმა ლევან აბაშიძემ, ოსმალოს ლაშქარი გაიყვანა სწორეთ იმ მთებ შუა მოქცეულ ვაკეზე, სადაც კაი-დიდი ხნიდან მომარაგებული იყო მეფე სოლომონი. ზურგის ჯარის უკანასკნელ ენგიჩარს გავლილი ქონდა ამ მთებ შუა შესავალი (დასავლეთის) ბუნებითი კარი, და წინა რაზმი ის იყო გადიოდა აღმოსავლეთით გასავალ ხევში, რომ მთებიდან ირგვლივ, როგორც ერთი ლულიდან, ისე გავარდა რამდენიმე ათასი თოფი... ბევრი ვაჟკაცი, მოცელილ ბალახსავით, ჩაეკეცა მტრის რაზმებში, წინა რაზმმა მიაშურა უკანას, უკანა ეძგერა მოწინავეს... აირია ლაშქარი! მთებიდან მოდიოდა ტყვიების სეტყვა და სანამ ოსმალები გონს მოვიდოდენ, მათი სისქე ძალზე შეთხელდა. რამდენჯერმე ცადეს გაქცევა, მარა გზა ყოველი მხრით შეკრული ქონდათ სოლომონისაგან. იარაღის დაყრის და დამორჩილების მეტი საღსარი არ ქონდათ ოსმალებს, მარა

ეს გულშიაც არ გაუვლიათ, იმდენათ დიდი იყო მათი სავაჟკაცო ამპარტავნება. თითოეულმა ენგიჩარმა თითქოს უთქმელათ, თავის გულში გადაწყვიტა ცოცხალი არ დანებებოდა იმერელს, და რაც შეიძლებოდა ძვირათ დაესვა მისთვის თავისი სიცოცხლე. აბაშიძის რჩევით სერასკირმა მიუშვა ჯარი იერიშით სწორეთ იმ ადგილს, სადაც წარმოუდგენელი იყო ჭკუათა მყოფელი კაცისათვის. ის იყო უმაღლესი გორა იმ მიდამოში და ქონდა ერთობ დაქანებული, ბუჩქნარითა და იქა-აქ ხეებით შემოსილი კალთები. მწვერვალზე ბძანდებოდა თვით მეფე თავის ამალით.

მეფის ამალას შეადგენდენ „დიდი ნაომარი" (ვეტერანები) კაცები, ათასნაირ გაჭირვების ქარ-ცეცხლში გამოვლილნი, ომებში მონათლულნი და ბრძოლის ველზე აღზრდილნი. არც ერთი სამხედრო უცაბედობა, სხვებისთვის გასაოცარი, მათთვის საკვირველს არას მოასწავებდა, მარა ამ კადნიერმა იერიშმა, სასიკვდილოთ განწირულთაგან თავზე ხელაღებით მიტანილმა, ისინიც კი წამისათ შეაცბუნა და გააშტერა. პირველათ გავარდა მეფის თოფი და შემდეგ იქუხეს ამალის შაშხანებმა. ოსმალთ რაზმს აკლდებოდა იმდენივე მეომარი, რამდენი თოფიც სოლომონის მეომრებისაგან იცლებოდა, რადგანაც ისინი ესროდენ მტერს ნიშანში ამოღებით, სასროლ მანძილზე, ზევიდან ქვევით. ოსმალნი მაინც შეუმდრკალათ ადიოდენ მთის ფერდობზე, მოცელილ რაზმის წილ ჩნდებოდა სხვა, ახალი რაზმი. ისინი ეძებდენ სიკვდილს და პოვებდენ კიდეც! მათ სიმრავლეს ვერ ადიოდა, ვერ უთავდებოდა მეფის ამალის ტყვიები. რიმდენიმე ათიოდე წამს შემდეგ ოსმალნი მაინც აფოფხდენ მთაზე და ხელ-ჩართულით დაერიენ მეფის მხლეთ.

ამ დროს, ერთი ვიღაც ოკრიბელი გლეხი, გვარათ ბრეგვაძე, ზორბა ტანადი და დიდი ხმის მქონი ავიდა უზარ-მაზარ მუხაზე და გრგვინვასავით გადმოძახა მთელს იმ არე-მარეს, რამდენჯერმე განმეორებით:

— „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!" ამ გად-

მოძახებამ გაამხნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი. მეფეს დანარჩენი ჯარი მოეშველა ამ სახიფათო ადგილს.

მათ მიშველებამდი მეფის დროშა ხელთ იგდეს აბაშიძის მარგველებმა, რომლებსაც, როგორც იმერლებს, ქართულადვე ეცვათ, იმ აურ-ზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გაარჩიეს და ახლოს მიუშვეს დროშასთან. იგდეს თუ არა ხელთ დროშა, იმ წამსვე გადასცეს იგი აბაშიძეს და იმან კი მიართვა სერასკირს, რომელიც უკვე ღალატს წამებდა სამშობლოს მოღალატეს.

— „ჩემს თამარს მივცემ ცოლათ, ვინც იმ დროშას გამომიტანს!!“ გასძახა თავის ჯარს სოლომონმა.

საუკეთესო ვაჟკაცი ჭაბუკები—ცალკე სახელის და ცალკე ფასუთქმელი ჯილდოს შოვნით გატაცებულნი შეეჯიბრენ ერთმანეთს საარაკო მამაცობით და თავგადადებით შეიჭრენ მტრის ჯარის შუა გულში.

სულ მოკლე ხანში დროშა მოართვა მეფეს გურიის ერისთავმა [1].

ბრეგვაძე კი მუხიდან სულ გასძახოდა:

— „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!“

ლევან აბაშიძე ცხენ-და-ცხენ თოფით მივიდა იმ მუხასთან და დაუწყო ხის კატარს ცქერა—უთუოთ იმისათვის, რომ ბრეგვაძე მოეკლა. ბრეგვაძემ უმალ დაინახა აბაშიძე, იცნო და, რა კი იცოდა, რომ ქვეყნის მოღალატე იყო, დაასწრო, კრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გააფთხობინა [2]).

ერთმა ოდიშელ მხედართაგანმა, გვარათ ლოლუამ, შეიპყრო თვით სერასკირი და მიგვარა მეფეს [3]). მეფემ ჯილდოთ უბოძა აზნაურობა და მიწა ოკრიბაში.

---

[1]) გაგონილი სოფრომ ხუნდაძისაგან.

[2]) თ—დის გიორგი სიმონის ძის წულუკიძისაგან გაგონილი.

[3]) გაგონილი რაფიელ ერისთავისაგან.

სერასკირის ცოცხლათ შეპყრობამ გული გაუტეხა დანარჩენს ენგიჩარების ჯარს და იარაღი დააყრევინა.

გამარჯვება იყო სრული, დიდ-მნიშვნელოვანი, მთელი დასავლეთის საქართველოს აღმაფრთოვანებელი.

მეფე დაბძანდა თავის კარვის წინ. ლაშქარმა იწყო მეფის წინაშე მისალოცავათ დენა რიგ-რიგათ. ოდიშისა და გურიის მთავრებს შემდეგ მიულოცეს შიდა-იმერლებმა, შემდეგ გურულებმა და ოდიშარებმა. ყველას მოყავდა მათ მიერ შეპყრობილი მხარ-გაკრული ტყვეები, მოქონდა ნაშოვნი იარაღები, ბაირაღები და სხვ.

ბრძოლის ველზედვე გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ მეფემ გაიხსენა და მოიკითხა თავადი როსტომ ნიჟარაძე.

ეს როსტომ ნიჟარაძე ყოფილა მეფის საყვარელი კაცი, და იმ შვენიერ კაცების დროთ გამოსარჩევი თვალ-ტანადი იყო თურმე. მშვიდობიანის ხასიათისას და ზნისას იმისთანა თვალები ქონია, რომ ღამითაც ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე, მარა ერთი ისეთი თვისებაც ჭირვებია, რომ მაშინდელ დროში თითით საჩვენებელი ყოფილა: ნამეტარი მფრთხალი იყო თურმე.

ხრესილის მთელი ომი ისე გათავდა, რომ ის სადღაც ტყეში იმალებოდა, მეფის ამალის ზურგს უკან.

კარის კაცებმა, როგორც იქნა, მოძებნეს, გამოიყვანეს შეშინებული როსტომი ტყიდან და წარუდგინეს მეფეს.

— არა გრცხვენია, როსტომ, ასეთ ომში რომ შენი თავი გვერდით არ მახლდა?! უთხრა მას მეფემ.

როსტომმა თავი ჩაღუნა.

მეფემ მიიბრუნა ნაწყენი სახე და გასცა ბძანება მიეყვანათ მის წინაშე ის ბრეგვაძე, მუხიდან რომ ბრძოლის ველს გასძახოდა. ბძანება მყისვე აასრულეს.

— ბრეგვაძე! შენმა დღევანდელმა ძახილმა ბევრ ვაჟკაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიბოძებია შენთვის, შვილთა და მო-

მაღალთა შენთათვის ჩემი ტახტის აზნაურობა. ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავ მუხაზე და გადასძახე:

— „გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აივსო ყოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლაფი დაესხა მარტო როსტომ ნიჟარაძეს“! [1]).

ბრეგვაძემ ისე გულმოდგინეთ შეასრულა მეფის ბძანება, რომ, ამბობენ, ბევრს ს. საწირეშიაც ესმოდათ.

მწარეთ შეწუხებულს როსტომს მიუახლოვდა მაშინ სიმონ წერეთელი და უთხრა:

თქვე დალოცვილებო, რათ მოგდგამთ ნიჟარაძეებს ასე, რომ ყოველთვის:

იჯგიმებით ლხინში
იბლუნკებით ჭირში?!

როსტომს პასუხი არ გაუცია...

## II. რუხის ომი.

მეფე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა, მისმა ცოლისძმამ, თავისი უწარჩინებულესი დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროის საზღვრებზე, მოაწვა მთელი აბხაზეთის, ჯიქეთის და ალანის ლაშქრებით ქელეშ-ბეი შარვაშიძე და შთანთქმას გვიპირებს. დამიფარეთ, რადგანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იკმარებს მტრის დასახვედრათო.

მეფემ დაუხანებლათ გასცა ბძანება, რომ ყველა სადროშოების ჯარები საჩქაროთ ამხედრებულიყვნენ და ს. ბანძას მოეყარათ თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალა, მტერს ჩემ მოსვლამდი, თუ შეიძლო, ნუ შეებმი; სანამ მე მოვიდოდე, ხმა დაყარე, რომ მე ოსმალეთს ვუპირებ შესევას, და შენს შველას არ ვფიქრობო.

---

[1]) იაკინთე ყიფიანისაგან გაგონილი.

მეფემ მოთხოვა გურიელსაც, რომ დასწრაფებით მოეკრიბა ჯარი და ბანძას მისულიყო შიდა-იმერეთის ლაშქართან შესაერთებლათ. მთავარმა შეასრულა ეს მოთხოვნილება. გურიის ჯარის ბაირაღტრათ იყო ებალაურელი აზნაური ჭყონია, რომელიც, რიონში ფონათ გასვლის დროს, შინ გაიპარა. ამ საქციელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, ყმები და სიგელით მიუბოძა გომახურელ ჭყონიას, რომელზედაც გადავიდა ბაირაღტრობა ებალაურელის გაპარვისათანავე [1]).

ბანძიდან მეფე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდი. მეფის ბაირაღტრათ იყო საჩინოელი როსტომ ლორთქიფანიძე [2]). მეფის ასე მოულოდნელათ მოვლინებამ ზარი დასცა სამტროთ მოსულებს და ქელეშ-ბეგმა გამართა მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ იამათ ოდიშის მთავრის კარის კაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტის-მეტათ არ გაძლიერებულიყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიძე მათთვის საშიში იქნებოდა. უცებ ქელეშ-ბეგის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა დაეცა მეფის კარავს ახლო.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებათ გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ეხლა მოასწრეს დამარაგება და ღალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თუ არა რათ უნდა ესროლათ ზარბაზანი მოლაპარაკების გათავებამდიო!

აბხაზების თქმულებით ის ზარბაზანი დადიანის შეყიდულმა კაცმა გაასროლინაო. ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან გავდა, მეფე ერწმუნა მათ და უბძანა სარდლებს დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში ყველაზე უფრო თავი

---

[1]) თავადის გრიგოლ დავითის ძის გურიელის ნაამბობი.

[2]) თ-დის ასლან წულუკიძისაგან გაგონილი.

იჩინა სიმამაცითა და თავდარიგიანობით თ. გიორგი წულუკიძემ, ქელეშ-ბეგის ჯარი კი — მისმავე ძმამ — ბექირ-ბეიმ. იმ დროინდელი პოეტი ბესიკი (გაბაშვილი) ასე აგვიწერს ბექირ-ბეის რუხის ომზე დაწერილს ლექსში:

„...მათგან მხოლოთ ერთსა ვაქებ:
„წითლად მოსილს, გულად სპილოს,—
„თავი სრულად გარდაეგო,
„არვის ჰრიდებს, ვინც ეცილოს;
„მხედარია უებარი,
„ხშირათ იცვლის ისრის კილოს,
„ჰკრის ვისაცა, მიწად დასცის,
„შეამსგავსის სასიკვდილოს“ [1])...

ხრესილის ომში გამარჯვებით გაამაყებული იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მივიდა დაკავშირებულ მტრებზე იერიშით. გურულებს და ზემო იმერლებს შეხვდათ ჯიქ-ალანების გუნდთან შეტაკება. მთების ლაღი შვილები მამაცურათ იბრძოდენ, მარა ბოლოს მაინც იძულებული გახდენ ებრუნებინათ ზურგი და გაქცეულიყვნენ რაზმ-არევით და კვალ-შეშლით. თვით აფხაზეთის ლაშქარი კი ურყეველ ბურჯათ იდგა და თავ-გამოდებით ეჩეხებოდა ოდიშართ და ქვემო-იმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჰრა თავის მთავარსარდალთან:

— ქაიხოსრო (წერეთელი) ეს რა ამბავია? ხონთქრის ლაშქრის გამწყვეტს აბხაზები უნდა გიჰირვებდეს საქმეს?!

— ბატონო, თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ-ბეი შარვაშიძე ერთ სახონთქროს ლაშქრათ არა ღირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებული გვექნებოდა!

ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ-ბეის და როგორც კი მოკრა თვალი, მყისვე შეუტია.

---

[1]) თ-დი მამია გურიელისაგან გაგონილი.

იგივე ბესიკი ასე აგვიწერს ამ რაინდულს ეპიზოდს:

„მეფემ იმ ყრმას შეუტია, შეუძახა ხმითა ხაფეთ!
ჩვენ კი შიშმა აგვიტაცა... „საშენოა“! მივაძახეთ,
და ერთმანეთს ჩავჩურჩულეთ: „ვაჲ, თუ მისგან გავილა-
ხეთ!“ [1])

მეფემ და ბექირ-ბეიმ ერთმანეთს ხმლის მოსაქნევზე ჩაუჭენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მარა ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერმე ეკითხათ სოლომონისა და ბექირ-ბეისათვის თუ რატომ გაუშვეს ერთმანეთი უვნები. მეფეს ებძანებინა:

— არასოდეს არ შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა, ისეთი ზავთიანი იყო მისი ვაჟკაცური გაბედულება, რომ საუცხოვოთ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოსვე მცველათ გამოდგება. ამიტომაც შემბრალდა მისი სიყრმე და ველარ გავიმეტე გასაფუჭებლათ! შემემართა, არა მგონია, უმარცხოთ გადავრჩენილიყავ.

ბექირ-ბეის ეთქვა:

— ხმლის მოსაქნევზე რომ მივუახლოვდი მეფეს, უფროსუმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველ მოქნევას... არც მან ინება შემოტევება, და მეც ისე გამლალა თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირ-იქით შემებედა [2])...

მეფის შეტაკების დამნახავს იმერთა ლაშქარს აუჩქროლდა სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანა აბხაზებზე იერიში. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალსა და სატევარს (ხანჯალს). ომი

---

[1]) მამია გურიელისაგანვე გაგონილი.

[2]) მთავრის მიხეილ შარვაშიძის პირმშო ძისგან—გიორგისაგან გაგონილი.

ომს აღარა გავდა: ბრძოლის ველი გადაიქცა საყასბოთ, სადაც კაცი კაცს საქონელსავით ყელს უღადრავდა, კისერს და თავს სჭრიდა, შიგნავდა. სისხლის ღვარები შეერთვნენ ენგურს და მისი ტალღები შეღებეს წითლათ...

გამარჯვება დარჩა მეფეს. აფხაზებმა მიატოვეს ბრძოლის ველი, მარა ბექირ-ბეის სიმამაცემ და სამხედრო საზრისმა გადაარჩინა იგი აწიოკებას: მისი უკან დახევა არ გავდა გაქცევას, სამთავრო დროშა და მეტი წილი ზარბაზნებისა გადაარჩინა.

ნაომევს, ბრძოლის ველზედვე მეფეს ეახლენ კარავში მთავრები, სარდლები და ლაშქრები რიგ-რიგათ, გამარჯვების მისალოცათ და ნაშოვრის მისართმევათ. მეფე გამობძანდა კარვიდან და სავარძელზე დაბძანდა. სახლთ-უხუცესმა დახია უკან მოსალოცავათ მოსულნი, დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მილოცვისა.

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. წრე მხედართა გაირღვა და გამოჩნდა როსტომ ნიჟარაძე. მას მოყავდა მხარ-გაკრული ტყვე —მაღალი, ბრგე, მხარ-მკერდ განიერი, სადა იარაღ „ჩაკიპული“, აბხაზურათ ყაბალახ მონახური. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როსტომმა დაუჩოქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორა ფეხთ ქვეშ ტყვია—„თქვენ მტერს გულშიო!“ დააყოლა, და მიართვა მეფეს ტყვე.

—ერთია, მარა ოც სხვების დაჭერილ აბხაზათ ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსული ვაჟკაცია!—როსტომ მფრთხალია, როსტომი საბეროაო,—მოგახსენებდენ ჩემი მტერ-მოყვრები და აჰა... მეც გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბექირ-ბეი, ამ წუწკმა იპატივა—შეხედა თავის ტყვეს—მარა, არაფერია, თუ შევხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილათ მოვიქცევი. დღეს პირველათ ამოვიღე ხმალი ქარქაშიდან. ნუ დამძრახავთ, მოწყალეო ბატონო!..

— წინ წამოდეგ, შე ქეციანო! დაუბღვირა ტყვეს, რომლისაც უფრო ახლო ჩვენება უნდოდა მეფისათვის, და თოფის კონდახი ჩაკრა ფერდში. მხარ გაკრულმა მორთო ღრიალი:

— ვაჰმე, დიდებულო მეფე! მომკლა ამ შეჩვენებულმა!.. ახობაძე ვარ ბატონო, ქვიტირელი!.. რა მიგავს აზხაზს!.. ვა... ии... მთხოვა ერთ წამს მეფესთან მიმყევი მხარ-გაკრული, ვითომ ტყვე ხარო... უღელ ხარს დამპირდა... რა ვიცოდი მე საცოდავმა, თუ ტყლიაპს ჩამიქცევდა... ოოჰ!..[1])

მეფემ შერისხა როსტომი, იმიტომ კი არა, რომ ომში არ შესულა, არამედ მოტყუილებისათვის.

იქვე არჩილ ბატონიშვილმა სთხოვა მეფეს როსტომის თავი.

— მაგის (როსტომის) სიფრთხალემ შეიძლება სხვაც გაიტაცოს, რაკი თქვენი სიყვარული არ აკლდება, და ეს ქვეყანას არ მოუხდება. ექვს თვეში გავამამაცებ მაგას, თქვენი რისხვა ნუ მექნებაო [2]).

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნა და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მაინც გასცა ბძანება ჩაერიცხათ იგი არჩილის საბატონიშვილო თავადათ.

---

[1]) თავადის იასონ წულუკიძისაგან გაგონილი.

[2]) იაკ. ყიფიანისაგან გაგონილი.

# პუბლიცისტიკა

1879 წ.

## „მიწა-წყლის გამოჯნვის საქმე“.

„დროება“ 1879 წ. № 163.

ყოველგან, და ნამეტურ ჩვენში, მიწა-წყალს აქვს უდიდესი და უპირატესი მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში. მსოფლიო ისტორია თვალსაჩინო ფაქტებით გვიმტკიცებს, რომ მიწა-წყალი და მისი შემუშავება, ე. ი. სასოფლო მეურნეობა, არის მძლავრი მიზეზი ძლიერ სამეფოების დაარსებისა და მტკიცე საფუძველი ერის ჭკუა-გონების წარმატებისა.

ესევე მიზეზი გახლდათ ჩვენი ერის შეკავშირებისა, საქართველოს სამეფოს დაარსებისა, მისი დიდებისა და წარმატებისა,— მაშასადამე იგი ყოფილა ისეთი ძალა, რომელსაც ქართველნი თაყვანს უნდა ვცემდეთ.

მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრება იმ რიგათ იყო მომართული ოთხკუთხივ შემოფარგლულ მტრების წყალობით, რომ მთელი საუკუნოებით ჩვენ არ შეგვეძლო აღებმიცემობით ვყოფილიყავით გართულნი იმდენათ, რომ მითი შეგვძლებოდა ცხოვრებისთვის საკმაო შემოსავალი მოგვეპოვა; ჩვენ არ შეგვეძლო აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელობა და ხელთ-საქნარობა იმდენათ წარმატებაში შეგვეყვანა, რომ იგინი გაგვეხადნა ხალხის მსაზრდოებელათ. პირ იქით, ყველა ამაებს ჩვენ ხშირათ უცხო ქვეყნებთაგან ვსაჭიროებდით.

ჩვენ უპირატესათ მიწის შემუშავებით ვცხოვრებდით და მით ვირჩენდით თავს.

ამ საქმეში კი იმდენათ დახელოვნებულნი ვყოფილვართ, რომ უცხო ქვეყნელებს ჩვენთვის დაურქმევიათ ბერძნული სახელი და დღესაც გვიწოდებენ — „გიორგიანელებს“ (რაც ნიშნავს მიწის მუშას) ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ

ჩვენი ხალხი ერთობ აფასებს მიწა-წყალს, და სახელათაც მას **„დედა“** მიწას უწოდებს.

ეს მნიშვნელობა მიწა-წყლისა ჩვენი ხალხისათვის დღესაც იგივეა, რადგანაც ჩვენი ცხოვრება საზოგადოთ, და სოფლათ მცხოვრებთა განსაკუთრებით, თითქმის უწინდელისავე მდგომარეობაშია და იმდენათ არ წარმატებულა, რომ სხვა-და-სხვა ხელოვნებას და ვაჭრობა-მრეწველობას ფესვი გაუდგას ჩვენში.

ამას შემდეგ ადვილათ გასაგებია, იგი აღტაცება, რომლითაც ქართველობა მიეგება რუსის მმართებლობის ბძანებას, რომ სათანადო პირები შეუდგენ მიწა-წყლის გამიჯნვას საქართველოში, და ყველა მესაკუთრეს მიუზომონ კანონიერათ შემოსაზღვრული მისი მამულიო. ყველა მამულის პატრონს ეგონა—თუ გამიჯნვის მოხელენი უაყალ-მაყალოთ, თვინიერ ყოვლის ხარჯისა, ჩააბარებენ მათ რიგიანათ შემოსაზღვრულ მამულს; მარა მწარეთ შეცდენ ამ თავიანთ ტკბილ იმედებში. გამიჯვნის გამო მიწა-წყლის მეპატრონეთა შორის გამოწვეულ აყალ-მაყალსა და ხარჯს ბოლო აღარა აქვს.

ამის მიზეზი გახლავთ:

1) გამმიჯნველი მოხელეები, რომლებიც არ ხელმძღვანელობენ გამიჯნვის წესდების იმ მუხლებით, რომელნიც ჩვენთვის საგანგებოთაა შეტანილი იმ წესდებაში;

2) სახელმწიფო ქონებათა გამგეობანი, რომლებიც სარგებლობენ იმით, რომ მათ არსათ არავითარი ხარჯი არ ხდებათ საქმის წარმოებისათვის და ყველა მიწის მეპატრონეებს ედავებიან ყველა მიწებს, (ეზოსი და ზოგიერთ ნაჭერ მიწის გარდა) უჩივიან მათ გამმიჯნველ მოხელეებთან, რომელნიც უპირატეს მხედველობაში იღებენ ამ საჩივრებს, და, რადგანაც ჩვენთვის შეტანილს მუხლებს გამიჯნვის წესდებისას არ ასრულებენ, ერთობ ხშირათ წააგებინებენ ხოლმე საქმეს ჩვენს მემამულეებს;

3) ხარჯის გადუხდელობის გარდა, ერთი მიზეზთაგანი, რომელიც აიძულებს სახაზინო ქონებათა გამგეობებს, უგზო-

უკვლოთ დავების დაწყებისთვის, გახლავსთ ის გარემოება, რომ მათ, სიზარმაცის წყალობით, დღემდის არა აქვსთ სახელმწიფო მიწა-წყლის ინვენტარის წიგნები, თუმცა თითქმის საუკუნეა მას აქეთ, რაც რუსეთის მმართებლობა ჩვენში არის.

შეიძლება ამ მიზეზების მოსპობა, რომელიც იმ დროსვე იქნება გამიჯნვისაგან გამოწვეულ დავიდარაბების მოსპობაც?—ძალიან ადვილათ.

საჭიროა მხოლოთ პირველი ორი მიზეზი მოვსპოთ, და მესამე თვით გაქარწყლდება.

აი როგორ:

მიწა-წყლის გამიჯნვის განკარგულება ჯერ რუსეთში მოხთა და მერმე ჩვენში. როდესაც ჩვენშიაც მოკიდეს ხელი მიწა-წყლის გამიჯნვას, უმაღლეს მმართებლობამ საჭიროთ დაინახა გამიჯნვის წესდებულებაში (რომელიც რუსეთისთვის იყო დაწერილი). რამდემიმე უმთავრესი მუხლები სრულიათ შეეცვალა, რადგანაც მიწა-წყლის საკუთრების საქმე საქართველოში სულ სხვანაირი იყო, ვიდრე რუსეთში. ამ მუხლების ძალით, თუ ქართველი მემამულენი ნოტარიალურ, ან ყოფილ იმერეთის და ქართლის დროებითი მმართებლობების ოქმებს ვერ წარმოადგენენ, და თავიანთს უფლებას მიწა-წყალზე სიგელებზე, ან სხვა რამე ძველ საბუთზე, ვერ დაამყარებენ,—მაშინ უნდა წარმოადგინონ მოწმეები, რომლებმაც უნდა აჩვენონ, რომ ესა-და-ეს მიწა ამა-და-ამ საზღვრებში სწორეთ ამა-და-ამ პირს ეკუთვნის.

ამ ყოვლათ გონიერ კანონს გამმიჯნველები არ ასრულებენ, და თხოულობენ მაინც-და-მაინც ნოტარიალური, ან და ყოფილი ქართლისა და იმერეთის დროებითი მმართებლობების ოქმები წარმოადგინეთო... ამ რიგი ოქმები კი ხუთასში ერთს არა აქვს ჩვენში!

მარა, ვთქვათ, გამმიჯნველ მოხელეებმა სახელმძღვანელოთ მიიღეს ზემოხსენებული მუხლები. მარტო ამით საქმეს არა ეშველება-რა, თუ სახაზინო ქონებათა გამგეობების უსა-

ფუძვლო და განუსაზღვრელ საჩივრებს ბოლო როგორმე არ მოელო. როცა რომელსამე მაზრაში (რაიონში) სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ყველა მემამულეებზე საჩივრებს იწყებს და ედავება მათ საკუთრებას, მემამულეებს ზემოხსენებულნი ოქმები არა აქვთ, და სხვა რიგ საბუთებს კი მოწმეებით დამტკიცება უნდა, და მოწმეებიც ვეღარ უშოვნიათ, რადგანაც ყველა იმ მაზრების მცხოვრებლები, როგორც მოპასუხენი სახელმწიფო ქონებათა გამგეობისა, გადაყენებულნი არიან მოწმობისაგან!!!.

ჩვენი აზრით ამ მიზეზების მოსასპობლათ საჭირო არის:

1) რადგანაც სახელმწიფო ქონებათა გამგეობებს უსაბუთო დავების დასაწყებათ ერთობ აქეზებს ის გარემოება, რომ მათ სასამართლოებში საქმის წარმოებისათვის არსათ არავითარი ხარჯი არ ხდებათ,—მათაც ისე და იმ რიგი გადასახადი დაედვას, როგორც სხვა სახელმწიფო უწყებებს ადევს. მაშინ იგინი, იმედია, უფრო წინდახედულათ მოიქცევიან და არ დაიწყებენ მემამულეთა დამღუპველ უსამართლო დავებს:

2) ის მოხელეები, რომელთაც, სახელმწიფო ქონებათა გამგეობები გზავნიან გასამიჯნავ მაზრაში (რაიონებში) მემამულეთა წინაამდეგ დავების დასაწყებათ, უფრო სინდისიან და საპატიო კაცებისაგან ამოარჩიონ, რადგანაც მათ ბევრი უფლება აქვთ, და მრავალ სიკეთესთან მრავალი ვნების მოტანაც შეუძლიათ. ბევრი მაგალითები ყოფილა, და დღესაც, როგორც ხალხი ამბობს, ხდება ამ გვარი საქმეები: იმათაც, ვისაც ყოვლად-კანონიერი ოქმები აქვთ თავიანთ მამულებზე, ზემოხსენებულნი მოხელენი აშინებენ დავის დაწყებით, და თუ მემამულემ „აბი“ არ გადააყლაპვინა, თავიანთს ქადილს მართლაც ასრულებენ, რადგანაც არც მათ და არც სახ. ქონ. გამგეობებს ამით არაფერი ეხარჯება;

3) მოწმეებს ჩვენება ჩამოართვან ოლქის სასამართლოის სამმა წევრმა, როგორც მოხსენებულია გამიჯნვის წესდებულებაში და არა ერთმა, როგორც დღეს ჩვეულებათ შემოუღიათ ჩვენში.

4) მოწმეების კითხვის დროს დაესწრონ ორივე მხარენი, როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე. ეხლანდელ გამიჯნვის წესდების ძალით კი, არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება დაესწროს მოწმისაგან ჩვენების მიცემის დროს, რომ მისცეს მას რაიმე კითხვა საქმის ასახსნელათ. ამის გამო ბევრი მამული ნამდვილი პატრონის ხელიდან სახაზინო ქონებათ გამგეობების ხელში გადასულა, და კიდევ გადავა. მით უფრო სასურველია ამ მუხლის შეცვლა გამიჯნვის წესდებაში, რომ ის პირ-დაპირ ეწინააღმდეგება ახალ სასამართლო წესებს.

გარდა ამისა, მიწა-წყლის მეპატრონეთ ღუპავს შემდეგი უკანონო საქციელი ოლქის სასამართლოებისა: კანონის ძალით, თუ ერთი ვინმე მეორეს უჩივის, მაშინ საჩივრის სიმართლე მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს და არა მან, ვისაც უჩივიან. ეს ყოვლათ სამართლიანი კანონია. ოლქის სასამართლოები კი ამის წინაამდეგ იქცევიან, და იმ მესაკუთრეებს, რომლებსაც სახაზინო ქონებათა გამგეობანი დადავებიან მიწა-წყალს, იძულებულს ხდიან თვითონ მათ დაამტკიცონ თავიანთი კანონიერი უფლება!!!

ამ რიგათ მომჩივანს მოპასუხე მფლობელის უფლებას აძლევენ და მოპასუხე მფლობელს კი მომჩივანის მდგომარეობაში აყენებენ: ამით სახაზინო გონებათა გამგეობანი კიდევ უფრო ქეზდებიან უკანონო დავების დასაწყებათ...

ყველა დამეთანხმება, რომ ეს, ჩვენგან აღძრული საგანი არის არსებითი საქმე ჩვენი ხალხისა, რომლის კეთილ დღეობა, სხვათა შორის ამ საგნის რიგიანათ გარდაწყვეტილებაზედაა დამოკიდებული. ამიტომაც მივაპყრობთ ხალხისა და მთავრობის ყურადღებას ამ საქმის გარემოებაზე. საჭიროა მოისპოს ზემოხსენებული უკანონო მოქმედებანი ნახსენებ დაწესებულებათა, რომ მით ბოლო მოეღოს იმ საშინელ დრტვინვას, რომელიც დღეს ისმის ჩვენს ხალხში გამიჯნვის საქმის ასე ცუდათ წარმოების გამო...

# როგორ ავაცდინოთ ჩვენს ახალგაზდობას ჩინოვნიკობა.

(მიხედ-მოხედვა ჩვენი ცხოვრების მოვლინებებზე, „დროება“ 1881 წ. № 241).

გონებით ბრმების გარდა ყველანი ხედვენ, რომ ამ რამდენიმე უკანასკნელ წლის განმავლობაში ქართველი მკითხველი საზოგადოება დიდი ბიჯით დაშორდა იმ საზოგადოებას, რომელიც ასპარეზობდა ამ ათი—თუთხმეტი წლის წინათ. ეხლანდელი მკითხველი, სამწერლო თხზულებისაგან, თუ პუბლიცისტურ წერილიდან ყოვლის პირველ თხოულობს **შინაარს** მაშასადამე **აზრს** და **საგანს**, რომელიც მით უფრო ახალისებს და აკმაყოფილებს მისს გონებითს წყურვილს, რამდენათაც იგი უფრო სერიოზულათ ეხება ჩვენს საკუთარ ეროვნულ საქმეებს.

საკუთარ საზოგადო საქმეებისათის თვალ-ყურის დევნება, სინდისიანი მწერლის აჯის მოსმენა მისთვის დღეს არის თითქმის იგივე არსობის პური, ურომლოთაც მას სიცოცხლე არ შეუძლია. მართალია, სამწუხაროთ, რომ დღეს-დღეისათ მცირეა ეგ საზოგადოება (რომლის უმეტესი ნაწილი სოფლათ არის), მარა, როგორც ერის დიდებას სრულიათ არ შეადგენს მისი სიმრავლე და ბევრი მიწები, ან და ბატონის კაი კაცობას არ ამტკიცებს მისი, ბევრი დროებით ვალდებულნი გლეხები და ვრცელი მიწა-წყალი, ისე ამ საზოგადოებასაც,—რაც არ ემატება,—ღირსება არ აკლდება ამითი. ეგ სიმცირე მხოლოთ ყოველ მხრივ ვალდებულებას უმატებს მწერლობას, რომელსაც მართებს დაუღალავი მეცადინეობა, რომ ამ სიმცირეს მუდამ ღირსეულს გონებით საკვებავს აწოდებდეს, ამხნევებდეს, და ამ გზით თან-და-თან ამრავლებდეს მას. თესლი თვითონ შეუქმნია და თვითონვე უნდა ილვაწოს, რომ მისგან მართებუ-

ლი და ახოვანი მცენარე გაიზარდოს. სიამოვნებით აღვიარებთ, რომ მწერლობის ამ ნაირს წმიდა ღვაწლს თან-და-თან მხარს აძლევს ჩვენი ინტელიგენციის მეჩხერი რაზმის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელთა შემწეობით ჩვენი ცხოვრების არსობითი საქმეები უფრო მტკიცეთ იდგინებიან ეროვნულ ნიადაგზე...

ერთი ამგვარი საქმე, რომელიც მწერლობისა და ზემოხსენებულ წარმომადგენელთ წყალობით თითქმის საბოლოვოთ გარდაწყვეტილია, გახლავს უარყოფა და განრიდება ჩვენის ახალგაზდობისაგან იმ **წოდების** წრეში ჩადგომისა, რომელიც არა თუ „მას ჟამსა შინა", არამედ გუშინაც კი პატივ-დებაში გახლდა ქართველთ შორის. ეს წოდება გახლავთ—ჩინოვნიკობა, მოხელეობა. ჩვენს გაზეთში არა-ერთ-გზის იყო ნათქვამი რაც ხეირი გვიქნა ამ წოდებამ და რა პირობებით გარემოცული მოქმედებს იგი ჩვენში; („ახალი სნეულება" წერილი მეორე).

ამ საქმეს ეხება აგრეთვე „შრომის" მე-9 №-ში დაბეჭდილი გონივრული წერილი ბ-ნის ს. შევარდნაძისა, რომელიც პირ-და-პირ ადგენს კითხვას თუ **„როგორ აიცდინოს ჩვენმა ახალგაზდობამ ჩინოვნიკობა?"** სამწუხაროთ... [1])

საზოგადოება რომ ვალდებულია ყოველის ღონის ძიებით ეცადოს, რათა თავიდან ააცილოს ახალგაზდებს ჩინოვნიკათ გახდომა და გაუადვილოს მამულის სასარგებლო შვილათ შექმნა ეს ცხადზე უცხადესია; თითონ სასწავლებელ დასრულებულნი რომ მოვალენი არიან ჩინოვნიკურს მახეს აცილდენ და თავისუფალის მოქალაქის ღვაწლით მამულს სარგებლობა მოუტანონ—ამაზე ყველანი დაგვეთანხმებიან. მარა საქმე ის არის, და უაღრესი საქმეც, თუ რა გვარათ შეასრულონ მათ ეს მოვალეობა. ე. ი. რა ღონის-ძიებას, საშუალებას უნდა

[1]) გამოტოვებულია ერთიოდე გვერდი 1881 წლის ცენზურისაგან.

მოკიდონ ხელი? ამის ასახსნელათ მოვაგონებთ იმ მიზეზს, რომლის წყალობითაც ყველა სასწავლებელ დასრულებულნი ქართველნი ახალგაზდები მიესწრაფვიან ჩინოვნიკობას. რა არის ეს უგვანი **მიზეზი**, რა აქვს მას დასაბამათ?

ვთქვათ ყმაწვილი კაცი ათავებს საქალაქო სასწავლებელს, გიმნაზიას და უნივერსიტეტს, კურსის დასრულების შემდეგ, რამდენიმე კვირას, იმას გონია, რომ აწ იგი დამოუკიდებელი კაცია და დიდის სიყვარულით და წრფელი გულით ეტრფის ოცნებით წარმოდგენილს თავისუფლებას. გადის ეს რამდენიმე კვირაც, ჩვენს ყმაწვილ კაცს უთავდება მშობლებისაგან მიცემული სახარჯო ფულები, და სასტიკათ იხიბლება ცხოვრების სინამდვილისაგან; ოცნებიდან რომ ნამდვილ ასპარეზზე მოინდომა გამოსვლა, დაინახა რომ თავისუფალ შრომით სიცოცხლე მას არ შეძლებია, რადგანაც შრომისათვის მოუმზადებელი ბძანებულა, არაფერი ცოდნია იმისთანა და ისე, რომ მისი გამოყენება ცხოვრებაში შეძლებიყო! მთელი მისი ცოდნა და „მეცნიერება“ მხოლოთ ატესტატისა და დიპლომისათვის ყოფილა გამოსადეგი, და თვით იმ ატესტატს და დიპლომს კი მარტო კანცელარიებში ქონიათ *) მნიშვნელობა, გასვლა და ფასიც! რა ქნას ყმაწვილმა კაცმა, რაც უნდა გულის სიწრფელით ძაგდეს ჩინოვნიკობა, როდესაც ამ უბედურებას ზედ-ერთვის ხვეწნა მშობელთა და მახლობელთა, რომელნიც ევედრებიან მას „შემოსავლიან ადგილის“ შოვნას, ე. ი. სამსახურში შესვლას და ჩინოვნიკათ გახდომას, გინდ ის ადგილი პოლტავაშიაც იყოს? ძალა-უნებურათ უნდა დათანხმდეს, მეტი გზა არა აქვს, ან ვერ მოუძებნია ცუდი აღზრდის გამო და სუსტი ხასიათის წყალობით. სამსახურში—მეტადრე სხვა ქვეყნისაში—ეს ჩვენი ახალგაზდა „განათლებული“ ყმაწ-

---

*) ამათ რიცხვიდან ბედნიერ გამონაკლისს შეადგენენ საექიმო განათლების პატრონნი, მარა სამწუხაროთ, ამათი რიცხვი დღეს ჩვენში არ აღემატება რვას, თუ ცხრას. ავტ.

ვილი კაცი, ხშირათ, ერთობ ხშირათ ხდება ნამდვილ ტიპათ ჩინოვნიკისა, რომლისთვისაც კანონის ასოები ღმერთია, და ამ ღმერთს მსხვერპლათ სწირავს თავს, ნამდვილ სარჩულს კანონებისას და კაცობრიულ ლოღიკასაც.

მკითხველი ხედავს, რომ მიზეზი ნასწავლის ახალგაზდობის გაჩინოვნიკებისა არის მისი **აღზრდა** უმდაბლესიდან დაწყებული უმაღლესს სასწავლებლებშიაც.

ვიდრე ამ მიზეზს არ მოვსპობთ, შეუძლებელია მისი შედეგის გაქარვება—ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ წინაამდეგი ვერავინ გაგვიხდება.

ის საშუალება, რომლითაც უნდათ ბოლო მოეღოს ამ მიზეზს ერთათ-ერთია: ჩვენ უნდა გავიჩინოთ საკუთარი სასწავლებლები... რომლებშიაც სწავლა უსათუოთ დედა-ენაზე უნდა იყოს. ამისთანა სასწავლებლები სწორეთ რომ უკვდავების წყარო იქნება სწავლა-ცოდნისათვის დამშეულ ქართველებისათვის. მაშინ ჩვენ არ გვეყოლება მეასედი იმ გამოგდებულ-გამოსულებისა, რომლებითაც ყოველ წლობით „გვამდიდრებენ“ ეხლანდელი სასწავლებლები; მაშინ ყოველი კურს დასრულებული იქნება ნამდვილათ და არა თუთიყუშივით მცოდნე იმისი, რაც სასწავლებელში უსწავლია; ის იქნება სრული მეუფე თავისი ჭკუა-გონებისა, მტკიცე ხასიათის და უჩვეულებრივო სიმხნის (ენერგიის) პატრონი, ერთი სიტყვით—ნამდვილი და სასარგებლო მოქალაქე, სულითა და გულით მამულის შვილი.

დღეს ჩვენ ამისთანა მოქალაქენი და მამულის შვილნი არა გვყავს, რამდენიმეს გარდა, იმიტომ რომ მათის შექმნისათვის საჭიროა ზემოხსენებული სასწავლებლები, რაც არა გვაქვს და, ვიმეორებ, უნდა შევიძინოთ რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს...

აი ამ საქმეში გვმართებს, შეერთებულ შრომით მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება მალე ავისრულოთ ეგ უწმიდესი საწადელი. ამ შემთხვევაში ისეთივე სიმხნით, თავგამოდებითა

და განწირულებით უნდა მივესწრაფებოდეთ მიზნის აღსასრულებლათ, როგორც უწინ მრავალ მტერთაგან მამულის დაცვას...

პირველი მტკიცე საფუძველი ამ დიდის საქმისათვის, ჩვენის აზრით, შეუძლიათ დადვან თავად-აზნაურთა საზოგადო კრებებმა ხელის-ხელ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“. ამ უკანასკნელს უფლება აქვს მესამე და მეორე ხარისხის სასწავლებელთა დაფუძნებისა და, სავინიცობოთ, კარგს იზამს, რომ შეიძენდეს უმაღლესს სასწავლებელის დაარსების უფლებასაც. თავად-აზნაურთ კრებებს კი შეუძლიათ ამ საზოგადოებას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ თუ თვისშორის გადასახადის გაწერით, თუ უზენაესის ტახტისადმი მიმართულის თხოვნით, რომ საერო გადასახადიდან რამდენიმე პროცენტი ამ სასწავლებელთათვის იქმნას ყოველ წლობით გადადებული და, აგრეთვე, თუ კი საჭირო დარჩა *) ისიც ენერგიულათ უნდა ითხოვოს, რომ სწავლება დედა-ენაზე იყოს... დანარჩენს დაუყოვნებლივ აასრულებს ხალხი.

მართალია, ამის გარიგება ძნელია; მას უნდა დიდი შრომა და ხანგრძლივი მეცადინეობა; მარა ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ეს საქმე არის **დიდი საქმე**, საშვილიშვილო და საისტორიო. ამნაირი საქმე როდის გარიგებულა მცირე შრომით, ე. ი. ადვილათ? არასოდეს!

ნუ შევუდრკებით ამ სიძნელეს, ნუ დავრჩებით შთამომავლობისაგან დასაწყევლნი და საზიზღარნი; თუ გვინდა ჩვენი, ჩვენი შვილების და შთამომავლობის **სიცოცხლე**, დავძლიოთ ეგ სიძნელე, მოვთხაროთ ძირით ის მავნე ბალახი — უმეცრება, რომელიც მძვინვარ მტერზე უფრო გვჩაგრავს! დავამყაროთ ჩვენს მამულში სუფევა ჭეშმარიტის განათლებისა, რომელიც

*) იმედია ამის თხოვნა არ დაჭირდეს: ჩვენის თაოსნობითა და ხარჯით გახსნილს სასწავლებლებში, რასაკვირველია, სწავლება პედაგოგიის ნამდვილს მოთხოვნილებისამებრ უნდა იქნეს.

გაგვამარჯვებინებს არსებობისათვის ბრძოლაში, გემრიელათ გვაჭმევს არსობის პურს და შეგვქმნის კაცურ-კაცათ! გავიხსენოთ ჩვენი დიდებულნი წინაპარნი, რომელნიც ოც-და-ერთის საუკუნოების განმავლობაში სიცოცხლეს წირავდენ მამულს და ერის განათლებას; მოვიკრიბოთ ყოველივე ძალ-ღონე და შევუდგეთ კაცურ გზას... მაშინ გვექნება სრული უფლება ჩვენს თავს ნამდვილი **ქართველი** ვუწოდოთ და ვამპარტავნებდეთ ეროვნებით!

---

# კავკასიაში ნამესტნიკობის გაუქმება 1881 წელს.

„დროება“ 1881 წ. № 264.

ერთობ ცხადი და თვალ-საჩინო ჭეშმარიტებაა, რომ შავსა და კასპიის ზღვებს შუა მკვიდრ ხალხებში ყოველ-მხრივ უპირატესი ადგილი ჩვენ, ქართველებს გვიჭირავს. ამიტომაც ყველაფერი, რაც კი ამ მხარეს—კავკასიას ეხება, ყველაზე უფრო საქართველოს აგრძნობინებს ხოლმე თავის ავ-კარგიანობას...

ესევე ითქმის, რასაკვირველია, იმ მოსალოდნელ მოვლენაზე, რომელზედაც რუსულმა დრო-გამოშვებითმა მწერლობამ და ჩვენმა გაზეთმა არა ერთ-გზის დაბეჭდეს თავიანთი მოსაზრებანი, თუ რა შედეგი ექნება მას (მოვლენას) რუსეთის იმპერიის ცენტრალური მმართველობისათვის საზოგადოთ და კავკასიისათვის კერძოთ! თითქმის ყველა ამ გვარ წერილებზე უფრო რიგიანათ მოსაზრებული და სინდისიერათ შემუშავებული სტატია ჩვენ წავიკითხეთ ამ დღეებში მ. სტასიულევიჩის გაზეთის „პორიადოკის“ 339 №-ში. ჩვენ ვამბობთ კავკასიაში ნამესტნიკობის გაუქმების თაობაზე. ქვემოთ ვბეჭდავთ სრულს თარგმანს ამ წერილისას, რომ მკითხველი საკუთარი შთაბეჭდილებით გაეცნოს საუკეთესო რუსულ გაზე-

თის აზრს ჩვენს ქვეყანაში ამისთანა უალრესს ცვლილებაზე. შემდეგ კი ჩვენ თვითონ განვსჯით მას, რასაკვირველია, რამდენათაც შევძლებთ, „მიზეზთა გამო სხვისა და სხვისა."

„კავკასიაში ნამესტნიკობის (ხელმწიფის მოადგილეობისა) გაუქმებით თავდება. უკანასკნელი პერიოდი იმ ისტორიისა,— ამბობს „პორიადოკი",—რომელიც მოყვა კავკასიის სრულიათ დაპყრობას 1859 წელს. ამ დროს განმავლობაში ჩვენ ვხედავდით, რომ იქ მრავალჯერ ცდილობდენ (?) ისეთივე დაწესებულებანი შემოეღოთ, როგორიც რუსეთში იყო, და დაედგინათ ევროპიული პირობანი საზოგადო ცხოვრებისა. იქ შემოიღეს „ახალი სასამართლონი", რომელნიც დღემდის არ ღირსებია რუსეთის იმისთანა ადგილებს, როგორც არის ექვსი ჩრდილოეთ-დასავლეთი გუბერნიები; მოსპეს ბატონ-ყმობა, დააფუძნეს სასწავლებლები; იქ გაჩნდა ბეჭდვა, შემოიღეს საქალაქო დებულება და რაღაც „სამხედრო სახალხო" მმართველობა. ერთის სიტყვით კავკასია აღარ არის რუსის პოეტების ზღვარდმოშლაგონების ადგილი, და შესაფერი ასპარეზი ცხოვრებით მოხიბლულთა, ძლიერის გრძნობებისა და სამხედრო წარჩინების მოწყურვებულთათვის.

„ამდენ სისხლის-ღვარათ დამჯდარმა მხარემ დაიბრუნა თავისი ისტორიის წინადროინდელი მნიშვნელობა და განაღო ბჭენი თვისნი ევროპასა და აზიას შორის. განუვლელი მაღალი მთები აღარავის აბრკოლებს ამიერ...[1]) შეუძლია თავისუფლათ გადაიტანოს მათზე თავისი ცივილიზაცია აზიაში, იმ ძველის განათლების სამაგიეროთ, რომელიც ერთს დროს მიიღო მან ამ კაცობრიობის აკვნიდან. მარა ხელის-ხელ მოქალაქეობის დადგინებისა კავკასიაში, უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში აღმოჩნდა ბევრი წინაამდეგი მოვლენანი. ეს მოვლენანი გვაჩვენებენ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაკეთებულა, და ზოგიც ისე არ გაკეთებულა, როგორც სასურ-

*) გამოტოვებულია თარგმანში 1881 ცენზურისაგან.

ველი იყო იმ მაღალი მიზნისათვის,—მკვიდრთა (туземцы) გადასახლება ოსმალეთში, ხშირი უწესოებანი იმ გვარს უწყინარს მცხოვრებლებშიაც კი, როგორნიც არიან სვანები, და, უკანასკნელ ომის დროს იმ ადგილებში მომხდარი აჯანყება, რომელნიც დიდი ხნიდან დამყუდროებულნი იყვნენ, და შამილთან გაჩაღებულ ბრძოლის დროსაც კი გვერთგულობდენ,—ცხადათ გვაჩვენებს, რომ გარეგანი სამხედრო-პოლიციური ძალა სრულიათ არ კმარა ცხოვრების კანონიერ პირობების დასამყარებლათ, და რომ სამოქალაქო გამგეობა, რომელიც თავის-თავს ამკვიდრებდა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან წართმეულ მიწებზე, თითქმის სრულიათ უძლურია მოქალაქობის დასადგინებლათ ამ მრავალ-გვაროვანსა და ბუნებისაგან მდიდრათ შემკულს მხარეში.

„მარტო ნამესტნიკობის გაუქმებას, ან იმის ნაცვლათ ღენერალ-გუბერნატორობის შემოღებას არ შეუძლია, რასაკვირველია, კავკასიის ეხლანდელ ყოფა-ცხოვრებას რაიმე შეძინოს. ამაზე უფრო ნაკლებს სარგებლობას მოიტანს კავკასიისათვის იმ ბიუროკრატიული ცენტრალიზაციის გავრცელება იქაურს ოლქებში და გუბერნიებში, რომლის გამო ცოტათი კი არ იტანჯება ჩვენი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება. ნამესტნიკობის მეოხებით კავკასიის მცხოვრებლებს ახლოს მაინც ქონდათ საკმაოთ უფლების მქონე ხელმწიფება, (власть) რომლის წყალობით მოშორებულნი იყვნენ დაუბოლოვებელს მიწერ-მოწერას და საქმეთა გაჭიანურებას, რაც ბიუროკრატიულის ცენტრალიზაციის თვისებას შეადგენს ხოლმე.

„კარგი შედეგი მოსდევდა ამას, თუ ცუდი—ზემო მოყვანილ ფაქტებიდან ვხედავთ. საინტერესო მაგალითსავით გავახსენებთ, რომ ერთ დროს, როდესაც რუსეთის პროვინციალურის სტამბის უმრავლესობა ქაღალდს აფუჭებდა მხოლოთ უშინაარსო საგუბერნიო და საეპარქიო უწყებათათვის, და კიევსა და ხარკოვში დევნიდენ მალორასიულს ენაზე დაბეჭდილ ბროშიურებს, თბილისში დაუბრკოლებლათ (?) გამოდი-

ოდა რუსული, ქართული და სომხური გაზეთები. ესენი ძალიან ხშირათ ლაპარაკობდენ უფრო თავისუფლათ და ადმინისტრაციის წინაშე უფრო დამოუკიდებლათ ეჭირათ თავი, ვიდრე სატახტო ქალაქების, ესრედ წოდებულ „თავისუფალ“ ჟურნალ-გაზეთობას.

„წინააღმდეგ ამისა, ისიც უნდა ვთქვათ რომ ეხლა, რამდენადაც ვიცით, თითქმის სრულიათ გაქრა თბილისის ჟურნალ-გაზეთობა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ დამოუკიდებელია ცენტრალურ მმართველობის ზედ გავლენისაგან. აგრეთვე ცნობილია, რომ გრაფის დ. ა. ტოლსტოის მმართველობის დროს კავკასიის სამასწავლებლო საქმე წარმოადგენდა ერთგვარს ოაზისს რუსულ განათლების გაუერანებულსა და ნისლოვანს უდაბნოში. მარა, ამასთანავე, კავკასიის სასამართლოებს შეეხორცნენ ის უმთავრესნი „შესწორებანი“ სასამართლო წესდებებისა, რომელნიც გრაფ პალენის იუსტიციის სამინისტრომ სრულათ ვერ მოახმარა რუსეთს. ეს შეხორცება ვერ ამტკიცებს, რომ კავკასიის განსაკუთრებითი მდგომარეობა სასარგებლო იყოს...

„აქედან ჩანს—თუ რა პირობებისაგან არის დამოკიდებული მოქალაქობრიობის გაუმჯობესობა კავკასიაში. ღენერალ-გუბერნატორობის შემოღება მოასწავებს ადგილობრივათ გადამწყვეტის ხელმწიფების (власть) შემცირებასა და ზოგიერთთა სახელმწიფოის ცენტრალურ დაწესებულებათაგან დამოკიდებულებას. ამას არ შეუძლია კავკასიის გაკეთება. უწინ თუ სკოლები, გაზეთები, კლუბები, თეატრები და სხვ. და სხვ. თბილისის ხელმწიფებისაგან იყო დამოკიდებული, და აწ კი პეტერბურღის სხვა-და-სხვა დეპარტამენტების უწყებაში გადავა და ახალს მიწერ-მოწერას გამართავენ—ეს ვერც არაფრით მაინცა-და-მაინც კავკასიას გააბედნიერებს და ვერც არაფრით რუსეთს.

„თვითონ შეერთება კი ამ განაპირი ქვეყნის გამგეობისა რუსეთის ცენტრალურ მმართველობასთან ერთობ მცირე წარ-

მატებას მიეცემა და, უფრო კი—უწინდულათ გარეგნობითი იქნება. საღენერალ-გუბერნატორო ხელმწიფება ერთობ სუსტია დააბრკოლოს და ნიადაგი წაართვას იმას, რასაც ის არ თანაუგრძნობს, ამასთანავე ის ყოველთვის მოახერხებს სხვა-და-სხვა საბუთების მოძებნას, რათა დაიცვას რომელიმე განსაკუთრებითი მდგომარეობა და არ გაავრცელებინოს თავის მხარეში სხვა-და-სხვა რეფორმები, თუ გინდ ცენტრალური ხელმწიფება წინააღმდეგის მოსურნეც იყოს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია მაგალითათ ავიღოთ რუსეთის შინაგან საღენერალ-გუბერნატოროები, ეხლანდელი მდგომარეობა ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვეყნისა, ყოფილი ორენბურგის საღენერალ-გუბერნატორო და ციმბირი—ხომ რაღა თქმა უნდა.

„მარა მეორე მხრით, დეპარტამენტთა ბიუროკრატიული ძალაც მათი ფორმალიზმით, წესით, ცნობათა შეკრებით და დასკვნით იმდენათ ცნობილია, რომ შეუძლებელია არ გვესმოდეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არავითარი სიმხნე ღენერალ-გუბერნატორებისა არ კმარა, თუ მისი განზრახვანი, (რაც უნდა უეჭველათ სასარგებლონი იყოს ისინი ქვეყნისათვის), არ ეფარდებიან ზოგადს კანონებს, ან და თანაგრძნობას არ იწვევენ პეტერბურგის ბიუროკრატიულ წრეებში. ყოველს სამინისტროში ადვილი მოსაძებნია ათასი წარდგენილებანი და თხოვნანი ადგილობრივის ხელმწიფებისა (ВЛАСТИ), რომელნიც მხოლოთ იმიტომ რჩება უძრავათ, რომ თავის დროზე თანაგრძნობა არ გამოუწვევია განყოფილების უფროსისა. უფრო მაღალ ჩინოვნიკების თანაგრძნობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია...

ამ ნაირათ, ეხლა კავკასიას წილათ ხვდება მხოლოთ უფრო პირ-და-პირი ტვირთება იმ რიგივე ბიუროკრატიულ უმართებულობისა, როგორიც რუსეთშია. ეს უმართებულობანი შეიძლება რომ შესუსტდეს, თუ კავკასიაში მალე გაავრცელებენ სათემო (ЗЕМСКІЯ) დაწესებულებას, და მართლა შემოიღებენ „ახალ სასამართლოებს“ ნაცვლათ მათი „თანამ-

დებობის აღმასრულებელ“ სასამართლოებისა. ესევე უნდა ვთქვათ სახალხო სამხედრო მმართველობის შესახებაც.

ბოლოს ისიც უნდა ვთქვათ, რომ ღენერალ-გუბერნატორობის დაფუძნება თითქო გვიმჟღავნებდეს, რომ ვგონებთ დროა კავკასიის ოლქები რამდენიმე დამოუკიდებელ სამმართველოებათ დაიყოსო“. შეიძლება სტავროპოლის გუბერნია განაცალკევონ კავკასიისაგან და თერგის და დაღესტნის ოლქები კი ეხლაც ამისთანა საღენერალ-გუბერნატორებს წარმოადგენენ, რომელნიც თბილისს უფრო ექვემდებარებიან, ვიდრე პეტერბურგს.

„ერთათ შეერთებას სხვა-და-სხვა ნაირ კულტურის მქონე გუბერნიებისას ერთობ ცუდი შედეგი აქვს, როგორც მთელი მხარის ზოგადი მდგომარეობისთვის, ისე იმ კუთხეებისთვისაც, რომელნიც სრულიათ არ საჭიროებენ განსაკუთრებითის მმართველობის სისტემას და მცხოვრებელთა უფლების შემოსაზღვრას, შემცირებას.

„სამწუხარო ასაღვიარებელი და სათქმელია, რომ რომელიმე განაპირა ქვეყნის შემოერთება (გინდ აზიის სამზღვრიდანაც) რუსეთის ცხოვრებისა და მმართველობის საერთო პირობებთან, ასე ერთობ მცირე სიკეთეს პირდება შემოსაერთებელ ქვეყანას. ხანდისხან კი საეჭვოც არის, გამოსადეგი არის თუ არა ეს შემოერთება? სასაცილო იქნებოდა, რომ ეს... დასკვნა ჩვენი თავისთვის დაგვემალა. მისი აღსარება ცხადათ გაგვაგებინებს იმ დრო გადასრულის ბიუროკრატიულ მმართველობის წესებს, რომელთა აცდენის აუცილებელ საჭიროებაზე ასე ბევრი ითქვა მხედრობისა და სამხედრო სამინისტროის საქმეებზე სჯის დროს. თუმც ამ ნაირს სჯაში ერთობ ხშირათ იჩენს ხოლმე თავს იმისთანა წადილიც, რომელიც ძალიან შორავს რუსეთის საერთო ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობას, მარა, მაინც, რაც უნდა იყოს, ბიუროკრატობის დაძველებულ და უვარგისს მნიშვნელობას ამითი არაფერი აკლდება. თუ კი ბიუროკრატობა და მისი ბუნებითათ თანა-

მსრბოლი ცენტრალიზაცია, მისი ცხოვრების დამხშობ პირობებითურთ შეიცვლება რუსეთში თანამედროვე საერთო ცხოვრების პირობებისამებრ, მაშინ კავკასიაც არ ინანებს არც ნამესტნიკობის გაუქმებას და არც იმას, რომ უფრო დაახლოვებული კავშირი ექნება რუსეთთან“...

---

## 1902 წ.

## გურულების საყურადღებოთ.

„ცნობის ფურცელი“ 1902 წ. № 1865.

როცა გადაწყვიტეს ამიერ კავკასიის რკინის გზის ბათომში მიყვანა, პირველათ ლიანდაგის დაგებას ფიქრობდენ სამტრედიიდან ზეგან-საჯავახოზე, იქიდან კი ნაგომარით, ოზურგეთით, გურიანთით და ქობულეთ-ჩაქვით უნდა მიეყვანათ პირდაპირ ბათომში. პირველი გამოკვლევა რკინის გზის ლიანდაგისათვის სწორეთ ამ მიმართულებით მოახდინეს.

აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებით გაყვანა გზისა, თუმცა არავითარს დაუძლეველს ტეხნიკურს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. მარა საჭირო იყო ბევრი ხიდის აგება შუა გურიის პატარა წყლებსა და მდინარეებზე, და აგრეთვე გვირაბის გაყვანა ზეგან-საჯავახოს მთებში. უმთავრესათ ამ ტონელმა ააცდინა რკინის გზა შუა გურიას. ინჟენერების ანგარიშით, სიგრძე ტონელისა და ხარჯი, რაც მისს გაყვანას დაჭირდებოდა, თუ მეტი არა, ნაკლები არ იქნებოდა სურამის პირველი ტონელის სიგრძესა და მისთვის გაწეულ ხარჯზე...

ამის გამო შეუდგენ ისეთის მიმართულების გამოძებნას, რომ ხიდებიც ნაკლებათ ყოფილიყო საჭირო და ტონელიც არ დაჭირვებოდათ. გამოუკვლევლათაც ცხადი იყო, რომ ასეთი მიმართულება იქნებოდა ბარის საჯავახოთი სანაპირო

გურიაზე და ჩოჩხათის საზოგადოებით ქობულეთზე ციხის ძირამდი, სადაც პაწაწინა ტონელის გავლით რკინის გზა ხელის გულსავით ტრიალ ზღვის პირით ბათომს მიადგებოდა. ინჟენერთა კომისიამაც ეს მეორე მიმართულება ირჩია და რკინის გზაც გაიყვანეს სამტრედიიდან ბარის საჯავახოზე, ნიგოითზე, ლანჩხუთზე, უნაგირაზე (სუფსა), ნატანებსა და ქობულეთზე. ვერ ვიტყვით, რომ ხაზინას, ან რკინის გზას ნივთიერათ წაეგოს გზის ამ სოფლებზე გატარებით. ეჭვი არ არის, რომ ამ მიმართულებით გზის გაყვანა უფრო იაფად დაჯდა, და თვით ნიგოითის ქედს გადმოღმა მხარე, ეს „ბოლაზი“ ადგილი გურიისა, აღორძინდა ახალ სამრეწველო ცხოვრებისათვის, გაიწმინდა ჩირგვნალები და გაჩნდა ზედ ყანები, გააშრეს ჭენჭყოები და დასახლდა ზედ ხალხი. უნაგირას უდაბნო ისე გაშენდა, რომ ახლო მომავალში ქალაქ ოზურგეთსაც წაუსწრებს და სხვ. და სხვ.

ხოლო არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნიგოითის ქედს გადმოღმა მხარე მხოლოთ ერთი მეათედია მთელი გურიისა. რა კი რკინის გზა აცდა შიგნითა გურიას, მოიგო ერთმა მეათედმა და წააგო ცხრა მეათედმა. ამ ცხრა მეათედის გამრჯელმა და მწარმოებელმა ხალხმა, რკინის გზის მთავარი ლიანდაგის გარეშე დარჩენილმა, არა თუ ახალი ბაზარი ვერ გაუჩინა (უმეტეს შემთხვევაში) თავისს ნაწარმოებს, არამედ, ზოგს შემთხვევაში, დაკარგა თავისივე, შინაური ბაზარიც—გურიის ის ნაწილი, რომელზედაც გაიარა რკინის გზამ. ამ უკანასკნელმა კუთხემ შიგნითა გურიაში რომ იყიდოს ან გაჰყიდოს რამე, უნდა გადიაროს ან ნიგოითის მთა ესრედ წოდებულ „გათხრილით“, ან და ორაგვის მაღალი გორები „ყელაზე“. ორივე გზა მუდამ გაფუჭებულია და ავდრებში ხომ, რაც ასე ხშირია გურიაში, ერთობ ძნელი და ზოგჯერ სახიფათო გასავლელიცაა. ამიტომაც ამ კუთხის ხალხმა ურმითა და ჩალვადრის ცხენებით 20—30 ვერსტზე სავაჭროდ სიარულს არჩია რკინის გზით ევლო სამტრედიაში, ქუთაისსა და ბათომს, და

ამ ადგილებთან დაეჭირა აღებ-მიცემობის ყოველგვარი საქმე. ფოთი ხომ წინადაც სანაპირო გურიის სანოვაგით ივსებოდა... რკინის გზის დაყოლება მცხოვრებნი ყველაფერს თავის ნაწარმოებს ახლა ყიდიან შედარებით ძვირათ და საყიდელს ყიდულობენ იაფათ. შიგნითა გურიის, მაზრის ცხრა მეათედის მცხოვრებნი კი ყველაფერს ყიდიან შედარებით, იაფათ და ყიდულობენ ძვირათ. რომ ვიანგარიშოთ ყველაფერი ის, რასაც წაგებით ყიდის და ყიდულობს ყოველ წლობით ეს $^{9}/_{10}$ გურიისა, ჩვენ მივიღებთ ისეთს რაოდენობას ზარალისას, რომ ყველა გულშემატკივარს მშრომელ ხალხისას მწარეთ დააფიქრებს... ასეთს ყოფას შიგნითა გურიისას ყურადღება მიაქცია ქუთაისის წინანდელმა გუბერნატორმა, განათლებულმა და ცხოვრების გამოცდილებით გაბრძნობილმა მ. ი. შალიკოვმა. თავის უქვეშევრდომილესს მოხსენებაში 1893 წელს, მან ვრცლათ განმარტა, თუ რამდენათ სასურველი და საჭირო იყო რკინის გზის გაყვანა შიგნითა გურიაზე. დარბაისელი ავტორი მოხსენებისა სრული სიმართლით ამბობდა, რომ ეს გზა შეიძლება შიგნითა გურიაზე იქმნას გაყვანილი ისე, რომ გვირაბი საჭირო არ იქნებაო. ამისათვის საჭიროა გზა გადაიყვანონ არა ზეგან-საჯავახოზე, არამედ ჭაპანას ხეობითო. საზოგადო პოლიტიკო-ეკონომიურ მოსაზრებათა გარდა, გუბერნატორს ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი ქონდა სახელმწიფოს სამხედრო დაცვის ინტერესებიც. როგორც სამხედრო კაცი და გენერალურ შტაბის გენერალი, ის უაღრესს ყურადღებას აქცევდა იმ დიდ-მნიშვნელოვანს გარემოებას, რომ თუ ვინიცობაა ოსმალეთთან ომი მოუხდა რუსეთს და მტრის ფლოტი შავი ზღვით გურიის ნაპირებს მოადგა, ბათომი მაშინვე მოწყვეტილი იქნება რკინის გზას, რადგანაც ჯავშიან გემების ზარბაზნებს შეუძლიათ თურმე მტვრათ აქციოს არა თუ მარტო ის ლიანდაგი, რომელიც ბათომიდან ქობულეთამდე რამდენისამე საჟენით შორავს ზღვის პირს, არამედ ყველა ის მატა-

რებლები, რომელთაც დასძვრენ სად. სუფსას ქვემოთ წყალწმიდიდან მოყოლებული თვით ქობულეთის სადგურამდე... *).

მარა მარტო ეს გარემოებანი არ აღმოჩნდა საკმაო, რომ რკინის გზის მთავარი ლიანდაგი სანაპიროდან შიგნითა გურიაში გადაეტანათ, გუბერნატორისაგან აღძრული საგანი მას მოლმა არავის გაუხსენებია. ამ ჟამად კი ბედნიერ გარემოებათა გამო ეს საგანი თავის-თავათ ახსენდება ყველას, ვისაც კი დასავლეთი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოთ და გურიის კი კერძოდ ეინტერესება და აფიქრებს. საქმე ის არის, რომ, როგორც გაზეთებმა შეგვატყობინეს, რუსეთის სახელმწიფო რკინის გზების მთავარ-სამმართველომ დაინახა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დასავლეთის ნაწილი ვერ აუდის ცხოვრების მოთხოვნილებას, და ვერ ყოფნის გადაზიდ-გადმოზიდვას იმ საქონლებისას, რაც მოაქვთ ხოლმე მისს სადგურებში. ამიტომაც, როგორც „ცნობის ფურცლის“ მკითხველებმა უკვე იციან, რკინის გზების მთავარ-სამმართველოს განუზრახავს ახალი ლიანდაგის გაყვანა ხაშურსა და ბათომს შუა. მაშასადამე არც მეორე ლიანდაგი აცდება გურიას, თუ განზრახვა შესრულებულ იქმნა, მარა საკითხავია—გურიის რომელ კუთხეში გაიყვანენ მას: ისევ სანაპიროში, თუ ერთჯელ უკვე მიტოვებულს შიგნითა გურიაში?? რამდენათაც ვიცნობთ არსებულს რუტინას რკინის გზების გაყვანისას, ვფიქრობთ, რომ ადვილათ შესაძლებელია მეორე ლიანდაგიც პირველის დაყოლება გაიყვანონ, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბევრათ უფრო იაფათ დაჯდება გზის გამგეობა. მარა ბევრის მხრით რკინის გზისათვის უფრო სარფა იქნება ეს მეორე ლიანდაგი მაინც თავდაპირველათ განზრახულის მიმართულებით გაიყვანონ შიგნითა გუ-

---

*) ამ უქვეშევრდომილესის მოხსენების გამო და შიგნითა გურიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ თავის დროზე დაიბეჭდა „Новое Обозр.“-ში წერილი ბ—ნის ა—სი.

რიაში, ჯაპანის ხეობით, როგორც სამართლიანათ სწერდა გუბერნატორი მ. ი. შალიკოვი, რომ დიდ ფასიანი გვირაბი საჯავახოს მთებში საჭირო არ დარჩეს.

შიგნითა გურიაში გაყვანილი რკინის გზა იქნება—ა) უფრო მოკლე, ვიდრე ახლანდელი ლიანდაგი, რომელიც გარს უვლის ნიგოითის მთებს, ეს კი პირდაპირ, უგვირაბოთ გაივლის ჭაპანის ხეობას იმავ ნიგოითის მთებისას; ბ) ის ხარჯი, რაც მოუნდება ლიანდაგის გაყვანას, შედარებით მალე იქნება ამოგებული, რადგანაც შიგნითა გურიის მჭიდროთ დასახლებული და ხელგამომავალი თექვსმეტი სასოფლო საზოგადოება ბევრის-ბევრს გასაზიდავსა და შემოსაზიდავს ბარგს მისცემს რკინის გზას. გასაზიდავი იქნება: სიმინდი, თამბაქო, აბრეშუმის პარკი, ხე-ტყე, თაფლი, ღვინო, არაყი, ხილეულობა და სხვა. მართალია, მამა-პაპეული ურმებით ცოტ-ცოტათი ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დღესაც გააქვთ, მარა რა კი რკინის გზა ყველას თითქმის კარმიდამოზე მიადგება, ყველაფერს ერთი ათათ მეტს გაიტანენ, რადგანაც მაშინ ეს მათთვის უფრო ადვილიც იქნება და უფრო იაფადაც დაუჯდებათ; ესვე ითქმის შემოსატანს მანუფაკტურაზე, საგალანტერეიო საქონელზე, ჩაი-შაქარზე, მარილზე, პურზე და სხვა. გ) სტრატეგიულის მხრივ შიგნითა გურიაში გაყვანილს გზას შეუდარებელი უპირატესობა ექნება აწინდელს ლიანდაგზე. ყოველ ომიანობის დროს, მაგალითად: **1829**, **1854—1857** და **1877** წლებში, ჯარის საოპერაციო ბაზისათ ყოველთვის შიგნითა გურია ყოფილა და იქნება კიდეც, და არა სანადირო.

ერთი სიტყვით, მრავალი გარემოება არის ისეთი, რაც სათვალდათვალო უპირატესობას აძლევს მეორე ლიანდაგის შიგნითა გურიაში გაყვანის საქმეს, როგორც სახელმწიფოისა და თვით რკინის გზის, ისე ადგილის მცხოვრებლების სასარგებლოთაც. ყველა ამ გარემოების ჩამოთვლა საგაზეთო მოკლე წერილში შეუძლებელია. ეს დასაბუთებულის, ცალკე მოხსენების საქმეა.

ამ წერილით ჩვენ ის გვინდა მხოლოთ ვთქვათ, რომ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლების ყურადღება მივაქციოთ რკინის გზების მთავარ-სამმართველოს განზრახვას ხაშურ-ბათომს შუა მეორე ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

დრომ მოიტანა, ჟამი მომწიფდა და როგორც იმერეთსა და ქუთაისს, ისე გურიას თავის-თავათ მიადგა მათთვის სანუკვარი, მთავრობისაგან შემზადებული და თითქმის გარდაწყვეტილი საკითხი—მეორე ლიანდაგის გაყვანისა.

აუცილებლად და დაუყოვნებლათ საჭიროა, რომ შიგნითა გურულებიც ქუთათურებსავით გამოფხიზლდნენ და დროიანად შეუდგნენ თავდარიგს, რომ ახლა მაინც არ ასცდესთ მათ მეორე ლიანდაგი, თორემ მერე გვიან-ღა იქნება...

„ჟამი გვიროკს, იგი გვიძახს: „შეუდექით სიბრძნის კვალსა!“

1897 წ.

## ჩვენებურ კალატოზობის გამო.

„მეურნე“ 1897 წ. № 8.

ამ ბოლო წლებში ჩვენი ეკონომიური გაჭირვება თან-და-თან მწვავდება. ამის მიზეზი ბევრია. უმთავრესი მათგანი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს, პირველ ყოვლისა უგზოობის გამო, ვერაფერს ვასაღებთ და სხვა ქვეყნის ნაწარმოებთ კი ყველაფერს ვყიდულობთ. ჩვენი ჭირნახულისთვის არა თუ გარეშე ბაზარი ვერ მოგვიპოვებია, თვით ჩვენს შინაობაშიაც კი ვერ ვასაღებთ მას, და ამავ დროს უცხოელების ნაწარმოებს, ჩაი-შაქრიდან და პურის ფქვილიდან დაწყებული უძვირფასეს აბრეშუმეულობამდი ყველაფერს მამასისხლათ ვყიდულობთ და მუდმივი მუშტარიც ვართ მათი.

საერო ნაწარმოების გაუსავლობა ყოველთვის საერო

შრომის უფასურობის მომასწავებელია; და ეს უკანასკნელი კი თუ დიდხანს გაგრძელდა, შეიძლება თვით ხალხს, როგორც ერობას*) მეტადრე იმისთანა სვესა და გარემოებაში მყოფს, როგორშიაც ქართველები ვართ, სრულიათ ბოლო მოუღოს. მაშასადამე ჩვენს ერთს უმთავრესს საცდელთაგანს უნდა შეადგენდეს ჩვენი საერო ჭირნახულისათვის ბაზრის მოპოვება და მით საერო შრომისათვის ფასის დადება.

ამ მოკლე წერილში მკითხველის ყურადღება ჯერ-ჯერობით გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ არა თუ მარტო ჩვენს სამეურნეო შრომას არა აქვს მისი შესაფერი ფასი, არამედ უფასურობით ძლივს ლონღიალობს ჩვენებური ყოველგვარი სახელოსნო შრომაც. ვთქვათ სამეურნეო შრომა ჩვენში სამეურნეო ცოდნის უქონლობის წყალობით უკან ჩამორჩენილია, და ამერიკა-ევროპის ხალხთა ამ გვარსავე შრომასთან ვერ მოვა, ამ შრომის ჭირნახული ისეთს ფასათ ვერ გადის, რომ შეგვეძლოს თქმა—შრომა დაფასდაო.—მარა სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი სახელოსნო შრომაც, რომელსაც ნამდვილი ცოდნით ვხმარობთ, რომლის ნაწარმოები არა თუ უდრის, სჯობს კიდეც ჩვენში ჩამოსულ უცხოელებისას—მაინც ვერ ასაზრდოვებს ჩვენებურს მშრომელს, რის გამო მას ეკარგება ხალისი ტეხნიკის თან-და-თანობით წარმატებისა...

დღევანდელ სასაუბროთ ჩვენ ავიღოთ ჩვენებური კალატოზობა და კალატოზები.

ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან, საქართველოს ხუროთმოძღვრება უცხოელთა ყურადღებას იპყრობდა თავისებურობითა, მოხდენილის სიმარტივით და შენობის სიმტკიცით. ეს სიმტკიცე შენობისა საიდან იქნებოდა, რომ ჩვენს კალატოზებს ზედმიწევნით განვითარებული არ ქონოდათ თავიანთი ხელო-

---

*) საკვირველია, რომ ყველანი ამ სიტყვას—ერობას, რაიცა ნიშნავს ნაციონალობას, Націонaльность, ხმარობენ სიტყვის თემობის, земство-ს მნიშვნელობით.

ბის ტეხნიკი? მართლაც, დააკვირდით ჩვენს ძველის-ძველ ციხე-კოშკებს და სასახლეებს (ბაგრატის ტაძარს ქუთაისში და გეგუთის ციხეს მაგალითათ). წარმოიდგინეთ მათი ეხლანდელი სიმაგრე და შეადარეთ სულ ახალ, 40—50 წლის წინათ, მოსულ კალატოზებისაგან აშენებულ ქვითკირის შენობებს, რომელთაც დასანგრევი პირი უკვე უჩანსთ (კაზარმები ქუთაისში მაგალითად) ძველებს რომ თავი დავანებოთ საკმაოა შევადაროთ ამ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენებურ და მოსულ კალატოზებისაგან აშენებული ეკლესიები ერთმანეთს, რომ ცხადათ დავინახოთ პირველოა ხელობის უპირატესობა მეორეებისაზე.

ცარიელ სიტყვაობა რომ არავინ დაგვწამოს, მოვიყვანთ თვალსაჩინო მაგალითებს.—გაბრიელ ეპისკოპოსის საფასით სოფ. ბახვში (გურიაში) აგებული თლილი ქვის ეკლესია ბევრათ უფრო ადრე აშენდა ვიდრე ამ გვარივე ეკლესია ს. ლანჩხუთს (გურიაშივე). პირველი, ბერეკაშვილებისაგან აგებული, ამ ჟამათაც ისე შვენიერათ გამოიყურება, რომ დღევანდელ გაკეთებულს გავს, და ლანჩხუთის კი, ტრაპიზონელი კალატოზებისაგან აშენებული, ეხლავე თხოულობს შეკეთებას. ამისთანა მაგალითები მკითხველსაც არა ერთი-და-ორი ეცოდინება, როგორც ის, რომ ჩვენებური კალატოზები ჩინებულნი არიან საზოგადოთ, მარა თავს ძლივს-ძლივობით ირჩენენ. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ორგანიზაციის უქონლობის გამო ისინი სამუშაოს ადებაში ვერ უწევენ კონკურენციას მჭიდროთ შეკავშირებულთ ბერძნებსა და სხვა უცხოელებს, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ხელობა პირველთა ბევრათ ჯობს უკანასკნელებისას.

ამ საერთო ეკონომიურის კრიზისის დროს სასურველია, რომ ამ გარემოებას, ჩვენი საზოგადოების გონიერი წრე მიაქცევდეს ყურადღებას და იზრუნებდეს ქართველ კალატოზების სინდიკატის შედგენას. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ სინდიკატს დიდი სიკეთის მოტანა შეეძლება, როგორც თვით კალატოზებისათვის, ისე შენობათა ამგებთათვის საზოგადოთ, თუ,

რასაკვირველია, სინდიკატის გამგებლები სიმხნითა და თავდარიგიანობით მოკიდებენ საქმეს ხელს, და არა ისე მცონარეთ, უგულოთ და ფორმალურათ როგორც მაგალ. ქუთათური წიგნების გამომცემელი საზოგადოება და მისი გამგეობა.

პირველი ჩინებული მაგალითები ჩვენში კოოპერაციის შემოღებისა—მაჩხაანის დეპო და კუხ-გუბის მეაბრეშუმეობის საზოგადოება ცოცხალნი მოწმეები არიან იმისა, რომ გონივრათ წამართულ კოოპერაციას ჩვენში, დაქვეითებულ კულტურისა და მევა*შეთა ბრჭყალებში მგმინავს ქვეყანაში, კარგი, მადლიერი ნიადაგი აქვს...

---

## თ ე მ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს.

„მეურნე“ 1897 წ. №№ 12—13.

თბილისის თავად-აზნაურობა, კავკასიის სწავლა-განათლებისა კულტურის შუაგულში მცხოვრები, როცა საქმე იმისთანა დიდსა და საშვილის-შვილო საგანზე მიდგა, როგორიც არის სათემო დაწესებულებათა შემოღება ჩვენში, ბევრათ უფრო უკან ჩამორჩენილი გამოდგა, ჩვენდა სამწუხაროთ, იმერეთის თავად-აზნაურობაზე.

თბილისის თავად-აზნაურობის წლევანდელს კრებაზე, როგორც მკითხველებმაც იციან, განხილულ იქნა სათემო დაწესებულებათა შემოღების საქმე თბილისის გუბერნიაში, და იმდენი მოწინაამდეგე გამოუჩნდა ამ არსებითს საჭიროებას ერისას ჯერ თვით დეპუტატთ კრებისა და წინამძღოლთ შორის, და მერმე თავად-აზნაურთ კრებაზედაც, რომ საქმე გადადებულ იქნა „როდინობის კვირისათვის“, ე. ი. გადაეცა დაწვრილებით განსახილველათ კომისიას...

ეს სამწუხარო გარემოება ბევრი მხრით დამაღონებელია ქართველის გულისა.

ერთი იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას მმართველობაც და რუსის საზოგადოებაც უფრო დაწინაურებულათ და კულტურულათ ცნობს—თუმცა ეს შეხედულობა, როგორც ვხედავთ, საქმით არ მართლდება,—და რაკი მან ჩამორჩა ამ არსებითს საჭიროების საქმეში იმერეთის თავად-აზნაურობის დადგენილებას, ვაი თუ მმართებლობამ იფიქროს: თუ მოწინავე ქართლ-კახეთი არ თხოულობს სათემო დაწესებულებათ, იმერთ რაღა რჯისთო, და ამის გამო ქუთაისის გუბერნიას დაუგვიანდეს მონიჭება მის მიერ უკვე ნათხოვნის სათემო დაწესებულებათა, გარეშე რომლისა ეკონომიურ გაჭირვებისაგან ჩვენი ხსნა არსით არის და არც იქნება.

მეორეთ იმიტომ, რომ დღემდი გვეგონა თუ—ჩვენი ერის ეკონომიურათ აღორძინების ბალავერი გაისკვნებოდა თბილისში, როგორც საზოგადოთ საქართველოის და კერძოთ ქართლ-კახეთის შუაგულში. და ეხლა ჩვენდა გულის გასაგმირავათ ვხედავთ, რომ ქართულ საქმეში თბილისი ქუთაისს მოექცა უკან, და, ვინც ჩვენსავით იცნობს ქუთაისს, მან კარგათ იცის, რომ საქართველოსთვის სრულიათ სანუგეშო არ არის, რომ ქუთაისს შერჩეს მესვეურობა, და საერო საქმის წინამძღოლობის სიმძიმის შუაგული თბილისიდან ქუთაისში გადმოვიდეს...

რაც შეეხება თვით კამათს, თბილისის თავად-აზნაურობის კრებაზე გამართულს, სათემო დაწესებულებათა შესახებ, გამოტეხილი უნდა ვთქვათ, რომ არავინ ჩვენგანი მოელოდა, თუ იმისთანა უსაბუთო საბუთები, რომლებიც წამოაყენა ამ დიადის საქმის წინაამდეგ თ—დმა გ. ორბელიანმა, ამ ბელადმა ანტი—თემობისამ არა თუ უმრავლესობას, არამედ სრულწლოვანს ერთ ვინმესაც თუ დაარწმუნებდა იმდენათ, რომ მის წინაამდეგ ვერ გასჭრიდა ვერც საქმიანი მჭევრმეტყველება თ—დის გიორგი თუმანიშვილისა და ვერც გონიერი საბუთები რამდენიმე სხვა მოწინავე მემამულეთა...

თავადმა გ. ორბელიანმა კრების ყურადღება მიაპყრო,

გარდა გაცვეთილის ცრუ საბუთისა ხალხის მოუმზადებლობაზე, ორს, მისი აზრით კლდის გამხეთქს გარემოებას, რომელთა გამო თემობა ქართველების დაქვეითებულ ეკონომიური მდგომარეობის წამალი კი არა, საწამლავი იქნებაო.

ერთ ამისთანა გარემოებათ, მისი აზრით, უნდა ჩაითვალოს ის საკითხი, თუ რა ენაზე ილაპარაკებენ ადგილობრივი თემობის ხმოსნები, როცა ჩვენში ყველამ ჯერ კიდევ რუსული ენა არ იცისო.

პირუთვნელი ისტორია ჩვენში რუსეთის მფლობელობისა და აგრეთვე დღევანდელი ცხოვრებაც გვიმტკიცებს, რომ იქ, სადაც საჭიროა ადგილის ხალხის აზრი ადგილისვე საჭირ-ბოროტო საქმეებზე, მმართებლობა სრულიათაც არ უშლის იმ ადგილის ხალხს საქმეზე მსჯელობა და კამათი იქონიოს დედაენაზე. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ასეც არ იყოს, მმართებლობა ან არ შემოიღებდა, ანუ და თუ შემოღება შეცთომით მოსდვოდა, მალე მოგვისპოვდა აწ არსებულ გლეხთა სასოფლო თვით-მმართველობას, რომლის არა თუ მსჯელობა და კამათი ყოველთვის, არამედ საქმის წარმოებაც ზოგიერთ შემთხვევაში ადგილის ხალხის ენაზე წარმოებს.

თუ გლეხთა თვით მმართველობას ასეთს ლმობიერს შეღავათს აძლევს მმართებლობა ენის მხრით, ნუ თუ იგივე მმართებლობა, იმიტომ, რომ ადგილის თვით-მმართველობის სიკეთეს აზნაურობაც გაეზიარებაო,—ამ მოწინავე წოდების იმ წევრთ, უმრავლესს შემთხვევაში მოხუცებულებს და დღე გადასულებს, რომელთაც რუსული არ იციან, დაუშლის თავიანთი აზრი გზების გაყვანასა და ხიდეების აგებაზე დედა-ენაზე წარმოსთქვან?! აზნაურობის გლეხებთან გარევა თვით მმართველობაში ამ უკანასკნელებს უფლებას თუ არ მოუმატებს, მოკლებით ხომ მაინც არ მოაკლებს!

მეორე მიზეზი, რომლითაც თ-დი გ. ორბელიანი გვაფრთხობს, ის არის მისის აზრით, რომ, ვინ იცის სათემო მმართველობის სათავეში ვინ მოექ,ცევაო, ჩვენ ქართველნი, თუ

სხვანიო, და ამ, ცხოვრების უცოდინარობის ოცნებით წარმოდგენილი საბუთის ვითომ და—გასაძლიერებლათ გვითითებს თბილისის ქალაქის თვით მმართველობაზე, რომელიც აქ სრულიათაც მოსატანი არ არის, თუ გნებავთ მარტო იმიტომ, რომ თბილისში ქართველნი უმრავლესობას არ შეადგენენ და მაზრებ-სოფლებში კი დიდი უმრავლესობა მათია...

ეს ერთი.

მეორე, როგორც კერძო კაცისათვის არის საჭირო, თუ თავისავე მსგავსთ შორის კაცურათ ცხოვრება უნდა, მარტო პირადი ინტერესები კი არ უნდა იქონიოს მხედველობაში, არამედ საზოგადოებისაც, ისე ყველა ხალხისთვისაც, მეტადრე ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფისათვის, უპრიანეა არა მარტო და მხოლოთ თავის-თავზე ფიქრი, არამედ მეზობლებზედაც... ზრუნვა თავისათვის კერძო პირისათვისაც და ერისთვისაც უპირველესი საგანია, თქმა არ უნდა, მარა იმავ დროს ორნივე უნდა ზრუნვიდენ სხვებზედაც, მეზობლებ პირთა და ერებზედაც, თავიანთი ინტერესები შეუფარდონ და შეუწონონ მათ ინტერესებს, შეიგუონ და შეეგუონ მათს საზოგადოებურს და სოციალურ ყოფას, რომ ღვთის გაჩენილს ვრცელს სამყაროში ერთმანეთს არ ავიწროებდენ, და თითოეული მათგანი თავისუფლათ გრძნობდეს თავს...

მაშასადამე, როცა საქმე იმისთანა საერთო დაწესებულების შემოღებაზეა, როგორიც არის სათემო თვითმმართველობა, ჩვენ ქართველებს, როგორც რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებთ და რუსის მოქალაქეებს, მხედველობაში მარტო და მხოლოთ ჩვენი საერო ინტერესები კი არ უნდა ვიქონიოთ, არამედ ყველა ჩვენი მეზობლებისაც, იმიტომ რომ ისინი, ჩვენი მეზობლები, თუ კეთილ მდგომარეობაში იქნებიან, ჩვენც მოგებული დავრჩებით, ისე როგორც ჩვენი ეკონომიური წარმატებით მათს ყოფა-ცხოვრებასაც გაუმჯობესობა დაეტყობა...

მმართებლობა......*) შეიწყნარებს ანუ უარყოფს ჩვენს თხოვნას სათემო დაწესებულებათა ჩვენში შემოღებაზე, არა იმიტომ რომ ჩვენ ქართველები ვართ, არამედ იმიტომ რომ მას სასარგებლოთ დაინახავს რუსეთის სახელმწიფოის იმ კუთხისათვის, რომელსაც დღეს ქვია თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, და სადაც ცხოვრობენ რუსეთის ერთგულნი ქვეშევრდომნი განურჩევლათ ერობისა (ნაციონალობისა) და სარწმუნოებისა...

სათემო ინსტიტუტი სახელმწიფო დაწესებულებაა და მას მხედველობაში აქვს მხოლოთ საზოგადოებური, სოციალურ-ეკონომიური ინტერესები იმპერიის ამა თუ იმ კუთხის მოქალაქეთა, და არა ამა თუ იმ განაპირა კუთხის ეროვნებისა . . . . . . . . . . . ეს იმისთანა ჭეშმარიტებაა, რომლის წინაამდეგ ვგონებ ვერაფერს იტყვიან ვერც თ—დი გ. ორბელიანი და ვერც მისი დამქაშები, რომელთაც ტყუილათ დაუხვევიათ ხელზე ვითომ და განსაკუთრებით მარტო ქართველთა ინტერესები, რომ ამისთანა ქათინაურით თავს რეტი დაგვასხან, და სათემო დაწესებულებათა შემოღებისათვის ზრუნვა სულ თუ არა, რაც შეიძლება მეტი ხნით დაგვავიწყონ...

ქართველი ერი, მუდამ მცირე რიცხვით, ბევრგზის ყოფილა ძლიერი და გავლენის მექონე სხვა აზიის ერებზე. დღესაც, ვინც რა უნდა სთქვას, იგია მოწინავე კავკასიის ბინადარ ერთა შორის, და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ სხვა ბევრ ნაკლულევანებასთან, მასა აქვს ორი იშვიათი თვისება, რომელთა წყალობით მან თავი გადირჩინა ცხოვრების ქარტეხილებისაგან. ეს ორი თვისებანი არიან: გრძნობა შეწყნარებისა და გერგილი (способность) შეგუებისა (приспособляться). ამ თვისებათა წყალობით იგი ყოველთვის იწყნარებდა და სრულიათაც არ სდევნიდა სხვათა რწმენას, და იმისთანა გარე-

*) აქ და სხვაგანაც, სადაც სამზე მეტი წერტილებია, ბევრი პწკრებია გამოტოვებული 1897 წლის ცენზურისაგან.

მოებებს კი, რომელზედაც ბევრმა სხვა, უფრო ძლიერმა ერმა ფეხი წაიმტვრია, ის ეგუვებოდა, თითქოს იცრიდა თავის საურო ტანზე და მითი შხამს მტრისას უკარგავდა ძალას...

ეს თვისებანი აწინდელს შავბედითს დროშიც შერჩენილი აქვსთ ქართველებს, და ვინც იმიტომ უშლის ხელს ჩვენში თემობის შემოღებას, რომ აქაო და „ვაი თუ ქართველნი სხვებმა დაჩაგრონო“, მათ მოვახსენებთ: თქვენ გაგვათანასწორეთ უფლებით სხვებთან და ჩვენის დაჩაგვრით ჯავრი ნუ გექნებათ; ჩვენ ქართველნი თემობას მიტომ ვთხოულობთ, რომ გვინდა ჩვენი მიწა-წყლითა და ეკონომიურ ძალღონით მეტი ნივთიერი სალსარი მოვიპოვოთ ცხოვრებისათვის, და მითი უფრო ნაყოფიერი სამსახური გავუწიოთ ჩვენს თავს და ჩვენს საერთო ვრცელ მამულს, რუსეთათ წოდებულს... და ვინ გვეტყვის, რომ თემობა არ შემატებს ნივთიერს კეთილდღეობას იმ კუთხეს, სადაც იგი გაშლის თავის მადლიან ფრთებს?

გვეტყვიან: სადაც თავის ფრთებს გაშლის თემობა, იქ დიალაც სიკეთეს მოიტანს, მარა თქვენში კი ვერ მოიტანს, რადგანაც ფრთებს ვერ გაშლის, და ფრთებს იმიტომ ვერ გაშლის, რომ მოუმზადებელი ბძანდებით, განათლება კოჭლობს თქვენშიო. ამის პასუხათ მოვახსენებთ, რომ

1) დღეს სტატისტიკური ცნობებით ამიერ კავკასიაში სასკოლო წლოვანების რვა ბავშზე სწავლობს ერთი, მაშინ როდესაც შიგნითა რუსეთში ხსენებაც კი არ იყო ხალხის სწავლაზე **თემობის შემოღების დროს.**

2) სრულიათ უსწავლელს რუსეთის ხალხს, ბატონ-ყმობისაგან გათავისუფლებისათანავე, 30 წლის წინათ, თუ მიენიჭა თემობა და შვენიერათ მოიხმარა იგი, ეჭვი არ არის რომ ჩვენ, შედარებით, სწავლის მიმდევარი და 33 წლის წინათ გათავისუფლებულნი შიდა გუბერნიების მცხოვრებლებზე ნაკლებ მაინც არ გავუძლვებით მას.

3) განათლება რომ კოჭლობს ჩვენში, თემობაც სწორეთ

იმისთვის გვინდა სხვათა შორის, რომ ჩვენი შემოსავალ-გასავ-ლის უფრო მომჭირნე გაძღოლით სკოლები გავამრავლოთ, და დაბათ და სოფლათ ნასწავლთა მოღვაწეობას ნიადაგი გა-ვუჩინოთ......

ყოველს შემთხვევაში, თემობის შემოღება ჩვენში ნიშნავს შეცვლას იმ სამეურნეო მმართველობის (хозяйственнаго управленія) სისტემისას, რომელიც დღეს ჩვენში სუფევს. და როდესაც რომლისამე არსებულის წესის მეორე დასაარსებე-ლის წესით შეცვლაზეა ლაპარაკი, მაშინ საუკეთესო კრიტე-რიუმი ერთ ერთის მათგანის არჩევისათვის არის—არსებულის წესის ყოველმხრივი გამოწვლილვა, მისი ღირსება-ნაკლულევა-ნებათა გათვალისწინება, და შემდეგ შედარება დასაარსებელი წესის მსგავსთ მხარეებთან.

(თუ ჩვენგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა ხელი არ შეგვი-შალეს, ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება მკითხველებთან საუბარი*).

---

## 1898 წ.

## აგრონომიულ კურსებისათვის.

„მეურნე“ 1898 წ. № 3.

გაზეთს „ს.—პეტერბურგის უწყებაში“ (№ 78 მარტი 1898 წ.) დაბეჭდილია ჩინებული სტატია რუსეთის ცნობილ პროფესსორის დოკუჩაევისა სათემო (земское) საქალაქო და სხვ. კერძო კურსების დაარსებისათვის აგრონომიისა და საჭი-რო ცნობების შესასწავლათ.

პატივცემული პროფესსორი აღიარებს ეხლანდელს დაცე-მულს მდგომარეობას რუსეთის მეურნეობისას და ამის მთავარ

---

*) მაშინდელ საცენზურო პირობების გამო ამ წერილის გაგრძე-ლება არ იყო დაბეჭდილი. ავტ.

მიზეზათ თვლის იმას, რომ მეურნეებს არა აქვთ შესაფერი ცოდნა და მიწის მფლობელნი გაურბიან მიწას, სოფელს და თავს აფარებენ კანცელარიებში სახელმწიფო სამსახურს, ხშირათ უმნიშვნელო ჯამაგირებზე, ანუ და იმის მეცადინეობაში არიან, რომ ბანკის ვალების დროვება, ან და რაიმე სუბსიდია გამოითხოვონ. ამ უკანასკნელთ ავტორი ურჩევს შინ, სოფლათ დაბრუნებას, მეურნეობისათვის ხელის მოკიდებას; ურჩევს აგრეთვე იმედი გადიწმინდონ და ხსნას ნულარ ელიან მმართებლობის სუბსიდიებისაგან, სესხთა და ბანკის გადასახადების დროვებისაგან. იმისათვის კი, რომ მათ და მეურნეობის მოყვარულთ ჰქონდესთ საშუალება საჭირო ცოდნის შესაძენათ, ავტორი იძლევა რჩევას, რომ დაუყოვნებლათ დაარსებულ იქნას ზემოხსენებული კურსები. პეტერბურგის გუბერნიისათვის კი თვითონ კისრულობს ავტორი ამისთანა კურსების დაარსებას.

თქმა არ უნდა, რომ თუ ამისთანა კურსები დიდათ საჭიროა შიდა რუსეთისათვის, უფრო უპრიანეა ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომელთა ერთად-ერთი სიმდიდრე და ცხოვრების სალსარი ჯერ-ჯერობით არის მიწა და მეურნეობა. მართალია, ჩვენი მიწა, ოდესმე უხვი მოსავლით გათქმული, დღეს გამოფიტულია და მეურნეობა ყოველგვარს სახელ-მძღვანელო ცოდნას არის მოკლებული, მარა ეს გარემოება კიდევ უფრო საჭიროთ ხდის ჩვენში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, როგორც სამინისტრო სასწავლებლების, ისე ამ მოხსენებულ კურსებისთანა დაწესებულებათა მეოხებით.

ხოლო საქმე ის არის, ვინ უნდა ითავოს ჩვენში ამისთანა კურსების დაარსების საქმის პროპაგანდა და განხორციელება?

ვფიქრობთ, რომ ამ წმიდა მოქალაქობრივი მოვალეობის ტვირთი უფრო შეხამებული და ზედ გამოჭრილი უნდა იყოს ჩვენი ნასწავლ აგრონომებისათვის, რომელთაც ამ შემთხვევაში იურიდიულ ორგანოთ შეუძლიათ მოიხმარონ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და მისი განყოფილებანი.

ამ დიდ საქმეს რომ თითოეული ჩვენი ნასწავლი აგრონომთაგანი ცალ-ცალკე და ყველანი ერთად დღეში თითო საათს მოანდომებდენ, მაშინ ერთ წლამდის თავს მოვიდოდა ჩვენში ამ სასურველი კურსების დაფუძნება, რადგანაც, არ ვეჭვობთ, რომ თვით საზოგადოება, და ყველა თუ არა, რამდენიმე საკრედიტო დაწესებულება მაინც, და, ადვილი შესაძლებელია, თვით მმართებლობაც მათ ხელს გაუწვდიან დიდის სიამოვნებით.

მარა ვეჭვობთ კი, რომ ეს საქმე მათ იკისრონ, ვინაიდგან, როგორც რუსის პოეტი ამბობს:

ჯერ არ მომკვდარვართ, ჯერ კიდევ ვცოცხლობთ,
მარა საქმისთვის მკვდარი ვართ, მკვდარი...
ჩვენი ხვედრია—კაის სურვილი,
შესრულების კი არა გვაქვს ძალი!

---

## უ მ ი წ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს.

„მეურნე" 1898 წ. № 4.

ივერიის № 89-ში ვკითხულობთ: დამზადებულია და ახლო მომავალში დაიბეჭდება ორი წერილი სამეგრელოს შესახებ რუსულ ენაზე ამ სათაურით: Два вопроса относительно Мингреліи. პირველს წერილში ის აზრია დასაბუთებული, რომ მეგრელნი წარმოადგენენ საუკეთესო ახალშენელებს, კოლონიზატორებს აფხაზეთისათვის, რომ ისინი მთელის საუკუნოების განმავლობაში ბუნებას მშვენიერათ მოუმზადებია, ესრეთ წოდებულის ბუნებრივის შერჩევის მეოხებით, ასაცდენად იმ მოშხამულის ჰაერისა, რომელიც ტრიალებს აფხაზეთში, და რომელიც ულმობელათ ჟლეტს სხვა ტომის ხალხებსა, რომ მეგრელნი ზღვის სიახლოვით ისარგებლებენ მარჯვეთ თითონაც და სახელმწიფოსაც ასარგებლებენ; მოეწყობიან ძმურათ აფხაზებთან, რომელთაც თესლითაც გვანან, ჩვეულებითაც, ხასიათითაც და რომელთან ერთად მთელი საუკუნოების განმავლობაში შეადგენდენ ერთ სახელმწიფოს...

სიმართლეა, რასაც ბროშიურის ავტორი ამბობს, რომელსაც მხოლოთ ის დავიწყებია, რომ მეგრელსავით გამოსადეგია აფხაზეთის მიწებზე დასასახლებლათ გურულები, ქვემო-იმერლები და ლეჩხუმ-რაჭველნი, უკანასკნელნი ზეგნებში. მხოლოთ ვიკითხოთ დროა, მით უფრო, რომ ეხლა შემთხვევა გვაქვს: რა გამოვიდა სიმართლის მართო თქმით და ლიტონი წერით, ისიც პროვინციებში, თუკი სიტყვას, ზეპირსა თუ ნაწერს, საქმეთ არ ვაქცევთ?.. არსათ არ არის ისეთი მიწის სივიწროვე რუსეთის იმპერიაში, როგორც ქართველ გლეხთა შორის, და წვრილ-ფეხა თავად-აზნაურებშიაც. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენებურ გლეხის სულზე მოდის 50 ოთხკუთხი საჟენი მიწა და აზნაურს კი უწევს ერთიოდე ქცევა. იმ კერძო შენაკრები ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, ჩანს რომ დღეს ჩვენში ასს თავად-აზნაურზე 5$^0/_0$-ს და ამდენსავე გლეხებში 8$^0/_0$-ს სრულიათ არა აქვთ მიწა, ბოგანოთ არიან და თავს ირჩენენ გარე მრეწველობითა და მოჯამაგირეობით კერძო თუ სახელმწიფო სამსახურში.

ეს ფაქტია, ცხადი, უეჭველი, ჩვენი დამღუპველი და გამრავლების შემაჩერებელი, მოსპობის თავდაღმართზე გადამყენებელი, მაგრამ ჩვენის ინტელიგენციისათვის უცნობი და ჩვენის მწერლობისაგან უყურადღებოთ დატოვებული!..

ამიტომაც, ჩვენის თავის მეტს ნურავის დავაბრალებთ, თუ ჩვენში, უმიწო მუშა მკვიდრთ მიწა არ ეძლევათ. ვისი ბრალია? ვიმეორებთ: ჩვენი, თითქმის მართო ჩვენი!—ჩვენს ინტელიგენციას და მწერლობას რომ თავიანთი მოვალეობა ესმოდეს და ჩვენგან ნაჩვენებ ფაქტს—ქართველ გლეხთა და წვრილ-ფეხა აზნაურთა უმიწობასა და ბოგანობას ფაქტათ დაადგენდეს, მმართებლობას მიაწვდენს უტყუარს, კარგათ დამუშავებულს ცნობებს და საზოგადოებასაც შეასმენს თავიდან ასაცდენ ღონის-ძიებას.......*).

—

*) დანარჩენი გამოტოვებულია 1898 წ. ცენზურისაგან.

## 1901 წ.

# კიდევ თემობისათვის.

„ივერია“ 1901 წ. №№ 242 და 248.

კავკასიის სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე მოწვეულ სხვა-და-სხვა დარგის სამეურნეო კრებებმა დაასრულეს თავიანთი სხდომები.

არ დარჩენილა არც ერთი დარგი სასოფლო მეურნეობისა, რომლისთვისაც ცალკე კრება არ ყოფილიყოს დანიშნული, და ყოველს კრებას რამდენიმე მრავალ-მეტყველიანი სხდომები არ გაემართოს.

გარდა ერობის შემოღების თხოვნისა, ყველაფერი ის, რაც ამ სხდომებზე წარმოითქვა და კრებებზე ოქმებით დადგენილ იქნა რომ განხორციელდეს—ჩვენს პატარა ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობას ბევრი რამ საწალმართო ფაქტორი გაუჩნდებოდა, მარა ვეჭვობთ, რომ მაშინაც რამე შველებოდა ჩვენს აწინდელს დაქვეითებულს ეკონომიურს ყოფას **არსებითათ**.

ვამბობთ ამას იმიტომ, რომ თემობის შემოღების გარდა, სხვა ყველა დანარჩენი ღონისძიებანი, რომელთა შემოღებითაც ფიქრობენ ჩვენი მხრის შველას—სამეურნეო, საპროფესიო და სხვ. სკოლები, ინსტრუქტორები, ლექციები და სხვ., ფრიად სასურველნი და ერთობ საჭირო დაწესებულებანი, მხოლოთ პალიატივია იმ დიდის სენისაგან ერის გამოსამრთელებლათ, რომელსაც ეკონომიური დაქვეითება ქვია.

თავი და თავი მიზეზები ჩვენი ეკონომიურათ დაქვეითებისა არის სამი რამ.

ერთი ის არის, რომ „საბელი ჩვენი ყელისა“ სხვის ხელთ არის და ის სხვა ნებას არ იძლევა ჯერ-ჯერობით ჩვენს საერთო გაჭირვებაზე, გინდ ეკონომიურზედაც, გარემოების-დაგვარ ვიზრუნოთ.

მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ საზოგადოთ განათლება სუსტათ გავრცელებულია ჩვენში.

მესამე მიზეზი კიდევ ის არის, რომ საზოგადოებრივ თაოსნობას ჩვენში მხარ-ფეხი გაყინული აქვს და ასპარეზი მოსპობილი.

რა რიგათ უნდა გამოვიდეს ერი დაქვეითებულ ეკონომიურ მდგომარეობიდან, როცა მას არა აქვს განათლება და საზოგადოებრივი თაოსნობა?

მიეცით ხალხს განათლება და გაუხსენით გზა საზოგადოებრივ თაოსნობას, და ის თავის თავათ გაიკვლევს გზას თავის ეკონომიურ მდგომარეობის და ყოველგვარ კულტურის გაუმჯობესობისაკენ......

პრინციპიალურათ ამისი წინაამდეგი არავინ არ არის, არც „მოსკოვის უწყებები“, მარა უკულმართობის გზაზე დამდგარნი მქადაგებელნი, რომელთაც არაფრათ ეპიტნავებათ საზოგადოებრივ თაოსნობის აღორძინება, ცდილობენ პირველ ფაქტორის უქონლობით უარყონ მეორესთვის გზის გახსნის საჭიროება, და გაიძახიან, უსწავლელ კაცთა კრებული საზოგადოებრივ თაოსნობას თავბოლოს ვერ გაუგებს, ბოროტათ მოიხმარსო.

ჯერ განათლება გავავრცელოთ ხალხში და მერე მივცეთ მას საზოგადო თაოსნობის გამოჩენის ღონისძიებაო.......

## II

„ჯერ განათლება გავავრცელოთ ხალხში და მერე მივცეთ მას საზოგადო თაოსნობის გამოჩენის ღონისძიებაო“... ამას ამბობდენ ხოლმე რუსეთში ყოველთვის, როცა ცხოვრების გაჭირვების სიმწვავე ერის გონიერ წარმომადგენლებს აამაღლებინებდა ხმას, და ხალხის დაქვეითებულ ეკონომიური მდგომარეობიდან გამოყვანისათვის საჭიროთ დასახავდენ ისეთი დაწესებულების შემოღებას, როგორიც არის თემობა (ერობა).

**„განათლება“** ისეთი მცნება იყო, მეტადრე უკულმართთა

გონებისათვის, რომელსაც საზღვარი არ მოეპოვებოდა. მათთვის რომ დაეჯერებინათ, რუსის ხალხი ვერასოდეს ვერ მოესწრებოდა ისეთ დროს, რომ სათემო დაწესებულებისათვის გონება მომწიფებულათ ყოფილიყო ცნობილი....

რუსეთში რომ ამ 34 წლის წინათ იმპერატორის ალექსანდრე II თაოსნობით სათემო დაწესებულება შემოქონდათ, მოწინაამდეგენი, როგორც გაჭირვების ტალკვესს, ისე მოებღაუჭენ ხალხის გაუნათლებლობას, მარა თვით-მპყრობელის ხელმწიფებამ ძლია მათს უკულმართობას, და ხალხს მიენიჭა უფლება თავის საშინაო ეკონომიურ ყოფისათვის თვით ეზრუნა.

მერმე, როგორ გგონიათ, „თავ-ბოლო ვერ გაუგო, ბოროტათ მოიხმარა“ მან მინიჭებული უფლება თვით მმართველობისა?

თვით მოსისხლე მტერნი საზოგადოებრივის თაოსნობისა ვერ ბედვენ ამ დაკითხვაზე „ჰოს“ თქმას: საერთოთ აღსაარებულია, რომ ისეთი ნაყოფიერი კულტურული ნაბიჯი, როგორიც რუსეთმა წადგა წინ ეკონომიურათ განვითარების გზაზე ამ 34 წლის განმავლობაში, მას არ გადუდგამს მთელი წინა საუკუნის განმავლობაში პეტრე დიდის ეპოქიდან დაწყებული.

სათემო დაწესებულების შემოღებამდე რუსეთი იყო სანახევროთ აზიური, გაუნათლებელი, ღარიბი ეკონომიურათ, და უღარიბესი მითი, რომ ხალხს მოთხოვნილებაც არაფრისა ქონდა. ეხლა კი უპირატესათ და უმთავრესათ სათემო დაწესებულებათა წყალობით, რუსეთი არის ევროპიული სახელმწიფო, შედარებით განათლებული, უწინდელზე ბევრათ უფრო მდიდარი ნივთიერათაც და მოთხოვნილებითაც.

სათემო დაწესებულებათა გონიერმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ხალხის მეურნეობა და სამეურნეო მრეწველობა იმდენათ წაწია წინ, განათლებას იმდენათ ღრმათ გაუსკვნა ფესვები სოფლათ, რომ დღეს, ევროპის სასოფლო მეურნეო-

ბის ბაზრები რუსეთის ასეთისავე მეურნეობისაგან არიან დამოკიდებულნი. სადაც უწინ სამიკიტნოების გავლენა იყო დამკვიდრებული, ეხლა სკოლა და სამკითხველო აუშენებიათ, და ისინი არსებითათ საჭირონი გამხდარან გონება გამოფხიზლებულ გლეხებისათვის, რომელნიც იმდენათ განათლდენ, რომ ესმისთ თავიანთი მოვალეობაც და უფლებაც, იციან, რომ მათ ის გადახდიბათ მხოლოთ, რაც კანონმდებლობის გზით არის გადასახადათ დაწესებული. დალაქებს და მარჩიელებს ხალხის ექიმობაში ასპარეზი დააცლევინეს მეცნიერულათ განვითარებულმა ექიმებმა, ქსენონები და საავადმყოფონი არსებობენ ახლა იქ, სადაც თემობის შემოღებამდე ტბები იდგა; საცდელ მინდვრებს, სამაგალითო ფერმებს, გაუმჯობესებულ სისტემის სამეურნეო მაშინების საწყობებს ნახავთ იქ, სადაც ამ 34 წლის წინათ ადამის დროინდელი „კავით“ ჩიჩქნიდენ მიწას *)..........

---

*) სადაც მრავალი წერტილებია, იქ მთელი პერიოდები გამოტოვებულია 1901 წ. ცენზურისაგან.

# ბიბლიოგრაფია და რეცენზიები.

## 1882 წ.

### „რა არის ეროვნება?“

ერნესტ რენანის ლექციიდან.

„დროება“ 1882 წ. № 66.

ევროპას, ქვეყნის წარმატების ამ ბელადს—აგერ ერთი საუკუნეა, რაც შავბედითი **ეროვნული საქმე** გულღვიძლს უჭამს, და მისს ხალხთა არსებობისათვის ბრძოლაში ასრულებს ორპირიანი მახვილის როლს... . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

აი, ამ დიდი დედა აზრის თეორიულათ გარკვევას უძღვნა პარიჟის უნივერსიტეტში (სორბონნაში) თავისი „სახალხო საუბარი“ სახელ გათქმულმა ავტორმა გამოჩენილ თხუზულების—„**იესო ქრისტეს ცხოვრებისას**“,— ერნესტ რენანმა, რომლის ფრიად საინტერესო შეხედულებასაც ამ საქმეზე ქვემოთ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს.

ძველი ქვეყანა ერს ვერ ცნობდა ისე, როგორც ეხლანდელს დროში ცნობენ; თუმცა ათინა, სპარტა, სიდონი და ტირი გასაოცარ მამულის შვილობის პაწაწა შუამავლებათ იყვნენ, მარა ისინი მაინც იმისთანა სამფლობელონი იყვნენ, რომ ერთობ განსაზღვრული ხმელეთი ეჭირათ. არც ასურისტანი, არც ალექსანდრე მაკედონელის იმპერია არ შეადგენდენ ეროვნებას, გალილეია, ესპანა და, რომაელთ დაპყრობამდის, იტალიაც, იყვნენ მხოლოთ ხალხთა ჯგუფები. რომის იმპერია კი ძალიან დაუახლოვდა **მამულის** ცნებას. როდესაც ის-ის იყო მიიწურებოდა მისი დიდების დღენი—რომაელ მწერლებმა დაკვნესეს ბარბაროსთა არეულობის მუქარათა

წინაამდეგ ნამდვილი მამულის-შვილობის სიმზე. მარა იმ იმპერიამ—რომელიც ეხლანდელ საფრანგეთზე თორმეტჯერ მეტი იყო—მაინც ვერ შეადგინა სახელმწიფო ჩვენი თანამედროვე მნიშვნელობისა.

ევროპის ერთა დასაბამი არის ის დრო, როდესაც დაირღვა კარლოვინგების იმპერია. მას შემდეგ გამოჩნდენ საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია და ესპანა, რომელთაც ბევრი ცვლილებანი გამოუვლიათ, მარა ყოველ მათგანმა თავისი თვისება მაინც შეირჩინა.

ევროპის წასულის ამ რიგათ განხილვის შემდეგ, რენანმა დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ **„რა არის ეროვნება?“**

რატომ არის ჰოლლანდია ერი (ნაცია,) თუ კი ჰანნოვერი არ ითვლება ერათ? რანაირათ დარჩა საფრანგეთი ერათ, როდესაც მისს დამაარსებელ მონარხიულ დედა-აზრს ეხლა ყოველივე მნიშნველობა დაეკარგა მისთვის? რატომ ითვლება ერათ შვეიცარია, რომელსაც აქვს **სამი ენა, ორი სარწმუნოება და ყავს სამი ან ოთხი ტომი,** და რატომ ტოსკანა, ყოველნაირ ერთ-გვარობის მიუხედველათ, დამოუკიდებელ ერათ არ ირიცხება?

ზოგიერთ თეორეტიკოსების თქმისა არ იყოს, ერს დინასტია ხომ არ შეადგენს? შვეიცარიის მაგალითი, რომელსაც თავისს დღეში არ ყოლია დინასტია, აგრეთვე საფრანგეთისაც, რომელმაც უარ ჰყო თავისი დინასტია, უარს ჰყოფენ მათს აზრს.

რა არის ერი?

იქნება ერათ **ტომი** იგულისხმებოდეს? ან შეიძლება, გერმანულ თეორიისა არ იყოს, არსებობდეს **ტომის** რაღაც უფლება, რომელიც მეუფეობს იმ ჯგუფებთა ნებაზე, რომლებიც ტომის რიცხვს შეადგენენ?

ამ თეორიის ძალით, გერმანიის ტომს უფლება აქვს ერთათ შემოკრიბოს გერმანიზმობის აქა-იქ გაფანტულნი წევრნი, თუ გინდ ეს უკანასკნელნი ამისთანა შემოერთების წინაამდეგ-

ნიც იყვნენ. გერმანიზმის უფლება რომელიმე პროვინციაზე, მაგალითათ, ბევრათ უფრო დიდი იქნება, ვიდრე თვით იმ პროვინციის მცხოვრებთა უფლება თავიანთ თავზე; ამნაირათ, თითქო არსდება პირველ ყოფილ მტაცებლობის ვითომ უფლება, ამბობს რენანი, რომელსაც ამ სიტყვებში აშკარათ ეტყობა, რომ პირდაპირ ალზას—ლოტარინგიას გულისხმობს...

ეს ერთობ დიდი შეცდომაა, რომელიც, თუ ვინიცობაა გავრცელდა, ევროპის ცივილიზაციას სრულიათ დაღუპავს. რამდენათაც სამართლიანი და კანონიერია ერთა დედა-აზრი, იმდენათ დამხუთველი და საშიშია პირველ ყოფილ მტაცებლობის დედა აზრი. თანამედროვე ხალხთა შორის **ტომობა** აღარ არსებობს. ისინი ეხლა შერეულ ელემენტებისაგან არიან შემდგარნი, როგორც მაგ., საფრანგეთი—კელტურ, იბერიულ და გერმანულ ელემენტებისაგან; გერმანია—კელტურ, გერმანულ და სლავიანურისაგან; იტალია—გალლურ, ეტრუსკულ და ბერძნულისაგან.

მაშასადამე, არ შეიძლება რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდეს **ტომობას**. კაცობრიობის ისტორია არსებითათ გაირჩევა ზოოლოგიისაგან. ისტორია უარყოფს იმ გვარ უფლებას, რომელიც ნებას იძლევა, რომ მთელ დედამიწაზე ადამიანებს თავთა-კეფა გაუსინჯონ, შემდეგ ყრონტში ხელი წაავლონ და გამოუცხადონ: „ეი, ბიძიავ, შენ ჩვენი ხარ და ჩვენ გვეკუთვნიო!“

ანტროპოლოგიურ განსხვავებათა გარდა, კიდევ არის გონიერება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება და სიმშვენიერე, რომელნიც ყველასთვის ერთი და იგივეა. ეს ეტნოგრაფიული პოლიტიკა დიდათ საშიშია. თქვენ თუ სხვის გასაყვლეფავათ ხმარობთ მას, შემდეგში თვითვე შეიქნებით ამ გვარივე გაყვლეფის მსხვერპლებათ.

არც ენა შეიძლება ჩაითვალოს ერთა უფლების კრიტერიუმათ. ენას არ დაუშლია შეერთებულ შტატებისათვის ინ-

გლისისაგან გათავისუფლებულიყო, და ესპანიის ამერიკა ესპანიის სამეფოს ჩამოშორებოდა. და სამისა თუ ოთხის ენის პატრონი შვეიცარია კი ერთობილათ რჩება.

ამასთანავე, ენა ტომსავით ცვალებადი ელემენტია. ეხლანდელი პრუსია რამდენიმე საუკუნის წინათ სლავიანურათ ლაპარაკობდა, გალლების კელტური ქვეყანა ეხლა ინგლისურათ ლაპარაკობს, გალლიამ და ესპანამ თავიანთი ენა, რომიდან გადაიღეს, ეგვიპტე ლაპარაკობს არაბულათ. ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლათ, რომ ენის მსგავსება კიდევ არ მოასწავებს ტომის (რასსის) ერთობას.

რაც შეეხება სარწმუნოებას, ძველს ქვეყანაში იგი იყო ერთა უფლების გამომრკვევი ელემენტი, მარა აწმყო დროში იგი შეიქნა სათვითო კუთვნილებათ.

აგრეთვე, საერთო ინტერესების ქონებაც არ შეიცავს ეროვნებას.

ეროვნებასა აქვს უფრო გრძნობის მხარე. Lollverein მამულათ არ ჩაითვლება, მართალია, გეოგრაფია, ან იგი, რასაც ბუნებრივი დედა აზრი ქვია, ერთი უაღრესი მოძრავი ძალთაგანი იყო ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში, მარა თანამედროვე ცხოვრება ყველა თავხედურ და მავნე სწავლათაგან იმ სწავლას უფრო მავნებლათ თვლის, რომელიც უფლებას ანიჭებს ერს, რომ მან მოიტაცოს ყველაფერი, რაც კი მისი საზღვრების შემორგვალებისათვის არის საჭირო.

ეროვნება არის სული, სულიერი დედა აზრი. ორი მხარე შეადგენს ამ სულს. ერთი არის წარსულში, მეორე—აწმყოში; პირველი შეიცავს გარდმოცემა—მოგონებათა დიდ-ძალ მემკვიდრეობის საერთო პატრონობას, და მეორე —განუყოფელათ მიღებულ მემკვიდრეობის საერთოთ სარგებლობის მისწრაფებას, წადილს.

წინაპართ კულტურა ყველა სხვების კულტურაზე უფრო კანონიერია.

წინაპრებმა შეგვქნეს ჩვენ ისეთნი, რანაირნიც დღეს

ვართ... დიდებული მოღვაწენი და ნამდვილი სახელოვნება— აი ეგ არის საზოგადოებრივი თანხა, რომელზედაც დაფუძნებულია ეროვნული იდეა.

არსებითი თვისება ხალხისა არის—საერთო სახელოვნება წარსულში, საერთო ნება აწმყოში, შეერთებული ღონისძიებით დიდებულ საქმეთა ქმნა, და კვლავადაც მათდამი მისწრაფება...

ჩვეულებრივათ ადამიანის სიყვარული თანაბარია იმ მსხვერპლისა, რაც სიყვარულისთვის შეუწირავს, და იმ ტანჯვათა, რაც განუცდია მას. ადამიანს უყვარს სახლი, რომელიც თვითონვე აუშენებია. სპარტელები იმღერდენ:

„ჩვენ ვართ იმ გვარნი, რა გვარნიც იყავით თქვენ (მამები);

„ჩვენ ვიქნებით იმგვარნი, რა გვარნიც დღეს ხართ თქვენ,"

ეს მარტივი სიმღერა უნდა ჩაითვალოს ყოველივე ერის შემოკლებულ ჰიმნად.

წარსული დროის სახელოვნებისა და წუხილის მემკვიდრეობის გაზიარებას, მომავლისათვის იმავე პროგრამის ასრულებას, ერთად ჭირსა და ლხინს,—ბევრათ უფრო უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საერთო დამოქნებისა და სტრატეგიულის მოსაზრებათამებრ საზღვრების სიმაგრეს.

აი ამას გაიგებენ ყველანი, ვინც რა ტომსაც ეკუთვნოდეს და რა ენაზედაც უნდა ლაპარაკობდეს...

---

## 1902 წ.

## გაცვეთილი შარები.

„ივერია" 1902 წ. № 174.

კანადეევის ტენდეციურს წიგნს („Очерки Зак. Жизни") მიზეზი მიუცია „ჩერნომ. ვესტნიკისათვის„ (№ 160) ერთხელ კიდევ ჩაგვწიხლოს აქაურნი მკვიდრნი, არა მარტო

ქართველები, არამედ ამ ჟამად თათრებიც და, წარმოიდგინეთ, სომხებიც კი, ის სომხები, რომელთაც აქამომდე თავის უბეში ისვამდა ბ-ნი პალმი...*)

როგორც ჩანს ბ-ნის კანადეევის მიერ შეკრებილ მასალებისაგან, ამიერ კავკასიის ერთა შორისო—ამბობს პალმის გაზეთი, არსებობს დიდი განხეთქილება, და მხოლოთ განუკურნებელ უტოპისტებს ძალუძსთ იოცნებონ, რომ ამ ხალხებს შეუძლიათ ერთმანეთის მიმხრობითა და თანხმობით საერთო მუშაობაო... ეს განხეთქილება იქამდეა მისული, რომ ისინი ერთმანეთს ვერ იტანენო. იგივე განხეთქილება ხელს უშლის მართლ-მსაჯულებასაცაო.

ესეთი შარები ჩვენს შესახებ, სწორედ ამავე სიტყვებით გამოთქმული—არ ახალია ძველია...

აღსანიშნავია, რომ ეს ქრონიკული ცილისწამება ისე გაცვდა, 1863 წლიდან, როცა განსვენებულმა კატკოვმა **პირველად** „მოგვიბრუნა კეხი" ქართველებს განსაკუთრებით და ამიერ-კავკასიელთ საზოგადოთ,—რომ აქამომდე არავის დალაგებით არ დაუსაბუთებია იგი არც ერთი ფაქტით, უმთავრესათ იმიტომ, რასაკვირველია, რომ ასეთს ფაქტს ადგილიც არ ქონია ჩვენს ცხოვრებაში!

დასაბუთება თქმულისა არ შედიოდა და არც ახლა შედის ცილის-მწამებელთა ანგარიშში. ისინი ყოველთვის წერდენ და წერენ ისეთის აუდიტორიისათვის, რომელსაც უსაბუთოთაც ხელს აძლევდა და აძლევს მათი სიტყვების დაჯერება...

დიდი ხანია, რაც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცა თემობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღება. ამას ნატრულობს ყველა...

როცა ამიერ კავკასიის ერთა შორის განხეთქილებაზე

---

*) სადაც სამი წერტილებია იქ მთელი პერიოდებია 1902 წლის ცენზურისაგან ამოშლილი. ავტ.

განგაშს დაჰკრავენ ხოლმე ეს ვაჟბატონები, ნაგულისხმევი აქვთ ჩვენი სიკეთე და გაფრთხილება-კი არა, არამედ სათემო და ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღების ჩაშლა... ახლაც იმიტომ მოიმიზეზა კანადეევის ტენდენციური წიგნი „ჩერნ. ვესტნიკმა," რომ ეთქვა:... „აი ამისთანა პირობებში (განხეთქილებისა და გაუტანლობის დროსაო) ადამიანები დაბეჯითებით თხოულობენ თემობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებასო. თუ-კი აქაურს მკვიდრს მსაჯულს, რომელსაც მიუღია უმაღლესი ან საშუალო განათლება მაინც და, მაშასადამე, აქვს ყოველივე საჭირო თვისება, რომ შეგნებით ასრულებდეს თანამდებობას,—თუ-კი ასეთის მსაჯულის მიუდგომლობაზედ შეაქვთ ეჭვი, (თუმცა უსამართლოდაო) რაღას იტყვიან მაშინ, როცა გამამტყუნებელს განაჩენს დაუდგენს სომეხი ნაფიცი მსაჯული ბრალდებულს ქართველს, ანუ ქართველი—სომეხს? ასეთი სამდურავები განა არ მოუთხრის ნეტავ ძირს მართლ-მსაჯულებასო"?..

აქ რამდენიც ფრაზაა იმდენი ტენდეციური განზრახ შეცდომა გახლავსთ. ამიერ-კავკასიის ერთი პროვინციიდან მეორეში ხშირათ ინიშნებიან ხოლმე მსაჯულები. ოლქის სასამართლოის წევრნი და თავ-მჯდომარენიც-კი, მარა სასამართლოს რეფორმების შემოღებიდან დღემდე **არ ყოფილა არც ერთი მაგალითი,** რომ მათ დამდურებოდა ხალხი, **როგორც ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთ!**

თქმა არ უნდა, ყველა ქართველ მსაჯულებს რომ ქართველთა შორისვე ამსახურებდენ და თათრებს თათრებში, ეს უკეთესი იქნებოდა, ხოლო თუ ეს ყოველთვის არ შეიძლება, არასოდეს თათარი ქართველს ქართველობისათვის, და ქართველი სომეხს სომხობისათვის არ დაიწუნებს, თუ იგი, როგორც მსაჯული, პატიოსანია და სამართლიანი. ყარაბეგოვი და ეჯუბოვი (სომხები) ოზურგეთში, ნაკაშიძე და ამაშუყელი ბაქოში, მამულაიშვილი და გელოვანი ლენქორანსა და ყუბაში, ადიგეზალოვი (თათარი) ოდიშში, ვიზიროვი (თათარი) ქუთაის-

ში და სხვები სხვა-და-სხვა ადგილებში დღესაც ახსოვს ხალხს და სიამოვნებით იხსენიებენ, როგორც საყვარელ, სამაგალითო გამომძიებელთ, მსაჯულებს, პროკურორის ამხანაგებს და სხვ.

რაკი ასე უყურებენ ამიერ-კავკასიის ხალხნი სახელმწიფო მსაჯულებს, (коронные судьи) აქაურ ერთა შვილებს შორის არჩეულებს, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგივე ხალხნი ეჭვის თვალით შეხედავენ და არ ენდობიან სამართალს თავიანთ შვილებისაგანვე არჩეულ ნაფიც მსაჯულებისას! ნუ თუ ის გარემოება შეუშლის ხელს მათდამი ნდობას, რომ იგინი იქნებიან ნაფიცნი მსაჯულნი, დღეს იმსაჯულებენ და ხვალ-კი ისევ ხალხში ჩადგებიან?.. პირ-იქით, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ ნდობას აღძრავს მათდამი, რადგანაც ყოველ ნაფიც მსაჯულს კარგათ ეცოდინება, რომ იგი მხოლოთ დღეს ჰრის სამართალს, რომლის გამრუდებას არასოდეს არ შეარჩენს მას საზოგადოებრივი სინიდისი, ეს უფრთხილესი დარაჯი საყოველთაო სიმართლისა და სამართლისა. ამიტომაც ყოველი ნაფიცი მსაჯული მოწადინებული იქნება სამართალი გადაწყვიტოს სინიდისისამებრ და არა მიდგომით, და ეს გარემოება-კი დიდათ აამაღლებს ხალხის თვალში სასამართლოს გავლენას, პრესტიჟს...

მხოლოთ ადგილობრივ ცხოვრების უცოდინარობას ან და განზრახ თვალ-ახვეულს შეუძლია იყოს ამ შეხედულობის წინაამდეგი...

მარტო ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღებას-კი არ გვიბალთავს წინდაწინვე პალმის გაზეთი... იგი წინაამდეგია აგრეთვე სათემო დაწესებულებათა შემოღებისაც ჩვენში... სათემო დაწესებულებათა მოღვაწეობა რომ ნაყოფიერი იქნასო— მოუბარობს „ჩერნომორსკი ვესტნიკი“—საჭიროა ერთმანეთის მიმხრობით შრომა, და განა შეიძლება ასეთი შრომა, მაგალითათ თბილისის გუბერნიაში, სადაც ქართველ მებატონეებთან ერთათ ცხოვრებენ სომეხ მებატონეებიც, რომელნიც მტრულათ ეპყრობიან ერთმანეთსაო. .

ერთი რომ, სათემო დაწესებულებაში ხმა აქვთ არა მარტო **მებატონეებს** (ПОМѢЩИКЪ) არამედ **ყველას,** ვისაც-კი მიწის მფლობელობის ცენზი აქვს, და მეორე—ცხოვრების რომელი ფაქტისაგან გამოჰყავთ ჩვენს ძალად მზრუნველებს ის დასკვნა, რომ ქართველი და სომეხი **მებატონეები** ერთმანეთს **მტრულათ** ეპყრობიან?? მარა აკი მოგახსენეთ—დასაბუთება თქმულისა არ შედის მათს ანგარიშშითქო.

ოცდახუთი საუკუნეა რაც ქართველებს და სომხებს ერთმანეთთან საქმე გვქონია, გვაქვს და გვექნება კიდეც. არც ერთს მეზობელს მეორე, განსხვავებული მოდგმის, ენისა და ტიპიკონისა, ისე არ დაუახლოვებია და შეუთვისებია, როგორც ქართველმა დაიახლოვა და შეითვისა სომეხი.

ჩვენ გვაქვს სომხებთან საერთო თაყვანსაცემი წმიდა ადგილები: მცხეთა, წმიდა ვაზის ჯვარი, ალავერდი (ქართველების), ხატის თელეთი, ფეთხაინი, კრწანისი (სომხების) და სხვ., გვყავს საერთო წმიდა მოციქულთ თანასწორი შუშანიკი, გვაქვს ქართლ-კახეთში საერთო ენაც—ქართული, რომელზედაც ლაპარაკობს ყველა გორელი და კახელი სომეხი.

გარდა ამისა იშვიათათ შეხვდებით თბილისის გუბერნიაში, მეტადრე თავად-აზნაურობაში ისეთს ოჯახს, რომ სომხებთან რაიმე ნათესაობა, ანუ ნათელმირონობა არა ქონდეს.

ერთის სიტყვით არ დარჩენილა არც ერთი ისეთი მხარე მეზობლურ-ოჯახობრივის განწყობილებისა, რომ ქართველი და სომეხი ერთმანეთს არ შეთვისებოდეს...

რაც შეეხება ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ მხარეს, მართალია აქ გვაქვს და კიდევ გვექნება სადავო რამ, ზოგს საგანში ეროვნულს ნიადაგზედაც, მარა ეს არის ჩვენი **საშინაო დავა,** რომლის არც დაწყება გვიკითხავს პალმებისათვის და არც მისს გადასაწყვეტათ ჩავირევთ, თუ ჩვენს ნებაზე იქნა, სხვებს: ჩვენ თავათ გამოვრიგდებით ერთმანეთში. ამ გამორიგებას უფრო გაგვიადვილებს სათემო დაწესებულების შემოღება, რადგანაც მაშინ ორთავეს უფრო მეტი საშუალება

გვექნება დავწინაურდეთ (შედარებით) ეკონომიურათ, გონებრივათ და ზნეობრივათ, ერთი სიტყვით ყოველ იმ მხრივ, რაც საჭიროა აქაურ ერთა შორის სადავო საქმეების მშვიდობიანათ მოსაგვარებლათ...

ყოველ შემთხვევაში, ვინ უნდა იცოდეს უკეთ ქართველ და სომეხ მებატონეთა შორის მტრობის არსებობა, თუ არა თვით ქართველ და სომეხ მებატონეებმა, რომელთა კრებამ *) არა ერთგზის დადგინა: ეთხოვოს მმართებლობას ნაფიც მსაჯულთა და საერობო დაწესებულებათა თბილისის გუბერნიაში შემოღება. ერთმანეთის მტრები რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთის წარმატების წინაალმდეგნიც იქნებოდენ; და მაშინ რაღათ ითხოვდენ ისე ერთი სულით და ერთი გულით ნაფიც მსაჯულებს და თემობას, ამ საუკეთესო საშუალებათა ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხების წარმატებისათვის?

არა თუ მშვიდობიან და მეზობელ ხალხებს მშვიდობიანობის დროს, არამედ თვით მტრებსაც ომიანობის დროს აქვთ საერთო საჭიროება (მაგალითად სანიტარულ-ჰიგიენური მხარე) და რა გასაკვირველია, რომ ერთს პოლიტიკურს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე დაბინავებულ ქართველებს, თათრებს და სომხებს, მთელი საუკუნოებით ერთმანეთში შეგუვებულებს, ბევრი რამ გვაქვს **საერთო**, საერთო ღონისძიებითვე მისაწევი, და მათ შორის უპირველესათ—ეს სათემო და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტები.

ეს წამს და ჯერა ყველას, ვისაც-კი ჩვენი ავი და კარგი აინტერესებს, ვისაც ჩვენი ცხოვრება მეტ-ნაკლებათ მაინც გაუცვნია. თვით საუკეთესო ნაწილმა რუსეთის მწერლობისამ თავის დროზე მხარი დაუჭირა ჩვენს განაჩენებს ხსენებულ დაწესებულებთა გამოთხოვნის შესახებ. ხოლო ის ვაჟბატონები-კი,

---

*) თავად-აზნაურთა კრება მხოლოთ მებატონეებისაგან შედგება და გრიგორიანთ სარწმუნოების თავად-აზნაურების ხმა თითქმის $^{1}/_{5}$ შეადგენს თბილისის გუბერნიის აზნაურთა კრებაში.

რომელთა ცილის-წამებათა გამო ამას ვწერთ, ჴელმძღვანელობენ არა სიმართლის პრინციპებით, და წერენ არა სინამდვილის გამოსარკვევათ, არამედ სულ სხვა ქვენა გრძნობებითა და მისწრაფებით...

კიდევ მადლობა ღმერთს,**) რომ ჩვენი თხოვნების დაკმაყოფილება ნაფიც მსაჯულთა და ჟიმობის შესახებ იმდენათ ეკითხება ამ ჯურის ვაჟბატონებს, რამდენათაც ინგლის-ბურების მორიგება მე და შენ, მკითხველო.

---

**) ვაი ამისთანა მადლობასაც!

# ორიოდე სიტყვა გიორგი ჭალადიდელის შესახებ.

„ცნობის ფურცელი," 1902 წ. № 1885.

გიორგი ჭალადიდელი ფსევდონიმი იყო ნიჭიერის პოეტის თ-დის გიორგი მაქსიმეს ძის ქორჩაქიძისა, რომელიც დიდს იმედს იძლეოდა მესამოცდაათე წლებში.

იმ დროინდელს ლიტერატურაში არავინ არ გამოსულა ისეთი შნოით, და არც არავის გამოსვლისათანავე არ მიუპყრია იმდენათ ყურადღება მკითხველებისა, როგორც განსვენებულმა ჭალადიდელმა.

ბევრს ეგონა, რომ აკაკისა და ილიას გაუჩნდა ლიტერატურაში საიმედო მემკვიდრე. თვით ეს ორი კორიფეი ჩვენის ლიტერატურისა ამ შემთხვევაში ბანს აძლევდენ, რამდენათაც ვიცით, მკითხველის საზოგადოების ასეთს აზრს და ბევრათ უფრო მეტს მოელოდენ ჭალადიდელისაგან. ვიდრე ამ უკანასკნელმა შეძლო, ანუ, მიუკერძველათ რომ ვთქვათ, შეაძლებინა მას გარემოებამ.

ჭალადიდელის ლექსები და სცენები იბეჭდებოდა **„დროება"**-ში, ჟურნალს **„კრებულში"** და ს. მესხის გამოცემულს კალენდრებში („ნიკო და ნინო" და სხვ.) უპირველესი თვისება მისი პოეზიისა იყო გრძნობის სიწრფოება და ცხოველი ჰანგი. უმეტესი წილი მისი მცირე ნაწერებისა ახლაც ახსოვსთ დასავლეთს საქართველოში ზეპირათ და გურია-სამეგრელოში ხომ ჩონგური არ დაიკვრის ისე, რომ მისი რომელიმე ლექსი არ დაალიღინონ...

ჭალადიდელის ნიჭის დასახასიათებლათ აქ მოვიყვანთ ნიმუშებს მისის ნაწერებისას, რომელნიც, მართალია 1869—1870 წლებში დაბეჭდილნი იყვნენ **„დროება"**-ში, მარა მას აქეთ იმდენი დრო გავიდა, რომ მთელი ახალი დგმა გაჩნდა ცხოვრების ასპარეზზე, რომელსაც გაუგონია მხოლოთ ჭალადიდელის სახელი და მისი ლექსები-კი მარტო სოფლათ ჩონგურზე დამღერების დროს თუ მოუსმენია... აი ეს ნიმუშებიც:

## ქება შრომას. *)

ვინც მუდამ მიწას ჩეჩავს,
ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს;
ვინც კალოზე პურს ლეწავს
და ლუკმა პურს თავს აჭმევს,—
აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმის ოფლის წვეთს;
ქება მისს მუშურსა ხმას
და მისს მარტოხელა ბედს!
ვინც გუთანს მისდევს ოფლით
და მუშურს დაღიღინებს;
ვინც ტვირთითა და ოხვრით
ცოლ-შვილს ძლივს დააპურებს,—
აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმის ოფლის წვეთს;
ქება მისს მუშურსა ხმას
და მისს მარტოხელა ბედს!
არ დაგავიწყდეთ ისიც,
ვინც ჭკუითა მუშაობს,
მაგრამ სოფლის მხდალობით
ლუკმა პურსაც ძლივს ჰპოვობს.
აფერუმ ყოველ შრომას,
ქება ყოველ ოფლის წვეთს;
ქება მუშის მუშურს ხმას
და მათს მარტოხელა ბედს!

ქვემოთ მოყვანილი მისი ლექსი **„ფაცხა“** მისს ნაწერთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენში. ის გადაღებულია ნოტებზედაც სასიმღეროთ და ვერც ერთს მომღერალს გუნდს ვერ შეხვდებით, რომ მისს რეპერტუარში „ფაცხა“ არ შედიოდეს. მას აქვს საკუთარი ჰანგი, გურიაში შექმნილი. აქ

*) „დროება“ 1869 წ. № 40.

იმიტომ უფრო მოგვყავს, რომ მიუხედველათ იმისა, რომ ის გავრცელებულია ხალხში, სიტყვები ლექსისა არეულათ ახსოვთ და ნოტებშიაც შეცდომით აქვთ ჩაწერილი.

## ფ ა ც ხ ა *).

მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წნელით ჩახლართული!
სახლი მინახავს დაგული,
ჰქონდა ზოლი გალაქული;
მაგრამ იმ სახლის მცხოვრები
იყო მტრული და ორგული.
და ჩემ ფაცხაში საწყალი
იდგა ერთი დაჩაგრული:
მაგრამ გული იმას ჰქონდა
კეთილი და მასპინძლური.
მისთვის ფაცხა მოურთველი
მიყვარს მთაზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო
წვრილის წნელით ჩახლართული.
ვიცი სახლი ჩინებული,
გამოშალაშინებული,
ეზო, გარემო, მაშული,
გვრილშამ **) შემოკავებული;
იქ ყმაწვილები ჩაცმულნი,
უცხო გვარად მოკაზმულნი,
იცინოდნენ, თამაშობდნენ,
და იყვნენ გახარებულნი.

*) „დროება“ 1870 წ. № 10.

**) ირგვლივ.

მაგრამ ფაცხიდან უმაწვილი,
ტინტრაქა და უფერული,
ხან დედასთან დათამაშობს,
ხან ჭუავს გულში ჩახუტული.
ამ გვარად არს გამოზრდილი
პაწაწინა, ესუსური:
დედის, მამულის და შრომის
დარჩება ის მოყვარული.
და მისთვისაც მოურთველი,
მიყვარს ფაცხა წამოდგმული,
უფიცრო და უყავრო,
წვრილის წნელით ჩახლართული!
ჩემ ფაცხაში პეროვნები
არ არის გაკეთებული,
მაგრამ სუფრაზე მწვადი მაქვს
ცეცხლზედ აშიშინებული.
მუდამ მზათა მაქვს ქადური,
რძე, ყველი და ხაჭაპური;
ღვინოცა მაქვს, როგორც არის,
თრი კოკა ჩვენებური.
და მისი ვარ მე ერთგული,
მორჩილი და მოყვარული,
ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა,
წვრილის წნელით ჩახლართული!

დააკვირდით ამის ქვემოთ მოთავსებულს სიმღერას, რომელშიაც ქალაქელი ბიჭი სამშობლოსადმი სიყვარულს გამოთქვამს. რა სადათ და რა წრფელათ არის გამოთქმული ღრმა და მცხინვარე გრძნობა! რა ნიჭიერათ არის შეხამებული ყოველი სიტყვა ლექსისა ქალაქელ გაურყვნელი ბიჭის ფსიხოლოგიასთან!! ჩემის აზრით ამ ლექსს უფრო შეფერის, რომ ერქვას „სამშობლო ქალაქელ ბიჭისა“. აი თვით ლექსიც:

## სიმღერა*).

(„ქალო ხაბარდიანის“ ხმაზე.)

ქალაქელი ბიჭი ვარ, საყვარელი მეცა მყავს,
სწორედ ერთის შეხედვით გაფურჩქნულსა ვარდსა ჰგავს!
არ გეგონოსთ ბიჭებო, ჰგავდეს თქვენსა დარიგოს,
და ჩემი საყვარელი უცხო რამე არ იყოს!
აჰა! ჩემი ლამაზი, რა კარგი გულის არი,
უყვარვარ და მეც მიყვარს, სიყვარულიც ეს არი!
არც ხელი აქვს, არც ფეხი, არც შავ-შავი თვალები;
არც თეთრი ძუძუ-მკერდი, არც ლოყაზე ხალები;
მაგრამ ცოცხლად მისი ვარ, მას არ გავებუტები,
მოვკვდები — ხელს დავიკრეფ, მასვე ჩავეხუტები!
აჰა! ჩემი ლამაზი, რა კარგი გულის არი,
უყვარვარ და მეც მიყვარს, სიყვარულიც ეს არი!
თუ სხვაგან მე მივდივარ, გული ძგერს და არ დგება,
მე მხოლოთ ის მაწუხებს, საყვარელი დამრჩება.
ეს ჩემი გული მსხვერპლად მისთვის არ მეშურება,
თუ კი ჩემსა ტურფასა რამედ გამოადგება,
აჰა! ჩემი ლამაზი, რა კარგი გულის არი,
უყვარვარ და მეც მიყვარს, საყვარელიც ეს არი!
ის მაპურებს, ის მარჩენს და ის მეალერსება,
ამისთანა ლამაზი, ვის არ შეეყვარება?
დილით მწვანე ხავერდათ ფეხ-ქვეშ დამეფინება,
წყაროს წყალსა მომართმევს, მოხვევს მეპირება,
აჰა! ჩემი ლამაზი, რა კარგი გულის არი,
უყვარვარ და მეც მიყვარს; სიყვარულიც ეს არი!
ეს ჩემი საყვარელი უცხოდ ნუ გეჩვენებათ,
თუ არ გიყვარსთ არ ვიცი, თორემ თქვენც გეყოლებათ.
ის კარგი გულის არი, ყველას მოგეფერებათ,

---

*) „დროება“ 1870 წ. № 12. დაწერილია თბილისში მარტის 17-ს.

მაშ თქვენი თავი მსხვერპლად მისთვის ნუ გეშურებათ...
აჰა! ჩემი ლამაზი, რა კარგი გულის არი,
უუვარხარია და გიუვარდეთ, სიყვარულიც ეს არი!—

მწერლობას ჩვენში ახლაც არ შეუძლია მწერლის რჩენა, თორემ ამ ოცდა ათის წლის წინათ რა უნდა ყოფილიყო— ამას მკითხველი ადვილათ მიხვდება ახლაც. ეს იყო მიზეზი, რომ ახალგაზრდა გიორგი ჭალადიდელი, ჭალადიდელ თავადის მაქსიმე ქოჩაქიძის უფროსი ვაჟი, იძულებული გახდა სამსახურისათვის შეეფარებინა თავი. იგი მსახურებდა არტილერიაში (დასრულებული ჰქონდა სწავლა არტილერიის აკადემიაში), მონაწილეობა მიიღო 1877—1878 წლის რუს-ოსმალოს ომში და მიაღწია არტილერიის პოლკოვნიკობასა და ბატარეიის უფროსობას. ამ ომიანობის დროს, ერთს თავისს წერილში აკაკიმ გულის წუხილით მოიხსენა, რომ ნივთიერი ხელ-მოკლეობა და ის გარემოება, რომ სალიტერატურო შრომა ჩვენში უზრუნველ არ ჰყოფს მუშაკს, ბევრს ნიჭს აკლებს ჩვენს მწერლობასაო. სხვათა შორის მან გაიხსენა გიორგი ქოჩაქიძეც, რომლის შესახებ სთქვა: „ჭალადიდელმა-კი თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში გაახვიაო“...

მართალია, რუსეთს სამსახურში ყოფნის დროს მას ისეთი არა შეუქნია-რა, რომ მისი შემოქმედობითი ნიჭის წარმატების მაჩვენებელი იყოს, მარა ამ ხუთიოდე წლის წინათ მე შემთხვევა მქონდა პირადათ მენახა იგი ქუთაისში და დავრწმუნებულიყავ, რომ მას იქაც უწერია წვრილ-წვრილი ლექსები... ზოგი მათგანი „მოამბე“-შიაც იყო დაბეჭდილი. „მოამბე“-შივე დაბეჭდა მან ერთი წერილი ომიანობის საკითხის შესახებ.

1898 წ. იგი დაბრუნდა დროებით სამშობლოში და ამბობდა სამსახურს თავს ვანებებ და მინდა, თუ რამ შემეძლება, სამშობლოს ვემსახუროვო. უპირველეს ყოვლისა მას უნდოდა თავის ნაწერების კრებულის გამოცემა. სხვა პრაქტიკულ საგანთა შორის კი სურდა აღედგინა ნავოსნობა რიონზე, ფო-

თიდან ორპირამდე, და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ქუთაისამდიც; ამის თაობაზე მას მოლაპარაკება ქონდა ფოთის ქალაქის თავთანაც. მარა არც ერთი თავის გულის წადილის შესრულება მას აღარ დაცალდა: რუსეთში გაბრუნებული ის უეცრად გადაიცვალა...

იმ წელშივე მე მითხრა განსვენებულის ძმამ, ქუთათურმა ნაფიცმა ვექილმა ალექსანდრე ქორჩაქიძემ, რომ „მისი ნაწერების სრული გამოცემა ჩემს წმინდა მოვალეობას შეადგენსო“... მას აქეთ მეხუთე წელიწადია და ამ გამოცემას კი დღემდის ვერ ვეღირსეთ...

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

### 1903 წ.

### ახალი გაზეთი სპარსულ ენაზე რუსულ თარგმანით.

„ივერია“ 1903 წ. № 233.

„იმიერ-კასპიის მხრის მიმოხილვა“ წელიწადი 1, № 1. „Закаспійское Обозрѣніе“ годъ 1-й № 1. Редакторъ-Издатель К. В. Ѳедоровъ.

ასხაბადში, იმიერ-კასპიის მხრის უმთავრეს ქალაქში, გასულ ოქტომბრის ათს გამოვიდა პირველი ნომერი დასურათებულის გაზეთისა სპარსულ ენაზე რუსულის თარგმანით. ვამბობთ „გაზეთი სპარსულს ენაზე რუსული თარგმანით“ და არა „სპარსული გაზეთი რუსული თარგმანით“ იმიტომ, რომ ხსენებული ორგანო, როგორც, სხვათა შორის, გვაჩვენებს მისი რედაქტორ-გამომცემლის თედოროვის ვინაობა, სპარსულია მხოლოთ შრიფტით, ისიც გაზეთის მარტო ორ-მესამედზე და არა სულითა და მიმართულებით.

გაზეთი გამოვა ჯერ-ჯერობით მასალის მოგროვებისდაგვარათ და შემდეგ, თუ გარემოებამ ხელი მოუმართა, კვირა-

ში სამჯერ. პროგრამა გაზეთისა ვრცელია, საპოლიტიკო, სამ-რეწველო, სავაჭრო და ლიტერატურული. პირველი ნომრის სარედაქციო წერილი გვამცნევს, რომ გაზეთს საგნათ ექნება გამოარკვიოს საყურადღებო საგნები ამიერ-კავკასიის, იმიერ-კასპიის და ჩრდილოეთ სპარსეთის მუსულმანების ცხოვრებისა და, გარდა ამისა ხელი შეუწყოს რუსეთისა და სპარსეთის ეკონომიურსა და კულტურულს დაახლოვებას.

ამ ორგანოს დაარსებისათვის ხელი გაუმართავს, რედაქ-ციისავე სიტყვით, სამხედრო მინისტრს გენ.-ადიუტანტს ა. ნ. კუროპატკინს, თურქესტანის უფროსს გენ.-ლეიტ. ივანოვს და სხვ.

ფორმატი გაზეთისა in 4-ა, შეიცავს 18 გვერდს საუც-ხოვო ქაღალდისას. სურათები სამაგალითოა, ბევრათ უკეთესი მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთების ილიუსტრაციებზე. ჩინებულია აგრეთვე არაბული შრიფტი, რომლითაც დაბეჭდი-ლია გაზეთის სპარსული ტექსტი. უნებლიეთ გაგახსენდებათ კავკაზოლოგის ბარონ უსლარის სიტყვები არაბულს ანბანზე, რომელსაც, ხელოვნების მხრივ, იგი უპირატესობას აძლევდა ყველა სხვა ხალხის ანბანებზე.

შინაარსი ამ ნომრისა მრავალ-მხრივია, პროგრამის ყოველ დარგს თითო პატარა სტატია მაინცა აქვს მიძღვნილი.

ავტორი სტატიისა „აუცილებელი საჭიროება რკინის-გზის გაყვანისა მეშედამდი“ ვიღაც ახუმოვი მოქარგული ენით ურჩევს სპარსეთის მმართებლობას გაიყვანოს რკინის გზა შიათა წმიდა ქ. მეშედიდან იმიერ-კასპიის რკინის გზის რომელიმე სადგუ-რამდი, თუ სურს (!) თავის ქვეშევრდომთა გაბედნიერება ეკო-ნომიურისა და კულტურულის წარმატებით.

წერილი „მძლავრია თუ არა ოსმალეთი“ მიწასთან ასწორებს ოსმალეთს, სახავს მას ყოვლად უძლურ, თითქმის უკვე გაცი-ვებულ ლეშათ, წინასწარმეტყველებს მისს სულ ახლო მომა-ვალში ნაკუწ-ნაკუწათ დაშლას და მით ნიშნს უგებს იმათ,

„რომელნიც ბოსფორიდან გავრცელებულ ჭორებს ერწმუნებიან და ოსმალეთი მძლავრი სახელმწიფო ჰგონიათ“...

ერთი მონოგრაფია „ისტორიული მიმოხილვა რუსეთისა და სპარსეთის სავაჭრო განწყობილებისა“, რომლის დასაწყისია მხოლოდ ამ ნომერში და ეკუთვნის თვით რედაქტორის კ. ფედოროვის კალამს, საინტერესოა ჩვე თვისაც, ქართველებისთვის. ავტორი გზა და გზა ეხება საქართველოსაც, როგორც პირველ ოფიციალ გაცნობის მიზეზს რუსეთისა და სპარსეთისას 1618 წელს. ამ წელს მოსკოვის მეფემ მიხეილ თეოდორეს ძემ რომ (პირველად) ელჩები გაუგზავნა შაჰაბაზს საქართველოს საქმეების გამო, ჩვენის მეფის თხოვნით, ეს ყველამ ვიცოდით. ვიცოდით აგრეთვე, რომ მეფე მიხეილი ჩვენთვის იწუხებდა თავს და ცდილობდა შაჰ-აბაზი აელაგმა და შეეჩერებინა მისი თავდასხმა ღვთის მშობლის წილ-ხდომილ ქვეყანაზე.

ბ-ნის თეოდოროვის პირუთვნელ გამოკვლევიდან ვტყობულობთ, რომ სწორედ ამ პირველსავე ელჩობის დროს შაჰ-აბაზს თვითონ პირველს მიუცია წინადადება მიხეილისათვის გავიყოთ მთელი გავკასიაო. მოვსპოთ თავისუფლება იქაურ წვრილ-წვრილ სამთავროებისა, რომ რუსეთსა და ირანს შუა არ იყოს არც ერთი სხვისი სამფლობელოვო. გამომკვლევის აზრით, შაჰ-აბაზს ამ პროექტის ასრულებით უნდოდა რუსეთთან უფრო მჭიდრო სავაჭრო და სამრეწველო კავშირი ჰქონოდა...

მარტო ჩვენებურ თავგს არ ცოდნია კატის გამოთხრა.

894.63
K976

1908 წ.

## პატარა ერის დიდო და დიდებულო
## სულმნათო აკაკი! *)

ამ ორმოცდა ათის წლის წინათ ქართულ მწერლობის ასპარეზს დანათებდენ მცირენი და დიდნი ვარსკვლავები... მზე კი ჯერ არ ამოსულიყო...

ეს მზე დასავლეთით, საჩხერის მთების მწვერვალებიდან ამობრწყინდი, და მას აქეთ დანათებ ქართველ ერს, ქართული გულის ნუგეშო, ქართული მწერლობის დიდებავ, ქართული კალმის შვენებავ, აკაკით წოდებულო მზეო-სულმნათო!

აწ შენი სახელი ყველა თემების ქართველების ერთ ქართველობათ შემკრები ძალაა...

შენი მადლიანი ჩანგის მაღალ-კაცობრიული ჰანგები ქართველი ერის სხვა ერებთან შემაერთებელი ხიდია...

ამ ხიდით მოვიდენ დღეს აქ ჩვენი გაუყრელნი და გამოღვიძებულნი მეზობელნი—ერნი,—შენდა პატივსაცემლათ და ჩვენდა მხარის დასამშვენებლათ.

სულმნათო, დღემდის გვაშვენებდი შენი ნიჭით, დღეს იმავ ნიჭმა დაგვაშვენა მეზობლებითაც.

სულმნათო, იცოცხლე ჩვენს შორის შენი ნატვრის ასრულებამდე, დროთა სრბოლაში უკვდავო შენი ნიჭის ნათესით.

გაგიმარჯვდა აკაკი!
შენს გამარჯვებას მრავალ-ჟამიერ!

შენი ნიჭის ერთი თაყვანისმცემელთაგანი
ილია ჭყონია.

1 დეკემბერს 1908 წ.
ქალაქი ალექსანდროპოლი.

---

*) ეს წერილი გაეგზავნა პოეტის სამწერლო ღვაწლის 50 წლის თავის დღესასწაულის გამმართველ კომიტეტს წასაკითხავათ, მარა წაკითხვის ღირსათ არ ცნეს.

894.63
J 976